ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი 9
973/2

ალმანახი

2

1973

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 48-ე № 2 თებერვალი, 1973 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ა. იაკოვლევი — ანტიისტორიზმის წინააღმდეგ 3
ირაკლი აბაშიძე — უსათაურო ლექსი 26
ოთარ ჭილაძე — გზაზე ერთი კაცი მიდიოდა. რომანი. გაგრძელება . . . 27
მედეა კახიძე — ლექსები 99
გიორგი ქავთარაძე — დაჭრილი არაკის ხე. ნაწყვეტი რომანიდან 102
ვახტანგ გორგანელი — ლექსები 136
კალე გოგოხიძე — საბჭოთა შეიარაღებული ძალების ლაშქრული. ლექსი . 138
სერგო ჩხარტიშვილი — გვირ ქალაქში. ნაწყვეტი რომანიდან „ბერლინზე გავლით“ 139
ჯ. მესხი — სამხედრო ჟურნალისტის ფრონტული ჩანაწერებიდან 150
გრიგორი სკოვოროდა — ხარკოვული იგავები. უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა 161
ალექსანდრე პუშკინი — ევგენი ონეგინი. გაგრძელება. თარგმნა ოთარ ჭელიძემ 167
აპოლონიოს როდოსელი — არგონავტიკა. გაგრძელება. თარგმნა აკაკი გელოვანმა 175

წიგნების მიმოხილვა

იოსებ შარაშენიძე — საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება 193
ლევან ფრუიძე — სითბოთი და სიყვარულით გაჟღენთილი სტრიქონები . . 197

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

12141

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლეგანიძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური (პ/მგ. მდივანი), ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 12/XII-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/II-73 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 01724, ტირაჟი 13.100, შეკვ. 4044.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. იაკოვლევი
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

ანტიისტორიზმის წინააღმდეგ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდამეათე წლისთავის მოახლოებული იუბილე განსაკუთრებული აზრით არის აღსავსე. ეს ნახევარი საუკუნე ბრწყინვალე დადასტურებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ კაცობრიობის ისტორია ვითარდება აღმავალი ხაზით, საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ობიექტური კანონების სრული შესაბამისობით, რომლებიც დიდმა მეცნიერებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა აღმოაჩინეს.

სსრკ 50-ე წლისთავი თვალნათელი დადასტურებაა დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის გმირობის, თავდადებისა და ისტორიული წარმატებებისა. საბჭოთა ხალხებისა, რომლებმაც მჭიდრო, ერთიანი მწყობრით განვლეს ბრძოლის, შრომისა და გამარჯვებათა რთული გზა. სოციალიზმის აშენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ გაერთიანებული ძალებით. ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ახალი წყობილების მშენებლობის პირობებში.

მთელი ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში საბჭოთა საზოგადოებრივი მეცნიერება, საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ქვეყნის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა და ვაჟკაცდებოდა, სოციალისტურ მშენებლობაში ყოველთვის აქტიურად, საქმიანად მონაწილეობდა და ამ რთული ამოცანის — ეპოქის ასახვისა და გამოკვლევის — ღრმა და მკაფიო მაღალ მეცნიერულ და იდეურ-მხატვრულ დონეზე გადაწყვეტის მრავალი მაგალითი მოგვცა. როგორც პარტიულ დოკუმენტებში, რომლებიც ჩვენი ისტორიის ნიშანსვეტებად იქცა, ისე ათეულობით განმაზოგადებელ თეორიულ შრომებში და გამოკვლევებში, უკვე საბჭოთა კლასიკადქცეულ ეპიკურ რომანებში, პოემებსა და პიესებში, ჩინებულ ფილმებსა და სპექტაკლებში, რომლებსაც სამართლიანად ვუწოდებთ სახალხოს, აისახა თვით ჩვენი მშფოთვარე ცხოვრება — აღსავსე რევოლუციური დინამიზმით, ნოვატორული ენერგიით, შემოქმედებითი ძლიერებით. პარტიული პუბლიცისტიკის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებში ღრმად არის გააზრებული ჩვენი ხალხის მიერ განვლილი ისტორიული გზა მთელი თავისი სიძნელეებით, გარდატეხის მომენტებით, წინააღმდეგობებითა და შეჯახებებით, ხოლო ამ ანალიზიდან გამოკვეთილია სწორედ ის ძირითადი, ცხოველმყოფელი ტენდენციები, რომლებიც ცხოვრების მიმდინარეობას განსაზღვრავენ. ამ ნაწარმოებებში ხალხის

წარსული, აწმყო და მომავალი ასახულია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შუქით, ტალანტის ძალით, რომელიც მშრომელ ხალხს ემსახურება. არა მარტო მატერიალური წარმოების, არამედ აგრეთვე სულიერ სფეროში მოპოვებული ჭეშმარიტად უდიდესი მიღწევებით ეგებება ჩვენი ქვეყანა დიადი საბჭოთა კავშირის სახელოვან იუბილეს. დღეს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება თავისი სიახლით, გაქანებითა და ხასიათით წყვეტს ჯერ არნახულ პრობლემებს. ამის შედეგია სრულყოფილი სოციალისტური საზოგადოების განვითარების პროცესის სირთულე და მრავალპლანიანობა. სწორედ აქედან გამომდინარეობს ყოველგვარი განვითარებისათვის აუცილებელი წინააღმდეგობები.

რასაკვირველია, საზოგადოებრივი ცხოვრების სირთულეებსა და წინააღმდეგობებს დღეს სრულიად სხვაგვარი ხასიათი აქვს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის ისტორიის წინა პერიოდებში. ამ წინაალმდეგობათა და სირთულეთა საფუძველი ის არის, რომ ახლა საბჭოთა ხალხს ისეთი ამოცანების გადაწყვეტა უხდება, რომლებიც, თუ მათს მოცულობასა და სიღრმეს გავითვალისწინებთ, წინათ არასოდეს არ დასმულა.

1

სოციალისტური თანამედროვეობა მეცნიერული ანალიზისა და მხატვრული განზოგადების, კვლევისა და ტიპიზაციის ძნელი, მაგრამ უაღრესად კეთილშობილური სფეროა. საზოგადოებრივი მეცნიერების, ლიტერატურის, პუბლიცისტიკის მთავარი საზრუნავი ყოველთვის იყო იმ ახლის, პროგრესულის, კომუნისტურის შესწავლა და ასახვა, რაც ჩვენს ცხოვრებაში მკვიდრდება. და თუ რაოდენ მახვილია მეცნიერის ანდა მხატვრის თვალი, ამ ახლის დანახვა რომ შეუძლია, რაოდენ უხვია მისი გული, ეს სიახლე რომ ახარებს, რაოდენ ღრმაა მისი აზრების მსვლელობა, მომავალს რომ სწვდება, ყველაფერ ამაზე დამოკიდებულია მეცნიერული ან ლიტერატურული [illegible] ზოგადოებრივი მნიშვნელობა და სიცოცხლისუნარიანობა. ლაპარაკია იმაზე, რომ შეგვეძლოს ზუსტი ანალიზი გავუკეთოთ და გატაცებით ვიოცნებოთ, ანდა, მაიაკოვსკის სიტყვებით თუ ვიტყვით, „დღევანდელობის ანალიზიც შეგვეძლოს“ და „კომუნისტური მომავლის“ დანახვაც.

არსებითად, ჩვენი დროის მეცნიერი ან ლიტერატორი უბრალო ადამიანი როდია, რომელმაც კალამი მხოლოდ იმისათვის აიღო ხელში, რომ მკაცრი მეცნიერული დასკვნებით ანდა მხატვრული სახეებით აღბეჭდოს ეპოქა. ორივე შემთხვევაში იგი მკვლევარია, რომელიც ურთულეს მოვლენებსა და ღრმა პროცესებს აანალიზებს.

იმისათვის, ცხოვრებისეულ სიტუაციებსა და მოვლენებში რომ გავერკვეთ. მათი სწორი შეფასება რომ შევძლოთ და ჭეშმარიტი ფასეულობანი მოჩვეხებითისაგან განვასხვავოთ, აუცილებელია მკაფიო კლასობრივი ორიენტირები, იდეური რწმენა, პოლიტიკური გამჭრიახობა. ამ თვისებებთან თანაბრად შეუთავსებელია როგორც დოგმატური შეუწყნარებლობა, დახავსებულობა, ისე რევიზიონისტული ყველაფრის უარყოფა, მოდური ფსევდონოვატორობა — ყოველგვარი გადახრა მეცნიერული დიალექტიკურ-მარქსისტული მეთოდოლოგიიდან, ანალიზის მარქსისტულ-ლენინური პრინციპებიდან. შეგვეძლოს მეცნიერული პრინციპებიდან გავაანალიზოთ ვითარება, საზოგადოებრივი პირობები მთელი თავისი სირთულეებითა და წინააღმდეგობებით, დავინახოთ სოციალისტური შეგნების განვითარებაზე სხვადასხვაგვარი გავლენის შესაძლებლობა, სწორად შევაფასოთ ამ გავლენის სიღრმე და ხარისხი და გამოვიტანოთ სწორი პოლიტიკური დასკვნები. სწორედ ეს არის ცხოვრების მოვლენებისაღმი მიდგომის არსი, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის.

„მარქსიზმის მთელი არსი, მთელი

მისი სისტემა მოითხოვს. — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ თვითეული დებულება განვიხილოთ მხოლოდ (α) ისტორიულად; (β) მხოლოდ სხვასთან კავშირში; (ν) მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ გამოცდილებასთან კავშირში". საზოგადოებრივი მოვლენებისადმი მიდგომის ვ. ი. ლენინის მიერ დამუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპები აქტუალურია როგორც მეცნიერებისათვის, ისე ლიტერატურისა და პუბლიცისტიკისათვის. ამ პრინციპებიდან გადახვევას საბოლოოდ მივყავართ სოციალური სინამდვილის, წარსულისა და თანამედროვე მოვლენის შესახებ დამახინჯებულ გაგებამდე. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება ასეთი გადახვევებისა და დამახინჯების ცალკეული ფაქტები. და რამდენადაც ეს მცდარი მოსაზრებები გამოთქმულია საჯაროდ წიგნებისა და ჟურნალების ფურცლებზე, იქმნება აუცილებლობა, რომ კრიტიკული ანალიზი გავუკეთოთ მათ.

თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების აქტუალურ პრობლემათა შორის, რომლებზეც ამასთან დაკავშირებით გვექნება ლაპარაკი, ერთ-ერთი პირველი ადგილი ეთმობა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას. ეს პრობლემა ღრმად და ყოველმხრივ განიხილა სკკპ XXIV ყრილობამ. ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ყრილობის მიერ დამუშავებულ დებულებას იმის შესახებ, რომ „ყველა კლასებისა და სოციალისტური ჯგუფების დაახლოება, საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური თვისებების აღზრდა, მისი სოციალური ერთიანობის განმტკიცება ჩვენთან ხდება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე, რომელიც მუშათა კლასის სოციალისტურ ინტერესებსა და კომუნისტურ იდეალებს გამოხატავს". ეს დებულება მიგვითითებს იმ საზოგადოებრივ ძალაზე, რომელიც სოციალისტური პროგრესის წარმმართველია. ახალი, სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების მშენებლობის ასეთი ძალა, სოციალური გონება და სოციალური გული არის მუშათა კლასი, რომელსაც ისტორიამ დააკისრა სათავეში ედგას ... გარდაქმნებს საერთოდ თვით კლასების მოსპობამდე.

რა თქმა უნდა, სოციალიზმის ეკონომიური და სოციალური მიღწევები, საზოგადოებას რომ გარდაქმნის, უდიდეს ზემოქმედებას ახდენს თვით მუშათა კლასზე, როგორც საზოგადოებრივ გარდაქმნათა ძირითად მამოძრავებელზე და შემოქმედზე. საზოგადოებას რომ გარდაქმნის, მუშათა კლასი თვითონაც გარდაიქმნება. ეს, კერძოდ, იხატება მისი სულ ახალი და ახალი რაზმების გამოჩენით, მისი საერთო და პროფესიული კულტურის, განათლების, სოციალური აქტივობის ზრდით, სოციალისტური მორალის განვითარებით.

მაგრამ ის ფაქტი, რომ მუშათა კლასი იზრდება, ვითარდება, იმაღლებს თავის კულტურას, ეუფლება ახალ-ახალ ცოდნას, შრომის ახალ მეთოდებს, ბუნებრივია, კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით, ზრდის მის მთავარ როლს კომუნისტურ მშენებლობაში.

როგორც ჩანს, ეს დღესავით ნათელი ჭეშმარიტება ყველას სწორად ვერ გაუგია. მაგალითად, წიგნის — „ადამიანი და კაცობრიობის"—ავტორის ი. ზაბელინის მტკიცებას, თითქოს „მუშათა კლასი იმისთვის მოვიდა ხელისუფლების სათავეში, რომ ისტორიის არენაზე ადგილი დაუთმოს ინტელიგენციას, ინტელიგენციის კლასს", მკაცრად რომ არ ვთქვათ, საერთო არაფერი აქვს ცოცხალი სოციალისტური სინამდვილის ფაქტებთან. ი. ზაბელინის აზრით, მუშათა კლასმა „მოამზადა თავისი, აგრეთვე გლეხობის თანდათანობითი გადაზრდა ინტელიგენციის კლასად, რომელიც მომავალში, — ამიერიდან უკუნისამდე — ადამიანთა საზოგადოების ერთადერთი კლასი იქნება".

ეს — მომავალში. დღეს კი რა ვითარებაა? ი. ზაბელინისათვის, „ცხადია, რომ ამჟამად ლიდერ რევოლუციურ კლასად (ეს არის ევოლუციის შემდგო-

მი კონკრეტიზაცია), კლასად, რომელიც კოსმოსური ერის დასაწყისში წარმოიქმნა, იქცა ინტელიგენცია, რომლის მრავალმხრივი საქმიანობა სცვლის და განსაზღვრავს ქვეყნებისა და ხალხების ბედიღბალს“.

მაგრამ, როგორც ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა, ინტელიგენცია ხომ არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება გამხდარიყო დამოუკიდებელი კლასი, რადგან იგი მოსახლეობის ძირითადი მასისაგან გამოიყოფოდა არა კლასწარმოქმნის ნიშნებით, არამედ უმთავრესად გონებრივი შრომის სფეროსადმი პროფესიული მიკუთვნებულობით. ინტელიგენცია, ისე როგორც საერთოდ რომელიც გნებავთ სხვა სოციალური ჯგუფი, არ შეიძლება საზოგადოების ერთ-ერთი კლასი გახდეს, რადგან მაშინ სწორედ ეს ერთადერთი კლასი იქნება საკუთრივ საზოგადოება, ე. ი. უკლასებო საზოგადოება. ამრიგად, ი. ზაბელინის მტკიცება — მის მოჩვენებით მისწრაფებასთან. ვითომც გათვალისწინებულ იქნას ის სიახლე, რაც ცხოვრებაში მოაქვს მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, იმ. თავითვე უსუსურია.

ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ განსაკუთრებით აღნიშნა წარმოების, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მუშათა კლასის როლის შემდგომი ზრდის აუცილებლობა. ეს კანონზომიერი ტენდენცია სოციალისტური განვითარების მთელი მსვლელობის შედეგია. „მუშათა კლასი, — ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ყრილობისადმი, — იყო და რჩება საზოგადოების ძირითად მწარმოებელ ძალად. მისი რევოლუციურობა, დისციპლინიანობა, ორგანიზებულობა და კოლექტივიზმი განსაზღვრავს მის მოწინავე ადგილს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში“.

როგორც ჩანს, თავის მსჯელობებში ი. ზაბელინი უყურადღებოდ ტოვებს მთავარს — კლასობრივ კრიტერიუმს, და ამის შედეგად გარდუვალად ვარდება სქოლასტიკის ტყვეობაში. წიგნი (განსაკუთრებით ნარკვევი „კაცობრიობა — ვისთვის არის იგი?“) სავსეა აბსტრაქტული მსჯელობებით ჩვენი პლანეტის დღევანდელ დღეზე და მომავალზე, თანაც სრულებით არ არის გათვალისწინებული კლასთა ბრძოლა, რომელიც დღესაც განსაზღვრავს მსოფლიოში სოციალური განვითარების ხასიათს. ი. ზაბელინი, რომელიც კაცობრიობის უმაღლეს, საბოლოო მიზნად დეკლარაციულად კომუნიზმს აცხადებს, არსებითად უარყოფს სწორედ იმ მასობრივ ძალას, რომელმაც უნდა განახორციელოს ეს მიზანი, რაც უნდა გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდეს. ძველი სამყაროს მხრივ. ი. ზაბელინი, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს მისი აზრით მთელი კაცობრიობისათვის საერთო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, დემოგრაფიული აფეთქების, ადამიანის კოსმოსში გასვლის და ა. შ. **პრობლემებზე, კლასგარეშე ფუტუროლოგიური** უტოპიის სულისკვეთებით მსჯელობს „საკაცობრიო საქმეთა წარმოებაზე“.

კაცობრიობის ბედიღბალზე სოციალურ შეხედულებას გვერდს რომ უვლის, ავტორი მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასაც ცხოვრების სოციალურ საწყისებისგან მოწყვეტილად განიხილავს. ასე იქმნება მცდარი გაგება ინტელიგენციის როლისა, როგორც რაღაც „ლიდერი რევოლუციურ კლასისა“, რომელიც „კოსმოსური ერის დასაწყისში“ გამოჩნდა, რათა განსაზღვროს „ქვეყნებისა და ხალხების ბედიღბალი“. როგორც ვხედავთ, ეს სოციალიზმი კი არ არის, არამედ რაღაც განყენებული საზოგადოება „საერთოდ“. რაც შეეხება ინტელიგენციის ვითომც „რევოლუციური კლასის“ „ლიდერის როლის“ მტკიცებას, ეს, სამწუხაროდ, ავტორის გამოგონება როდია. ი. ზაბელინი არ დაგვემდურება, თუ ვიტყვით, რომ ამის თაობაზე კარგა ხანია ლაპარაკობენ

წვრილბურჟუაზიული სოციალური თეორეტიკოსები.

დავიწყოთ იმით, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგები თავს ევლებიან მითს იმის შესახებ, რომ კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში შესაძლებელია „კლასთა გაქრობა“, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებას მივყავართ კლასთა შერიგებისაკენ, „კლასობრივი ზავის“ დამყარებისაკენ, საერთო სოციალური თანხმობისა და კეთილდღეობისაკენ. კლასები, თურმე, მხოლოდ „დროებითი“ სოციალური გაერთიანებებია. ისინი, თითქოს, წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რაღაც საზოგადოებრივი, ეკონომიური, პოლიტიკური პროცესები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს ერთ დიდ ჯგუფად აკავშირებს. მაგალითად, რ. დარენდორფის მტკიცებით, კლასები „მოძრავი წარმონაქმნებია“, დროებით ორგანიზებული დაჯგუფებები, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ კონფლიქტში მონაწილეობენ, ემპირიული სოციალური არსებებია.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ დარენდორფის მტკიცებაში არავითარი სიახლე არ არის. იგი ემყარება ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომლის თანახმად სოციალურ დიფერენციაციას თითქოს საფუძვლად ედოს, მაგალითად, ინტერესების ერთგვაროვანი გაგება. ასეთ შეხედულებას ოდესღაც გულდასმით იცავდა ჯერ კიდევ კონვერგენციის ახლანდელ „თეორეტიკოსთა“ წინამორბედი ვერნერ ზომბარტი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ თითქოს კლასი წარმოიქმნება „ერთობაში მყოფ ადამიანთა ჯგუფების მრწამსის“ საფუძველზე. საგულისხმოა, რომ ფროიდიც კი ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს სწორედ კლასებისა და კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორია იყო ერთ-ერთი მიზეზი ერის შინაგანი განხეთქილების შედეგად რეალური კლასების წარმოშობისა, მიზეზი ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში „ერთიანობის ილუზორული შეგრძნების“ წარმოქმნისა.

ბურჟუაზიული იდეოლოგები განსაკუთრებით მტრულად ხვდებიან მარქსისტულ-ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ საზოგადოების ანტაგონისტური კლასობრივი დაყოფის მიზეზია კერძომესაკუთრული წყობა. განიხილავენ რა მუშათა კლასს როგორც შედარებით არამყარ სოციალურ მოვლენას, როგორც „პოლიტიკურ“ ფენებს, რომელიც მოიცავს იმათ, ვინც თავი მუშად აღიარა, ბურჟუაზიული სოციოლოგები ირწმუნებიან, რომ „სოციალური ფენების ჯამმა“, რომელიც მუშათა კლასს შეადგენს, დღეს მთლიანად დაკარგა ანტიკაპიტალისტური, რევოლუციური არსი. ბურჟუაზიული სოციოლოგები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მუშათა კლასი ვითომცდა შეეზარდა სახელმწიფო-მონოპოლისტური ორგანიზაციის სისტემას. განსაკუთრებით გამოკვეთილად ეს თვალსაზრისი გამოხატულია ჰერბერტ მარკუზეს შრომებში. ჯერ კიდევ თავის წიგნში — „ერთგანზომილებიანი ადამიანი“ — იგი ამტკიცებდა, რომ თითქოს მიმდინარეობს „მუშის ინტეგრირება თავის საწარმოსთან“, ხდება „...მუშათა კლასის სოციალური და კულტურული ინტეგრაცია კაპიტალისტურ საზოგადოებაში“. მარკუზეს მიხედვით, შრომის ახალი ტექნოლოგიური სამყარო სპობს მისადმი მუშათა კლასის ნეგატიურ დამოკიდებულებას. მუშათა კლასი უკვე აღარ არის არსებული საზოგადოების ცოცხალი უარყოფა. ჰ. მარკუზეს აზრით, ამჟამად მუშათა კლასი უკვე აღარ განსხვავდება მეწარმეთა კლასისაგან, კომერსანტებისაგან და სხვა ბურჟუაზიული ჯგუფებისაგან, რამდენადაც იგი, ისე როგორც სხვა კლასები, დაინტერესებულია კაპიტალიზმის შენარჩუნებით.

სხვა თვალსაზრისის მიხედვით, თანამედროვე საზოგადოებაში მმართველობის მისია შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ელიტას. ამ კონცეფციის ადეპტები ამაოდ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თითქოს პოლიტიკური ისტორია

მხოლოდ იმ სოციალური ჯგუფების ბრძოლაა, რომლებიც საზოგადოებრივი პირამიდის მწვერვალზე იმყოფებიან.

ამასთან ბურჟუაზიული თეორეტიკოსები აბუჩად იგდებენ ხალხთა მასებს და უწოდებენ მას „გასაშუალებულსა და „კაცობრიობის უვარგის ნაწილს“ (ორტეგა-ი-გასეტი), „ჩამორჩენილ, უმოქმედო ძალას, რომელიც ხელს უშლის შემოქმედ უმცირესობას“ (ტოიხბი). ვითომც თავიანთ ბიოლოგიურ თავისებურებათა შედეგად მასებს ქვეცნობიერად სწყურიათ, რომ ელიტის მორჩილებაში იყვნენ, რამდენადაც ხალხს თითქოს ყოველთვის ახასიათებდა „ჯოგური შეგნება“. ელიტა კი, პირიქით, ფლობს განსაკუთრებულ გენეტიკურ, ე. ი. მემკვიდრეობითს უნარს, რომ იყოს ხელმძღვანელი, მორჩილებაში იყოლიოს მასები. იგი აღჭურვილია რაღაც ექსტრაორდინარული ფიზიკური და მორალური ენერგიით, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ გაუძლოს თავის კონკურენტთან ბრძოლას.

კაპიტალისტური ელიტიდან ინტელექტუალურ ელიტის ხელში ხელისუფლების გადაცემა XX საუკუნის თავისებურებაა — ამტკიცებენ ბურჟუაზიული სოციოლოგები — ამჟამად გაბატონებული კლასი ინტელექტუალურად ყველაზე უფრო ნიჭიერი ადამიანებისაგან ყალიბდებაო, და ასე ამრიგად, გონებრივ ტალანტთა იერარქია სულ უფრო ხშირად ემთხვევა სოციალური მმართველობის იერარქიასო. ჰელბრეიტის აზრით, მაგალითად, დღეს ადამიანებს ერთმანეთისაგან უფრო მეტად განასხვავებს არა ფული, არამედ განათლება, „სწორედ ამით გამოიხატება ჩვენი დროის არსებითი კლასობრივი (?! — ა. ი.) დაყოფა“.

საბოლოო ანგარიშით ბურჟუაზიული თეორიები აქტიურ სპეკულაციას ეწევიან კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკურ-ეკონომიური ცხოვრების ახალი მოვლენებით, რომლებიც თავს იჩენენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. ეს სპეკულაცია მიმართულია რევოლუციური მოძრაობის დეზორგანიზაციისაკენ. „ინდუსტრიული საზოგადოების ერთიანობის“, „ზრდის სტადიის“, „პოსტინდუსტრიული საზოგადოების“ და მის მსგავს სხვა თეორიებში ყველაზე უფრო სრული სახით გამოვლინდა ვულგარული ტექნოლოგიზმი, ტექნიკური მიღწევების მნიშვნელობის ჰიპერტროფია და მთავარი მწარმოებელი ძალის — მშრომელთა უზარმაზარი მასების როლის მიჩქმალვა და აშკარა იგნორირებაც კი.

ასეთია ბურჟუაზიული თეორეტიკოსების ზოგიერთი იდეა, რომლებსაც ისინი უნივერსალურად ნათლავენ და ცდილობენ თავს მოახვიონ სოციალისტურ სამყაროს.

2

მაგრამ დავუბრუნდეთ საშინაო საქმეებს. ჩვენ ვიცით, რომ უკანასკნელ წლებში სოციალისტური სამეცნიერო და ტექნიკური ინტელიგენციის ზრდის ტემპები უსწრებს სხვა სოციალური ჯგუფების ზრდის ტემპებს. ეს პროცესი არა მარტო გასაგებია, არამედ კანონზომიერიც. ინტელიგენციის რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა პირდაპირი შედეგია პარტიის პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარებისაკენ, ხალხის კულტურისა და განათლების შემდგომი ამაღლებისაკენ. საკმაოდ ცნობილია აგრეთვე, რომ მშრომელთა კოლექტივების ეფექტური შრომა დიდად არის დამოკიდებული ხელმძღვანელობაზე და სპეციალისტებზე, მათს კომპეტენტურობაზე. მათს უნარზე — შეეძლოთ უხელმძღვანელონ, მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები და ობიექტურად შეაფასონ მიღწეული. ცხადია, ყოველივე ეს არავითარ საფუძველს არ იძლევა იმისათვის, რომ ერთმანეთს დავუპირისპიროთ გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკები, უკუღმა განვმარტოთ მათი ურთიერთკავშირი.

რამდენადაც ყოვლად უსუსურია მუშათა კლასის მთავარი როლის უარყოფა, იმდენად მიუღებელია ნიჰილის-

ტური დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი. როგორიც უნდა იყოს ასეთი ჯურის ნიჰილიზმი, იგი ყოვლად უცხოა მეცნიერული სოციალიზმის იდეოლოგიისათვის, — და ეს გასაგებია, — რადგან განხეთქილების გარდა არაფერს არ მისცემს საზოგადოებას. სწორედ ამიტომ გააკრიტიკა ჩვენმა საზოგადოებრიობამ სტატია „ნოლი მთელი, ექვსი მეათედი" („ოკტიაბრი", № 7, 1971), ი. შევცოვის ისტერიკული ნაჯღაბნი, ი. დროზდოვის წიგნი „მიწისქვეშა მერიდიანი" და ზოგიერთი სხვა. როგორც მუშათა კლასის ისტორიული როლის სნობისტიკური უარყოფა, ისე ინტელიგენციისათვის „ლიდერის კლასის" როლის მინიჭების ცდა ანდა პირიქით, — რაც დასახელებული წიგნებისთვის არის დაბახასიათებელი, — მისი როლის დამცირება და გაბიაბრუება, ერთი და იგივე წყაროთი საზრდოობს, სახელდობრ, ეს არის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების, მათი ძირითადი ტენდენციების უცოდინაობა, სოციალისტური პროგრესის არასოციალური განმარტება.

ცოცხალი ცხოვრების კანონების გაუგებრობას ან მისი რთული მოვლენებით დაბნეულობას მარტო ზოგიერთი პუბლიცისტის გაურკვევლობა კი არ მოსდევს სოციალიზმის პირობებში მუშათა კლასისა და ინტელიგენციის როლის საკითხში, არამედ სხვა ჯურის უკიდურესობასაც წარმოშობს — კერძოდ, გულმოდგინე აპოლოგეტიკას გლეხური პატრიარქალურობისადმი ქალაქური კულტურის საპირისპიროდ, — ერთ-ერთი ამ თვალსაზრისის მიმმხრობის სიტყვებით რომ ვთქვათ, საყოველთაო „ინდუსტრიული როკვის" საპირისპიროდ.

ამ შეცდომამ რაღაც ერთგვარი თეორიული „გარსიც" კი შექმნა „საწყისთა" კონცეფციის სახით, რომელსაც რატომღაც ფართოდ გაუხსნა გზა ზოგიერთმა ნაკლებად მომთხოვნმა რედაქციამ. ზოგიერთ სტატიაში ამ „საწყისებს" დაჟინებით უპირისპირებენ „ინტელექტუალიზმს", ხოლო ეს დაპირისპირება კი „ქალაქისა და სოფლის კულტურის თანამედროვე თანაფარდობად" სალდებ. „ინტელექტუალიზმის" მომხრეთა მიმართ მთელი ჭექა-ქუხილია ატეხილი, მათ ნათლავენ როგორც „ეროვნული სულის გამხრწნელებს".

„საწყისთა" თეორიის მქადაგებელთა წარმოდგენით სწორედ სოფელი, თანაც ძველი, უმთავრესად ამ მქადაგებელთა წარმოსახვაში არსებული ძველი სული, მიყრუებული ხუტორი ან ყიშლაღი, სადაც შენარჩუნებულია დახავსებული ყოფის ტრადიციები, ქალაქისაგან განსხვავებით, ეროვნული კულტურის, რაღაც „საერთო ეროვნული მორალის" მთავარი მასაზრდოებელი წყაროა. ამით ინერგება ტრფიალი ცხოვრების პატრიარქალური წყობისადმი, კარჩაკეტილობისადმი როგორც ძირითად ეროვნულ ფასეულობათადმი. ბუნებრივია, რომ საკითხის ასეთი დაყენების დროს სოციალიზმი და ის ცვლილებები, რაც მან შეიტანა ცხოვრებაში ნახევარი საუკუნის განმავლობაში, საბჭოთა საზოგადოების სოციალური პრაქტიკა, რომელმაც ჩამოაყალიბა კომუნისტური მორალი, მოჩანს როგორც ხელოვნურად შემოტანილი ახალი წესი, როგორც ცხოვრების მიღებული წესის საეჭვო, თითქმის გაუმართლებელი მსხვრევა.

„...გლეხი ზნეობრივად ყველაზე უფრო თვითმყოფი ეროვნული ტიპია". „ორიგინალობა (გლეხისა — ა. ი.) უპირისპირდება უსახურობას (აგრესიულს ან პასიურს), რომელიც სახალხო სულს ხრწნის", — მაღალფარდოვნად აცხადებს მ. ლობანოვი თავის წიგნში „ადამიანურობის სიმამაცე".

მ. ლობანოვის წიგნში ჩვენ ვხვდებით უკვე დიდი ხანია ყბადაღებულ მსჯელობებს „რუსეთის გამოცანაზე", „ეროვნული თვითშეგნების მძიმე ხვედრზე", „ხალხის, მისი მდუმარე სიბრძნის საიდუმლოებაზე", „ბუნებრივი მთლიანობის ძახილზე" და ამის საპირისპიროდ — „ეროვნული სულის გამხრწნელებზე". ამ მსჯელობებში კონკრეტულ-

ისტორიული ანალიზის ერთი მისხალიც კი არ არის. არ არის ელემენტალური გაგებაც კი იმისა, რომ „ეროვნული გრძნობა“, „ეროვნული სული“ დეკაბრისტებისა და ნიკოლოზ I, ჩერნიშევსკისა და კატკოვისა, პლეხანოვისა და პობედონოსცევისა ყოვლად შეუთავსებელია ერთმანეთთან, რომ კლასობრივ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს ყველასათვის ერთიანი „ეროვნული თვითშეგნება“.

ეთიკისა და ლიტერატურის პრობლემებისადმი არაისტორიული, არაკლასობრივი მიდგომა დამახასიათებელია ლ. ტოლსტოის ეპოპეის „ომი და მშვიდობის“ მ. ლობანოვისეული გაგებისათვის (სტატია „მშვენიერების მარადიულობა“, „მოლოდაია გვარდია“, № 12, 1969). 1812 წლის სამამულო ომს მ. ლობანოვი განმარტავს როგორც კლასობრივი ზავის, რაღაც ეროვნული ჰარმონიის პერიოდს. მ. ლობანოვისათვის მიუღებელია საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის იდეები: მისი აზრით, თითქოს მათგან, ამ „ნაყარ-ხუყარი, ხელოვნური, ძალით დანერგილი“ იდეებისაგან განთავისუფლებამ და „რუსეთის ცხოვრების მთლიანობისადმი“ დაბრუნებამ უზრუნველყო „რუსეთის არმიის ზნეობრივი შეურყევლობა ბოროდინოს ველზე“.

თუ რამდენად შორს არის ასეთი მსჯელობა ჭეშმარიტებისაგან, ლაპარაკობს უკვე ის, რომ ამ რევოლუციისა და მისი იდეური მომმზადებლის — განმანათლებელთა ფილოსოფიის გავლენით რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა შეძლო ჩამოეყალიბებინა თავისი დროის მოწინავე იდეები, და ეს გავლენა რომ არა, წარმოუდგენელი იქნებოდა პუშკინისა და დეკაბრისტების ეპოქის სულიერი ატმოსფერო.

ნაკლებ კატეგორიული როდია მ. ლობანოვი, როცა თანამედროვეობას ეხება. „ერთ დროს ჩვენი ლიტერატურა სოფლის შესახებ, — აცხადებს იგი, — აქტიური იყო, ასე ვთქვათ, ორგანიზაციულ-სამეურნეო წინადადებებით თუ რეკომენდაციებით. თუ რა ნაკლებად შეესაბამება ასეთი რეკომენდაციები ლიტერატურის მიზნებს, გვიჩვენა ვ. ოვეჩკინის მუშაობის გამოცდილებამ. თავის დროზე იგი წერდა მგზნებარე, დამაჯერებელ ნარკვევებს, რომლებშაც, სამწუხაროდ, ძალიან მალე დაკარგეს პრაქტიკული აქტუალობა სწორედ ვიწროპრაქტიკული პრობლემატიკის გამო“.

მაშ ასე, ვ. ოვეჩკინის ნარკვევებმა დაკარგეს თავიანთი აქტუალობა. მაგრამ რაში მდგომარეობს ალტერნატივა? ამ კითხვაზე, მ. ლობანოვს რომ ეხმიანება, ჟურნალ „კოდრში“ (№ 3, 1971) პასუხს იძლევა ლ. ანინსკი. იგი წერს:

„ტროეპოლსკისა და ოვეჩკინისაგან, ჟესტევისა და კალინინისაგან, მაშინდელი ტენდრიაკოვისა და მაშინდელი ზალიგინისაგან სოფლის პროზას ანდერძად დარჩა, ასე ვთქვათ, ადამიანის „ეკონომიური“ ანალიზი.. დაიწერა ვ. ფომენკოსა და ე. მალცევის, ს. კრუტილინისა და ვ. სიომინის, თ. აბრამოვის, პ. პროსკურინის, ე. დოროშის მოთხრობები და რომანები... შეიქმნა სოფლის მოვლენათა პანორამა.

ჰქონდა ამ პანორამას გადამწყვეტი წარმატება ლიტერატურაში?

არა. იგი, რასაკვირველია, შევიდა ლიტერატურის ანალებში და ფონდებში... მაგრამ მთავარი **მოვლენა** ის კი არ გახდა, არამედ სხვა.

მოვლენად იქცა ახალგაზრდა სოფლის მწერალთა ლირიკული სასოფლო მოთხრობები და ფილოსოფიური ესეები... გონიერი მეურნის ადგილი დაიკავა სოფლის მეოცნებემ, ცბიერმა გლეხუჭამ, ლაზღანდარამ, ახირებულმა ადამიანმა, ბრძენმა, ძველმა სოფლელმა მოხუცმა, საუკუნოვან ტრადიციებს რომ ინახავს...“

მ. ლობანოვს თუ დავუჯერებთ, „ჩვენი მომავალი თაობები თანამედროვე ლიტერატურაზე იმის მიხედვით იმსჯელებენ, თუ როგორი სიღრმით ეკიდება იგი რუსული სოფლის ბედიღბალს...

ჭეშმარიტი ფასეულობა ყოველთვის მაღალზნეობრივია, ყოველთვის მოესწრება თავის დროს. და ძალიან კარგია, რომ ჩვენი სასოფლო ლიტერატურა სულ უფრო იმსჭვალება იმ ფასეულობით, რასაც გლეხური ცხოვრების წიაღი გამოასხივებს".

ასეთივე მსოფლშეგრძნება თავისებურად არის გამოხატული ვ. იაკოვჩენკოს ლექსების წიგნში „დროსტარება":

«О, Русь! Люблю твою седую старину... Вон позабытый старый храм над колокольней поднял крест, как руку, как будто ждет условленного звука и жадно смотрит в очи небесам. Ах, старый, старый, позабытый храм...».

და ვიდრე ერთი ტაძრისა და ჯვარის სევდას მისცემია, მეორე ცხენებს მისტირის, მესამე მამლის ყივილზე ვიშვიშებს.

ქვებზე, ნანგრევებზე, მონასტრებზე ოხვრა-გოდებით არის სავსე ლექსების განყოფილება „სომეხი პოეტები" („ნოვი მირ", № 6, 1972). ერთ-ერთი ლექსის ლირიკული გმირი ფანჯარასთან ზის და ხედავს, როგორ გადაჰყავთ სატვირთო მანქანებით ცხენები, „რომლებიც ათასეული წლების განმავლობაში თავიანთი გამძლე ზურგებით ეზიდებოდნენ და ეზიდებოდნენ კაცობრიობის ისტორიას, თავიანთი ფლოქვებით კვეთდნენ ამ ისტორიას". და პოეტს ჰგონია, რომ უნდა გადავარჩინოთ წარსული, რომელსაც თანამედროვეობა ემუქრება: „რა გიყოთ, რით გიშველოთ, ჩემო ცხენებო? როგორ გადაგარჩინოთ? რა შემიძლია — დავთრგუნო ცრემლი და სული თქვენ შემოგწიროთ..."

თავის მხრივ ი. კობზევი სევდას წაუღია „მოსკოვში მამლის ყივილი რომ აღარ ისმის" და წერს: „ზოგჯერ სევდა გულს მიღრღნის; ო, ჩემო მშობლიურო კუთხევ, საღ დამეკარგე ჩემო რუსეთო, ხალისიანო და ლაღო?!"

ბევრ ლექსში ჩვენ ვხვდებით ეკლესიებისა და ხატების საგალობელს, რაც ძალიან შორს არის პოეზიისაგან... „წინათ შეიძლებოდა გვეპოვნა სასუფეველი ცათა. უტეხმა ძალამ აწ გზა მოგვიჭრა", — ჩივის ვ. იაკოვჩენკო. სუსალურ-ოლეოგრაფიულ სოფლურ რუსეთს პირდაპირ უპირისპირებენ თანამედროვე ქალაქს. „ამბობენ, რომ მალე, ძალიან მალე სოფლელებს სართულებზე აიყვანენ..." — წუხს ვ. იაკოვჩენკო. ქალაქს, ინდუსტრიას იგი გვიხატავს როგორც რაღაც აბსტრაქციული „ბოროტების" „რკინის" სახით, რომელიც „ბოროტი სულივით წამოიმართა:"

«Обрело язык железо, зык его и зол и резок. Рвать! Рубить! Дырявить! Резать! Вот законы. Вот права. Сталь растет. Растет железо, как гигантская трава. Стой! Питаемое веком, зреешь ты над человеком, все растешь. Все мало, мало!»

მართლაც რომ აპოკალიპსური მოჩვენებაა!

არსებითად, ყოველივე ამის მიღმა იმალება იდეური პოზიცია, რომელიც იმით არის საშიში, რომ ობიექტურად შეიცავს ცდას — დააბრუნოს წარსული, დააშინოს ადამიანები „რკინის ღმუილის ბოროტი სულით", „ინდუსტრიული როკვით", რომელიც თითქოს ეროვნულ თვითმყოფობას სპობდეს. ამასთანავე ამგვარი „საფრთხის" ასაშორებლად ალტერნატივად წარმოგვიდგება მოწოდება „მდაბიურობის შეთვისებისაკენ", მარადიული, უცვლელი მორალის ძიებისაკენ, აგრეთვე რწმენის განმტკიცება „ზნეობრივი საწყისებისადმი, რომელიც არაფერზე არ არის დამოკიდებული, გარდა იმისა, რომ იგი ზნეობრივია, რწმენისა პიროვნების შიხაგანი სულიერი ბუნების მარად გამაახალგაზრდავებელი თვისებისადმი, რომელსაც რუსულ კულტურულ ტრადიციაში ყოველთვის სინდისი ეწოდებოდა".

როგორც ცნობილია, ლენინი თავის დროზე ამბობდა: „ჩვენ მარადიული ზნეობრიობა არა გვწამს და ვამხილებთ ყველა ჯურის ზღაპართა სიცრუეს ზნეობრიობის შესახებ". ბევრ ნაშრომში იგი აღნიშნავდა პატრიარქალური გლეხობის ისტორიულ შეზღუდულობას, მის ჩამორჩენილობას, სერვილიზმს, მონურ

ფსიქოლოგიას — საუკუნეებში რომ იყო გამომუშავებული მონური შრომით, აშკარავებდა მისი ბუნების გაორებას, ერთი მხრივ როგორც კერძო მესაკუთრისა და მეორე მხრივ როგორც მშრომელისა. გავიხსენოთ, რა უდიდესი მხატვრული ძალით და სიღრმით არის ნაჩვენები ეს დიალექტიკა, გლეხობის ბუნების ეს გაორება მ. შოლოხოვის რომანებში.

ვისაც ეს არ ესმის, იგი არსებითად, არ ეთანხმება გლეხობაზე ლენინური თვალსაზრისის დიალექტიკას, სოფლის გარდაქმნის სოციალისტურ პრაქტიკას. სწორედ მაშინ თავს იჩენს სხვადასხვა ჯურის ვულგარულ-ობიექტივისტური მტკიცებანი.

„ახლა ჩვენ დიდი სიამოვნებით ვლანძღავთ პატრიარქალურობას, და ეს სიტყვა ჩვენს პრაქტიკაში აშკარა სალანძღავ ხასიათს იძენს, — წუხს ა. ლანშიკოვი სტატიაში „მიწა და პროგრესი" (ალმანახი „კუბანი", № 10, 1971), — მაგრამ აქ ყველაფერი ისე მარტივად როდია, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს... პატრიარქალურ წყობაზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ წარამარა გვავიწყდება, რომ მასში გახსორციელებულია მშრომელი კლასის მრავალსაუკუნოვანი საქმიანობა, ზნეობრივი და სულიერი გამოცდილება, რომ სწორედ ამ წყობამ, და არა სხვა რომელიმემ, უზრუნველყო ამ კლასის სიცოცხლისუნარიანობა უაღრესად მძიმე ისტორიულ სიტუაციებში..." რომანში „ირმის ტბები" მ. კოჩნევი აბეჭდავს: „რუსული სოფლისათვის თვით ყველაზე ბნელ დროშიც კი არ იყო დამახასიათებელი იდიოტიზმის მსგავსი შეზღუდულობა, და მას იდიოტიზმი შეიძლება დასწამოს მხოლოდ იმან, ვისაც ქალაქის კარიბჭესთან გაზრდილი ყოველი ბუჩქის უკან საშინელი რუხი მგელი ელანდება..."

ამავე რომანში ვკითხულობთ: „ყველა სატრაპია, ყველა ტუტუცია, ყველა ძონაა აშკარა და ფარული... მონების ერი... ძალიან ხომ არ გადაამლაშა ნიკოლოზ გაბრიელის-ძემ..." — ამბობს რომანის ერთ-ერთი გმირი. გმირი დადებითია და ავტორის მთელი სიმპათიის მხარეზეა. აქ ავტორი მხოლოდ ჩერნიშევსკის კი არ ეპაექრება, არამედ ლენინსაც. ამაში რომ დავრწმუნდეთ, მოვიყვანოთ შესაბამისი ადგილი ლენინის შრომიდან — „ველიკორუსთა ეროვნული სიამაყის შესახებ". „ჩვენ გვახსოვს, თუ რა თქვა ნახევარი საუკუნის წინათ ველიკორუსმა დემოკრატმა ჩერნიშევსკიმ, რომელიც თავის სიცოცხლეს სწირავდა რევოლუციის საქმეს: „საცოდავი ერი, მონების ერი, თავიდან ბოლომდე ყველა მონაა". აშკარა და ფარულ მონა-ველიკორუსებს (მონებს მეფის მონარქიის მიმართ) არ უყვართ ამ სიტყვების გახსენება. ჩვენი აზრით კი, ეს იყო სიტყვები სამშობლოს ნამდვილი სიყვარულისა, ისეთი სიყვარულისა, რომელიც კაეშანს შეუპყრია, რომ ველიკორუსი მოსახლეობის მასებში რევოლუციურობა არ არის". სხვათა შორის ჩერნიშევსკის არ უწერია სიტყვები „მონები აშკარა და ფარული", — ეს ლენინს აქვს. და ლენინი „ყველას" კი არ უწოდებდა „ტუტუცს" და „აშკარა და ფარულ მონებს", არამედ მხოლოდ იმათ, ვინც იყო „მონა მეფის მონარქიის მიმართ".

მაშ ვისლა ებრძვიან ჩვენი პატრიარქალური სოფლის ქომაგნი და საით გვიხმობენ?..

თუმცა რაღაა წარსულის ზნეობრივი ფასეულობა, თუკი გასტრონომიული თავისებურების „ტრადიციებიც" კი კაეშნის საგანი გამხდარა! ვ. კოჟინოვის თანახმად, ჩვენში ეროვნული თავისებურების დაკარგვამ ყველაზე მკვეთრად იჩინა თავი... საჭმელ-სასმელთან დაკავშირებით. „ჭამა-სმა როგორც შინ, ისე გარეთ ოდითგანვე წმიდამსახურება და წესჩვეულება იყო. იგი სამადლობელი ლოცვით იწყებოდა და მთავრდებოდა..." — წერს ვ. კოჟინოვი ჟურნალ „კოდრის" (№ 3, 1971) ფურცლებზე და შემდეგ გვიხატავს „რუსული ჭამა-სმის" სურათს მთელი თავისი სიუ-

ჩვით, სიმშვენიერით და აღმაფრთოვანებლობით, როგორც რაღაც განსაკუთრებულად ეროვნულს, რომელიც „სახალხო ტრადიციასთან ათასწლოვანი გამოცდილებით“ არის დაკავშირებული. ეროვნულ ტრადიციათა შებღალვად ხომ არ გაისმის ყოველივე ეს? ე. ი. ვ. კოჟინოვის მსჯელობათა ლოგიკას რომ გავყვეთ, მაშინ გოგოლისეული ღორმუცელა პერსონაჟი პეტრე პეტრეს-ძე პეტუხი ეროვნული ტრადიციების ყველაზე მკაფიო გამომხატველი გამოვა. როგორც ჩანს, საჭიროა ვ. კოჟინოვს მოვაგონოთ, თუ რა მრისხანედ წერდა რუსული ლიტერატურა ბატონების ვაუმაძღრობაზე და რა გულისტკივილით ლაპარაკობდა რუსულ სოფლებზე, რომლებსაც ხალხმა უწოდა „გორელოვო, ნეელოვო, ნეუროჟაიკა“.

შიმშილი, სიღატაკე ხუნდებდადებული გლეხები, ბატონყმობის მათრახი, ანუ, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მონური წარსული“, „მონური აწმყო“, „უდიდესი ქედმოხრილობა“ — აი რა არის განუყრელად დაკავშირებული პატრიარქალური რუსეთის ცნებასთან, რომელსაც თავიანთ წარმოსახვაში თავს ევლებიან დროის მაჯისცემას ჩამორჩენილი „მარადიული ზნეობრიობის“ მიმდევარნი. დროული იქნება გავიხსენოთ, რომ ვ. ი. ლენინი პირდაპირ აიგივებდა პატრიარქალურობას ველურობასთან. და ჩვენ ნუთუ მასში უნდა ვეძებოთ ზნეობრივი იდეალები, მორალური განახლების „საწყისები?!.“

პირდაპირ უნდა ითქვას: ჩვენ მომხრე ვართ ვუფრთხილდებოდეთ ყოველივე პროგრესულსა და დემოკრატიულს, რასაც შეიცავს ხალხთა ზნეობრივი გამოცდილება და რაც ორგანულად ავსებს ჩვენს კლასობრივ მორალურ პრინციპებს. ჩვენ სიყვარულით ვეკიდებით ყოველივეს, რაც სახალხო ხასიათს ჩაეწნა რევოლუციური ბრძოლების წლებში და რითაც მიწის განახლება-გარდაქმნისათვის გაწეულმა შრომამ გაამდიდრა მისი ცხოვრება.

ჩვენთვის ძვირფასია მშრომელი გლეხობის თავისუფლებისმოყვარეობა, შეურიგებელი სიძულვილი თესლმფლობელ-ტატორებისადმი. ამ გრძნობებს მიჰყავდა იგი რაზინის რაზმში, ემელიან პუგაჩოვის არმიაში, მოუწოდებდა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად, და საბოლოოდ, ისტორიული კანონზომიერებით წითელი არმიის პოლკებში მიიყვანა.

არ შეიძლება არ ვამაყობდეთ რუსი გლეხობის ტალანტით, მისი საზრიანობით, ყოველ საქმეში თავისი ოსტატობის მადლის შეტანის მისწრაფებით. ჩვენთვის ძვირფასია მშრომელი გლეხობისათვის დამახასიათებელი სიყვარულის გრძნობა მიწისადმი, მშობლიური ბუნებისადმი, შრომაში ერთობის გრძნობა, სხვა ადამიანების გაჭირვებისადმი გულისხმიერება. ჩვენ გვინდა, რომ ათასობით ადამიანის მძიმე შრომით მოპოვებულ პურის ნატეხს ყველა ისეთივე სიყვარულით ეპყრობოდეს, როგორც მშრომელი გლეხი ეპყრობა.

მშრომელი გლეხობის მორალური სახის სწორედ ეს პროგრესული თვისებები იყო, რომლებიც რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უფრო განმტკიცდა და ახალი შინაარსით გამდიდრდა. აქტიურმა სოციალურ-გარდამქმნელმა საქმიანობამ სოფელში ჩამოაყალიბა მშრომელი-კოლექტივისტის, საბჭოთა პატრიოტის ხასიათი. სულიერად მდიდარი პიროვნება, რომლისთვისაც სამყარო მხოლოდ სოფლის არემარე კი არ არის, არამედ მთელი ძლიერი და თავისუფალი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი. ახლა გლეხის ბიჭები პატრიარქალური სულის „თვითაღორძინებისაკენ“ კი არ მიისწრაფიან, არამედ მიწას გარდაქმნიან, კოსმოსს უტევენ.

„გლეხური საწყისების“ გამო ყოველად მიუღებელ სალოსობაზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ ასეთივე კატეგორიულობით ვკიცხავთ კოსმოპოლიტურ დაუდევრობას ხალხური ტრადიციების მიმართ. ჩვენი კამათი სოციალური პა-

ტრიარქალურობის მომხრეებთან სრულებით არ ნიშნავს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. მხოლოდ ბუზღუნა სკეპტიკოსი „ვერ დაინახავს“, რომ საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობა კულტურის დარგში ხასიათდება საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის სულიერი მონაპოვრის შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის უდიდესი ზრუნვით. სახელმწიფო უზარმაზარ სახსრებს ხარჯავს არქიტექტურის ძეგლების, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა რესტავრაციისათვის.

ვიყოთ გულახდილნი: განა ახალმოვლენილ ღვთისმტვირთველთა ფულებით იქნა რესტავრირებული თრაკაის ციხე ვილნიუსთან, დიდი როსტოვის კრემლი, არქიტექტურის ძეგლები სამარყანდში?! ყოველი ეკლესიის გუმბათქვეშ და ყოველ მინარეთთან ლოცვას, ან ყოველ „წმინდა ნაწილებთან“ და „გოდების კედელთან“ ტირილით თვალების დათხრას კი, სიმართლე უნდა ითქვას, ჩვენ არ ვაპირებთ!

სხვათაშორის, შევნიშნავთ, რომ მშრომელი გლეხობა არასოდეს არ ყოფილა ღვთისმტვირთველის როლში. ამის შესახებ ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ წერდა ბელინსკი, როცა ირონიულად მიუთითებდა, რომ გლეხი ასე ეპყრობოდა ხატს: „თუ ღირს—ვილოცებ, თუ არ ღირს—ქოთანს დავახურავ“. ბელინსკის მხედველობაში ჰქონდა სწორედ ის „ფიცრები“, რომელთა წინაშეც მუხლმოდრეკილი დაყუდებულან პატრიარქალურ სიძველეთა ზოგიერთი ახლანდელი ქომაგნი.

ცხადია, ზოგიერთი ტაძრის აშენებაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი ხუროთმოძღვრები, მათში ჩაქსოვილია სახალხო ხელმარჯვე ოსტატთა შრომა და ნიჭიერება. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ეკლესიებიც, მეჩეთებიც, სინაგოგებიც, კასტიოლებიც ყოველთვის იყო შეძლებულთა ხელისუფლების დამცველი იდეოლოგიური ცენტრები. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ ტაძრების თაღებქვეშ ლოცავდნენ დამსჯელთა ხიშტებს, რომლითაც რუსეთის პირველ რევოლუციას ახშობდნენ, რომ ეკლესიის ამბიონიდან ანათემას გადასცეს ლევ ტოლსტოი, რომ საზეიმო ზარის რეკვით ხვდებოდნენ ჯალათ კუტეპოვს, ხალხის ჩამომხრჩობს დენიკინს, პეტლიურას ბანდებს. ესეც არ იყოს, თვით ყველაზე „დემოკრატიული“ რელიგიაც ხომ, საბოლოოდ, რეაქციულია და სულიერი დამონების იდეოლოგიას ემსახურება. რაკი ისტორიული სიმართლისადმი პატივისცემაზე ვლაპარაკობთ, რაღა საჭიროა ამ მწარე ჭეშმარიტების დათაფლვა. ხალხის მეხსიერებიდან მათ ვერ ამოშანთავ „სულის მარადიულობის“ მღაღადებელი ვერავითარი სიტყვიერი ჯამბაზობით, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავენ მართლმადიდებლობის, მუსულმანობის, კათოლიციზმის, იუდაიზმის და სხვა რწმენის შინგამოზრდილი კულტურტრეგერები.

3

მაშ ასე, აშკარაა ორი უკიდურესობა. თუ პირველ შემთხვევაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აბსოლუტიზაციასთან გვაქვს საქმე და იგი განიხილება კლასგარეშე, „საერთო საკაცობრიო“ პოზიციიდან, ხოლო საზოგადოების ხელმძღვანელ კლასად ცხადდება ინტელიგენცია, მეორე შემთხვევაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციაც და ინტელიგენციაც, მათი სოციალური ბუნების მიხედვით, ანათემაზეა გადაცემული. პოზიციათა ასეთი მოჩვენებითი პოლარულობის დროს, რისთვისაც პირველ შემთხვევაში ნიშანდობლივია გლობალური კოსმოპოლიტიზმი, ხოლო მეორე შემთხვევაში ეროვნული შეზღუდულობა, მათ ერთმანეთთან ანათესავებს თანაბრად მეტაფიზიკური მიდგომა რთული მოვლენებისა და ტენდენციებისადმი. ისინი მონათესავეებია საბოლოო შედეგითაც, რადგან მარტო კომუნიზმის მშენებლობაში მუშათა კლასის მოწინავე როლს კი არ უარყოფენ, არამედ ჩვენი საზოგადოების რეალურ სოციალურ სტრუქტურასაც,

მისი ერთიანობის განმტკიცებასაც, პარტიის პოლიტიკასაც, რომელიც მიმართულია ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებული განსხვავების თანდათანობით აღმოფხვრისაკენ.

ძველმა, პატრიარქალურმა გლეხობამ სამუდამოდ დატოვა ისტორიული არენა. იგი შეცვალა ახალმა კლასმა — საკოლმეურნეო, სოციალისტურმა გლეხობამ. წარსულს ჩაბარდა ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენა, რომელიც წვრილბურჟუაზიულ შეგნებას, წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიას წარმოშობდა.

საკმაოდ დიდხანს გაჭიანურებული ეს ისტორიული ძვრა ჯერ კიდევ დღესაც იძლევა აზრთა გონება-განწყობილების თავისებურ გამოძახილს, რომელშიც წინააღმდეგობრივად აისახება ესოდენ მკვეთრი რევოლუციური ცვლილებები. ყველა იმ ახლის დამკვიდრებასა და ათვისებასთან ერთად, რაც იყო და არის მშრომელ გლეხობაში, და რაც შედის სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში, თავს იჩენს მოარული სენი, რომელიც თავის დროზე ვ. ი. ლენინმა დაახასიათა როგორც „რეაქციული რომანტიზმი". „ამ ტერმინში — განმარტავდა იგი — იგულისხმება არა იმის სურვილი, რომ ერთი ხელის დაკვრით აღვადგინოთ შუასაუკუნოებრივი დაწესებულებები, არამედ ცდა, რომ ახალი საზოგადოება ძველი პატრიარქალური არშინით გავზომოთ, სწორედ იმის სურვილი, რომ ნიმუშები ვეძებოთ ძველ წესებსა და ტრადიციებში, რომლებიც სრულიადაც არ შეესაბამება შეცვლილ ეკონომიურ პირობებს".

ასეთი სახის „რომანტიზმის" რუპორად უფრო ხშირად გვევლინებიან ცალკეული ლიტერატორები, რომელნიც დიდი ხანია მოსწყდნენ სოფელს. მათს სევდიან „სლუკუნში" გამოხატულია ინტერესი გლეხობისადმი, მაგრამ არა თანამედროვე, სოციალისტური გლეხობისადმი, არამედ გუშინდელისადმი, იმ ძველი სოფლისადმი, რომელთანაც ახლანდელ ქალაქს უმეტესად მხოლოდ ბავშვობისა და ყრმობის მოგონებები აკავშირებს. პატრიარქალურობის ამჟამინდელი ქომაგნი, თავიანთ მიერვე შექმნილი ილუზიური სამყაროს ხილვით რომ არიან აღფრთოვანებულნი, გლეხობის ცხოვრებაში მხოლოდ იმ წარსულსა და სიძველეს იცავენ, რომელსაც სრულიად უმტკივნეულოდ დაეშვიდობა თანამედროვე კოლმეურნე.

უფრო ზუსტად თუ ვილაპარაკებთ, აქ საქმე იმდენად ძველ სოფელს კი არ ეხება, რამდენადაც ლაპარაკია იმ „შეძლებულ გლეხზე", რომლის სახლში უხვ სუფრაზე წარმოებდა ღვთისმსახურება, ვისი სახატეც მშვენივრად იყო მოვლილი, ვინც „ღვთისმგმობელთა სკოლის" წიგნებს შინ არ აპაჭანებდა. მხოლოდ ასეთ „შეძლებულ გლეხს" სოფელში უბრალოდ და მკაფიოდ „წურბელას" ეძახდნენ. თუ რევოლუციის წლებში მისი ცხოვრება, მისი წყობა საყვარელ წმიდანებთან ერთად მოსპეს და გაანადგურეს, ეს ბოროტი განზრახვით და უცოდინარობით კი არ მოხდა, არამედ სავსებით კანონზომიერად. ასე იმიტომ გააკეთეს, რომ „შეძლებული გლეხის" მიერ დამონებული, პოეტის მიერ ხოტბით შემკობილი მრავალმილიონიანი „მთესველი და შემნახველი" აღარ დატანჯულიყო, რომ იგი გამხდარიყო მშრომელთა სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქე და ბატონ-პატრონი. ის ძველი ყაიდის „შეძლებული გლეხი", ხალხი წურბელას რომ ეძახდა, უნდა მოესპოთ. რას იზამ, ასეთი ულმობელი ძალაა იგი, რევოლუცია — სპობს და ანადგურებს ყველაფერს, რაც ადამიანურობისა და თავისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული.

ჩვენი თანამედროვეობის შეცნობის გასაღებს წარმოადგენს თანმიმდევრული კლასობრივი, პარტიული პოზიცია ძველის, წინა თაობათა გამოცდილების შეფასებისას. პარტია ყოველთვის სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა და

დღესაც ანიჭებს ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის სწორ, ობიექტურ გადმოცემას. როგორც ცნობილია, სკკპ XXIV ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს ცალკეული ცდები, რომ არაკლასობრივი პოზიციებიდან შეეფასებინათ საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი ისტორიული გზა, დაემცირებინათ მის სოციალისტურ მონაპოვართა მნიშვნელობა. ამასთანავე, პარტიამ გვიჩვენა იმ დოგმატური წარმოდგენების უმწეობა, რომლებიც უგულვებელყოფდა იმ დიდ დადებით გარდაქმნებს, ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში რომ მოხდა.

პარტიულმა და ლიტერატურულმა პრესამ უკვე გააკრიტიკა ჟურნალ „მოლოდაია გვარდიაში" გამოქვეყნებული ცალკეული სტატიები, რომლებშიც კულტურული მემკვიდრეობა განხილული იყო „ერთიანი ნაკადის" თეორიის სულისკვეთებით, თანაც არსებითად საქმე მიდიოდა. ერთი მხრივ, რეაქციული მოღვაწე ვ. როზანოვისა და კ. ლეონტიევის იდეალიზაციასა და ქებადიდებამდე, და მეორე მხრივ, რევოლუციური დემოკრატიის წარმომადგენელთა აბუჩად აგდებამდე.

ყოველ ეროვნულ კულტურაში ორი კულტურის არსებობის შესახებ ლენინური მოძღვრების უგულებელყოფა ანდა შეუფასებლობა, რაც წინათ ხდებოდა, დღესაც ისტორიისადმი არაკლასობრივი, არასოციალური მიდგომის გამოვლინებად რჩება. ზოგჯერ არის ცდები, რომ თეორიულად დაასაბუთონ მარქსიზმ-ლენინიზმის ამ ერთ-ერთი ფუძემდებელი პრინციპის ასეთი რევიზია — სჯობს ნივთებს თავიანთი სახელი ვუწოდოთ. მაგალითად, ლ. ერშოვი და ა. ხვატოვი, ავტორები ბროშურისა „ფოთლები და ფესვები", რომლებმაც უშუალოდ ლენინის საპირისპიროდ ოქტომბრის რევოლუცია „დიდ რუსულ ეროვნულ რევოლუციად" გამოაცხადეს, გვარწმუნებენ, რომ ოქტომბრის შემდეგ ლენინმა კინაღამ გადასინჯა თავისი მოძღვრება ორი კულტურის შესახებ, რომ თითქოს რევოლუციის შემდეგ მემკვიდრეობისადმი ლენინურ დამოკიდებულებაში „ბევრი რამ ერთბაშად შეიცვალა". ეს არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, რადგან რევოლუციამდეც და მის შემდეგაც ლენინი მთელი გარკვეულობით მოითხოვდა არა არაკლასობრივ ყოვლისმომცველობას, არამედ „არსებული კულტურის საუკეთესო ნიმუშების, ტრადიციების, შედეგების და თავისი დიქტატურის ეპოქაში პროლეტარიატის ცხოვრებისა და ბრძოლის პირობების განვითარებას მარქსიზმის მსოფლმხედველობის თვალსაზრისით".

ბროშურის ავტორები კი წარმოიდგინეთ, სულ სხვა რამეს ამტკიცებენ — თითქოს „სოციალისტური საზოგადოების კულტურა მხოლოდ თანმიმდევრულად დემოკრატიული ელემენტებისაგან კი არ იქმნება, არამედ წარსულის მთელი კულტურული ფონდისაგან".

როცა ხდება უგულვებელყოფა ნათელი ლენინური მოთხოვნებისა, რომლებიც აუცილებელია ისტორიისადმი მიდგომისას, მაშინ მახინჯდება წარსულის ამა თუ იმ გამოჩენილი მოღვაწის კონკრეტული შეფასებაც. კრიტიკოსმა ო. მიხაილოვმა ჟურნალ „ნაშ სოვრემენიკში" (№ 4, 1969) და პროზაიკოსმა ი. შუხოვმა ჟურნალ „პროსტორში" (№ 1, 1972) აშკარა რომანტიზებული სახით წარმოგვიდგინეს მეფის გენერალი სკობელევი, არ გაითვალისწინეს მისი რეაქციული გონება-განწყობილება და ის როლი, რაც მან შეასრულა შუა აზიის სახალხო გამოსვლათა დათრგუნვაში. მ. კოჩნევი ზემოთ უკვე ნახსენებ თავის რომანში „ირმის ტბებში" ყოვლად უსაფუძვლოდ ცდილობს საკამათო გახადოს აზრი კარამზინ-ისტორიკოსზე როგორც თვითმპყრობელობის დამცველზე და წარმოგვიდგინოს იგი ჩვენს „იდეურ მოკავშირედ", „თანამებრძოლად", რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, „სახალხო ყურადღების, სახალხო გრძნობის" ღირსია.

როცა წარსულს განგებ აიდიალებენ, თანაც გაურკვეველი სოციალური პოზი-

ციებიდან, მაშინ წარმოიშობა უაზრო კამათი, თუ ვისი მეფე უკეთესია, ხოლო ამა თუ იმ მოღვაწეთა დამსახურებას გადამეტებით აზვიადებენ. აი ერთი მაგალითი ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ (№ 8, 1970) გამოქვეყნებული სტატიიდან: „საქართველოს ისტორიაში თამარ მეფის სახელი შემკულია განსაკუთრებული შარავანდედით“; „თამარ მეფის ნათელმა პიროვნებამ, მისმა ძლევამოსილმა მეფობამ, შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ და გამჭრიახობამ, — რაც დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, — ხელი შეუწყო საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ აყვავებას. ყოველივე ამან საყოველთაო-სახალხო სიყვარული მოუპოვა მას, სწორედ ამიტომ შექმნა ხალხმა სახოტბო ჰიმნები თავის სიამაყეზე — თამარ მეფეზე... ხალხის აზრით, თამარი ისეთი კეთილი ხელმწიფე იყო, რომ ადამიანები მის ხელქვეითობაზე ოცნებობდნენ...“

თავის რომანში „არეის მახვილში“ ივანე ბილიკი იმდენად გაიტაცა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტად ედიდებინა მითიური კიეველი თავადი ბოგდან გატილო, რომ განაცხადა, თითქოს ამ სახელით ჰუნების ბელადი ატილა გამოდიოდა.

12141

იდეალიზაციის ამგვარი მოტივები შეიძლება შევნიშნოთ აგრეთვე თემურზე, დავით მეფეზე, კენესარ კასიმოვის მოძრაობაზე, წარსული საუკუნის მოლდავეთის კულტურის მოღვაწეებზე, ყირგიზთა სახელმწიფოს ისტორიაზე და სხვებზე ვამოქვეყნებულ პუბლიკაციებშიც. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ასეთი ხასიათის ყოველგვარი ჰიპერბოლიზაცია შესაძლებელია გახდეს ეროვნული გადმონაშთების გაცოცხლების დასაყრდენი წერტილი?! ამიტომაც კანონზომიერია, რომ ასეთი გამოვლინებები სათანადოდ შეაფასეს რესპუბლიკების პარტიულმა ორგანიზაციებმა.

„საკუთარი“ თავადების, ფეოდალების, მეფეების დამსახურებათა ქება-დიდება სრულებით არ ემსახურება პატრიოტული აღზრდის საქმეს. იგი ჩვენ გვაბრუნებს მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის მიერ დიდი ხნის წინათ „ვამასრებულ“ მონურ ჩვეულებასთან — ერთმანეთში ავურიოთ ცნებები „სამშობლო“ და „თქვენო აღმატებულებავ“, თანაც პირველს მეორე ვამჯობინოთ. წარსული-სადმი ზომაგადასული სიყვარული ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში გარდუვალად აქარწყლებს კლასობრივი წინააღმდეგობების სიმყარეს, აჩლუნგებს პროგრესული და რეაქციული ტენდენციების წინააღმდეგობრიობას და შეურიგებლობას, ადუნებს სიფხიზლეს თანამედროვე იდეოლოგიურ ბრძოლაში.

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი კრებულიდან — „ო, რუსეთის მიწავ!“. ამ წიგნში, რომლის მიზანი, ბოლოსიტყვაობის მიხედვით, ის არის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას გააცნოს „მაღალი მოქალაქეობრივი ჟღერადობის, მაღალი პატრიოტული და რევოლუციური პათოსის ლექსები“, ყოველგვარი კომენტარების დაურთველად გამოქვეყნებულია გასული საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი რუსი პოეტის ნ. მ. იაზიკოვის ლექსი „არა ჩვენებს“, რომელშიც ასეთი სტრიქონებია: «Вы, люд заносчивый и дерзкой, вы, опрометчивый оплот ученья школы богомерзкой, вы все — не русский вы народ!»

ვისზეა ეს ნათქვამი?

ვინ არიან ეს, „არა ჩვენები“? ეს გახლავთ ა. ი. გერცენი და მისი თანამებრძოლები. თვითონ ლექსი კი იდეური ბრძოლის ფართოდ ცნობილი აქციაა, რომელსაც თავის დროზე პროტესტით შეხვდნენ ბ. გ. ბელინსკი, ნ. ა. ნეკრასოვი და თვით ა. ი. გერცენი, რომელმაც ამ ნაწარმოებს „პოლიციის მათრახი“ და „ლექსად დაწერილი დაბეზღება“ უწოდა.

ამავე კრებულში აგრეთვე სრულიად უკომენტარებოდ არის გამოქვეყნებული სხვა სლავიანოფილი პოეტების ლექსებიც, რომლებიც თვითმპყრობელობას უმღერიან.

დაუჯერებელია, რომ კრებულის შემ-

დგენლებმა და რედაქტორებმა არ იცოდნენ ყოველივე ეს. მაშ, რა ამბავია? ნუთუ „მაღალი პატრიოტული და რევოლუციური პათოსის“ ცნებით სურთ ერთმანეთს დაუკავშირონ ყოველად დაუკავშირებელნი — რევოლუციონერი დემოკრატები და რეაქციონერი სლავიანოფილები?

სხვათაშორის, იმას, რაც ლექსად თქვა ნ. იაზიკოვმა ჯერ კიდევ 1844 წელს, გარკვეული აზრით იმეორებს ჩვენი თანამედროვე მ. ლობანოვი 1969 წელს, ოღონდ — არაპოეტური ფორმით. იგი წერს: „თვითმყოფი რუსეთის, მისი განუმეორებელი ეროვნული ყოფის შევიწროება კულტურულად და სულიერად „ევროპიზირებული“, დასავლეთის ქვეყნების მსგავსად უნიფიცირებული ახალი რუსეთის მიერ — დიდად აწუხებდა რუსეთის ბევრ დიდადნიჭიერ ადამიანს. იყოს რუსეთი თვითმყოფი, რომელიც თავის სიტყვას ეტყვის მსოფლიოს, თუ დასავლეთის ნიმუშის მსგავსად ბურჟუაზიულ-უმსგავსო გახდეს?“

როგორც ცნობილია, სამშობლოს, რუსეთის თემა, პატრიოტიზმისა და მამულის სიყვარულის გაგება მთელი XIX საუკუნის მანძილზე მძაფრი იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი იყო. მაშინაც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, ერთი მხრივ, დემოკრატიზმისა და განმანათლებლობის იდეები და, მეორე მხრივ, რეაქციის ძალები.

როგორც ცნობილია, ანტიკომუნიზმი, სულ ახალ და ახალ საშუალებას რომ ეძებს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და სოციალისტური წყობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ცდილობს გალვანიზაცია უყოს „ვეხის“ იდეოლოგიას, ბერდიაევშჩინას და წარსულის სხვა, ლენინის მიერ განადგურებულ რეაქციულ, ნაციონალისტურ, რელიგიურ-იდეალისტურ კონცეფციებს. ამის ნათელი მაგალითია დასავლეთში ატეხილი ხმაური სოლჟენიცინის თხზულებათა გარშემო, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი რომანის «თოთხმეტი წლის აგვისტოს“ გამო, რომელიც ფილოსოფიური პოზიციით ვეხისეულია, ხოლო პოლიტიკური პოზიციით — კადეტური, რომანისა, რომელიც მკითხველს თავს ახვევს უარყოფით დამოკიდებულებას თვით რევოლუციისა და სოციალიზმის იდეისადმი, სახელს უტეხს რუსეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მის იდეურ-ზნეობრივ ფასეულობებს, აიდეალებს თვითმპყრობელური რუსეთის ცხოვრებას, ყოფას, ზნე-ჩვეულებებს.

რა თქმა უნდა, სოლჟენიცინის რომანი რევოლუციის, სოციალიზმის იდეალებისადმი აშკარად გამოხატული მტრობაა. საბჭოთა ლიტერატორებისათვის, მათ რიცხვში იმათთვისაც, რომელთა მცდარი შეხედულებები გაკრიტიკებულია ამ სტატიაში, რასაკვირველია, უცხო და საძულველია ამ ახლადგამოჩეკილი ვეხელის საქმიანობა.

მაგრამ ისიც ნათელია, რომ წარსულის რეაქციულ-კონსერვატორული ტრადიციებით თვით უბრალო კეკლუცობასაც კი, რომელიც დამხობილი კლასების ინტერესებსა და იდეოლოგიას ემსახურება, მტკიცე უარყოფა სჭირდება მსგავს საკითხებში იდეური გაურკვევლობის აღსაკვეთად.

4

ჩვენ მომხრე ვართ, რომ მზრუნველობით ვეკიდებოდეთ კულტურულ მემკვიდრეობას, მათ შორის ეროვნულ ტრადიციებსაც. და, რასაკვირველია, ტრადიციებზე, განსაკუთრებით რევოლუციისა და სოციალიზმის მიერ შობილ ტრადიციებზე აღზრდა პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

ტრადიციის უარყოფა საერთოდ — მეორე უკიდურესობაა წვრილბურჟუაზიულობისა, რომელიც, როგორც ცნობილია, მრავალრიცხოვანია. წვრილბურჟუაზიულ შემეცნებას უამრავი იერი აქვს — „კარჩაკეტილობის“ კანონებისა-

დმი ერთგულებით დაწყებული და ანარქისტული ლოზუნგით — „არავითარი ავტორიტეტები!“ — დამთავრებული. დამახასიათებელია, რომ ყველა ეს კონცეფცია სავსებით მოწყვეტილია რეალურ სოციალურ ისტორიულ პრაქტიკას და არსებითად სხვა არაფერია, თუ არა „პოჩვენიკებისა“ და სლავიანოფილების მსჯელობათა აშკარა დომხალი, რომელიც, მართალია, რამდენადმე მოდერნიზებული და „შეკმაზულია“ ან აბსტრაქტული ჰუმანიზმის სულისკვეთების მაღალფარდოვანი იმპერატივებით, ანდა „ყველაფრისა და ყველას“ წინააღმდეგ მიმართული ბუნტის ცრუმემარცხენე იდეებით.

ცნებასთან — „სოციალისტური პიროვნება“ — ჩვენთვის განუყრელად არის დაკავშირებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და მშრომელთა სიძულვილი კლასობრივი მტრებისადმი, წარსულის ყოველგვარი გადმონაშთებისადმი. ასეთი პიროვნების ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ ახალი სამყაროს შექმნისათვის გაწეულ საერთო შრომაში აქტიური, საქმიანი მონაწილეობის პროცესში. ისიც უდავოა, რომ კომუნისტური ზნეობრიობის თეორია და პრაქტიკა გაუდმებით ვითარდება და მდიდრდება ახალი განზოგადებებით, ახალი გამოცდილებით. სწორედ ეს არის მისი სიცოცხლისუნარიანობა და სოციალური აქტიურობა.

წვრილ ბურჟუას თავისი ობიექტური მსოფლმხედველობის (მრწამსით წვრილი მედუქნე რომ იყო, ამისათვის სრულებით არ არის აუცილებელი საკუთარი მაღაზიის დახლთან იდგე) ვამო ძალიან აფრთხობს იდეურობა, ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა და სხვა მოთხოვნები, რომლებსაც სოციალისტური საზოგადოება პიროვნებას უყენებს. მეშჩანი მიჩვეულია, რომ მხოლოდ თვითონ მოითხოვდეს და ამ მოთხოვნათა საფუძველზე აგებს თავის ფილოსოფიას.

ამ აზრით შეუძლებელია დავეთანხმოთ კრებულში — „ლენინიზმი და საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკა“ — გამოქვეყნებულ გ. ბატიშჩევის სტატიის — „ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანები“ — ზოგიერთ მტკიცებას. დავიწყოთ იმით, რომ სტატიაში ერთი სიტყვაც არ გვხვდება ახალი ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში პარტიის საპროგრამო მიზნებზე, ამ დარგში სკკპ საქმიანობაზე, აღზრდის იმ აქტუალურ ამოცანებზე, რომლებსაც წყვეტენ საბჭოთა სკოლა, კომკავშირი, მთლიანად საზოგადოება. იქ ასევე ამაოდ დაუწყებთ ძებნას საკითხის სერიოზულ დასმას აღზრდის ინ ნამდვილად აქტუალურ პრობლემებზე, რომლებსაც ცხოვრება აყენებს. აღზრდის მთავარ მიზნად ავტორი თვლის „საქმიანი კრიტიკული ცხოვრების წესს“. მაგრამ ამასთანავე ბატიშჩევის სტატიის მიხედვით მთელი „საქმიანობა“ დაყვანილია შიშველ კრიტიციზმამდე, ხელაღებით უარყოფამდე. მაგალითად იგი გაშმაგებით ესხმის თავს ტრადიციებს, ამტკიცებს, რომ მათს საფუძველზე ადამიანების აღზრდა შეუძლებელია: „იგი (ტრადიცია — ა. ი.) ასე თუ ისე ყოველთვის შეზღუდულია თავისი არაშემოქმედებითი ხასიათის გამო“. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენი ხალხის სოციალურ-ზნეობრივ გამოცდილებაში განუყოფელ ნაწილად შევიდა რევოლუციური, სამხედრო და შრომითი გამოცდილება?!

თუ ვილაპარაკებთ სოციალისტურ საზოგადოებაზე, უნდა ითქვას, რომ მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია დიდი ორგანიზებულობა, შეგნებული დისციპლინა. სწორედ ეს მოთხოვნებია ყველაზე აქტუალური ახლა, როგორც სოციალური განვითარების, ისე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპზე. მაგრამ გ. ბატიშჩევი სხვაგვარად აზროვნებს. იგი წერს: „ყველაზე უაზრობა იქნებოდა სოციალიზმის წარმოდგენა ისეთ საზოგადოებად, რომელიც აწესებს რუტინული „ტაბუს“ კიდევ ერთ ტიპს, ერ-

თხელ და სამუდამოდ განმტკიცებულ წეს-ჩვეულებებს, დოგმატურ ნორმებსა და ადათებს". რასაკვირველია, „დოგმატირებული ნორმები", თუ მხედველობაში გვაქვს კონსერვატიზმი, რუტინა, მავნებელია. მაგრამ, ამასთან, საჭირო ხომ არ არის გავიხსენოთ, რომ ცნებები „ნორმა" და „დოგმა" სინონიმები როდია, და, რომ სოციალიზმის ჰუმანური პრინციპები მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩადგეს ადამიანთა სამსახურში, როცა ისინი საიმედოდ არიან დაცული ხელყოფისაგან, როცა მათ თვითეული ადამიანი იცავს, სხვანაირად საზოგადოება არაფრით არ იქნება განსხვავებული პომიალოვსკის „ბურსებისაგან".

კეთილი ტრადიციები, ხალხის შემოქმედებითს ისტორიას რომ ასახავს, ყოველთვის ცოცხლობს, მრავლდება. იგი კი, ვინც სამშობლოს წარსულისადმი, მისი რევოლუციური, კულტურული მონაპოვრებისადმი ცხოველ ინტერესს, წარსულის ძეგლების დაცვისადმი ზრუნვას ყოველგვარ კლასობრივ შინაარსს ჩამოაშორებს, დათვურ სამსახურს უწევს საქმეს, რომლისთვისაც, ასე გგონია, თავგამოდებით იღვწისო. ხომ ცნობილია, რომ თავისი საფუძვლით სასარგებლო ნებისმიერ საქმეს რომ სახელი გავუტეხოთ, ამისათვის საუკეთესო ხერხია მისი აბსურდამდე დაყვანა. სწორედ ამას აკეთებენ ცალკეული პუბლიცისტები.

აი მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილი ს. სემანოვის ბროშურა „ნოვგოროდის ძეგლი, „რუსეთის ათასი წლისთავი". თავისთავად, ასეთი გამოცემის იდეა საეჭვო არ არის: ძეგლი „რუსეთის ათასი წლისთავი", რომელსაც წარსულში ერთნაირად როდი ეკიდებოდნენ რუსეთის საზოგადოების მოწინავე ძალები, დღესაც ინარჩუნებს თავის ისტორიულ ღირებულებას. მაგრამ მისი ხვედრის წინააღმდეგობრიობა თანამედროვე შემფასებლისაგან ვანსაზღვრულ სიზუსტეს მოითხოვს.

სამწუხაროდ, ბროშურის ავტორმა ვერ გამოძებნა დიალექტიკური, ისტორიზმით გამსჭვალული პოზიცია, თავი არ შეიწუხა, ხელოვნების თვალსაზრისით უკვდავი გამოეყო დანაშრევისა და წარმავალისაგან, თუმცა, რასაკვირველია, მისი ამოცანა იყო, დახმარებოდა მკითხველს გარკვეულიყო 1862 წელს აღნიშნული რუსეთის სახელმწიფოს 1000 წლისთავის ზეიმის იდეოლოგიურ არსში, რაც, უეჭველია, გამოიხატა მოქანდაკე მ. ო. მიკეშინის ჩანაფიქრით. ს. სემანოვის სიტყვებით, ძეგლის 129 ქანდაკებით გამოიხატა მისი შემქმნელის „მოქალაქეობრივი მრწამსი", „სამშობლოსა და მშობლიური ისტორიის მისეული გაგება".

სინამდვილეში, ძეგლისათვის ისტორიული ფიგურების შერჩევა მკაცრად თავდაჭერილი, ტენდენციური იყო და იმდენად მისი შემქმნელის „მოქალაქეობრივ მრწამსს არ გამოხატავდა, რამდენადაც რუსეთის ცარიზმის ოფიციალური იდეოლოგიის მოთხოვნებს სამერთიანი ფორმულის „თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და სახალხოობის" სულისკვეთებით. ბროშურაში სოციალური ანალიზის, მსჯელობის, კრიტიკის აჩრდილიც კი არა ჩანს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი მთლიანად ეთანხმება „სამშობლოს ბედ-იღბლის" იმ გაგებას, რომელიც ძეგლის ბარელიეფებში და სკულპტურებშია გამოხატული.

ყველაფერი, რაც კი ავტორს საჭიროდ მიუჩნევია ეთქვა ძეგლის საზეიმო გახსნის გამო, რომელიც თავისთავად ჩაფიქრებული და განხორციელებულია როგორც თვითმპყრობელობის აშკარა იდეოლოგიური აქცია, გულცივია: „ნოვგოროდს დიდი ხანია არ ენახა ასეთი სახელოვანი სტუმრების თავშეყრა. აქ ჩამოვიდა მეფე ალექსანდრე II, მთელი მეფის კარი, მაღალი ჩინის დიდებულები და ოფიცრები. ზეიმი მდიდრული იყო".

მაგრამ ასე ეპიკურად როდი შეხვ-

დნენ ამ მოვლენას თანამედროვენი. ა. ი. გერცენი მას „კოლოკოლში“ გამოეხმაურა სტატია-ფელეტონით „იუბილე“, რომელშიც გამოსატა თავისი ჭეშმარიტად დემოკრატიული თვალსაზრისი ზეიმის გამო, სამშობლოს ბედისა და სამამულო ისტორიის სხვაგვარი გაგება. „ჩვენ შეურაცხგვყოფს სიცრუის გაგრძელება წარსულში, — წერდა ა .ი. გერცენი, — ჩვენ შეურაცხგვყოფს ბარელიეფური ტყუილი. არის რაღაც სულმდაბლური და ყეყეჩური უზენაესი ბრძანებით ისტორიის წინასწარგანზრახულ დამახინჯებაში“.

ადამიანებს, რომლებიც გაწაფული არ არიან ისტორიასა და პოლიტიკაში, ასეთი პოზიცია შეიძლება მოეჩვენოთ რაღაც ნოვატორობად, მოვლენებზე ყოველგვარი ტენდენციურობისაგან თავისუფალ „გაბედულ“ შეხედულებად. მაგრამ ტენდენცია აქ არის, და თანაც სავსებით გარკვეული: რეალური ისტორიული ფაქტების მიჩქმალვა სუბიექტივისტური არასოციალური კონცეფციის სასარგებლოდ. დროული იქნება გავიხსენოთ, რომ თავის დროზე ს. სემანოვმა ვ. სტარცევთან ერთად დაწერილ სტატიაში „ილუსტრაციები სქემისადმი“ („ნოვი მირ“, № 12, 1966) სცადა შეელამაზებინა კერენსკის პოლიტიკა, როცა, მაგალითად ამტკიცებდა, რომ „თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშათა უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, მიღწეულ იქნა რეალური ხელფასის ზრდა...“ თითქოს არ ყოფილიყოს არც 1917 წლის ივლისის დემონსტრაციის დახვრეტა, არც ბოლშევიკების დაპატიმრება, არც მუშა ვოინოვის მკვლელობა, არც ვ. ი. ლენინის ფიზიკური მოსპობის ცდა. რაც შეეხება კერენსკისა და მისი კომპანიის მზრუნველობით „მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას“, უნდა ითქვას, რომ თვით დროებითი მთავრობის სასურსათო კომიტეტის მოწმობით, 1917 წლის სექტემბერში მოსკოვსა და პეტროგრადში მუშებისათვის გაცემული პურის დღიური ნორმა ნახევარ—ბირვანქაზე ნაკლები იყო, ხოლო რეალური ხელფასი კი თითქმის 2-ჯერ შემცირდა (იხ. „საშოქალაქო ომის ისტორია სსრკ-ში“, ტ. I, გვ. 357, 385).

სოციალურ-კლასობრივი კრიტერიუმები მარტო ისტორიულ მეცნიერებაში კი არ არის მივიწყებული, არამედ ლიტერატურათმცოდნეობაშიც. ავიღოთ თუნდაც მოკლე ლიტერატურულ ენციკლოპედიაში დაბეჭდილი ბ. ეგოროვის სტატია „სლავიანოფილობა“. დაწვრილებით რომ აღწერს სლავიანოფილების შეხედულებებს საკითხთა საკმაოდ ფართო წრის შესახებ, ავტორმა ვერ გამოძებნა ადგილი ამ კონსერვატორული იდეოლოგიის კლასობრივი ფესვების დასახასიათებლად, ფაქტიურად არაფერი თქვა მთავარზე — იმაზე, რომ იგი თავადაზნაურული, მემამულური იყო.

„ნეოპოჩვენისტური“ მოტივები არც ისე უწყინარია, როგორც ზედაპირული მსჯელობის დროს შეიძლება მოგვეჩვენოს. თუ გულდასმით ჩავუკვირდებით ჩვენს ცხოვრებას, ანალიზს გავუკეთებთ საზოგადოებაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ძვრების დინამიკას, აუცილებლად ასეთ დასკვნას გამოვიტანთ: საზოგადოებრივ განვითარებას სრულებით არ წაუშლია და არც შეიძლებოდა წაეშალა მკვეთრი საზღვრები, რომლებიც ერთმანეთისგან გამოჰყოფდნენ ეროვნულსა და ნაციონალისტურს, პატრიოტულსა და შოვინისტურს. სულ სხვა რამ ხდება: პატრიოტიზმის გრძნობის შევსება ახალი, ინტერნაციონალისტური შინაარსით, მისი გადაზრდა იმ საზღვრებს გარეთ, რომელიც ეროვნული წარმოშობით არის შემოფარგლული. ჩვენს სოციალისტურ პირობებში პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი არცერთნაირად არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ისინი

ერთმანეთთან ორგანულად არის შერწყმული, შედუღაბებული.

მაშასადამე, ის ფაქტი, რომ ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრდა ხალხთა შორის ძმური თანამშრომლობისა და მეგობრობის ურთიერთობა, რომ მასში გაბატონებულია ინტერნაციონალისტური იდეოლოგია, სრულებითაც არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ახლა მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის პრობლემები ავტომატურად გადაიჭრებოდეს. ამ პრობლემების აქტუალურობა ხაზგასმულია პარტიის XXIV ყრილობის დოკუმენტებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სსრკ-ის შექმნის 50-ე წლისთავისათვის მზადების შესახებ". მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობის გაძლიერების დიდ მნიშვნელობაზე, ნაციონალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის დიდ მნიშვნელობაზე, ხალხთა ისტორიის შეფასებისადმი კლასობრივი, მკაცრი მეცნიერული მიდგომის თანმიმდევრულად გატარების აუცილებლობაზე კვლავ მითითებულია პარტიულ დოკუმენტებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში.

5

ეროვნულ ურთიერთობათა სფერო საერთოდ, და განსაკუთრებით ისეთ მრავალეროვნულ ქვეყანაში, როგორც ჩვენია, — ერთ-ერთი ყველაზე რთული გახლავთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და სანამ ერები არსებობენ, დღის წესრიგიდან არ შეიძლება მოიხსნას პრობლემები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ერთმანეთის პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდისა, ნაციონალიზმის გამოვლინებისადმი შეურიგებლობისა, როგორი ფორმითაც არ უნდა გამოიხატოს იგი, ადგილობრივი ნაციონალიზმი იქნება თუ შოვინიზმი, სიონიზმი თუ ანტისემიტიზმი, ნაციონალური ყოყოჩობა თუ ნაციონალური ჰერმეტიზმი.

ბურჟუაზიული პროპაგანდა ყოველნაირად ცდილობს ნაციონალისტური განწყობილების გამოცოცხლებას. კარგად არის ცნობილი, თუ რა აქტიურ კამპანიას ეწევა ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგე მრავალეროვნული საბჭოთა სახელმწიფოს 50-ე წლისთავთან დაკავშირებით. აი, ამ კამპანიის ერთ-ერთი ძირითადი თეზისი: საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი — ეს თითქოს არის წმინდა მექანიკური, არაორგანული შენაერთი და არა მძლავრი კავშირი თანაბარუფლებიანი ხალხებისა, რომლებიც ნებაყოფლობით დაადგნენ ახალი საზოგადოების მშენებლობის გზას და ერთ სოციალისტურ ოჯახად გაერთიანდნენ. ადვილი მისახვედრია, თუ რაოდენ გულმოდგინედ გამოძებნიან ხოლმე და აღვივებენ ნაციონალიზმის სულ უმნიშვნელო გამოვლინებასაც კი, როგორი მზადყოფნით აიტაცებენ ხოლმე წვრილბურჟუაზიული ნაციონალური შეზღუდულობისა და ყოყოჩობის რეციდივებს, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელოს.

პარტია ყოველთვის შეურიგებელი იყო ყველაფრისადმი, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ჩვენი საზოგადოების ერთიანობას, მათ შორის რომელიც გნებავთ ნაციონალისტური მოარული სენისადმი, საიდანაც და ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი.

ერთ-ერთი ასეთი მოარული სენია მსჯელობა უკლასო „ეროვნულ სულზე", „ეროვნულ გრძნობაზე", „სახალხო ეროვნულ ხასიათზე", „ბუნებრივი მთლიანობის ძახილზე", რასაც შეიცავს წარსულისადმი ობიექტივისტური მიდგომით აღბეჭდილი ზოგიერთი სტატია. მათი ყურადსაღები თავისებურება არის თანამედროვე სოციალური პრაქტიკის მოწყვეტა იმ ისტორიული გარდაქმნებისაგან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა ოქტომბრის რევოლუცი-

ის შემდგომ წლებში. იმ გადამწყვეტი ფაქტის უგულებელყოფა ანდა გაუგებრობა, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთიანობა — საბჭოთა ხალხი. ამ სტატიების ავტორები თითქოს ერიდებიან ისეთ სიტყვებსა და ცნებებს, როგორიც არის „საბჭოთა", „სოციალისტური", „საკოლმეურნეო".

კრიტიკოსი ვ. პეტელინი, მაგალითად, წინადადებას გვაძლევს, რომ მარქსისეული ფორმულა ადამიანის არსზე, როგორც „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთიანობაზე", შევცვალოთ მისი შინგამომცხვარი ფორმულით: ადამიანის „არსი" მდგომარეობს იმ „ეროვნულობაში, რომელსაც იგი ეკუთვნის" („ვოლგა", № 3, 1969) თითქოსდა ჩვენს ქვეყანაში არსებობს ან შეიძლება არსებობდეს რაღაც ეროვნული ხასიათი, ისე, რომ გავლენას არ ახდენდეს მასზე რევოლუცია, სოციალიზმი, ქვეყნის კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, კულტურული და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, დროის ძირითადი სოციალური კონსტანტი.

თუ შევეცდებით, რომ ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანოთ ასეთი მსჯელობა, რომელიც სრულებით არ ბრწყინავს სიახლით, მივიღებთ შემდეგს: მსოფლიოში არ არიან კლასები, სოციალური ფენები და ჯგუფები, არ არსებობენ იდეოლოგიური მიმდინარეობები, რომლებსაც უწინარეს ყოვლისა, საფუძვლად უძევს კლასობრივი, სოციალური ინტერესები, არსებობენ მხოლოდ ურყევი და უცვლელი ეროვნული თავისებურებები, რომლებიც წარმოიშვა უხსოვარ დროში იდუმალი, შეუცნობელი კანონებით.

ერისა და ეროვნული კულტურის ასეთ არასოციალურ, არაისტორიულ გაგებას, ერთად აღებულს უპირისპირებენ დასავლეთის ევროპულ კულტურას, აქაც მისი სოციალური დიფერენციაციის გაუთვალისწინებლად. და ასეთი დაპირისპირება ზოგჯერ თითქმის ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლად საღდება. თუმცა, ზუსტად ბურჟუაზიული იდეოლოგები გვიხატავენ რუსეთს, როგორც ევროპის საპირისპიროს თავისი ჩამორჩენილობით და გამოფიტულობით. მათ განგებ არ სურთ დაინახონ სოციალური გამიჯვნა და კლასობრივი ბრძოლები არა მარტო რევოლუციამდელ რუსეთში, არამედ თანამედროვე ბურჟუაზიული ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, იქ დემოკრატიული ტრადიციების არსებობა, პროლეტარული, მარქსისტული-ლენინური იდეოლოგიის გავრცელება.

განა საჭიროა ვამტკიცოთ, თუ რაოდენ მცდარია, რომ საბჭოთა ხალხის ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ისტორიულად გარდუვალი და პროგრესული პროცესი დავხატოთ როგორც ეროვნული თავისებურების ლიკვიდაცია. კომუნისტები უარყოფენ საკითხის ბურჟუაზიულ დაყენებას, რომლის თანახმად ინტერნაციონალური შეიძლება გავიაზროთ როგორც ყოველგვარი ეროვნულის შიშველი უარყოფა. ინტერნაციონალური, — ამბობდა ლენინი, — არ არსებობს, თუ არ არსებობს ეროვნული.

„უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებული პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა?" — კითხულობდა ვ. ი. ლენინი და უპასუხებდა: „რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ **მისი** მშრომელი მასები (ე. ი. მისი მოსახლეობის 9/10) ავამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე. ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია, ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრას და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრიდან, რომ

ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერი — რაზნოჩინელები...“

ასეთია თეორიული საფუძველი ჩვენი, საბჭოთა პატრიოტიზმისა, რომელიც იზრდებოდა სამამულო ისტორიის რევოლუციურ დემოკრატიულ და ჭეშმარიტად სახალხო ტრადიციებზე, იმ ხალხის ეროვნული სიამაყის გრძნობაზე, რომელმაც მოახდინა მსოფლიოში უდიდესი სოციალისტური რევოლუცია და კაცობრიობის ისტორიაში პირველი აშენებს კომუნიზმს.

რაც შეეხებათ „ეროვნული სულისა“ და პატრიარქალურ სიძველეთა ცალკეულ მოამაგეთ, ისინი გარკვეული ვადმონაშთისეული შეგნების გამომხატველნი არიან. სწორედ ასეთია ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ზოგიერთი წარმომადგენლის გამართლებისა და შელამაზების ცდები, რომლებიც ვამოვლინდა ბევრ პუბლიკაციაში უკრაინულ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებზე, ქართველ მენშევიკებზე, სოციალ-ფედერალისტებზე, სომეხ დაშნაკებზე. ამიერკავკასიის ეროვნული განვითარების პრობლემებისადმი მიდგომაში სწორედ მკაფიო კლასობრივი კრიტერიუმების უგულვებელყოფისათვის გააკრიტიკა სრულიად საფუძვლიანად კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტმა უ. სიდამონიძის წიგნი „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917—1921 წ. წ.)“, ხოლო სომხეთის პარტიულმა პრესამ — ა. მნაცაკანიანის წიგნი „ლენინი და ეროვნული საკითხის გადაჭრა სსრ კავშირში“.

სასარგებლოა ყოველთვის ვიცოდეთ, რომ წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის საფრთხე ის არის, რომ იგი პარაზიტობს ეწევა საკუთარი ამამულისადმი სიყვარულის წმინდა გრძნობებით, პატრიოტიზმის მაღალი იდეებით, რომლებსაც ისე ამახინჯებს, რომ ველარ იცნობთ. ამის შედეგად ეროვნული სიამაყის ნაცვლად ვიღებთ ეროვნულ დახავსებულობას, ხოლო პატრიოტიზმი შოვინიზმად იქცევა.

საგნებს თუ რეალურად შევხედავთ, სავსებით დასაშვებია, რომ ბევრი იმ შეხედულებათაგანი, რომლებიც ჩვენ კრიტიკულად განვიხილეთ, პირად გეგმაში რამდენადმე შეიძლებოდა განგვეხილა როგორც თავისებური სუბიექტივისტური რეაქცია თანამედროვეობის ამა თუ იმ მწვავე საკითხებზე. თუმცა, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა ა. მ. გორკისადმი თავის ცნობილ წერილში საქმე ის არის, რომ ამა თუ იმ ქადაგების კონკრეტული პოლიტიკური შედეგები, საბოლოო ანგარიშით იმის მისწრაფებით კი არ განისაზღვრება, რომ „ვთქვათ „კეთილი და კარგი“, მივუთითოთ „სიმართლე-სამართლიანობაზე“, არამედ — გამოთქმული შეხედულებების ობიექტური სოციალური შინაარსით, საზოგადოებრივი ყოფიერების რეალური გარემოებებით.

ჩვენ ვიცით, ვაფასებთ და გვიყვარს ბევრი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოები, რომლებიც გამსჭვალულია უდიდესი სიამაყით საკუთარი ხალხის გამო, გამსჭვალულია ტკივილით მისი ბძიმე წარსულის გამო, და სიხარულით — მისი აწმყოს გამო. ასეთი ნაწარმოებები ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის მახლობელია.

ანტიისტორიზმის ცალკეული გამოვლინებები კი, რასაკვირველია, ვერაფრით ვერ შეარყევს როგორც წარსულის, ისე თანამედროვეობის მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძვლებსა და პრინციპებს. მით უფრო, ამ გამოვლინებებს არ შეუძლია გზა დაუხშოს ხალხთა მეგობრობის განმტკიცების კეთილშობილურ პროცესს, რევოლუციური ოქტომბრის, სოციალისტური წყობილების დიდ მონაპოვარს. მაგრამ ამაზე ლაპარაკი საჭიროა, საბოლოოდ რომ არ ასცდნენ გზას „ერო-

ვნული სულის“ ცალკეული მოამაგენი.

და კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, კერძო შენიშვნა. იმ თემაზე არსებულ ზოგიერთ სტატიას, რაზეც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი, არ შეიძლება უნიჭო უწოდო, ისინი გამოირჩევა საკმაო გზნებით, მძაფრი პოლემიკურობით. ოღონდ სამწუხაროა, რომ ისინი იცავენ უპერსპექტივო საქმეს, თვით ცხოვრების მიერ განწირულსა და უარყოფილს.

კომუნისტური იდეოლოგია, როგორც ცნობილია, გამოხატავს მუშათა კლასის იდეალებსა და მისწრაფებებს, იმ კლასისას, რომელიც თავისი ბუნებით ინტერნაციონალისტურია. აი რატომ არის ნაციონალიზმი საბჭოთა პატრიოტიზმთან და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან ყოვლად შეუთავსებელი, მათდამი ღრმად მტრული. პატრიოტიზმის აღზრდას ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, განვიხილავთ როგორც საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდას, უდიდესი სიამაყის აღზრდას იმ სოციალური რეალობის გამო, რომელიც შექმნილია რევოლუციონერთა თაობების შრომით და ბრძოლით.

სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმში, როგორც პროლეტარიატის რევოლუციურ მოძღვრებაში, განსახიერებულია უმაღლესი ადამიანური სულიერი ფასეულობები. ხოლო რაც შეეხება წარსულს, ჩვენთვის ერის ისტორიაში, უწინარეს ყოვლისა, ძვირფასია ჭეშმარიტად დემოკრატიული, რევოლუციური ელემენტები და ტრადიციები. ზნეობრივ მაგალითს ჩვენ „წმიდანთა ცხოვრებაში“, მეფეთა და ხანების შელამაზებულ ბიოგრაფიებში კი არ ვხედავთ, არამედ სახალხო ბედნიერებისათვის მებრძოლთა რევოლუციურ გმირობაში. ჩვენ ვაფასებთ ყველაფერს, რაც საუკუნეების მანძილზე შეუქმნია ხალხის გენიას, გონებასა და შრომას, მაგრამ ჩვენი განსაკუთრებული სიამაყის საგანი ჩვენი დღევანდელი სოციალისტური სინამდვილეა.

„ლიტერატურნაია გაზეტა“ № 46,
15 ნოემბერი, 1972 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

* * *

მაინც ვერ შევხვდი
ამ გაზაფხულს,
  როგორც მინდოდა, —
მაინც გამისხლტა
  ის პირველი სუნთქვა მინდორთა;
ისევ წაიღო უსაზღვრობამ
ხვედრი თავისი
და მტვრიან გზებში
  ისევ უხმოდ მიდის მაისი.

მაინც ვერ შევხვდი
ამ გაზაფხულს,
  როგორც ვნატრობდი, —
მაინც გამომრჩა
  ლიხზე გახსნა ზეცის ტატნობის;
ისევ გამექცა ვარციხესთან
  ზვირთი რიონის
და ტრიალ კოლხეთს
  ისევ ის მზე
    წვავს მილიონი.

მაინც ვერ შევხვდი
ამ გაზაფხულს,
  როგორც ვუხმობდი, —
ისევ გამიქრა
  წამი
    ფერთა პირველ უხვობის,
ხევში წყლის ფეთქვა,
  ფეთქვა პირველ გამოზამთრების,
მთებზე მზის დნობა,
  დნობა ახალ თაფლის სანთლების,

მაინც ვერ შევხვდი
ამ გაზაფხულს,
  როგორც მინდოდა, —
მაინც გამისხლტა
  ის პირველი სუნთქვა მინდორთა;
ისევ იქ დამრჩა
  ჩემი ხვამლი და ქუთაისი
და ისევ უხმოდ უსაზღვრობას მიაქვს
  თავისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

გზაზე ერთი კაცი მიდიოდა

რომანი

ნაწილი მესამე

ფარნაოზი

ფარნაოზი კაცის შეყვირებამ გამოარკვია. ეს ხმა დიდხანს ესმოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა, იგერიებდა, უსხლტებოდა, როგორც მდინარის ფსკერზე გაშოტილი გვამი მის აშოსათრევად ჩამოშვებულ ჭანგს, მაგრამ ხმაც ჯიუტი იყო, დაუნდობელი, და თუ ჯერჯერობით ვერ ახერხებდა მართლა ჭანგივით წამოსდებოდა გამოთიშულ გონებას, შეღწევით უკვე შეეღწია შიგ. „მკვდარი ვარ და ცუგა დამყმუის თავზეო“ — ფიქრობდა გამოფხიზლების გზაზე შემდგარი ფარნაოზი, ხოლო როცა საბოლოოდ გამოფხიზლდა, აღარაფერი აღარ ახსოვდა, არც შემაწუხებელი ხმა და არც სულელური ფიქრი. დაძაბული, სულისშემხუთველი დუმილი გამეფებულიყო ირგვლივ. ბნელში იწვა. მთელი სხეული უბჟუოდა. სახსრები ტკიოდა და სისუსტისგან თავბრუ ესხმოდა, თითქოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პირველად გამოსულიყო სუფთა ჰაერზე, თუმცა ჰაერში გაზინთული ბუმბული ირეოდა და მქისე სუნი ტრიალებდა, როგორც დაწიოკებულ საქათმეში. კაცმა ისევ შეჰყვირა და ფარნაოზმა შვება იგრძნო, თითქოს ამ ხმის გაგონებას ელოდებოდა მხოლოდ, მოუთმენლად, მთელი არსებით. „*არაფერიც არ მომივა. ვიწვები ასე... მამაჩემივითო*“. — ამის გაფიქრებაღა მოასწრო და ისევ დაჰკარგა გონება, მაგრამ უგრძნობლობის ფსკერამდე ვეღარ ჩააღწია, სადღაც შეჩერდა, შუა გზაში, ტოტებმა შეაკავეს. ასეთი გრძნობა ჰქონდა ზუსტად: თითქოს ტოტებზე იწვა და მათთან ერთად ირხეოდა. არც უკვირდა, არც ეშინოდა. როცა ისევ გაახილა თვალი, ბავშვი დაინახა. ბავშვი იატაკზე იჯდა და გაოცებული შემოსცქეროდა. დიდხანს უყურეს ერთმანეთს, ძალიან დიდხანს, სანამ გაოცებული ბავშვი აბრჭყვიალებულ სინათლეში ერ გაითქვიფა, ორი დღის მერე ისევ დაუბრუნდა მხედველობა. ბავშვი ახლაც იატაკზე იჯდა, თითქოს ამ ხნის განმავლობაში

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1.

არც ის განძრეულიყო, და დიდი, გაოცებული თვალებით შემოსცქეროდა. მერე სახე შეუთრთოლდა, პირი გაეხსნა და თეთრი, კრიალა კბილები გამოუჩნდა. ბავშვის ღიმილი უნებურად ფარნაოზსაც გადაედო და მშრალი, დახეთქილი ტუჩები აეწვა.

— დედილო, მკვდარმა ისევ გაიღვიძა! — დაიძახა ბავშვმა.

ახლა კარს უყურებდა. აღარ იღიმებოდა, მოუთმენლად მისჩერებოდა კარს. ოთახში ქალი შემოვიდა. სველ ხელებს წინსაფარზე იმშრალებდა. ქალის დანახვაზე ბავშვმა დაბმული ჩიტივით შეიფრთხიალა და ამაყად გამოხედა ფარნაოზს. ქალმა გაიღიმა და ისე საოცრად დაემსგავსა მის ფეხებთან აფრთხიალებულ ბავშვს, ფარნაოზს გული აუჩუყდა.

— მადლობა ღმერთს. — თქვა ქალმა.

ფარნაოზმა თვალი დახუჭა, ახლა უკვე ძალით, შეგნებულად, რადგან უცებ ყველაფერი გაახსენდა და შერცხვა: მომღიმარი ქალისაც, მისი გადარჩენისთვის ღმერთს მადლობას რომ წირავდა, იატაკზე დაყურსული ბავშვისაც, მისი გადარჩენა ღიმილით რომ აუწყა ქვეყანას, და ტახტისაც კი, რომელზედაც იწვა. ფარნაოზს გადარჩენის შერცხვა. ან რა საჭირო იყო იმ კაცის გადარჩენა, რომელიც ათი წლის ამხანაგებს სასიკვდილოდ გაემეტებინათ. უკვე ყველაფერი ახსოვდა, ყველაფერი მაშინვე გაახსენდა, როგორც კი ქალი შემოვიდა ოთახში.

სცემეს, არა, კი არ სცემეს, გველივით ჩაქოლეს. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. განა სამართლიანად არ იქცევა კაცი, როცა მის გზაზე გაწოლილ გველს ბარით უჩეჩქვავს თავს? გინდაც იმ გველს ჯერ არავინ დაეგესლოს, გინდაც მხოლოდ მზეზე გასათბობად გამოხოხებულიყოს, მაინც ყველამ უნდა ესროლოს ქვა. ვალდებულნიც არიან, ასე მოიქცნენ, რადგან თუ ჯერჯერობით არავინ დაუგესლავს იმ გველს, ადვილი შესაძლებელია, ხვალ დაგესლოს ვინმე, თუნდაც ბავშვი, იატაკზე რომ დაუსვამთ და უყურადღებოდ მიუტოვებიათ მშობლებს. „მე გველი ვარ, ღმერთო, გველი!“ — შიშითა და ზიზღით გაიფიქრა ფარნაოზმა. ამ ათი წლის განმავლობაში თურმე გესლითა და სიძულვილით ავსებდა იგი ამხანაგების გულებს, ხოლო როცა გესლი და სიძულვილი გულებში აღარ ჩაეტიათ, გადმოანთხიეს კიდეც.

ათი წელი გასულიყო. ესეც ახლა იგრძნო ფარნაოზმა, უცხო სახლში, ვიღაცის ტახტზე გაშოტილმა. დრო კი გასულიყო, მაგრამ არაფერი შეეცვალა, რადგან თვითონ იყო ფუჭი და უაზრო, სასჯელისთვის განკუთვნილი, სავალდებულო, სენივით მოსახდელი. ამ ათი წლის განმავლობაში არავინ დაინტერესებულა მისი ვინაობით. პირველად რომ ჩამოვიდა კრეტაზე, არც მაშინ უკითხავთ სახელი, ზედამხედველებს მისი ხელობა აინტერესებდათ მხოლოდ და როცა ფარნაოზმა უთხრა, ქვისმთლელი ვარო, ორმოცმა ათასმა კაცმა ერთხმად შესძახა: აქეთ მოდი, ჩვენი ყოფილხარო. ის იყო და ის, იმდღის მერე ფარნაოზი ორმოციათას ქვისმთლელში გაითქვიფა, ორმოციათას ფარნაოზად იქცა და ეს ორმოციათასი ფარნაოზი, ორმოციათასი ტყუპისცალივით ერთდროულად იღვიძებდა, ერთდროულად გარბოდა ფეხსადგილისკენ, ერთდროულად იკლავდა წყურვილს და ერთდროულად წვებოდა დასაძინებლად, რათა უთენია, ზედამხედველების ყვირილზე, ისევ სინანულითა და გინებით მიეტოვებინა გაურანდავი ფიცრის ნარები და მძიმე ჩაქუჩებით აღჭურვილი ისევ ლოდებს მისეოდა, ისევ ლოდებზე ამოეყარა ჯავრი. დილიდან საღამომდე ეჭიდებოდნენ ისინი ქვის სიჯიუტეს, ხლეჩდნენ და აპობდნენ, ამტვრევდნენ და აქუცმაცებდნენ ამ უძრავსა და უგრძნობელ ურჩხულებს, საზარელი პირებიდან მტვერსა და ნაპერწკალს რომ

აფრქვევდნენ და ხარხარებდნენ, სანამ მათი სიმტკიცითა და სიკერპით გასავათებულ კაცს მკლავები დააწყდებოდა. სხვებისაგან განსხვავებით ფარნაოზს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ქვასთან. მას ქვა უყვარდა, მესაიდუმლედ გაეხადა, მოგონებებით დაესახლებინა და ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც მისი ნამდვილი ბუნება ჯერ კიდევ ბედავდა სამზეოზე გამოსვლას. ქვა ფარნაოზის მეგობარი იყო, უტყვი და ერთგული მეგობარი, ყოველ დილით რომ გამოყავდა იგი ორმოციათასი კაცის აშმორებული ზღვიდან, რათა ერთხელ კიდევ მოეთქვა სული, ერთხელ კიდევ გადარჩენილიყო დახრჩობას. ფარნაოზიც ანებივრებდა თავის მეგობარს, გაუფრთხილებლად არასოდეს დაჰკრავდა ჩაქუჩს, ჯერ ხელს გადაუსვამდა, მტვერს გადასწმენდდა, გამოაღვიძებდა და მხოლოდ მერე შეაბიჯებდა დაბურულ ტალავარში, თვითონვე რომ ამოეტვიფრა ხორკლიან ზედაპირზე. ამიტომაც იყო, მისი საჭრეთელი თავისუფლად, ვნებიანი თრთოლვითა და ტკრციალით რომ მისრიალებდა ქვის ძარღვებში, როგორც ქალის თმაში სავარცხელი. გახარებული ცუგა მთელ კუნძულს ყეფით იკლებდა, ყველა ხვრელსა და ნაპრალში ცხვირსა ყოფდა, აცემინებდა და ნაცრისფერ მტვერში ამოგანგლულ ნესტოებს ფარნაოზს წვივზე ახოცავდა. კუნძულზე ვაშლის სუნი იდგა, ვაშლისა და მარადიულ სიგრილეში დარბილებული მიწისა. „კარგი გოგოა ინო, ფარნაოზ. აგე, რა ამბით მორბის“ — ეუბნებოდა ფარნაოზს უჩინარი დარიაჩანგი და ფარნაოზიც უნებურად იქითკენ იყურებოდა, საითაც ხმა ახედებდა. ინო ზღვიდან ამოსულიყო და მისკენ მორბოდა. ხელები წინ გაეშვირა და ამოტრიალებული პეშვები ერთმანეთისთვის მიეტყუპებინა. „მედუზა მოაქვსო“ — ფიქრობდა ფარნაოზი და იღიმებოდა: ფარნაოზის წინ მუხლებზე დაცემული ინო ცრემლნარევი ხმით სლუკუნებდა: ნახე, ფარნაოზ, ნახე, რა ვიპოვეო. ინოს ზღვის წყალი თითებს შორის გაჰპარვოდა და სველ ხელისგულზე მკვდარი ფუტკარი მისწებებოდა. „რას მიფრინავდა ასე შორს... საცოდავი...“ — ამბობდა ინო და თვითონვე ამატებდა: ალბათ ქარმა წაიღოო. მერე ფარნაოზის გვერდით წვებოდა, სველი და შიშველი, მკვდარი ფუტკრის ხილვით შემკრთალი და დასევდიანებული, მაგრამ მაინც სინათლესავით გაბრწყინებული. მზის სხივი ცხვირზე უღიტინებდა და ლოყებზე პატარა ფოსოები უჩნდებოდა. ფარნაოზს თავბრუ ეხვეოდა, თვალები უჭრელდებოდა და ვეღარაფერს ხედავდა, სინათლის გარდა. როდის-როდის ქვისმთლელების ხორხოცი ჩაესმებოდა და გამოფხიზლდებოდა, აკრეფდა თავის იარაღს და უხალისოდ ჩამოხოხდებოდა ქვის კუნძულიდან. ახლა მხოლოდ ქვისმთლელების გაბოროტებულ თვალებს ხედავდა და მათი დამცინავი, ღვარძლიანი ლაპარაკი ესმოდა. „თუ გინდა, ჩირაღდანს მოგინათებთ და ღამითაც იმუშავეო“ — ეუბნებოდნენ ქვისმთლელები, დაღლილობისაგან უფრო საშიშნი რომ ჩანდნენ, უფრო დაუნდობლები. ფარნაოზი თავს დამნაშავედ გრძნობდა, ხვდებოდა, ისე არ იქცეოდა, როგორც მათი ძმობის დაუწერელი კანონები ავალდებულებდა; იმასაც ხვდებოდა, ადრე თუ გვიან პასუხს რომ მოოხოვდნენ, ან ოცნებაზე ააღებინებდნენ ხელს, ანდა... ღმერთმა იცის, რა მოჰყვებოდა ორმოციათასი კაცის სიძულვილს. მაგრამ ისევ ორმოციათასი კაცის სიძულვილი ჯობდა, ორმოციათასი კაცის დაცინვას. როგორ ეთქვა, ასე და ასეა ჩემი საქმე, ზედმეტს იმიტომ ვმუშაობ და თქვენც იმიტომ გაფერხებთ, უფრო დიდხანს რომ ვიფიქრო ერთ ტიტლიკანა გოგოსა და ძაღლის ლეკვზეო. განკითხვის დღე კი ახლოვდებოდა. ფარნაოზი ამასაც გრძნობდა, მაგრამ რა უნდა ეღონა, რითი გამოესყიდა ის უნებლიე დანაშაული, მისი ორმოციათასი

ძმის სამართლიან გულისწყრომას რომ იწვევდა. „ეს თუ ამდენს ასწრებს, თქვენ რა ღმერთი გიწყრებათო“ — დასჩხაოდნენ სამუშაოს შესამოწმებლად ჩამოვლილი ზედამხედველები მკლავ-ჩამოყრილ ქვისმთლელებს და ფარნაოზს გული უკვდებოდა, ენა უქვავდებოდა და თავჩაღუნული იდგა ბედისწერის ვერაგობით ერთხელ კიდევ დათრგუნული და გაწბილებული. სადგომში მიბრუნებული, გაურანდავი ფიცრის ნარზე ლოდივით მიგდებული ფარნაოზი წვიმებისგან დალაქავებულ ჭერს მიაშტერდებოდა ხოლმე და უსმენდა, როგორ გმინავდა, როგორ შფოთავდა ძილშიც მისი ორმოციათასი ძმა. სადგომი ოფლის სუნით ყარდა. მძინარე კაცის უმწეობით თავაშვებული მწერი ათასნაირად ფაჩუნობდა, წიოდა და წრიპინებდა. დღის სინათლის სიმძიმისგან განთავისუფლებული ქვეყანა ერთიანად მომჩვარულიყო, მორღვეულიყო, მდუღარე კუპრივით ბზინავდა და ბუყბუყებდა. ყველანი იმ კუპრში იწვნენ, მაგრამ ფარნაოზი მაინც მარტო იყო, მაინც უცხო და ზედმეტი.

ასე გადიოდა დრო. კრეტა სავსე იყო მასავით გადმოხვეწილი ხალხით და ყველა თავისებურად ცდილობდა შეჩვეოდა, შერწყმოდა, შეხამებოდა ახალ გარემოს. ძალით ჩამოეყვანათ, თუ თავისით ჩამოსულიყვნენ, საკუთარი სატკივარი, სანატრელი და საწამებელი ყველას ჩამოჰყოლოდა და სხვისი უბედურების დასანახი თვალი სადღაც, ზღვების იქით დარჩენილი ქვეყნის მტვრითა და ჯანღით ამოვსებოდათ. ყველა თავის მკვდარს დასტიროდა, მეზობლისა კი მძინარი ეგონა. ამიტომაც იყო, არავის რომ არ ახედებდა ფარნაოზი გულში, ან რა შეიცვლებოდა ამით, გააჩუმებდნენ და ეტყოდნენ, ეგ რა არის, შენ ჩემი ამბავი იკითხეო.

ფარნაოზს ახლა უფრო ხშირად ახსენდებოდა მამა, უხეირო გზამოჭრილ კურდღელს გავდა, იძულებული რომაა დაელოდოს აღსასრულს, რადგან მის გარშემო ჩაცუცქული და ენაგადმოგდებული ძაღლებიც თავის მხრივ პატრონს ელოდებიან, რათა მას, მათ მარჩენალს, დაუტოვონ კურდღლის მოკვლის სიამოვნება. პატრონი კი ნელა მოდის, ძაღლების სიფხიზლეში დარწმუნებული, სიამოვნებას იხანგრძლივებს, მოღიღინებს, კეტს მოათამაშებს. არა, უხეირო შორიდან ქვების ყორეს გავდა, გაქურდულ კვარცხლბეკს, რომელზედაც სისხლითა და სიმამაცით მოპოვებული სახელის ნაცვლად, ვერაგი ბედისწერა დასკუპებულიყო და ათასნაირად იჭყანებოდა. ამიტომ იყო, მოსაყოლიც რომ არაფერი ჰქონდა ფარნაოზს ერთი ქეციანი ძაღლისა და გოგოს ამბის მეტი. ის ერთი უბრალო ხელოსანი იყო, კუსას თქმის არ იყოს, ქვის კოდალა და მეტი არაფერი, და რა მნიშვნელობა ჰქონდა, სად იქნებოდა, ვანში თუ კრეტაზე, თუკი არც ერთის აშენება შეეძლო და არც მეორის დანგრევა. საითაც ქვა წაიყვანდა, იქით უნდა წასულიყო, უარესად უნდა გადაკარგულიყო, უფრო უნდა დაშორებოდა მამისეულ სახლს, რათა მოთმინებიდან გამოსულს იმ წმინდა ქვისთვისაც არ შემოეკრა ჩაქუჩი, რომელიც თავის კვარცხლბეკად გაეხადა გაჯამბაზებულ ბედისწერას. ასე ფიქრობდა ფარნაოზი და ერთი პირობა გადაწყვეტილიც ჰქონდა, სხვა ვანელების მსგავსად, სამუდამოდ დარჩენილიყო ამ უცხო მიწაზე, სახლი ჩაედგა, ეზო შემოეღობა, ხეხილი ჩაეყარა. რათა უფრო ძნელი შესალევი გაეხადა აქაურობა და ერთხელ და სამუდამოდ ბედს შეგუებული კაცივით, მასაც ამოხვნეშით ეთქვა: მე თუ არა, ჩემი შვილიშვილი ხომ შეეჭამს პაპამისის დარგულ ქლიავსო. მაგრამ რაც დრო გადიოდა მით უფრო აუტანელი ხდებოდა სამშობლოზე ფიქრი, ისეთ რამეს ამოუტივტივებდა ხოლმე დაუნდობელი მახსოვრობა, აღარ იცოდა, როგორ ჩაეყლაპა, როგორ მოენელებინა ყელში მობჯენილი ცრემლი. მახსოვრობას, კარგი დიასახლისივით, ყველაფერი გადაე-

ნახა, უბრალო, თითქმის უმნიშვნელო წვრილმანიც კი, მაგრამ ყოველ წვრილმანს იმქვეყნიური სურნელება ასდიოდა და, ჩვილის ხელივით, სევდისა და სიბრალულის აღმძვრელი იყო. ფარნაოზმა აღარ იცოდა, რომელს მისიყვარულებოდა, რომელი ჩაეკრა გულში, სამფეხა ჯორკო, თუ კედელზე ნემსით მიმაგრებული პეპელა, თეთრი, ხორკლიანი ნიჟარა, პოპინას ოთახში რომ იდო და რაღაცას უსასრულოდ ჩურჩულებდა, როგორც კი ყურზე მიიდებდი, თუ წითელხალება ჯამი, ოდნავ რომ ჰქონდა კიდე ჩამომტვრეული, თითქოს სიმაგრისა თუ გემოს გასასინჯად ვიღაცას წინა კბილებით მოუციცქნიაო. ფარნაოზი ამ საგნებზეც ისე ფიქრობდა, როგორც ინოსა და ცუგაზე, თითქოს ისინიც მხოლოდ მის გონებაში არსებობდნენ და სხვაგან არსად ჰქონდათ ადგილი, მაგრამ ერთ დღეს მოხდა ის, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა ბედისწერის გარდუვალობაში. ბედისწერას არა მარტო ფარნაოზის ყელზე შებმული თოკის მეორე ბოლო ეჭირა ხელში, არამედ ჯორკოც, პეპელაც, ნიჟარაცა და ჯამიც. ბედისწერის თოკი ამხნის განმავლობაში კი არ გაგრძელებულიყო, უბრალოდ დაჭიმულიყო და ახლა უფრო მძლავრად ექაჩებოდა უკან, წმინდა ქვებისკენ, კვარცხლბეკისკენ, რათა მის ძირში გამოება ისიც, სამსხვერპლო ბატკანივით.

მინოსის ახალ სასახლეს უკვე ხარაჩოებს ხსნიდნენ და მისი მაღალი, სისხლისფერი სვეტები შემზარავად ლამაზი და დამთრგუნველი ჩანდა ათასნაირი ხუხულისა და ქოხმახის გვერდით. მუშებს სადილად ეძახდნენ. მარმარილოს მტვერში დაყრილი ხელსაწყო თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა შუადღის მზეში. უცებ ერთი მუშა ხარაჩოს მოწყდა და ისეთი ხმით დაენარცხა მიწაზე, ისინიც კი წამოცვივდნენ, ვისაც ნელთბილი შეჭამანდით სავსე ჯამი უკვე მუხლებში ჩაედგა. სხვებთან ერთად ფარნაოზმაც მოირბინა. მომაკვდავი შიშისაგან გადათეთრებულ თვალებს საცოდავად აცეცებდა, თითქოს ხალხში ვიღაცას დაეძებდა, ვისი აქ ყოფნაც ყველაზე უფრო ჭირდებოდა. ახლა დაეიმედებოდა კიდეც. თვითონაც ვერ გაიგო ფარნაოზმა, რამ მიიყვანა მომაკვდავთან, რატომ აუწია თავი და რატომ მიუტანა ყური პირთან. მომაკვდავი ძლივსღა ჩიფჩიფებდა. სისხლში ამოთხვროდა ხმა, მაგრამ ფარნაოზმა მაინც გაარჩია, მაინც გაიგო მისი უკანასკნელი სიტყვები. „ამაზე მეტს, რას მიზამდა მამაშენიო“ — ჩიფჩიფებდა იგი და მხოლოდ მაშინ იცნო ფარნაოზმა ფილამონე, კუსას მამა, მისი ძალად სიძე, საკუთარი ვნების სიფიცხითა და სითამამით სამუდამოდ დამფრთხალი და სამუდამოდ გადახვეწილი კაცი. „ფილამონე, ფილამონეო“ — ჩასძახა ფარნაოზმა არარაობას, რადგან ფილამონე უკვე მკვდარი იყო.

ფარნაოზს კიდევ დიდხანს ედო მკვდარი კაცის თავი კალთაში და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, სანამ გაკვირვებულმა მუშებმა ძალით არ მოაშორეს იქაურობას. ფარნაოზი ფილამონესაც ტიროდა და საკუთარ თავსაც, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უკანასკნელი თანამემამულე მოჰკვდომოდა და პირველად ახლა ეგრძნო უსამშობლობა, პირველად ახლა მიმხვდარიყო, რა ძნელი ასატანი იქნებოდა დაკარგული სამშობლოს მონატრება და თვითონაც ასე ამოხდებოდა სული, ერთ დღესაც ვეღარ გაძლებდა და მოკვდებოდა, როგორც ჩიტი კვდება ხოლმე ჰაერში, ფრენით დაღლილი და გამოფიტული სანამ ტოტამდე, ანდა სახურავამდე მიაღწევდეს. ფარნაოზმა ისიც იგრძნო. რომ მის მახსოვრობაში დაგროვილი საგნები და სახეები ათი წლით დაძველდნენ, ათი წლით დაბერდნენ და უხმო, უსიტყვო საყვედურით გამოხედეს. ღამით კი მამა დაესიზმრა. თავის სიცოცხლეში პირველად ნახა ფეხზე მდგარი მამა. ვითომ უხეირო მასთან შემოვიდა, ხელში ფერადი ძაფი ეჭირა და ეუბნებოდა, ძაფი მიწყდება და ვერაფრით ვე-

ღარ გადამიბიაო. „აღარ არის მამაჩემიო“ — ამ ფიქრით გაიღვიძა ფარნაოზმა. ეს სიზმარიც ბედისწერის მოგზავნილს გავდა, თუ უხეირო მართლა წაეყვანა სიკვდილს, მაშინ ფარნაოზი ვალდებულიც იყო, სამშობლოში დაბრუნებულიყო და უკაცო ოჯახისთვის მიეხედა. იმის შეგრძნებამ, რომ ვიღაცას ჭირდებოდა, ხალისი შემატა, თავისიანებზეც სხვანაირად ფიქრობდა: ვინ იცის, იქნებ ჭერი ჩამოენგრათო, ქალუკა დაბერდებოდა და მთელი საქმე პოპინას დააწვებოდა კისერზეო. კუსაზე კი არ იცოდა რა ეფიქრა და ამიტომაც ცდილობდა საერთოდ არ ეფიქრა მასზე. ან კუსა რა შუაში იყო, კუსას იმედით რატომ უნდა მიეგდო მამისეული სახლი? კეთილი უნდა ენება და ისე ეცხოვრა, როგორც მოეთხოვებოდა, როგორც შეეფერებოდა და როგორც სხვები ცხოვრობდნენ: დღევანდელის მორჩილებითა და ხვალის იმედით. ახლობელს მხარში ამოსდგომოდა, ავადმყოფისთვის ეზრუნა, სახურავზე კრამიტი გაესწორებინა, წყალი მოეზიდა, შეშა დაეჩეხა და პატიოსნად დაელია სული, როცა ამის დროც დადგებოდა. ის კი არა, ჩასვლისთანავე ცოლსაც შეირთავდა. თუნდაც იმიტომ, პოპინას მომხმარე რომ ყოლოდა, შვილებსაც გააჩენდა, რათა მათთვის გაეკეთებინა ის, რაც ინოსა და ცუგას ვერ გაუკეთა ბავშვობისა და გამოუცდელობის წყალობით. ეს იყო ცხოვრება, ამას ერქვა, მან კი, იქამდე ვერ გაიგო, იქამდე ვერ შეამჩნია, სანამ მის მკლავებში ფილამონემ უკანასკნელი სული სისხლს არ ამოაყოლა.

ამის მერე დიდი დრო არ გასულა და მისი მუყაითობით გაბოროტებული ქვისმთლელები სამუშაოდან მობრუნებულს სადგომში დახვდნენ, კარი მიუკეტეს, იატაკზე წამოაქციეს და ფეხებით შესდგნენ ზედ. ორი კვირა უგონოდ ეგდო ფარნაოზი, ორი კვირა სიკვდილი დაბზუოდა თავზე, მაგრამ ეტყობა, არ ეწერა ასე სიკვდილი. თვალი რომ გაახილა, სახელგანთქმული ათენელი მხატვრის, დედალუსის სახლში იყო, მაგრამ ესეც მერე გაიგო, როცა ლაბირინთში წამოჯდომა და ხელში კოვზის დაჭერა შესძლო.

— განა ადამიანს სამშობლო აქვსო? — ეკითხებოდა ხოლმე მის ფეხებთან ჩამომჯდარი დედალუსი, ვითომ ერთი წუთით რომ შემოდიოდა ავადმყოფის დასახედად, მაგრამ მერე ისე ერთობოდა ლაპარაკით, წასვლა ავიწყდებოდა. ცოლი კარში იდგა და ეძახდა, გეყოფა, ნუ დატანჯე ავადმყოფიო, შვილი იატაკზე იჯდა, ხელისგულზე ბუმბული ედო და დიდი, გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა მამას. ფარნაოზი კი, ღიმილით ებოდიშებოდა სამივეს, რადგან სამივენი ეცოდებოდა, თუმცა ვერ გაეგო, ვერ მიმხვდარიყო რა სჭირდათ მისი შესაცოდი. დედალუსი საშუალო სიმაღლის კაცი იყო, თმაში ჭაღარა გარეოდა, სახე ერთიანად დანაოჭებოდა, თუმცა არც იმდენი ხნისა იყო, ეს ნაოჭები სიბერის ბრალი რომ ყოფილიყო. სამაგიეროდ ისეთი ცოცხალი და მოუსვენარი თვალები ჰქონდა, თითქოს ეს წუთია გაახილა და ყველაფერი პირველად დაინახაო. თვითონაც მოუსვენარი იყო, თუ იჯდა, განუწყვეტლივ ცქმუტავდა, სიარულისას კი, იდაყვებში ოდნავ მოხრილი მკლავები განზე ეწეოდა, როგორც მიწაზე გარბენილ ფრინველს — ფრთები. ლაპარაკი რომ არ ყვარებოდა, ალბათ, ერთი წუთითაც არ გაჩერდებოდა, სულ ივლიდა და ივლიდა, მაგრამ იმდენი რამე იცოდა, იმდენი რამე აწუხებდა, ყველანი გაებეზრებინა ლაპარაკით, ყველანი ერიდებოდნენ, მას კი მსმენელი ისევე ჭირდებოდა, როგორც ნაყოფით დახუნძლულ ხეხილს — ბიჯგი. არც ღამით ჰქონდა მოსვენება, რადგან ძილშიც ეკამათებოდა, ძილშიც ებრძოდა და უყვიროდა ვიღაცას. ფარნაოზიც სწორედ მისმა ყვირილმა გამოაფხიზლა და ორკვირიანი სიკვდილიდან ისევ ამ ქვეყანაზე გამოათრია. ფარნაოზს ბევრი არაფერი გაეგებოდა დე-

ლალუსის ნალაპარაკევიდან, ბევრს საერთოდ მის უცნაურობას აწერდა, მაგრამ ყოველთვის გულისყურით უსმენდა, მასაც გადაედებოდა ხოლმე მოსაუბრის მღელვარება და, რაღაც იდუმალის, შეუღწეველისა და დიადის კარიბჭესთან მისულს, დღემდე განუცდელი ნეტარება ეუფლებოდა. ნეტარების ბურანში მყოფს, მართლა სჯეროდა, ქანდაკება როდისმე რომ გაივლიდა, ანდა ერთ მშვენიერ დღეს, პირს გააღებდა და იტყოდა: გამარჯობათ, როგორ ბრძანდებითო.

— სამშობლო, სამშობლო,—ამბობდა დედალუსი. — ყველა სამშობლოს ეძებს. ჩვენ ხომ ბრმად და გულუბრყვილოდ ვიწყებთ ცხოვრებას და მერე, როცა გონებაში ვვარდებით, როცა საბოლოოდ გვეხილება თვალი, აღარ მოგვწონს იგი, გვეშინია მისი და მხოლოდ მაშინ გვახსენდება სამშობლო, მაგრამ უკან დაბრუნება შეუძლებელია, რადგან აღარ გვახსოვს, სად დაიწყო ჩვენი ცხოვრება, რომელიც საერთო ცხოვრებაში ათქვეფილა და აღარც დასაწყისი აქვს, აღარც დასასრული. ჩვენც თავგზა აგვბნევია უსასრულო ტალანებში ხეტიალით და ჩვენი სურვილისამებრ კი არ ვმოძრაობთ, არამედ მოძრაობის აუცილებლობა გვერეკება თავის ნებაზე. ხოლო მოძრაობის აუცილებლობას შიშისა და უმწეობის ნათესლარი იწვევს. რომელსაც იმედი ჰქვია. იმედი თავის მართლებაცაა და მოტყუებაც. ერთიცა და მეორეც დიდი ვერაფერი შვილია და ვერც ვერაფერში გვეხმარება, უბრალოდ ახანგრძლივებს, ჩვენთვისაც მეტნაკლებად ასატანს ხდის თავის მშობლებს: შიშსა და უმწეობას. თუმცა არა, იმედი დაულეველი საბადოცაა იმ ჯანისა, რომელსაც ტალანებში უთავბოლო ხეტიალისას ვხარჯავთ. რითი მთავრდება ჩვენი ხეტიალი? არაფრითაც არ მთავრდება, არც თავი აქვს და არც ბოლო, მისი თავი იგივე ბოლოა, ხოლო ბოლო — იგივე თავი.

ფარნაოზმა ფეხზე წამოდგომა რომ შეძლო, მათმა საუბრებმა ეზოში გადაინაცვლეს. ეზო ქანდაკებებით იყო სავსე, ლეღვისა და ბროწეულის ხეებში ჩადგმული ქანდაკებები მართლა ცოცხლებს გავდნენ. ფარნაოზს უყვარდა მათი ყურება, საათობით იჯდა სისუსტისგან თავბრუდახვეული და ხედავდა, ესმოდა, გრძნობდა, როგორ ფეთქავდა და ფაჩუნობდა მზეზე გამთბარი მარმარილო.

— ჩემი შვილისა არ იყოს, ეგენიც კუტები არიანო. — ისეთი ხმით იტყოდა ხოლმე დედალუსი, ფარნაოზს ენა მუცელში უვარდებოდა. ან რა უნდა ეთქვა, რითი ენუგეშებინა ეს უბადლო მოქანდაკე და უბედური მამა, შურიანსა და დამცინავ ღმერთებს კუტი შვილით რომ დაეჯილდოებინათ, ტყუილად გვეჯიბრები, ტყუილად მისდევ ჩვენს ხელობას, რადგან როგორც არ უნდა მოინდომო, შენი ნაშიერი მაინც მიწის მატლია და მაინც მიწაზე უნდა იღოღიალოსო. ამას დედალუსიც ხვდებოდა, გაქვავებული თესლი აწუხებდა, ასევდიანებდა და აბობოქრებდა კიდეც. ერთ წუთას რომ სინანულით იტყოდა, ჩემი ქანდაკებები ლამაზები არიან, მაგრამ წყლის მოწოდებაც არ შეუძლიათო, უცებ ისე განრისხდებოდა, მზად იყო ჩაქუჩით დაემსხვრია, მტვრად ექცია ყველაფერი, თუკი ფეხს არ აიდგამდნენ, თუკი უარესად განუმტკიცებდნენ რწმენას, რომ მისი შვილიც, მისი დიდთვალება იკაროსიც, სამუდამოდ ასე უნდა ყოფილიყო იატაკზე მიჯაჭვული, როგორც წვიმისთვის შედგმული ჯამი, და ასე წვეთწვეთობით უნდა ავსებულიყო წვიმით, წვიმით კი არა, ცით, ლუკმა-ლუკმა, დაქუცმაცებული რომ ჩამოჰქონდა წვიმას გაბზარული ჭერიდან. „არა, მაინც არ მოვისვენებ, მაინც არ გავჩერდები, ფრთებს გამოვიბამ და შვილიანად გავფრინდებიო“, — ყვიროდა ხოლმე დედალუსი და ისე დაწრიალებდა ეზოში, თითქოს მართლა უნდა აფრენილიყო, თითქოს მართლა გამობმოდა ფრთები. ფარნაოზს ეცოდებოდა

ეგობარი, რომელსაც ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცაღა დარჩენოდა იმედად. ამ იმედით ცხოვრობდა, ამ იმედს აღვივებდა და ანმტკიცებდა თავისი გაუთავებელი საუბრებით, მაგრამ ფარნაოზს ხანდახან ეჭვიც გაჰკრავდა ხოლმე, შემაწუხებელი ეჭვი, ცოტას ხომ არ ურევსო, ისე უჭირდა მოსიარულე ქანდაკებისა და მფრინავი კაცის წარმოდგენა. დედალუსი კი თავისას იმეორებდა: უნდა გავფრინდე, უნდა გავფრინდე, უნდა გავფრინდეო, და ხეებს შორის გამოჭყეტილ ქანდაკებებს ისე აუქნევდა ხოლმე ხელს, თითქოს ისინი სიტყვას შეაწყვეტინებდნენ, ანდა ფეხებში ჩააფრინდებოდნენ და არ დაანებებდნენ გაფრენას. ფარნაოზს იკაროსი ედგა თვალწინ, ხელისგულზე დადებულ ბუმბულს სულს რომ უბერავდა და მერე აღტაცებული აჰყურებდა, როგორ დასრიალებდა იგი ჰაერში. უნებურად თვითონაც მაღლა იხედებოდა, ცისკენ, მაგრამ ცა აღარ ჩანდა, მწუხრის დაძენძილ ღრუბლებს ერთიანად დაეფარათ. მერე კარგახანს დუმდნენ ორივენი, თითქოს, რადგან ცა აღარ ჩანდა, არც ფრენაზე ლაპარაკს ჰქონდა აზრი. მიწაზეც ბნელდებოდა, ქანდაკებების ნაცვლად, აქა-იქ მონაცრისფრო ლაქებიღა ჩანდა.

— ეხ, ფარნაოზ, ფარნაოზ, როგორ გიშველო, მეგობაროო. — ბოლოს ისევ დედალუსი დაარღვევდა დუმილს და ეს მათი იმდღევანდელი საუბრის დამთავრებასაც ნიშნავდა.

ფარნაოზს უსიამოდ გააჟრჟოლებდა ხოლმე ტანში, და ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს მისანს თავისებურად, მიკიბულ-მოკიბულად მიენიშნებინა იმ დიდ განსაცდელზე, რომელიც ადრე თუ გვიან თავზე უნდა დასტყდომოდა.

სახლში გამეფებული სიმყუდროე დედალუსსაც მაშინვე ამშვიდებდა. ჩვეულებრივი მეოჯახე კაცივით ასწორებდა ამოვარდნილ ფილაქანს, ჭრაქში იხედებოდა, ზეთი ხომ არ გამოლეულაო და თვალდახუჭული ყნოსავდა ჰაერს, აბა, თუ გამოვიცნობ, დღეს ვახშმად რა მოგვიმზადა ჩემმა ცოლმაო. მისი ცოლი ფანჯარასთან იჯდა და ქსოვდა, ყველებს რომ დაინახავდა, საქსოვს მაშინვე გვერდზე გადადებდა და ღიმილით წამოუდგებოდა, თითქოს აქ, ჩემს სამფლობელოში ნურაფრის დარდი ნუ გექნებათო. მერე ბავშვს გასძახებდა, მამა მოვიდაო, თუმცა იკაროსს უკვე თავადაც დაენახა მამამისი და გაჩქარებული მოჩოჩავდა მისკენ, რათა ფეხებზე შემოხვეოდა და შავი, ალაპლაპებული თვალებით აეხედა, თითქოს მამამისი ნატვრის ხე იყო და კენწეროზე მისი საოცნებო ნაყოფი ეკიდა. „ჩემი შვილი კუტია, კარებს უკან კუნტიაო“—ამბობდა დედალუსი და ბედნიერებისგან ათრთოლებულ ბავშვს ქეჩოს ფხანდა, როგორც პატრონი შემოგებებულ ძაღლს. ფარნაოზს ცრემლი ყელში ებჯინებოდა და გუნებაში ერთხელ კიდევ დებდა პირობას, სულ ხელით უნდა ვატარო, ყველაფერი უნდა ვაჩვენო, არაფერზე არ უნდა დავწყვიტო გულიო, თუმცა ისიც ვერ გაებედა, მისულიყო და მასაც გადაესვა თავზე ხელი. არც უფლება ჰქონდა ჩარეულიყო მამაშვილის ამ უცნაურ გასაუბრებაში. მამაშვილს სიტყვის უთქმელად ესმოდათ ერთმანეთის და ალალბედზე, დაუფიქრებლად, გუმანის კარნახით ზუსტად იმ მოძრაობებს აკეთებდნენ, რაც იმ კვერცხის გამოსატეხად იყო საჭირო, საიდანაც მათი წილი, მხოლოდ მათი სამყოფი სიხარული უნდა გამოჩეკილიყო, როგორც ოქროსფერი წიწილა.

„შენამც ქცეულხარ მწყერადაო, ქორმიმინოს შესაჭმელადაო“ — როდისროდის ჩაესმებოდა ხოლმე ფარნაოზს დედალუსის ხმა, შვილის გვერდით რომ მოკალათებულიყო იატაკზე და ზღაპარს უყვებოდა. ცოლი ისევ ფანჯარასთან იჯდა, გაღიმებული ქსოვდა, ქმარ შვილისკენ არც იყურებოდა და ამბობდა, ჯერ გეჭამათ რამეო.

ასე ცხოვრობდა ფარნაოზი, სანამ სამშობლოში დაბრუნების ნებართვას

მიიღებდა. სადგომში აღარ მიბრუნებულა, ერიდებოდა ორმოციათასი ძმისაქვის ხარხარით დაყრუებული და ქვის მტვრით დაბრმავებული მრისხანებისა, რომელსაც თავისი მსგავსი სასიკვდილოდ გაემეტებინა, თავისი მეორმოცეათასედი ნაწილი. დაჩეჩქვილი სხეული ჯერ კიდევ აწუხებდა, მაგრამ იმდენი მაინც შეეძლო, დედალუსს მიხმარებოდა რამეში, ფუნჯები გაერეცხა, საღებავი გაეხსნა, ან კიბე მაინც დაეჭირა მისთვის. დედალუსი ახალ სასახლეში მინოსის ქალიშვილის, არიადნეს საცეკვაო დარბაზს ხატავდა.

— როცა ამ ოთახში შემოვდივარ, — ეუბნებოდა დედალუსი. — პატარა გოგოს მეტს ვეღარაფერს ვხედავ. ის შუა ოთახში დგას, თავსზევით ბროწეულის ტოტი უჭირავს და ცეკვავს. კი არ ცეკვავს, ბზრიალებს, ბზრიალებს, სანამ აფრინდებაო.

მართლაც ყველაფერი ბზრიალებდა, ყველაფერი დაფრინავდა, რაც კი მხატვრის ფუნჯს კედლებზე მიეხატა. ერთ დღეს კი, ის პატარა გოგოც შემოიყვანეს ძიძა-გადიებმა ამ ოთახში. გოგოს სალოკი თითი პირში ჩაედო და გაოცებული, ოდნავ დამფრთხალი ათვალიერებდა კედელზე მიხატულ ათასნაირ თევზსა თუ ვარსკვლავს, აყვავებული ბროწეულის ჭალასა თუ გოგონების ფერხულს, ჩიტებზე მონადირე კატასა თუ მინდვრის ყვავილებს, მათაც რომ ფრთები გამოებათ ფოთლების ნაცვლად. პატარა გოგოს ისეთი სახე ედო, თითქოს გული წყდებოდა, ჩიტივით თვითონაც რომ არ იყო ჩიხატული კედელზე. ის ყველაზე დიდი მეფის ქალიშვილი იყო, მაგრამ მაინც ეშინოდა ბავშვობიდან გამოსვლა, ძიძა-გადიების თავგამოდებული მეცადინეობის მიუხედავად, მაინც ეწინააღმდეგებოდა მისი არსება ბუნებას და ცამეტი წლის გოგო ექვსი წლისას გავდა, თითქოს გული უგრძნობდა, რა უცნაური, რა შემზარავი თავგადასავალი ელოდებოდა ბავშვობის იქით. მაგრამ ორ წელიწადში ერთბაშად უნდა აღედგინა დანაკარგი და დაუფიქრებლად შეეცურა დამღუპველი ვნებისა და ცოდვის ზღვაში. ორი წლის მერე ის უკვე მოტყუებული, მიტოვებული და გაწბილებული ქალი იქნებოდა, რადგან მამისა და უცხო ყმაწვილს შორის ისიც ისეთ არჩევანს ვააკეთებდა, როგორი არჩევანიც, მისმა სულიერმა დამ, მედეამ გააკეთა ერთხელ. ისიც დიდი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი და ამიტომაც უნდა დალუპულიყო, ლეგენდად ქცეულიყო, გამონაკლისად, იშვიათობად, თავისი ვნების სითამამითა და თავგანწირვის ბუნებრიობით. ორი წლის მერე ამ დარბაზში შემოვარდებოდა და ასევე გაოცებული, დამფრთხალი, დარცხვენილი მიაშტერდებოდა მოხატულ კედლებს, რადგან ამ კედლებიდან მაცქერალმა ქვეყანამ გააბრიყვა იგი, დაარწმუნა, მასაც რომ შეეძლო გაფრენა. მაინც გაუჭირდებოდა საწინააღმდეგოს დაჯერება და ფეხშიშველი, სისხლიანი პერანგის ამარა, შუა ოთახში დაიწყებდა ტრიალს და იქამდე იტრიალებდა, სანამ გონწასული ფილაქანზე არ დაენარცხებოდა. მასთან ერთად დაბზრიალებული კედლებიც თანდათან დამშვიდდებოდნენ და ისევ ჩადგებოდნენ მარადიული უძრაობის ტყვეობაში.

ბოლოს და ბოლოს ნანატრი დღეც დადგა და დედალუსმა საკუთარი ხელით გადასცა ფარნაოზს თიხის თხელი ფირფიტა. რომელზედაც გარკვევით ეწერა, რომ ის, ვანელი ხელოსანი, ფარნაოზი, უხეიროს ძე, თავისუფალი იყო და შეეძლო დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში. „ვუტირეთ თუ არა დედაო“ — წარამარა გაიძახოდა დედალუსი, მაგრამ ფარნაოზს რომ შეხედა, თვითონაც ფრთები ჩამოყარა, მოიწყინა და კარგახნის დუმილის შემდეგ, სამძიმარზე მოსული კაცივით, ჩაიბურდღუნა: ასეა, ძმაო, ყველას თავისი გზა ელოდება და ყველამ მარტომ უნდა გაიაროს იგიო.

ფარნაოზი მოუთმენლად ელოდებოდა ამ დღეს, მაგრამ ახლა გაწბილების მაგ-

ვარი გრძნობა დაუფლებოდა. კი ეუბნებოდნენ, საითაც გინდა იქით წაბრძანდი, თავისუფალი ხარო, მაგრამ რა გორც არ უნდა ცდილიყო, ვერც თავისუფლების შეგრძნებას ახერხებდა და ვერც წარმოდგენას. ყოველ განვლილ დღეს სამუდამოდ წაეღო რაღაც ნაწილი მისი არსებისა და ისე გაეღარიბებინა. გახრიოკებული გზის მეტი მართლაც აღარაფერი შერჩენოდა. ამ გზაზე კი, ფარნაოზს უკვე იმდენჯერ გაევლო, ვეღარც გრძნობდა მის არსებობას. განა ვანში დაბრუნებით რამე შეიცვლებოდა, განა ეს გზაც თან არ უნდა წაეღო, პატარა, ნაცრისფერი, მოუკირწყლავი და ერთი და იგივე გზა, რომელზედაც ყოველთვის ერთი და იგივე კაცი მიდიოდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, ამ გზის გადაადგილებას, თუკი თვითონ ვერ შეიცვლებოდა, ვერ შესძლებდა სხვანაირად ცხოვრებას. ფარნაოზს რომ „სხვანაირად ცხოვრება“ შესძლებოდა, მაშინ საერთოდ თავიდან უნდა გაჩენილიყო, სხვა ქალს უნდა ეშობა, სხვა მიწაზე, სულ სხვა ვარსკვლავების ქვეშ და სხვანაირი მამა უნდა დახვედროდა იმ ძნელად შესაღებ კარს იქით, რომელიც არა მარტო მისი ჩასახვის, არამედ მისი მომავალი ცხოვრების საიდუმლოსაც მალავდა. ეს პატარა ფირფიტა, რომელზედაც გარკვევით დაეწერათ, რომ ვანელი ხელოსანი, ფარნაოზი, უხეიროს ძე, დღეიდან თავისუფალია, ვერაფერს შეცვლიდა. ეს ფირფიტა კისერზე უნდა ჩამოეკიდა, გამოეკრა ბოხჩაში შინაურებისთვის ნაყიდი საჩუქრები, ის ორიოდე გროშიც. რისი გადანახვაც მოეხერხებინა და ერთხელ კიდევ დასდგომოდა გზას. მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. კნოსის ნავსადგური ჩვეულებისამებრ გაძეძგილი იყო ხომალდებით, მაგრამ, თითქოს პირი შეუკრავთო, არცერთი არ მიდიოდა კოლხეთისკენ. მთელი დღე წვლში გაწყდნენ ისა და დედალუსი, რომელ ხომალდს არ ასძახეს, საით მიდიხართ, ერთ კაცს ხომ არ წაიყვანთო, მაგრამ ამაოდ. ხომალდის მოაჯირებზე გადმომდგარი მეზღვაურები, რატომღაც, ყველანი ერთნაირად ლაზღანდარობის გუნებაზე იყვნენ და უარესად უბნევდნენ გზაკვალს ისედაც გამწარებულსა და არაქათგამოცლილ მეგობრებს, ხან საით აგზავნიდნენ და ხან საით, ერთმა ისიც უთხრათ, ვანში რა გინდათ, ბაყაყები ხომ არა ხართო.

ფარნაოზს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, უკან არ დაბრუნებულიყო. ფეხი არ მოეცვალა ნავსადგურიდან, რა მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს აიყვანდნენ ხომალდზე თუ ხვალ, ის უკვე მგზავრი იყო, უსახლკარო და ახლა მხოლოდ იმაზე უნდა ეფიქრა, როგორ გაეღწია აქედან. დედალუსს უჭირდა მეგობრის მიტოვება, მაგრამ აღარც აქ მოცდას ჰქონდა აზრი. ისინი ხელს უფრო უშლიდნენ ერთმანეთს, ვიდრე ეხმარებოდნენ, რადგან უკვე გათიშულიყვნენ. უკვე სხვადასხვა ქვეყნის ბინადრები იყვნენ და უკვე შესჩვეოდნენ კიდეც უერთმანეთობას. ახლა იძულებით იყვნენ ერთად, რადგან ერთს წასასვლელი ჰქონდა, მეორეს კი არა. ამას თვითონაც გრძნობდნენ და უარესად ღიზიანდებოდნენ, ბრაზობდნენ და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ სახეზე. „ასე როგორ შეიძლება, ჯერ უნდა გაგვეგო და ისე გამოვსულიყავით ნავსადგურშიო“— ბუზღუნებდა დედალუსი. ფარნაოზი კი, დარწმუნებული იყო, მეგობარი უშლიდა ხელს, მეზღვაურებს მისი დაბნეული ლაპარაკი აყენებდა ლაზღანდარობის გუნებაზე და იმიტომ დაატარებდნენ აქეთ-იქით. „თუ ასეა, სულ წავალო“— გაბრაზდა დედალუსი, მაგრამ წასვლამდე მაინც გაუღიმა, მაინც ჩამოადო მხარზე ხელი და ყალბი, არაბუნებრივი ხმით უთხრა: არ გემშვიდობები, რადგან დარწმუნებული ვარ, დღეს საღამოს კიდევ შევხვდებით ერთმანეთსო. მერე გაიცინა და დაამატა: ბოლოს და ბოლოს, გაგიკეთებ ფრთებს და თვალის დახამხამებაში გადაგაფრენ შენს კოლხეთშიო. ფარნაოზსაც უნდოდა რამე

ეთქვა გამომშვიდობებისას, მადლობა მაინც გადაეხადა, მაგრამ კრიჭა შეკრული იდგა და უყურებდა, იდაყვებით როგორ მიიკვლევდა ხალხში გზას სახელგანთქმული ათენელი მხატვარი, კუტი შვილის მამა და გამოუსწორებელი მეოცნებე, იმ დღეს ბევრი ხომალდი გავიდა ნავსადგურიდან, მაგრამ ფარნაოზისთვის არცერთზე არ აღმოჩნდა ადგილი. თანდათან ხალხიც გაიკრიფა, ნავსადგური ჩაწყნარდა და ბინდში ჩაიკარგა. ატორტმანებული ხომალდებიც უზარმაზარ ჩრდილებად იქცნენ და ერთმანეთს გადაებნენ. ზღვა გაუბედავად მოეტყლაშუნა ნაპირს. ცარიელ ბაქანზე ძაღლმა გაირბინა, გაჭყლეტილი მსხალი დაყნოსა და გზა გააგრძელა. მერე შორიდან მთვრალების სიმღერა მოისმა და ფარნაოზი მიხვდა, უკვე შუაღამეც გადასულიყო. ზღვიდან ცივმა ქარმა დაუბერა და ბოლის სუნი მოიყოლა. რომელიღაც ხომალდზე მეზღვაურებს ცეცხლი დაენთოთ. ფარნაოზს დაღლილობისაგან თავბრუ ესხმოდა, შიმშილისაგან გულმუცელი უყმუოდა და სიცივისგან კბილს კბილზე აცემინებდა, მაგრამ მაინც ვერ გაებედა ნავსადგურიდან გამოსვლა, ხალხის ეშინოდა, რადგან აქაურობისთვის უკვე ძალიან უცხო იყო, იმდენად უცხო, ეგონა, ყველა შეამჩნევდა და ერთ ამბავს ასტეხდა, ამას აქ რა უნდაო. ფარნაოზმა ისევ დაინახა ძაღლი, უკანვე მოძუნძულებდა და ისევ გულმოდგინედ ყნოსავდა ფილაქანს, ჩამოვლისას რამე ხომ არ გამომრჩენიაო. ისევ შეჩერდა გაჭყლეტილ მსხალთანაც მაგრამ არც ამჯერად დაუკარებია პირი. ფარნაოზი მსხალს ვეღარ ხედავდა, მაგრამ ახსოვდა, სადაც ეგდო. „ცუგა, ცუგაო“ — დაუძახა ფარნაოზმა ძაღლს. ძაღლმა გამოხედა და ასე, კისერმოქცეული, გვერდულად გაიქცა. გათენების მოლოდინში ფარნაოზმა კიდევ დიდხანს იწრიალა, მაგრამ ცას ისე მაგრად მოეკუმა პირი, ციაგს არ ატარებდა. ფარნაოზი კასრებს უკან გადაძვრა, ბოხჩა გულში ჩაიხუტა და მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა. პირველად მთვრალებმა გაიღვიძეს. მთვრალები ნავსადგურში მოდიოდნენ. ხელში კეტები ეჭირათ და რაც კი რამე შეხვდებოდათ გზაზე, გამეტებით უბრახუნებდნენ. ნავსადგურის ყველა კუთხეკუნჭული ათასნაირად გლეჯდა და იმეორებდა ამ საზარელ ხმას. ფარნაოზი უცებ ვერ გამოერკვა ძილიდან, ეჭვიც არ შეჰპარვია, ეს მთვრალები მის საძებრად რომ გამოსულიყვნენ ნავსადგურში და თუ მიაგნებდნენ, კეტებით გაჩეჩქვავდნენ, მსხალივით. გაუნძრევლად იწვა და ისიც ვერ გაებედა, კასრებს შორის გამოეჭყიტა. მთვრალებმა რომ ჩაიარეს, ფარნაოზს ისევ ჩაეძინა, ხოლო როცა მეორედ გამოეღვიძა, უკვე კარგად გათენებულიყო და ნავსადგურში ჩვეულებრივი ბზუილი იდგა. ახლა ამან დააფრთხო, შეუმჩნეველად როგორ გამოვძვრე კასრებიდანო, არა და, მთელი დღე აქ ხომ არ დარჩებოდა?! ფეხზე რომ წამოდგა, მთელი ტანით ასცდა კასრებს, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია, მან კი მაშინვე დედალუსი დაინახა. დედალუსი წუხანდელი ძაღლივით წინდაუკან დარბოდა და გაფაციცებული ათვალიერებდა ხალხს. ფარნაოზს დაეძებდა, ფარნაოზის გულისთვის გამოსულიყო შინიდან. მისი ავანჩავანის გასაგებად. ეს კი ბევრს ნიშნავდა გზაზე დამდგარი კაცისთვის, ძალიან ბევრს, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ის მარტო აღარ იყო და აღარც ნავსადგური ჩანდა უცხო და საშიში. ფარნაოზი მზად იყო, მიეყარმოეყარა მის გარშემო დახვავებული კასრები, გაერღვია, გაეპო აფუსფუსებული ხალხი და გულში ჩაეხუტა, არა, ფეხებში ჩავარდნოდა მეგობარს, ხელებით რომ ხატავდა ჰაერში, ასეთი და ასეთი კაცი ხომ არ გინახავთო. მაგრამ არავის არ ესმოდა მისი, ყველა მხრებს იჩეჩავდა და თავის საქმეზე გარბოდა. მარტო ფარნაოზი ცნობდა მისი მოუსვენარი ხელებით ჰაერში გამოსახულ კაცს და აფორიაქებული გუ-

ლი გაურკვეველი, თითქმის ბავშვური სევდითა და სიამაყით ევსებოდა. ფარნაოზმა მაინც თავი შეიკავა და როცა დედალუსმა შემთხვევით მისკენ გამოიხედა, ისევ კასრებში ჩაჯდა და სანამ დედალუსმა ნავსადგური არ მიატოვა, თავი აღარ ამოუყვია. დედალუსმა კიდევ დიდხანს იტრიალა აჟრიამულებულ ნავსადგურში, ეტყობა, სარწმუნო ვერაფერი გაიგო, მაგრამ არც ფარნაოზი დახვედრია აქ. რას იფიქრებდა, რომ მისი ყურადღებითა და ერთგულებით გულაჩუყებული ფარნაოზი კასრებს უკან იჯდა და ბოხჩას კბენდა, ტირილი რომ შეეკავებინა.

ის დღეც უშედეგოდ დამთავრდა. ერთადერთი, რისი გაგებაც ფარნაოზმა შეძლო, ის იყო, რომ ვანის ხომალდები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ და ღმერთმა იცოდა, როდის მოვიდოდნენ, ან მოვიდოდნენ თუ არა საერთოდ, რადგან მეზღვაურებს წინასწარ არაფრის თქმა არ უყვარდათ. „როგორც პოსეიდონს მოეპრიანება, ისე იქნებაო" — უთხრეს ფარნაოზს.

ისევ ჩაკვდა ჟრიამული ნავსადგურში, ისევ გაუკაცრიელდა იქაურობა და ფარნაოზმა ისევ დაინახა გაჩეჩქვილი მსხალი. მსხალს ჭიანჭველები დასეოდნენ. ახლა ძაღლსაც უნდა ჩამოეევლო და ფარნაოზი მოლოდინად იქცა. მაგრამ იმ დღეს ძაღლი აღარ გამოჩენილა. „მე შევაშინეო" — ფიქრობდა ფარნაოზი. მზე უკვე ჩასულიყო და ალისფერი, მიწისფერი, ბოლისფერი და შავი ღრუბლები ერთმანეთისკენ მიისწრაფოდნენ, თითქოს უმზეო ცაზე მარტო დარჩენისა ეშინოდათ.

ფარნაოზს ხემსი არ ჩაუდია, თუმცა შიმშილს აღარ გრძნობდა. წყალი კი, რამდენჯერმე დალია და პირიც რამდენჯერმე დაიბანა, რადგან მთელი დღე აუტანლად ცხელოდა ნავსადგურში. ეს იყო და ეს, რაც იმ დღიდან დაამახსოვრდა ფარნაოზს. ნავსადგურიდან გამოსვლა ვერც იმ ღამეს გაბედა, თუმცა შეეძლო, ასე თუ ისე, ადამიანურად მოესვენა რომელიმე იაფფასიან სასტუმროში, ნავსადგურის გარშემო სოკოებივით რომ გამრავლებულიყვნენ და სოკოებივით ნესტისა და ობის სუნით ყარდნენ. ფარნაოზს ფული ჰქონდა, კასრებს უკან ფილაქანზე გდებას ისევ ბინძურ სასტუმროში ყოფნა ერჩია, თავის მისადები მაინც ექნებოდა და არც ასე გაითოშებოდა, მაგრამ გაუცხოვების გრძნობა აკავებდა, ეს გრძნობა ნავსადგურში გამოსვლისთანავე უარესად გამძაფრებოდა და, მისი აზრით, სადაც არ უნდა შესულიყო, ყველგან ზედმეტი იქნებოდა, რაიმე გაუგებრობის მიზეზი გახდებოდა, მის ფულს ზედაც არ დახედავდნენ და ეტყოდნენ, შენთვის არც ადგილი გვაქვს და არც საჭმელიო, ანდა, თუ არაფერს ეტყოდნენ, აგრძნობინებდნენ მაინც.

მესამე ღამეს შიმშილმა და დაღლილობამ თავისი გაიტანა და ისიც იძულებული გახდა, პირველსავე სასტუმროში შესულიყო. სასტუმროს პატრონი ჩია, მელოტი და ცალთვალზე ლიბრგადაკრული კაცი იყო, ხელში ფული რომ დაუნახა სტუმარს, ძველი ნაცნობივით შეჰღიმილა და გრძელი, დალაქავებული მაგიდის ბოლოში დასვა. მაგიდა მართლაც გრძელი იყო, ცხენი გაჭენდებოდა ზედ. მაგიდის თავში სამნი ისხდნენ, ხელადით ღვინო ედგათ და კამათელს თამაშობდნენ. ფარნაოზის შემოსვლა არც გაუგიათ და ფარნაოზმა შვებით ამოისუნთქა, პირველმა მღელვარებამ და დაძაბულობამ გაუარა, მაგრამ ახლა იმან შეაწუხა, ყველას დასანახად რომ წამოჭიმულიყო თითქმის ცარიელი მაგიდის ბოლოში. სანამ მაგიდასთან იჯდა, ვერ მოიშორა ეს უსიამო შეგრძნება, ავს რომ პირდებოდა, მაგრამ არ აყენებდა საშველს დანაპირების შესრულებას. ამოდენა ოთახში მხოლოდ კამათლების ჩხრიალი ისმოდა. ფარნაოზი ცდილობდა, არ გაეხედა მოთამაშეებისკენ, მაგრამ სიცარიელით დამფრთხალი თვალი უნებურად მაინც იქით-

კენ გაურბოდა. შერე კრაზანა დაინ-ახა. კრაზანა ოთახიდან გასასვლელს დაეძებდა და ისეთი გამეტებით ენარ-ცხებოდა კედლებს, საკვირველი იყო, სული როგორღა ედგა. სასტუმროს პატრონმა შემწვარი ხორცი, მოხარშული წაბლი და ღვინო მოუტანა, მაგიდა ხელის ერთ დადებაზე მოასუფთავა და ჰკითხა: სადაური ხარო. „კოლხი ვარ, ვანელიო“ — განგებ ხმამაღლა უპასუხა ფარნაოზმა და თამამად, თა-მამად კი არა, უტიფრად გახედა მოთა-მაშეებს, თითქოს სასტუმროს პატრონი იმათ გამოეგზავნათ, ერთი გაგვიგე, სადაურია ეგ კაციო. სამი დღის ნაშიმ-შილებს, კრიჭა ისე შეჰკვროდა, ხორ-ცის ჩაყლაპვა გაუჭირდა. დიდხანს ღე-ჭა და აცოდვილა ლუკმა და როგორც იქნა ჩაყლაპა, უფრო სწორედ, ღვინოს ჩაატანინა. წაბლი კი ესიამოვნა, ჯერ კიდევ თბილი იყო და პირში თავი-სით იფშვნებოდა. მოხარშულ წაბლს ღვინოს აყოლებდა და ფიქრობდა: ახ-ლა ის უპატრონო ძაღლი გაჩეჩქვილ მსხალს ყნოსავსო. მისი გამოუძინარი სხეული ადვილად ნებდებოდა ღვინის მათრობელა ძალას და სასიამოვნო მო-თენთილობითა და მოახლოებული ძი-ლის ბურანით ივსებოდა, როგორც ცხელი აბაზანის შემდეგ. ვერც კი გაი-გო, როდის გაივსო და ახმაურდა ოთა-ხი ასე. ცოტა რომ გამოერკვა, მაგიდის გარშემო ახორხოცებული ხალხი მოგ-როვილიყო, უბრალო განძრევაც კი ჭირდა, თითქოს ამოდენა ხალხი ცხე-ლი და ოფლიანი მხრებით ერთმანეთს მისწებებიაო. ოთახში ბუღი იდგა. ფარნაოზმა მაგიდის თავს გახედა, მაგ-რამ ვერ გაარჩია, ისევ მოთამაშეები ისხდნენ იქ თუ სხვები. ჭამდნენ, სვამ-დნენ და ხორხოცობდნენ, ფარნაოზს ვერცკი ამჩნევდნენ, მაგრამ ფარნაოზი მაინც ზედმეტი იყო, მაინც სხვის ადგილს იკავებდა და, ის რომ არ ყო-ფილიყო, ალბათ, უფრო ხალვათადაც ისხდებოდნენ. ფარნაოზმა ძლივს მო-იწვდინა ბოხჩა, ვილაცის ფეხს მაგიდის ქვეშ რომ შეეჩოჩებინა, ძლივს აწყაც-ტა მხრები თანამეინახეებს, ძლივს მო-ნახა სასტუმროს პატრონი და ლამის უკვე მძინარემ ძლივს გააგებინა, მო-მასვენე სადმეო. სასტუმროს პატრონმა კიბეზე აიყვანა, ბნელი, მტვრისა და ნესტის სუნით დავიწროებული დე-რეფანი გაატარა და პირველივე კარი მუხლით შეაღო. „დაწექი, სადაც გინ-დაო“ — დაუბარა სასტუმროს პატ-რონმა და კარი გამოუხურა. ოთახში ერთი საწოლი იდგა, მაგრამ ათი კაცი თავისუფლად დაეტეოდა ზედ. პატარა, თითქმის ჭერთან გაჭრილი სარკმლიდან ჯერ კიდევ შემოდიოდა მკრთალი სი-ნათლე და ამ სინათლეში, გაურანდავი ფიცრის საწოლი ნეტარების კუნძული-ვით ლიცლიცებდა. ფარნაოზმა ბოხჩა საწოლზე ისროლა და თვითონაც უკან მიჰყვა. ბოხჩაზე თავმიდებულს, ცოტა ხანს კიდევ ესმოდა ქვედა სართული-დან ამომავალი ყაყანი.

ფარნაოზი სიჩუმემ გამოაღვიძა, სი-ჩუმემ და უსიამო შეგრძნებამ, თითქოს სახეზე ვირთხა გადააცოცდაო, პატარა, ხავერდოვანი ფეხებით. მის გვერდით ვილაც იწვა. „მკვდარიაო“ — რატომ-ღაც გაიფიქრა ფარნაოზმა და თავზარ-დაცემული წამოჯდა. გული ხმამაღლა უცემდა, გამალებით. საწოლზე ქალი იწვა, კი არ იწვა, მართლა მკვდარივით ეგდო, ეგ იყო, რომ ქსუტუნებდა, კბი-ლები დაეკრიჭა და ნახევრად ღია ქუ-თუთოებიდან თეთრი გუგები მოუჩან-და.

ფარნაოზს კარგად ახსოვდა, ცარიე-ლი რომ იყო საწოლი, მარტო რომ იყო ოთახში, სანამ ჩაეძინებოდა. ეს ქალი მერე შემოსულიყო და მშვიდად, უდრტვინველად მოკალათებულიყო უცხო მამაკაცის გვერდით, რადგან ეს სხვანაირი საწოლი იყო, უსახლკარო მაწანწალებისთვის განკუთვნილი და ამ საწოლზე ქალიცა და კაციც ერთნაირე-ბი იყვნენ. ერთი და იგივენი, არა მარ-ტო უპოვარნი, არამედ უსქესონიც.

რიჟრაჟის სუსხმა და უკაცურმა ქუ-

ჩებმა ცოტა დაამშვიდა ფარნაოზი. ბოხჩა რომ სასტუმროში დარჩენოდა, ისიც მერე გაახსენდა, მაგრამ იქ ამსვლელი აღარ იყო, გინდაც ის ბოხჩა ოქროდ ქცეულიყო. „თუ დაანებეს, მადლია იმ უბედურისთვისო“ — ფიქრობდა ფარნაოზი, მაგრამ უკეთეს დღეში არც თვითონ იყო. ახლა ყველა ხომალდს ვანისკენ რომ ექნა პირი, უფულოდ ვიღა წაიყვანდა, ან ასე უცებ სად უნდა ეშოვნა ფული? მაგრამ ახლა ფულზე მეტად სხვა რამე აწუხებდა. ტანი რომ არ დაებანა, გაგიჟდებოდა, ეგონა, ისეთი ბინძური იყო, მის სუნზე ხალხი გამოიხედავდა სახლებიდან.

ფარნაოზმა მალე მონახა ნავსადგურის ახლოს მოფარებული ადგილი, ჯერ კიდევ ადრე იყო და კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ცა ოდნავ აწრიალებულიყო. გრძელი, გაწელილი ღრუბლები ერთმანეთს ეთიშებოდნენ, იხეოდნენ, დამბალი ქაღალდივით უხმოდ და უთანასწოროდ, სველი, ცუდად დაფქვილი ფქვილივით ხერხეშა სილა ფეხებზე ეწებებოდა. სანამ გაიხდიდა, ერთი ორჯერ მაინც მოიხედა უკან, თითქოს ვინმე უთვალთვალებდა. წყალში გაუბედავად შევიდა, მაგრამ წყალი თბილი აღმოჩნდა. „ნუ გეშინია, თბილიაო“ — ინოს ხმით ვიღაცამ ჩამოსძახა ციდან. მუხლებამდე რომ შევიდა, შეჩერდა, დაიხარა და სიპი ქვა ამოიღო წყლიდან. ქვა უცებ დამძიმდა ხელში, თითქოს სიმძიმე ჰაერში ჰქონდა დატოვებული. დიდხანს იხეხა სიპი ქვით ტანი, მერე ქვა ისევ ზღვას დაუბრუნა და თვითონაც შეცურა. სიბნელისგან გაზანტებული და დამდორებული წყალი ხვნეშით იპობოდა. ცურვამ გაახალისა, გუნება გაუხსნა, დაუწმინდა და გაუსუფთავა. ნაპირისკენ რომ მოცურავდა, დარწმუნებული იყო, დღეიდან უკეთ წავიდოდა მისი საქმე. ნაპირზე უფრო ციოდა, ვიდრე წყალში. ორივე ხელით ტანი მაგრად ჩამოიწურა და სწრაფად ჩაიცვა. თიხის ფირფიტაც რომ გადაიცვა კისერზე, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, სანდლები, რომ აღარ იყო. ეს ოთხი დღეა სანდლებიანად გაუხდია, წუხელაც სანდლებით ეძინა, აქამდეც სანდლებით მოვიდა, მარტო მოვიდა და აქაც არავინ დახვედრია, სანდლები კი აღარ იყო. გამქრალიყო, გაფრენილიყო. „იქნებ სხვა ადგილას გავიხადეო“ — წაეტანა ამ უაზრო იმედს, მაგრამ იმედი ხელში ჩააწყდა და ისიც სივრცეში გადაქანდა, რადგან უცებ თავი წარმოიდგინა, ფეხშიშველი და უფულო, ამხელა გზაზე დამდგარი. მწარედ გაეღიმა, გამობრძმედილ მაწანწალასავით. „მაწანწალა ვარ, აბა, რა ვარო“ — გაიფიქრა და ამ ფიქრმა ისე დააფრთხო, ძაღლივით მოირბინა იქაურობა, ყველა ქვა დაყნოსა და გადააბრუნა, თუმცა თვითონვე გრძნობდა, უაზრობა რომ იყო ძებნა. სანდლებს ვეღარ იპოვნიდა, რამდენიც არ უნდა ეძებნა. ახლა იმასღა ნატრობდა, ნეტავ ვინმე გამოჩნდებოდეს, შევეკითხო მაინც, სანდლების ასე გაქრობა თუ გაგიგონიაო. გამწარებული მუხლებზე დაეცა და სილას მუშტი დაუშინა. ნესტიანმა სილამ ცომივით დაუჭირა ხელები. გარემო შემზარავად ჩუმი და ცარიელი იყო. აქ ჯდომას და სილის ზელვას აზრი არ ჰქონდა. წამოხტა და ნავსადგურისკენ გაიქცა. ნაპირი ჩხრიალით გაეკიდა უკან. ნავსადგური ერთადერთი ადგილი იყო, სადაც მიესვლებოდა, ახლა მთელი მისი ცხოვრება ნავსადგურის გაცვეთილ ფილაქანზე იყო მოქუჩებული და იქვე უნდა გადაწყვეტილიყო მისი მომავალიც. შევიდა თუ არა ნავსადგურში, ძაღლი დაინახა. ძაღლი წინა ფეხებზე ჩაცუცქულიყო და თვალებამოტრიალებული რაღაცას ღრღნიდა. „აი, თურმე ვის წაუღია ჩემი სანდლებიო“ — გაუხარდა და ძაღლისკენ გაიქცა. ძაღლი დაფრთხა და კუდამოძუებული გაიძურწა. გარბოდა და თან თვალს არ აშორებდა ფეხშიშველა

კაცს, გაღიმებული რომ ათვალიერებდა მისი კბილებით დაძენძილ ნაფოტს.

იმ ღამეს გაწვიმდა და კასრებს უკან ჩაყუჟულ ფარნაოზს გაჩეჩქვილი მსხალი დაესიზმრა. მსხალს საკუთარი წვენით გარშემო უსწორმასწორო წრე შემოეხაზა და ჭიანჭველები დასეოდა. ფარნაოზმა მსხალი აიღო და ჭიანჭველებიანად შეჭამა, მაგრამ შეჭმული ჭიანჭველები, რატომღაც, ტანზე შეაცოცდნენ და კანი დაუსუსხეს, ფარნაოზი ვერ პოულობდა ამ პატარა და დაუნდობელ მწერებს, იდგა და ქეციანივით იქექებოდა. „მასე მოგიხდებაო“ — ეძახდა დედალუსი და კასრიდან კასრზე მიხტოდა. ხელების ნაცვლად ორი დიდი ფრთა გამობმოდა, თითქოს კოლხური ნაბადი მოუხურებიათო. წამოფრინდებოდა, ნავსადგურის თავზე ირაოს შეჰკრავდა და ისევ კასრზე დაეშვებოდა. მეთევზეებს ზღვიდან ბადე გამოჰქონდათ, თან დედალუსისკენ ეჭირათ თვალი, ემანდ თევზი არ წაგვართვასო. „არ გეკადრებოდა, ჩემი ბავშვი ერთხელ მაინც რომ გაგესეირნებინაო“ — ეძახდა, არა, დასჩხაოდა თავზე დედალუსი და ფარნაოზს ერჩივნა, მიწა გახეთქოდა, სირცხვილისაგან სახე უხურდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერც ვერაფერს ვხედავ და არც არაფერი მესმისო. დედალუსმა ერთხელ კიდევ შეჰკრა ირაო ნავსადგურის თავზე და თევზით გაძიძგულ ბადეს მიეტანა. ვიღაცამ ნიჩაბი მოუქნია, მაგრამ დედალუსმა ნიჩაბი აიცდინა, გადაიხარხარა და ლაჟვარდისფერ ღრუბლებში გაუჩინარდა. „მე მაინც წამიყვანე, მე მაინც ნუ მიმატოვებო“ — უთხრა ფარნაოზს ქალმა. ქალს კბილები დაეკრიჭა, ნახევრად ღია ქუთუთოებიდან თეთრი გუგები მოუჩანდა.

ფარნაოზს გაელვიძა, წვიმას გადაეღო. ნავსადგური პატარა და ბრჭყვიალა გუბეებს დაეფარა. თვითონაც გუბეში იწვა, მაგრამ აღარც წამოდგომის თავი ჰქონდა, შეჩვეოდა სიცივესა და სისველეს. მოკუნტული იწვა და სიზმარს იხსენებდა. უკვირდა, რატომ დაესიზმრა მაინცდამაინც ეს ქალი, თუმცა როგორც თავიდანვე იფიქრა, იმ ქალის წამიერად ნახული სახე, მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბი არ იყო, რომლის იქითაც სხვა სახე იმალებოდა, ნამდვილი სახე. იმ ქალმა ფარნაოზს ინო გაახსენა და იმიტომაც წამოვარდა შეშლილივით. მისი წარმოდგენით, ინოს ამ ქალივით უნდა ეცხოვრა, ყველასაგან დავიწყებული, ყველასაგან განწირული, სულერთი იყო, სად დაიძინებდა, ვისთან! ფარნაოზი მთელი დღე ებრძოდა ამ ფიქრს, მთელი დღე იგერიებდა, მაგრამ სიზმარმა მაინც არ დაინდო და ისევ ამოუტივტივა ძალით მიჩქმალული, ძალით ჩახშობილი ფიქრი. უფრო მეტიც, ინოს დედალუსის კუტი შვილიც დაამატა. ფარნაოზს გული უკვდებოდა იკაროსის წარმოდგენაზე. ბავშვის დიდრონ თვალებში აფარფატებული ბუმბული ირეკლებოდა, როგორც ქედით გათიშულ ტბებზე ლაქაშებიდან აფრენილი წერო. თუმცა ყოველთვის აპირებდა, ერთხელაც არ გაუსეირნებია ფარნაოზს პატარა იკაროსი, ერთხელაც არ გამოუყვანია მარადიული სევდისა და სიმარტოვის ტყეეობიდან, რომლისთვისაც გაჩენის დღიდანვე გაეწირათ იგი ღმერთებს. ნავსადგურშიც ბევრჯერ დააპირა ფარნაოზმა გუნებაში დადებული პირობის ასრულება, მაგრამ მერე ყველაფერი ისე აირია, იკაროსი კი არა, თავიც დაავიწყდა.

ფარნაოზი კნოსის ნავსადგურში კარგახანს ჩარჩა. არ იქნა და არ გამოჩნდა კოლხეთისკენ მიმავალი ხომალდი, ანდა ფარნაოზს უმალავდნენ და აპამპულებდნენ, რადგან ამხნის განმავლობაში ისეთი შესახედავი გამხდარიყო, ხომალდზე აუშვებდნენ კი არა, მის მოწოდებულ დოქსაც არავინ მოიყუდებდა. შიმშილი კი თავისას აკეთებდა. აქეთ-იქით დაათრევდა, ბარგს აზიდვინებდა, ნავებს არეცხვინებდა, ნაგავს

აყრევინებდა და აქექვინებდა კიდეც. ერთხელ, ცოტას მორჩა, მტვირთავებმა სცემეს, მაზანდას ნუ გვიგდებო, ერთხელ ვიღაცის ეზოში შეშას აპობდა და ცულით ფეხის ცერა თითის ფრჩხილი შუაზე გაიპო. სისხლმა უზარმაზარი გუბე დააყენა, ის კი, შეშაზე მიშხეფებულ სისხლსა წმენდდა, პატრონმა არ დაინახოსო, ერთხანს ვიღაცის მიბარებულ ღორს დაატარებდა. ღორს მძიმე, ჟღრიალა ჯაჭვი ება კისერზე და თავს რომ აიქნევდა, ფარნაოზს მკლავები სწყდებოდა. ღორს პატარა, წითელი თვალები ჰქონდა და წარამარა ფეხზე ეტანებოდა საკბენად, ალბათ, ცულით დამახინჯებულ თითზე მიმპალი ძონძი იზიდავდა. ფარნაოზი გვერდზე რომ გახტებოდა, მაშინვე სიცილი იფეთქებდა ხოლმე, თუმცა თვითონ ღორის დინგის მეტს ვერაფერს ხედავდა. მერე ფარნაოზი გაჩეჩქვილ მსხალს ეძებდა, მაგრამ იმ ადგილისთვის ვეღარ მიეგნო. „ალბათ, ძაღლმა შეჭამაო“ — ბრაზობდა ფარნაოზი. ძაღლის ვერაგობამ ყველაფერი დაავიწყა, დაცინვაცა და შიმშილიც. მარტო ძაღლზე ფიქრობდა, ძაღლი ელანდებოდა და ყოველ ნაბიჯზე უსაფრდებოდა, ცდილობდა, ახლოს მოეტყუებინა, მაგრამ ძაღლიც ფრთხილად იქცეოდა. რამდენჯერმე მაინც მიიმწყვდია კუთხეში, მაგრამ ძაღლი უფრო ღონიერი აღმოჩნდა, სლიპინა ტანი ჰქონდა და ბუშტივით უსხლტებოდა დაუძლურებული ხელებიდან. ფარნაოზი კბენდა, ახრჩობდა, ბღორტნიდა და მუხლებით აწვებოდა ნეკნებზე, მაგრამ მაინც ვერ აღწევდა საწადელს. ეგ იყო, რომ პირი ძაღლის ბალნით ევსებოდა. გვერდზე გამდგარი ძაღლი აბურძგნულ ბალანს ენით იწყნარებდა და სევდაჩამდგარი თვალებით უყურებდა აქოშინებულსა და კიდევ ერთხელ გაწბილებულ ფარნაოზს, თითქოს ეუბნებოდა: რა ვქნა, ადამიანო, არც მე მადგას კარგი დღე, მაგრამ თავს ვერ შეგაჭმევინებო. ძაღლს აშკარად ეცოდებოდა, სახეს ულოშნიდა, ხელებს ულოღნიდა, კბენით კი, ერთხელაც არ უკბენია, სუმცა ადვილუფლად შეეძლო, შეეჭამა კიდეც. ფარნაოზს უარესად ასუსტებდა, უარესად აბეჩავებდა ძაღლის სულგრძელობა და მისი ბინძური ბალნით პირამოვსებული, გალახული ბავშვივით მდუღარე ცრემლით ტიროდა. ძაღლიც იქვე ჩაცუცქულიყო და თვალს არ აშორებდა, მიტოვება უჭირდა, უკვე შესჩვეოდა და ისევ მასთან ბღლარძუნი ერჩია მარტო წანწალს.

ფარნაოზი გრძნობდა, რომ იღუპებოდა. ეს უკვე დასასრული იყო და ვანში დაბრუნებაზე ფიქრიც იმ ოინბაზების მონაჩმახს გავდა, აქეთ-იქით რომ აგზავნიდნენ არარსებულ საქმეზე. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ შეშფოთებულიყო, ეყვირა, შველა ეთხოვა, რაღაც უცნაურ შვებასა და ნეტარებას განიცდიდა, თითქოს საიდუმლოდ, სხვებისაგან დამალულად აკრძალულ ხილს მიირთმევდა, ყველას ატყუებდა და საკუთარი მოხერხებულობა და ეშმაკობა სიხარულის თავბრუს ახვევდა. ერთი სული ჰქონდა, როდის იპოვიდნენ მკვდარს, როდის მიაგნებდნენ სუნზე კასრებს უკან ჩაჭუჭკულს და დარწმუნდებოდნენ რომ თვითონ კი არ აპამპულებდნენ ფარნაოზს, არამედ ფარნაოზს გაეპამპულებინა და გაეცურებინა ისინი. ფარნაოზისგან მართლა აღარაფერი დარჩენილიყო, გარდა იმ რამდენიმე ძონძისა, თითქოს ხალხის გასაცინებლად რომ გადაეცვა, და თიხის ფირფიტისა, მის თავისუფლებას რომ ადასტურებდა. ვინ იცის, მართლაც რითი დამთავრდებოდა ეს ამბავი, ერთ დღეს, უკვე საბოლოოდ სასოწარკვეთილს და უმწეობისგან აღგზნებულ ფარნაოზს, ღმერთის პირიდან ამოსული ხმა რომ არ გაეგონა:

„ვანელი ხომ არა ხარო?“ — ეკითხებოდა ხმა.

— დიახაც ვანელი ვარ, რა გინდაო?! — დაიძაბა ფარნაოზი და მხო-

ლოდ მერე დაინახა კაცის სახე, მეგობრულად რომ უღიმოდა.

— არაფერი. მეც ვანელი ვარ. — თქვა კაცმა.

ფარნაოზს გონება გაუნათდა, მიხვდა, კი არ მიხვდა, მთელი არსებით იგრძნო, რომ მის წინ ცით მოვლენილი მხსნელი იდგა, რომ გარდაუვალ დაღუპვაზე ფიქრით მოგვრილი სიხარული სისულელე იყო და სხვა არაფერი, რადგან ასე ძლიერად, ასე ხარბად არასოდეს სდომებია სიცოცხლე. მან ისიც იგრძნო, ბოლო რომ ეღებოდა მის ტანჯვა-წამებას. აღარ მიატოვებდნენ, ხომალდზე აიყვანდნენ, პურს გაუყოფდნენ და თავიანთი დოქიდან დაალევინებდნენ წყალს იმიტომ რომ... იმიტომ რომ ვანელი იყო, სამშობლო ჰქონდა, თანამემამულე ყავდა, რომელიც ვალდებული იყო, ეზრუნა მასზე. ავიდა თუ არა ფარნაოზი ხომალდზე, პირველ რიგში მისი თავისუფლების დამადასტურებელი თიხის ფირფიტა ჩამოიწყვიტა და ზღვაში გადააგდო. კისერზე თასმაღა შერჩა და თიხის ხმელი ნამცეცები უბეში ჩაუცვივდა.

გზამ კრეტიდან კოლხეთამდე ძილღვიძილში ვაიარა. იმასაც ვერ გრძნობდა, როგორ გადააჩოჩებდნენ ხოლმე უფრო მოჩრდილულ ადგილას, როცა შუადღის მზე მთელი ძალით აცხუნებდა. ხომალდი კი მიდიოდა, აქოჩრილ ტალღებზე მიირწეოდა და მზითა და მარილით დალაქავებული მკერდით მიაპობდა ღვინისფერ ზღვას კუნძულიდან კუნძულამდე.

ცოტა რომ მოიკეთა, თვითონაც ნიჩაბს მიუჯდა. ჯიუტად მისჩერებოდა უსასრულო სივრცეს. ხანდახან ზღვიდან თეთრი ნისლით თავმობმული, ხორცისფერი მიწა ამოიწვერებოდა და ხომალდისკენ დაიძვრებოდა. ჰე-ჰე-ჰეო! — გასძახებდა რომელიმე მეზღვაური გვერდზე ჩავლილ მიწას და ფარნაოზიც მხოლოდ მერე ამჩნევდა გამოკაფულ ტყეებს, წნელით შეღობილ ბაღჩა-ბაღებსა და ამ ბაღჩა-ბაღებში მომუშავე ხალხსაც. კოლხეთამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ფარნაოზმა არ იცოდა, რამდენხანს ეგდო უგრძნობლად, არც არავის უთქვამს და არც თვითონ უკითხავს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაც აქამდე გადახდომოდა თავს, სიზმარი იყო და ეს წუთია გამოფხიზლებულიყო ამ უსიამო სიზმრიდან. ღონიერი ქარი გულმკერდს უღეღავდა, თვალს უცრემლავდა და ისიც ხალისით აწვებოდა ხოფის ტარს, რადგან მხოლოდ ასე შეეძლო მასზე გაწეული ზრუნვისა და ამაგის გადახდა. თვალწინ უსასრულო სივრცე გაშლილიყო, თავზე მარადიული მზე ედგა და ღონიერი ქარი თბილი, ბუსუსიანი ხელებით მის ატაცებას ცდილობდა. ყველაფერი ისე სიამოვნებდა, ისე ალაღებდა და აბედნიერებდა, ხმის ამოღებაც ვერ გაებედა, გრძნობდა, ხმას ვერ დაიმორჩილებდა და გაზაფხულით აფორიაქებული ტყიურივით, ერთ გაბმულ ბგერას ამოუშვებდა. ფარნაოზი ბედნიერი იყო, მაგრამ აკ ბედნიერებას ვერავის გაუზიარებდა, ვერავის მოახვევდა თავზე, რადგან ის სხეულისმიერი ბედნიერება იყო, აღდგენილი სიცოცხლის ზეიმი, რომელიც ერთი არსების ფარგლებს არ ცილდებოდა, არც გადამდები იყო და არც გამრავლების უნარი ჰქონდა. ფარნაოზს კი, განუწყვეტლივ ეღიმებოდა და მლაშე ქარით დახეთქილი ტუჩებიც სასიამოვნოდ ტკიოდა. ეს ღიმილიც გვალვაგამოვლილი, დაკრუნჩხული, მაგრამ მაინც გადარჩენილი ფესვის გაშლას უფრო გავდა უცაბედად დანესტიანებულ მიწაში, და თვითონ ფარნაოზმა არაკი იცოდა, თუ იღიმებოდა. მენიჩბეები თვალებით ანიშნებდნენ ერთმანეთს მომღიმარი ფარნაოზისკენ და ისე ფრთხილად უსვამდნენ ნიჩბებს, თითქოს ნავის კიდეზე ჩამომჯდარი ჩიტის დაფრთხობისა ეშინიათო.

ასე იღიმებოდა ფარნაოზი მაშინაც, როცა მის გვერდით მჯდომმა მენიჩბემ

ხელი გაიშვირა და თქვა: აგე, აფრასიონის კუნძულებიო.

ეხლის განმავლობაში ხომალდზე არავის დაულაპარაკია ქართულად და ფარნაოზი უნებურად შეკრთა. არა, არ მოჩვენებია. მის გვერდით მჯდომმა მენიჩბემ ნამდვილად ქართულად თქვა: აგე, აფრასიონის კუნძულებიო.

ფარნაოზმა მენიჩბის გაშვერილ ხელს თვალი გააყოლა და შორს ვიწრო, მეწამული ზოლი დაინახა.

— აფრასიონის კუნძულები. — ქართულად გაიმეორა თვითონაც.

უცებ გული ისე აუჩქროლდა, თითქოს ხალხის წინაშე სიტყვის თქმა ჰქონდა დავალებული. აქედან უკვე მათი ზღვა იწყებოდა, უფრო სწორედ, აქ, ამ კუნძულებზე მთავრდებოდა მათი წინაპრების ბობოქარი გზა. აქამდე უწევდა მათი სისხლის ანარეკლი და მომაკვდინებელი ვნების სიმხურვალე.

— ეს მიწა აფრასიონის სისხლმა გააწითლა ასე, რადგან ღალატით მოკლეს. — თქვა მენიჩბემ, ცხვირი ხმაურით შეიხოცა მკლავზე და გააგრძელა: ვენაცვალე იმის გამჩენს, სხვა რომ არაფერი ჰქონდა, მკვლელს საკუთარი სისხლი შეასხა სახეშიო.

ფარნაოზი მთელი ღამე მამაზე ფიქრობდა. რაც უფრო უახლოვდებოდა სამშობლოს, მით უფრო რწმუნდებოდა, ცოცხალს რომ ვეღარ ჩაუსწრებდა. არა და, სწორედ ახლა ჭირდებოდა იგი, ახლა უნდოდა მასთან საუბარი, რადგან თვითონაც ბევრ რამეს მიხვედრილიყო უკვე. მან უკვე იცოდა, რისი ეშინოდა უხეიროს, რატომ იკუპრავდა პირს და რატომ უკრძალავდა შვილს შუბის აღებას. ერთი შუბი დანაშაულს ვეღარ გამოასწორებდა, ის დიდი იყო, უზარმაზარი, ხოლო დუმილი და შეგუება უარესად ზრდიდა და ავერაგებდა. „მე მზოგავდა, მე მიფრთხილდებოდა მამაჩემი“ — ფიქრობდა ფარნაოზი და უხეიროს ამ გულუბრყვილო სიკეთეზე სიბრალულითა და სიბრაზით გული თანაბრად ეხეოდა. უხეიროს თავისი გაეტანა, შვილი გადაერჩინა, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც უარესი ბოროტება ჩაუდინა. მის შვილს მხოლოდ და მხოლოდ უბედურების მოტანა შეეძლო, რადგან ის დამარცხებული, გაპამპულებული, დასახიჩრებული და დაშინებული მამაკაცის თესლი იყო. მამის დანაშაული უკვე შვილზეც ვრცელდებოდა, მაგრამ შვილისთვის გაცილებით ძნელი შესაგუებელი და ასატანი იქნებოდა იგი, როგორც შთამომავლობით გადმოცემული ათასშანგი.

ერთ დღეს ქარმა ჭაობის სუნი მოიტანა. „მოვსულვართო“ — ერთხმად შესძახეს მენიჩბეებმა და ხოფებს მეტი ხალისით დააწვნენ. მერე ფარნაოზმა არწივი დაინახა, იგი ხომალდის ზემოთ, თითქმის ღრუბლების სიმაღლეზე მიფრინავდა და კარგად გათლილი ხოფებივით მიაშხუილებდა ფრთებს. ფარნაოზმა არწივს თვალი გააყოლა და შორს, რძისფერ ნისლში, შავი, დაკბილული მთები დაინახა. ეს კავკასიონის მწვერვალები იყო. ახლა კი ნამდვილად მოსულიყვნენ სამშობლოში. მენიჩბეებმა ხოფებს ხელი უშვეს, ერთმანეთს საკოცნელად დაერივნენ და, ბავშვებივით აღტკინებულებმა, გემბანზე ფერხული გამართეს. უმეთვალყურეოდ მიტოვებული ხომალდი ადგილზე ტრიალებდა, მთვრალივით ირწეოდა და ერთმანეთზე ახეთქებდა აცეკვებულ მენიჩბეებს. ხომალდის კიდეზე გადაწოლილ ფარნაოზს კისერი მოღრეცოდა, რადგან კავკასიონი ხან წინ აესვეტებოდა, ხან კი ზურგს უკან ემალებოდა.

— კავკასიონი, კავკასიონი, კავკასიონი! — ყვიროდა ფარნაოზი და მღელვარებისა თუ ქარისაგან აცრემლებულ თვალებს წარამარა იხოცავდა, რათა უფრო გარკვევით დაენახა შავი, დაკბილული, ზვიადი და დიდებული მთების ფერხული, უჩინარი თოკით თავისკენ რომ ექაჩებოდა ხომალდს. ისინიც ამ უჩინარი თოკით იყვნენ მიბ-

მულნი კავკასიონზე და ამის შეგრძნება ახარებდათ სწორეთ, მარადიული, ბედისაგან მისჯილი ტყვეობის შეგრძნება, რაც მათთვის იგივე თავისუფლება იყო, რადგან აქ ყველაფერი მშობელივით ახლობელი, ნაცნობი, ბუნებრივი, ჩვეულებრივი, გასაგები და ასატანი იყო.

— კავკასიონი, კავკასიონი, კავკასიონი! — ყვიროდა ხომალდის კიდეზე მთელი ტანით გადაწოლილი ფარნაოზი და ცდილობდა, ხელით მიწვდენოდა ზღვას, რომლის მწვანე, დაბინდული წიაღიდან მედუზების ჯოგი ჩაძირული თანავარსკვლავედივით ანათებდა.

ხომალდი ნავსადგურში არ შესულა. ვანს გვერდი აუქცია და დაუშრეტელ მდინარეს აუყვა. მენიჩბეებმა ფარნაოზს გაკვირვება რომ შეატყვეს, გაეცინათ და უთხრეს, შენ მართლა არაფერი გცოდნია, კრეტელებს ქვევრში ხომ არ ყავდით დამწყვდეულიო.

ხომალდები კეთროვანივით ერიდებოდნენ ვანის ნავსადგურს, ეშინოდათ, სამუდამოდ არ ჩარჩენილიყვნენ შიგ. სადაც ადრე შორეული მგზავრობით დაქანცული ხომალდები ირწეოდნენ, ახლა სილის გრძელი ბორცვები გარინდულიყო, ჩაძინებული ურჩხულებივით, გარშემო კი, მწვანე, დაბუშტული წყალი შემოსდგომოდათ. პატარა ნავებიღა თუ ბედავდნენ ამ ბორცვებს შორის გაძვრენ-გამოძვრენას, რათა მძინარე ურჩხულებისთვის გრძელი ჭოკებით გამოეგლიჯათ პირიდან წინდაუხედავი თუ გამოუცდელი ხომალდის ნარჩენები. სილიდან ამოშვერილ ანძის წვერზე ახლაც სვავი იჯდა და ნისკარტით იქექავდა იღლიებს

მომძლავრებულ ჭაობს დაუშრეტელი მდინარის ნაპირებიც სახიფათო გაეხადა. ფარნაოზმა წელამდე წყალი გამოტოპა და თავფეხიანად გაწუწული ამოვიდა ნაპირზე. მზეზე გარუჯული და მუცელდაბერილი ბავშვები ყიჟინით შეეგებნენ, დაესივნენ და წმენდა დაუწყეს, მაგრამ ფარნაოზმა ძალით მოიშორა ისინი, რადგან არაფერი ჰქონდა მისაცემი. გაწბილებულმა და გაბრაზებულმა ბავშვებმა ძეწნის სველი რტოები ერთიორჯერ, ვითომ უნებურად, წვივებზე მწარედ გადაუჭირეს არაფრისმქონე მგზავრს. რომელმაც, ვინ იცის, რამდენი ხნის მოლოდინი წყალში ჩაუყარათ და ისევ ხომალდს მიუბრუნდნენ, მაგრამ ხომალდიდან სხვა აღარავინ გადმოსულა. ის ნელა მიცურავდა დინების საწინააღმდეგოდ და სანამ თვალს მიეფარებოდა, ნაპირზე თავშეყრილი ბავშვები მუშტებს უღერებდნენ, ქვებსა და ტალახს ესროდნენ, უსტვენდნენ და ისეთი პირით აგინებდნენ, ფარნაოზი სიმწრის ოფლში იწურებოდა, ხომალდისაც რცხვენოდა და ბავშვებისაც, თითქოს ისინი მაინც და მაინც მისი გულისთვის გამოსულიყვნენ ამ აშმორებულ ნაპირზე, მას კი, ამდენი ბავშვი ერთბაშად გაეწბილებინა. ბავშვებისთვის, რა თქმა უნდა, სულერთი იყო, ვის გადმოსვამდა ხომალდი, ვისი მეგზურები და მტვირთავები იქნებოდნენ გაუვალ ჭაობებში, ოღონდ შინ ხელცარიელნი არ მიბრუნებულიყვნენ. იდგა ახლა ფარნაოზი, მდინარისკენ ზურგშექცეული, და ისიც ვეღარ გაებედა, მადლობის ნიშნად ხელი მაინც დაექნია ხომალდისთვის, ხოფების შხუილით რომ მიაპობდა დინებას, თითქოს მასაც ერთი სული ჰქონდა როდის გაეცლებოდა ბავშვების ლანძღვას, რისხვასა და სიძულვილს, ნაპირნაპირ მგლების ხროვასავით რომ ასდევნებოდა.

ბავშვები მალე დაშოშმინდნენ, ცოტახანს კიდევ იბღლარძუნეს, უარესად ამოიგანგლენ ტალახში, ისე რომ ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც აღარ შეუხედავთ ფარნაოზისთვის, როგორც ყოვლად უვარგისი და გამოუსადეგარი ნივთისთვის, და მერე ერთ მწკრივად დაწყობილნი, დაადგნენ ქალაქისკენ მიმავალ ბილიკს, რომლის არსებობაც მარტო თვითონ იცოდნენ და ამ ცოდ-

ნის წყალობით, ათასში ერთხელ პირის ჩასატკბარუნებელ ფულსაც შოულობდნენ. დღეს კი არ გაუმართლდაო. დღეს ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ, მაგრამ ყვირილითა და გინებით ისე მოეოხებინათ გული, ყველას კმაყოფილებისგან თვალები უბრწყინავდა და ჯუჯა მეომრებივით ამაყად მიაბიჯებდნენ წყლით დარბილებულ, დამახინჯებულ და გავერაგებულ მიწაზე. ფარნაოზიც უკან მიჰყვა, მაგრამ მალე დარწმუნდა, მარტოს რომ მოუხდებოდა სიარული. საკმარისი იყო, ოდნავ მიახლოებოდა მათ, ნაბოლარა, ყველაზე პატარა, ყველაზე დიდმუცლიანი ბიჭი, რომელსაც თაფლისფერი თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა, მაშინვე დაიხრებოდა, ტალახს მობღორტნიდა, ესროდა და მერე სირბილით ეწეოდა წინ წასულ თანამებრძოლებს. ფარნაოზმა ფეხი აითრია, აღარ უნდოდა, უარესად გაენაწყენებინა ბავშვები, რომლებსაც სამართლიანად გადაეწყვიტათ მისი დასჯა. გზას, ალბათ, როგორმე გაიგნებდა, დრო კი ბევრი ჰქონდა, რადგან ისე ღელავდა, დაღამებამდე მაინც ვერ შევიდოდა ქალაქში. ფარნაოზმა მორისმაგვარი, ხავსმოდებული საგანი დაინახა და ზედ ჩამოჯდა, მაგრამ ამ უცნაურმა საგანმა ფარნაოზის სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩაიღუნა, კი არ ჩაიღუნა, ჩაიფუშა, სულიერივით ამოიფშვინა კიდეც; ფარნაოზი უკან გადაქანდა, ხელები იდაყვებამდე მიწაში ჩაეფლო და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, ტყავის კუბოზე რომ დამჯდარიყო. ამგვარ კუბოებში მისი წინაპრები მარხავდნენ მიცვალებულებს და ხეებზე კიდებდნენ. ფარნაოზს შიშისაგან გული გადაუბრუნდა და ფართხაფურთხით წამოდგა, თითქოს მისი დაუდევრობით შეწუხებული ნეშტი ხელსა სტაცებდა, იმ ადგილს სირბილით გაეცალა და დამყაყებულ წყალში ალალბედზე წადგაფუნდა. დაფეთებული ბაყაყები ერთმანეთს თავზე ახტებოდნენ და შაბიამნისფერი ფოთლებით მოფენილ გუბეებში უჩინარდებოდნენ.

ვანს რომ მიაღწია, [illegible] ბინდ[illegible]ებოდა. ტალახი ქვით ჩამოიწმინდა და დაიცადა სანამ ქარი ცოტას გააშრობდა. ქალაქში თითქმის არაფერი შეცვლილიყო. ქვაფენილი ისევ აეყარათ, ერთ ქუჩაზე ტალახშემხმარი ხის ჩაქუჩი ეგდო. ეტყობა, ქვისმთლელებს დარჩენოდათ. ქუჩის კუთხეში ბერძენი დედაბერი იჯდა და გოგრის თესლსა ყიდდა. დედაბერმა თვალი გააყოლა.

ფარნაოზი შინისკენ მიდიოდა, უფრო სწორედ, ფეხებს მიჰყავდათ იგი შინისკენ. რადგან თვითონ ერთიანად დაცარიელებულიყო, გაოგნებულიყო, აღარც ღელავდა, აღარც უხაროდა, თითქოს მთელი დღის შრომით დაღლილი ჩვეულებისამებრ ბრუნდებოდა შინ და იქაც არავის გაუკვირდებოდა მისი დანახვა, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა ტყუპი კვიპაროსის გარინდული კენწეროები და ხვლიკისფერი სახურავი, ადგილზე გაქვავდა, მუხლი მოეკვეთა და ისეთი სისუსტე იგრძნო, თითქოს მთელი წლის მწოლიარე ავადმყოფი ძალით წამოეგდოთ ფეხზე. თავბრუ დაესხა და ხელები უმწეოდ აასავსავა ჰაერში. ბედად ქუჩა ცარიელი იყო და არავის დაუნახავს.

ცოტა გონს რომ მოეგო და, ასე თუ ისე დამშვიდდა, მიხვდა, შინ ვერ შევიდოდა, ასე იოლად ვერ დაადგებოდა თავზე ათი წლის უნახავ ოჯახს, რომელიც, შესაძლებელი იყო, აღარცკი არსებობდა. ამხნის განმავლობაში ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო: რა უფლება ჰქონდა, ასე თავაღებული შესულიყო სახლში, რომლის ავანჩავანისა არაფერი გაეგებოდა. ხომ შეიძლებოდა, სრულიად უცნობ ხალხს გაეღო მისთვის კარი და ეთქვა: ვის ეძებ, ვის დაჰკარგვიხარო? ვადაწყვიტა, ჯერ თავისიანების ამბავი გაეგო და მერე მისულიყო შინ, თუკი მიესვლებოდა. სახლი მაცდურად ახლოს იყო, კვიპაროსებიც ისე გამოიწვევად დუმდნენ, თით-

ქოს ელოდებოდნენ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა. ფარნაოზი მაინც უკან გამობრუნდა, ისევ გაიარა მთელი გზა ქალაქის გალავნამდე, ისევ ჩაუარა ტალახშემხმარ ხის ჩაქუჩსა და გოგრის თესლით მოვაჭრე ბერძენ დედაბერს, რომელმაც ისევ გააყოლა თვალი, და ქალაქის ყველაზე განაპირა ქოხის კარზე დააკაკუნა. ქოხიდან დედაბერმა გამოხედა, აცახცახებული ხელით სახე მოიჩრდილა, თითქოს მზეზე გამოვიდაო, მეორეთი ქოხის გამოღებულ კარს მიეყრდნო, რათა სიბერისგან დაუძლურებული ტანი შეეკავებინა.

— რა გინდაო? — როდის-როდის კითხა დედაბერმა.

— დედაშვილობას, ამაღამ გამათენებინეო. — უთხრა ფარნაოზმა.

დედაბერმა გაიღიმა და უპასუხა: შენ რა იცი, მე რომ ყველას მასპინძელი ვარო.

— ოღონდ გარეთ ნუ დამტოვებ... — რატომღაც აღელდა ფარნაოზი, თითქოს ის დედაბერი უარს ეუბნებოდა.

ნესტისა და მტვრის სუნი დიასახლისის უძლურობასა და სიმარტოვეს გეთამამებინა და მთელ ქოხს მოსდებოდა, თუმცა ერთი შეხედვით ქოხში სრული წესრიგი და სისუფთავე სუფევდა, მაგრამ ესეც ზერელე, თვალის მოსატყუარი სისუფთავე იყო, ყველა მარტოხელა მოხუცის თანამგზავრი, სევდისა და ზიზღის აღმძვრელი. შედგა თუ არა ფეხი ქოხში, ნესტისა და ზინზლის გათავხედებული სუნი მაშინვე ცხვირში ეცა, მაგრამ დედაბრის ხათრით თავი შეიკავა და ფარდაგგადაფარებულ ტახტზე გაუბედავად ჩამოჯდა. ტახტმა გაიჭრიალა.

ფარნაოზმა ქოხი მოათვალიერა. ბუხარში ერთი მუჭა ნაცარი ეყარა, თითქოს დედაბერს სავარცხელსჩამოყოლილი თმა შეუყრიაო. ბუხრის თაროზე დიდი, სპილენძის ჩარჩოიანი და მთელ სიგრძეზე ირიბათ გაბზარული სარკე აეყუდებინათ. სარკის გვერდით ცარიელი გალია იდო. ლერწმის გაფშეკილ ღეროებს აქა-იქ საბუდამოდ შეხმობოდა ამ გალიის ყოფილი ბინადრის სკორე და ბუმბული. მერე ფარნაოზმა ქოხის კუთხეში, ჭუჭყისფერ ბინდში გარინდული თხა დაინახა და ისე გაუხარდა ამ ცოცხალი არსების დანახვა, თითქოს მის სანახავად გამოევლო ამოდენა გზა. თხამ გვერდულად გამოხედა, მერე რაღაცაში დარწმუნებული კაცივით, თავი რამდენჯერმე დაიქნია, კი, ნამდვილად ასეაო, და დაიკიკინა.

— ღვთის რისხვა. — მიაძახა დედაბერმა.

ფარნაოზს გაეღიმა. თხას უკანა ფეხებზე ზეთისხილის ნაყოფის ხელა კურკლი აჰკვროდა.

— ღვთის წყრომა. — გაიმეორა. დედაბერმა და მობრეცილი თავსაფარი გაისწორა.

ფარნაოზი იჯდა და იღიმებოდა, უცებ მორეოდა დაღლილობა და რული თვალებს უხუჭავდა, თავისკენ იტყუებდა. არა, რული კი არა, ქალთევზა. ის გამჭვირვალე წყალში იდგა, წყლიდან შიშველი, მთვარის შუქით გაბრწყინებული მკლავები ამოეშვირა და ფარნაოზს უღიმოდა. ფარნაოზიც იღიმებოდა, თვითონაც ირხეოდა, თითქოს თვითონაც გრილსა და გამჭვირვალე წყალში იდგა, თითის წვერებით ოდნავ ეხებოდა ფსკერს და წყლის ბიძგებს ქალთევზასკენ მიჰყავდა. ქალთევზა კი ცეცხლად ქცეულიყო, ცეცხლის ალივით ცახცახებდა, ტკრციალებდა და ნელა, შეუმჩნევლად იხევდა უკან. ცეცხლი დედაბერს დაენთო ბუხარში, თვითონ მკლავებდაკაპიწებული, ვარცლში ცომსა ზელავდა.

„ახლა ვკითხავ ჩვენების ამბავსო“ — ფიქრობდა ფარნაოზი და ცდილობდა თვალი აერიდებინა დედაბრის დაკრუნჩხულ თითებზე აკრული ცომისთვის. გრძნობდა, მთელი მისი არსება როგორ მოითხოვდა რაღაცის გახსენებას, იმასაც გრძნობდა, რა ადვილი იყო იმ რაღაცის გახსენება, თუკი თავს ძა-

ლას დაატანდა, თვლემას მოერეოდა, მაგრამ არ უნდოდა, ეზარებოდა და, რაც მთავარია, ეშინოდა, არ კი იცოდა, რატომ. ვარცლის ძირს ისეთი ბაგაბუგი გაუდიოდა, თითქოს ეს ქალი მთელ თავის ბრაზს ამ ერთ მუჭა ცომზე იყრისო.

— თუ სიკეთის გაკეთებას აპირებ... — დაიწყო ფარნაოზმა, მაგრამ დედაბერმა არ აცალა:

— სიკეთის? სიკვდილი მინდა, ადამიანო! — ისე შეჰყვირა დედაბერმა, ფარნაოზს სიტყვა პირზე მიეყინა.

დედაბერმა ფასკუნჯის კვერცხის ხელა ცომის გუნდა გაჩხრეკილ ნაღვერდალში ფრთხილად ჩადო და გააგრძელა:

— სიკეთეს შენგან ველი, შენ უნდა მომკლა, რადგან მარტო შენ შეგიძლია ჩემი მოკვლაო.

— დედი... — ისევ დაიწყო ფარნაოზმა, მაგრამ ენა დაება, არ იცოდა რა ეთქვა. ერთი კი ცხადი იყო, გიჟთან მოხვედრილიყო სტუმრად. ასე იყო თუ ისე, ახლა კეთილი უნდა ენება და ანგარიში გაეწია ამ გიჟი დედაბრისთვის. „რალა ამ ქოხს მოვადექიო“ — ფიქრობდა ფარნაოზი. დედაბერი ცეცხლთან ჩაცუცქულიყო და ცდილობდა, ნაღვერდალში ჩადებული ცომის გუნდა გაებრტყელებინა. სტუმრისკენ აღარც იხედებოდა, თითქოს დარწმუნებულიყო, სტუმარი შემთხვევით ისარგებლებდა, უკანიდან მიეპარებოდა და აქვე, ცეცხლთან ჩაკუნცხულს გაუჩეჩქვავდა თავს. ცოტახნის მერე ქოხში ცხელი პურის სუნი დატრიალდა. პურის სუნმა ფარნაოზიც გააშინაურა. თვითონ ამოიღო ნაღვერდლიდან ნაცრიანი კუტი, სული შეუბერა და ბურთივით აათამაშა, ხელები რომ არ დასწვოდა. ორივეს გაეცინა. მერე ისა და დედაბერი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და პურსა ჭამდნენ. დედაბერი პურს წყალში აწობდა, აგრილებდა და უკბილო ღრძილებით დიდხანს ლოღნიდა, აცოდვილებდა. დამბალი და დაძენძილი ლუკმა პირიდან აცახცახებული თითებით გამოჰქონდა და პეშვში იგროვებდა. ფარნაოზი — თვალს არიდებდა და დაუღეჭავად ყლაპავდა პურს, მალე რომ გაეთავებინა თავისი წილი.

— ადამიანობა მოთმინება ყოფილა. — თქვა დედაბერმა.

ფარნაოზმა შეხედა. დედაბერიც სახეში მისჩერებოდა და თვალები ისე უპრიალებდა, თითქოს მართლა ბედნიერი იყო, ფარნაოზს რომ ხედავდა, მასთან ერთად ნაცრიან პურს რომ შეექცეოდა.

— სულ ასეთი კი არ ვიყავი. ერთი დრო მეცა მქონდა. ერთი-ორი კაცის თვალი ჩემს კაბასაც აუთრევია, ძეძვივით. — დედაბერმა ჩაიქირქილა და აცახცახებული ხელი პირზე მიიფარა.

ფარნაოზი უნებურად დააშტერდა, თითქოს დედაბერმა ისეთი რამე უთხრა, აუცილებლად უნდა გახსენებოდა იგი. ასედაც იყო. ფარნაოზი დიდი ხნის მიხვედრილი იყო ამ დედაბრის ვინაობას, მაგრამ ჯიუტობდა, თავს არ უტყდებოდა, თითქოს ამით შეიცვლებოდა რამე.

— ქალიც ვიყავი და სახელიც მერქვა. — ამბობდა დედაბერი.

— ახლა რა გქვია? — ხმის კანკალით ჰკითხა ფარნაოზმა.

დედაბერმაც შეატყო შეკრთომა და თითქოს სტუმრის სმენა დაინდოო, კარგა ხნით გაჩუმდა. მერე ერთი ამოიგმინა და თქვა: ახლა წუთისოფლის სტუმარი მქვიანო. მერე წამოდგა, ბუხრის თაროდან ცარიელი გალია ჩამოიღო, ხელში ააქანავა და სამჯერ ჩასძახა: მასპინძელო, მასპინძელო, მასპინძელოო.

დიდხანს ელოდებოდა ამ დღეს შავთვალება მალალო, დარწმუნებული იყო, აუცილებლად მოესწრებოდა, უნდა მოსწრებოდა, რადგან განუკითხავად გაფლანგული ცხოვრება განკითხვის დღესაც იმსახურებდა. სწორედ ეს დღე, ფარნაოზის გამოცხადე-

ბის დღე უნდა ყოფილიყო განკითხვისა. მას შემდეგ, რაც ქალიშვილებმა ქიხიდან გაძოაგდეს, მოსანანიებლად ბევრი დრო ჰქონდა, მაგრამ უფარნაოზოდ მაინც ვერ დაუკრავდა თავს ამ მაცდურსა და უმადურ ქვეყანას, მაინც რომ დაებერებინა, მაინც რომ დაეუძლურებინა და ყველას მასპინძელი სხვების სამოწყალოდ გაეხადა. ფარნაოზი ერთად ერთი კაცი იყო, რომელსაც მისი მოკვლა შეეძლო. ამასაც მერე მიხვდა, როცა მარტო დარჩა და ქოხის ჭუჭრუტანიდან დაუწყო ქვეყანას თვალთვალი. უძლურობამ გონება გაუნათა და ხელახლა აღმოაჩენინა ცოდვა, რომელიც აღრე შეგნებულად ჩაედინა საკუთარი შვილისა და სიყვარულისგან თვალებგადიდებული უცხო ბიჭის მიმართ; მაშინ შავთვალება მალალო ფეხზე იდგა, გული ერჩოდა და მართლა ქვეყნის მასპინძელი ეგონა თავი, თუმცა გუშინდელი დღესავით ახსოვდა თავისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული, მოჩვენებასავით რომ გაუქრა, ჩირაღდანის ნაცვლად თუთიყუშიანი გალია რომ შეატოვა ხელში და იქამდე აძებნინა თავი, სანამ საერთოდ არ შეაზიზღა სიყვარული. თუკი სამართალი არსებობდა, ყველა ქალზე მეტად მას ეკუთვნოდა იგი. რადგან სიყვარულისგან უბედურების გარდა არაფერი მიუღია, არც მოუთხოვია, არც მოითხოვდა, თუკი შეარჩენდნენ, დაანებებდნენ და დააცდიდნენ. არც სიყვარულის ფასი შეიძლებოდა სცოდნოდა ვინმეს მასზე უკეთესად. როცა ის თავის სიყვარულს უყურებდა, ძვლები უღმუოდა, გული შიშით ეფლითებოდა, იმ ძუნწი მასპინძელივით, რომლის სტუმრებიც დაუდევრად, თამამად ატრიალებდნენ ხელში ფასდაუდებელ სურას, ვერცერთი ქალი მასზე უკეთესად ვერ მოუვლიდა სიყვარულს, რადგან სიყვარულისგან ავი, გარდაუვალი უბედურების წინათგრძნობის მეტი არაფერი უგრძვნია. ეს ავი, გარდაუვალი უბედურების წინათგრძნობა იყო სწორედ სიყვარული და სანამ სიყვარულის დანახვა შეეძლო, სანამ გვერდით ეგულებოდა, ერთი წამითაც არ განელებია, ერთი წამითაც არ აჯანყებია ამ გრძნობას, რადგან მის არსებაში იბადებოდა ისიც, განუწყვეტლივ, უსასრულოდ. ის კი, მისი სიყვარული, ოდნავ თავგადახრილი, ღიმილისგან ბაგეგაპობილი, სურვილისგან დამუნჯებული, დამთრგუნავი სიმშვიდითა და უდარდელობით შემოსცქეროდა და მზეზე აბრჭყვიალებული დანით ჯოხსა თლიდა. შავთვალება მალალო ბრმად, ალალბედზე მიილტვოდა მისკენ, როგორც ზღვა ნაპირისკენ, რათა ნეტარებით, სიკვდილისნაირი ნეტარებით, ერთხელ კიდევ დასწაფებოდა მის ჯიუტ ქოჩორს, ახალ ჭრილობასავით ხასხასა პირს, კედელივით საიმედო გულმკერდს და დანასაც, ცოცხალივით რომ თრთოდა და სხმარტალებდა მზის სხივებში, როგორც ტიტლიკანა ბიჭი ჩანჩქერში. მერე ეს დიდებული ჩვენება გაქრა, ძალიან მალე გაქრა, თითქოს მოკვდავის თვალები დიდხანს მაინც ვერ გაუძლებდნენ მის სიდიადესა და სიმხურვალეს. არა, კი არ გაქრა, უბრალოდ გაიპარა, შავთვალება მალალოს გაეპარა, ქორწინების წინა დღეს, საჩუქრად თუთიყუში მოუყვანა, შავნისკარტა და ყვითელთვალება, უკეთესი ამხანაგი ნუ გინდაო, დაუბარა და წავიდა, დამთრგუნავად მშვიდი და უდარდელი. შავთვალება მალალომ სიმართლეს ყური მოუყრუა, არ დაიჯერა, რკინის ქალამნები ჩაიცვა, ერთ ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა, მეორეში თუთიყუშიანი გალია და სიყვარულის საძებრად გასწია. მართლაც ბევრჯერ მოტყუვდა, ბევრჯერ მიამსგავსა ვიღაცას, რადგან ამდენი ძებნისაგან თვალები აჭრელებოდა და საცნაურიც დაჰკარგვოდა. ძლივძლივობით ნაპოვნ „სატრფოს“ შავთვალება მალალო თავზე ევლებოდა, ფიანდაზად ეფინებოდა, პირიდან ნერწყვს ულებდა, ოღონდ

აღარ გაჰპარვოდა, ოღონდ დიდხანს დარჩენილიყო მასთან, უბრალოდ წოლილიყო, მჯდარიყო, ანდა ეარნა მის ოთახში, რადგან თავისი იქ ყოფნით განემტკიცებინა ქალის რწმენა, რომ ის მართლა შეყვარებული იყო. გამოთხოვებისას „სატრფოს“ ქისაში ფულსაც უდებდა, თანაც ისე, მას რომ არ შეემჩნია, არაფერი სცოდნოდა და მერე გაეგო, როცა ქალი მასთან აღარ იქნებოდა. „სატრფოც“ სიამოვნებით იტყუებდა თავს, თვალსაც სიამოვნებით ხუჭავდა, ანდა სწორედ მაშინ შეტრიალდებოდა ხოლმე, მაშინ მოუნდებოდა სანდლის გასწორება, როცა ქალი ჯიბეში ფულს უკუჭავდა. მისთვის სულერთი იყო, ვინ აუვსებდა ქისას და როდის იგრძნობდა ფულის სიმძიმეს, ქალის თანდასწრებით, თუ მერე, შინისაკენ მიმავალი. რა თქმა უნდა, შავთვალება მალალოს ყველა ასეთი სიყვარული, ადრე თუ გვიან, მარცხით მთავრდებოდა. პირველად ან თვითონ ეხილებოდა თვალი, ან „სატრფოს“ უბნელდებოდა გონება და მუქთა ლოგინითა და უმტკივნეულოდ ნაშოვნი ფულით გარყვნილი, თავის სიხარბესა და სულსწრაფობას დაურიდებლად ამჟღავნებდა. „რაც შენ ფული შემოგდის, — იწყებდა გაქსუებული „სატრფო“. — რას უშვრები? მე რა, სახედარი ხომ არ გგონივარ? ლამის ქალაქის მასხარა გავხდე“. „მერე რა, მერე რა. — ღიღინებდა სიცრუის ვარდისფერ ღრუბელში თავშერგული შავთვალება მალალო. — „ვინც რა უნდა ისა სთქვას, ვინც რა უნდა ისა სთქვასო“, ის ჯერ ვერ ხვდებოდა, საით უმიზნებდა მისი „სატრფო“ ან არ უნდოდა, მიხვედრილიყო, რადგან ვარდისფერ, გრილსა და ხავერდივით ბუსუსა ღრუბელში თავს უკეთესად გრძნობდა. მაგრამ, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა გამოეყო თავი, რადგან ის ხელოვნური ღრუბელი იყო და ჰაერს არ ატარებდა. „ღორო! ღორო!“ — ყვიროდა მიწაზე დაბრუნებული შავთვალება მალალო, „ღორი“ კი, უკვე ქუჩაში მიაბიჯებდა და მკერდში მუშტს გაშეტებით იცემდა, უსამართლოდ შეურაცხყოფილი კაცივით, ანდა ვენახდასეტყვილი გლეხივით. დიდხანს გაგრძელდა ასე, ბევრჯერ იწვნია შავთვალება მალალომ გაწბილების სიმწარე, სანამ საბოლოოდ არ აუცრუვდა გული სიყვარულზე, სანამ საბოლოოდ არ გაბოროტდა და დაუძინებელ მტრად არ იქცა ყველასთვის, ვისაც სიყვარულისა კიდევ სჯეროდა. აჩრდილებივით ცვლიდნენ ერთმანეთს ერთნაირად უხეში, ერთნაირად სულწასული და ერთნაირად დაბნეული მამაკაცები, დღეებიც ამ მამაკაცებივით გავდნენ ერთმანეთს და შავთვალება მალალოს სძულდა ყველანი, ხოლო სიძულვილი, ხორკლიანი და ცივი ხელებით, სხეულთან ერთად თანდათან სულსაც უცვლიდა და უმახინჯებდა. ახლა მისთვის მთავარი შურისძიება იყო, შურისძიება და თავის გადარჩენა, რაკი სამუდამოდ დარწმუნებულიყო ცხოვრების ვერაგობაში. გამომწვევი სიარული, თამამი სიტყვა-პასუხი, მოულოდნელი, აღგზნებული სიცილიცა და გაუთავებელი სიმღერაც, მხოლოდ იმიტომ ჭირდებოდა, მის გადასათელად დაძრული ქვეყანა რომ შეეკავებინა. მას ეს ქვეყანა ეჯავრებოდა და ეომებოდა კიდეც, დასცინოდა, აკნინებდა, აწვალებდა და აბინძურებდა, რადგან ქვეყანამაც ასეთად გააცნო თავი. ის სრულებითაც არ აპირებდა მის გაცნობას, მას მხოლოდ თავისი უბედურება უნდოდა, იმავე ქვეყანამ რომ გამოგლიჯა ხელიდან, სანაცვლოდ კი თვითონ ესტუმრა, ტალახიანი ფეხებით შეაბოტა მის ოთახში და შიშველი მამაკაცივით უზარმაზარი და უმწეო, გვერდით ამოუწვა. შავთვალება მალალო პირველად დააფრთხო ქვეყნის სიდიადემ, მაგრამ მალე იგრძნო მისი უმწეობაც და მოვალეობის აღსრულების დროსაც შეეძლო დაეცინა და დაემცირებინა იგი. ქვეყანა დიდი იყო, მაგრამ უფრო დამყოლი, უფრო ადვილად მოსათვი-

ნიერებელი, ვიდრე ერთი კაცი, უფრო სწორედ, ვიდრე პირველი კაცი, რომელსაც სისხლიანი ტუჩები ჰქონდა და სადღეღ ცხენივით ცქმუტავდა ადგილზე. ის უნდა გაქცეულიყო, შეეძლო და იმიტომ; ქვეყანა კი იმიტომ იყო ქვეყანა, გაქცევა რომ არ შეეძლო, იმდენი ფეხი ჰქონდა, ერთმანეთში ეხლართებოდა, ბორძიკობდა და ყველაფერს ებღაუჭებოდა, თავი რომ შეემაგრებინა. მას მომვლელი ჭირდებოდა, წამმართველი, რადგან ყმაწვილივით ცეტი იყო და მოხუცივით უნდილი, „მასპინძელო, მასპინძელო, მასპინძელოო“ — ჩხაოდა ლერწმის გალიაში ჩამწყვდეული თუთიყუში, არა, სიყვარული, და შავთვალება მალალოც იცინოდა და ტიროდა, ტიროდა და იცინოდა, რადგან მისი შემყურე ქვეყანა თვითონ იყო ერთდროულად სატირალიცა და სასაცილოც.

როცა შავთვალება მალალომ თავისი ნაბოლარა ქალიშვილის სიყვარულის ამბავი შეიტყო, თავზარი დაეცა, მტერი, რომელსაც უკვე განადგურებულად და ერთხელ და სამუდამოდ დამარხულად თვლიდა, ცოცხლდებოდა, ყლორტს იკეთებდა და თანაც ისე გათავხედებულიყო, შინ შემოჰპარვოდა, ისევ მისი სისხლითა და ხორცით იკვებებოდა, რათა ისევ მას დასტყომოდა თავზე, ერთხელ კიდევ დაექცია და დაეწიოკებინა, თითქოს ერთი ადამიანისთვის საკმარისი არ იყო, რაც უკვე გადაეტანა მისი წყალობით. მტერი ძლიერიც იყო და ვერაგიც. დროულად, ჩანასახშივე უნდა ამოეძირკვა იგი შავთვალება მალალოს, რადგან ისიც არ დაჰკარგვოდა, რაც ამ ძლიერსა და ვერაგ მტერთან ბრძოლაში მოეპოვებინა. შავთვალება მალალო მართლაც დროულად დატრიალდა და ამჯერადაც გაიმარჯვა, მაგრამ შედეგმა კი არ გაახარა, დააღონა და შეაწუხა, თითქოს მეზობლის მობარებული ბავშვი შემოკვდომოდა. მაგრამ მაშინ დიდხანს არ აჰყოლია წუხილს, დარწმუნებული იყო, სწორედ იქცეოდა, რადგან ინოც მისი ქალიშვილი იყო და სიყვარულისგან უბედურების მეტს ვერაფერს ბაიღებდა. სინდისმა მერე გააწამა, მერე გაუნდა აუტანელი, როცა უფროსმა ქალიშვილებმა შინიდან გამოაგდეს, მოგვშორდი, სტუმრებს ნუ გვიფრთხობო. მაშინ კი საბოლოოდ დარწმუნდა, გამოუსწორებელი ცოდვა რომ ჰქონდა ჩადენილი და ამიტომაც სჯიდნენ ღმერთები. ამ ცოდვითღა ედგა სული, ცოდვა აძლებინებდა, კი არ აძლებინებდა, სიკვდილის ნებას არ აძლევდა, რადგან სიკვდილი ცოდვისგანაც გაანთავისუფლებდა და დაისვენებდა. „თუ მართლა გიყვარვარ და გეცოდები, ქვა ჩამარტყიო“ — ეხვეწებოდა ხოლმე ინოს.

დედის გამოძევების შემდეგ აღარც ინო გაჩერებულა დებთან. დედა შეეცოდა, მარტომ როგორ უნდა იცხოვროსო, მაგრამ შავთვალება მალალომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ცოცხლად რატომ უნდა დაიმარხო, ანდა შენი მოწოდებული წყალი როგორ უნდა დავლიოო. ინოს მაინც არ მიუტოვებია დედა, როგორც კი თავისუფალ დროს იშოვიდა, მაშინვე მისკენ გარბოდა, სანამ შავთვალება მალალო თმას იგლეჯდა და მოთქვამდა: რატომა ხარ ასეთი კეთილი, რატომ გველივით თავს არ გამიჩეჩქვამო, ქოხს გამოგვიდა, ლოგინს გაამზეურებდა, სადილს გააკეთებდა, მერე წყალს აადუღებდა და ბავშვივით გაჯიქებულ დედას ძალისძალათი ჩასვამდა ხოლმე ტაშტში. დედა მსუბუქი იყო, პატარა და მსუბუქი, და მისი დალეული, ავადმყოფურად თეთრი და ლურჯი ძარღვებით დაფარული სხეულის ხილვა ინოს გულსაც უჩუყებდა და ახალისებდა კიდეც. მერე ერთად სადილობდნენ და იმ წუთას ორივენი ბედნიერები იყვნენ. „გინდა სარკეს მოგიტანო“ — ეუბნებოდა ინო კოხტად თმადავარცხნილსა და გაქათქათებულ დედას, შავთვალება მალალო კი, ქოქოლას აყრიდა სარკეს და ორივენი იცინოდნენ, გულიანად. დედაშვილუ-

რად. ინო ხელცარიელი არასოდეს მოვიდოდა, ყოველთვის მოჰქონდა საჩუქრად კაბა თუ ხილაბანდი, ფლოსტები თუ პერანგი. შავთვალება მალალო თავს იკლავდა, მართლა წუხდა, შვილი თვითონ რომ იკლებდა და მას უზიდავდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც უხაროდა, ბავშვივით შეეფაკლებოდა ხოლმე სახე, როცა ინო საჩუქარს წინ გაუშლიდა. თუმცა შავთვალება მალალოს უკვე არაფერი აღარ ჭირდებოდა, რაც მაცვია, ამის ღირსიც არა ვარო, ეუბნებოდა შვილს და საჩუქრებს ცალკე სკივრში ალაგებდა. სკივრს მხოლოდ მაშინ ხსნიდა, როცა მარტო იყო, ხელგაუყრელ კაბას ტახტზე გაფენდა, ფეხთით ახალთახალ წაღებს დაუწყობდა, თავით გაუშლელ თავსაფარს დაუდებდა და, დაქირავებული მოტირალივით, საკუთარ თავს დასტიროდა: უბედურო შავთვალება მალალო, ნახე შენგან დაღუპულმა შვილმა რეები მოგიტანა, როგორ უყვარხარ, როგორ გაპატია, ადე, დაინახე შენი დასამიწებელი თვალებითო. ხანდახან ინო შემოუსწრებდა ხოლმე მოტირალ დედას და ეხვეწებოდა, ნუ, ნუ, შენი ჭირიმე, სატირალი რა გჭირს, სანამ ცოცხალი ვარ, არაფერს გაგიჭირვებო. ამ სიტყვებზე უარესად ემდუღრებოდა გული შავთვალება მალალოს და შუბლს გამეტებით ურტყამდა ტახტის კიდეს, სანამ კანი არ გადაუსკდებოდა და ბებერ სისხლში არ ამოეგანგლებოდა სახე. ინო ძლივსძლივობით ააგლეჯდა ხოლმე მოსავათებულ დედას ტახტიდან, სახეს ბანდა, გამსკდარ კანზე აბლაბუდას ადებდა და ათას სისულელეს, ტყუილსა და მართალს უყვებოდა, სანამ გულზე გადაეყრებოდა და დაავიწყდებოდა თავისი სატირალი. შავთვალება მალალო გატრუნული უსმენდა შვილის ტიტინს, სახეც თანდათან უმშვიდდებოდა, თითქოს შვილის მონაყოლიც აინტერესებდა, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ინო რწმუნდებოდა, დავამშვიდეო, უცებ ჰკითხავდა: რატომ მაპატიეო? ამას კი ისეთი ხმით ეკითხებოდა, ინოს ძალა წაერთმეოდა ხოლმე, თვითონაც ველარ ერეოდა ტირილს და დედის კალთაში თავჩარგული, სლუკუნებდა, რა გჭირს საპატიებელი, დედა ხარ და ამაგს გიხდიო. მაგრამ შავთვალება მალალო ჯიუტად იქნევდა თავს და თავისას გაიძახოდა: რატომ მაპატიეთ, რატომ თავი ქვით არ გამიჩეჩქვეთ შენცა და ფარნაოზმაცო. ინოს ისე სიამოვნებდა ფარნაოზის სახელის გაგონება, დედას აღარ აწყვეტინებდა და სანამ შავთვალება მალალო მოთქვამდა და ვიშვიშებდა, მის კალთაში თავჩარგულ ინოს, მოღუშული, ზღვიდან ახლად ამოსული და სიცივისგან აძაგძაგებული ფარნაოზის წარმოდგენაზე ბედნიერებისგან გული ეწურებოდა. შავთვალება მალალო ერთადერთი ადამიანი იყო მთელს ქვეყანაზე, ვისთანაც ფარნაოზზე ლაპარაკი შეეძლო. ფარნაოზს თითქმის ყოველი შეხვედრისას იხსენებდნენ და უსასრულოდ უყვებოდნენ ერთმანეთს, რაც კი იცოდნენ, ამ მარად მოღუშულსა და გულკეთილ ბიჭზე, ზღაპრის გმირივით რომ დამახსოვრებოდათ ორივეს.

„თვალი რომ გავახილე, ჩემს წინ ფარნაოზი იდგაო“ — ვინ იცის მერამდენედ ყვებოდა შავთვალება მალალო ფარნაოზთან შეხვედრის ამბავს.

— იმ დღეს? — ეკითხებოდა ინო, ვითომ არ იცოდა და არც მოესმინა ეს ამბავი.

— ხო, იმ დღეს. — პასუხობდა შავთვალება მალალო და აგრძელებდა: ისეთი შეშინებული სახე ედო, სიცილი ძლივს შევიკავეო.

— კი არ ეშინოდა, რცხვენოდა. — ექომაგებოდა ინო პატარა ბიჭს. გულში კი, თავისთვის, სხვას ამბობდა: არც ეშინოდა და არც რცხვენოდა, ვუყვარდი და მეძებდაო.

ფარნაოზის კრეტაზე წასვლის ამბავი მათაც ჰქონდათ გაგებული, მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდათ, აუცილებლად

რომ დაბრუნდებოდა. ორივენი ელოდებოდნენ, რადგან, მათი აზრით, ფარნაოზი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც უფლება ჰქონდა დასჯისაც და მიტევებისაც. რაც დრო გადიოდა, რაც უფრო უძლურდებოდა შავთვალება მალალო, მით უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა მისი მოლოდინი, მით უფრო სანატრელი ხდებოდა სიკვდილი, რადგან ისა და ქვეყანა ერთმანეთს ვეღარ უგებდნენ, ერთმანეთს აღარ ჰირდებოდნენ, ის კი არა, ნატამალიც აღარ დარჩენილიყო მათი ხანგრძლივი და მხიარული სტუმარ-მასპინძლობისაგან. სიბერისა და უმწეობის ქოხში შეყუჟულ შავთვალება მალალოს, ახლა ისევ ახსენდებოდა თავისი სიყვარული, ოდნავ თავგადახრილი, ღიმილისგან ბაგეგაპობილი, სურვილისგან დამუნჯებული, დამთრგუნავი სიმშვიდითა და უდარდელობით რომ შემოსცქეროდა და მზეზე აბრჭყვიალებული დანით ჯოხსა თლიდა. ახსენდებოდა, მაგრამ ავი, გარდაუვალი უბედურების ნაცვლად, ახლა გამაბრუებელ, დამამშვიდებელ ნეტარებასა და ბედნიერებას განიცდიდა, რადგან მის წარმოდგენაში მხოლოდ და მხოლოდ ამ უდარდელად მომღიმარსა და ცხენივით მოუსვენარ კაცსა თუ ღვთაებას შეეძლო მისი გამოყვანა ქვეყნის ცხრაკლიტულიდან, სადაც ოდესღაც თვითონვე დაემწყვდია. ეს კაცი თუ ღვთაება მხოლოდ ამიტომ არსებობდა, მაგრამ შავთვალება მალალოს კარგად აღარცკი ახსოვდა მისი სახე და როცა მასზე ფიქრობდა, ყოველთვის ფარნაოზი ედგა თვალწინ, ისა და ფარნაოზი ერთ არსებად ქცეულიყო მისთვის, მარადიულ არსებად, რომელსაც ყველა ქალი თავისებურად ხედავდა და ერთნაირად აღიქვამდა. შავთვალება მალალო გვიან მიხვდა ამას, გვიან მიხვდა სიყვარულის ღვთაება რომ ვამოეძევებინა თავის სასტუმროდან; ასე კი იმიტომ მოიქცა, შვილი რომ შეეცოდა. არა, კი არ შეეცოდა, შვილისაც შეშურდა, რადგან სწორედ იმ დღეს დარწმუნდა, რა უაზრო იყო მისი მოლოდინი, რა სწრაფად გასულიყო დრო თუთიყუშის გაუთავებელ ჩხავილში. ახლა მხოლოდ ეს ჩხავანა თუთიყუშიღა უდასტურებდა, ოდესღაც მისთვისაც რომ არსებობდა სიყვარული, რომელმაც ამდენი ხნის უშედეგო ძებნის შემდეგ საკუთარი ქალიშვილის თვალებიდან შემოაჭყიტა. შავთვალება მალალოს შეშურდა, შურმა გააბოროტა და თავგზა აუბნია, ნაადრევად მოტეხა და დაბერა. ცოდვა კი იზრდებოდა, იზრდებოდა და იზრდებოდა, როგორც ნაპირისკენ მომავალი ხომალდი. ამ ხომალდს უნდა მოეყვანა მისი გამკითხველიც, მისი მიმტევებელი, რომელიც სიკვდილის ნებას მისცემდა, დაუნანებლად მოისრიალებდა იმქვეყნიურ წყვდიადში, სკორეშემხმარ გალიასავით ცარიელსა და უსარგებლოს. და აი, ასრულდა კიდეც მისი მოლოდინი. გამკითხავი მის წინ იჯდა, მშვიდი და ლმობიერი.

— ეხ, ფარნაოზ, ფარნაოზ. — თითქოს წამოიკვნესა შავთვალება მალალომ და ფარნაოზს სრულებითაც არ გაჰკვირვებია, სახელით რომ მიმართეს ამ უცხო ქოხში, რადგან უკვე შესჩვეოდა იმ აზრს, რომ ეს კუზიანი, მუშტისხელა, წამწამებგაცვენილი და პირმორღვეული დედაბერი, ოდესღაც სახელგანთქმული შავთვალება მალალო იყო, რომლის სიმღერის მოსასმენადაც ხალხი სხვა ქალაქებიდან ჩამოდიოდა და ამ მშვენიერი ქალის ხელით მორთმეულ ყურძნის მტევანში დაუფიქრებლად იხდიდა მთელი წლის მონაგარს. არც ფარნაოზის წარმოდგენაში არსებობდა შავთვალება მალალოზე უფრო ლამაზი და უფრო ძლიერი ქალი. ოდესღაც ისიც მდგარა მის წინაშე შიშისაგან მუხლებაკანკალებული და მღელვარებისგან კრიჭაშეკრული.

— დედი, დედილო, გამარჯობა. — მაინც აღელდა ფარნაოზი.

— ახლა კი, მომკალი. — თქვა შავთვალება მალალომ.

„რას ამბობ, — გულწრფელად გაიცა ფარნაოზმა, — რა დროს სიკვდილიაო“, და ისე მოათვალიერა ქოხი, თითქოს ამ ათი წლის წინათ აქ დაეტოვებინა უკვდავების წამალი და ახლა იხსენებდა, რომელ ადგილას დავდეო. ფარნაოზმა ისევ დაინახა თხა. თხას თეთრი, წითელ წრეებში მომწყვდეული თვალები ჰქონდა და ისე მოეჭუტა, თითქოს ისიც რაღაცას იხსენებსო.

— ცხოვრება თუ გინდა, მომკალი. — თქვა შავთვალება მალალომ. მერე ნაძალადევად გაიღიმა და დაამატა: სტუმარმა წასვლა უნდა იცოდესო.

შავთვალება მალალო სიკვდილისთვის მზად იყო. მისი მოლოდინი დასრულებულიყო. აქ, ამ პატარა ქოხში სტუმრის მეტი არავინ და არაფერი აღარ აკავებდა. ეს უკანასკნელი სტუმარიც მალე გაუდგებოდა თავის გზას, ის კი ფეხმორყეულ ტახტზე დარჩებოდა, ქოხის აშმორებულ სიცარიელეს სიბერისგან დაპატარავებულ ზურგს შეაქცევდა და სამუდამოდ ჩაიხუტებდა სიკვდილს, ყველაზე ძლიერსა და ყველაზე ერთგულ მამაკაცს, როგორიც კი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე შეხვედრია. მან დაინახა კიდეც სიკვდილი: ქოხის ყველაზე ბნელ კუთხეში მისმა ცივმა, ყინულისფერმა, სურვილისგან გადიდებულმა თვალმა გაიელვა, მაგრამ შავთვალება მალალოს სრულებითაც არ შეშინებია. პირიქით, ქარავნის წინამძღოლივით, რომელსაც მგზავრობის თადარიგი წინასწარვე დაუჭერია, უცებ საფუძვლიანი სიმშვიდე დაეუფლა. ქარავნის წინამძღოლივით კი არა, გასათხოვარი ქალივით, რომელსაც საქორწილო მორთვა-მოკაზმვაში შეუმჩნევლად გაჰპარვია სიქალწულის უკანასკნელი დღე.

— მობრძანებულა ვაჟბატონი. — თქვა შავთვალება მალალომ.

ფარნაოზს ეგონა, ჩემზე ამბობსო და გაკვირვებულმა შეხედა. შავთვალება მალალო სადღაც, მის იქით უაზროდ იყურებოდა, თვალებში შუქი ჩაჰქრობოდა და ამ ერთ წამში მართლაც მომაკვდავ დედაბერს დამსგავსებოდა. ფარნაოზს რატომღაც ფილამონე გაახსენდა, აწრიალებული, მავედრებელი თვალებით რომ ამოსცქეროდა, მოულოდნელად გამომტყვრალი სიკვდილისგან სამუდამოდ, სამარადისოდ დამფრთხალი. „ესეც მე მიკვდებაო“ — გაიფიქრა შეძრწუნებულმა. „მე თვითონ, მე თვითონო“ — ჩიფ-ჩიფებდა შავთვალება მალალო და მორჩილად მიჰყვებოდა ფარნაოზს ტახტისკენ.

— მადლობელი ვარ, ღმერთებო, ჩემს საბრალო ინოს პატრონი რომ მოუვლინეთო. — თქვა შავთვალება მალალომ და ტახტზე გადაწვა.

ისე დაპატარავებულიყო, გეგონებოდათ, ტახტზე ვიღაცას ჭუჭყიანი სარეცხის ბოხჩა დაუგდიაო. ფარნაოზი გაოცებული დასცქეროდა. „ინოს პატრონი მოუვლინეთო“, ისე ამბობდა, თითქოს ფარნაოზი ინოს გულისთვის ჩამოსულიყოს ვანში, მაგრამ ინოს ხსენებამ ისე ააფორიაქა, თითქოს მეზობლებთან ლაპარაკით გართულ დიასახლისს უცებ ცეცხლზე შემოდგმული რძე გაახსენდაო. შავთვალება მალალო კი წუხდა, კისერი უმწეოდ გადაეგდო, თვალები ავად ულაპლაპებდა და დაშაშრულს, თითქოს ძალით გადაჭიმულ ტუჩებს კურდღელივით აცმაცუნებდა. მაგრამ მისი ნალაპარაკევისგან ახლა აღარაფერი ესმოდა ფარნაოზს, თუმცა მომაკვდავი აშკარად მას მიმართავდა, რამდენჯერმე ჰკითხა კიდეც: თუ მართლა ფარნაოზი ხარ, რატომ არა მკლავო. ამ უბედური ქალის საცოდაობით გულმოკლული ფარნაოზი გულხელდაკრეფილი დასცქეროდა ზემოდან. ან რა უნდა ექნა? რას უშველიდა? ასე უნდა მდგარიყო და ეცადა. არა, უნდა წასულიყო, რადგან ახლა წასვლა ევალებოდა მხოლოდ. თვითონაც გრძნობდა, ზედმეტი რომ იყო ამ ქოხში, სადაც მხოლოდ სიკვდილისთვის და მომაკვდავისთვის დარჩენილიყო ადგილი. მი-

სი აქ ყოფნა კი ხელს უშლიდა მათ შეუღლებას, რასაც მომაკვდავისთვის მხოლოდ და მხოლოდ შვების მოტანა შეეძლო. ერთადერთი, რაც ახლა ფარნაოზს აკავებდა, მომაკვდავის წამიერი გამოფხიზლება იყო, მაგრამ ეს წამიერი გამოფხიზლება უფრო შემზარავსა და გულის დამთუთქველს ხდიდა აღსასრულს. ფარნაოზი გრძნობდა, მალე ახალი სადარდებელი და ახალი დანაშაული მოემატებოდა. მიატოვებდა, თუ არ მიატოვებდა იგი ახლა შავთვალება მალალოს, ორივე შემთხვევაში დამნაშავე იქნებოდა და ეს დანაშაულიც ბედისაგან ჰქონდა მისჯილი, ამ დანაშაულის ჩასადენად ამხელა გზა რომ გამოატარა და შინ მისული უკანვე გამოაბრუნა. ახლა ფარნაოზს ის უნდა აერჩია, რაც შავთვალება მალალოსთვის იქნებოდა უკეთესი. შავთვალება მალალოსთვის კი მისი წასვლა ჯობდა, რადგან მისი სიახლოვე სიცოცხლეს უხანგრძლივებდა, სიცოცხლის გახანგრძლივება კი ტანჯვის გახანგრძლივება იყო მხოლოდ.

ფარნაოზი ტახტზე დაიხარა, მომაკვდავს ოფლიან შუბლზე აკოცა და უთხრა: იქნებ როგორმე ჩაიძინო, დილით კი მკურნალს მოგიყვანო. ამას რომ ამბობდა, დარწმუნებული იყო, არც მკურნალს მოიყვანდა და აღარც შავთვალება მალალო დახვდებოდა ცოცხალი, გინდაც გაებედა ხელმეორედ ამ ქოხში შემოსვლა. ტყუოდა, მომაკვდავს ატყუებდა, და თავი ეჯავრებოდა. ტახტზე დახრილ ფარნაოზს შავთვალება მალალომ უცებ კავივით გამოსდო კისერზე ხელი და მიხრწნილი, მომაკვდავი დედაბრისთვის წარმოუდგენელი ძალით თავისკენ მიიზიდა. ფარნაოზს კისერი ეტკინა და ესიამოვნა.

— შემომფიცე. ინოს რომ მიხედავ,— ამოჰღმუვლა შავთვალება მალალომ და ცხელი, სიკვდილის მიერი ოხშივარი სახეში შეასუნთქა.

— გეფიცებიო — დაუფიქრებლად უპასუხა ფარნაოზმა, უფრო იმიტომ, მომაკვდავი რომ დაემშვიდებინა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა და აღარ შეესუნთქა ეს ცხელი და წებოვანი ოხშივარი. იმ წუთას ანგარიში არ გაუწევია თავისი ნათქვამისთვის, უბრალოდ, ტანმა უგრძნო, კი არ უგრძნო, უბრძანა, პასუხი არ დაეყოვნებინა და ასედაც მოიქცა. შავთვალება მალალომ ხელი რომ გაუშვა, უნებურად შეკრთა, თითქოს სხეულის რომელიღაც ნაწილი, რომლის არსებობასაც აქამდე ვერ გრძნობდა, რადგან მისი განუყოფელი ნაწილი იყო, უცებ ცულით ჩამოასხეპესო. ფარნაოზი ქოხიდან გამოსული იყო, შავთვალება მალალოს ხმა რომ მოესმა.

— ინოს უყვარხარო! — ეძახდა მომაკვდავი.

ფარნაოზი აქედან პირდაპირ სასაფლაოზე წავიდა. მისდა გასაოცრად, საფლავი, სადაც ქვისგან გამოთლილი ინოს თავი ეგულებოდა, იოლად იპოვნა, მაგრამ, როგორც ფიქრობდა, უპატრონობისგან ბალახი მოსდებოდა. ხმელი, დანის პირივით ბასრი ბალახი ფარნაოზმა ხელით დაგლიჯა და საფლავი ისევ საფლავს დაამსგავსა. დასერილი ხელისგულები სასიამოვნოდ უბჟუოდა, თავს მსუბუქად და ხალისიანად გრძნობდა. მერე მოსუფთავებულ საფლავს გადაემხო, როგორც ბავშვობაში იქცეოდა ხოლმე, სიცხისაგან გამომშრალსა და დანამცეცებულ მიწას ტუჩებით შეეხო და ჩასძახა: დედა მოგიკვდა, გოგოვ, დედაო.

ასე, საფლავზე გადამხობილს, ჩაეძინა კიდეც.

დილით, როგორც კი შედგა ფეხი მამისეულ სახლში, მაშინვე მიხვდა, უხეირო აღარ იყო. სახლში სიცარიელე სუფევდა, თითქოს მამამისს მისთვის დაეცალა აქაურობა. მართალია, უხეიროს არასოდეს არ გაუვლია საკუთარ სახლში, სულ ერთ ოთახში იყო გამოკეტილი, მაგრამ, სანამ სული ედგა, მთელი სახლი მისი დუმილით იყო დამუხტული, ყველაფერი მისი უცაბედი

აბობოქრების მოლოდინში გასუსულიყო. ახლა კი დაძაბული დუმილიცა და მოლოდინიც გამქრალიყო და მისი ადგილი არაფრისმთქმელ სიცარიელეს დაეკავებინა. ეს სიცარიელე ფარნაოზს ელოდებოდა, ფარნაოზს უნდა ამოევსო იგი, მისი ჯერი დამდგარიყო.

ფარნაოზი უხეიროს ოთახში შევიდა და პირველად ის სამფეხა, დაბალი სკამი დაინახა, რომელზედაც საათობით, თვეობით, წლობით, ხმისამოუღებლად, სუნთქვაშეკრული იჯდა ხოლმე და აღტაცებული შეჰყურებდა, როგორ ჭრელდებოდა მამის დამსხვრეულ მუხლებზე გადაფარებული აფრისხელა ტილო. ის ტილო ახლა ოთხად დაეკეცათ და ტახტზე დაედოთ, უზარმაზარი წიგნივით. უხეიროს უკანასკნელად ნასროლი შუბიც ისევ ისე იყო კედელში შესობილი, ოღონდ ახლა შუბის ტარზე ჩურჩხელები ეკიდა. თეთრად დათრთვილული. ფარნაოზმა ჩურჩხელა შეაწყვიტა და ჩაკბიჩა. „ჩემი გავლებულიაო“ — გაუხარდა ქალუკას და მკერდზე მიეხუტა.

— როდის მოკვდა? — იკითხა ფარნაოზმა.

— ვინ? მამა? მეხუთე წელია უკვე. — უპასუხა პოპინამ და გაუღიმა.

პოპინამ აღარ იცოდა, რა ექნა ძმისთვის. ამ მოულოდნელ სიხარულს ისე გამოესულელებინა, კი არ დადიოდა, დაფრინავდა, დაფოფინობდა და ერთი სული ჰქონდა, როდის აჩვენებდა ყველაფერს, რისი ნახვაც, მისი აზრით, ფარნაოზს აუცილებლად უნდა გახარებოდა.

— წამო, ახლა შენი საწოლი ვნახოთ... ეს სკამი ხომ გახსოვს? აგე, შენი გატეხილი კოკურა. — ჭიკჭიკებდა პოპინა და ვერცკი ამჩნევდა, მისი ძმა უძრავად რომ იდგა და ხმელი ჩურჩხელის ლუკმას ზოზინით, უნდილად ღეჭავდა. უცებ პოპინამ ტაში შემოჰკრა და თქვა: მართლა, წუხელ შავთვალება მალალო მომკვდარაო.

— ხომ გახსოვს? — ჰკითხა პოპინამ ფარნაოზს. ფარნაოზმა თავი დაუქნია.

ფარნაოზისთვის ეს უკვე ძველი ამბავი იყო, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ეს სიკვდილი მას ჩამოეტანა და გზაში რომ შეფერხებულიყო, ანდა რამე ხიფათს გადაჰყროდა, შავთვალება მალალო ახლაც ცოცხალი იქნებოდა. ის უნებური მკვლელი იყო შავთვალება მალალოსი და როცა პოპინამ თქვა „შავთვალება მალალო მომკვდარაო“, მართლა მკვლელივით შეკრთა, რომელსაც არ ეგონა, ასე მალე თუ იპოვნიდნენ მის მიერ დამალულ გვამს. „ხომ შეიძლება, ვინმეს დავენახე წუხელო“ — ფიქრობდა ფარნაოზი და ახლა უკვე მართლა ეშინოდა, რადგან არ იცოდა, როგორ უნდა ემართლა თავი, თუკი ვინმე ხელს დაადებდა და მკვლელობას დასწამებდა.

— დღეიდან მამაჩემის ტახტზე დავწვები. — თქვა ფარნაოზმა, თითქოს უკეთესი, უფრო საიმედო თავშესაფარი აღარ არსებობდა ამ ქვეყანაზე. — ლოგინი არ მინდა, ამას დავიხურავ. — მოკლედ მოსჭრა ფარნაოზმა და ხელი აფრისხელა ტილოს დაადო.

პოპინას ღიმილი სახეზე შეეყინა, შემცივნებულივით, მხრები აიწურა, მერე თავი ჯიუტად აიქნია, თითქოს აბეზარ კრაზანას იშორებდა, ისევ გაიღიმა, მაგრამ ახლა სხვანაირად, მკრთალად, სევდიანად, და თქვა: კი, ბატონო, როგორც შენ გესიამოვნებაო.

ფარნაოზმა მხოლოდ ახლა მიაქცია დას ყურადღება. პოპინა მოტეხილიყო, თმაში თეთრი, გრძელი ზოლები გასჩენოდა, სახე დაპატარავებოდა, კისერზე კანი დაშაშვროდა და მობოშებოდა, თითქოს ეს ათი წელი კი არ ეცხოვრა, გაეძლო, რაღაცისგან გადარჩენილიყო. ფარნაოზს გული აუჩუყდა, დას ხელი მოკიდა, ძალით მიიზიდა და მუხლზე დაისვა. „როგორა ხარ, დაო, როგორ ცხოვრობო“ — ჩასჩურჩულა ყურში და საფეთქელზე აკოცა. ტუჩებით ძარღვის ფეთქვა იგრძნო და რატომღაც

უარესად შეეცოდა და. პოპინამაც იგრძნო, ძმას რომ ეცოდებოდა, თანაგრძნობამ მოადუნა, დაასუსტა და თავი ისე ჩამოადო მხარზე, თითქოს ხელში ატატებულ ბალღს უცებ რული მოერიაო. ქალუკას მარცხენა ხელის ნახევრად მოღუნული თითები ლოყაზე მიედო, იდაყვი მეორე ხელის პეშვზე დაებჯინა. თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და ცრემლჩამდგარი თვალებით შესცქეროდა და-ძმის ალერსს, თითქოს ავადმყოფი აყვავებულ ხეს უყურებსო.

საღამოს კუსა და ზიარა მოვიდნენ. ზიარა ერთი ობოლი გოგო იყო, მეზობლებს გაეზარდათ სამადლოთ, გამონაცვალითა და ნასუფრალით. სანამ კუსას გადაეყრებოდა, ხან ერთ მეზობელთან ათენებდა ღამეს, ხან მეორესთან, რადგან რიგრიგობით ყველა იხმარებდა შინაურ საქმეებში. პატარა ქალი იყო, კამეჩის ფუნას ამოეფარებოდა. სადმე რომ გააგზავნიდნენ, აუცილებლად ვინმეს ბავშვს აიყვანდა ხელში, ასე უფრო ნაკლებად მახინჯი გამოვჩნდებიო. მეზობლებს ეცოდებოდათ ეს უთქმელი და ხელმარჯვე გოგო და ისე შესჩვეოდნენ, რაღაც, სიყვარულის მსგავსი გრძნობაც გასჩენოდათ. ზიარასაც ყველა უყვარდა, ყველას თავისიანად თვლიდა და ამიტომაც, ვისთანაც არ უნდა ყოფილიყო, საქმეს ყოველთვის ხალისით ეკიდებოდა. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა, ზიარა რომ უკვე ფეხზე ტრიალებდა, საქონელს მიხედავდა, წყალს მოიმარაგებდა, მერე გრძელტარიან ცოცხს აიღებდა და დერეფანსა და წინა ეზოს ღიღინ-ღიღინით გამოგვიდა. „გათენებულაო“, ამბობდა ხალხი ზიარას ღიღინის გაგონებაზე.

ზიარამ კუსა პირველად ქუჩაში დაინახა, არა, ჯერ ტომრის ყღრიალი გაიგონა, ამ უცნაურმა ხმამ მოატრიალებინა თავი ქუჩისკენ და სამუდამოდ გააოგნა კიდეც. ქუჩაში კუსა მოდიოდა, თავაწეული, ამაყი და მედიდური. კუსამ ამ უბანში შეარჩია პატარა, მიყრუებული ქოხი და მაშინვე [illegible] გადმობარგდა კიდეც, როგორც [illegible] სართულიანი სახლი იმანოს მიჰყიდა, ხოლო ორმეტრიანი მეუღლე, სიკვდილის ამხანაგი პატუ, დედამისს უკანვე მიჰგვარა. ჯერჯერობით ასე სჯობდა კუსასთვის. ამ ბოლო დროს იმდენნაირი განსაცდელი გადახდომოდა თავს, თვითონაც უკვირდა, ასე მშრალად რომ გამოსულიყო ნაპირზე. მართალია, ქალაქს სალაპარაკო გაუჩინა, უძვლო ენა დაუგრძელა, მაგრამ ამაშიც თვითონვე იყო დამნაშავე, ზედმეტი მოუვიდა, გულს აჰყვა და ნაადრევად გამოჭენდა სააშკარაოზე. ყველაფერი კი სიმამრისა და ბიძის წყალობით მოუვიდა, თავისიანებმა უმტრეს, თუმცა ქალაქი ერთის სიკვდილსაც და მეორის გადახვეწასაც მას აბრალებდა. სიმამრი ძროხასავით აჩეხა, ბიძა გადაკარგა, თვითონ ორსართულიან სახლშია გამოჭიმულიო, მკვდარ ბავშვებს აჩენსო. და ვინ იცის, რას არ უგონებდნენ და რას არ მოუგონებდნენ კიდევ, დროულად თუ არ გაეცლებოდა, ქალაქს სალაპარაკო არ დაელეოდა, მაგრამ სულ ხომ კუსაზე არ ილაპარაკებდა? რაც მთავარია, სასახლე დუმდა, ძველებურად უღებდა კარს, ძველებურად უხდიდა ხელფასსაც, მაგრამ ამ გაუთავებელი ლაყბობით გაბეზრებულს, შეიძლება, ვეღარ მოეთმინა და ერთ მშვენიერ დღეს ეკითხა: ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, ეს კუსაო. ეს უნდოდათ მის მტრებსაც, ამის იმედი ჰქონდათ და ვერ მოისვენებდნენ, სანამ კედელზე არ მიაჭყლეტდნენ ჭრიჭინას, ერთი წამით, თავისივე სისულელის, თავისივე სილაჩრის გამო რომ გამოცოცებულიყო საფარიდან. არა, ახლა გვერდზე გადგომა და თავის მოკატუნება იყო საჭირო. სახლსაც უნდა შელეოდა და სარდაფსაც, რადგან ერთიცა და მეორეც ყველას თვალში ეჩხირებოდა. ამიტომაც მტრობდნენ. მაგრამ ამ დაცხრილულ ქოხში რომ იხილავდნენ

მეფის მოხელეს, მაშინაც აღარ დაიმოკლებდნენ ენას? მაშინაც აღარ იტყოდნენ: აბა, რას ამბობთ, ერთი გაქუცული ფარდაგისა და პირმოტეხილი დოქის მეტი არაფერი გააჩნიაო? არა, მისი მტრები მაინც ვერ მოისვენებდნენ, ასე ადვილად არ შეეშვებოდნენ, მაგრამ წყალს კი ჩაუგუბებდათ პირში. დიდი-დიდი, დაეცინათ, სად იყო და სად აღმოჩნდაო, მაგრამ ამასაც გაუძლებდა კუსა, დაცინვა საშიში არ იყო. ყველაფერს მოევლებოდა, ყველაფერი გამოსწორდებოდა, სანამ ტყავის ტომრის ტარების უფლება ექნებოდა, ამის უფლებას კი ვერავინ წაართმევდა, ვერც ოყაჯადო, რადგან უკეთესს ვის გადაულოცავდა, უკეთესად ვინ მოემსახურებოდა? მართალია, ის სასახლეში ერთერთი ჩვეულებრივი მსახური იყო და ოყაჯადომ, ალბათ, არც იცოდა მისი არსებობის შესახებ, მაგრამ ხალხის თვალში ამ სასახლის წარმომადგენლად ითვლებოდა, მეფის სუნი ასდიოდა. ხვალ ყველანი სხვანაირად დაიწყებდნენ ჭიკჭიკს, გადასასვლელი გადაივლიდა და კუსას ცაზე ისევ გამობრწყინდებოდა მზე. მკვდარსა და დაკარგულს ხალხი ცხელ გულზე თუ გამოექომაგება, ცოცხალს კი, ანგარიში უნდა გაუწიოს, სიამოვნებს თუ არა. კუსამ ეს იცოდა და ამიტომაც ითმენდა თაგვების გამოჭმულ ქოხში ცხოვრებას. „კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანიო“ მიჟღრიალებდა ქოხიდან სასახლემდე და უკვე იმის გეგმებს აწყობდა, როგორ დაებრუნებინა უკანვე ორსართულიანი სახლიცა და ორმოცსაფეხურიანი სარდაფიც. სასახლეში რომ ეტყოდნენ, შეგიძლია წახვიდე, დღეს აღარა ხარ საჭიროო, პირდაპირ ორმოცსაფეხურიან სარდაფისკენ გასწევდა, ისეთი სახით ჩაათავებდა კიბეს, თითქოს ისევ მისი იყო და დასახედათ გამოევლო. „ჰა, როგორაა საქმე, საფეხური ხომ არ მომატებიაო“ — მიუგდებდა ხოლმე იმანოს და ყველა კასრს სათითაოდ ჩამოუვლიდა, ზოგს ხელს ჩამოუსვამდა გამობერილ ფერდებზე, ზოგს მუშტს მიუკაკუნებდა, ზოგს სალტეებს უსინჯავდა, მზრუნველი და ყაირათიანი მეპატრონესავით. იმანოც, რატომღაც თავს ვალდებულად თვლიდა, დაეპატიჟა და თავისი ხელით მიერთმია დაცვარული, ქალის მკლავივით გრილი ხელადა. მერე კი, შუაღამისას, ძლივძლივობით ამოიყვანდნენ ხოლმე ორმოცსაფეხურიან კიბეზე მუქთა ღვინით გალეშილ კუსას იმანო და მისი მოსამსახურე ბიჭი, რომელსაც იმანო ბახას ეძახდა, პირს შინისკენ აქნევინებდნენ, ერთს უბიძგებდნენ, თითქოს წყალში აცურებდნენ და კუსაც მიცურავდა, სიმთვრალის ჭორომებზე ატორტმანებული, ალღოს მინდობილი, როგორც ტივიდინებას. ღობეებზე მომწყდარი ძაღლები უყეფდნენ. „კიდევ გამსკდარა, ყასაბიო“ — ბუზღუნებდნენ მისი ღრიანცელით ძილგამკრთალი და დამფრთხალი ვანელები და საწოლებში გვერდს იცვლიდნენ, კუსა კი მიდიოდა, მიბარბაცებდა, მიღრიალებდა მტრების ჯინაზე. „ვენაცვალე ჩვენს მეფესო“, — ცას ეძახდა კუსა და ღობეს მომწყდარ ძაღლებს აგინებდა: თქვენი პატრონის მკვდარი და ცოცხალიცო. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა თავის ქოხს, მით უფრო იზრდებოდა სიმარტოვისა და გარიყულობის გრძნობა. ქოხში არავინ ელოდებოდა, არც მტერი და არც მოყვარე. ერთი ტახტი ედგა, ერთი პირმოტეხილი დოქი ჰქონდა და ერთიც გაქუცული ფარდაგი. ის ფარდაგი ხან ქვეშ ეგო, ხან ზემოდან ეხურა: გააჩნია, როგორი ამინდი იქნებოდა. კუსა ფეხით აღებდა ქოხის კარს, „მოგიკვდა ამშენებელიო“ მიაწყევლიდა და ტახტზე გაუხდელად მიეგდებოდა ხოლმე. არ იქნა და არ დაავიწყდა კუსას კარგი ცხოვრების ყადრი. დრო კი ზღაპრულად ჩქარა მიქროდა, მიქროდა კი არა, ქრებოდა, როგორც ქარში გატანილი ჭრაქი და

უეცრად ჩამოვარდნილ სიბნელეში კუსას ჯერჯერობით მხოლოდ ფიქრი და ოცნება შეეძლო კარგ ცხოვრებაზე. ეს ფიქრი და ოცნება ანადგურებდა კუსას. იწვა თვალდაჭყეტილი სიმარტოვის ტახტზე და ფიქრობდა, ფიქრობდა, მაგრამ ადგილიდან არ იძროდა მისი ფიქრი, არც ხორცი ჰქონდა, არც სილბილე, არც სუნი და არც გემო. ის კი იმაზე ფიქრობდა, რაზედაც ოდესღაც ერთხელ უკვე ეფიქრა, სინამდვილედაც ექცია, მაგრამ ბოლოს მაინც დაეკარგა. კუსას ახალი საფიქრალიც გასჩენოდა. ეს მერე შეამჩნია, უფრო გვიან, როცა ასე თუ ისე, შეეჩვია ახალ გარემოში ცხოვრებას. კუსა ინოზე ფიქრობდა და სიბრაზისგან იხრჩობოდა, გონება უბნელდებოდა, იმ წამიერი სისუსტისთვის, ამ უშნო და გაჩხინკულ ქალთან რომ გამოეჩინა. კუსა მხოლოდ ინოს წინაშე თვლიდა თავს დამარცხებულად. მართალია ერთი წუთით, მაგრამ იმ ერთი წუთის განმავლობაში ინო ბატონობდა მასზე; თვითონვე მისცა ამის უფლება, ლამის ფეხები დაუკოცნა, ქოშები და კაბა მიართვა, ის კი არა, უმღერა კიდეც. სიმღერა აცოფებდა ყველაზე მეტად კუსას, საკუთარი, ხრინწიანი ხმა ყურებში ედგა და მოსვენებას არ აძლევდა. კუსა ინოზე ისე ფიქრობდა, როგორც გალახული გამლახველზე, მაგრამ ერთ ღამეს გაოფლილს გაეღვიძა, პირმოტეხილი დოქი სულმოუთქმელად დაცალა, მერე მთელი ქალაქი სირბილით გადაჭრა და აქოშინებული ინოს შიადგა. სული რომ ჩაიბრუნა, ისე უკმეხად მიახალა: ცოლად გამომყევიო, თითქოს ვიღაცის დანაბარებს გადასცემდა. ინო ჯერ მოიღუშა, მერე სიცილი აუვარდა, როდის-როდის დაიმორჩილა ხმა და თვითონაც მკვახედ და აგდებულად უთხრა: მთლად გამოსულელებულხარო. კუსა უსიტყვოდ გამობრუნდა, რადგან შინიდან გამოსვლამდეც იცოდა, ასე რომ დამთავრდებოდა მისი ღამეული სტუმრობა.

ინოს უარმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა, აჩქარებას სიკეთე რომ არ მოჰქონდა. ყველაფერს თავის დროა ჰქონდა, რომელიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დადგებოდა. დაცდა იყო საჭირო და ისიც იცდიდა. ყოველ დილით მოიგდებდა ხოლმე მხარზე ხელსაწყოებით სავსე ტომარას და ჟღრიალ-ჟღრიალით გაუყვებოდა ქუჩას ოყაჯადოს სასახლისაკენ. ამ ხმის გაგონებაზე ვანელებს სისხლი ეყინებოდათ. ეზოში სათამაშოდ გამოფენილ ბავშვებს უკანვე შელალავდნენ ხოლმე, კარებს კეტავდნენ და გულისფანცქალით ელოდნენ, როდის ჩაიწრიტებოდა ეს უსიამო ჟღრიალი. ერთად ერთი ადამიანი, ვისაც ამ ხმის გაგონება სიხარულით ავსებდა, ზიარა იყო. ზიარას ეს ხმა უყვარდა, რადგან იგი კუსას გამოჩენას აუწყებდა. როგორც კი ტომრის ჟღრიალს გაიგებდა, აფორიაქდებოდა, გული ბაგა-ბუგს დაუწყებდა, თმას გაისწორებდა, კაბას ჩამოიქაჩავდა, ქუჩისკენ, რომელზედაც კუსას უნდა ჩამოევლო, ზურგით დადგებოდა და გრძელტარიანი ცოცხით ისეთ მტვერს დააყენებდა, თავფეხიანად რომ გახვეულიყვნენ შიგ და კუსას ვეღარ დაენახა. „ახლა მოვკვდები და ახლაო“ — ფიქრობდა ზიარა, სანამ კუსა ქუჩაზე მიდიოდა, ამაყი და თავაწეული, როგორც ფარის წინ მიმავალი ყოჩი. კუსამ არც ზიარას არსებობა იცოდა და არც არაფრად ეპიტნავებოდა ვიღაც თმაგაჩეჩილი და სხვისი ცეცხლით კაბაგამომწვარი გოგო; ზიარას კი ეგონა, კუსა მარტო მას უყურებდა, მის სანახავად გადი-გამოდიოდა ამ ქუჩაზე დილა-საღამოს და გაურკვეველი ბედნიერებითა და შიშით აწრიალებული გოგო, მთელი დღე, მოჟღრიალე ტომრის დაბრუნებამდე, ადგილს ვეღარ პოულობდა. მისთვის ქვეყანა დაპატარავებულიყო და ორიოდე რკინის ჟღრიალსა და ცოცხის ერთი მოსმა მტვერს პირამდე გაევსო. რაც არ უნდა გვიან დაბრუნებულიყო

კუსა შინ, ზიარა არაფრით არ დაიძინებდა, იწვა კეთილი მეზობლის დერეფანში და სანატრელ ხმას ელოდებოდა, რომელიც მისი ღამის დადგომას აუწყებდა და დაძინების ნებას მისცემდა. იქამდე ერთხელაც არ დაამთქნარებდა, არც რული წაეკიდებოდა თვალზე, რაც არ უნდა დაღლილი და რაც არ უნდა გვიანი ყოფილიყო. ტომრის ჟღრიალიდან ჟღრიალამდე ზიარა საქმესაც ასწრებდა და გამოძინებასაც. ეს ხმა იყო მისი მზისა და მთვარის მაგიერი, რადგან კუსა უყვარდა, სიყვარულმა კი ისე გაათამამა, ჩვეულებრივ ამბად ეჩვენებოდა ის, რასაც ადრე ფიქრშიაც ვერ გაივლებდა. „მერე რა, დაიხრება და ისე მაკოცებსო“ — ფიქრობდა ზიარა, ეზოს გვიდა თუ მატყლს ჩეჩავდა. სიყვარულმა ფიქრიც შეუცვალა, გადაუსხვაფერა, გაუეშმაკა, ფიქრში, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა, ქუჩაზე მიმავალ კუსას ესალმებოდა, დილამშვიდობისაო, ეძახდა და ხელსაც უქნევდა, მერე კუსას ქოხში შედიოდა, გვიდა და აკრიალებდა ყველაფერს, შინ მობრუნებულ კუსას კარში ეგებებოდა, თავს უკრავდა და სალამო მშვიდობისაო, ეუბნებოდა. კუსაც თავს უკრავდა და კუსაც პასუხობდა სალამზე. მოკლედ, ფიქრში დიდი მეგობრები იყვნენ ისა და კუსა. ხოლო ამ ფიქრმა, ბოლოს და ბოლოს ისე აამჩატა და გადაიბირა, ერთ მშვენიერ დღეს მართლა შეიპარა კუსას ქოხში. ქოხში მიხედ-მოხედვა არაკი დასჭირვებია, ისეთი სიბინძურე გამეფებულიყო ირგვლივ. გახარებულმა ტაში შემოჰკრა და დაბზრიალდა, თითქოს გოგო-ბიჭებს საცეკვაოდ წრეში გამოუგდიათო. მისი აქ მოსვლა გამართლებული იყო, ის ვალდებულიც იყო, მოსულიყო, ვალდებული იყო და მეტი არაფერი; განა ასევე არ ასუფთავებდა სხვების ეზო-ბინებსაც? კუსა რომ შინ დახვედროდა, რაღა თქმა უნდა, უკანვე გაბრუნდებოდა. ან რატომ უნდა მოსულიყო უცხო კაცთან გასათხოვარი გოგო. მაგრამ ზიარაზე კარგად ვინ იცოდა, როდის იყო [illegible] ზარა კუსა შინ. მალე იქაურობა [illegible] ალებდა, ერბო აიკრიფებოდა. ამის მერე ზიარა ყოველ დღე მოდიოდა ქოხის დასასუფთავებლად და ისე შეეჩვია თავის ახალ მოვალეობას, შიშის გრძნობა სრულებით გაუქრა. ცოცხი ეჭირა ხელში, თუ ფარდაგს ბერტყავდა, თან ღიღინებდა კიდეც. რადგან სისუფთავე უფრო თვალში საცემია, ვიდრე სიბინძურე, კუსამაც შეამჩნია მის ქოხში მომხდარი ცვლილებები; თუ ფხიზელი იყო, თავს იკავებდა, ზედმეტ აყალმაყალს ერიდებოდა, მთვრალი კი, გამოდგებოდა კარზე და მეზობლების გასაგონად ერთ ლანძღვა-გინებას ასტეხდა ხოლმე: ვის რა ესაქმება ჩემს ქოხში, ვინ მოდის და ვინ მილაგებს, მე არავისთვის მითხოვნიაო; თუ მოვატანე, კოჭებს მოვამტვრევ და მერე ნახოს როგორ უნდა სხვის ბინაში ძრომიალი, სხვისი სკივრის ქექვაო;

— ჩვენ ტყუილად გვლანძღავ, — ეუბნებოდნენ მეორე დღეს მეზობლები — თუ მართლა მოდის ვინმე და ის ვინმე თუ მართლა ადამიანის შვილია, დაუდარაჯე და დაიჭერო.

კუსამ მართლაც დაუდარაჯა და ზიარა დაიჭირა. ზიარას უმკლავებოკაბა ეცვა და როცა ცოცხიანი ხელით შუბლზე ჩამოცვენილი თმა გადაიწია, რათა ქოხში შემოსული დაენახა, კუსას შავი იღლია ეცა თვალში და კარს ზურგით მიაწვა.

გაწეწილი, სახეაჭრილი, უარესად დამახინჯებული ზიარა ქოხიდან რომ გამოვარდა, კუსას მხოლოდ მაშინ შემოეყარა გულზე, ეს რა ვქენიო. იფურთხა და იხეხა ტუჩები, ზიარას სიქალწულის სუნით რომ გაჟღენთვოდა და გასიებოდა. თმაგაწეწილი, სიყვარულისგან გამოლენჩებული ზიარას სახის წარმოდგენა კუსას გუნებას უშხამავდა, თავზარს სცემდა — და რაზეც არ უნდა ეფიქრა, თვალწინ განუწყვეტ-

ლიე ზიარას გაჩეჩილი, წითლად დალაქავებული მკერდი და გადაბლანტული თვალები ედგა. კუსამ დიდხანს იწრიალა ქოხში, მაგრამ ველარ გაძლო და იმანოს სარდაფისკენ გასწია. ამ წამიერ ვნებას, მართლა ერთი წამით რომ დატრიალებულიყო მის სხეულში, როგორც გრიგალი უკედლებო ოთახში, მაინც შეეცვალა, მაინც დაენამუსებინა. ის ახლა ისევე განსხვავდებოდა მხარზე ტომარაგადაგდებული და სამსახურისკენ ყოჩივით მიმავალი კუსასაგან, როგორც ზიარა თუნდაც... ინოსაგან.

ზიარა კი ამ დროს მიცვალებულთა ჭალაში, სანახევროდ დაჭაობებულ და დარბილებულ მიწაზე გულაღმა იწვა, სალამოს ნიავით აქანავებულ ტყავის კუბოებს შესცქეროდა, აქა-იქ კიდევ რომ შერჩენოდნენ ხეებს, და ვერცკი გრძნობდა, მიწასავით თვითონაც როგორ იყლინთებოდა სინესტითა და სიცივით. ისეთი ბედნიერი და ისეთი უბედური იყო ერთდროულად, ეგონა, ამის მერე სულ აქ უნდა წოლილიყო, თვითონაც უნდა დაჭაობებულიყო, ხავსი მოეკიდა, დაობებულიყო, აშმორებულიყო და ეცადა, თუმცა თვითონაც არ იცოდა და ვერც ვერასდროს გაიგებდა, რიღასთვის უნდა ეცადა, რადგან მოსახდენი უკვე მომხდარიყო, განსაცდელი განეცადა და რაც განეცადა იმდენად წარმოუდგენელი და იმდენად ღვთაებრივი იყო, არ ეგონა, კიდევ თუ შეიძლებოდა, ანდა თვითონ თუ შესძლებდა, ხელმეორედ განცდას. მერე კუსას ხმა, რომელიც არასოდეს გაეგონა, ისე ცხადად ჩაესმა, უნებურად თავი წამოსწია. დარწმუნებული იყო, კუსას მხოლოდ ასეთი ხმა უნდა ჰქონოდა. ეს ხმა რამდენჯერმე განმეორდა: ვითომ კუსა ეძახდა: ადექი, არ გაცივდეო. კუსა კი ამ დროს მაგიდაზე მუშტს ურტყამდა იმანოს სარდაფში და ყვიროდა: მამაჩემს გაუმარჯოს, ფილამონეს. ნამდვილი მამაკაცის გზა ნაბიჭვრებით უნდა იყოს მოფენილიო. იმანო ულიმოდა და თანხმობის ნიშნად ფეხს უქნევდა.

ნესტმა და სიცივეს მაინც ბოლოს გაიტანა და ზიარა ერთიანად ააძგერა. ახლა იგი მოჩვენებულ ხმას ისე ეჭიდებოდა, როგორც ჭაობში ჩაფლული — ლაფანის ტოტს, ზიარა ქვეცნობიერად შინ დაბრუნების, შინ კი არა, კუსასთან დაბრუნების მიზეზსა და საბაბს ეძებდა. იცოდა, დაბრუნდებოდა, რადგან ახლა კუსა რომ არ ენახა, მართლა მოკვდებოდა და მართლა სამუდამოდ ჩარჩებოდა ამ ჭაობში. „მცემოს რა, — ფიქრობდა ზიარა. — უნდა მცემს და უნდა არაო“. მერე ის ფიქრი აიკვიატა, იქნება კუსა მართლა მეძებს, მე კი მივატოვე და გამოვიქეცი, თითქოს, რაც მოხდა მარტო მისი ბრალი იყოო, ვინ იცის, როგორ გააწვალა ჩემმა ძებნამ, მაგრამ გულის სიღრმეში, ძალიან, სიცოცხლეზე ძალიან უნდოდა, კუსას მოენახა და წაეყვანა შინ, გინდაც მთელი ქვეყნის დასანახად წკეპლით გამოედენა აქედან, დაკარგული ბატივით. იმდენი იფიქრა ზიარამ, იმდენი იფიქრა, სანამ მართლა არ დაიჯერა, კუსა თავქუდმოგლეჯილი რომ დაეძებდა. მაშინ კი იკადრა წამოხტომა. ისე მოკურცხლა ქოხისკენ, კაბაც არ ჩამოუბერტყია. გეგონებოდათ, ქარს ვენახიდან საფრთხობელა მოუტაცნია და თავის ნებაზე მიათამაშებსო. ქოხს რომ მიუახლოვდა, ისევ წამოუარა შიშმა, რა პირით ვეჩვენო, ან რა ვუთხრაო, მაგრამ მაინც გაბედა და ჭუჭრუტანაში შეიხედა. ქოხი ცარიელი იყო. ზიარას გულზე მოეშვა და ქოხში თამამად შეაბიჯა. ახლა უკვე მართლა დაიჯერა, კუსა მის საძებრად რომ იყო წასული. ტახტზე ჩამოჯდა. არა, დასარჩენად კი არა, უბრალოდ, ცოტა სული რომ მოეთქვა, სანამ კუსა მობრუნდებოდა. ამხელა გზა ერთი ამოსუნთქვით გამოერბინა და ფეხები უბეჟუოდა. ტახტზე ხელსაწყოების ტომარა ეგდო და ზიარა მიხვდა, რატომ ეტკინა ზურგი

ასე მწარედ, როცა კუსამ ტახტზე გადააწვინა. ზიარამ ტომარას ხელი ფრთხილად წაჰკრა, მაგრამ ტომარამ მაინც გაიკვლიალა, თითქოს ნადირმა ძილში წაიღრინაო. ამ ხმის გაგონებაზე ზიარას გაეღიმა და უცებ ძილი მოერია, მისი ღამე დამდგარიყო. ზიარამ ტომარა მაღლა ააჩოჩა და ზედ თავი მიადო.

კუსა კი ამ დროს იმანოს უკანასკნელ მუშტრებს გაუთავებელი ლაყბობით თავს აბეზრებდა, ეკინკლავებოდა, ღვინოს აძალებდა და ისინიც ითმენდნენ, რადგან ეშინოდათ მისი.

— რომელი ხართ ჩემზე სუფთა, ჰა? — კინკლაობდა კუსა და როცა დასამშვიდებლად ეუბნებოდნენ: ყველანი ერთნაირები ვართო, — კუსა ხმას უფრო უწევდა, გაჰყვიროდა: მეც მაგას ვამბობ სწორედო.

კუსა უგონოდ იყო მთვრალი, მაგრამ ჭიქას მაინც არ აგდებდა ხელიდან. თუმცა აღარც სმა შეეძლო, ღვინო აღარ ჩასდიოდა, აბოყინებდა, უფრო მეტს ზედ ისხამდა და მაინც ჯიუტად გაიძახოდა: ყველამ უნდა დალიოს მამაჩემი ფილამონეს სადღეგრძელოო. ბოლოს როგორც იქნა, მაინც მოახერხეს მისი ამოტყუება ორმოცსაფეხურიან სარდაფიდან, გზაზე დააყენეს და სირბილით გაეცალნენ.

— მიმატოვეთ ხომ? თქვენი დედა კი ვატირე! — მიბღაოდა კუსა ჩაძინებულ ქალაქს და ბანცალ-ბანცალით მიიკვლევდა გზას გულისგამაწვრილებლად მოჭრიალე ქოხისკენ. შინ რომ შევიდა და ტახტზე ჩაძინებული ზიარა დაინახა, ისე გაუხარდა, თითქოს დიდი ხნის ოცნება ასრულებოდეს. გამოფხიზლდა კიდეც, ფერხთით ჩამოუჯდა და ამოზნექილ თეძოზე დაადო ხელი. ზიარა შეიშმუშნა, გაიწვართა და თვალი გაახილა. კუსას გვერდით მეორე ადამიანი იყო, ნამდვილი, ცოცხალი, სურნელოვანი და ცხელი, როგორც ახლად გამომცხვარი პური.

— გამარჯობა, ჩიტუნია. — მიესიყვარულა კუსა ზიარას.

სიმთვრალესა და სიბნელეში არცერთ ქალს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ზიარა, მაგრამ გაახილა თუ არა კუსამ თვალი და დაბუყებულ მკლავზე ზიარას სახე დაინახა, ალიონის სუსხით გაცრეცილი, შიშითა და თაყვანისცემით რომ ამოსცქეროდა, ისევ შეუბრუნა ზიზღმა და სიბრაზემ. „აბა, გამასწარიო“ — დასჭექა კუსამ და სანამ ზიარა წამოდგომას მოასწრებდა, ისე გამეტებით უბიძგა, ცარიელი დოქივით მიამსხვრია ქოხის კედელს. ზიარამ წელი ძლივს წამოსწია და უჩუმარის პირით გაიძურწა ქოხიდან, მაგრამ შორს არ გასცილებია, ან სად უნდა წასულიყო, როცა მისი მთავარი სული ამ ქოხში ტრიალებდა. სიყვარულს გაეჯიუტებინა და გაეკერპებინა იგი, არც თავის მოვალეობაზე აუღია ხელი, ისევ ალაგებდა, გვიდა, რეცხავდა, საჭმელსაც ამზადებდა და მერე, ტახტზე ჩამომჯდარი, კალთაში ხელებჩაწყობილი, ელოდებოდა კუსას დაბრუნებას. მას არც ცემის ეშინოდა და არც სიკვდილის. კუსას ხელით სიკვდილიც კი ბედნიერება იყო და არც არასოდეს გასჩენია სურვილი ამ ყოველდღიურ ცემატყეპისაგან თავის დაღწევისა. მისი აზრით ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც უნდა მომხდარიყო, როგორც კუსას უნდოდა, ხოლო რაც კუსას უნდოდა, ის ზიარასთვის სიცოცხლეზე ძვირფასი იყო. მერე რა, რომ კუსა სცემდა? მაშინაც ხომ ეხებოდა იგი ზიარას? მერე რა, რომ თათხავდა და აგინებდა? ეს თათხვა-გინებაც ხომ ზიარას ეკუთვნოდა, ზიარას მიმართავდა კუსა და არა სხვა ვილაცას. ისინი ერთად იყვნენ და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ერქვა ამ ერთად ყოფნას. შინ დაბრუნებულს, გალეშილსა და გაპირუტყვებულ კუსასაც ყოველთვის გულწრფელად უხაროდა ზიარას დანახვა. „გამარჯობა ჩიტუნიაო“ კარებ-

შივე შესძახებდა და ხელებგაშლილ. წამოვიდოდა მისკენ, თითქოს ტახტის კიდეზე გაუბედავად ჩამომჯდარი, კალთაში ხელებჩაწყობილი და მისი მომლოდინე ქალი სხვა იყო და დილით, მის დაბუჟულ მკლავზე თავმიდებული კი სხვა. კუსას პირველი უყვარდა, უხაროდა, რადგან ჭირდებოდა, როგორც კატა ჭირდებათ თაგვებმომრავლებულ ქოხში, მეორე კი ეზიზღებოდა, რადგან ზედმეტი იყო, როგორც ცხენისთვის მეხუთე ფეხი. ეს ზიარამაც მალე შეიგნო და შეეჩვია კიდეც, რადგან კუსას ჩაძინებიდან კუსას გაღვიძებამდე უბედნიერესი ქალი იყო მთელს ქვეყანაზე; კუსას ქათქათა მკლავზე ედო თავი და მისი ნაღვინარი სუნთქვა და ოხშივარი სცემდა სახეში. „ნეტავ სულ, სულ გამოუნელებლად მთვრალი იყოსო“ — ოცნებობდა გატრუნული ზიარა და მძინარე კუსას ისე შესცქეროდა, როგორც ბავშვი საწოლის თავთან დაწყობილ ახალ წაღებს, დილით რომ ჩაიცვამდა და ტოლამხანაგებში თავმომწონედ გააჭრაჭუნ-გამოაჭრაჭუნებდა.

დრო კი გადიოდა და ორივენი ეჩვეოდნენ ასე ცხოვრებას, ერთმანეთსაც. ღამე ჭუკჭუკ-ალერსში იცრიცებოდა, დილით კი, ქოხის კედელზე მინარცხებული ზიარა მართლაც დამსხვრეული დოქივით, ნაწილ-ნაწილ ჩამოდიოდა მიწაზე, მაგრამ რაღაც ჯადოქრობის წყალობით, მაშინვე მთელდებოდა, განაბზარიც არ ეტყობოდა და საღსალამათი ღიღინ-ღიღინით ქოხის დალაგებას იწყებდა. მხარზე ტომარაგადაკიდული კუსა კი ოყაჯადოს სასახლისკენ მიაბიჯებდა, მთელ ქალაქს მიაკლრიალებდა, ამაყი, გამომწვევი და თვალში საცემი, როგორც ფარის წინ მიმავალი ყოჩი.

მართალია, ქალებს ვერ მოესწროთ კუსასა და ზიარას ამბის მოყოლა, მაგრამ ფარნაოზი მაშინვე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი. ახლობელივით გაულიმა და ისე მოიკითხა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

— ერთი კითხე, რა გვარის ქალიაო. — უთხრა კუსამ და ზიარაზე თვალით ანიშნა.

მაგრამ ზიარას შეკითხვისათვის არ დაუცდია და თქვა: გვარი მაქვს პრასისა, კამის სარტყელი მარტყიაო. კუსამ გადაიხარხარა და დაუცაცხანა: ჩუმად, შე სასიკვდილე, მეფემ თუ გაგიგო, გაჩვენებს კამის სარტყელსაო. ზიარას კი ბედნიერებისგან სახე შეეფაკლა, თითქოს გალამაზდა კიდეც, თავი ჩაღუნა და მოკლე ფეხები ჰაერში ააქანავა.

კუსა თითქმის სულ არ გამოცვლილიყო, ასაკი არ ეტყობოდა, ოღონდ განუწყვეტელი სმისგან სახე შეშუპებოდა და კისერი უარესად დაწვრილებოდა. პირველად რომ შემოვიდა, ცივად მიესალმა ყველას, მათ შორის ფარნაოზსაც, თითქოს გუშინ დაშორებოდნენ ერთმანეთს. მოღუშული და ოდნავ დაბნეული იჯდა ცალკე, როგორც ლოთებს ჩვევიათ, სანამ ფხიზლები არიან. ფარნაოზი კი ფიქრობდა, ნაწყენია ჩემზე და მართალიცაა, მე ხომ მაგის მოკვლა მინდოდაო. მაგრამ როგორც კი ღვინო შემოიტანეს, კუსაც გახალისდა, ალაპარაკდა, ყველა სუფრასთან მიიპატიჟა: ჩვენ თუ არ ვთქვით რამე, ეს ღვინო, დილამდეც რომ ვიჯდეთ, ხმას მაინც არ ამოიღებსო. ზიარა თავჩაღუნული იჯდა კუსას გვერდით და რაც არ უნდა ეთქვა კუსას, ყველაფერზე იღიმებოდა, თითქოს ამაზედაც წინასწარ შეთანხმებულანო.

— გეყოფა, ნუ სვამ ამდენს — წუხდა პოპინა. — ფარნაოზი ნამგზავრია, სხვა დროს დალიეთ, ეგ ღვინო სად გაიქცევაო.

— არ დამღუპო, — ყვიროდა კუსა. — ძუძუ არ გამომგლიჯო პირიდანო.

— სულ ასეაო. — უთხრა ქალუკამ ფარნაოზს.

ფარნაოზი კი იღიმებოდა, კუსას თვა-

ლებში შესცქეროდა და ბედნიერი იყო, თავის დროზე რომ არ მოეკლა ეს წვრილკისერა და სახეშეშუპებული კაცი. მართლაც რა შეიცვლებოდა, რა გამოსწორდებოდა, განა კუსა ერთი იყო? ფარნაოზს კი ცოდვა გაეზრდებოდა, უაზრო და უშედეგო.

— ყველაფერი დროებითია, დროებითი. შენი წონა ფული მაქვს, ასე კი არაა საქმეო. — ამბობდა კუსა.

ფარნაოზს უნდოდა ეთქვა: რა მოხდა მერე, ცოცხალ კაცს რა გაუჭირდება, აგერ მეც დავბრუნდი, მეც გვერდში ამოგიდგებიო, მაგრამ რცხვენოდა, ეგონა, ასე რომ ეთქვა, ქალები იფიქრებდნენ, დათვრა და გული აუჩუყდაო. „მერე ვეტყვი, მოესწრებაო“. — ფიქრობდა ფარნაოზი და სწორედ მაშინ ფეხზე რაღაც გაეგლისა და მაგიდის ქვეშიდან ძაღლმა შემოჰყეფა. არ შეშინებია, მაგრამ უნებურად მაინც უკან დაიხია სკამიანად და მაგიდის ქვეშ შეიხედა. ზიარა ოთხზე იდგა, უღიმოდა და უყეფდა. კუსა მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებდა და ხარხარებდა. ქალუკა და პოპინაც იღიმებოდნენ და ფარნაოზი მიხვდა, რომ ეს ჩვეულებრივი გართობა იყო ყველასთვის. გული დაწყდა, არ კი იცოდა რაზე.

— კარგი, გეყოფა, შე სასიკვდილეო. — შესძახა მაგიდის ქვეშ აყეფებულ ზიარას ქალუკამ.

— გაუშვი იყეფოს, იყეფოს, — ყვიროდა კუსა.

— შუბუ მოვიდაო. — თქვა პოპინამ.

ზიარას ყეფამ და შუბუს ხსენებამ ფარნაოზს ბავშვობა გაახსენდა. კუსამ შემწვარ თევზს თავი წააწყვიტა და მთლიანად ჩაიდო პირში, მერე პური მოციცქნა და მარილს დააწო. შუბუ უკვე კარებში იდგა, ხელში ორკაპა ჯოხი ეჭირა, მკერდზე თეთრი, თოვლივით ქათქათა წვერი ეფინა. ფარნაოზს არც გაუგია, როდის მივიდა შუბუსთან. ის ახლა ამ წვერის შეხებას გრძნობდა, წვერს სველი ფქვილის სუნი ასდიოდა და ფარნაოზი სიხარულისგან ტიროდა. „მაპატიე, შუბუ, მაპატიე, ამ ათ წელიწადში ერთხელაც არ გამხსენებიხარო?“— ლუღლუღებდა სპეტაკ სურმელსა და სითეთრეში პირჩარგული ფარნაოზი და დარწმუნებული იყო, დღეიდან სულ ასე ერთად რომ იქნებოდნენ, სულ ასე რომ ეყვარებოდათ ერთმანეთი.

მთელი თვე ისე გავიდა, ფარნაოზი შინიდან არ გამოსულა. იწვა გაუნძრევლად მამისეულ ტახტზე, ჭერს მიშტერებოდა და იხსენებდა განვლილ ცხოვრებას. პოპინას გული უსკდებოდა, ძლივს დაბრუნებულ ძმას მამის ტახტზე გაშოტილს რომ ხედავდა, ეგონა უხეირო გაცოცხლებულაო, ისე გავდა ფარნაოზი მამას. „ადექი, გეხვეწები, ნუ წევხარ ასეო“ — ეხვეწებოდა პოპინა, მაგრამ ფარნაოზი ისე იყო დაღლილი, ისე ენატრებოდა დასვენება, ოჯახის სუნი და სიმყუდროვე, რაც არ უნდა დიდი ხათრი ჰქონოდა დისა, მაინც ესიკვდილებოდა წელის წამოწევა მამის სხეულის სუნითა და სითბოთი გაჟღენთილი ტახტიდან. ის მამას გრძნობდა და ეს შეგრძნება სასიამოვნო და საიმედო ბურანში ხვევდა, თითქოს იქ, იმ შორეულსა და იდუმალ სამყაროში დაბრუნებულიყო, საიდანაც ოდესღაც მოვლენოდა ქვეყანას. მას შეეძლო მშვიდად ეცხოვრა ამ ბურანში, რადგან ვერავინ გამოათრევდა იქიდან უხეიროს უტყუარი შუბისა და გადმოკარკლული თვალების შიშით. ამ ერთი თვის განმავლობაში ფარნაოზი ერთხელ წამოდგა მხოლოდ, როცა შავთვალება მალალოს ასაფლავებდნენ და პროცესიამ მათი სახლის წინ ჩაიარა. ქალუკამ რომ დაიძახა, მოასვენებენო, ფარნაოზი კიდევ კარგა ხანს იწვა გაუნძრევლად, ისე ეძნელებოდა ამ სასიამოვნო, დილის ძილივით სასიამოვნო ბურანის დატოვება, თავსაც იტყუებდა: ადრეა, რა მეჩქარება, სანამ ჩვენს სახლამდე მოვლენ, ათჯერ მოვასწრებ ადგომასო, მერე იმის მტკიცებას მოჰყვა, რაღა დროსია, მაინც დავაგვიანე, როდის თქვა ქალუკამ, მოასვენებენო. და როცა მართლა შეეჩვია

ამ აზრს, უცებ გიქვითი წამოვარდა ტახტიდან, ხომ შეიძლებოდა, ინოსთვის შორიდან მაინც მოეკრა თვალი. მაგრამ შავთვალება მალალოს შვიდივე ქალიშვილს სახეზეც შავი ძაძები ჩამოეფარებინათ, და შვიდივე ისე გავდა ერთმანეთს, შავთვალება მალალო რომ გაოცხლებულიყო, იმასაც გაუჭირდებოდა მათი გამოცნობა. მაგრამ ამ შვიდ შაოსან ქალში ერთერთი ნამდვილად ინო იყო და თუ ფარნაოზი ვერ ხედავდა მას, ინოს შეეძლო ფარნაოზის დანახვა. ესეც დიდი ბედნიერება იყო.

ვინ იცის, საერთოდ, როდის გამოვიდოდა ფარნაოზი შინიდან, სიზმარი რომ არ ენახა. სიზმარმა დაღლილობაც გადაავიწყა და ტახტიდანაც წამოაგდო. ფარნაოზს დედ-მამა დაესიზმრა. მართალია, დედა არასოდეს ენახა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა, არც სიზმარში და არც მერე, ის ახალგაზრდა და ლამაზი ქალი, უხეიროსთან ერთად რომ შემოვიდა მასთან, დედამისი იყო. ორივეს, დედასაც და ფარნაოზსაც ისე ეჭირათ თავი, თითქოს ყოველდღე ნახულობდნენ ერთმანეთს, არცერთს არ გაჰკვირვებია, არცერთს არ აღმოხდენია ოხვრა ამ მოულოდნელი შეხვედრისას. უხეიროს ლომის ტორივით ხელი ამ ლამაზი ქალის სუსტ მხარზე ჩამოედო და შესახედაობით შვილად უფრო შეეფერებოდა იგი, ვიდრე ცოლად. არც ეს იყო გასაკვირი. დედა ხომ გაცილებით ახალგაზრდა მომკვდარიყო და ამიტომაც იქაც სულ ახალგაზრდა იქნებოდა.

— წუხელ სიზმარში ჩვენები მოსულიყვნენ და მსაყვედურობდნენ, რატომ არ მოხვალ, რატომ არ გვნახავო. — უთხრა დილით ფარნაოზმა პოპინას.

— ჩვენები? — ჰკითხა, კი არ ჰკითხა. შეჰკივლა პოპინამ.

— ხო, დედაც. — თქვა ფარნაოზმა. — უნდა წავიდე.

— სად? — მთლად დაიბნა პოპინა. — სად უნდა წახვიდე?

— სასაფლაოზე. — უპასუხა ფარნაოზმა.

— მადლობა ღმერთსო. — შვებით ამოისუნთქა პოპინამ.

სასაფლაოზე ისა და კუსა წავიდნენ. ფარნაოზს თავიდან მარტო უნდოდა წასვლა, აიჩემა, ჩემით უნდა მივაგნო, სად მარხიან ჩემი მშობლებიო. ასე რომ, წინასწარ უკვე გამზადებული პოპინა, იძულებული შეიქნა, გაეხადა საგარეო კაბა და შინ დარჩენილიყო. კუსა ფარნაოზს კარებში შეეჩეხა და როცა გაიგო, სადაც მიდიოდა ბიძამისი, მაშინვე განაცხადა, მეც სწორედ მაგიტომ გამოგიარე, ძლივს დავეთხოვე სამსახურიდანო. კუსა ნასვამი იყო და ფარნაოზს მოერიდა უარის თქმა. გუნება კი გაუფუჭდა. ისე აღარ გამოდიოდა, როგორც ჩაეფიქრებინა. ეს მთვრალი კაცი, რომლის დაბადებამაც განუსაზღვრელი სიხარული მოუტანა ოდესღაც, მერე კი სასიკვდილოდაც გაიმეტა, თითქოს იმიტომ არსებობდა, ყველაფერში ხელი რომ შეეშალა ფარნაოზისთვის. ამ ათი წლის განშორებას არაფერი შეეცვალა, რადგან თვითონაც არ შეცვლილიყვნენ. ფარნაოზი ძველებურად შემკრთალი და დაძაბული მიაბიჯებდა კუსას გვერდით და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ძალით მიყავდა იგი კუსას, რადგან ახლა მართლა აღარ უნდოდა სასაფლაოზე წასვლა. დღევანდელი მათი მსვლელობა ჩვეულებრივი ვალის მოხდა იქნებოდა მიცვალებულების წინაშე და მეტი არაფერი. ფარნაოზი კი გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დღევანდელ დღეს. ჯერ ერთი, ის პირველად მიდიოდა მკვდარ მშობლებთან შესახვედრად, პირველად უნდა გამოლაპარაკებოდა მკვდრებს. ეს კი, თავისთავად, იმდენად უჩვეულო, იმდენად იდუმალი და წმინდა მოვლენა იყო მისთვის, არავის არ შეეძლო, არც უფლება ჰქონდა, გაეზიარებინა იგი. მეო-

რეც ერთი... მეორეც ერთი, ფარნაოზი საბოლოოდ დღეს უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში, დღეს უნდა დარწმუნებულიყო, მართლა რომ ჰქონდა სამშობლო, მართლა რომ არსებობდა მიწა, რომელშიაც მართლა მისი მშობლების ნეშტი განისვენებდა. თავისთავად თითქოს კუსაც მართალი იყო, ან ვინ დაუშლიდა პაპა-ბებიის საფლავზე გასვლას, მაგრამ რაღა მაინც და მაინც დღეს უნდა გასჩენოდა მასაც ამგვარი სურვილი, თუ შეგნებულად, ფარნაოზის ჯიბრით არ იქცეოდა ასე, თუ მიზნად არ დაესახა, ჩაეშალა, ჩაეშხამებინა შვილისა და მკვდარი მშობლების პირველი პაემანი, მოწმე და მეთვალყურე ყოფილიყო ყველაფრისა, რათა მისუჩუმრა არაფერი გადაეცათ მკვდარ მშობლებს შვილისთვის. ასე ფიქრობდა ფარნაოზი, ამისი ეშინოდა სწორედ, კი არ ეშინოდა, რცხვენოდა. ამგვარი ფიქრით დაკნინებული რომ მიდიოდა მშობლებთან მემკვიდრეობის მისაღებად. ხოლო კუსას ტომრის ყღრიალმა ისევ გაახსენა უჩინარი და მარადიული ბორკილები, დედის მუცლიდან რომ გამოჰყოლოდა. მკვდრებს მისი იმედი ჰქონდათ, მას უტოვებდნენ, მას აბარებდნენ იმ პატარა მიწას, რომელიც საკუთარი ძვლებით ამოევსოთ და საკუთარი სისხლით გაესპეტაკებინათ; მათ პატრონი ჭირდებოდათ და მართლებიც იყვნენ, შვილი რომ აერჩიათ, შვილი რომ გამოეხმოთ პატრონობის სათხოვნელად, მაგრამ იმაზე კი აღარ ეფიქრათ, ვარგოდა თუ არა მათი შვილი საამისოდ. სიკვდილს ბევრი რამე დაევიწყებინა მათთვის, ბევრი რამე გაემარტივებინა და უფრო მომთხოვნიც გაეხადა ისინი, რადგან იქ, მარადიულ ნესტსა და სიბნელეში არავითარი სიძნელე, არავითარი დაბრკოლება და არავითარი ტკივილი აღარ არსებობდა, რადგან აღარაფერი ხდებოდა. იქ არც ამ ტომრის ყღრიალი ისმოდა, ან თუ ისმოდა, ესეც სამუდამოდ დაკარგული ქვეყნის ხმა იყო, ცოცხლების ხმა, სევდისა და სინანულის და, მხოლოდ და მხოლოდ, საუკეთესო მოგონებათა ალმაცერები. ფარნაოზს კი, ეს ერთფეროვანი ხმა ტანზე ეკალს აყრიდა და შემკრთალი ფიქრობდა: რა უწყვია, ნეტავ, ტომარაშიო.

ზაფხული სასაფლაოზე უფრო თვალში საცემი იყო. სიცხეს კვიპაროსები გაერუჯა, შეეტრუსა და ალისფერი ლაქებით დაესახიჩრებინა მათი მარადიული სიმწვანე. ბალახი ისე გამოფიტულიყო, ფეხის ხმაზე იმსხვრეოდა და მტვრის პატარა ქულებს აჩენდა. მწერი და ქვეწარმავალი მომრავლებულიყო, ბუჩქებში განუწყვეტელი შრიალი და ფაჩუნი იდგა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ფარნაოზს თურმე ინოს საფლავი თავისი მშობლების აკლდამის გვერდით გაეთხარა, თითქმის მეზობლად. ეს კი მართლა უნებურად, შემთხვევით გამოსულიყო ასე. ამაშიც ბედისწერის ხელი ერია. როცა ინოს საფლავს ჩაუარეს, ფარნაოზი დაიხარა და საფლავზე დაგდებული ხმელი ტოტი აიღო. კუსამ გაიცინა და უთხრა: ჯერ მშობლებს მიხედეო. კუსამ ესეც იცოდა, ინოს საფლავისთვისაც მიეგნო, მაგრამ ფარნაოზი არაკი დაინტერესებულა, საიდან უნდა სცოდნოდა კუსას ამ საფლავის ადგილ-სამყოფელი. მისთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო. კუსა პატარა აკლდამასთან იდგა და ფარნაოზი მიხვდა, იქ იყო მისი მშობლების სამუდამო განსასვენებელი, რომლის გზაც ისევ და ისევ კუსამ მოასწავლა, მეგზურობა გაუწია, მეგზურობა კი არა, მასპინძლობა, თითქოს უცხოელ სტუმარს თავის კარ-მიდამოს ათვალიერებინებდა. კუსა მართლაც მასპინძელივით იდგა აკლდამის კართან და ღიმილით ეპატიჟებოდა ფარნაოზს. მუმლი აკლდამაშიც ტრიალებდა, მაგრამ აქ უფრო გრილოდა.

— კარგი კაცი იყო პაპაჩემი. — თქვა კუსამ და ხვლიკისფერ ლოდზე ჩამოჯდა.

ასეთი ლოდი აკლდამაში ორი იყო, ერთმანეთის გვერდით. ერთს ფარნაოზის დედა ერქვა, მეორეს კი — მამა. ფარნაოზს გააჟრჟოლა, შეცივნებულივით. ეგ იყო და ეგ, მეტი არაფერი უგრძვნია. კუსას სანდალი გაეხადა და ლოდზე ბერტყავდა.

— კარგი კაცი იყო პაპაჩემი. — ისევ გაიმეორა კუსამ, მერე სანდალი ფეხზე ამოიცვა და გააგრძელა: ერთხელ ქამრით მცემაო.

— რომ გცემა, იმიტომ იყო კარგი კაცი? — ჰკითხა ფარნაოზმა.

დიდი, მოშავო-მოყავისფრო კალია ისეთი გამეტებით დაენარცხა საფლავის ლოდს, თითქოს ვიღაცამ ისროლაო. კალიამ ხმელი და გრძელი ფეხები ქვის ხორკლიან ზედაპირზე მოაფხაკუნა და გამართა. კარგახანს იჯდა ასე და თავს ატრიალებდა.

— არა, მარტო მაგიტომ არა. საერთოდ იყო კარგი კაცი. — თქვა კუსამ.

ფარნაოზმა გაიფიქრა, ამ ლოდზე რომ შევდგე, ზღვას დავინახავო. კუსამ გაიცინა. ფარნაოზს არ გაჰკვირვებია და მაინც ჰკითხა: რა გაცინებსო.

— მძინარეს საბანი გადამხადა და ქამრით დალილავებულ ადგილებზე მკოცნიდა. გამიკვირდა, რამ გადარიამეთქი, მაგრამ მაინც გავისუსე, თავი მოვიმკვდარუნე. იმის მერე სულ თვალებში შემციცინებდა. მეც თავი ისე მეჭირა, ვითომ ძალიან ნაწყენი ვიყავი. არა და, სრულებით არ მწყენია, არცა მტკენია. — კუსამ ისევ გაიცინა, ყალბად, ზერელედ და გააგრძელა: მამამ თუ არ გცემა, აბა რიღას მამაო.

კუსა უსინდისოდ ტყუოდა. სხვამ თუ არა ფარნაოზმა ხომ იცოდა, უხეირო, როგორც არ უნდა ყვარებოდა კუსა, როგორც არ უნდა შეეწუხებინა შვილიშვილის გალახვას, მაინც ვერ ადგებოდა და ვერ დახედავდა მძინარეს. მეორეც ერთი, თავის მამადაც გამოიყვანა იგი. კუსა ან სიმთვრალეში ურევდა რაღაცას, ანდა ფარნაოზს იგდებდა მასხრად, თითქოს ფარნაოზი მართლა უცხო იყო და ისე, გასართობად, ზრდილობისათვის უყვებოდა ბავშვისიანების ამბავს. შეიძლება, ბოლესაც სდებდა, შეფარულად აყვედრიდა მშობლისადმი გულგრილობასა და უპატივცემულობას, რაკი ათი წლით მიეტოვებინა იგი, სწორედ იმ დროს, როცა ყველაზე მეტად ჭირდებოდა პატრონი და ხელის შემწყობი. ასე იყო თუ ისე, ფარნაოზს ისღა დარჩენოდა, მართლა უცხოსავით მდგარიყო ამ აკლდამაში და მორჩილად ესმინა დისშვილის ლაყბობისთვის, რომელსაც აქაც . მასზე მეტი უფლება ჰქონდა, თავისუფლად იქცეოდა და ისე უდარდელად და თამამად იჯდა საფლავის ლოდზე, როგორც მეფე ტახტზე. მას კი მშობლების გამორჩევაც არ შეეძლო, არ იცოდა, რომელს რომელი ლოდი ედო გულზე.

ფარნაოზი აკლდამიდან გამოვიდა, გარემო ეუცხოვა და უნებურად ცას ახედა. ცაზე ელვამ გადაირბინა, ელვას ქუხილი მოჰყვა და ნაცრისფერი ჩრდილი გადაეფარა ყველაფერს. უთავბოლოდ მიმოფანტული ქანდაკებებიც თითქოს ეს წუთია გაშეშდნენო. ფარნაოზს ერთი წამით დედალუსის ეზო გაახსენდა. ამ გახსენებამაც ელვასავით გაირბინა მის გონებაში. აკლდამიდან კუსაც გამოვიდა და ბიძას გვერდში ამოუდგა. ახლა ორივენი ცას უყურებდნენ. შავი, უზარმაზარ თონედან ამომავალი კვამლივით აწრიალებული ღრუბლები, ვერაგი მტრის ლეგიონებივით, ჩუმად და შეუმჩნევლად მოგროვილიყვნენ ქალაქის თავზე. ელვამ ისევ გადაირბინა, თითქოს ვიღაცამ, ძლიერმა და უხილავმა, სწორედ, ის ოქროსფერი ძაფი გამოარღვია, რომლითაც ღრუბლებს პირი ჰქონდათ ამოკერილი. პირგახსნილმა ღრუბლებმაც დაიგრუხუნეს და ნაცრისფერ, დაგვალულ მიწაზე პირველმა მძიმე წვეთებმა გაადინეს ტყაპანი. უცებ ისეთმა წვიმამ დაუშვა, იძულებულნი გახდნენ, ისევ აკლდამაში შებრუნებულიყვ-

ნენ. წვიმა კი გადაღებას არ აპირებდა. პირიქით, თანდათან მატულობდა და მალე აკლდამის კარს მისი ფოლადისფერი და გაუმჭვირვალე კედელი ისე მოებჯინა, აკლდამაში ჰაერი ჩაიხუთა. კუსა ისევ იმ ლოდზე ჩამოჯდა, რომელზედაც წეღან იჯდა და ფარნაოზმა იფიქრა, რომ სწორედ იმ ლოდის ქვეშ იწვა უხეირო.

— არ უნდა ჩვენი გათიშვა ბუნებას. — თქვა კუსამ.

ფარნაოზი და კუსა მართლაც არასოდეს არ ყოფილან ასე ახლოს ერთმანეთთან, ასე მარტონი. კუსასი არ იყოს, თითქოს ბუნებაც ხელს უწყობდა მათ განმარტოებას, ერთმანეთისკენ უბიძგებდა და წვიმით ამოქოლილ აკლდამაში შეყუჟულებს, აიძულებდა, საბოლოოდ ეცნოთ ერთმანეთი. ერთი მსხვერპლი იყო, მეორე კი — ჯალათი. კუსა ფარნაოზის ჯალათად გაეჩინა ბუნებას და ამიტომაც ვერ შეძლო ფარნაოზმა მისი მოკვლა. ასე რომ მომხდარიყო, მაშინ ცხოვრებისა და ბუნების კანონზომიერება უნდა დარღვეულიყო,

მსხვერპლს უნდა გაეკეთებინა ჯალათის საქმე, ეს კი მართლაც წარმოუდგენელი უსამართლობა იქნებოდა. ბევრი რამე, რაც წინასწარ, უკვე დიდი ხნის წინათ აეწონათ, გადაეზომათ და დაედგინათ, ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო. შეცვლას კი დრო დასჭირდებოდა, დროცა და ჯანიც, რაც ერთხელ უკვე გაეღო ამ საქმისთვის ბუნებასა თუ ბედისწერას და ხელმეორედ აღარ გაიღებდა. ან სად უნდა ეშოვნა და გინდაც ეშოვნა, რომელი სულელი და უსაქმური გაირჯებოდა ორჯერ ერთსა და იმავე საქმეზე, რატომ აქცევდა ჯალათს მსხვერპლად, და მსხვერპლს ჯალათად, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, მსხვერპლს რომ ასე ერჩია. ეს მსხვერპლის საქმე იყო, თვითონვე უნდა ეზრუნა, რამის შეცვლას თუ აპირებდა. მსხვერპლი კი საამისოდ არ იყო მზად, უფრო სწორედ, საამისოდ არ ვარგოდა, მას ჯალათის გაწირვა შეეძლო მხოლოდ, მოსპობა კი არა. ეს მსხვერპლმაც იცოდა, ხოლო ამის ცოდნა უარესად აკნინებდა, აბეჩავებდა და თუ მისი ჯალათი, მხარზე ტომარაგადაკიდული თამამად დააბიჯებდა ქალაქში, ესეც მისი დამსახურება იყო, მისი სილაჩრის, მისი გაუბედაობისა და მოუხერხებლობის შედეგი. საკმარისი იყო, ცოტა უფრო ძლიერი და ცოტა უფრო გამბედავი ყოფილიყო მსხვერპლი, ეს ჟღრიალი არასოდეს გაისმებოდა ვანის ქუჩებში. საკმარისი იყო, ერთი წამით მორეოდა გულჩვილობას, ერთი წუთით ფეხებზე დაეკიდა, რას იტყოდა ქალაქი, ერთი წუთით დაევიწყებინა სინდისი და სამუდამოდ მოიშორებდა გაურკვეველი შიშისა და ჩაუდენელი დანაშაულის შეურაცხმყოფელ გრძნობას, მაგრამ ეს რომ შესძლებოდა, მაშინ აღარც მსხვერპლი იქნებოდა. კუსა კი ნამდვილად ჯალათი იყო, გაჩენისთანავე, მაშინაც კი, როცა ფარნაოზს ხელში ეჭირა იგი და გული შიშით უსკდებოდა, არ დავარდნოდა, რამე არ ეტკინა მისთვის. კუსა ყოველთვის მასზე ძლიერი იყო და თუ კუსამ ჯერჯეროობით ეს არ იცოდა, არც ამით იცვლებოდა რამე. ადრე თუ გვიან, ისიც აუცილებლად გაიგებდა, გაიგებდა და მაშინვე ამოქმედდებოდა, დრო რომ აღარ დაეკარგა, დაკარგული დრო რომ ამოეჭაჩა და ბევრი აღარ ელოლიავა მსხვერპლისთვის, რომელიც მაინც მისი წერა იყო, მაინც ვერსად გაექცეოდა.

— გახსოვს, ჩემი მოკვლა რომ გინდოდა? — ჰკითხა კუსამ და აღარც ფარნაოზს უუარია, თითქოს ელოდებოდა კიდეც ამგვარ შეკითხვას და მაშინვე უპასუხა: მინდოდა, მაგრამ ვერ მოგკალიო. შეგეშინდა და იმიტომო, — არც კუსამ დაუგვიანა პასუხი.

— ხო. — აღარ გაუძალიანდა ფარნაოზი.

— აი, მე კი არ შემეშინდებოდა. — გამომწვევად გააგრძელა კუსამ და ტო-

მარას ისე წაჰკრა ფეხი, თითქოს მის ფეხებთან ჩაცუცქულ ძაღლს იშორებსო.

ტომარამ მართლაც გალახული ძაღლივით დაიწკავწკავა.

— რა გინდა ჩემგან? — ჰკითხა ფარნაოზმა.

კუსამ არ უპასუხა და აკლდამაში წვიმის ხმა გაისმა. კუსამ თითქოს დაფიქრების საშუალება მისცა, თუ გესმის, რას მეკითხებიო და ფარნაოზმაც იგრძნო ეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. ეს შეკითხვა კუსას სიძლიერისა და უპირატესობის აღიარებას ნიშნავდა. ეს შეკითხვა, ეტყობა, წლობის განმავლობაში მზადდებოდა, რათა დღეს, სწორედ დღეს, მშობლების აკლდამაში, ფარნაოზისთვის ყველაზე სუსტ ადგილას ამოეხეთქა, და ამოხეთქა კიდეც. შლამსა და ქანებში ტანჯვითა და წვალებით გამოვლილმა, უეცარი სინათლითა და თავისუფლებით დაბრმავებულმა, სინათლესა და თავისუფლებას შეუჩვეველმა და ამიტომაც უკან დაბრუნების ყოველგვარ უნარსა და საშუალებას მოკლებულმა.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა და ამან უარესად ააფორიაქა ფარნაოზი. ერჩივნა, აქვე, თავისი დედ-მამის საფლავზე გამოეჭრა მისთვის ყელი კუსას, ვიდრე ასე თავჩაქინდრული მჯდარიყო, შეურაცხყოფილი კაცივით. ფარნაოზმა ერთი წამით ისიც იფიქრა, იქნებ კიდევ შემეშალა და კიდევ უმიზეზოდ ვატკინე გული კუსასო, მაგრამ კარგად არაკი ჰქონდა თავისი გულუბრყვილო ფიქრი დამთავრებული, კუსამ შემარიგებლად რომ შეჰღიმილა და ისეთი რამე უთხრა, ფარნაოზს მართლა ერჩივნა, სამუდამოდ დარჩენილიყო ამ აკლდამაში.

— აქედან, თუ გინდა, ინოსთან წავიდეთო. — უთხრა კუსამ.

— ტყუი! — იყვირა ფარნაოზმა და ხელი გამეტებით მოუქნია. ძნელი სათქმელია, კუსამ დაინახა მისი ხელი და დროულად აიცდინა, თუ უბრალოდ ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის და სწორედ იმ დროს დაიხარა ტომრის ასაღებად, როცა ფარნაოზმა გარტყმა დაუპირა.

— ხე, ხე, გათქმევინე თუ არაო?! — გაიცინა კუსამ. ზლაზვნით წამოდგა, ტომარა ზურგზე მოიგდო, აკლდამიდან გავიდა და ჟღრიალ-ჟღრიალით დაუყვა ატალახებულ ბილიკს. ტომარა უცებ დასველდა და გაშავდა.

ამაოდ იტყუებდა ფარნაოზი ამდენხანს თავს, არსებობდა ერთადერთი ინო, რომელსაც მთელი ქალაქი იცნობდა, ხოლო კიკინებაპრეხილ გოგოზე ფიქრი და ვითომ მისი საფლავის მოვლა-პატრონობა ბავშვური სისულელე იყო და მეტი არაფერი. ინო ცოცხალი იყო და სანამ ცოცხალი იქნებოდა, ვერცერთი საფლავი ვერ დაიტევდა, ვერ გაიჩერებდა, და ეს ისეთივე სიმართლე იყო, როგორც მისი მშობლების სიკვდილი, რომლებიც ახლა ამ ლოდების ქვეშ იწვნენ, რა მნიშვნელობა ჰქონდა, რომელი ლოდი რომელს ედო გულზე, როცა ორივე ტოლი იყო, ორივე ერთნაირად ნაცრისფერი და ხორკლიანი. თვალთმაქცობას აზრი აღარ ჰქონდა, სიმართლისთვის თვალებში უნდა შეეხედა და იმდენი ვაჟკაცობა ჰქონოდა, გულში მაინც ეღიარებინა: ქვეყნის კი არა, ერთი გაჩხინკული გოგოს გადარჩენაც არ შემძლებიაო. სიმართლე ჯიუტი იყო, არაფერს დაგითმობდა, არც შეგიცოდებდა, არც შენი გულისთვის მოირთვებოდა ზიზილპიპილოებით და არც იმას დაგიდევდა, მოგწონდა თუ არა. შენი საქმე იყო, მიიღებდი თუ არა მას, შეეგუებოდი თუ აუჯანყდებოდი; არშემჩნევის, უგულველყოფის ნებას კი არ მოგცემდა, არ მოგცემდა იმიტომ, რომ არსებობდა, რადგან არსებობდა, ადგილსაც იკავებდა, ხოლო რადგან ადგილს იკავებდა, ჩანდა კიდეც. ჩანდა, როგორ არ ჩანდა. ჩანდა და ეგრე? ფარნაოზს თვალები ტკიოდა და თავი უბრუოდა. ბუნებასავით

შიშველი, ქარიგით თამამი, წვიმასავით მოურიდებელი, ზღვასავით ჟინიანი და დამღუპველად ლამაზი იყო სიმართლის ღვთაება. ფარნაოზსაც მუხლი უნდა მოეყარა მის წინაშე, მისი ფეხის მტვერი ეკოცნა, მიწისთვის თავი ეხეთქა და მისი სადიდებელი ეგალობა. მაგრამ სიყვარულს სად დამალვოდა? ყველასაგან განწირული, მასაც როგორ გაეწირა? როგორ გამოეძევებინა სულიდან, როცა იქღა ჰქონდა ერთადერთი თავშესაფარი, ნათრევსა და შეგინებულს?

ფარნაოზი აკლდამიდან გამოვარდა და ბილიკზე სირბილით დაეშვა. სველი, გალიპული ბილიკი ფეხქვეშ უსხლტებოდა, თითქოს ცოცხალი ურჩხულის ზურგზე გარბოდა. წვიმასაც გაუხარდა, კაცის გაწუწვის საშუალება რომ მიეცა და ხარხარით გამოენთო. ფარნაოზი კი გარბოდა, სველ ბილიკზე თავს ძლივს იკავებდა, ერთი-ორჯერ ცოტას მორჩა, წაიქცა კიდეც. ახლა ორივე ხელი ტალახში ჰქონდა ამოსვრილი იდაყვებამდე და თითებს უნებურად ფარჩხავდა. სველი, წვიმის ქვეშ აქანავებული ბუჩქები და ეკალბარდები ფეხებში ებლანდებოდნენ, ტანსაცმელზე ებღაუჭებოდნენ, თითქოს უკანასკნელი იმედი ეცლებოდათ ხელიდან. ფარნაოზი კი მირბოდა, ვერაფერს ხედავდა, ვერცა გრძნობდა, ოღონდ, ტალახიანი, თითებგაფარჩხული ხელები ისე ეჭირა, თითქოს კედელს უნდა შესკდომოდა, ანდა ქვეყნისთვის უნდოდა ეჩვენებინა: აი, წვიმამ, როგორ წამაქცია და დამსვარაო. ფარნაოზი სირბილით მივიდა სახლამდე, ეზოში, პოპინას სამღებროზე აყუდებულ ბარს ხელი დასტაცა და სირბილითვე გამობრუნდა უკან. ახლა ბარიანად გარბოდა, ტალახიანი ხელებით ბარის ტარი ჩაებღუჯა, თითქოს ვიღაცას მისდევდა მოსაკლავად, ანდა თითქოს წვიმას მის ბოსტანზე ნიაღვარი მიეგდო და იმის გადასარჩენად გარბოდა ასე თავქუდმოგლეჯილი. ისევ ჩაუარა დუქნებისა და სახელოსნოებს რიგს და წვიმას თავშეფარებულმა ხალხმა ისევ გულგრილად გააყოლა თვალი თავფეხიანად გაწუწულ კაცს, ბარშემართული რომ გარბოდა. მათ თავზე წყალი არ დასდიოდათ და არც გასაქცევად ჰქონდათ საქმე. ვიღაცამ მიაძახა: ქურდი ბაღში, დაჰკა თავშიო, მაგრამ ფარნაოზს არც ეს გაუგონია ინოს საფლავზე რომ მივიდა, წვიმამაც გადაიღო.

„ეს ჩემი საფლავია, ვის რა ესაქმება“ — გაიფიქრა ფარნაოზმა და ბარი მოიქნია. წვიმას ვერ მოესწრო მიწის გაჟღენთვა, ის მხოლოდ ზემოდან იყო სველი. ფარნაოზი უცებ გაიოფლა, თუმცა ისედაც თავიდან ფეხებამდე სველი იყო და უეცრად გამობრწყინებულ მზეზე ორთქლი ასდიოდა, ბოლავდა, წყალგადასხმულ კოცონივით. ამოტრიალებული ბელტები შიგნიდან მშრალი იყო და შიგ ჩახლართული ბალახის ბუსუსა ფესვებზე მიწა ბოლქვა-ბოლქვა ეკიდა. ფარნაოზი კი თავაუღებლად თხრიდა და თანდათან თვითონაც ჩადიოდა მიწაში. ჯერ მუხლამდე, მერე წელამდე და მალე უკვე მხრებამდე იდგა იგი ხელმეორედ (სინამდვილეში კი უკვე მესამედ) გათხრილ საფლავში. საცაა უნდა გამოჩენილიყო ინოს თავი, ან ბარის პირი მაინც უნდა წამოსდებოდა ქვას. მხრები ტკიოდა, ხელისგულები უბჟუოდა, მაგრამ მაინც არ შეუსვენია. როგორც ახსოვდა, ასე ღრმა არ უნდა ყოფილიყო საფლავი, თანაც მაშინ, როცა პირველად გათხარა იგი, თვითონაც უფრო დაბალი იყო. მაშინაც მხრებამდე წვდებოდა საფლავი და ახსოვს, როცა ამოძვრა, ჯერ იდაყვებით დაეყრდნო საფლავის კიდეებს. ინოს თავი კი არ ჩანდა. ფარნაოზი გაშმაგებული თხრიდა, თუმცა ბარს თავისუფლად ველარ ხმარობდა, წარამარა უხვდებოდა მიწის კედელზე და მყესებს აწყვეტდა. პირღია ორმოს გარშემო დაზვინული მიწა უკანვე ცვიოდა, თავზე ეყრე-

ბოდა, გაოფლილ ბეჭებზე ეწებებოდა, მიწისა და გახრწნილი ფესვების სუნი გულს ურევდა. საფლავი გაქურდული იყო. ფარნაოზი უკვე დარწმუნებულიყო ამაში, ეჭვი კი ადრეც ჰქონდა, ვიდრე თხრას დაიწყებდა. სინამდვილეში ამიტომაც დაიწყო თხრა, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ... ინოს თავი დაეღწია მისი ტყვეობიდან. ვინ იცის, რა საფასურით, მესაფლავე მოესყიდა და გაპარულიყო. „კი მაგრამ, რაში დაჭირდა კუსას ამ საფლავის გაქურდვაო?“ — გვიან გაუკვირდა ფარნაოზს. ეს კი მართლაც ძნელი ასახსნელი იყო. „ალბათ, გაყიდაო“ — ფიქრობდა იგი, რადგან სხვა ვერაფერი მოეფიქრებინა, თუმცა თვითონვე გრძნობდა, განგებ რომ ფიქრობდა ასე, განგებ აიოლებდა გამოცანას, რომლის ამოხსნაც არ შეეძლო და აღარც უნდოდა, ისე მორეოდა დაღლილობა. ცუგას თავის გაყიდვაც ხომ კუსამ ურჩია, კი არ ურჩია, მიახვედრა, შესაძლებელი რომ იყო ცუგას თავის გაყიდვა. ფარნაოზმა ბარი ამოაგდო ორმოდან, თვითონ კი ფსკერზე ჩაჯდა და დაბუჟული მკლავით სახე მოიხოცა. „ტყუილუბრალოდ გავისარჯეთ, ძმაო“ — თქვა ფარნაოზმა და ხელისგულით მიწა მოასწორა. არც აქ ჯდომას ჰქონდა აზრი, მაგრამ ისე დაღლილიყო, ენით აუწერელ ნეტარებას გვრიდა სამარის სივრილეში ჯდომა. ფარნაოზმა თავი ასწია და ცა დაინახა. „დედალუს, დედალუს“. დაუძახა ფარნაოზმა ცას და მერე ჩუმად, გუნებაში გააგრძელა: ერთი, თუ ძმა ხარ, მეც მასწავლე, როგორ ამოვფრინდე აქედანო. მართლა გაუჭირდა საფლავიდან ამოსვლა. ფხვიერ ბორცვს ხელი არ ეკიდებოდა, უაზრო სირბილისა და შრომისაგან მთელი სხეული მოსავათებოდა. ბოლოს, როგორც იქნა მაინც ამოფოფხდა. იქვე საფლავის კიდეზე ჩამოჯდა და თან ფეხებით მიწას უკანვე ყრიდა. უცებ იასამნის ბუჩქებიდან ჩიტმა დაუსტვინა. ფარნაოზი ისე დაიძაბა, თითქოს წარმოუდგენელი იყო აქ, ! ასაფლაოზე, იასამნის ბუჩქში ჩიტი მჯდარიყო და ესტვინა. ფარნაოზს ჩიტის დანახვა სურდა და კისერი დაიგრძელა, მაგრამ ჩიტი ვერ დაინახა, სტვენა კი ესმოდა. ხმელი, გამკვრივებული გორახი აიღო და ბუჩქებს ესროლა. გორახი ბუჩქებში ჩაიფშხვნა, ჩიტი გაჩუმდა, მაგრამ ცოტახნის მერე ისევ დაუსტვინა. კაცის, საქციელმა ჩიტი გააბრაზა თუ გაახალისა, ახლა მთელი ხმითა და გადაბმულად, შეუსვენებლად უსტვენდა.

— „მწყევლისო“ — გაიფიქრა ფარნაოზმა.

წვიმის შემდეგ კი ქვეყანა პირველყოფილი სიმშვენიერით ბრწყინავდა, კისკისებდა და არც დაღლა ეტყობოდა, არც ასაკი, მზად იყო თავიდან გაემეორებინა ყველაფერი, გაეჩინა, შეექმნა, მოეკლა და დაენგრია. ვინ იცის, სწორედ ახლა, ამ ერთ წუთში, ატალახებული მიწისა და მზის მცხუნვარე სხივების შეუღლებით ,რამდენი, რამდენნაირი თესლი ღვივდებოდა, გამსკდარი ბოჭკოდან, პარკუჭიდან თუ კვერცხიდან რამდენი ყლორტი, ჭია და მწერი გამოდიოდა სამზეოზე და ყველას ჰქონდა თავისი ადგილი, მკლავის გასაშლელი. საცოცავი, საბრუნავი, რადგან ამდენივე სტოვებდა სამზეოს, კვდებოდა, ილექებოდა, იხრწნებოდა და ისევ თავის ადგილს იკავებდა სიკვდილ-სიცოცხლის წრეში, რადგან ახლა სხვა სახით, მარადიული ტრიალისგან შეცვლილი, გადასხვაფერებული მოვლენოდა ქვეყანას მირიადი წლების შემდეგ, როცა ისევ მოვიდოდა მისი რიგი. ამ მირიადი წლების შემდეგაც მისი მოვალეობა მაინც იგივე იქნებოდა: უნდა ეცოცხლა და მომკვდარიყო, უნდა მომკვდარიყო და ეცოცხლა. და ასე დაუსრულებლივ. რაც არ უნდა პატარა და უმნიშვნელო ყოფილიყო იგი, პატარა და უმნიშვნელო, მისი უკვალოდ გაქრობა, მისი ამოვარდნა სიკვდილ-სიცოცხლის ამ ჯადოსნურ წრიდან, მაინც დაეტყობოდა ქვეყანას, მაინც შეფერხდებოდა რაღაცა, და ეს შეფერხება ,თუნდაც წამიერი,

სრულყოფილების იერს დაუკარგავდა სააქაოსაც და საიქიოსაც. ამიტომ, მწერსაც კი არ ჰქონდა უკვალოდ გაქრობის უფლება, მსგავსს მსგავსი უნდა დაეტოვებინა და სანამ მსგავსს არ შექმნიდა, არც სიკვდილის ნება ჰქონდა, რადგან სიკვდილი დასვენებაში ეთვლებოდა. იქ, სიკვდილში გადასულს, შეეძლო გულხელდაკრეფილს ეცადა, როდის გამოუნახავდნენ ახალ ფლასსა და ნიღაბს, და დაუძახებდნენ: ადექ, დარეკა შენმა ჟამმაო.

— ცოლი უნდა შევირთოო. — უთხრა ერთ დღეს ფარნაოზმა პოპინას.

პოპინამ ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და სკამზე დაჯდა. დაწითლებულ ხელებზე ორთქლი ისევ ასდიოდა.

— რა თქვი? — თითქმის ჩურჩულით ჰკითხა პოპინამ. ჩურჩული გამოუვიდა, რადგან უცებ ხმა ჩაეხრინწა.

— ცოლი უნდა შევირთო, — გაიმეორა ფარნაოზმა — მოგეხმარება.

— მომეხმარება? — იმავე ხმით ჰკითხა პოპინამ და რამდენჯერმე ჩაახველა, თითქოს ხმელი პურის ნამცეცი გადასცდენოდა სასულეში.

— რა იყო, რატომ გაგიკვირდა? არ შეიძლება? — ჰკითხა ახლა ფარნაოზმა.

მასაც გაუჭირდა ლაპარაკი.

— მე მიკვირს? — ამოისლუკუნა პოპინამ და მხოლოდ მაშინ შეამჩნია ფარნაოზმა, პოპინა რომ ტიროდა.

ქალს, რომელსაც ფარნაოზის ცოლობა ეწერა შუბლზე, თინა ერქვა. თინა და ფარნაოზი ერთმანეთს პატარაობიდან იცნობდნენ, თინა მათ მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა, ქუჩის გადაღმა. სხვა არაფერი არ ჰქონიათ საერთო. ყოველდღე ხვდებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ. თინას, როგორც ყველა ბავშვს, თავის ეზოს სხვისი ეზო ერჩია. საათობით იჯდა ხოლმე შუბუს დარგულ ლეღვის ხეზე, ფართე, ხაოიან ფოთლებში ჩამალული და მთელი ხმით მღეროდა, სანამ ქუჩის გადაღმიდან დედა არ დაუძახებდა: ჩამოეთრიე, შე სასიკვდილე, ლეღვი ჩვენც ხომ გვიდგასო. თინას კი ეს ლეღვი ერჩია, მაგრამ დედის შიშით, იძულებული იყო, ჩამობრძანებულიყო; სიმღერისგან სახეალეწილი და მკლავებგაშიშვლებული, უხალისოდ გადიოდა ეზოდან. ხან თინა ქალუკას ჩაუცუცქდებოდა ხოლმე წინ, და იქამდე გაუწყალებდა გულს, სანამ ქალუკა ქვასანაყს არ დაუთმობდა. „ჩვენცა გვაქვს ქვიჯა, შე სასიკვდილეო“ — ეძახდა ქუჩის გადაღმიღან დედა, მაგრამ თინას ეს ქვიჯა ერჩია, ჯადოქრის ჯამფილასავით გამაბრუებელ სურნელს რომ აფრქვევდა გარშემო და ზუსტად მისი გულივით ხმაურობდა. ქალუკა დანაყილ ქინძსა თუ ნიგოზს ჯამში რომ გადაიღებდა, ქვასანაყს აუცილებლად თინას გაალოკინებდა. „რატომ ჩვენს ბიჭთან არ თამაშობ“ — ეკითხებოდა ქალუკა და სანამ უპასუხებდა, თინა ჯერ მხრებს აიწურავდა ხოლმე.

— არ შეიძლება და იმიტომ — პასუხობდა თინა.

— რატომ, რატომ არ შეიძლება? ცუდი ბიჭია ფარნაოზი? — თავს ირთობდა ქალუკა ბავშვთან საუბრით.

— ყველა ბიჭი ცუდია. — პასუხობდა თინა.

— ოოხ, თინა, თინა... შენ მოიყარე ჩემი ხნისა. — იცინოდა ქალუკა.

თუ მათ საუბარს პოპინა შემოესწრებოდა, ქალუკა თინას თვალს ჩაუკრავდა ხოლმე და პოპინას ეუბნებოდა, გაიგე ქალო, თინა ჩვენს ბიჭს მიყვება ცოლადო.

— არაფერიც. — ამბობდა თინა.

— მართლა, თინიკო? — ეკითხებოდა პოპინა, ვითომ ესაა დაიჯერა ქალუკას ნათქვამიო.

— არაფერიც. — იმეორებდა სატირლად გამზადებული თინა.

თინას ორივე უყვარდა, ქალუკაც და პოპინაც, რადგან ისინი ყურადღებას აქცევდნენ, ტოლივით ელაპარაკებოდნენ, ხან ვაშლს ჩაუდებდნენ ხელში ძალათი და ხან თხილს ჩაუყრიდნენ კალთაში, ხოლო დედა რომ დაუტატანებდა, ისიხი უღიმოდნენ და ეუბნებოდნენ,

კიდევ მოდი ჩვენთანო. დედას კი თინა ყველაფერში ხელს უშლიდა, როგორც თვითონვე ამბობდა, „ფეხებში ებლანდებოდა“ და გაუთავებლად ბუზღუნებდა: ნუთუ არ გამოჩნდება ვინმე, შენისთანა ოხერი, დროზე რომ მიგაშავო და მეც დავისვენოო. „არაფერიც“. — პასუხობდა თინა გუნებაში, რადგან სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა. დრო კი გადიოდა და იმის ნაცვლად, თინა და ფარნაოზიც რომ დაახლოებულიყვნენ, უფრო უცხოვდებოდნენ, მალე აღარაკი ესალმებოდნენ ერთმანეთს, თითქოს მართლაც უცხოები იყვნენ, ანდა ბავშვობის ნაცნობობა არ ითვლებოდა. თინამაც მოუკლო ქალუკა-პოპინასთან სიარულს. სამეზობლო საქმეზეღა თუ გადავიდოდა და ისიც მაშინ, როცა წინასწარვე იცოდა, ფარნაოზი შინ არ იქნებოდა. თანდათან დედამისმაც მოუკლო მის წყევლასა და გინებას, გასათხოვარი ქალის ოჯახი ჩაწყნარდა, გაილურსა და ბედთან შესახვედრად მოემზადა. ქალუკასა და პოპინას კი მართლა შეყვარებოდათ მათ თვალწინ გაზრდილი თინა და ყოველთვის საყვედურობდნენ, რა იყო გოგო, რა დაგიშავეთ, სულ რომ აიღე ჩვენზე ხელიო.

— არაფერი ქალუკა ბებო, არაფერი დეიდა პოპინა... პირიქით. — თავს ვერ აბამდა თინა და თან ისე შეეფაკლებოდა სახე, თითქოს ეს წუთია, შეუწყვეტია სიმღერა და ლეღვის ხიდან ჩამოსრიალებულაო.

ფარნაოზი კრეტაზე რომ წავიდა, თინამ ისევ მოუხშირა მათთან სტუმრობას. დედამისს თუ დასჭირდებოდა, ანდა ამხანაგები თუ გამოუვლიდნენ ქალაქში გასავლელად, პირველად უხეიროსთან მოაკითხავდნენ და თინაც აუცილებლად იქ დახვდებოდათ. ოჯდა სამი სხვადასხვა ასაკის ქალი დიდ ოთახში და ვერცკი გრძნობდა, უფრო მეტი საერთო რომ ჰქონდათ, ვიდრე გასარჩევი ლობიო, გალებად ასასხმელი ნიორი, ანდა ტყემლისა თუ ბადაგის მოდუღება. რაც არ უნდა ეთქვა, რაც არ უნდა გაეკეთებინა თინას, ყველაფერი მოწონდათ ქალუკასა და პოპინას, მაგრამ ძნელი სათქმელია, ასეთი სრულყოფილი მუნება ჰქონდა თინას, თუ ისინი მხოლოდ კარგს ხედავდნენ მასში, რადგან უყვარდათ. თინასაც კარგად გაეცნო ამ ხნის განმავლობაში ეს ორი, ერთნაირად უბედური ქალი, თავიანთ უბედურებას მართლა გმირული სიკერპითა და სიჯიუტით რომ მალავდნენ და ცდილობდნენ, ეს უბედურება ექციათ ბედნიერებად და არა სხვაგან, თავიანთი უბედურების გარეთ ეძებნათ იგი. არც ოჯახური ამბების გამოტანა უყვარდათ გარეთ, ზოგ-ზოგებივით, ჭიშკრებთან ჩამომსხდარნი, გასაშრობი მატყლივით რომ გაიფენენ წინ, ამვლელ-ჩამვლელის დასანახავად. თინას კი თავისიანად თვლიდნენ. შეჩვეოდნენ და უყვარდათ. ერთხელ, როცა თინამ კაბა აიწია, გადატყაული მუხლი აჩვენა და უთხრა, თქვენს ეზოში დავეცი. ორივე ქალი გულწრფელად მოიხიბლა მისი ჩამოსხმული და ჯიშიანი ფეხების ხილვით. თინა თვალსა და ხელს შუა დაქალებულიყო და ქალუკამ უანგარიშოდ, ყოველგვარი შეფარული განზრახვის გარეშე, უთხრა: გახსოვს, რომ გაბრაზებდი, ფარნაოზს უნდა გაგატანო ცოლადო?

თინამ გაიღიმა და კაბის კალთა ისე უცებ ჩამოუშვა, თითქოს ოთახში ფარნაოზი შემოსულიყოს. პოპინამ კი ამოიოხრა: ნეტავ მართლა ასე მომხდარიყო, მაშინ იქნებ ძმა მაინც არ დამკარგვოდაო. ამ საუბრის შემდეგ ქალები კიდევ უფრო დაახლოვდნენ, ფარნაოზსაც უფრო ხშირად იხსენებდნენ, თითქოს თინას თანდასწრებით სხვა რამეზე არ შეეძლოთ ლაპარაკი და პოპინაც ყოველთვის ამოიოხრებდა ხოლმე, „ნეტავ ასე მომხდარიყოო“. თინასთვის კი არცერთს არ უკითხავს თანახმა იყო თუ არა, ასე რომ მომხდარიყო, თითქოს სამივენი ამ საკითხზე წინასწარვე შეთანხმებულიყვნენ და ახლა ოხვრითა და გაუთავებელი ოცნებით ცდილობდნენ გაეოესწორებინათ ოდესღაც ჩაფუშული საქმე. ასე რომ, ვერცერთმა ვერ შეამჩნია, როდის და როგორ დაიწყეს

„ნათესაობანას“ თამაში. ახლა რამე ოჯახური საკითხი რომ ჰქონდათ გადასაწყვეტი, პოპინა ქალუკას ეტყოდა ხოლმე. მოვიცალოთ, რძალსაც ვკითხოთო. „რძალიც“ იფერებდა და ისეთი გულითადობით ეკიდებოდა უხეიროს ოჯახის ამბებს, თითქოს მართლა ფარნაოზის ცოლი იყო და ფარნაოზს დაებარებინოს მისთვის, აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ, ჩემს ჩამოსვლამდე როგორ ამოუდგები ჩვენებს მხარშიო. თინამ, თინამ კი არა, სამივე ქალმა იცოდა, თავისუფლად შეიძლებოდა. ფარნაოზი საერთოდ არ დაბრუნებულიყო, ანდა უკვე დაცოლშვილებული დაბრუნებულიყო, რისი მაგალითებიც ბევრი იყო მაშინ ვანში, მაგრამ მაინც არცერთი არ იტეხდა იხტიბარს და თავიანთი ქალური რწმენისა და იმედის ქოხში შეყუჟულნი, ერთმანეთს უადვილებდნენ ცხოვრებასა და მოლოდინს. თინას სიამოვნებდა „რძალს“ რომ ეძახდნენ და ისე შესჩვეოდა ამ არარსებულ რძლობას, თავს ვალდებულად თვლიდა, განუწყვეტლივ ეფიქრა ფარნაოზზე, როგორც ერთგულსა და პატიოსან მეუღლეს, რომელიც ბედმა თუ უბედობამ დიდი ხნით დაეშორა ქმარს და ასეთი მკაცრი გამოცდა მოუწყო. თინას ფარნაოზი ესიზმრებოდა კიდეც. სიზმარში ისინი მართლა ცოლქმარივით ექცეოდნენ და ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ფარნაოზი ოჯახის ამბებს ეკითხებოდა, ყველას მოიკითხავდა ხოლმე და წასვლისას ყოველთვის ეუბნებოდა, მადლობელი ვარ შენი, მეც გადამეხადოს ეს ერთგულება და პატივისცემაო. დილით, სიზმრისაგან აფორიაქებული თინა, ხალვათად, საშინაოდ ჩაცმული, გადაირბენდა ქუჩას და მისი მონაყოლი სიზმარი პოპინასა და ქალუკასაც ისე აფორიაქებდა, თითქოს თინას მათთვის მართლაც უტყუარი, მართლაც ფარნაოზის დანაბარები ამბავი მოჰქონდა. მერე ქალები სიზმრის ახსნას იწყებდნენ და კიდევ ერთხელ თანხმდებოდნენ, ყველაფერი ისე რომ იქნებოდა, როგორც მათ უნდოდათ. „მეც მიკითხაო?“ — მეათეჯერ ეკითხებოდა ქალუკა და თინაც მეათეჯერ პასუხობდა: ხო, ყველანი... მერე მაკოცა და მითხრა, მადლობელი ვარ, გადამეხადოსო.

უხეიროს რომ მოკვდა, თინამ ჭირისუფალივით გამოიდო თავი, თუმცა სიცოცხლეში არასოდეს ენახა თავისი „მამამთილი“. დაკრძალვამდე ფეხი არ ჩაუმუხლია, ჯარასავით ტრიალებდა და სამგზის დასვა და დააპურა მთელი ქალაქი; უხეიროს დაკრძალვაზე კი იმდენი ხალხი მოვიდა, ზემოდან ქლიავი რომ გადმოგეყარათ, ერთიც არ ჩააღწევდა მიწამდე. მოდიოდა და მოდიოდა. ემატებოდა და ემატებოდა, იცრობდა თუ არ იცნობდა უხეიროს, ყველას აინტერესებდა მისი ნახვა, ამდენი ხანი მწოლიარეს რომ გაეძლო, თავი რომ არ მოეკლა, არ გაგიჟებულიყო, და ახლა მოდიოდნენ, როგორც რომელიღაც დიდ შეჯიბრში გამარჯვებულ ფალავანთან, რომელთან მისასვლელადაც აუცილებელი არ იყო პირადად ცნობოდა იგი, რადგან მთავარი თვითონ კი არ იყო, არამედ გამარჯვება, რომელიც მას მოეპოვებინა და რომლითაც ყველასათვის ცნობილი გამხდარიყო.

თინა ყველაფერს ასწრებდა, ჭირისუფლობასაც და საქმესაც, საქმე კი ყოველთვის გამოულეველია, როცა ოჯახში მიცვალებული ასვენია. სამძიმარზე მოსულ ხალხს თინა პოპინასა და ქალუკასთან ერთად ხვდებოდა და ამაოდ უბღვერდა, ამაოდ ანიშნებდა დედამისი, გამოდი, მანდ რას დგახარ, რა შენი საქმეაო. დედამისმა რა იცოდა, რომ მისი ქალიშვილი ამ ოჯახის რძალი იყო და ისე იქცეოდა, როგორც კარგ რძალს ეკადრებოდა. ხალხი კი, რომელმაც თინას დედასავით არაფერი იცოდა, ამბობდა: ქალიც ეგ ყოფილა, მეზობლობაც ესაა, ჩვენს დროში შვილიც არ გაგიკეთებს ამასო. უხეიროს სიკვდილმა ფარნაოზი აუცილებელი გახადა ოჯახისთვის, ოჯახს კაცი ჭირდებოდა. შუბუ მამულს უვლიდა, კუსა კი ათასში ერთხელ თუ შემოიხედავდა, ისიც საჩხუბრად და საჯუჯღუნოდ, რათა უარესად მოეკლა

გული დედა-ბებიასათვის. „გამაგდეთ, მომიშორეთ, და ახლა ვეღარ გაგიძლიათ უჩემოდაო“ — იგესლებოდა კუსა და ქალებმაც აღარ იცოდნენ, რა ეპასუხათ, ორივეს პირკატა ჰქონდა ნაცემი.

პოპინა მკვდარი დადიოდა, მაგრამ რა ექნა, ვისთვის შეეჩივლა-თავისი გასაჭირი? მისი ჩივილი ქალუკას შეიძლება საყვედურად მიეღო, რადგან თუ კუსა პოპინას შვილი იყო, კუსას მამა ქალუკას გაეჩინა. ქალუკამ უთქმელადაც იცოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა პოპინას გულში, არც იმას უარყოფდა, მთავარი დამნაშავე თვითონ რომ იყო, რადგან მას ფილამონე რომ არ გაეჩინა, არც პოპინა გააჩენდა კუსას. ცოდვა დიდი იყო, ძლიერიც იყო და შეეძლო, თავის ნებაზე ებურთავებინა ეს ორი ფარატინა დედაკაცი, ერთი თოკით რომ გადაება ერთმანეთზე, რათა უფრო იოლად და ერთდროულად გასწორებოდა ორივეს. ამიტომ ორივესთვის, ქალუკასთვისაც და პოპინასთვისაც, განსაკუთრებულად ძვირფასი იყო მესამე, გარეშე ადამიანი, რომელსაც არც მათ ცოდვაში ედო წილი და არც არაფერი გაეგებოდა ამ ცოდვისა. თინა, სწორედ რომ მხსნელად იყო მოვლენილი. მესამე ადამიანის სიახლოვე, უფრო სწორედ, ამ მესამე ადამიანის სიწმინდე და გულუბრყვილობა ქვიტკირივით ამაგრებდა მათი მოთმინების კედელს, აქაიქ რომ გაბზარულიყო, პირი დაეღო და დასაქცევად გამზადებულიყო. ამ კედლის დაშლა ჯერჯერობით არ შეიძლებოდა, იმიტომ კი არა, სული მაინც ტკბილი რომ იყო და თავისი ნებით ორივეს გაუჭირდებოდა ამ ქვეყნიდან წასვლა, უფრო იმიტომ, ჯერჯერობით საჭირონი რომ იყვნენ ამ ქვეყანაზე, არა,ამ სახლში, სადაც მხოლოდ იხოცებოდნენ, ანდა საიდანაც გარბოდნენ, დაბადებით კი აღარავინ იბადებოდა. განა უფლება ჰქონდათ. მათაც მიეტოვებინათ აქაურობა, სანამ თუნდაც უმნიშვნელო იმედის ნატამალი მაინც არსებობდა, რომ იქნებ, კიდევ მოედგა სიცოცხლეს ფეხი ამ კედლებს შორის? ისინი ქალები იყვნენ და ამის უფლება არ ჰქონდათ. თინა კი სწორედ იმედის ის ნატამალი იყო, რომელსაც ორივენი წყალწალებულები ვით მოჰკიდებოდნენ და გადარჩენის სურვილს ისე გამოესულელებინა ორივენი, დაეჯერებინათ კიდეც თინა მათი რძალი რომ იყო, ფარნაოზიც აუცილებლად რომ დაბრუნდებოდა, რადგან შინ ცოლი ელოდებოდა, და ისევ დატრიალდებოდა ჩვილის ჭყივილი და სუნი ამ დასაქცევ სახლში.

— დღეს რა ლამაზი ხარ, ჩემო რძალო. — ეუბნებოდა პოპინა თინას და თინასაც უხაროდა, სწორედ პოპინა რომ ეძახდა რძალს, სწორედ პოპინა რომ თვლიდა ლამაზად.

თინას თავისი საქმე, თავისი მიზანი ჰქონდა და ჯიუტად, მოთმინებით მიიწევდა ამ მიზნისაკენ, როგორც ფილაქნის ქვეშ მოხვედრილი ბალახის თესლი, ბოლოს და ბოლოს მაინც რომ გამოხეთქავს ფილაქანს, მაინც რომ გაბზარავს, რათა იმ ბზარებში თავისი მწვანე და ბუსუსა ყლორტები ჩააწვინოს. თინამ ფარნაოზის ცოლობა ჯერ კიდევ მაშინ გადაწყვიტა, როცა, კალთაში ქვიჯაჩადგმული ქალუკა ეხუმრებოდა, თავის შესაქცევად ეუბნებოდა: გინდა თუ არა, ფარნაოზს უნდა მიგათხოვოო. ის, რასაც მაშინ დიდები ხუმრობად თვლიდნენ, მისთვის ხუმრობა არ იყო: უკვე მაშინვე სჯეროდა, ადრე თუ გვიან, ასე რომ მოხდებოდა. ასე უნდოდა და იმიტომ. მერე რა, ფარნაოზი ზედაც რომ არ უყურებდა, არც მასთან თამაშს კადრულობდა და არც მის დაკრეფილ ლეღვს მიირთმევდა? თინა ხომ მისთვის კრეფდა. ფართე, ხაოიან ფოთლებში ჩამალული, ერთს თვითონ რომ ჭამდა, მეორეს კალათაში იდებდა, ეს ფარნაოზსაო. სიმღერითაც ფარნაოზისთვის მღეროდა და რაც შეეძლო, აწკრიალებდა ხმას, რათა ფარნაოზისთვის მისი არსებობა გაეხსენებინა, გაეფრთხილებინა, რომ აქ, მის ლეღვზე იყო ჩამალული, ფართე, ხაოიანი ფოთლები მთელს ტანზე ღუდუდოებს აყრიდა, მაგრამ მაინც ითმენდა, რადგან აქედან უკეთესად

უთვალთვალებდა მის ყოველ ნაბიჯს. „ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიიიცი მეეე“. — მთელი ხმით მღეროდა, მთელი ხმით გაჰკიოდა თინა, სანამ ქუჩის გადაღმიდან დედა არ დაუტატანებდა და არ ჩამოაბრძანებდა ძირს, მკლავებგადატყაულსა და დასუსხულს. თინამ მართლა ყველაფერი იცოდა, რაც კი ფარნაოზს შეეხებოდა, რისი ცოდნაც აუცილებელი იყო, რათა ფარნაოზს რამე ისეთი სისულელე არ ჩაედინა, სამუდამოდ რომ დაჰკარგვოდა თვალთახედვიდან. მთავარია, არ დაჰკარგვოდა, სხვას კი ყველაფერს მოევლებოდა. თინა ეარწმუნებული იყო თავის თავში და არასოდეს მტკივნეულად არ განუცდია, ფარნაოზის გულგრილობა, სხვას რომ ალბათ, სამუდამოდ ააღებინებდა ხელს განზრახვაზე. **თინა იბრძოდა, მან იცოდა,** ფარნაოზი უნდა მოეპოვებინა, როგორც ლუკმა, ოფლითა და მოთმინებით, როგორც მამა ეუბნებოდა ხოლმე, ოფლიანი პირისაკენ წაღებულ ხელს მაჯაში დაუჭერდა და ჰკითხავდა: რასა ჭამო. „შენს ოფლსო“ — დაუფიქრებლად პასუხობდა თინაც. მამას ეღიმებოდა და ამბობდა: გახსოვდეს, ლუკმა ოფლითა და მოთმინებით მოიპოვებაო. „ოფლითა და მოთმინებით, ოფლითა და მოთმინებით“ — იმეორებდა თინაც გულებაში და რატომღაც, ლუკმის მაგივრად ყოველთვის ფარნაოზი ედგა თვალწინ.

— იცი, მამა, ფარნაოზს ძაღლი ყავს. — ეტიტინებოდა თინა მამას.

— მერე რა მოხდა, ჩვენ არა გვყავს ძაღლი? — უკვირდა მამას.

— ძაღლი ხომ ადამიანზე ადრე კვდება? — არ ეშვებოდა თინა და მამასაც უცებ ბეზრდებოდა ამ სულელ გოგოსთან ლაპარაკი, რადგან არ ესმოდა, ვერ ამოეცნო მისი მთავარი სათქმელი.

თინა კი ცუგაზე ფიქრობდა, მისი წკავწკავი და ფარნაოზის სიცილი რომ ესმოდა, თვითონაც უნებურად იღიმებოდა და ფიქრობდა, როდემდე შეეძლო ასე წკავწკავი ცუგას, თუკი არაფერი შეემთხვეოდა და თავისი სიკვდილით მოკვდებოდა, თვალებდაწირპლული და ფერდებგადატყაული, როგორც მათი ძაღლი, ადრე რომ ჰყავდათ, სანამ ახალს მოიყვანდა მამა. ახლის მოყვანა კი იმიტომ დასჭირდა მამამისს, ის ძველი ერთ დილას მკვდარი რომ იპოვეს ეზოში. თინას შეეზიზღა ის მკვდარი ძაღლი, რადგან ცხვირზე უკვე მატლი შეჰღოღებოდა. „კარგა ხანს გვემსახურაო“. —თქვა მაშინ მამამ, „მაინც რამდენხანს გვემსახურაო“ — ფიქრობდა ახლა თინა, რადგან ცუგა ჯერ სიკვდილს არ აპირებდა, რა დროს სიკვდილი იყო, ახლა იწყებდა სიცოცხლეს, დღითი დღე ლამაზდებოდა, ცელქდებოდა და ხალისდებოდა. ფარნაოზსაც აღარავინ ახსოვდა ცუგას მეტი. თინას ცუგა სძულდა, მაგრამ არავისთან სიტყვა არ დასცდენია ამ სიძულვილზე. ყველგან და ყველასთან აქებდა, ასეთი და ასეთია ჩვენი ძაღლიო და სხვების თვალში ისიც საქმეში გადიოდა, ისიც ცუგასა და ფარნაოზის ამხანაგად ითვლებოდა. ეტყობა, თინას ნალაპარაკევი ფარნაოზამდეც აღწევდა, რადგან ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, ფარნაოზმა თინა შეამჩნია, გაუჩერდა კიდეც და უთხრა: იცი, გუშინ ცუგა ბაყაყმა შეაშინაო. თინა ძალიან დააინტერესა ამ ამბავმა, ერთიანად გაცისკროვნებულმა მოისმინა თავიდან ბოლომდე, როგორ დასკუპებულა ცუგას წინ მწვანე, თვალებგადმოკარკლული გომბეშო, გაფუყული ჩიჩახვი რომ უბუყბუყებდა, თითქოს პირში წყალი დაუგუბებიაო, როგორ აკანკალებულა თავფეხიანად ცუგა, სანამ ფარნაოზს არ წაუთაქებია, და არ უთქვამს, აი, შე მშიშარა, შენაო: მერე კი, როგორ გამოცოცხლებულა, როგორ შეკუნტრუშებულა და შეუყეფია, ვითომ ეს ვინ მიგდიაო, და ნაღვლის ბუშტივით უბურთავებია გომბეშო. თინა იღიმებოდა, კისკისებდა და სანამ ფარნაოზი ყვებოდა, თვალი არ მოუშორებია ცუგასთვის, ფეხებში რომ ეგლისებოდა ორივეს, საკუთარ კუდს დასაჭერად რომ დასდევდა და ციბრუტივით ტრიალებდა. მერე ცუგა ფეხსადგილის ორ-

მოში ჩავარდა და თინამ პირველი გამარჯვება იზეიმა, თუმცა გარეგნულად არაფერი შესტყობია. სამი დღე არც ის მოშორებია ფეხსადგილს, სამი დღე ისიც ყელაწეული იხვეწებოდა, უშველეთ ცოდოაო: ღამით კი, ლოგინში წამომჯდარი, დაძაბული უსმენდა, კიდევ წკმუტუნებდა თუ არა ცუგა. როცა დათითხნილი ცუგა მხსნელმა ორმოდან ამოაგდო, ერთი პირობა კიდევ შეეშინდა თინას, ვაი, თუ აღარ წაიყვანოს ასეთი ბინძურიო, მაგრამ როცა ორმოდან მხსნელის არანაკლებ დათითხნული მკლავებიც გამოჩნდა, თინა დარწმუნდა, ცუგას ბედი გადაწყვეტილი იყო. მან პირველი მეტოქე მოიშორა, პირველი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო წარმატებამ უარესად დააჭკვიანა და დაადინჯა. ბრძოლა ჯერ მხოლოდ იწყებოდა და კიდევ მრავალ, უფრო ძნელად მოსაშორებელ მეტოქესთან მოუხდებოდა შეტაკება საბოლოო გამარჯვებამდე, როცა თვითონ ფარნაოზიც დარწმუნდებოდა, თინას რომ ეკუთვნოდა, თინას იქით გზა რომ აღარ ჰქონდა. „მოთმინებითა და ოფლითა, მოთმინებითა და ოფლითაო“ — ღიღინებდა თინა გუნებაში.

ბავშვობიდანვე არჩეულ გზაზე ბევრი პატარა და დიდი ომი გადაიხადა თინამ, აშკარად თუ დამალულად, და არასოდეს გასტეხვია გული, არასოდეს მობეზრებია ფარნაოზის თვალთვალი, ღობის უკან ყურყუტი და მუცელ-მუცელ ხოხიალი. რამდენჯერ გადაუტყავებია მუხლი თუ იდაყვი, რამდენჯერ გადასკდომია კაბა და რამდენჯერ მიტყეპილა შინ, მაგრამ თინა ყველაფერს უსიტყვოდ ითმენდა, იტანდა, რადგან იბრძოდა და იცოდა კიდეც, რისთვისაც იბრძოდა. ერთხელ, როცა ისა და მისი თანატოლი გოგობიჭები ბერძნის წყაროზე კოკებს ავსებდნენ, ერთმა ცხვირპაჭუა გოგომ ხელები დიდი ქალივით გულზე დაიკრიფა და თქვა: ამ ფარნაოზს თავის თავი დიდი ვინმე ჰგონიაო. ყველამ გაიცინა, მათ შორის თინამაც, მაგრამ მისი სიცილი სხვა იყო, მისი სიცილი ნიღაბი იყო მხოლოდ, რათა სიბრაზე არ დასტყობოდა და უარესად არ გაეცინებინა ყველანი. თინა იცინოდა და გეგმებს აწყობდა, როგორ დაესაჯა ეს ცხვირპაჭუა გოგო, დიდი ქალივით გულხელდაკრეფილი რომ იდგა და ასე თავისუფლად ახსენებდა ფარნაოზს. თინამ კოკა აავსო და შინისაკენ გამოსწია, მაგრამ სინამდვილეში შინ კი არ წავიდა, მოსახვევში ჩასაფრდა, ყორეს ამოეფარა და ქვა მოიმარჯვა. როცა ცხვირპაჭუა გოგოც გამოჩნდა, თინამ ქვა ესროლა და კოკა მხარზე დაუმსხვრია. საწყალი გოგო თავფეხიანად გაიწუწა, ხელში კი კოკის ყურიღა შერჩა: სლუკუნ-სლუკუნით გაუყვა ქუჩას. თინა ატირებულ გოგოს დაეწია და უთხრა: წეღან, რა დიდი ქალივით ლაყბობდი და ახლა, რა თითისტოლა ბალღივით ღნავი, არ გრცხვენიაო. მერე კოკა მხარზე შეითამაშა და სირბილით გასწია შინისაკენ.

ფარნაოზისა და ინოს დამეგობრებამ ცოტა დააფრთხო თინა. ინო ცუგაზე ძნელი მოსაშორებელი ჩანდა. თინა პირველად ხედავდა ინოს, თუმცა მთელი ვანის გოგო-ბიჭები იცნობდნენ ერთმანეთს. მერე ვიღაცამ თქვა: მაგ გოგოს ინო ჰქვია, ცუდი ქალის შვილიაო და მეზობელს რაღაც უჩურჩულა ყურში. თინა კი აღარ დაინტერესებულა, მან უკვე იცოდა მეტოქის სახელი და ესეც საკმარისი იყო. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ მთელი მათი მეგობრობის მანძილზე, თინას ერთი წუთითაც არ მოუშორებია თვალი ინოსა და ფარნაოზისათვის. ასე რომ, ისინი არასოდეს არ ყოფილან მარტო, მაგრამ როცა ერთმა ბიჭმა, ისევ ბერძნის წყაროზე, ყველას გასაგონად თქვა: ინო და ფარნაოზი დარიჩანგის ბაღში ტიტლიკახები დარბიანო, თინას ისე შეეკუმშა გული, თითქოს პირველად ესმოდა ეს ამბავი და საკუთარი თვალითაც არ ჰქონდა ნანახი. უპირველეს: ყოვლისა, ამ ბიჭზე გაბრაზდა, რადგან ეს ბიჭი არაფერშეაში არ იყო და არც უფლება ჰქონდა, თუნდაც შემთხვევით დაენახა ის, რაც მარტო თინას ეხებოდა, რაც მარტო თინას საქმე იყო, უფრო სწორედ, მათი საქმე,

ბილი, ფარნაოზისა და ინოსი. მაშინ პირველად გამოიჩინა თინამ სისუსტე და წინდაუხედაობა: მართალია, გულში უკვე ფიქრობდა, ერთ-ორ დღეს ვაცლი და მერე რამე შარს მოვდებო, მაგრამ თავი ველარ შეიკავა და შიშისა და გაოცებისაგან ისედაც დაუშნოვებულ ბიჭს ისე დააბღორტნა სახე, როცა ბავშვების წივილ-კივილზე იმ ბიჭის დედამაც მოირბინა, შვილი ვერ იცნო და იკითხა: ჩემი ბიჭი სადღაა?

თინა იბრძოდა. ძნელი სათქმელია, უყვარდა თუ არა ფარნაოზი, მაგრამ ცხადია, რომ სწორედ ფარნაოზის მოსაპოვებლად იბრძოდა იგი და გრძნობა, რომელიც მას ამოძრავებდა, თუ სიყვარულს დავარქმევთ, გაცილებით სწრაფად იზრდებოდა, ჭკუაში ვარდებოდა და ეშმაკდებოდა, ვიდრე თვითონ თინა. თინა მაშინაც ყველა თავის ტოლ გოგოზე ჭკვიანი იყო და, რაც მთავარია, უკვე იცოდა, რა უნდოდა, და რაც უფრო მთავარია, ისიც იცოდა, როგორ მოეპოვებინა ის, რაც უნდოდა: ოფლითა და მოთმინებით, რათა არავის აღარ ჰქონოდა ნება, დაეყვედრებინა, ხელიდან დაეგდებინებინა იგი. ასე რომ, არც ინოსა და ფარნაოზის მეგობრობას ჩაუგდია სასოწარკვეთილებაში. ესეც უნდა მოეთმინა და საერთოდ, ბევრი რამე უნდა მოეთმინა თინას, რასაც სხვა, განსაკუთრებით მისი ასაკის გოგო, უდრტვინველად შეაქცევდა ზურგს, დაივიწყებდა, ახალ გასართობს გამონახავდა, საიდანაც სიამოვნებას მიიღებდა მხოლოდ, მით უფრო, რომ მისი ჩამოუყალიბებელი, მარად მზარდი და მარად ცვალებადი ბუნება, არ იყო შეჩვეული მოთმენას, ანგარიშიანობასა და შორსმჭვრეტელობას. თინას კი ყველაფერზე ძალიან, სწორედ მოთმინება ანიჭებდა სიამოვნებას, ყველაფრის მოთმენა შეეძლო, რისი მოთმენაც კი საერთოდ შეუძლია ადამიანს: უგულველყოფისა, დამცირებისა, სიძულვილისა, სიყვარულისა, ღალატისა, სიმარტოვისა, ტკივილისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარი თავისაც კი: ამ მოთმინების შეგრძნება, მისი სიდიადე და უსასრულობა, კი არ თრგუნავდა, აქეზებდა და ისე მიაქროლებდა საბოლოო ბრძოლისაკენ როგორც ზურგისქარი მიაქროლებს ხოლმე ხომალდს ნავსადგურისაკენ, რომელსაც ამ კეთილი ქარის გარდა, სხვა არავითარი ძალა აღარ შერჩენია ნავსადგურამდე მისაღწევად: ყველა ნიჩაბი გადამტვრევია, ხოლო მენიჩბეებს, შიმშილისა და წყურვილისაგან გონება დაჰკარგვიათ.

როცა ინო და ფარნაოზი შინიდან გაიპარნენ, დედამისმა ისეთი დღე აყარა თინას, თითქოს ის იყო ამ გაპარვის მოთავე და მალე თვითონაც უკან უნდა მიჰყოლოდა ინოსა და ფარნაოზს.

— ამიტომ ვიდგამ წელებზე ფეხს?! — ყვიროდა დედამისი, მამა კი ამშვიდებდა: გაანებე ქალო თავი ჯერ ღლაპია, რა ესმისო.

„არაფერიც“ — უნდოდა ეთქვა თინას მამისთვის და სიხარულისგან მეშვიდე ცაში ფრინავდა, დედამისი „იმათ“ მაგივრად მას რომ ეჩხუბებოდა და წყევლიდა, თითქოს დედამისიც გრძნობდა, „ისინი“ და თინა განუყოფლები რომ იყვნენ და ყველაფერზე ერთნაირად უნდა ეგოთ პასუხი.

როგორც თინას გული უგრძნობდა, „ისინი“ მალე იპოვეს და დაბრუნეს კიდეც. გინდაც არ ეპოვნათ, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა დაბრუნებულიყვნენ, რადგან მთლიანად არ იყვნენ წასულნი, მათი დიდი ნაწილი, მათი აუცილებელი ნაწილი, ურომლისოდაც სუნთქვაც გაუჭირდებოდათ და სიარულიც, ვანში დარჩენოდათ, სიჩქარეში დავიწყებოდათ, ანდა, ერთმანეთზე სულელებს, ეფიქრათ, უიმისოდაც გავძლებთო. ნურას უკაცრავად. მაშინ ისინი კი არა, თინა გამოვიდოდა სულელი, თინა კი მართლა არ იყო სულელი, რადგან მოთმენა შეეძლო. მოთმენა შეეძლო, მაგრამ იმის ნება მაინც მისცა თავს, ჩუმად წასულიყო და მოენახულებინა ის მღვიმე, სადაც ისინი უიმისოდ აპირებდნენ ცხოვრებას. მღვიმეში თინამ ტომარა იპოვა. ტომარაში ღორის დაშაშხუ-

ლი ბარკალი და ათიოდე ხმელი პური ეწყო. თინამ მხოლოდ ერთი ლუკმა პური მოიცქნა და ერთი ლუკმა ხორცი მოაჯიჯგნა ბარკალს, თავისი წილი მიიღო და დანარჩენი ისევე დატოვა, როგორც მათ დაეტოვებინათ, თუ დარჩენოდათ. „აი, ვინ არიან ღლაპები, — ფიქრობდა თინა. — მე კი სულ ვივლიდი, ვივლიდი და ვივლიდი, სანამ უგონოდ არ დავეცემოდი მიწაზეო“. მთლიანად არა, მაგრამ კიდევ ერთი დიდი მონაკვეთი კი ნამდვილად დამთავრდა თინას მოთმინებისა. თინამ ეს ბრძოლაც მოიგო, მარტომ მოიგო, სხვების დაუხმარებლად და ამიტომაც ათმაგად, არა, ასმაგად და ათასმაგად სასიამოვნო იყო ამ გამარჯვების შეგრძნება. იმ ღამეს ისე მშვიდათ და ღრმად ეძინა, ფეხიც არ გაუქანებია. შეშფოთებულმა დედამ ორჯერ დახედა, ესეც ხომ არ გაპარულაო.

ჯერ ცუგა, მერე კი ინოც შარშანდელი თოვლივით გაქრა. თითქოს აღარაფერი უშლიდა თინას, ჩაევლო ხელი ფარნაოზისათვის და უკვე ყველას გასაგონად ეთქვა, ეს ჩემია, ოფლითა და მოთმინებით მოვიპოვეო, მაგრამ არც მთლად ასე იყო საქმე, კიდევ რაღაცა იდგა თინასა და ფარნაოზს შორის და სანამ ის რაღაცაც არ გაქრებოდა, ფარნაოზი არ ჩაითვლებოდა მოპოვებულად. უბედურებაც ის იყო სწორედ, თინამ რომ არ იცოდა, რა იყო ის „რაღაცა“, არ იცოდა, კიდევ რა უნდა მოეთმინა, მაგრამ მთელი არსებითა გრძნობდა მის არსებობას, გრძნობდა, ვერკი ხედავდა, თითქოს უცებ დაჰკარგვოდა ჭკუაცა და მხედველობაც, ანდა, ჯერჯერობით, არც მისი ჭკუა და მხედველობა იყო საკმარისი იმ „რაღაცის“ შესამჩნეად, სახელის დასარქმევად, გაძოსკვეთად და... მოსასპობად, ანდა მოსაშორებლად მაინც. ბრძოლა გაჭირდა, უმეტოქო და უსისხლო, ერთფეროვნად გაიწელა და თინა მიხვდა, ახლა რომ იწყებოდა ნამდვილი მოთმინება, ახლა უნდა გაეძლო, თორემ, შეიძლებოდა, ყველაფერი წყალში ჩაჰყროდა. დრო ახლა უფრო ნელა, მაგრამ მაინც გადიოდა. მისი ყველაფრის გარდამქმნელი, ამაფორიაქებელი ძალა, თინასაც ცვლიდა და აფორიაქებდა. ახლა მთვარეც, თითქოს ჯიბრზე, ყოველთვის მის სარკმელს ადგებოდა და დიადი გარდაქმნების მოლოდინში მისი ბუნება ძილშიაც შფოთავდა და ოხრავდა. თინას მთელი არსება მთვარის იდუმალსა და ყოვლისმომცველ ძალას შეეპყრო, გაეჟღინთა და ამიტომაც იყო, წარამარა რომ იცვლიდა გვერდს საწოლში, თითქოს მთვარის რცხვენოდა და სახეს არიდებდა. მთვარე კი ყველგან იყო და როგორც არ უნდა დაწოლილიყო თინა, საითაც არ უნდა გაეხედა, მისი პატარა, ხელუხლებელი და ქვასავით მკვრივი ძუძუები მთვარის შუქში სველი ფოროთხლებივით ბზინავდა. ირგვლივ გამეფებულ წყვდიადსაც მთვარის შუქი ყვითელი, აფოფრილი ქაფივით მოეგდო პირზე. თინა გრძნობდა, რომ იზრდებოდა, ქალდებოდა და შეშფოთებული ადევნებდა თვალყურს საკუთარი სხეულის ზრდასა და დაქალებას, თითქოს სახლში, სადაც აქამდე უდარდელად და უშიშრად ცხოვრობდა, ვიღაც, მისთვის უცნობი ადამიანი შემოდიოდა, კი არ შემოდიოდა. მოიპარებოდა, ქურდივით ფრთხილად და ფეხაკრეფით, და სწორედ მისი სიფრთხილე, მისი შემპარავი ნაბიჯი აფრთხობდა და აშინებდა ასე თინას, რადგან გული უგრძნობდა, სასიკეთოდ არ მოდიოდა ის ვიღაცა. სასიკეთოდ მოსული ასე არ შემოიპარებოდა, შორიდანვე დაუძახებდა, გააფრთხილებდა, შემოსვლის ნებას თხოვდა და თინასაც ექნებოდა მოსაფიქრებელი დრო, შემოეშვა თუ არა ეს უცხო ადამიანი სახლში, სადაც აქამდე მარტო ცხოვრობდა და თავს მშვენივრად გრძნობდა. ახლა კი უმწეო იყო, ახლა პირველად გრძნობდა სიმარტოვეს და განგაშის ატეხას აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერავინ უშველიდა. ის უნდა შემოპარულიყო, მას კი თვალი დაეხუჭა, შეჰგუებოდა, ადგილი დაეთმო, კი არ დაეთმო, შერწყმოდა, მასთან ერთად

ერთ არსებად, ერთ ახალ არსებად ქცეულიყო, რომელსაც ისევ თინა ერქმეოდა, მაგრამ მთლად ის თინა აღარ იქნებოდა, რაც აქამდე იყო, ბიჭივით. დიახ, ბიჭივით თამამი და უსირცხვილო. ბუნება წერტილს უსვამდა მის „ბიჭობას“ და ხვალიდან აღარ შეეძლებოდა, ლელვის ტოტზე გადამჯდარს, ემღერა მთელი ქალაქის გასაგონად. თინას არსებაში ქალი იღვიძებდა და არ იცოდა, როგორ დახვედროდა, როგორ მოქცეოდა ამ უცხო არსებას, რომელსაც თავისი, თინასაგან განსხვავებული ზნე და ხასიათი ჰქონდა, და უმალ თინას შეცვლიდა, ვიდრე მის ფეხისხმას აჰყვებოდა, რადგან თინაზე ძლიერი იყო, თინას სისხლით იკვებებოდა და ყოველ წამს უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებდა მის არსებაში.

თინას დაქალება, რაღა თქმა უნდა, სახლშიც შეამჩნიეს და მაშინვე შეუდგნენ მზითვის მომზადებას. ახლა აღარც თავში უპარტყუნებდნენ, აღარც უწყრებოდნენ და აღარც ყველაფერზე ასაქმებდნენ, თითქოს კი არ დაქალებულიყო, არამედ დაავადმყოფებულიყო. თინა თითქოს მართლა ავად იყო, მშობლები თავზე დაჰფოფინებდნენ, როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, აზიზავებდნენ, წვიმასა და მზეში ფეხშიშველა ტანტალით, ხეებზე ძრომიალითა და ზღვაში თუ დაშრეტილ მდინარეში ყურყუმალობით გაკაჟებულ გოგოს. მშობლების გადამეტებული მზრუნველობა თინას უკვირდა და არც უკვირდა. მოწონდა და არც მოწონდა, მაგრამ არ უძალიანდებოდა. როგორც სისუსტის ბურანში მყოფი ავადმყოფი არ უძალიანდება მომვლელს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ, მისი მორჩენა, მისი გამობრუნება უნდა. თინასაც უნდოდა, მალე რომ მორჩენილიყო, რათა ისევ გაეგრძელებინა ბრძოლა, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, რადგან გუმანითა გრძნობდა, რაც ხდებოდა, იმიტომ ხდებოდა, მის უძველეს მიზანსა და განზრახვას აზრი რომ მისცემოდა, სახელი დარქმეოდა და არა მარტო მისთვის, ყველასათვის ნათელი და გასაგები გამხდარიყო. რაღა თქმა უნდა, ძველებურად ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ახალი გზებიც აუცილებლად გამოჩნდებოდა, თუკი მშვიდად იქნებოდა და ისევ და ისევ მოითმენდა, თუმცა მოთმინება ახლა უფრო ძნელი ასატანი გახდებოდა, რადგან ფეხი კი გაზრდილიყო, მაგრამ წუღა ძველი დარჩენილიყო.

ოჯახში მოლოდინმა დაისადგურა; თინაც, დედაცა და მამაც მოლოდინში იყვნენ, ოღონდ თინასაგან განსხვავებით, მათი მოლოდინი უფრო სულსწრაფი, უფრო ნერვიული და უფრო გაურკვეველიც იყო. ისინი ვიღაცას ელოდებოდნენ, თითქმის სულერთი იყო, ვინ იქნებოდა ის ვიღაცა, ოღონდ თინას მთხოვნელი ყოფილიყო, ოღონდ გასათხოვარი ქალი შინ დიდხანს არ გაჩერებულიყო, მეზობლების სალაპარაკო და „შესაცოდი“ არ გამხდარიყო, ყველაზე მეტად ამისი ეშინოდათ თინას მშობლებს, მაგრამ სხვა, უფრო ძნელად მოსარევი შიშიც ჰქონდათ. ხომ შეიძლებოდა, ვეღარ მოეთმინა, ვეღარ გაეძლო მათ ქალიშვილს და ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად წამოზრდილი მუცლით წამომდგარიყო საწოლიდან. აბა, მაშინ გენახათ მეზობლების სიხარული. მაშინ მართლა მოეჭრებოდათ თავი და სამუდამოდ ჩაეყრებოდათ წყალში წვალებაცა და იმედიც, რასაც თინას ბედნიერად გათხოვებაზე ამყარებდნენ. გაღვივებული ქალობით გაბრუებულსა და გადაქანცულ თინას ღამეები თუ მკვდარივით ეძინა, სამაგიეროდ მის მშობლებს დაუფრთხა ძილი. გათენებამდე ჩურჩულებდნენ ისინი საწოლში, თითქოს საკუთარი ქალიშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ და მართლაც შეთქმულებივით, ათასჯერ ჭრიდნენ და კერავდნენ, შლიდნენ და აკოწიწებდნენ გეგმებს, რომელთა დახმარებითაც დროულად და პატიოსნად გაათხოვებდნენ ერთადერთ ქალიშვილს, თავიანთი სიბერის ერთადერთ ნუგეშს, თავიანთი ცხოვრების ერთადერთ ნა-

ყოფსა და დადასტურებას. და განა მართლა სანდო იყო, საიდანღაც გამომტყვარალი ვნების ხვატში გახვითქული გოგო, ტანზე საბანს რომ არ იჩერებდა, თავისით რომ ეღეღებოდა გულმკერდი და ჭრილობასავით. სისხლშეუმშრალ ჭრილობასავით ალაპლაპებული ტუჩებით ამ ვნების საგალობელს ბუტბუტებდა, უსიტყვოსა და უაზროს, და ამიტომაც ყველასათვის გასაგებსა და თავზარდამცემს, მკვლელობასავით, არა, თვითმკვლელობასავით.

და აი, ერთ დღეს (მაშინ ფარნაოზი ჯერ კიდევ არ იყო კრეტაზე წასული) მართლაც გამოჩნდა თინას მთხოვნელი. ოჯახს შუბლი გაეხსნა, გული აუფრიალდა, გადატანილი ტანჯვა-წვალება დავიწყდა და ხაზგასმული ღირსებითა და სიამაყით მიიღო მათთან დანათესაურების მსურველნი. თინას მთხოვნელი კი სწორედ ის ბიჭი იყო, ერთხელ, ბერძნის წყაროზე ფრჩხილებით მთელი სახე რომ ჩამოაბორტყნა და ისე მოაქცია, დედამისსაც გაუჭირდა საკუთარი შვილის ცნობა. ახლა ისა და დედამისი თინაანთას ისხდნენ და არ იცოდნენ, როგორ მოებათ თავი სათქმელისთვის. ქალი ხილაბანდის ბოლოს წიწკნიდა და ყველაფერზე იღიმებოდა. ვაჟს სახე წამოწარხლოდა, ცხელოდა და თვალი საოკმლისაკენ გაურბოდა.

— მიირთვით. პირი გაისველეთ, ეზოს ხილია. — ამბობდა თინას დედა.

— მადლობთ, გენა. ნუ წუხდებით.— პასუხობდა ვაჟის დედა.

— თინას დაკრეფილია. — არ ეშვებოდა თინას დედა. თითქოს ყველაფერს ამ ხილის შეჭმა — არშეჭმა გადასწყვეტდა.

ქალმა ერთი ქლიავი აიღო, ხელის გულით გაწმინდა და წინა კბილებით ჩაკბიჩა, კი არ ჩაკბიჩა, კანი გაუკაწრა მხოლოდ და მჟავე წვენი გამოადინა. მერე შვილს იდაყვი გაჰკრა, შენც აიღე, სირცხვილია. შვილი საოკმელში იყურებოდა, ისე ხმამაღლა გამოუვიდა უარის თქმა, თვითონვე შეეშინდა საკუთარი ხმისა, გადაწითლებულ შუბლზე ხელი გადაისვა და გაიღიმა.

— აი, ჩვენ... იმ საქმეზე... მოკალედ... — დაიწყო ვაჟის დედამ, მაგრამ თინას დედამაც ზუსტად მაშინ თქვა: წელს მოისხა პირველადაო.

ორივე დედას გაეცინა და ორივემ ერთდროულად მოუბოდიშა ერთმანეთს.

თინას ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, ასე თუ ისე, ორივე მხარემ თქვა თავისი სათქმელი და კარგადაც გაიგეს ერთმანეთისა. ახლა თინაზეღა იყო საქმე. ორივე დედა ერთნაირად მავედრებელი თვალებით შესცქეროდა თინას. ვაჟი ისევ საოკმელში იყურებოდა, თინა კი ისე მშვიდად იჯდა, თითქოს მარტო აქ ჯდომა ეკალებოდა, თითქოს წინასწარ ეთხოვნათ, შენ მხოლოდ დაჯექი, დაგვესწარი და გინდა მოგვისმინე, გინდა არაო. „ვენაცვალე, რცხვენია ჩვენს გოგოსაო“ — თქვა ვაჟის დედამ. ვაჟმა ისე ამოიქშინა, თითქოს აქამდე სუნთქვას იკავებდა. „აბა, რომ ვერაფერი პატივი გეცითო“. — მოიბოდიშა თინას დედამ.

ქუჩა კარგად არცკი ჰქონდათ ჩათავებული დედა-შვილს, თინა რომ დაეწიათ. მართალია, ისინიც თინაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ყველაზე ნაკლებად ახლა სწორედ თინას ნახვას მოელოდნენ. ამ ძნელსა და სავალდებულო სტუმრობას ორივენი ისე აეღაქლაქებინა, თითქოს ოჯახიდან კი არა, აბანოდან ბრუნდებოდნენ.

— თინა, შვილო! — შეჰკივლა ვაჟის დედამ.

თინა სადღაც, მათ თავებს ზემოთ იყურებოდა სივრცეში, თითქოს, რაც ახლა უნდა ეთქვა, ძლივს დაეზეპირებინა და ეშინოდა, რამეს ან ვინმეს რომ შევხედო, ყურადღება გამეფანტება და შემეშლებაო.

— თუ მართლა ჩემი ქმარი გახდები, სანამ პირში სული მედგმება, სანამ შენი დანახვა შემეძლება, სანამ კბილები არ დამცვივა, სანამ ფრჩხილები არ და-

მაცვდება, შენს ხორცს დავგლეჯო. — თქვა თინამ.

შიშისაგან ენა ჩავარდნილი და დაბნეული დედა-შვილი ლამის სირბილით გაეცალა იქაურობას.

თითქმის გადაწყვეტილი საქმე, ისე უცებ ჩაიფუშა, თინას დედ-მამამ არც იცოდნენ, რა ეფიქრათ, როგორ აეხსნათ გულის გამაწვრილებელი დუმილი და უმოქმედობა მათი ქალიშვილის ხელის მთხოვნელებისა. რატომ უნდა დაეწუნებინათ თინა, ან თუ დაიწუნეს, რატომ უნდა დაემალათ, რატომ მაშინვე არ უნდა ეთქვათ, არ მოგვწონს, გადავიფიქრეთო? განა იმედის მოცემა ასე ადვილი საქმეა? ან იქნებ გაეხუმრნენ? რამე ძველი ჯავრი ჰქონდათ და ახლა გაუხსენეს? მაგრამ არავინ რომ არ ყავდათ განაწყენებული? „არავინო“? — მეათასჯერ ეკითხებოდნენ ერთმანეთს: კაცი ხელებს შლიდა და მხრებს იჩეჩავდა, ქალი კი გამომცდელად შესცქეროდა თვალებში. თინას დუმილი უარესად უკლავდათ გულს, დაწუნებული ქალიშვილის საცოდაობით იწვოდნენ. „რა იყო, რა გატირებს, ხომ არ მოგვკვდომიაო“ — ხანდახან შეუწყრებოდა თინას მამა ცოლს და თითონვე არ სჯეროდა, როცა ამბობდა: მაგისთანა ოყლაყი იმდენი მოგვადგება, იქნება კეტით ვყრიდეთო. თინასთან კი ხმას არ იღებდნენ, სანუგეშო სიტყვის სათქმელად ენა არ უტრიალდებოდათ, რადგან ეგონათ, როგორც კი შვილს ანუგეშებდნენ, მაშინვე მართლა სანუგეშოდ გაუხდებოდათ საქმე. მათ გარდა მთელმა ქალაქმა იცოდა ამ ჩაფლავებული დამოყვრების ამბავი. თინასაგან დაშინებულ დედა-შვილს არაფერი დაემალათ, ხოლო მათ მონაყოლს სხვებიც დაეფრთხო, საცოლე ბიჭებმა გუნებაში ჩაზი გადაუსვეს თინას, რადგან, სრულებითაც არ ეპიტნავებოდათ მთელი ქალაქის სალაპარაკო და სამასხარაო გამხდარიყვნენ თვითონაც. კარგად რომ ვერ იყო საქმე, ამას თინას მშობლებიც ხვდებოდნენ, კვირას კვირა ემატებოდა და მალე კეტით კი არა, იქნება ყელაწეულნი მდგარიყვნენ ჭიშკართან და გამვლელ-გამომვლელისთვის ეხვეწნათ. შემოდით, ნახეთ მაინც, დაგიბრმავდათ თვალებიო.

თინა კი იბრძოდა. მას არც მშობლების ვიშვიში ესმოდა და არც ვანელების ქილიკაობა. ერთი პატარა ბრძოლა კიდევ მოეგო, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს იყო, იარაღადქცეული მოთმინება განუწყვეტლივ მომარჯვებული უნდა ჰქონოდა, განუწყვეტლივ უნდა ეხეხა და ეპრიალებინა ყოველდღიურად, როგორც დედამისი ხეხდა და აპრიალებდა ჭურჭელს, რადგან ერთი დღისთვის კი არ ჭირდებოდა, არამედ სამარადისოდ. თინას, მოთმინების გარდა, მართლა არ ჰქონდა სხვა იარაღი და არც ის იცოდა, კიდევ რამდენხანს დასჭირდებოდა იგი, როდის გაამარჯვებინებდა საბოლოოდ, ან როდის მოუღებდა ბოლოს. „გავძლებ, უნდა გავძლოო“ — თქვა თინამ, როცა ფარნაოზის კრეტაზე გამგზავრების ამბავი გაიგო. მართალია, მას მოლოდინის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც არ უხდა შეგუებოდა ფარნაოზის, ეკარგვის, ვერ შეეგუებოდა, რადგან ერთადერთი რაც თინას არ შეეძლო, შეგუება იყო სწორედ. ამიტომაც ითმენდა. ის გრძნობდა, ხვდებოდა, კრეტაზე გამგზავრება უკანასკნელი გაბრძოლება რომ იყო ფარნაოზისა, და ეს გაბრძოლებაც მარცხით დამთავრდებოდა, რადგან ნამდვილ პატრონს გაურბოდა და არარსებულ მეგობარს დაეძებდა. პირველს მისი გადარჩენა შეეძლო მხოლოდ, მეორეს კი — დაღუპვა. ფარნაოზმა ჯერ არ იცოდა ეს, ამის გასარკვევად მიდიოდა და აუცილებლადაც გაარკვევდა, რადგან როდისმე დადგებოდა ღრო, როცა მომვლელი დასჭირდებოდა. განა ტალღებმა იციან, რომელ ნაპირს შეასკდებიან, ქვიანსა თუ სილიანს? მაგრამ მაინც ერთი სული აქვთ, როდის მიაღწევენ ნაპირამდე, რათა დაიმსხვრევნ, დაიფუშონ და განადგურდნენ იმ ერთწამიანი შეხების გულისთვის, რისთვისაც საერთოდ გაჩენილან, სადღაც, ბნე-

ლსა და გათოშილ წიაღში. მეგობარი ან ტალღაა, ან კლდოვანი ნაპირი, ან იღუპება, ან ღუპავს. ამაშია სწორედ მისი ძალაცა და სილამაზეც, მარადიული ძალა და წარმავალი სილამაზე, რადგან ყველა ახალ წყვილს, ყველა ახალ კლდოვან ნაპირსა და ტალღას, თავისი, განსაკუთრებული, განუმეორებელი სილამაზე მოაქვს. პატრონი კი სხვა, ის სილიანი ნაპირია, არც თავს დაიღუპავს და არც შენ მოგცემს დაღუპვის უფლებას. მას გულიცა და გონებაც თავის ადგილზე აქვს და ერთიცა და მეორეც, მხოლოდ და მხოლოდ, იმ მოვალეობას ასრულებს, რისი ასრულებაც ბუნებას დაუვალებია, ბუნებასა და არა ბედისწერას. მისი გული გლეხის მუყაითობით ატრიალებს სამიოდე ლიტრა სისხლს და ამ სისხლს მისი გონება ძაღლის სიფხიზლით ყარაულობს, რადგან იცის, მისი ყოველი წვეთი საჭიროა, საგვარეულო განძივით, საუკუნეების მანძილზე მიწაში რომაა ჩაფლული, ვერავინ რომ ვერ ამოთხრის, ვერავინ რომ შეეხება, რადგან ამ დამარხულ განძზეა დაფუძნებული მთელი გვარის სიძლიერე, სახელიც, წარსულიც. აწმყოცა და მომავალიც. ამ გვარისთვის შავი დღე არ არსებობს, სანამ განძი მიწაშია დამარხული: ამიტომაც, ადვილი შესაძლებელია, ბევრ რამეს იკლებს, ბევრ რამეს ითმენს, მაგრამ არ იღუპება, რადგან ფეხი სიმდიდრეზე უდგას.

თინასაც ჰქონდა თავისი დამარხული განძი და მასაც ფეხი მაგრად ედგა ზედ. ფარნაოზის კრეტაზე გამგზავრებამ, რა თქმა უნდა, შეაშფოთა, მაგრამ ვერ შეარყია. ფეხი ვერ მოაცვლევინა. უმეთვალყურეოდ ფარნაოზს მართლაც ყველაფერი შეიძლებოდა შემთხვეოდა. მაგრამ რაც არ უნდა შემთხვეოდა, მაინც უნდა დაბრუნებულიყო, რადგან პატრონი ყავდა. რაც შეიძლება მალე უნდა გაეგო ეს, რადგან ამის ცოდნა გადაარჩენდა მხოლოდ, დააშოშმინებდა, დაარწმუნებდა, ეს რომ იყო ერთადერთი ნაპირი, სახლი თუ არა, თავშესაფარი მაინც, სადაც ხელშეუხებლობის უფლებას მოიპოვებდა, რადგან გვერდით პატრონი ეყოლებოდა და არა, მასავით თავქარიანი მეგობარი, სულელი და ტიტლიკანა გოგო კი არა, ცოლი.

ფარნაოზი უნდა დაბრუნებულიყო, სულერთი იყო როდის დაბრუნდებოდა. თინა ბოლომდე მოითმენდა, რადგან მისთვის დროს არ ჰქონდა მნიშვნელობა, მისთვის მთავარი მიზანი იყო და ამ მიზნისთვის ყველაფერს დაუფიქრებლად გასწირავდა. რა თქმა უნდა, დროსაც. როცა იცი, რომ გელოდებიან, შეგიძლია არ ჩამოხვიდე, შეგიძლია არჩევანი გააკეთო ჩამოსვლასა და არჩამოსვლას შორის, ეს შენი საქმეა და როგორც არ უნდა დასწყდეს გული მომლოდინეს, მაინც მთლიანად შენ ვერ დაგადანაშაულებს, რადგან ამ დანაშაულის ნახევარი მასზედაც ვრცელდება, რადგან, შეიძლება, სწორედ მისი მიზეზით, სწორედ ის რომაა მომლოდინე, ამიტომაც არიდებ თავს ჩამოსვლას. მაგრამ სხვაა, როცა არ იცი, ვინ გელოდება, ვინ ითმენს უშენობას. არა, ფარნაოზი უნდა ჩამოსულიყო, უფლება არ ჰქონდა არჩამოსვლისა, რადგან არ იცოდა, თინა რომ ელოდებოდა.

ფარნაოზის გამგზავრების შემდეგ თინამ ისევ მოუხშირა პოპინა-ქალუკასთან სტუმრობას, რათა ფარნაოზის ჩამოსვლამდე შესჩვეოდა მისთვის განკუთვნილ ადგილს, რომელსაც სხვა ვერცერთი ქალი ვერ დაიკავებდა. ის თინას ადგილი იყო და ამ ოჯახის დანარჩენმა ქალებმაც უსიტყვოდ გაიგეს ეს, უფრო სწორედ თავი დაირწმუნეს, რადგან ასე ჭირდებოდათ: თინა არა მარტო მათ სიმარტოვეს დააფრთხობდა, თუკი საერთოდ შეიძლება სიმარტოვის დაფრთხობა, არამედ იმის რწმენასაც ჩაუნერგავდა, ჯერჯერობით მათთვისაც რომ არ დამთავრებულიყო ყველაფერი. თინა ახალი ქალი იყო, შეუბღალავი, გაუტეხავი, იმედიანი და ხალისიანი: თანაც ასეთი ლამაზი და ჯიშიანი ფეხები ჰქონდა. გასარჩევი ლობიოსა და გალებად ასასხმელი ნივრის მესამედი თინამ კა-

ლთაში ჩაიხვეტა და შუაში ჩაუჯდა პოპინასა და ქალუკას. მან ბავშვობიდანვე იცოდა, რომ აქ, ამ ჭერქვეშ, ამ კედლებს შორის უნდა მოედინა ნამდვილი ოფლი და ამ ოფლის სუნით გაეჟღინთა აქაურობა, როგორც დაპყრობილი მიწა — სისხლით. და მართლაც, როცა თინამ ფარნაოზი ისევ დაინახა (ეს კი იმ დღეს მოხდა, შავთვალება მალალოს რომ ასაფლავებდნენ), უცებ მთელი არსებით იგრძნო, ბრძოლა დამთავრებულიყო. ფარნაოზი ჭიშკართან იდგა, თინა კი თავისი ოთახის სარკმლიდან იყურებოდა, მათ შორის პროცესია მიდიოდა, როგორც მღვრიე და გაზანტებული მდინარე, რომლის ზედაპირიც დაგლეჯილ რტოებსა და ყვავილებს ერთიანად გადაეპენტა, პროცესიის თავში ხის მძიმე სარკოფაგი მიირწეოდა, ამ სარკოფაგში ბაბილონიდან გადმოხვეწილი შვიდი ქალიშვილის დედა და მთელი ქალაქის მასპინძელი განისვენებდა. სარკოფაგს შვიდი შაოსანი ქალი მიყვებოდა და ამ შვიდ ქალში ერთერთი ინო იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა ამას თინასთვის, როცა ბრძოლა უკვე დამთავრებულიყო და ფარნაოზიც მართლა დამარცხებული მეომარივით ატუზულიყო ჭიშკართან, ფერმკრთალი და დაბნეული, რადგან მისი ბედი უკვე გამარჯვებულს ეპყრა და მას უნდა გადაეწყვიტა: მოეკლა თუ დაერჩინა. თინას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს აქედანვე შეეძლო გადაეწვდინა ხელი და ფარნაოზი წიწილასავით აეყვანა, აეყვანა და ბარემ ყველაფერი დაენახვებინა თავისი უსასრულო, განუსაზღვრელი და საზრიანი მოთმინების ნადავლი. მაგრამ თინამ მაინც თავი შეიკავა, მოცდა ამჯობინა, სანამ თვითონ ფარნაოზი დაუძახებდა.

— მე მიკვირს? —ამოისლუკუნა პოპინამ და მხოლოდ მაშინ შეამჩნია ფარნაოზმა, პოპინა რომ ტიროდა.

— არა, პოპინა, არა... — დაუყვავა ფარნაოზმა. — სხვანაირად გამომივიდა. განა საკვირველია, მე რომ ცოლი შევირთო?

— საკვირველი? — პოპინა ახლა იღიმებოდა და სველი სახე უბრწყინავდა.

— ცრემლი მოიწმინდე. — უთხრა ფარნაოზმა.

ოჯახში ახალი საფიქრალი და სალაპარაკო გაჩნდა, საფრთხეც. ფარნაოზს ცოლის შერთვა კი გადაეწყვიტა, მაგრამ რაღა მაინცდამაინც მათ არჩეულ ქალს შეირთავდა, ქალის მეტი რა იყო? ალბათ მასაც ეყოლებოდა ვინმე და, შეიძლება, სულაც იმის გამო დაბრუნებულიყო შინ. ასევე შეიძლებოდა, ის ქალი აქაურიც კი არ ყოფილიყო, იქ გაეცნო ფარნაოზს, იქ გადაჰკიდებოდა და ახლა მის ჩამოსვლას უცდიდა მხოლოდ. თვითონ კი უფრო ადრე იმიტომ წამოსულიყო, თავისიანები რომ გაეფრთხილებინა, მოუმზადებლები რომ არ დახვედროდნენ უცხო ქალს. რაღას არ ფიქრობდნენ პოპინა და ქალუკა, თინაც სადღაც გამქრალიყო და ესეც აფრთხობდათ, ყველაზე ძალიან ეს აფრთხობდათ, რადგან ახლა გრძნობდნენ, როგორ მოეტყუებინათ, როგორ გაესულელებინათ ეს საწყალი გოგო, რომელსაც მთელი ათი წელი მართლა სჯეროდა ამ ორი უმწეო და უუფლებო დედაკაცისა. არა, ამ ორი ბოროტი და თავკერძა დედაბრისა, ყველას რომ ეღრიჯებოდნენ, ყველას რომ მათხოვრებივით აცოდებდნენ თავს და ერთი სული ჰქონდათ, როდის გადააცმევდნენ თავიანთი ცოდვისა და უბედურების ფლასს. თინაც ხომ ამისათვის უნდოდათ. საამისოდ ამზადებდნენ, და თუ მართლა გაუმართლდებოდათ განზრახული, თინაც უყოყმანოდ, უდრტვინველად, სიხარულითაც კი, მიიხვეტდა თავისკენ მათი ცოდვისა და უბედურების მესამედს, როგორც გასარჩევ ლობიოს, ანდა გალებად ასასხმელ ნიორს. თინა კი დაეღუპათ, მაგრამ თვითონაც გადასარჩენად ჰქონდათ საქმე. იქნებ ფარნაოზი ამიტომაც ვერ ამბობდა, სათქმელს ბოლომდე? მართლაც, განა ადვილი სათქმელი იყო, მე ცოლი მომყავს და თქვენ მიბრძანდით, რადგან ამ

სახლს ერთი დიასახლისიც ეყოფაო? იქნებ ამიტომაც უთხრა პოპინას, რატომ გიკვირსო? მართლაც რატომ უნდა გაჰკვირვებოდა, რა გასაკვირი იყო, რომ უცხო ქალს არ სდომებოდა ქმრის ნათესავებთან ცხოვრება, რაც არ უნდა ახლობლები ყოფილიყვნენ ისინი. ყველა ქალს ქმარიცა და ოჯახიც თავისთავის უნდა და არც გაემტყუნება, როცა მოეპრიანება მაშინ წამოწვება, ხან მოხრაკულს მიართმევს, ხან კი ხმელა პურზე გადაატარებს ოჯახს. თუ სტუმრად ეწვევი, მული ხარ, მაგრამ თუ შეეხიზნები — მუმლი.

ასე ბჭობდნენ და მსჯელობდნენ საგონებელში ჩავარდნილი ქალები. ერთი შეხედვით სრულებითაც არ იყო სიმართლეს მოკლებული მათი მსჯელობა. ხომ შეიძლებოდა ფარნაოზი მართლა ისეთ აშარს გადაჰყროდა, რომელიც პირველ რიგში მისიანებს გამოაძევებინებდა შინიდან, სანამ ეგენი მანდ იქნებიან, ჩემს ცოლობას ვერ ეღირსებიო, განა ცოტა იყო ამგვარი მაგალითები? ან იქნებ, როგორც ერთხელ კუსამაც თქვა, ისეთი ქალის შერთვას აპირებდა, თვითონვე რცხვენოდა, ვერც გაემხილა და ამიტომაც აჭიანურებდა დაოჯახებას? ასე იყო თუ ისე, ორივე შემთხვევაში პოპინაცა და ქალუკაც ხელისშემშლელნი გამოდიოდნენ მხოლოდ. ეს კი ფარნაოზის სახლი იყო და ბოლოს და ბოლოს, ვისაც უნდოდა იმას მოიყვანდა. უნდა გარკვეულიყო ყველაფერი და, რაც შეიძლება მალე, რადგან ორივემ კარგად იცოდა, ყველაზე ძნელი ასატანი ზედმეტი ქალი იყო, თანაც ორი.

პოპინამ სკივრიდან უხეიროს თითქმის უხმარი სანდლები ამოიღო და ფარნაოზთან შევიდა.

— ჩაიცვი, მამასია. — უთხრა და ფეხებთან ჩაუცუცქდა.

— მახვილი? — ჰკითხა ფარნაოზმა.

— რა მახვილი? — გაუკვირდა პოპინას და ძმას ქვემოდან ამოხედა.

— მამისეული. — თქვა ფარნაოზმა. — არ დაუტოვებია? — ჩაეკითხა ცოტახნის შემდეგ.

— არაფერი რომ არ ვიცი, — შეწუხდა პოპინა და ოთახი ისევ მოათვალიერა, თითქოს სადღაც მართლა უნდა დებულიყო მახვილი. ოთახში ერთადერთი იარაღი იყო, ისიც კედელში შესობილი და ტარზე თეთრად დათრთვილული ჩურჩხელები ეკიდა. უხეიროს დანარჩენი შუბები უკვე დიდი ხნის წინათ გაეყიდა კუსას ვენახის ჭიგოებად. ერთი წლის მკვდარი იყო უხეირო, კუსამ შუბები რო წაიღო. „მეც ხომ მეკუთვნის რაღაცა ამ სახლიდანო". — თქვა და წავიდა.

— რა თქვი? — ისევ ჩაეკითხა ფარნაოზი.

პოპინამ თავი გააქნია

— ასეც ვიცოდი. — თქვა ფარნაოზმა

სადღაც შეშას აპობდნენ. ორივემ ნაჯახის ხმას მიუგდო ყური. მერე მამალმა დაიყივლა. ჭერზე, ზუსტად მათ თავზე, მორიელი გარინდულიყო. „ახლა მოწყდებაო" — გაიფიქრა ფარნაოზმა, მაგრამ არც განძრეულა, რაღაცნაირი, უცნაური მოთენთილობა დაუფლებოდა, მთელს ტანში გასჯდომოდა სენივით. არც დის დაფრთხობა უნდოდა. დისა კი არა, ამ იდუმალი წუთისა. ნაჯახის ხმას, მამლის ყივილსა და მორიელის გარინდულ ჩრდილს რომ გაევსო, დაემძიმებინა და შეეფერხებინა, არაბუნებრივად, ამაფორიაქებლად გაეგრძელებინა, თითქოს უკანასკნელი წუთი იყო და განგებ ითრევდა ფეხს, რათა ვისაც რა ჰქონდა მოსასწრები, მოესწრო: ნაჯახს შეშის დაპობა, მამალს ამოყივლება, მორიელს გესლის ამონთხევა, ხოლო ობოლ და-ძმას თავიანთი სიობლის გამოტირება. ფარნაოზი გრძნობდა, ეს წუთი მისი გულისთვის რომ ითრევდა ფეხს, რათა მასაც მოესწრო ყველაფრის დანახვა, აღქმა და შეთვისება. ყველაფრისა, რაც აქამდე არსებობდა, მაგრამ ან ვერ ამჩნევდა, ან არ უნდოდა — შეემჩნია, რადგან არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ნამდვილი და მარადიული ცხოვრება, სწორედ ასეთი მარტივი ხმებისა და საგნებისგან შესდგებოდა, როგორიც ნაჯახის ხმა, მამლის ყივილი

თუ ჭერზე გარინდული მორიელის ჩრდილი იყო. თვითონაც მარტივი არსება იყო და უფლებაც არ ჰქონდა, აჯანყებოდა ამ სიმარტივეს, რადგან თვითონაც იყო მისი შემადგენელი ნაწილი, ისეთივე უმნიშვნელო და ამავე დროს ისეთივე აუცილებელი, როგორც სხვა ყველაფერი. ისიც აუცილებელი იყო, იმდენად აუცილებელი, რამდენადაც სწორედ მისი მეშვეობით მოწმდებოდა მიმდინარე დროის სიზუსტე, ამ წუთას, ამ ერთი წუთის განმავლობაში, მაგრამ არც ეს იყო პატარა საქმე, რადგან ეს ერთი წუთი, არა მარტო ფარნაოზის, არამედ მთელი სამყაროს ერთი წუთი იყო.

პოპინა კი ჭამაზე ფიქრობდა, უფრო სწორედ, მისი სიკვდილის წინა დღეზე. ეს დღე კი ფარნაოზის უცნაურმა შეკითხვამ გაახსენა, „მამას ჩემთვის მახვილი ხომ არ დაუტოვებიაო". მახვილი არა და, იმ დღეს უხეირომ რაღაცა მარილა დაუტოვა შვილებს, მაგრამ პოპინამ ვერ გაიგო, ვერ მიუხვდა მამას. მერე კი დაავიწყდა, რადგან მაინც და მაინც, არც თავიდან დაინტერესებულა. უხეირომ პოპინას დაუძახა. პოპინამ იფიქრა, ალბათ, წყლული გაეხსნა და საფენი ექნება გამოსაცვლელიო. ოთახში რომ შევიდა, იქაურობა ეუცხოვა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რატომაც: უხეირო არ ქარგავდა, ხელები აფრისხელა ტილოზე დაეწყო და თავაღერილი მიშტერებოდა კედელს. თავი არც მოუბრუნებია, ისე იკითხა, ვინ არისო.

— მე ვარ, მამა. — დაიბნა პოპინა. არ ელოდა ამგვარ შეკითხვას.

— იქ ვინ არის-მეთქი. დიდ ოთახში. — უთხრა უხეირომ.

— ხოოო, — დამშვიდდა პოპინა. — ერავინ, თინაა, ჩვენი მეზობელი.

— მაპატიე. — თქვა უხეირომ და პოპინა ისევ შეკრთა, დაიბნა, მამას შეაცქერდა სახეში.

უხეიროს რაღაც აწუხებდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერკი ეთქვა, ვერ შელეოდა, როგორც ბავშვი სათამაშოს, იმიტომ კი არა, სხვისთვის რომ არ ემეტება, არამედ ვერ ენდობა იმ სხვას, არ სჯერა, რომ მოუვლის, არ დააგდებს, არ გატეხავს. თვითონ აი უყვარს ის სათამაშო, მასთან ერთად იძინებს და იღვიძებს, იხუტებს და ათბობს და შესძლო კიდეც, გადაეცა თავის სითბო და სუნი, სული ჩაებერა და გაეცოცხლებინა. ამიტომაც გაუჩნდა შიში და უნდობლობა, რადგან ის მარტო მისთვის გაცოცხლდა, სხვებისთვის კი მაინც უსულო და უგრძნობელ საგნად დარჩა, სათამაშოდ. განა თვითონაც არ წყდება გული, ტოლები რომ წუწურაქას ეძახიან, ცხვირს უბზუებენ, ახლოს აღარ იკარებენ, აღარც ის უნდათ, აღარც მისი სათამაშო, მაგრამ ახლა უფრო სახიფათოა სათამაშოს გათხოვება, რადგან განაწყენებულმა ბავშვებმა, შეიძლება, ახლა შეგნებულად, თუნდაც შურის საძიებლად, ერთ წუთში გაგლიჯონ და დააქუცმაცონ იგი, რათა დაუმტკიცონ, რომ არ ღირდა ამის გულისთვის მეგობრების განაწყენება.

პოპინა კი ვერაფერს ხვდებოდა, დაბნეული შესცქეროდა სახეში, ხედავდა, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა, რადგან ეს სახე ბავშვობიდან ნაცნობი იყო მისთვის.

— მაპატიეთ, შენცა და ფარნაოზმაც. — გააგრძელა უხეირომ.

— მამა... — დაიწყო პოპინამ, მაგრამ უხეირომ არ აცალა, ან იქნებ არც გაუგონია პოპინას ხმა და ისევ თვითონ გააგრძელა: ყველაფერი. შენცა და ფარნაოზმაც, ასეც უთხარი, თუ დაბრუნდება. სხვა არაფერი არ დაუბარებიაო, არაფერი.

— გინდა, საფენს გამოგიცვლი. — უთხრა პოპინამ.

— არა, ახლა კარგადა ვარ. წადი. — თქვა უხეირომ.

უცებ პოპინას საკუთარი ხმა შემოესმა: მთელი წვერი ძაფის ნაკუწებით ჰქონდა სავსე. სულ თითო-თითოდ ამოვაცალეთ მე და თინამო. — ყვებოდა იგი.

— რატომ არ დამიცადა, რატომ?! — თქვა ფარნაოზმა.

როგორ უნდა დაეცადა, უხეიროს ფარნაოზისთვის, განა მასზე იყო დამოკიდებული, როდის მოკვდებოდა? კიდევ დიდხანს გაძლო. ვანის ბრძოლის შემდეგ, როცა საბედისწერო შემთხვევამ ამხელა კაცი სამუდამოდ მიაჯაჭვა საწოლს, იგი განუწყვეტლივ კვდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მისი ბობოქარი სიცოცხლე, უთვალავი ჭრილობებიდან და წყლულებიდან ჩუმად მიიპარებოდა, როგორც ღვინო გაბზარული ქვევრიდან. სიკვდილამდე ცოტა ადრე ბავშვსაც აღარ გაუჭირდებოდა მისი ატატება, როცა დაჭრილი, ათმა კაცმა ძლივს შემოიყვანა ვანის გალავანში. შინაურები ვერ ამჩნევდნენ, რადგან ყველაფერი მათ თვალწინ ხდებოდა, ან რას იფიქრებდნენ, რომ როცა ღვინო დაჭირდებოდათ, ქვევრი ცარიელი დახვდებოდათ, საიმედოდ რომ ეგონათ გადაგზავნილი. სიცოცხლე კი მიიპარებოდა, მითქრიალებდა და უაზროდ და უკვალოდ იკარგებოდა მიწაში.

— რატომ არ დამიცადა, რატომ?! — გაიმეორა ფარნაოზმა.

პოპინა კი ყვებოდა: სადილი რომ შევუტანე, იატაკზე ეგდო. არა, მამა არ ღამინახავს, იატაკზე ტილო ეგდო. სად წავიდა-მეთქი, გამიკვირდა და ტილოს ასაღებად რომ დავიხარე, ფეხი გამოჩნდა, მაშინვე ვიცანი, ან რა ძნელი საცნობი იყო. ტილო, თურმე, ზედ გადაჰფარვოდა.

— მარტოობამ მოკლა. — თქვა ფარნაოზმა.

პოპინა კი ყვებოდა: თინამ გაუხილა წვერი. ძაფის ნაკუწები ისე ჩახლართვოდა, თითქოს ჭია შესევიაო. მთელი დღე უხილავდა თინა წვერს.

— მარტოობამ. — გაიმეორა ფარნაოზმა.

— კარგი გოგოა თინა. — თქვა უცებ პოპინამ და გაჩუმდა.

— ხო, — უპასუხა, არა, ისევ თავისთვის თქვა ფარნაოზმა.

ამის მერე დიდი დრო აღარ გასულა და თინა, ახლა უკვე სამუდამოდ, შევიდა უხეიროს ოჯახში. კერასთან ახალი ქალი დატრიალდა, რომელსაც ეს კერა იმდენხანს უყვარდა, იმდენხანს ფიქრობდა და ოცნებობდა მასზე, რომ ახლა, რაკი კანონიერი პატრონი გამხდარიყო მისი, არაფერს აღარ გაუჭირვებდა, არ ჩააქრობდა, და მთელი ქვეყნის დასანახად იტრიალებდა, ბედნიერებითა და მისი გამონაშუქით სახეალეწილი. პირველსავე ღამეს იგრძნო თინამ, რომ მათი საწოლი, არა თავდავიწყების, არა სიკვდილამდე მისული ნეტარების, არამედ ცოლქმრული მოვალეობის აღსასრულებელი ადგილი იქნებოდა მხოლოდ, მაგრამ მისთვის ესეც ბევრს ნიშნავდა, ამაზედაც თანახმა იყო.

— გძინავს? — ჰკითხა თინამ.

— არა. — უპასუხა ფარნაოზმა.

— იქნებ ცუდად წევხარ? — ისევ ჰკითხა თინამ.

ფარნაოზმა ძუძუზე დაადო ხელი. თინა გაირინდა. ფარნაოზს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც უყურებდათ, თითქოს მათი ოდნავი გაფაჩუნებაც მთელ ქალაქს ესმოდა, თითქოს... თითქოს სხვის ლოგინში იწვა, სხვის დავალებას ასრულებდა და უკინდისოდ ტყუოდა, — მისი ხელები, მთელი მისი სხეული იმ „სხვის“ მოძრაობებს იმეორებდა, თუ ვერ იმეორებდა, ბაძავდა მაინც, რათა სიბნელითა და ვნებით თვალებდაბრმავებული ქალი, ვერ მიმხვდარიყო, „იმის“ მაგივრად სხვა რომ შემოეწვინა მისთვის ბედისწერას. თინამ გაკოჭილი ნადირივით გაიბრძოლა. სადღაც ძაღლები ყეფდნენ. დილით, გაახილა თუ არა თვალი ფარნაოზმა, მაშინვე თინას ხმა გაიგონა. ქვაბს მიხედე, პოპინაო, — იძახდა თინა. მთელი სახლი სამშვიდობო ფუსფუსითა და სურნელოვანი, მაღაისალმძვრელი ოხშივრით გავსებულიყო.

წლისთავზე სახლი ახალშობილის ბუკინინითა და სველი საფენებით გაივსო. ახლა უხეიროს შუბის ტარზე, ჩურჩხელების ნაცვლად, ისევ ჩვრები და ბინჭები ეკიდა. ჩვილს თვალი არც გახელოდა და უკვე მეთლი სახლი არ ყოფნიდა. ყოველდე იხეოდა საფენებად

და არტახებად ძველი კაბები და წინსაფრები, ხილაბანდები და პერანგები, მაგრამ ეს მართლა თითისხელა, შუბლშეჭმუხვნილი და ბრაზიანი არსება იმავე დღეს სვრიდა ყველაფერს; სამი მკლავებდაკაპიწებული ქალი დილიდან საღამომდე რეცხავდა, წურავდა, აფენდა და აუთოვებდა გამოხუნებული ფოთლებითა და ყვავილებით გადაჩითულ ჭინჭებს. ფარნაოზი შინიდან დამარცხებულივით, წელში მოხრილი გადიოდა, რათა სარეცხის თოკებს არ წამოდებოდა და არ გახლართულიყო მისი შვილის მძაფრი სურნელით გაჟღენთილ ჩვრებში. თვითონაც ეს სურნელი ასდიოდა და არაჩვეულებრივად ამაყი და დარცხვენილი მიაბიჯებდა ქუჩაში.

ბავშვს უხეირო დაარქვეს. თინამ თავიდანვე განაცხადა, რაც გინდათ ის დაარქვით, რა მნიშვნელობა აქვს, რა ერქმევაო. ასე კი არა მარტო ქმრისა და ქმრის ნათესავების საამებლად მოიქცა, არამედ, მართლა სულერთი იყო მისთვის, რა ერქმეოდა ახალ ძალას, ახალ დუღაბს, მის ციხეს რომ ამაგრებდა. ბავშვის გაჩენამ თინას უფლებები და მნიშვნელობა უცებ გაზარდა. პოპინაცა და ქალუკაც ისე შესიციცინებდნენ თვალებში, როგორც ღმერთქალს, რომელსაც მათ თვალწინ სასწაული მოეხდინა. მეტი სასწაული რაღა იქნებოდა, ჭერი ამაღლებულიყო, კედლებს უკან დაეხიათ, აკვანი აყვავებულიყო და თავზე ჩიტები დაჟივჟივებდნენ. მკერდმოღეღილი, უდარდელად მომღიმარი თინა ჩვილს დაუდევრად ათამაშებდა ხორციანსა და ღონიერ ბარძაყებზე, კაბაში რომ ვეღარ ეტეოდნენ და ისე გადაეჭიმათ კალთა, თითქოს გაგლეჯვას უპირებდნენ, როგორც ერთმანეთზე გადაბმული ,მაგრამ სხვადასხვა მხარეს გარეკილი კამეჩები. თინა მართლაც ღმეოთქალივით უბრალო, თამამი და კეთილი იყო, უყვარდა და ეცოდებოდა მისი ხილვით გაბედნიერებული ხალხი და შეეძლო, უსასრულოდ მჯდარიყო ასე, თვითონაც გართობილიყო და სხვებიც გაერთო მის კალთაში მობუქნავე ჩვილით, ალივით რომ ტკაცალებდა. თევზივით რომ უსხლტებოდა, მაგრამ ვერსად წაუვიდოდა, რადგან სხვებისათვის უხილავი თოკით საიმედოდ ყავდა გულზე გამობმული.

ფარნაოზისთვის თითქოს ყველაფერი დამთავრდა, უფრო სწორედ, ფარნაოზს უფლება აღარ ჰქონდა, ეცხოვრა ძველებურად, უნდოდა თუ არა, უნდა შეშვებოდა მამისა და აქედან გამომდინარე, საკუთარი დანაშაულის ჩხრეკვას და სამუდამოდ აეღო ხელი ამ დანაშაულის გამოსწორებაზე, რადგან მარტო აღარ იყო, მასაც შვილი ყავდა, უმწეო და უენო, და რადგან ყავდა, ანგარიშიც უნდა გაეწია მისთვის, ეზრუნა მის ბედსა და მომავალზე, განწმენდილიყო ამ ახალი მოვალეობის გრძნობით, როგორც დაფას გადაწმენდენ ხოლმე ჩვრით, რათა ზედ ახალი სიტყვა დაწერონ. სიტყვა, რაც ადრე ეწერა დაფაზე, ყველამ დაისწავლა უკვე, ანდა გადაიწერა მაინც და ამიტომ აუცილებელიც გახდა მისი წაშლა, ასევე აუცილებელი გახდა ახლის დაწერა, თუკი წინწაწეკას აპირებდა ცოდნის გზაზე დამდგარი გონება. მაგრამ განა წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ფარნაოზისთვის დაოჯახება? თვითონ არ გასჩენია ამგვარი გრძნობა. პირიქით, რაც იცოდა, ისიც დაივიწყა, რაც ჰქონდა, ისიც დაჰკარგა და სამაგიეროდ ოჯახი დააწვა კისერზე, ხოლო ოჯახმა იმდენი რამე მოთხოვა, იმდენი დღემდე არარსებული წვრილმანი ამოუტივტივა ცხვირწინ, დროც არ რჩებოდა, საფუძვლიანად რომ დაფიქრებულიყო მის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე. უთენია წამომდგარი, შინ საღამოს ბრუნდებოდა, დაღლილობისგან მკლავები უცახცახებდა, ძლივს იხდიდა გაოფლილსა და ბეჭებზე მიწებებულ პერანგს, ფეხსაბანი წყლის ორთქლში გახვეული, სკამზევე თვლემდა, თავს ცხენივით აკანტურებდა, მაგრამ დილით დაუფიქრებლად, დაუზარებლად დგებოდა, რათა ისევ დაეგო ქვაფენილი, გამოეცვალა იატაკი, გამოეთალა აბაზანა, და რაც

უფრო მეტი საქმე ჰქონდა, მით უფრო მეტი მონდომებით მუშაობდა, რადგან ახლა სასჯელს კი არ იხდიდა, ოდესღაც, უნებლიედ ჩადენილი მკვლელობისთვის, არამედ ბავშვსა ზრდიდა, სიცოცხლეს ემსახურებოდა.

შუბუც, ძველებურად, მხარში ედგა ოჯახს. ვენახი და საყანე მინდორი, ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის რომ ეჩუქებინათ უხეიროსათვის, ისევ არსებობდა, მაგრამ ყოველ წელიწადს უფრო და უფრო ნაკლებ მოსავალს იძლეოდა, ეტყობა, ისიც შუბუსავით ბერდებოდა, თუმცა შუბუ არც თავს უტყდებოდა და არც მას აძლევდა მოსვენებას. შუბუ წელგამართული დადიოდა, ქათქათა წვერიც უკვადვების საბუთივით ეფინა მკერდზე, მაგრამ წლებს მაინც თავისი გაჰქონდათ. ის ახლა ვანშიც იშვიათად ჩამოდიოდა, თუმცა უხეიროს მამული ორი საათის სავალზე იყო. ვენახში ჩადგმულ ქოხში ცხოვრობდა, ქოხთან ერთი სახედარი ება და ეგ იყო და ეგ, სანამ მოსავლის აღების დრო არ მოაღწევდა და დამხმარე მუშახელს არ იქირავებდა, კაცი-შვილი არ ყავდა ხმის გამცემი, თვითონ კი, სახედარსა და ვენახს ისე ელაპარაკებოდა, თითქოს გაუგებდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ესმოდათ კიდეც მისი.

შუბუ ვენახს მიწას უფხვიერებდა, ნაკელს უზიდავდა, სხლავდა, ალამაზებდა და, ბოლოს და ბოლოს, ღამით მის გვერდით წვებოდა კიდეც, რათა საკუთარი სხეულით გაეთბო, როგორც ავადმყოფი და მცივანა მეუღლე. დღეები დღეებს მიყვებოდნენ, თვეები — თვეებს და ასე თანდათანობით, ფერებ-ფერებით, კიდევ ერთხელ გამოიტანდა ხოლმე ვაზი კვირტს. მალე იმ კვირტიდან პატარა და ღიამწვანე ფოთოლი, მუჭში მოჭმუჭნული ცხვირსახოცივით, გამოყოფდა ყურს. კვირტი ადამიანის ხელის მტევანის მსგავს ლერწად იქცეოდა და მწვანე, პატარა ბურთულები მეჭეჭებივით დაეყრებოდა. ეს ის დრო იყო, როცა გაზაფხულის წვიმები, დიონისეს ამალასავით, სიცილ-ტკრციალითა და ყიჟინით გადაირბენდნენ ქვეყანაზე. ვენახი ჯუჯა ბაყაყებით ივსებოდა. მეჭეჭის მსგავსი ბურთულები კი დღითიდღე იზრდებოდნენ და იბერებოდნენ სალათისფერი სითხითა თუ სინათლით, უფრო სინათლით, რადგან ეს ბურთულები ღამითაც ანათებდნენ და ათასნაირ მუმლსა და მწერს იზიდავდნენ. ზაფხულის ბოლოს ბურთულები ფერს იცვლიდნენ, ახლა ფერიც სინათლისა ჰქონდათ და ისე ეჭიმებოდათ კანი, თითქოს თითის მიდებაზე გასკდებოდნენ, ანდა თითზე თაფლის წვეთებივით აგეწეპებოდნენ. შუბუ მტევანს პეშვს რომ ამოუდებდა, გული მამობრივი სიხარულითა და სიამაყით ევსებოდა. შემოდგომაზე ვენახი აწრიალდებოდა, შეწუხდებოდა, მზითა და მიწის წვენით გაძიძგული მტევნები ასტკივდებოდა, როგორც მელოგინე ქალს ძუძუები, შეშუპებული და გაფართოებული დვრილებიდან თავისით რომ მოწვეთავს რძე. ვენახს ემშობიარა, ახლა ნაყოფის ამოყვანა იყო საჭირო მისი ლაჯებიდან, მშობიარობის ტკივილებს ერთიანად რომ დაეგრიხა. ვენახს სულის მოთქმა ჭირდებოდა, დასვენებას თხოულობდა, თუმცა უკვე გადასულიყო იმ ბუნდოვანსა და მომთენთავ ძილღვიძილში, ნამშობიარევ დედაკაცს რომ ეუფლება. მაშინ შუბუ მუშახელს ქირაობდა. თითო ვაზიდან თითო გოდორი ჩამოდიოდა. სიმსუქნისგან გამსკდარ მარცვალს ფუტკარი ეხვეოდა, თვრებოდა და ბზუოდა სიმთვრალის ერთფეროვან სიმღერას. შუბუც თითქოს ერთბაშად თავისუფლდებოდა განვლილი წლებისაგან, როგორც ვენახი ნაყოფისგან, და ახალგაზრდა მამასავით ამჩატებული ადგილს ვეღარ პოულობდა მისი შვილები, მისი ტყუპი შვილები გოდრებში ისხდნენ და ყურისწამღებად ჭყიოდნენ, დაბინავებას მოითხოვდნენ, ახალსა და ახალ ყურადღებას.

პატარა უხეიროს დაბადება რომ გაიგო შუბუმ, მართლა გაუმაწვილდა, ვენახს ბებრუხანა ცოლივით მიესიყვარულა და გაამხნევა, რა დროს სიბერეა.

ქალო, ხომ ხედავ ჯერ კიდევ საჭირონი ვართო.

თინა ბედნიერი იყო, რადგან ყველაფერი ჰქონდა, რისი ნატვრაც ქალს შეეძლო. დღითიდღე უფრო მძაფრი ხდებოდა გამარჯვების შეგრძნება. რა თქმა უნდა, მისთვის სულერთი არ იყო, ეყვარებოდა თუ არა იგი ფარნაოზს, მაგრამ არც ისეთი სულელი და მეოცნებე გახლდათ, ამდენი რომ მოეთხოვა. რაც მთავარია, ფარნაოზს მისი ქმარი ერქვა, მის გვერდით იყო და ყოველთვის მის გვერდით იქნებოდა, ნებით თუ უნებლიეთ. ეს თავისთავად უკვე ბევრს ნიშნავდა, თავისი უსასრულო ბრძოლიდან ამაზე მეტის გამორჩენას არც ადრე აპირებდა. დანარჩენს, რისი გაკეთებაც თინას არ შეეძლო, დრო გააკეთებდა, დრო და იძულებითი სიახლოვე. თინა უძლური იყო, რადგან კარგად იცნობდა ფარნაოზს, ისევე კარგად, როგორც უბანს, სადაც დაბადებულიყო და გაზრდილიყო. მას შეეძლო თვალდახუჭულს წარმოედგინა იგი, თმის ძირიდან ფეხის ფრჩხილამდე, წინასწარ მიხვედრილიყო, რას იტყოდა, ანდა რას გააკეთებდა და ისიც იცოდა, მისი სული იმდენად იყო სავსე მიუღწევლისადმი, უხილავისადმი, არარსებულისადმი სიყვარულითა და ერთგულებით, რომ იქ მისთვის ადგილი აღარ რჩებოდა. „მერე რა? მე ესეც მყოფნისო — ფიქრობდა საწოლში მოკუნტული თინა. მე ბედნიერი ვარ და ჩემი ბედნიერება ორივეს გვეყოფაო: ჩემმა ხორცმაც იგივე უნდა იგრძნოს და განიცადოს, რასაც ჩემი სული გრძნობს და განიცდისო: მთავარია სანამ სული მიდგას, არაფერი გავუჭირვო ჩემს ქმარშვილსაო". — ასე ფიქრობდა თინა. ის მართალი იყო თავის თავთან, უფლებაც ჰქონდა ბედნიერებისა, ისეთი ერთგულება და სიმტკიცე გამოეჩინა ბავშვობის დროინდელი ოცნებისა თუ აჩემების მიმართ. თინას, რა თქმა უნდა, აქამდეც შეეძლო გათხოვება, ამგვარად ბედნიერი ნებისმიერი ქმრის ხელშიც იქნებოდა, მაგრამ ფარნაოზი მარტო ქმარი არ იყო მისთვის, შემთხვევით თუ შეგნებულად, ფარნაოზი აღმოჩნდა ის საცდელი ქვა, რომლითაც თინა საკუთარ ნებისყოფას, ღირსებასა და შესაძლებლობებს ამოწმებდა. ფარნაოზი ბალავარი იყო, მარტოს, სხვების დაუხმარებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ, გოჯა-გოჯა რომ მოეთრია საძირკველთან, პირღია ორმოსთან, რომელზედაც თავისი მომავალი ცხოვრების აშენებას აპირებდა. თინას ნაფიქრალი, ძალაუნებურად, თუნდაც სიახლოვის გამო, თავის მსგავსს ბადებდა ფარნაოზის არსებაშიც. ფარნაოზიც დაახლოებით ასე ფიქრობდა და ცოლი ეცოდებოდა, ასე ბრმად, ასე ხელაღებით რომ მიილტვოდა ბედნიერებისაკენ. არაფრისგან რომ აკოწიწებდა ბუდეს, როგორც ღარიბი გოგო კაბას, რათა არც ის გამოჰკლებოდა საცეკვაოდ თავშეყრლ ტოლამხანაგებს. ფარნაოზი იმასაც გრძნობდა, აუცილებელი რომ იყო იმ ბედნიერებისთვის, რომელსაც ეს ჯიუტი და ყოჩაღი ქალი თავისთვის დაეძებდა; სიმძიმესაც გრძნობდა იმ სასახლისას, ბედნიერების მაძიებელი ქალის გონებას. რომ წამოეჭიმა. ახლა ვალდებული იყო, მოეთმინა და ეზიდა იგი, არ გამოცლოდა მის გამაღიზიანებელ სიმძიმეს, რადგან ასე ჭირდებოდა ვიღაცას, ვიღაცას კი არა, მის ცოლს, მისი შვილის დედას, მის თანამეცხედრეს. ბედისწერა ახლაც დასცინოდა ფარნაოზს, ბედნიერება, რომელსაც იგი მეორე ადამიანს აძლევდა, ყალბი იყო, წარმოდგენილი, მაგრამ ესეც უნდა მოეთმინა, გაჩუმებულიყო, რადგან თოკის ერთი ბოლო ყელზე თუ ჰქონდა შებმული, მეორე — თინას დაეხვია მაჯაზე. ეს თოკი კი უხეირო იყო, მათი შვილი.

ერთხელ ფარნაოზი შინ რომ დაბრუნდა, ეზოში პატარა ბიჭი დაინახა, ბიჭი მოკირწყლულ ბილიკზე იჯდა, ორივე ხელში ვაშლი ეჭირა და გამეტებით ურტყამდა ფილაქანს. დაბეჟილი ვაშლის წვენს ფილაქანი დაელაქა. ფარნაოზს გული გადაუქანდა, თითქოს მისი დავიწყებული წარსულის ხატი დაესვენებინათ შუადღის სიცხით ჩაყუჩე-

ბულ ეზოში, ტოტის გამონაზარდივით სუსტი და მყიფე, მაგრამ უფლებამოსილი, პასუხი რომ მოეთხოვა გაწბილებისთვის, დავიწყებისთვის და ხელმეორედ გამოხმობისთვის. ფარნაოზმა მამობა იგრძნო და სისხლი გაუთბა, ძვლები დაურბილდა და ისე აწრიალდა, თითქოს საფრთხე ელოდა ბიჭს, ფილაქანზე ვაშლს რომ ჟექავდა. „რატომ დაუტოვებიათ მარტოო“ — გაიფიქრა ფარნაოზმა და ირგვლივ მიმოიხედა. „ა-ა-ა-აღ“ — იძახდა ბავშვი. ღობის ძირას ქათმები მიწას ქექავდნენ. ხეხილის წვრილი ფოთლების ჩრდილი ბადესავით გადაფარვოდა ბავშვსაც და ეზოსაც. ფარნაოზი დაიხარა და ბავშვი ფრთხილად აიყვანა. ბავშვმა ლოყაზე სველი ხელი მოუთათუნა და ფარნაოზს უარესად აუჩუყდა გული, ისეთი სუსტი და პატარა იყო ბავშვის ხელი, ისეთი ცოცხალი. ბავშვის სითბომ და სიმსუბუქემ ღონე წაართვა და ფრთხილად. გაუბედავად მიჰყავდა იგი შინისკენ. ის იყო, მუხლით უნდა შეეღო კარი, მაგრამ ასევე, მუხლაწეული, ერთ ადგილას გაირინდა, რადგან კარი თავისით გაიღო და სამი ქალი, თინა, პოპინა და ქალუკა, გაღიმებული შემოეგება მამაშვილს: ოჰ, ჩვენი კაცები დაბრუნებულანო. ფარნაოზი სახტად დარჩა, თვითონაც იღიმებოდა და არ იცოდა, რომელი ქალისთვის მიეჩეჩებინა ბავშვი, რომლის ჩამორთმევასაც არცერთი ქალი არ აპირებდა. მაინც და მაინც, არც ბავშვს გაუწევია ქალებისკენ. ცალი ხელი მამისთვის კისერზე მოეხვია, მეორეში დაბეჟილი ვაშლი ეჭირა და ისე უბღვერდა ქალებს, თითქოს ქომაგი მოეყვანა და ახლა ანგარიშის გასწორებას უპირებდათ. „შეხედეთ, ერთი შეხედეთ, როგორ შეიფერა პატივისცემაო“ — იცინოდნენ ქალები. მერე ისინიც გაწგებ იკრავდნენ კოპებს და დოინჯშემოყრილნი ეუბნებოდნენ: რა იყო, რას გვიბღვერ, რამე ხომ არ გვმართებს შენიო. ფარნაოზიც უკვე მიხვედრილიყო ქალების ოინბაზობას და დაბნეული იღიმებოდა. ასე ლომს დაუბამენ ხოლმე მისატყუარზე ცოცხალ თიკანს და შეშინებული თიკნის პეტელით გულმოცემული, მადაალძრული ლომი, დინჯი და მეფური ნაბიჯებით შედის ხაფანგში.

ბავშვი დროის ყველაზე უტყუარი საზომია. მისი ყოველდღიური ზრდა, შენი ყოველდღიური დაბერებისა და დაუძლურების დამადასტურებელია. რაც ბავშვს ემატება, ის შენ გაკლდება და რასაც ბავშვი უახლოვდება, შენ იმას შორდები, თითქოს უხილავი ბორბლის მანებზე ხართ მიბმულნი ერთმანეთის გვერდით და ის ბორბალი, თქვენთვის შეუმჩნევლად, ბრუნავს. ბავშვისთვის რომ თენდება, შენთვის ღამდება.

„ღმერთო, როგორ გავიდა ცხოვრებაო“ — გაიფიქრა ფარნაოზმა.

მართლაც დიდი დრო გასულიყო, გასულიყო, რადგან ეს იყო მისი მთავარი თვისება, დაუდევრად მიაბიჯებდა თავის გზაზე, მკაცრი და საქმიანი. მისთვის სულერთი იყო, ვის აბიჯებდა, ან რას აბიჯებდა ფეხს, რა უნდა გაესრისა, რა უნდა გაეცამტვერებინა, რისთვის უნდა შეეტოვებინა სამუდამოდ შიშველი ტერფების ანაბეჭდი. მთავარია ადამიანი არ გადაშენებულიყო, რადგან ყოველთვის ჰქონოდა დასანგრევი და გასასრესი, რასაც ადამიანის ხელი და გონება დაუსრულებლად შეუქმნიდა, თუმცა ეგონებოდა, ჩემთვის ვქმნიო, ჩემი შთამომავლობისთვისო, რომელსაც მისი ნახელავისა და ნააზრევის ნანგრევთა ხილვა დაარწმუნებდა, სწორედ იქ რომ მისულიყო, სადაც მიესვლებოდა: მამის სახლში.

დრო ისევე მოქმედებდა ადამიანის სულზე, როგორც მთვარე სტიქიაზე. დროის ამგვარი ზემოქმედების უნარი იმდენად ბუნებრივი და ამიტომაც იმ დენად შეუმჩნეველი იყო, ადამინს თვალის მიდევნება უჭირდა და მის გარშემო, ანდა მის არსებაში მომხდარი ცვლილება, რასაც უმთავრესად წამიერი გამოფხიზლების ჟამს ამჩნევდა, აუცილებლობად მიაჩნდა, რადგან უკვე მომხდარიყო, უიმისოდ მომხდარიყო.

ასე იყო ვანშიც, რადგან ვანიც ჩვე-

ულებრივი ქალაქი იყო და იქაც ჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობდა.

ერთ დღეს, ვანის ყველაზე მიყრუებულ ქუჩაში მკვდარი ბედია იპოვეს. თოკის გორგალი ამხნის განმავლობაში ისე გაზრდილიყო, ისე დამძიმებულიყო და ისე დაბლანდულიყო, ბოლოს და ბოლოს, სიბერისა და ამოუხსნელი საიდუმლოსგან გაწამებული ბედიაც გამოეგუდა თავის ჭრელსა და უხეშ მკლავებში. ბედია, მართლაც, ობობის ქსელში გამომხრჩვალი ბუზივით ეგდო. ობობას მთელი მისი სისხლი გამოეწოვა და აბლაბუდის ნაკუწები შეეტოვებინა ზედ. ბედია ბავშვებმა იპოვეს, არც მისი ცნობა გასჭირვებიათ, თუმცა თოკის დაბლანდული გორგალიდან მარტო კინკრიხო და ფეხის ქუსლებიღა მოუჩანდა. ბედიას ქალაქში გიჟის სახელი ჰქონდა დავარდნილი და ბავშვების საყვარელ გასართობად ქცეულიყო, ჯერ აიეტისა და მერე ოყაჯადოს მეჯინიბის მსგავსად.

„ბედია მოდის, ბედია“ ზღვას მოათრევს თოკითაო“ — ყვიროდნენ ღობე-ყორეზე შემომდგარი ბავშვები და ქვების სროლითა და ყიჟინით ეგებებოდნენ ბერიკაცს, თავფეხიანად რომ ჩაკარგულიყო ერთმანეთზე გადაბმული, სხვადასხვა ფერისა და ზომის ნაკუწებში. მართლაც უცნაური სანახავი იყო ბედია, უკანა ფეხებზე შემდგარ ზღარბსა გავდა, ტანი დამრგვალებოდა, გაბურძგნოდა და უთავბოლოდ, ფენაფენა შემოხვეული თოკის ჭრელი რგოლები სიარულისას ისე ერწეოდა, თითქოს ეს წუთია გველების ბუდიდან ამომძვრალა და მთელი გველები ზედ შემოხვევიანო.

— ხალხნო, ზღვა გვეპარება, ხალხნო — მოჰყვიროდა ბედია ქუჩებს, ხმაჩახლეჩილი, ოფლში გახვითქული, ჭუჭყისა და თოკის ბალნით შეჭმული, ამაზრზენი და სასაცილო.

ბედია ბავშვებმა იპოვეს, თოკის ბოლოებში ხელი ჩაავლეს და შუა ქალაქში გამოათრიეს. ბედიას გვამს ამით არაფერი დაშავებია, ისე სქლად და საიმედოდ იყო გახვეული თოკის ხლართებში, გეგონებოდათ, ტურებს ეუმია ამოუგდიათ სარკოფაგიდან, — გაუჩენიათ. მაგრამ სასურველ გვამამდე მაინც ვერ ჩაუღწევიათო. თოკებში გახვეული ბედია ქუჩებს მოამტვერებდა და ბავშვების ყვირილზე გამოსული ხალხი ხველითა და ცემინებით გროვდებოდა მის გარშემო. ბედიას სიკვდილმა მაინც გული დასწყვიტა ყველას და შუა ქუჩაში, მისი გვამის გარშემო შეკრებილნი, ერთნაირად, მტკივნეულად გრძნობდნენ ყველანი, რომ ბედია თავისი ჭრელი თოკის გორგალით, შეიძლება უმნიშვნელო, მაგრამ განუყოფელი და აუცილებელი ნაწილი იყო მათი ქალაქისა, ურომლისოდაც ქალაქიც დაკარგავდა ზედმიწევნით თავისებურ იერს. ისინი ვერასოდეს იხილავდნენ ბედიას. უკანა ფეხებზე შემდგარი ზღარბივით რომ მოჰყვებოდა ქუჩას, ზღვის გაპარვით რომ აშინებდა ხალხს, თუმცა მისი ჩახლეჩილი ხმის გაგონება ყველას ღიმილს გვრიდა და სეირის გუნებაზე აყენებდა. ვანი არც ამით გამოირჩეოდა სხვა ქალაქებისაგან, ყველა ქალაქს ყავს თითო გიჟი, რადგან გიჟიც ჭირდება, მით უფრო უწყინარი, ქვას რომ არ ისვრის და გიჩერდება, თავი რომ შეიქციო, გაერთო და გამხიარულდე. აბა, სულ საქმეზე ხომ არ იფიქრებ, ნაღველს ხომ არ ჩაიქცევ, თვალებს ხომ არ ამოიღამებ? ათასში ერთხელ გული თუ არ გადააყოლა კაცმა, შეიძლება თვითონაც გაგიჟდეს, მაგრამ სანამ გიჟის გამოჩენა უხარია, სანამ სასაცილოდ ეჩვენება მისი ყოველი სიტყვა და ყოველნაირი საქციელი, შეუძლია დამშვიდებული ბრძანდებოდეს.

ვანის გიჟი, რომელსაც მეჯინიბე შეეცვალა, და, ალბათ, თავადაც გამოუჩნდებოდა შემცვლელი, ახლა შუა ქუჩაში ეგდო, ტურების ნათრევ მუმიასავით, და ყველას ეცოდებოდა, ყველას ის მხიარული წუთები ახსენდებოდა, წლების განმავლობაში, მოულოდნელი საჩუქრებივით რომ არიგებდა იგი, უპოვარი და გულუხვი. ქალაქი, მადლიე-

რი იყო ბედიასი, მაგრამ ამ მადლობის ვერ მოთქმა. კაძოხატვა ვერ მოეხერხებინა, ვერ მოება თავი, იმდენნაირი გული და ენა ჰქონდა, ერიდებოდა, რამე სისულელე არ წამოვროშო და მე თვითონ არ გავხდე დასაცინიო. ბედია კი ერთი იყო, თანაც მკვდარი, ვალმოხდილი და უსარგებლო.

მერე ბედიას ცოლი მოვიდა, ახლა იმან ჩაჰკიდა თოკის ბოლოში ხელი და შინისაკენ გაათრია.

ბედიას ცოლმა გვამიანად ქოხს გარშემო შემოუარა, მერე კართან შეჩერდა, გვამს მოუბრუნდა და უთხრა: დაემშვიდობე შენს ქოხსაო. როცა დარწმუნდა, ჩემმა ქმარმა დაამთავრა ქოხთან გამოთხოვებაო, ისევ თოკს ჩაჰკიდა ხელი და გვამი ზღვისკენ გაათრია. ზღვამდე კი უკვე შორს იყო. გვამი ჯერ ზღვის დანატოვარ რიყეზე მიჯაჯაყებდა, მერე სილაზე მიჩოჩავდა, მერე ატალახებულ მიწაზე გასრიალდა, ულორტებგამოხუნებულ წყალმცენარეებზე ფართო კვალი გაავლო და როგორც იქნა, წყალშიც შეცურდა, მაგრამ არც ეს იყო ზღვა: ეს ჭაობის წყალი იყო, მკვდარი, ჩახუთული, დამყაყებული. ქალი თავჩაღუნული მიდიოდა, სახედარივით, ჯიუტად მიაბოტებდა წყალში. წყალი ჯერჯერობით კოჭებამდე სწვდებოდა, მაგრამ თანდათან ღრმავდებოდა; კაბა მუხლებამდე დასველებოდა, დაღლილიყო, ხელისგულები გადახეხვოდა და უხურდა: გვამიც თითქოს უარესად დამძიმებულიყო, წყალი ვერ ერეოდა. ვერ აეტივტივებინა და მის თავთან შრიალით იპობოდა, მღვრიე და ტალახიანი. ქალი კი მიდიოდა. ახლა წყალი მუხლებამდე სწვდებოდა, კაბა კი წელამდე სველი ჰქონდა. სიარული უჭირდა, ბორძიკობდა, სუნთქვა გახშირებოდა; სადღაც, კეფისა და კისრის შესაყართან გაჩენილი ოფლის წებოვანი ნაკადი ხერხემალს თავქვე დაუყვა და მთელი ტანი აუქავა. ქალი მიდიოდა და იწყევლებოდა, ბრაზიანად, გულით, ზღვასაც წყევლიდა და გვამსაც, რომელიც, სანახევროდ წყალში ჩაძირული, თითქოს წყალქვეშა ფესვებს ეჭიდებოდა და უძალიანდებოდა. გვამი წელს ზევით წყალში იყო ჩაძირული, ფეხები კი ამოეშვირა. თოკი დაჭიმულიყო, შლამსა და წუმპეში ამოლუმპულიყო და ჩამოგრძელებული, ჩამოღვენთილი ტალახი, გაზაფხულის მზის სხივებზე გალხობილი ლოლუებივით ეკიდა. „ჩემთვის არც ცოცხალი იყო და არც მკვდარიო“— ფიქრობდა ქალი, კაბა უკვე მკერდამდე დასველებოდა და შემოტმასნული ქსოვილი მის გამხდარსა და სიბერისგან დაუშნოვებულ სხეულს აჩენდა. „არც ცოცხალი და არც მკვდარი...“ — ჯიუტად, ბრაზნარევი სინანულით იმეორებდა ქალი. უცებ შეჩერდა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გაკვირვებულმა გამოხედა გვამს. ახლა მხოლოდ საკუთარი სუნთქვა ესმოდა. მობოშებულ თოკს ტყაპანით დასცვივდა ტალახის ლოლუები. გვამს ნემსიყლაპია დააჯდა, ყვავილივით მსუბუქი და სიფრიფანა. ქალმა სული მოითქვა, მერე შემობრუნდა და ისევ ნაპირისკენ წამოვიდა. გვამმა წყალში ფართე, აფუტფუტებული წრე შემოხაზა და თოკიც ისევ დაიჭიმა. ქალმა თანდათან ფეხს აუჩქარა, კი არ მიდიოდა. მირბოდა. გაშმაგებული მიადგაფუნებდა იქაურობას, საკუთარ მიუხვედრელობას გაეცოფებინა და ცდილობდა მალე მოეთავებინა ტყუილუბრალოდ გამოვლილი გზა, თითქოს მოწაფე არასწორად დაწერილ ფრაზას შლიდა. სანამ დამცინავი ამხანაგები და მკაცრი მასწავლებელიც შეამჩნევდა. ქალი მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა მიწაზე ამოაღწია. გვამი ტალახის უზარმაზარ ბელტად ქცეულიყო და ოდნავღა გავდა ადამიანის სხეულს. როგორც დაწყებული ქანდაკება, მაგრამ ქალს ახლა ამის შემჩნევა არ შეეძლო. ის მთელი ძალით თოკს ექაჩებოდა და გვამიც ნელა, წვალებით ამოდიოდა მიწაზე, როგორც თევზით გატენილი ბადე. სანახევროდ ამოთრეული გვამი ქალმა მიატოვა და თვითონ ქოხისკენ გაიქცა. გვამი მარტო დარჩა, გულგრილი

და უგრძნობელი, აქა-იქ წყალმცენარის გრძელი, დაკლაკნილი ყლორტები ასწეპებოდა. იწვა და ვერკი გრძნობდა, იწვა და ვერკი ხედავდა, იწვა და არ ესმოდა, როგორ მოახრიალებდა ნავს მისი მეუღლე. მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, ტალახის უზარმაზარ ბელტად ქცეულიყო და სულერთი იყო, რას გამოძერწავდა მისგან ღმერთი, ანდა გამოძერწავდა თუ არა რამეს საერთოდ.

ქალმა ნავი მოათრია, მერე უკან მოექცა და მთელი ძალით მიაწვა. ნავმა სველი, შლამიანი მიწა ჩახია, ჩაფხრიწა და თავი წყალზე აუტივტივდა, თითქოს უცებ გაცოცხლდაო; მიწაზე დარჩენილი ტანი ღრეჭიალით გადაებრიცა, გადაუქანდა. ქალმა ცოტახანს კიდევ შეაჩერა ხელი ნავის კიჩოზე, თითქოს მართლა ცოცხალ არსებას ამშვიდებსო, ტალახში წამოკოტრიალების ნებას არ აძლევსო, და მერე ისევ გვამს მიუბრუნდა, როგორც იქნა ხელები შეუცურა და ასწია. გვამს ბელტა-ბელტა სცვიოდა ტალახი, მსუბუქდებოდა, მაგრამ მაინც ძლივს მიიტანა ნავამდე. გვამი თავით ჩაეშვა ნავში, გაფშეკილი ფეხები ამოშვერილი დარჩა, მაგრამ ქალს ამისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, ნავს მხრით აწვებოდა, წყევლიდა და ეეედრებოდა, როგორც გაორჩებულ სახედარს; ტალახი სახეზედაც ასწეპებოდა, დაძაბულობისგან მთელი სხეული უთრთოდა, ფეხები კოჭებამდე სილაში ჩაფლობოდა და უცურდა. ნავი ძალის ძალათი, ბორძიკითა და ღრეჭიალით მიჩოჩავდა. ბოლოს წყალზე ატივტივდა და ქალმაც შვება იგრძნო. ნავის კიდეზე მუცლით გადაწვა და ფეხებით მიწას უბიძგა. ახლა თვითონაც თავფეხიანად ტალახში იყო ამოგანგლული. სველი ქვედატანი ისე აითრია, თითქოს ვარცლიდან სარეცხი ამოიღოო; მღვრიე წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. ნავში იდგა და ნიჩბით აწვებოდა დონდლო ფსკერს. ბევრჯერ შეუვარდა ნავი ლერწმებში, სანამ ზღვამდე მიაღწევდა. მაინც მიიწევდა წინ, წყალიც თანდათან ღრმავდებოდა და როცა ნიჩაბი ფსკერს ვეღარ მიაწვდინა, მიხვდა, უკვე ზღვაში გასულიყო. ახლა ნიჩაბს ჩვეულებრივად უსვამდა. ერთმანეთს დადევნებული ტალღები ნავს ქვეშ უძვრებოდნენ და ქალს სუნთქვა უჩერდებოდა. პირველად იჯდა ნავში მარტო, ზღვისა კი ყოველთვის ეშინოდა. შიში იმ ღამეს დასჩემდა, ქორწინების ღამეს, როცა მთვრალების ხორხოცსა და ღრიანცელში ბედიამ ნავში ჩასვა და ზღვაზე გაიყვანა. მექორწილეები ჩირაღდნებით იდგნენ ნაპირზე და სიმღერით მიაცილებდნენ. ქალი ვერაფერს ხედავდა, ის ზურგით იჯდა ნაპირისკენ და სუნთქვა შეკრული ადი-ჩადიოდა ჰაერში, თითქოს უხილავ საქანელაზე შემოესვათ. მხოლოდ ნიჩბების ტყლაშუნი ესმოდა და ზღვის უეცარი ამოხვნეშა. ესაა ჩემი ნამდვილი სახლიო, ეჩურჩულებოდა მერე ქმარი. ახლა მის ქმარს ფეხები ამოეშვირა ნავიდან და ტალახში ამოგანგლული თოკის რგოლები ეყარა ზედ, თითქოს ნაწლავები გამოუყრევინებიათო. „ყოველთვის შენი იყო, ყოველთვის შენ უყვარდი და იმიტომ. მარტო შენ.“—ბუტბუტებდა ქალი. ის ზღვას ელაპარაკებოდა და ზღვაც ათასში ერთხელ, მოულოდნელად ამოიხვნეშებდა ხოლმე, როგორც მაშინ, ქორწინების ღამეს. ქალი და ზღვა იმ კაცის სიკვდილს დაეახლოვებინა, რომელიც ერთისთვის ქმარი იყო, მეორისთვის კი საყვარელი. დროს ვნება დაეცხრო და ეჭვიანობის უნარიც წაერთმია მათთვის და ახლა ბებერი ნათესავებივით, მშვიდად, აუღელვებლად საუბრობდნენ. „ღვინოსაც ვეღარ სვამდა. ერთ ჭიქას თუ დალევდა, მთელი ღამე სიცხიანივით შფოთავდა. საჭმელიც აღარ უნდოდა, მონატრებით კი მოინატრებდა ხოლმე, გამაკეთებინებდა, მაგრამ ერთ ლუკმას თუ წაილოღნიდა, ისიც დიდი ამბავი იყო. ბოლოს მთლად გამოსულელდა. ბავშვივით გამიხდა სადევნელი და აკი ქუჩაში მომიკვდა კიდეც“. — ბუტბუტებდა ქალი, თითქოს ნათესავთან მართლა

ბავშვი მიყავდა დასატოვებლად და წინასწარ არიგებდა, როგორ მოეარნა მისთვის.

აქ უკვე ნამდვილი ზღვა იყო, ღონიერი, ძარღვიანი, უძირო. ნაპირი ძლივსღა ჩანდა, ვიწრო, ხორცისფერი ზოლი გაწოლილიყო ქათქათა ღრუბლის ქვეშ. ქალი აღელდა, დაფაცურდა, ატორტმანებულ ნავში წამოიმართა და ხმამაღლა დაიძახა, ნახვამდის ჩემო კაცო! — თითქოს მშველელს უხმობდა, ანდა თითქოს მისი კაცი გაიგებდა. მერე გვამს ნიჩაბი შეუგდო და ტალახის უზარმაზარმა ბელტმა წყალში მოადინა ტყლაპანი. გამსუბუქებული ნავი შექანდა, თავი ისე აიქნია, სკამის ფიცარს დროულად რომ არ მობღაუჭებოდა, ქალიც ზღვაში აღმოჩნდებოდა. იმ ადგილას, სადაც გვამი ჩავარდა, ჯერ ქაფისფერი ორმო გაჩნდა, მაგრამ ორმომ მალე შეიკრა პირი და მის ნაცვლად ყავისფერი, წრიული ლაქა ატივტივდა; მალე ის ლაქაც გაიცრიცა, გალხვა, და განბანილი, გასუფთავებული გვამი ამოცურდა წყლის ზედაპირზე. თოკის ყველა ნაკუწს პირველყოფილი ფერი დაებრუნებინა, ოღონდ უფრო მობოშებულიყო და ნელა, ზანტად, უსიცოცხლოდ ირხეოდა, როგორც რომელიღაც ზღვის ცხოველის კიდურები.

ქალი გამწარდა, ამას კი აღარ ელოდა, მაშინვე ნიჩაბი მოიმარჯვა და ნავი ატივტივებულ გვამისკენ გააცურა. გვამი კი მართლა გავდა რომელიღაც უცნაურ ცხოველს, ჭრელსა და მრავალფეხას, სადღაც, ზღვის ჯურღმულში თავისი სიკვდილით რომ მომკვდარიყო და მხოლოდ მერე ამოცურებულიყო მაღლა, ზედაპირზე, რათა ქვეყნისთვის ეჩვენებინა თავისი ლამაზი ფერები.

ქალმა გვამს ნიჩაბი მკერდზე დააჭირა და ჩაძირა, მაგრამ გვამი გაბერილი ბუშტივით გამოუსხლტა ნიჩაბს და ისევ მაღლა ამოტივტივდა. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ქალმა აღარ იცოდა, რა ექნა, გარშემო წყლის უსასრულო და ერთფეროვანი სივრცე იყო მხოლოდ და ამ სივრცის შუაგულში ერთი ნავი და ჭრელთოკებში გახვეული გვამი ტივტივებდა.

— რა გინდა, შე ოხერო, რა! — იყვირა ქალმა.

მერე ნავში ჩაჯდა, სახე გალუმპულ მუხლებში ჩამალა და აქვითინდა. მზეს მისი ზურგი გაეშრო და გამოეხუნებინა. ის კი ქვითინებდა, მწარედ, გულიანად, ტყეში დაკარგული ბალღივით. ირგვლივ არაფერი არ იყო, არაფერი, ცარიელი, ფოლადისფერი, ერთფეროვანი სივრცის მეტი. ნავი და გვამი ერთ წრეში ტრიალებდნენ, ელამუნებოდნენ, ეტმასნებოდნენ და გაურბოდნენ ერთმანეთს, თითქოს სათამაშოდ, გასართობად გამოსულიყვნენ ზღვაში. მაგრამ ქალს სათამაშოდ არ ეცალა, მას საქმე ჰქონდა და ამ საქმისთვის როგორმე უნდა მოება თავი, რადაც არ უნდა დასჯდომოდა. გინდაც გადაჰყოლოდა. „მომეხმარე, ხომ უნდა დავმარხოთ. ცოცხალი თუ გინდოდა, მკვდარზე რაღად ამბობ უარსო“ — ჩაჰლმუვლა ქალმა ზღვას. სიბრაზისგან თვალები ამღვრეოდა, უმწეობისგან სახე დაპატარავებოდა და გაჰქვავებოდა. ზღვა გვამს არ იღებდა, უკან აბრუნებდა, უარს ამბობდა მის მოვლა-პატრონობაზე. ეს კი ქალისთვის დიდი უსამართლობა იყო, უსინდისობაც, რაღგან, რაც თავი ახსოვდა, ამ გვამის წართმევას უპირებდა იგი, ლამის შინ უვარდებოდა, ყოველ ღამე ფეხმოუცვლელად, უსირცხვილოდ იდგა მათი ქოხის კარებთან და ეძახდა, ეჩურჩულებოდა. ვინ იცის, რას არ პირდებოდა. სანამ ამ გვამს სული ედგა, ღონე ერჩოდა და თავისუფლად შეეძლო ამდგარიყო ერთი ქალის საწოლიდან, რათა მეორეს წაჰყოლოდა. ახლა კი უარზე იყო, უსულო გვამი არ ჰირდებოდა და იმიტომ; მაგრამ ახლა ქალი გაჯიუტდებოდა, ახლა ის არ მოიცვლიდა ფეხს, სანამ თავისას არ მიაღწევდა.

ქალი წყალზე გადაიხარა, თოკის ბოლოს მიწვდა, კიჩოზე გამონასკვა და ნავი ნაპირისკენ გააცურა. თოკი,

რომელიც ნავსა და გვამს აერთებდა, ისევ დაიჭიმა, წყლიდან ამოსხლტა, ვერცხლისფერი შხეფები შეიბერტყა და გაბრწყინდა. დიდმა თევზმა, აპრეხილი კუდით წყლის ზედაპირი ათიოდე მეტრზე გადახნა, თითქოს ბუთანმა ძიწაზე კვალი გაიტანაო, და ისევ წყალში გაუჩინარდა. ქალს თევზი არ დაუნახავს, თავჩაღუნული უსვამდა ნიჩაბს. ქალის შიშველ ფეხებთან ორი მუჭა წყალი ალმა-დალმა დასრიალებდა. როგორც ბრტყელი, უხერხემლო და ცივსისხლიანი არსება. ქალი არც ამას აქცევდა ყურადღებას, სხვა საფიქრალი ჰქონდა და ცას შეშფოთებულ ახედავდა ხოლმე, რადგან ყველაფერი დაღამებამდე უნდა მოესწრო. საკუთარი თვალით უნდა ენახა, როგორ ჩაიძირებოდა გვამი, როგორ დაბინავდებოდა ახლა უკვე სამუდამოდ, ამ სახლის კედლებში, რომლისკენაც მთელი სიცოცხლე მიილტვოდა და, ალბათ, დიდი ხნის წინად გადაბარგდებოდა იქ, მიწიერ ცოლს რომ არ ეამოეჩინა ასეთი სიჯიუტე, ერთხელ მაინც რომ დაეთმო, ერთხელ მაინც რომ მობეზრებოდა მისი შეკავება.

როგორც კი ნავის ძირი მიწას გაეხახუნა, ქალი გადაუტა და მუხლამდე წყალში გაიქცა. დიდმა დრომ გაიარა, სანამ ნამდვილ მიწას მიაღწევდა. შესაფერ ლოდს შეარჩევდა და ნაბიჯამდე მიათრევდა. ისევ ზღვაში რომ გავიდა, მზე უკვე გადახრილიყო, ზღვის ზედაპირი თეთრად აქოჩრილიყო. ერთიანად აფუთფუთებულიყო, მოკლედ, როგორც მისი ქმარი იტყოდა ხოლმე, ზღვა გაფუჭებულიყო. ნავი განუწყვეტლივ ირწეოდა. ბრტყელს და გაფუყულ ლოდს ერთმანეთის გასწვრივ, თვალების მსგავსი, ორი შავი ნასვრეტი გასჩენოდა. გაქვავებულ მედუზას გავდა, არა, ქვისგან გამოკვეთილ მედუზას და ქალი გრძნობდა, როგორ იყურობდა, ალენჩებდა და ადუნებდა მისი მომნუსხველი მზერა. დღე ისე გაიარა, ხემსი არ ჩასვლია პირში. წყალი არ დაულევია, მკლავები დაწყვეტაზე ჰქონდა, მხრების ადგილას ტკივილი ჩაბუდებულიყო, ეცხელა და ოფლიანი, და საკმარისი იყო, ოდნავ გაძრეულიყო ქალი, მაშინვე გულზე ეძგერებოდა. ერთხელ ტკივილისგან გონებაც დაჰკარგა, მაგრამ თვითონ არ გაუგია, რადგან ისევ ტკივილმა გამოაფხიზლა. ერთხელაც არ უფიქრია, დაესვენა, ან საერთოდ ჩაექნია ხელი ამ უაზრო ჭაპანწყვეტაზე, რადგან თვითონ უაზრობად არ თვლიდა. პირიქით, დარწმუნებული იყო, ამ საქმისთვისღა ოომ აცოცხლებდნენ ღმერთები. ეს მისი საქმე იყო და მხოლოდ ის მოაბამდა თავს. რადაც არ უნდა დასჯდომოდა ზღვისთვის უნდა ჩაებარებინა ქმრის გვამი, გვამი კი არა, მთელი ავლადიდება, რაც მარადიული მორჩილებითა და მოახლეობით მოეპოვებინა. იქნებ ახლა მაინც გამძღარიყო ზღვის გაუმაძღარი გული, დამშვიდებულიყო და მოეხედა ქვეყნისაკენ, ერთი უბედური ცოლქმარის გულისთვის რომ შემოსწყრომოდა. ქალს ყოველთვის ეშინოდა ზღვისა და თუმცა მთელი სიცოცხლე ეჭვიანობდა მასზე, თითქოს ზღვა კი არა, მეზობლის ქვრივი ყოფილიყო, მაინც არასოდეს დასცდენია გადაბრუნებული სიტყვა. სანამ ახალგაზრდა იყო, მის ქება-დიდებაში ათენაღამებდა, აქოჩრილ ტალღებს გვირგვინებით ურთავდა და დაბოქილი ევედრებოდა, რათა ზღვას მისი ქმრისთვის არაფერი აეტეხა, უვნებლად დაებრუნებინა შინ, ცოტახნით მაინც გამოეშვა, თუმცა ცოლი იყო, ახალგაზრდა ცოლი და მეტის მოთხოვნის უფლებაც ჰქონდა. მის ქმარს ზღვის სუნი ასდიოდა, მისი ქმრის ტუჩებს ზღვის გემო ჰქონდა. მაგრამ ქალი მაინც ჩუმად იყო, მაინც ვერ ბედავდა ქმრის შეჩერებას და თვითონვე აღვიძებდა, ზღვაზე გასვლა რომ არ დაგვიანებოდა. მარტო დარჩენილს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ქმრის საყვარელს მხევლად დასდგომოდა, ფეხებს ბანდა, თმას უვარცხნიდა და სარკესაც უჭერდა, სანამ ის მოირთვე-

ᲩᲝᲓᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲘᲡ ᲥᲛᲐᲠᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲓᲐᲮᲕᲔᲓᲠᲝᲓᲐ. ᲥᲐᲚᲘ ᲐᲛᲐᲡᲐᲪ ᲣᲮᲛᲝᲓ ᲘᲢᲐᲜᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲖᲚᲕᲘᲡ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐ, ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲕ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ, ᲖᲚᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲞᲐᲢᲘᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲛ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲪᲝᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲥᲛᲐᲠᲘ ᲯᲔᲠ ᲒᲐᲣᲒᲘᲟᲓᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲮᲐᲓᲐ ᲡᲣᲚᲘ, ᲣᲞᲐᲢᲠᲘᲝᲜᲝ ᲫᲐᲚᲚᲘᲕᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ ᲥᲐᲚᲡ, ᲘᲡᲘᲪ ᲖᲚᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲠᲗᲛᲘᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲖᲚᲕᲐᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲔᲜᲐᲮᲐ, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘᲧᲝ ᲙᲐᲪᲘ, ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲒᲘᲟᲔᲑᲣᲚᲘ, ᲓᲐᲑᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲣᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ. ᲐᲡᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲤᲠᲔᲡᲝᲓᲐ ᲗᲝᲙᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲒᲕᲐᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲔᲑᲐ ᲜᲐᲕᲘᲡ ᲙᲘᲩᲝᲖᲔ. ᲡᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲭᲘᲛᲣᲚᲘ ᲗᲝᲙᲘ ᲣᲐᲠᲔᲡᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲡᲙᲕᲣᲚᲘᲧᲝ, ᲐᲠ ᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲞᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲣᲡᲮᲚᲢᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲦᲠᲫᲘᲚᲔᲑᲡ ᲣᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲔᲑᲓᲐ. ᲓᲐᲮᲔᲗᲥᲘᲚᲘ ᲢᲣᲩᲔᲑᲘ ᲛᲚᲐᲨᲔ ᲬᲧᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲔᲬᲕᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲬᲧᲣᲠᲕᲐᲚᲘᲕᲘᲗ ᲔᲢᲐᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲝᲙᲡ, ᲬᲣᲬᲜᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲯᲓᲐ. ᲣᲜᲘᲩᲑᲝᲓ ᲓᲐ ᲣᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲝᲓ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲕᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ, ᲒᲕᲐᲛᲡᲐᲪ ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲕᲐᲛᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓ ᲬᲠᲔᲡ ᲮᲐᲖᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲖᲝᲚᲡ ᲐᲩᲔᲜᲓᲐ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ�პᲘᲠᲖᲔ. ᲗᲝᲙᲘ ᲯᲘᲣᲢᲝᲑᲓᲐ, ᲐᲠ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲥᲐᲚᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲔᲜᲐᲡᲙᲕᲐ ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲜᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲬᲐᲠᲘ ᲓᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲑᲐ. ᲥᲐᲚᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ. ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲡᲪᲕᲔᲗᲝᲓᲐ, ᲓᲐᲚᲣᲠᲯᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲑᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲕᲔᲦᲐᲠᲪ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲙᲚᲔᲑᲓᲐ ᲠᲐᲛᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲝᲦᲜᲘᲓᲐ ᲗᲝᲙᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲔᲑᲔᲠᲘ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲫᲕᲐᲚᲡ. ᲞᲘᲠᲘ ᲬᲐᲠᲐᲛᲐᲠᲐ ᲔᲕᲡᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲚᲐᲨᲔ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲡᲘᲗᲮᲘᲗ, ᲒᲣᲚᲡ ᲐᲖᲘᲓᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲕᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲖᲔ ᲗᲐᲕᲩᲐᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘᲕᲘᲗ ᲐᲮᲕᲔᲚᲔᲑᲓᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲥᲜᲐ ᲗᲝᲙᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ. ᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲝᲙᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲛᲐᲯᲐᲖᲔ ᲓᲐᲘᲮ-ᲕᲘᲐ. ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲡᲣᲜᲗᲥᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲡᲮᲛᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲜᲐᲕᲘ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲕ ᲑᲖᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲣᲙᲐᲜᲔᲡᲘᲡᲐᲜ ᲓᲐᲛᲫᲘᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲔᲬᲕᲝᲓᲐ, ᲮᲔᲚᲡ ᲣᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ, ᲙᲣᲗᲗᲔᲑᲡ ᲣᲭᲘᲛᲐᲕᲓᲐ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲗᲠᲔᲕᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ, ᲐᲜᲓᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲐᲚᲬᲔᲕᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲛ ᲯᲘᲣᲢᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ. ᲥᲐᲚᲛᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲘᲗᲥᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲖᲜᲔᲥᲘᲚᲘᲧᲝᲗ, ᲤᲔᲮᲔᲑᲘ ᲜᲐᲕᲘᲡ ᲤᲔᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲑᲯᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲝᲙᲡ ᲔᲥᲐᲩᲔᲑᲝᲓᲐ. ᲗᲝᲙᲘ ᲙᲚᲐᲙᲕᲜᲘᲗ ᲐᲛᲝᲦᲘᲝᲓᲐ ᲜᲐᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲗᲐᲜ ᲘᲒᲠᲐᲒᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲒᲕᲐᲛᲘ ᲜᲐᲕᲡ ᲛᲝᲔᲮᲔᲗᲥᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲜᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲛᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲔᲠᲗᲘ ᲦᲔᲠᲫᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ. ᲒᲐᲚᲣᲛᲞᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲮᲚᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲝᲙᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲐᲠᲔᲓ, ᲦᲕᲐᲠᲫᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲘᲦᲘᲛᲔᲑᲝᲓᲐ. ᲘᲡᲔᲕ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲝᲙᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲐᲠᲔᲓ, ᲦᲕᲐᲠᲫᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲘᲦᲘᲛᲔᲑᲝᲓᲐ. ᲘᲡᲔᲕ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲝᲙᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ

კი ხრიალით ჩასრიალდა წყალში. ქალმა მხოლოდ გაძენძილ ბოლოს შეაჭრო თვალი და მერე ტყაპანი გაიგონა. „მაჯობაო“ — გაიფიქრა სულელურად. იწვა და ცას უყურებდა. ტკივილს აღარ გრძნობდა, მხოლოდ ხელისგულები უბჟუოდა, მაგრამ განძრევისა ეშინოდა, ვერც გადატყაულ ლაჯზე დაეხედა, თითქოს ტკივილი ჯერ არ წასულიყო, იქვე, მის ფეხებთან გალურსულიყო და უთვალთვალებდა. ისიც თავს იმკვდარუნებდა, ტკივილს ატყუებდა. მაგრამ როდემდე იწვებოდა ასე, დასაბრუნებელი იყო, ნაპირამდე კი დიდი გზა ჰქონდა. თოკი ისეთი ძალით დაუსხლტა ხელიდან, რაც არ უნდა ღრმა ყოფილიყო წყალი, მაინც უკვე კარგახნის მიღწეული იქნებოდა ფსკერამდე. ქალი აღარ ელოდა გვამის დანახვას, მაგრამ როგორც კი წამოჯდა, მაშინვე ის ეცა თვალში, ჭრელი და დატოტვილი. ნავის მოშორებით ტივტივებდა, თითქოს ნავს უთვალთვალებდა, კიდევ აპირებს თუ არა თავდასხმასაო.

ქალს ახლა აღარც ნავის მიცურება გასჭირვებია გვამთან, არც თოკის ამოღება, თითქოს გვამიც [illegible] ბედს, ანდა მობეზრებოდა [illegible] კუკუმალაობა. ეგ იყო რომ ნავიდან გადმოხრილ ქალს პატარა, აქოჩრილი ტალღები განუწყვეტლივ ეშხეფებოდნენ სახეში, გვამი კი აღარ გასძალიანებია, მშვიდად იცდიდა, სანამ გულზე ქვას შეაბამდა და თვითონვე ჰკრავდა ხელს, თვითონვე მოიშორებდა. გვამი ნელა იძირებოდა და დიდხანს ჩანდა, სანამ ზღვიდან ამომავალ წყვდიადს არ შეერია. ქალიც დიდხანს ჩასცქეროდა ზღვას, დიდხანს იცდიდა, მაგრამ გვამი აღარ გამოჩენილა. მერე, ალისფერი და თაფლივით დარბილებული მზეც ზღვაში ჩაიცალა. ქალი ნიჩაბს მიუჯდა და ნაპირისკენ გასწია, თუმცა აღარკი იცოდა, რომელ მხარეს იყო ნაპირი, მაგრამ მაინც მიცურავდა, რადგან ერთი სული ჰქონდა, როდის მიაღწევდა ქოხამდე. შემაძრწუნებელი, თითქოს მარადიული დაღლილობა დაუფლებოდა და სხვას არაფერს გრძნობდა, არც შიმშილსა და არც წყურვილს, არც გადატყაულ ბარძაყს.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე

არ მივცემ ნებას

ხარბად გავცქერი მიწის
პატარა ნაჭერს,
ვზივარ, ვერთობი პეპელის
როკვის ცქერით,
მე არ გიყიდი, კახა,
პეპელის საჭერს,
რა გინდ მეხვეწო
კალთა დამილბო ცრემლით.
თუმცა ბავშვი ხარ
მაინც არ მოგცემ ნებას,
ხელში გეჭიროს
მოკვდავს სიკვდილის ცელი,
გულის კანკალით მასაც მოელის დედა,
მასაც შენსავით
უყვარს მინდორი ვრცელი,
ნუ დაამიწებ დედის სახეზე ღიმილს
მიეცი ნება, უფრინოს
წიფელს, ძახველს,
ნუ გამოსწირავ, სულიერია ისიც,
სხვა თუ დაუგებს
შენ ნუ დაუგებ მახეს.
თუ სულიერის გექნება ცოდო-მადლი
თუ ყურს მიუგდებ
პატარა გულის ფართქალს,
გეცოდინება სხვისი სიცოცხლის ყადრიც,
გზას ამოირჩევ
ყველაზე ნათელს, მართალს.
ცოდვა ცოდვაა
პატარაა თუ დიდი,
გასწი, პეპელა
აგრემც გაზრდიხარ დედას,
გინდა თვალებში
ჩამომეფაროს ბინდი,
არ მივცემ ჩემს შვილს
სიკვდილის თესვის ნებას.

როდესაც რჩები

უსასოობა თვალებში მიმზერს
ახე მგონია დავრჩი წყალგაღმა,
თუმც ბევრს ვპოულობ
ტირილის მიზეზს,
მაგრამ ვერ ვბედავ
ტირილს ხმამაღლა.
ვიცი, არსებობს ზეცაში ღმერთი,
არსებობს ცოდვა დიდი და მცირე,
რა გინდ თვალებში მაყარონ ღველფი,
არც დავმცირდები,
არც დავამცირებ.
ვიცი არსებობს ცრემლის სიმლაშე,
ვიღაცის შიში და მორიდება,
და მჯერა მართალს
უფლის წინაშე
თავის მართლება არ მომინდება.

ვიცი არ მომცემს სინდისი ნებას,
ვინმეს სიმხდალით თავი გავაცნო,
მე შეველევი უძირო გრძნობას
უფრო მაღალი რწმენის სანაცვლოდ.
ვიცი სიკვდილზე ძნელია უფრო,
როცა ჭრელ მინდორს სეტყვა გადახნავს,
როდესაც რჩები ზეცაში უფრთოდ
და გიკრძალავენ
ტირილს ხმამაღლა!

წარწერა დავით აღმაშენებლის საფლავზე

შემოვივლი ბაგრატს გელათს,
და ტკივილით შევიძვრები,
სამარეში ისევ ღელავ,
ისევ ბორგავს შენი ძვლები
ცვილის სანთლებს გინთებ რიდით
საქართველოს შუაბოძო,
გამიღვივე რწმენა დიდი
ნუ დამტოვებ უსაბოძვროდ.
მოხუცი თუ კაცი ბრძენი,
გულოვნებას შენსას ვბაძავთ,
შენი სიტყვა, საქმე შენი
განათებულს მოჰგავს ტაძარს,
ვიცი, ბევრჯერ აგატირა,
ქართლის ცრემლმა
ქვა და რკინა,
ალბათ შენი საქართველო
სამარეში ახლაც გტკივა!

მაგრად ჩამოჰკარ სიმებს

შენ ნუ იფიქრებ ღამეზე
ეკლიან შემოგარენზე
ო! ნუ იფიქრებ ნუ!
არ შეიხარო წარბი
წადი, შენი გზით წადი,
გადააბიჯე ზღურბლს
შენს კილოკავზე იმღერე
და თუ სიმღერის სიბერე
წამოგაძახოს ვინმემ,
არ შეეპუო, იმღერე,
მაგრად ჩამოჰკარ სიმებს,
სიმღერა ათბობს ცივ ხელებს,
სიცოცხლეს აძლევს აზრს,
სიმღერა აძლევს სიმხნევეს
მარტო მიმავალ მგზავრს
და თუ დაკარგავ ისევე
ის გაპოვნინებს გზას.
ნუ გაკრთობს წლების სიბევრე
არ შეუშინდე სიბერეს,
შენს კილოკავზე იმღერე
მაგრად ჩამოჰკარ ზარს,
თორემ ცხოვრება მკაცრი,
სულის მოთქმას არ გაცლის
სულში გაგიჩენს ბზარს.
ცოცხლობენ მისი წყალობით
ბალახი, კაცი, წყარონი,
მამისეული ფუძე,
სიმღერა ლოცვა ვედრებად
აკვნებთან შექმნეს დედებმა
თრთოლვით გაგვიხსნეს საკინძე
და მოწიწებით დაგვკიდეს
ავგაროზებად გულზე.
და თუ დაგჩაგროს სიბერემ
წინ გადაგიდგეს ვინმე,
არ შეეპუო, იმღერე
შენს კილოკავზე იმღერე
მაგრად ჩამოჰკარ სიმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი თვალებით

ხომ შეიძლება ჭაღარა თმები
გქონდეს და იყო უმწეო ბავშვი.
ხომ შეიძლება არ გქონდეს ფრთები,
და სხვისი ფრთებით
ფრინავდე ცაში.
ხომ შეიძლება არ გწამდეს ღმერთი
და უკვდავების გჯეროდეს მაინც,
უვალოდ, მშვიდად
ცხოვრობდე შენთვის,
მაინც ვიღაცის გემართოს ვალი,
ხომ შეიძლება დიდების ზენიტს
შეწვდე და უკან გრჩებოდეს თვალი,
სხვა იჩემებდეს
შენს წილ-ხვედრ ზეიმს,
სხვა იყოს შენი დიდებით მთვრალი,
თუ ჯერაც უცნობ
ცთომილ სამყაროს,
გინდა გაუგო თავი და ბოლო,
ყველაფერს, ბავშვს თუ
მიწას აყალოს
შენი თვალებით უცქირე მხოლოდ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ

ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲧᲘᲡ ᲮᲔ

ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲓᲐᲜ

ᲜᲐᲓᲘᲛᲘ ᲝᲠᲝᲛᲢᲠᲘᲐᲚᲨᲘ

შტაბის უფროსი — გერმანელი ობერლეიტენანტი იოჰან შნაიდერი მარტო იმყოფებოდა თავის კაბინეტში.

დიდი ხნის დამთავრებული იყო სამუშაო დრო, მაგრამ იგი მაინც განაგრძობდა სახვალიო საქმეებს. აუარებელი ფრიად საიდუმლო და საიდუმლო კონვერტები დაუგროვდა. უნდა გაეხსნა და წაეკითხა რიგის მიხედვით. ყოველ კონვერტზე დასმული თარიღი ამცნობდა შტაბში მოსვლის დღეს. შტაბის მორიგე ღებულობდა ფოსტას, ხელს აწერდა, დავთარში ატარებდა და მერე მიართმევდა შტაბის უფროსს.

მუყაითი გერმანელი, შნაიდერი ყველაზე ადრე დგებოდა და ყველაზე გვიან წვებოდა, ყველაზე გვიან ბრუნდებოდა შინ. დილითა და საღამოობით ყოველთვის ღია სტოვებდა თავისი კაბინეტის კარს, თვალ-ყურს ადევნებდა ვინ ცხადდებოდა შტაბში თავის დროზე, ვინ იგვიანებდა, ან სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ ვინ გარბოდა შტაბიდან.

ცალკე ცხოვრობდა, როდი ერეოდა სხვა გერმანელ ოფიცრებში. უნგრელსა და რუმინელ ოფიცრებს გულგრილად ესალმებოდა, რადგან სრულყოფილ ადამიანებად არ მიაჩნდა ისინი და როგორც ებრაელებს, მათაც „უნტერმენშ“[1]-ებად იხსენიებდა. არამც თუ ოფიცრებსა და რიგით ჯარისკაცებს, არაგერმანელ გენერლებსაც კი არაფრად აგდებდა.

ობერლეიტენანტ შნაიდერს გამზადებული დახვდა სოფლის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის — ტარას გრიცკოს მშვენიერი ორსართულიანი სახლი, დიდებულად მორთულ-მოკაზმული ავეჯეულობითა და ოჯახისთვის საჭირო ნივთებით. ოღონდ ეს კი იყო, რომ ამ მშვენიერ სახლს საპირფარეშო გარეთ, ეზოში ჰქონდა და ამმხრივ იყო უკმაყოფილო გერმანელი. ძალიან ეშინოდა ღამით ეზოში გასვლისა, ყოველ ხესა და ბუჩქთან ელანდებოდა ჩასაფრებული პარტიზანი. ხუთი გუშაგი იცავდა მის სიცოცხლეს. ორი გუშაგი ყოველთვის აცილებდა საპირფარეშომდის, მერე სახლამდის მიაცილებდნენ, ერთი ხელს დააბანინებდა, მეორე იქვე იდგა და

[1] უნტერმენშ (უნმენშ) — **არასრულყოფილი** ადამიანი (გერმ.).

მიაწოდებდა ბოლოებში სვასტიკებამოქარგულ ქათქათა პირსახოცს. ორი გუშაგი ეზოს უვლიდა გარშემო, ერთი კი შინ შესასვლელ კართან იდგა. კიდევ ჰყავდა ყველაზე საიმედო ერთი გუშაგი, ეს გახლდათ მისი მგელძაღლა — ტიროლი.

შემოვიდნენ თუ არა გერმანელები უკრაინაში, მათმა ერთმა ლეგიონმა და რამდენიმე ნაწილმა, გორენკოების სოფელი აირჩიეს შტაბისთვის და ზურგში მყოფ ოფიცერთა და სარეზერვო ჯარის დასაბანაკებლად. შტაბში მომუშავე სხვა დიდჩინიანმა ოფიცრებმა ყველაზე დიდი შენობა — სოფლის სკოლა დაიკავეს. მერხები, კარადები და ყველა ნივთი სკოლისა, გარეთ გამოჰყარეს.

დაიხურა სკოლა.

კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ — ტარას გრიცკომ მოასწრო გაეხიზნა ცოლშვილი მტრისთვის ძნელადმისადგომ შორეულ სოფელში ნათესავებთან. მერე თვითონაც მიიმალა, ტყეს მიაშურა, შეუერთდა პარტიზანებს. მისი მეუღლე — ზინაიდა ტკაჩენკო პარტიის წევრი იყო, სოფლის საბჭოში მუშაობდა. ცნობილი კომუნისტი თავისი საქმიანობით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოფლად, მას არ დაედგომებოდა გერმანელებთან.

გრიცკოს მიტოვებულ სახლ-კარს ობერლეიტენანტმა შნაიდერმა დაადგა თვალი და მის დასათვალიერებლად გაემართა. შნაიდერს თან ახლდნენ: თანისი ადიუტანტი კარლ ვინცერი, ხანში შესული უკრაინელი ქალი გერმანული ენის მასწავლებელი — ირინა არხიპოვნა კიპარენკო და მუდამ ვანუშორებელი ძაღლი ტიროლი. როგორც კი გრიცკოს სახლს დაუახლოვდნენ, შნაიდერი წამიერად შედგა, თვალი მიავლ-მოავლო შემოგარენს, ძალიან მოეწონა მდებარეობა, სულ ხუთი კილომეტრით იქნებოდა დაშორებული შტაბიდან, რა უჭირდა! ფეხით ხომ არ ივლიდა! არც უნდოდა ძალიან ახლოს ყოფილიყო შტაბთან.

„ვუნდერბარ![1] მშვენიერ ადგილზეა!“ — ჩაილაპარაკა ღიმილით და გზა განაგრძეს.

მიადგნენ გერმანელების მანქანისგან დამსხვრეულ ჭიშკარს, ხილით სავსე ეზო და სახლი დაუზიანებელი იყო, მხოლოდ ეზოს დამამშვენებელი ოდნავ მოცისფრო ჭიშკარი გამხდარიყო ომის მსხვერპლი. გრიცკოს ნაამაგარი კარმიდამოსი და იქვე მეზობლების ხატები გასწორებულიყვნენ მიწასთან.

გრიცკოს სახლის ღიად დატოვებული კარი ადიუტანტმა შეაღო, გვერდზე გადგა და ზრდილობიანი მანერით, ხელის მოძრაობით ანიშნა შნაიდერს შებრძანდითო. შნაიდერს არ უნდოდა პირველი შესულიყო, ეშინოდა. საშიში არაფერი არ იყო, მაგრამ მაინც ეშინოდა. შედგა თუ არა ფეხი, ელდა ეცა, გაშეშდა. მის პირდაპირ, კედელზე ეკიდა სტალინის დიდი პორტრეტი. არ შემამჩნიონ შიში ჩემმა ადიუტანტმა და თარჯიმანმაო, — გაიფიქრა უცებ, თვალი აარიდა სტალინსა და მის მხარმარცხნივ კედელზე გაკრულ ვოროშილოვის სურათზე გადაიტანა მზერა, მერე მხარმარჯვნივ გაიხედა და ბუდიონის სურათს დააკვირდა.

ვოროშილოვი და ბუდიონი ცხენებზე ისხდნენ ამხედრებულნი და საბრძოლველად შემართულნი, „ბუდიონოვკები“ ეხურათ. პირველი მსოფლიო ომის გმირები, თეთრგვარდიელებთან ბრძოლის დროს იყვნენ გადაღებულნი. მათი სურათები ნანახი ჰქონდა და მოაგონდა პირველი მსოფლიო ომის ძონაწილე გერმანელ ჯარისკაცს.

ეწადა: კიდევ შეეხედა სტალინისთვის, თვალს არიდებდა, შეაშფოთა სტალინის დანახვამ.

ვითომ ცდა სხვათა შორის მიავლ-მოავლო თვალი სასტუმრო დარბაზს, ახლა სარკმელთან მდგარ საწერ მაგიდას დააკვირდა, რამდენიმე ნაბიჯი წარსდ-

[1] საუცხოო (გერმ.).

გა წინ, ისე ფრთხილად აბიჯებდა, იფიქრებდით: ამ კაცს იატაკის ჩამტვრევისა ხომ არ ეშინიაო. გადამწიფებული შინდისფერ მაგიდაზე გადაკრული იყო გაზაფხულის მოლისფერი მაუდი. მაგიდაზე გადაულახავ ჯებირებივით ეწყო წითელყდიანი წიგნები ლენინისა. ისე ფეხაკრეფით გაემართა გერმანელი მაგიდისკენ, თითქოს სახრჩობელას უახლოვდებაო.

დასავლეთის მხრიდან მშვენიერი ბალჩა ეკრა სახლს, ადიუტანტმა ვინცერმა სარკმელი გამოაღო, მყისვე აივსო სასტუმრო დარბაზი სხვადასხვანაირ ვარდ-ყვავილთა სურნელებით.

შნაიდერი სარკმელს მიადგა, გადაიხედა და ღიმილი მოერია.

„ვას ფიურ შონეს ბლუმენ!“[1]

სთქვა, — მერე სარკმელთან მდგარი ალუბლის ხე დაინახა.

„კირშე!“[2]

წარმოსთქვა აღტაცებით, მობრუნდა და დაჯდა.

— დიახ, დიახ! ჩვენში ასეთი მშვენიერი ალუბალი იცის, — ნაძალადევი ღიმილით თქვა ირინა არხიპოვნამ და ამოიღო სურნელოვანი ცხვირსახოცი, დაინიავა, სრულიად არ ცხელოდა, მას კი ცხელი ჟრუანტელი უვლიდა.

მაგიდაზე იდო გაზეთი «Правда» სტალინი ეხატა პირველ გვერდზე, ხელი აღემართა მთავარსარდალს იმდაგვარად, თითქოს თავის ხალხებს მოუწოდებდა საბრძოლველად.

ერთი შეავლო თვალი გერმანელმა გაზეთს და გაიფიქრა:

„ნეტავ რას გადამეკიდა დღეს, ეს სტალინი, ყველგან რომ მეჩხირება თვალში?“

გვერდზე გადადო გაზეთი.

გულით ინატრა ცოდნა რუსული ენისა, ეწადა გაეგო რა ეწერა გაზეთში, თარჯიმანი იქვე ჰყავდა და რატომღაც არ იკადრა ებრძანებინა, წამიკითხე და მითარგმნეო. ისევ აიღო გაზეთი, თავისთვის, უხმოდ წაიკითხა: «Провда», ისევ გადადო გვერდზე და გერმანულ კილოზე წარმოსთქვა «Провда» და თარჯიმანს ჰკითხა:

— რას ნიშნავს «Провда»?

— «Правда» — დაფიქრებით სთქვა თარჯიმანმა და მიუგო:

— Правда სიმართლეს ნიშნავს ბატონო ობერლეიტენანტო.

— ვარჰაიტ?[1] კურიოზია, სასაცილო სახელი დაურქმევიათ, განა შეიძლება თქვან სიმართლე კომუნისტებმა? ვინ იცის, რა არის სიმართლე? საერთოდ არ არსებობს სიმართლე, ყველაფერი დასაშვებია და როცა ყველაფერი დასაშვებია, სადღაა სიმართლე?

სევდიანად გაიღიმა ირინა არხიპოვნამ, მხრები აიჩეჩა და მერე ისეთი სახე მიიღო, შნაიდერს აფიქრებინა: მე მეთანხმებაო.

აიღო გერმანელმა წიგნი ლენინისა და რუსული ენისა და წერა-კითხვის ცუდად მცოდნემ დამარცვლით წაიკითხა: В. И. Ленин, том XIII.

არ ესიამოვნა, „მაინცდამაინც რაღა ეს კვიმატი რიცხვი შემხვდა?“ — გაივლო გულში ფატალისტურად ცრუმორწმუნე კაცმა. თუმცა მისთვის ხომ მეცამეტე იქნებოდა ლენინის ყველა ტომი? მერე მეხუთე ტომი აიღო. ნერე მეთხუთმეტე. კითხულობდა წიგნის ავტორისა და ტომის მერამდენეობას. ცოტა არ იყოს, კიდეც ამაყობდა, რომ იცოდა ამდენი რუსული. უკანასკნელად კიდევ აიღო ერთი წიგნი და თარჯიმანს უთხრა:

— ფრაუ ირენ! მართალი ყოფილა: ლენინის გარდა, სხვას არაფერს კითხულობენ რუსეთშიო.

პატრიოტმა უკრაინელმა ქალმა ირინა არხიპოვნამ სევდიანად გაიღიმა და მიუგო:

— როგორ არა, სხვა წიგნებსაც კითხულობენ ბატონო ობერლეიტენანტო, რასაკვირველია კითხულობენ!

---

1 რა მშვენიერი ყვავილებია! (გერმ.).

2 ალუბალი (გერმ.).

1 სიმართლე (გერმ.).

— არა მგონია, აქ ხომ ყველა ლენინია?

მხარმარცხნივ მიიხედა გერმანელმა, დააკვირდა კედლის თაროზე კოხტად დაწყობილ წიგნებსა და თარჯიმანს ჰკითხა:

— იქ, რა წიგნებია? ლენინი იქნება!

კარგად ხედავდა ირინა არხიპოვნა, ცნობდა კიდეც ზოგიერთ წიგნს. გადმოიღო რამდენიმე წიგნი და დაუწყო წინ ობერლეიტენანტს, ხმა არ გაუღია.

გადაათვალიერა გერმანელმა წიგნები.

პირველი აღმოჩნდა ტოლსტოის „ომი და მშვიდობა".

დახედა ყდაზე და წაიკითხა დამარცვლით:

Л. Н. Толстой, «Вой-на и мир».

— ია, ია, კრიგ უნდ ფრიედე.

თქვა ირინა არხიპოვნამ გერმანულად.

მეორე წიგნი იყო შექსპირის ტრაგედიები.

მესამე დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი".

მეოთხე შოლოხოვის „გატეხილი ყამირი".

მეხუთე კი — რუსულად თარგმნილი გოეთეს ლირიკული ლექსების კრებული.

მიიხედ-მოიხედა გერმანელმა და თარჯიმანს ჰკითხა:

— ამ სახლში რუსი პროფესორი ცხოვრობდა?

— არა ბატონო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, — მოკრძალებით მიუგო ირინა არხიპოვნამ.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე? — გაიოცა შნაიდერმა, „კოლშოზ" წარმოსთქვა ნაცვლად „კოლხოზისა" და დასძინა:

— კომუნისტი იქნებოდა.

— რასაკვირველია, კომუნისტი იქნებოდა, რუსეთში ყველა კომუნისტია, — გაბედა ხმის ამოღება და საუბარში ჩარევა ადიუტანტმა ვინცერმა.

— დიახ, ბატონო, კომუნისტი გახლდათ, — მიუგო თარჯიმანმა, რადგან აღარ იყო საჭირო დაფარვა. კარგად იცოდა: შნაიდერი ვეღარ მისწვდებოდა პარტიზან კომუნისტ გრიცკოს.

იქვე, ლარნაკზე იყო მიდებული ყავისფერ ჩარჩოში ჩასმული ტარას შევჩენკოს პორტრეტი, დიდი პოეტის წინ. პატარა ლარნაკში იდო მინდვრის ერთადერთი ყვავილი, ამომშრალიყო ლარნაკში წყალი და ნაირნაირი ფერებით დაწინწკლულ ყვავილს უდაბნოს უწყალო ქვიშაში ჩარგულივით ჩაექინდრა თავი.

უკრაინელ ქალს ირინა არხიპოვნას ეწადა წყალი ჩაესხა ლარნაკში, გაეცოცხლებინა დამჭკნარი ყვავილი, ან გასულიყო ბაღჩაში და მიერთმია პოეტისთვის ცოცხალი ყვავილი, მოაგონდა პოეტის სიტყვები, ღია სარკმლიდან ბაღჩაში გადაიხედა და ჩაიჩურჩულა:

მოვესწრები, სისხლი, სისხლი,
მტრის სისხლი რომ დნეპრს შეღებავს!..

რაც მაგიდაზე იდო, თითქმის ყველაფერი რომ დაათვალიერა დამჯდარმა შნაიდერმა, თურქული სიგარა ამოიღო, იმწამსვე ეახლა ადიუტანტი, სანთებელა აანთო და მოაკიდებინა, შნაიდერმა თავი დაუქნია ნიშნად მადლობისა, გამობრუნდა ადიუტანტი და დადგა აწურული.

ზანტად წამოდგა შნაიდერი, შემოუარა სასტუმრო დაბრაზს, ჩაჯდა კართან მდგარ სავარძელში და მიაცქერდა სტალინს, დაუახლოვდა ადიუტანტი, მას დიდ ბედნიერებად მიაჩნდა მარტო დარჩენა, სიგარეტის მოწევასაც კი ვერ ბედავდა.

უხერხულ დღეში ჩავარდნილი ირინა არხიპოვნა ხან ერთ წიგნს გადაშლიდა და ხან მეორეს, გადმოიღებდა წიგნს თაროდან, გადაშლიდა, დახედავდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, ლიფსიტა თვალებივით სხმარტალებდნენ სტრიქონები მის თვალში, აბეზარი კოლობებივით ირეოდნენ ერთმანეთში ასო-

ნიშნები. რომ გეკითხათ: რა წიგნი გადაფურცლეო, პასუხს ვერ გაგცემდათ. არ ეშვებოდა თაროს, დიდი კობზარის რჩეულ ლექსთა კრებული მოჰყვა ხელში, ერთი ლექსის წაკითხვა მოენატრა, გვერდიც კი ახსოვდა წიგნისა, ზეპირად იცოდა ლექსი, მაინც მონახა და წაიკითხა.

მოვესწრები, სისხლი, სისხლი,
მტრის სისხლი რომ დნებრს შეღებავს,
მე გულისპირს გადავიხსნი
და მადლობით ცას შევხედავ.

შენთან ერთად ყოფნა მინდა,
მინდა, შენთან მქონდეს ბინა,
დამაპკურე ცრემლი წმინდა,
ვაიმარჯვე უკრაინა!..

კითხულობდა ამ ლექსს ირინა არხიპოვნა, კითხულობდა, ცრემლებით ალტობდა. რაღაცნაირ ტკბილად მტანჯველ ბურანში გახვეულიყო. აღარ ეშინოდა ჯალათი გერმანელისა, გონს მოეგო, დახურა წიგნი, თაროზე დადების ნაცვლად, გაბედული სიამაყით დადო მაგიდაზე, ლენინის ტომების გვერდით. სარკმელს მიადგა, ბაღჩაში გადაიხედა. ჩიტები შესეოდნენ მწიფე ალუბალსა და ჟივჟივებდნენ, უპატრონოდ დარჩენილი ვეფხვივით ჭრელი კატა იჯდა ალუბლის ტოტზე, თვალები მოეჭუტა ჩიტების მოსატყუებლად, ვითომ ეძინა. ირინა არხიპოვნა რომ დაინახა, ოდნავ წამოიწია და უხმოდ დაიკნავლა შიმშილით ილაჯგაწყვეტილმა, მიაცქერდა, თანდათან გაიმართა, კუდი ააბზიკა, მოუნდა ფეხზე გახახუნებოდა მეზობელს, ნაცვლად პატრონისა.

ხის კენწეროზე მოქცეული მოჟივჟივე ჩიტები კი არხეინად კენკავდნენ ჩაყურჭებულ ალუბალს.

„ფისო, ფისო, ფისუნია! გშია შე საცოდავო? გშია? სად არის შენი პატრონი? ცოტა ხანს კიდევ გაუძელი და დაგიბრუნდება, უსათუოდ დაგიბრუნდება! — გამოელაპარაკა ირინა არხიპოვნა კატას.

უხმოდ დაიკნავლა კატამ, მისმა ტუჩებმა მაინც „მიაუ“ გამოხატა, წამოიწია, ჩიტმა ჩაუქროლა წინ. ნასტომისთვის მოემზადა, ვერ გაბედა, ჩაჯდა, გაინაბა.

ირინა არხიპოვნას უფრო აუჩვილდა დედაკაცური გული. დიდი პოეტის ლექსითა და უპატრონოდ შთენილი გრიცკოს კარ-მიდამოთი გამოწვეული ცრემლები კი არ შეიმშრალა, ვერ გაიმეტა შესამშრალებლად, ასეთი ცრემლები როდი იკარგებიან, სიმხნევესა და ძალ-ღონეს მატებენ სამშობლოს ერთგულ მოქალაქეებსა და მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებენ.

საწერი მაგიდიდან დაფიქრებული იყურებოდა დიდფაფახა და ულვაშებნამგალა პოეტი — ტარას შევჩენკო და იგი თითქოს ირინა არხიპოვნას ფიქრთა თანაზიარი გამხდარიყო.

სავარძელში ღრმად ჩამჯდარი შნაიდერი რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში, დროდადრო მის წინ გამოჭიმულ ადიუტანტს მიუგდებდა ხოლმე თითოოროლა სიტყვას, მერე რაღაც საიღუმლო ჩურჩულზე გადავიდნენ.

შნაიდერის მგელძაღლა ისე დასუნსულობდა, თითქოს ვიღაცას ეძებსო.

— ტიროლ! ტიროლ! რას დაეძებ? ამ სახლში არ არიან პარტიზანები, ეზოში კი არავინ შემოუშვა! აბა შენ იცი! — გამოელაპარაკა თავის მგელძაღლას გერმანელი.

შეჩერდა ძაღლი, მიხედა პატრონს, წითელი ენა გადმოაგდო და შეჰყეფა, მიუახლოვდა, უკანა ფეხებზე დამჯდარი ისიც შეჰყურებდა სტალინს, ისე გაავებული შეჰყეფდა, თითქოს პატრონს იცავს მთავარსარდლის თავდასხმისგანო.

შნაიდერის ადიუტანტი ვინცერი, ხან სტალინს შესცქეროდა, ხან ვოროშილოვსა და ხან ბუდიონის.

რამდენიმე ნაფაზი რომ დაარტყა ზედიზედ შნაიდერმა ახალმოკიდებულ სიგარას, ადიუტანტს უბრძანა:

— ვინცერ! ჩამოხსენი ახლავე და მოაშორე აქედან ეს კომუნისტები, ხომ არ

გგონია, რომ დავიტოვებ საცქერად? მერე თავი მიაბრუნა გვერდზე გულმოსულივით და მაგრად მოქაჩა სიგარა.

ირინა არხიპოვნას იმდენად კი არ ეწყინა, რამდენადაც სიძულვილით აღევსო გული, ვითომ არც გამიგონია თუ არაფრად მიმაჩნია თქვენი „სწორი“ ბრძანებაო, — ამას გამოხატავდა მისი სახე.

— იავოლ! ჰერრ ობერლეიტენანტ![1] კიდევ უფრო მეტად გაიჭიმა და შესძახა ადიუტანტმა.

— პირველ ყოვლისა, საწოლი მომიმზადე, დღესვე გადმოვალ, მე მომწონს ეს სახლი, კარგად ღაალაგე ყველაფერი, უკრაინელი ფროილაინები მონახე და მოიხმარე, გასაგებია?

— დიახ, ყველაფერი გასაგებია ბატონო შტაბის უფროსო!

— ზაუბერ მახენ, ზაუბერ მახენ![2] — სთქვა, წამოდგა და გავიდა გარეთ.

— იავოლ! — შესძახა ადიუტანტმა, ჩექმების ქუსლები ერთმანეთზე მიარტყა, ჰაილ ჰიტლერ! მიაყოლა და სანამ თვალს არ მიეფარა შნაიდერი, გაჭიმული იდგა ვინცერი.

„ჰაილ!“ დაგვიანებით, უკან მოუხედავად, მანერულად წამოიძახა პარმალთან გასულმა შნაიდერმა, ძაღლმა ზედიზედ შეჰყეფა ისე, თითქოს ისაც მიესალმაო ფიურერს, ყეფით დაედევნა პატრონს.

მიჰყვებოდა შორიახლოს გერმანელს ირინა არხიპოვნა და გულში ჩურჩულებდა:

მოვესწრები, სისხლი, სისხლი,
მტრის სისხლი რომ დნეპრს შეღებავს!..

ჯერ სიგარეტს მოუკიდა, ხარბად დაუწყო ქაჩვა, მიიხედ-მოიხედა, დატრიალდა, ჩამოხსნა სურათები საბჭოთა მთავრობისა, გაიტანა და დააწყო სამზარეულოს წინ, დერეფანში, შეაბრუნა, პირით კედლისაკენ მოაქცია ყველა სურათი. დაფიქრდა: „ხომ არ უბრძანებია ობერლეიტენანტს გადაყარეო? „მოაშორე აქედანო“, — ასე ამბობ ბრძანა? ჰოდა, მოვაშორე, როცა მიბრძანებს: „გადაყარეო“, გადავყრი, თუ მიბრძანებს: „დასწვიო“, დავწვავ!

სწრაფად შებრუნდა შინ, არ იცოდა, საიდან დაეწყო საქმე, რა გაეკეთებინა სუფთად დალაგებულ სასტუმრო დარბაზში, ყოველი ნივთის დანახვა აბრაზებდა, მზად იყო წაეკიდებინა ცეცხლი უკრაინელის **სახლისთვის და** დაეწვა.

გულდასმით დაათვალიერა საწერი მაგიდა, ტარას შევჩენკოს სურათი დაინახა, არ იცოდა ვინ იყო, პოეტიც კომუნისტად მიიჩნია და გვერდზე გადადო გარეთ გასატანად. ბეთჰოვენის პატარა სურათი აღმოაჩინა, გაზეთი ფარავდა გენიალურ კომპოზიტორს, გაუკვირდა: „რა ესაქმება ამ კომუნისტებში გერმანელ ბეთჰოვენს?“ შევჩენკოს ნაცვლად მიდო ლარნაკზე, კუშტად, მწუხარე სახით იხედებოდა ყრუ ბეთჰოვენი.

საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და თვალს არ დაუჯერა: ოქროს საათი და ალმასისთვლიანი ბეჭედი იდო შინდისფერ ხავერდზე, ჯერ ბეჭედს სტაცა ხელი, სცადა გაეკეთებინა მარცხენა ხელის არათითზე, არ მოერგო ქალის ბეჭედი, იმავე ხელის ნეკზე წამოიცვა უცოლო გერმანელმა ახალგაზრდამ, გაიხარა, მერე ოქროსსამაჯურიანი საათი ამოიღო, მომართა, უდარდელად აწიკწიკდა ტარას გრიცკოს ახლახან დადუმებული საათი. წამოიძრო ბეჭედი, საათთან ერთად შეახვია იმავე ხავერდში და მოწიწებით ჩაიდო მხარზე გადაკიდებულ ჩანთაში.

„ხომ არ გამოუღია მაგიდის უჯრა ობერლეიტენანტს? არა, არ გამოუღია, ჩემი ბედი ყოფილა ეს ოქროს საათიცა და ბეჭედიც“, — ელაპარაკებოდა თავის თავს ვინცერი. მაინც ეშინოდა: არ გამიგოსო ობერლეიტენანტმა, — ამ სახლში სხვა ნივთებსაც აღმოვაჩენ, მდიდარი კაცი ყოფილა ამ სახლის პატ-

---

[1] უსათუოდ, ბატონო ობერლეიტენანტო! (გერმ.).

[2] დაასუფთავე! დაასუფთავე! (გერ.).

რონი, სხვა დროს მოვიცლი ამ საქმისთვის.

დაფეთებულივით გავარდა გარეთ, შუა ეზოში გასული დაფიქრდა და ისევ დაბრუნდა, კარი ჩაჰკეტა. ისევ გავარდა გარეთ, სირბილით მიიჭრა შტაბის უფროსის დროებით ბინაზე, იქ, შტაბის ოფიცრები დახვდნენ, რაღაც მნიშვნელოვან საკითხზე ლაპარაკობდნენ ვაცხარებით და მაინც მხიარულად, მაშინ წარმატებები ჰქონდათ ფრონტებზე. ორი ეფრეიტორი გარეთ იცდიდა, ობერლეიტენანტის ნებართვით აჰკიდა მათ ბარგი და მიაშურა გრიცკოს სახლს, სადაც უნდა ეცხოვრა შტაბის უფროსს იოჰან შნაიდერს.

როცა ეფრეიტორებმა ადიუტანტ ვინცერის ბრძანებით შტაბის უფროსის ბარგი გახსნეს, პირველ ყოვლისა, საგულდაგულოდ შეფუთული ჰიტლერის პორტრეტი გამოხსნა ადიუტანტმა, გულში კი სულ სასტუმრო დარბაზისა და სხვა ოთახების გაჩხრეკის სურვილი უტრიალებდა. ვერ გადაეწყვიტა: ჯერ ფიურერის პორტრეტი დაეკიდა თუ სასტუმრო დარბაზისა და სხვა ოთახების გაჩხრეკას შესდგომოდა.

ჰიტლერისა და შტაბის უფროსის შიშმა სძლია, ეფრეიტორებიც მოიხმარა, ჯერ ფიურერის პორტრეტი დაჰკიდა კედელზე იქ, სადაც საბჭოთა მთავრობის სურათები ეკიდა, ეფრეიტორები გაათავისუფლა, კარი ჩაჰკეტა და ეცა მაგიდის უჯრას. მთელი სიგრძით გამოსწია, ოქროსწყალშიცურვილი ვერცხლის პორტსიგარი იპოვა უჯრის მარცხენა კუთხეში, თვალები გაუბრწყინდა სიამით, დააცქერდა.

პორტსიგარს ოქროს ასოებით რუსულად ეწერა:

«Тарас Феодоровичу Грицко!»

ეს პორტსიგარი მოსკოვში მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საუკეთესო უკრაინული ექსპონატების წარდგენისთვის უძღვნეს სოფლის სანიმუშო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — გრიცკოს.

გახსნა პორტსიგარი ვინცერმა, მოსკოვური მუნდშტუკიანი პაპიროსებით იყო სავსე, მხოლოდ ერთი ცალი აკლდა, ის ერთი ცალი პაპიროსი მოსწია გრიცკომ, როცა ჯილდო მიართვეს, დანარჩენი კი იმ ბედნიერ დღეთა მოსაგონებლად შეინახა. როდი ატარებდა ჯილდო-პორტსიგარს გრიცკო, სათუთად ინახავდა უძვირფასეს სუვენირს.

ვინცერმა ჯიბეში ჩაიდო პორტსიგარი, ფიცხლად წამოხტა და გავარდა გარეთ, გრიცკოს მეზობლის შავმა კატამ დააპირა წინ გადაერბინა გერმანელისთვის, ერთი დასჭყივლა, უკან დააბრუნა გადასარბენად მომზადებული კატა. გაუხარდა, კარგი ამბის მომასწავებლად მიიჩნია. სირბილით მიიჭრა შტაბის უფროსის დროებით ბინაზე და მოახსენა:

— ბატონო ობერლეიტენანტო! საღამოს ცხრა საათისთვის მზად იქნება თქვენთვის ახალი ბინა, ახლა უკრაინელი ქალების მოსაყვანად მივდივარ, თქვენი ნებართვით, უნდა დავიხმარო!

შნაიდერმა თავი დაუქნია, ახალ გაზეთს — „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგს" კითხულობდა იგი.

იმავე საღამოთი გადავიდა შნაიდერი ტარას გრიცკოს მიტოვებულ სახლში. შედგა თუ არა ფეხი სასტუმრო დარბაზში, დაინახა კედელზე დაკიდებული პორტრეტი ფიურერისა, გაიღიმა ფრიად კმაყოფილმა, ხელი აღმართა და ჩურჩულით წარმოსთქვა:

„ჰაილ ჰიტლერ!"

„ჰაილ ჰიტლერ!"

პათეტიკურად გაიმეორა გაჭიმულმა ადიუტანტმა ვინცერმა.

* * *

გერმანელების შემოსვლის შემდეგ მესამე ზაფხული იწურებოდა.

იმ დღეს მოწვეულმა შტაბის ოფიცრების თათბირმა ვერ დააყენა შნაიდერი კარგ ხასიათზე. კიევს მამაცურად უტევდა წითელი არმია. ჰიტლერის ნა-

ქები არმია გეგმაზომიერად სტოვებდა თანდათან კიევთან ახლომდებარე ქალაქებსა და სოფლებს. ყოველთვის მაინც არ გამოდიოდა მათი გეგმაზომიერება, ზოგჯერ იბნეოდნენ გერმანელები მაგარი შეტევების დროს, ძლივს ასწრებდნენ თავიანთი ბარგი-ბარხანისა და ნაძარცვი ქონების გატანას. ფარჩმალი როდი დაუყრიათ გერმანელებს, გორენკოების სოფელში დაბანაკებული სარეზერვო არმია ჩააბეს კიევისთვის ბრძოლაში.

„ბატონებო! ასე მოულოდნელად შეიცვალა ვითარება ფრონტისა, ბოლშევიკები კიევს უტევენ, კიევის დატოვება, მთელი უკრაინის დატოვებას ნიშნავს, უნდა შევძლოთ შევინარჩუნოთ უკრაინის დედაქალაქი!“ — განაცხადა იმ დღეს თათბირზე შტაბის უფროსმა შნაიდერმა, მანერულად აღმართა ხელი და თავის კაბინეტში დაკიდებულ ფიურერს შესძახა:

„ჰაილ ჰიტლერ!“

წამოდგნენ ოფიცრები და გაიმეორეს:

„ჰაილ ჰიტლერ!“

მაინც დიდ საგონებელში ჩავარდნენ შნაიდერიცა და შტაბის ოფიცრობაც.

დაიშალნენ.

შნაიდერი მარტო დარჩა.

დიდხანს მუშაობითა და ჯდომით დაღლილს რაღაც გაუდგა კისერში, ძლივს ჰხრიდა თავს, დადო კალამი, გულხელი დაიკრიფა და გაჰყვა ფიქრებს. კიევიც უნდა დაეტოვებინა მოსკოვში შესვლის მსურველს, ჯილდოზე იყო წარდგენილი და უნდა გამოთხოვებოდა მომავალ აღზევებასა და დიდებას. თავის ფრაუსაც კი ვერ გასცა პასუხი, რადგან არ იცოდა, რა მიეწერა. ფრაუ შნაიდერი კი ყოველ წერილში დაჟინებით მოითხოვდა უკრაინაში ჩამოსვლას, ძალიან მაინტერესებს რუსეთის ნახვაო, უკრაინაც რუსეთი ეგონა ქალბატონ შნაიდერს.

გახსნა ერთი ფრიად საიდუმლო კონვერტი და წაიკითხა:

„ბრძანება № 999.

ბოლშევიკები კიევს უახლოვდებიან, მოსალოდნელია მოგვიხდეს ბრძოლებით დატოვება კიევისა, უკრაინის დედაქალაქის დატოვება, მართალია ვერ გადაწყვეტს ომის ბედს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ომის მსვლელობაში, ამ ვითარების გამო, ფიურერის უშუალო ბრძანებით უქმდება ყოველგვარი შვებულება ყველა სახის არმიათათვის, ყველა რიგითი თუ ოფიცერთა შემადგენლობისთვის. ამას მოითხოვს სიყვარული ფიურერისა და გროს დოიჩლანდისა!

ჰაილ ჰიტლერ!“

ნაცვლად იმისა, რომ თვითონაც მისალმებოდა ფიურერს, ფიქრი განაგრძო:

„მოსკოვთან ბრძოლების დროს არ გაუქმებულა შვებულებები და ახლა რა მოხდა? ვერ არის ჩვენი საქმე კარგად, უთუოდ მოგვიხდება დატოვება კიევისა. „ძალიან მაინტერესებს ნახვა რუსეთისა!“ — გაიმეორა წერილიდან თავისი ფრაუს სიტყვები. რა დროს ჩამოსვლაა ახლა? რა დროს რუსეთის ნახვაა? იქნებ მეც ვერ გავაღწიო აქედან ცოცხალმა. მივწერო სიმართლე: კიევი საფრთხეშია-მეთქი? არა, არ შეიძლება ამის მიწერა, სანამ ლუიზა და ბერტა მიიღებდნენ, გესტაპო გახსნის წერილსა და წაიკითხავს, არ მაპატიებენ და არც მეპატიება ხაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრს. ორმა ქალმა რომ გაიგოს ნამდვილი ვითარება საქმისა, მთელს გერმანიას მოსდებს. ქალსა და ჯარისკაცს თუ სიმართლე უთხარი, ქალი ქალურად მოიქცევა და ჯარისკაცი კი აგიჯანყდება, ჯარისკაცს იმედი უნდა ჰქონდეს გამარჯვებისა და იმედის დროს უნდა მოუსწროს სიკვდილმა. ამას გვასწავლის ფიურერი...“

„კიევის დატოვება, მთელი უკრაინის დატოვებას ნიშნავსო“, — გაიმეორა გულამღვრეულმა შნაიდერმა და თვალი შეავლო ფიურერს.

ეწადა განეგრძო გახსნა და წაკითხვა ფრიად საიდუმლო და საიდუმლო ბრძა-

ნებებისა. ამაზე უარესი რაღა უნდა წაეკითხა? როგორ არა, ეს დასაწყისი იყო უძნელესი ვითარებისა და შნაიდერიც მოელოდა უარესს.

თავი გადასწია უკან რამდენჯერმე და ფიურერის პორტრეტს დააკვირდა. მოეჩვენა: თითქოს გამოელაპარაკა მას თავისი ფიურერი, გაიგონა: „მარტო რუსეთს კი არა, მთელს მსოფლიოს დავიპყრობო“, — ჩურჩულებდნენ ბაგენი ჰიტლერისა. შნაიდერს კი მსოფლიოს გასაგონად ესმოდა ფიურერის გამამხნევებელი სიტყვები.

წამოხტა, თეატრალურად აღმართა ხელი და პათეტიკურად შესძახა:

„ჰაილ ჰიტლერ!“

„ჰაილ! ჰაილ!“

ერთხმად გაიმეორა მთელმა გერმანიამ.

გაიარ-გამოიარა და დაჯდა.

აღარ სტკიოდა კისერი, წინ ედო „სატანას ბიბლია“ — ჰიტლერის წიგნი „მაინ კამპფ“, გადაშალა, მონახა დანიშნული ადგილი და სასიამოვნო სიტყვები გულდასმით წაიკითხა, ზეპირად იცოდა და მაინც წაიკითხა:

„როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ახალ მიწებზე, ჩვენ პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს რუსეთი... თუ გვსურს გაბატონება, პირველ ყოვლისა უნდა დავამარცხოთ რუსეთი...“

ჰიტლერის ეს სიტყვები მრავალგზის მოესმინა შნაიდერს, მესამე იმპერიის რაიხსკანცლერი წარამარა იმეორებდა თავის აზრს თავისივე წიგნიდან, მაგრამ როცა „ჩემი ბრძოლიდან“ კითხულობდა შნაიდერი, უფრო მოსწონდა და რაღაც ახალ სიამეს განიცდიდა.

დაფიქრდა, სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა.

ფიურერი არ ეწეოდა თამბაქოს და ამიტომ შნაიდერს დანაშაულად მიაჩნდა თამბაქოს წევა. რამდენჯერმე სცადა და მაინც ვერ გადაეჩვია, ნერვიულობა უმძაფრდებოდა, ზოგჯერ, ძალიან რომ მოუნდებოდა მოწევა, ერეოდა თავის თავსა და ამასაც ფიურერის პატივისცემად სთვლიდა.

ერთხელ კიდევ წაიკითხა ჰიტლერის „ჩემი ბრძოლიდან“ წითელი ფანქრით შემოხაზული აბზაცი და კიდევ შემოავლო მორკალული ხაზი, გაიღიმა ფრიად კმაყოფილმა გერმანელმა.

ამ დროს შეაღო კარი და შნაიდერთან კაბინეტში შევიდა მისი ძაღლის მომვლელი და შტაბის დამლაგებელი უკრაინელი ქალიშვილი ვალია გორენკო. ხელში ეჭირა წამოზიდულ გულ-მკერდზე მიკრული მშვენიერი თაიგული ვარდ-ყვავილებისა. ჯერ სარკმელთან მივიდა, დააფინა სარკმლის რაფაზე გაზეთი „ფოლკიშე ბეობახტერი“ დააწყო ზედ ყვავილები, მერე აიღო შნაიდერის საწერი მაგიდიდან ყვავილებიანი ლარნაკი, ამოიღო ოდნავ შემჭკნარი ყვავილები და გადაჰყარა სარკმლიდან. სარკმლის ახლოს, ეზოში, იხვები ჭყუმპალაობდნენ წყლიან გეჯაში, დიფრთხნენ, ვახვახით გაბაჯბაჯდნენ, თან ცალცალი თვალით იხედებოდნენ უდანაშაულო ბოლოებაპრეხილი იხვები სარკმელზე მომდგარი ქალიშვილისკენ.

ვალიამ სპილენძის ყელვიწრო სურიდან წყალი ჩაასხა ლარნაკში, შიგ ყვავილები ჩააწყო მოხდენილად, ერთი კიდევ შეავლო თვალი მშვენიერ თაიგულს და დაუდგა წინ შნაიდერს, ერთი ჩაის ვარდი ამოარჩია, უყნოსა და წინ დაუდო ლამბაქზე გერმანელს.

„დანკე შონ![1] —

თავაუღებლად სთქვა შნაიდერმა და განაგრძო კითხვა წიგნისა.

ვალია სარკმლის რაფას მიეყრდნო ზურგით და ათვალიერებდა შნაიდერის კაბინეტს, რაიმე უწესრიგობა და უსუფთაობა რომ არ შეემჩნია სისუფთავის მოყვარულ გერმანელს.

დამფრთხალი იხვები კვლავ დაბრუნებოდნენ წყლიან გეჯას, ჩაუყოფდნენ ყვითელ ნისკარტებს წყალში, მკერდს გაუსვამდნენ წყლის ზედაპირს, ფრთებს

[1] გმადლობთ! (გერ.).

აფათქუნებდნენ და თან გასცქეროდნენ სარკმელზე ზურგით მიყრდნობილ ვალიას.

შნაიდერის კაბინეტში ვარდ-ყვავილების სურნელება იდგა.

გერმანელმა თავი ასწია, დააკვირდა თაიგულს, ლამბაქზე დადებული ღაჟღაჟა ვარდი აიღო, ფაქიზად უყნოსა და ღიმილით ჰკითხა:

— ფროილაინ! ჩემი ბაღიდან მოიტანე ეს ყვავილები თუ შინიდან?

— თქვენი ბაღჩის ყვავილებია ბატონო ობერლეიტენანტო!

— მშვენიერია! არავინ შევიდეს ჩემს ბაღში, არავინ დაჰკრიფოს ყვავილები და ალუბალი, მურაბა უნდა მოვახარშვინო ალუბლისა, ალუბლის მურაბას მურაბა ვერ შეედრება, ძალიან უყვარს ჩემს ფრაუს, უნდა გავუგზავნო, ხომ კარგი იქნება? უსათუოდ უნდა გავუგზავნო!

„ჰმ! შე შტერო, ბაღი თქვენი არ არის და არც არასოდეს იქნება, ტარას გრიცკოს ეკუთვნის ბაღი, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ შემდეგი მოსავალიც თქვენი ყოფილიყოს“ — გაივლო გულში ვალიამ და მიუგო:

— მართლაც დიდებულია მურაბა ალუბლისა. ნუ სწუხართ ბატონო ობერლეიტენანტო, თქვენს სახლსა და ბაღს ხუთი გუშაგი იცავს, ვინ გაბედავს თქვენს ეზოში შესვლას!

— ვიცი, მაგრამ... სად არის ჩემი ტიროლი? რატომ არ მომიყვანე? რა ვქნა, ვერ ვიცლი მის მოსაფერებლად.

— ისვენებს, დღეს დიდხანს ვისეირნეთ, დაიღალა, დიდხანს ინავარდა.

— სად არის ახლა? ჯიხურშია თუ ეზოში?

— ჯიხურში, ბატონო ობერლეიტენანტო, თქვენთან მოსვლამდე შევიხედე ჯიხურში, კარი რომ შევაღე, არც კი გაუგია, ეძინა.

— ეძინა? ჰოო, ჭკვიანმა და ფრთხილმა ძაღლმა დღისით იცის ძილი, რადგან ღამით არ სძინავს, ფხიზლობს ღამით.

— დიახ, დიახ, ეძინა, — მიუგო ვალიამ და კინაღამ გაეცინა, ერთი გულიანი გადახარხარება შნაიდერსაც ერჩია და მის ძაღლსაც.

— ხომ ბან ყოველ შაბათობით ჩემს ტიროლს?

— კი ბატონო, ყოველ შაბათსა ვბან, ამ შაბათსაც დავბანე და კვირასაც, — იცრუა ვალიამ.

— კი არ აწყენს ხშირად დაბანა, მაგრამ როცა შაბათს დაბან, აღარ არის საჭირო კვირასაც დაბანა.

— დიდხანს ინავარდა, ატალახებულია ჩვენი შტაბის ეზო და მით უმეტეს — შარაგზა, ძალიან გაითხუპნა და იმიტომ დავბანე კვირასაც, — კიდევ გაიმეორა ვალიამ. არც შაბათს დაუბანია და არც კვირას. რას შეატყობს, ხომ არ დასუნავსო ძაღლს.

— გენდობი, რა საჭიროა შევამოწმო, რასაკვირველია, გენდობი, საპონი ხომ გაქვს? ხომ არ შემოგაკლდა?

— არა ბატონო.

— მაინც წაიღე, როცა შემოგაკლდეს, ჩემს ადიუტანტს — კარლ ვინცერს სთხოვე და მოგცემს, — უთხრა შნაიდერმა, გამოაღო საწერი მაგიდის სულ ბოლო უჯრა, ამოიღო კარგად გაფორმებული ქაღალდშემოხვეული ხელსაბანი საპონი, წინ დაუდო მაგიდასთან მოკრძალებით ჩამომჯდარ ქალიშვილს.

იცნო ვალიამ რა საპონიც იყო, ისე გააჟრჟოლა, თითქოს ქვეწარმავალი დაენახოს, არ შეიმჩნია, ნაძალადევად გაიღიმა და მიუგო:

— დიახ, როგორც მიბრძანეთ ჩემი თქვენთან მუშაობის დაწყების პირველ დღესვე, როცა ჩამაბარეთ თქვენი ტიროლი, ყოველ შაბათსა ვბან, ძნელი საქმე ხომ არ არის, არც მაწვალებს, ძალიან უყვარს თბილი წყალი, მეტადრე, როცა ცივა.

— რატომ უნდა გაგაწვალოს, ან რატომ არ უნდა უყვარდეს დაბანა? სისუფთავის მოყვარულია ჩემი ტიროლი, რუსი ძაღლი ხომ არ არის, გერმანელია!

— დიახ, დიახ, გერმანელია თქვენი ტიროლი, გერმანული ჯიშისაა, — გამოასწორა ვალიამ.

— აბა რა, მიჩვეულია დაბანას, ძალიან ბეჯითი და გამრჯეა ჩემი ფრაუ, გულმოდგინედ აკეთებს ყველა საქმეს, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ეკლესიაში სიარულსა და ჩემი ძაღლის დაბანას აქცევდა. დაუნგრევიათ ჩვენი ეკლესია და ახლა რაღა უნდა ჰქნას საწყალმა ლუიზამ?

— დაუნგრევიათ? ვის დაუნგრევია? — გაიოცა ვალიამ.

— ინგლისელებს.

— ინგლისელებს?

— ჰო ინგლისელებს.

— ინგლისელებმა როგორ შესძლეს დანგრევა თქვენი ეკლესიისა?

— დაუბომბავთ, ინგლისელები ბომბავენ გერმანიას.

— კი, მაგრამ ეკლესიას რას ერჩოდნენ?

— როცა ქალაქი ინგრევა, თუ მოხვდა ბომბი, განა ეკლესია არ დაინგრევა?

— ღმერთო ჩემო! რა ველურობაა... ეკლესია!.. ისე შეშფოთებით წარმოსთქვა ვალიამ, თითქოს დიდ რამედ მიაჩნდა დანგრევა ეკლესიისა და არც არაფერი გაეგებოდა. საპონს გადახედა.

— გავუძლებთ, ინგლისისთვისაც მოიცლის ჰიტლერი, — თქვა გერმანელმა და ღვთისმოსავი კაცი ისევ ძაღლს დაუბრუნდა:

— რომ არ დაბანო, ჩემი ტიროლი, მართალია, ვერ გეტყვის, მაგრამ ძალიან გაუჭირდება.

— რასაკვირველია, გაუჭირდება, რაკი მიჩვეულია, — მიუგო ვალიამ.

— ზოგჯერ კატებსაც კი ბანენ გერმანიაში, თუმცა კატის დაბანა არაა მიღებული, რადგან კატა თვითონვე ისუფთავებს ტანს, ენით ილოკავს, — თქვა შნაიდერმა და ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ გადაფურცლა.

— დიახ, კატის დაბანა არაა მიღებული ბატონო ობერლეიტენანტო, მეც შემიმჩნევია: კატა ენით ილოკავს ტანს, ძაღლიც ხომ ილოკავს ტანს ენით, ძაღლიც ისუფთავებს ტანს?

— ძაღლიც ისუფთავებს, მაგრამ მაინც უნდა დაბანო.

— დიახ, უნდა დაბანო, უნდა დაბანო... დაბნეულად თქვა სიცილმოძალებულმა ვალიამ და აიღო უსიამო ჟრუანტელის მომგვრელი საპონი, ჟაკეტის ჯიბეში ჩაიდო.

„ტუალეტენზაიფე“[1] — ასე ეწერა საპონზე შემოხვეულ მარწყვისფერ ქაღალდზე.

ადამიანის ქონისგან დამზადებული საპონი იყო. ამაყობდა პირწავარდნილი ნაცისტი შნაიდერი იმით, რომ დაპყრობილი ქვეყნის ადამიანის ქონისგან დამზადებული საპნით ჰბანდა იგი თავის მგელძაღლას, ასეთი საპნის ქარხანა ქალაქ მიუნხენში იყო მიწყობილი და საკონცენტრაციო ბანაკები უგზავნიდნენ დახოცილებს.

მხარმარცხნივ მიიხედა შნაიდერმა და ვალიას უთხრა:

— აღარ ეტევა ამ კალათაში ქაღალდები, წაიღე და გადაყარე.

— უი, როგორ გავსილა! — წამოიძახა ვალიამ, დაავლო ხელი კალათას, აიღო სპილენძის სურა, გავარდა გარეთ კალათა ნაგვის ყუთში გადასცალა, მერე წყალი ამოიღო ჭიდან.

შნაიდერმა გაზეთი გადააფარა ფრიად საიდუმლო კონვერტებს. თუმცა ვალიამ მანამდე მოასწრო წაკითხვა.

მალე დაბრუნდა ვალია, კალათა თავის ადგილზე დადო, სველი ყელვიწრო სურა კი სარკმლის რაფაზე ჩამოსდო.

შნაიდერს აღარც ჰიტლერის წიგნის კითხვა შეეძლო და აღარც მუშაობა.

გერმანელი ისევ ძაღლისა და კატის დაბანას დაუბრუნდა:

— ძაღლი კი არა, ერთხელ ჩემმა ფრაუმ კატაც კი დაბანა.

— კატაც დაბანა? მართლა? რასა ბრძანებთ? — გაიოცა ვალიამ.

---

[1] ტუალეტის საპონი (გერმ.).

— რა საჭირო იყო კატის დაბანა? არ დაემორჩილა, გაუსხლტა ხელიდან გასაპნული კატა და გაიქცა, აბა!

ისეთი გულიანი ხარხარი აუტყდა ვალიას, რომ ვერას გზით ვეღარ შეიკავა თავი. არ ეწყინოსო, ცდილობდა მორეოდა თავს.

ელიმებოდა შნაიდერსაც, მოაგონდა ის ბედნიერი დღე, როცა გასაპნული კატა აბაზანის სარკმლიდან გადახტა, გაიქცა და სანამ კარგად არ გაშრა, შინ არ შემოსულა, გაურბოდა ფრაუ შნაიდერს, ეშინოდა დაბანისა. ეს ამბავი მოხდა პოლონეთთან ომის დაწყებამდე. ჰას შემდეგ სულ ომში იყო შნაიდერი და ორჯერაც არ გაუთევია ღამე ოჯახში ცოლ-შვილისა და ოჯახის მოყვარულ გერმანელს.

ცხრამეტი წლის ქალიშვილს ვალიას გასაპნული კატის გაქცევა აგონდებოდა და რამდენადაც ცდილობდა შეეკავებინა თავი, იმდენადვე საამო ხდებოდა აკრძალული ხილი — სიცილი. სხვა რომ ვეღარაფერი მოიგონა სათქმელად და აღარ შეეძლო გაეღო ხმა, რადგან სათქმელ სიტყვას სიცილი უსწრებდა, ადგა ცრემლები მოიწმინდა, სურა მოიტანა და დააპირა დაემატებინა წყალი ყვავილებიანი ლარნაკისთვის.

ძლივს გაიღო ხმა:

— ბატონო ობერლეიტენანტო, გამოვუცვალო წყალი ამ ყვავილებსა და ვარდებს? ხომ არ ავნებს ხშირად წყლის გამოცვლა?

ასე არ უნდოდა ეკითხა და მაინც ჰკითხა, რადგან სხვა ვეღარაფერი მოიფიქრა.

— ფროილაინ! შენ როგორ ფიქრობ? ყვავილებსა და ვარდებს განა აწყენს ჟუჟუნა წვიმა? მაგათი ჟუჟუნა წვიმა ხშირად წყლის გამოცვლაა, თუმცა ისიც უნდა იცოდე: წყალს თუ ბევრი ნალექი აქვს, მავნებელია ბევრნალექიანი წყალი ვარდ-ყვავილებისთვის, მდინარის წყალი უმჯობესია, მდინარის წყალს არა აქვს ბევრი ნალექი, ადამიანსაც ვნებს ბევრნალექიანი წყალი. წყაროს წყალს წყალი ვერ შეედრება.

— მშვენიერი ვარდებია ტარას-გრიცკოს ბაღში... არა ბატონო, თქვენს ბაღში გაასწორა თავისივე ნათქვამი ვალიამ.

— დიახ, მშვენიერი ყვავილებია ჩემს ბაღში.

— დიახ, დიახ!

— ვარდი ყვავილთა დედოფალია, ვერც ერთი ყვავილი ვერ შეედრება ვარდს, — თქვა გერმანელმა და სიყვარულით დააცქერდა ჩაის ვარდს. აიღო და უყნოსა, გაიღიმა და დადო თავის ადგილზე.

—დიახ, მშვენიერია, მე იაც მიყვარს, ზამბახიც, მიხაკიცა და...

აღარ დააცალა შნაიდერმა კიდევ ჩამოეთვალა ვალიას რამდენიმე ყვავილი.

— ფროილაინ! რა საჭიროა ჩამოთვლა სხვა ყვავილებისა, ბევრი მშვენიერი ყვავილი არსებობს დედამიწაზე, მაგრამ ხომ გითხარი, ვარდს ვერც ერთი ვერ შეედრება, ვარდი ყვავილთა დედოფალია.

— ვარდი ყვავილთა დედოფალია, — გაიმეორა ვალიამ, ლარნაკი შემოაბრუნა და ღიმილით დააკვირდა ვარდებს.

— წადი ახლა ფროილაინ და მიხედე ჩემს ტიროლს, მშიერი იქნება, ცოდვაა, აჭამე რამე, უვახშმოდ ხომ არ დაწვება! სულ ერთსა და იმავე საჭმელს ნუკი აჭმევ, ხშირ-ხშირად გამოუცვალე ულუფა, ხშირად აჭამე ძვლიანი ხორცი, ცარიელი ძვლებიც ხშირად დაუყარე, კბილებს გაუმაგრებს ძვალი, ხომ იცი, ჩემს ტიროლს ასი სამხედრო ტყვე და პარტიზანი ჰყავს დაგლეჯილი.

კინაღამ შეჰყვირა ამის გამგონე ვალიამ, მზად იყო მიეფურთხებინა საკმაოდ ჭკვიანსა და სერიოზულ სახეში და გაეწნა თავისი ღონიერი ხელი სუფთად გაპარსულ ლოყაზე.

— ახლავე წავალ და მივხედავ, — მიუგო ვალიამ შნაიდერს, გამოვარდა გარეთ კაბინეტიდან, ეზო გადასჭრა სირბილით და გაემართა გერმანელ ოფიცერთა სამზარეულოსაკენ.

„ჩემს ძაღლს ასი სამხედრო ტყვე და პარტიზანი ჰყავს დაგლეჯილიო,“ — ეს რა მითხრა იმ დაწყევლილმა სატანამ, არც კი ფარავს, ნეტავ მომაკვლევინა ორივენი, შნაიდერიცა და მისი ძაღლიც, ერთად მომაკვლევინა, ჩვენს მიწაში კი არ ვაღირსებდი დამარხვას, მათი ლეშით როგორ წავბილწავდი ჩვენი სოფლის წმიდა მიწას, ბენზინს გადავასხამდი და დავწვავდი, როგორც პოლიციელებმა გადაასხეს ბენზინი და დასწვეს ჩამოხრჩობილი პარტიზანები. იქნებ ჩემი კოსტიაც ტყვედ ჩავარდა და დაგლიჯა ამ სატანა შნაიდერის ძაღლმა, — მოაგონდა ომში წასული ძმა ვალიას, — როდემდე უნდა „ვემსახურო“ ამ ნადირებს!“ ის როდი კმარა, რაც გავაკეთე, ღმერთო ნუ მომკლავ მანამდე, სანამ კარგად არ ვიძიებ შურს, — შეევედრა ღმერთს კომკავშირელი ქალიშვილი და პირჯვარიც კი გადაიწერა, — მირბოდა და ასე ფიქრობდა ვალია გორენკო.

* * *

ერთი კვირა იყო გასული მას შემდეგ, რაც შინ არ მისულიყო ვალია და არ ენახა ფროსია ბებია, უმცროსი ძმა მიკოლა და მათს ხატაში თავშეფარებული დაჭრილი ჯარისკაცი — მომავალი პარტიზანი კახა ბარელი. ყოველთვის როდი უშვებდა შინ შტაბის უფროსი, შტაბის საკუჭნაოში ათევდა ღამეს, აიძულებდა ედია ძაღლისთვის. ვალიას ჭირის დღესავით სძაგდა ძაღლის მოვლა, მისი პატრონის სიძულვილი კი უფრო მეტად სტანჯავდა.

როცა წვიმიანი ამინდები დგებოდა და ატალახდებოდა სოფელი, საქმეები ემატებოდა ვალიას. ზედმიწევნით სუფთა გერმანელი შნაიდერი ვერ იტანდა უსუფთაობას. ვალიას შტაბის ოთახები უნდა დაელაგებინა, იატაკი უნდა მოერეცხა, შნაიდერის კაბინეტი ხომ რაღა საკითხავია! შტაბის უფროსის ჩექმებიც უნდა ეწმინდა, ჯოხზე წამოცმული ჩვრითა და ცოცხით, სულ უკან დასდევდა შტაბის ოფიცრებსა და შტაბში საქმეზე შემოსულ გერმანელებს. ალიან რომ გაუჭირდა, შნაიდერს ურჩია: ბატონო ობერლეიტენანტო, თუ შეიძლება, ჩაიცვით კალოშები, მე გიშოვითო. ვინ გაიგონა კალოშები და სამხედრო კაცი, ბარემღაც ქოლგაც მომიტანე და დავიჭერ ხელში, კალოშები და ქოლგა, სამოქალაქო ექიმის საქმეაო, — არ სწყენია, მშვიდად მიუგო შნაიდერმა. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა კალოშებზე. თუ სოფლიდან არ გადიოდა, კიევში იქნებოდა წასასვლელი თუ სხვა ქალაქში. ახლო-მახლო, კლუბი იქნებოდა თუ ოფიცერთა სასადილო, როცა გზები ატალახდებოდა, იცვამდა კალოშებს შნაიდერი.

შნაიდერი კი მოიშორა, მაგრამ მისი ძაღლი ხან ეზოში დანავარდობდა, ხანაც შარაგზაზე, ისვრებოდა და შერბოდა პატრონთან კაბინეტში, მოეალერსებოდა შნაიდერი ძაღლსა და ვალიას მიაძახებდა: აბა! მოუსვი ახლა სველი ჩვარი იატაკსო. ვალია ამხანაგებს შესჩივოდა: შნაიდერი კი მოვიშორე, როგორც იქნა, მის ძაღლს რაღა მოვუხერხო.

— გოგო! ძაღლსაც უშოვე მისი ფეხის სარგო კალოშები, თუ შნაიდერს კალოშებმა არ არგოს, ჩააცვი და მოისვენებო, — ეხუმრებოდა ვალიას ენაკვიმატი გრიცენკო.

ხარხარებდნენ არალეგალურად მცხოერები კომკავშირელი ახალგაზრდები.

მთელი ერთი კვირა რომ აღარ მოვიდა შინ ვალია, ჯავრით აღარ იყო ფროსია ბებია. იგი სატანას ეძახდა ყველა გერმანელს, ვინც არ უნდა დაენახა გერმანელთაგანი, „თფუი, თფუი, ეშმაკს!“ — იტყოდა, პირჯვარს გადაიწერდა და ზურგს შეაქცევდა. მის ნაამაგარ ბოსტანში ყუმბარა დავარდნილიყო, ძაბრისებური ვეებერთელა ორმო ამოეთხარა, ძირფესვიანად ამოეგლიჯა რაღაც ხე, პირდაღებულ ორმოში გადაშვებულიყო და მისი ფესვები ურჩხულის ეშვებივით აშვერილიყო.

მწვანილი მიწას დაეფარა, საცოდავად ჩიჩქნიდა სიბერისგან დაუძლურებული მოხუცი მწვანილს. შარაგზის პირას იდგა მათი ხატა, შორი გზის მოვლა ეზარებოდათ და მათს ეზოზე გადადიოდნენ გერმანელები. ეზოს ღობე გადათელეს, გააპარტახეს გორენკოების კარ-მიდამო. დედაკაცური წყევლით რომ ვეღარ იოხებდა გულს ფროსია ბებია, მამაკაცურ გინებაზე გადავიდა, ომამდე ქოქოლას აყრიდა გინებისმოყვარულ მეზობელ მამაკაცებს, ახლა კი აღარ ამტყუნებდა მათ, თუ არ უჭირს კაცს, რატომ შეიგინებაო, — გაიძახოდა ფროსია ბებია.

სოფელში ხმა დავარდა: ვიღაც ქალიშვილი გაუტაცნიათ გერმანელ პოლიციელებს, გაუუპატიურებიათ და დაუგდიათ შტაბთან არყის ხეების ხეივანში. ჩემი ვალია არ იყოსო, — ელდა ეცა ფროსია ბებიას. დაიბიჯგა ჯოხი, მიკოლა წაიყვანა და გაემართა შტაბისკენ, ვერ მიაღწია, არ გაუშვეს პატრულებმა და პოლიციელებმა, შარაგზა გადაეკეტათ, დიდი ჩხრეკა და დაპატიმრებები გაეჩაღებინათ. დღისით, მზისით, ვიღაც უკრაინელ ჭაბუკს გერმანელი ოფიცერი მოეკლა თავისივე ხანჯლით, ოფიცერი თავზე წასდგომოდა, როცა სოფლის ბაზრის შესავალთან პროკლამაციის ფურცელს აკრავდა გერმანიაში იძულებით გასაგზავნად აღრიცხული ჩვიდმეტი წლის ბიჭი.

იმ დღეს, თანასოფლელმა და მეგობარმა ქალიშვილმა, შესვენების დროს, როცა სასადილოში ისხდნენ შტაბის ოფიცრები, ალია კრავჩენკომ ხელი დაუქნია შტაბის ეზოში გამოსულ ვალიას და შეატყობინა: რა დროც არ უნდა იქნეს, დღესვე უნდა ინახულო ბორის პეტროვიჩიო.

„ჯერ შინ შევირბინე, ჩვენების ამბავს გავიგებ, დავამშვიდებ და მერე გავიქცევი პეტკასთან და ბორის პეტროვიჩთანო," — ეგრე გადასწყვიტა შტაბიდან დაბრუნებულმა ვალიამ. თვითონ მოსულიყო გრიცენკო და დაეტოვებინა წერილი. ფროსია ბებიამ დაახვედრა ისიც ატყობინებდა; გელოდება ბორის პეტროვიჩიო. აღარ იყო საჭირო პირადად ენახა თანშეზრდილი ამხანაგი და მეგობარი პეტკა გრიცენკო.

გადასცა თუ არა წერილი ფროსია ბებიამ, იმწამსვე შევარდა თავის ოთახში წერილის წასაკითხად, ფროსია ბებიას სულ დაავიწყდა მთელი ერთი კვირის ჯავრით გატარებული უძილო ღამეები და მუხლების ტკივილი, მაინც მუხლებზე ხელების დაბჯენით ჩაჯდა იქვე, თავისკბილა ძველ სავარძელში.

ვალიამ იმდღესვე ინახულა ბორის ბონდარენკო და გადასცა გრიცენკოს ცნობები წერილობით.

სულ რამდენიმე წუთს დარჩა ვალია ბონდარენკოსთან, რადგან გესტაპოელებმა ჩაიარეს შარაგზის პირას მდგარ ბონდარენკოს სახლთან, მერე მთვრალი პოლიციელებიც გამოჩნდნენ, ასეც რომ არ მომხდარიყო, ბონდარენკო და ვალია გორენკო დიდიხნის მოლაპარაკებულნი იყვნენ: თუ გადაუდებელი საქმე არ იქნებოდა, ხშირად არ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, თვალში არ უნდა სცემოდათ გერმანელებს ცნობილი კომუნისტისა და იატაკქვეშელთა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის — ბორის ბონდარენკოსა და არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივნის მოადგილის — ვალია გორენკოს შეხვედრა. ბორის პეტროვიჩმა მოასწრო ეთქვა ვალიასთვის, რა საქმისთვისაც იბარებდა.

ბონდარენკოს მეუღლეს იულია ტერენტიევნას გულით ეწადა, ცოტა ხანს მაინც დარჩენილიყო მათთან სანდო და საყვარელი მეზობელი ვალია. გოგო, ერთი ჭიქა ჩაი მაინც დალიე და მერე წადი, ბავშვებს ენატრები, სულ მეკითხებიან: დედა, სად არის ვალეჩკა, რომ აღარ მოდისო, — ემუდარებოდა და შესცქეროდა ხანში შესული, ჯერ კიდევ მშვენიერი ქალი ნაღვლიანი თვალებით.

— იულია ტერენტიევნა, ბავშვებს კი ვნახავ, სად არიან? ჩაის დასალევად კი არა მცალია, — ამის თქმა და ბავშვების შემოვარდნა ერთად მოხდა.

იქვე ჩაჯდა ვალია დივანზე, ერთად მიცვივდნენ და მოეხვივნენ ხუთი წლის ვალერი და სამი წლის ლარისა. ხან ერთს ჰკოცნიდა გასაქცევად შემართული ვალია და ხან მეორეს, თითები შეაცურა და დამამშვენებლად აბურდულ გოგონას კულულებიან თმაში, მათი ტიტინისთვის, მათი მომხიბლავი ტიტინისთვის აღარ ეცალა, სარკეში ჩაიხედა, გაისწორა აკაციის თაფლისფერი თმა და გავარდა გარეთ.

„ეხ! რას მოვესწარით? — ამოოხვრით თქვა იულია ტერენტიევნამ და ნელ-ნელა დაეშვა დივანზე, ბავშვები კი ეზოში გაცვივდნენ და გასცქეროდნენ შარაგზაზე გადასულ ჩქარი ნაბიჯებით მიმავალ ვალიას.

როგორც კი წაიკითხა ბონდარენკომ ვალიას მიტანილი წერილი, მეუღლე გააფრთხილა: თუ ვინმემ მიკითხოს, გარდა ანგარიშგასაწევი გერმანელისა, გადაუდებელი საქმე თუ არ იქნება, არავინ შემოუშვა ჩემთან, შენ მიიღე და ისაუბრეთო. იულია ტერენტიევნამ თავი დაუქნია, ეზოში გავიდა და შარაგზაზე გადასული ვალერი შემოიყვანა. გერმანელთა ათასნაირი მანქანები მიდი-მოდიოდნენ შარაგზაზე.

ჩაიკეტა თავის სამუშაო ოთახში ბონდარენკო, თამბაქო გაახვია, ზედიზედ მოსწია, დადო საფერფლეზე და შეუდგა წერილის წერას. უნდა გაეგზავნა პარტიზანების უფროს ბატკოსთვის, როგორც ეხახდნენ პარტიზანები. ამ სახელითაც იცნობდნენ პარტიზანების უფროსს—მაქსიმ ემელიანოვიჩ კირიჩენკოს გერმანელებიცა და უკრაინელებიც. უფრო შორსაც იყო გავარდნილი მისი სახელი. ბატკოსა და ბონდარენკოს პირველი და ყველაზე საიმედო მეკავშირე იყო გორენკოების სოფლელი თხუტმეტი წლის ბიჭი, უპატრონოდ გაზრდილი კოლია ჩუმაკი, ომამდე „ჩურკა ავარად“ წოდებული. ეს „ჩურკა ავარა“ დიდად მოხერხებული და უნარიანი მზვერავი დადგა, ფრიად საჭირო გახდა პარტიზანული რაზმისთვის.

სოფლიდან ოცი კილომეტრით დაშორებული ტყიდან შემოდიოდა ხოლმე ჩუმაკი. მუდამ ეკიდა ზურგზე ძველმანებით სავსე ტომარა, ვითომდა ძველმანებით ვაჭრობდა იგი სოფლის ბაზარზე, ირჩენდა თავსა და ღრმად მოხუცებულ ბებიასაც არჩენდა. ოსტატურად აკრავდა დანგრეული ხატებისა და სხვა შენობების კედლებზე პროკლამაციების ფურცლებს, ყველგან, სადაც კი მოახელთებდა. ურიგებდა ხალხს, ერთხელ ყოფილი კულაკის სახლთან ახლო, ბოსტანში გადაძვრა საღამო ხანს და კულაკის სახლის კედელზე გააკრა პროკლამაცია. დილით გერმანელმა პატრულმა შენიშნა, დაუძახა ამხანაგ პატრულებს, შევარდნენ და გამოაგდეს გარეთ სახლის პატრონი. ირეოდა, თავპირში ირტყამდა ხელებს და ყვიროდა: ვინ დამღუპა, ვინ მომიწყო ეს პროკლამაცია (პროვოკაციის ნაცვლად პროკლამაცია თქვა), თუ მივუსწარი გამკვრელს, ზედ მივაკლავ, ან გესტაპოში წავათრევო, თვითონ წაათრიეს პატრულებმა გესტაპოში, სოფლის სტაროსტამ და სპეკულანტმა ვლასი ხრომიკომ უშველეს, კოლმეურნეობის დაუძინებელი მტერი იყო ეს კაცი, თუ გამოიძევთ, ყველაფერს გაიგებთო, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს ეს ორი ნაძირალა გესტაპოში. მართალს ამბობდნენ, არაფრის მოგონება არ დასჭირვებიათ, ის ნაკულაკარი ყვავილებითა და პურ-მარილით, აღფრთოვანებული შეეგება ახალშემოსულ გერმანელებს. ეგონა: ბოლშევიკების მიერ ჩამორთმეულ ადგილ-მამულს დამიბრუნებენ გერმანელებიო, არ უბრუნებდნენ და მაინც ჰქონდა იმედი დაბრუნებისა.

შავარდენივით მკვირცხლ ბიჭს — ჩუმაკს ორიოდე საათში შეეძლო სირბილით გაევლო ოცი კილომეტრი, მაგრამ

სოფელში შესვლა და მერე ტყეში დაბრუნება არც იმდენად ადვილი საქმე იყო. სანამ ტყის მისადგომს მიაღწევდა, თითქმის ყოველთვის დიდი წინააღმდეგობების გადალახვა უხდებოდა, რაკი ტყეში შევარდებოდა, მგლის ლეკვივით გამბედავი ხდებოდა, „ყნოსვით“ დაეძებდა და პოულობდა ადგილგადანაცვლებულ პარტიზანებს.

ერთხელ, როცა ცნობები მიჰქონდა სოფლიდან პარტიზანებისთვის, ბარე ათჯერ დააკავეს და გაჩხრიკეს იგი პოლიციელებმა და პატრულებმა. ეკითხებოდნენ: ვინა ხარ, საიდან მოდიხარ, სად მიდიხარო. ჩუმაკმა დიდ ტყესთან ახლომდებარე სოფელი დაასახელა: ნათესავები მყვანან იქ, ძველმანები მიმაქვს სურსათზე გადასაცვლელად, რა გინდათ, რად მიკრძალავთ ბაზარზე ვაჭრობას ჩვენი მილიციასავითო, — გაიძახოდა და ისე საცოდავად გამოიყურებოდა, რომ ეჭვი აღარ ეპარებოდათ მის სიმართლეში. ყოველთვის უძვრებოდა ხელიდან ფრთხილ გერმანელ პოლიციელებსა და პატრულებს. ზოგჯერ უკრაინელი პოლიციელები შველოდნენ, მუდამ ეწყო ჯიბეებში ნადავლი მშვენიერი ფრანგული თუ თურქული სიგარებისა და სიგარეტების კოლოფები, აძლევდა და იმადლიერებდა დამკავებლებს.

ბინდდებოდა იმ დღესაც რამდენჯერმე დააკავეს ჩუმაკი, დიდად საჭირო ცნობები მიჰქონდა პარტიზანული რაზმისთვის, ახალი პოლიციელები შეხვდნენ, ჯერ პოლიციაში წაათრიეს, მერე გესტაპოში და გაჩხრიკეს. ჯოხით გამოჰყარა ერთმა ახალგაზრდა გესტაპოელმა ჩუმაკის ტომრიდან ძველმანი ტანისამოსი, იცინოდა: ტილებიანი იქნებაო, იცინოდა და ჰყრიდა, იცინოდნენ გესტაპოელებიც. სწორედ ძველმანებში ჰქონდა ჩაკერებული პარტიზანებისთვის საჭირო ცნობები ჩუმაკს. რაღაც ბედად, ნაცნობი უკრაინელი პოლიციელი შემოვიდა გესტაპოში შემთხვევით, მან დაადასტურა: მე ვიცნობ ამ ხლოპეცს, ჩვენი სოფლელია, მშობლები არა ჰყავს, ლოთი მამა ჰყავდა, მაზუთის აუზში ჩავარდა და ჩაიხრჩო მთვრალი, ბებიამ გაზარდა დედა არ ახსოვს, ადრე მოუკვდა, ეს არჩენს ოთხმოცი წლის მოხუცსო, მერე მიუბრუნდა ჩუმაკს და ჰკითხა: როგორ არის ბიჭო, ევდოკია ბებიაო. სწორედ თავისმა ბებიამ ააგულიანა ჩუმაკი წასულიყო ტყეში პარტიზანებთან თავისი ერთადერთი შვილიშვილი. მე თუ მოვკვდები უპატრონოდ, დიდად როდი მოვაკლდები ჩვენს სოფელს, დაე, მოვკვდე, ოღონდ ჩვენმა უკრაინამ იცოცხლოსო, — უთხრა ერთადერთ ნუგეშს ძველმა ნაცადმა პარტიზანმა ევდოკია პროხორენკომ. დარჩა სულ მარტო მწუხარებით გულგამეხებული მოხუცი ერთი კატის ამარა.

„ეხ! რას მოვესწარი? ორმოცი წლის წინათ განსვენებული ქმარიც კი დამეკარგა, აღარ ვიცი, სად არის მისი სამარე, სასაფლაოდან ლოდები ახადეს მკვდრებს ფაშისტებმა და გაზიდეს გერმანიაში, დიდება შენს სახელს ღმერთო! ასეთი რამ კი აღარ სმენია ჩემს ყურებს“ — იტყოდა ხოლმე ევდოკია პავლოვნა და გადაიწერდა პირჯვარს. დადიოდა სასაფლაოზე და დაეძებდა ნახევარი საუკუნის წინათ განსვენებული მეუღლის სამარეს.

როცა ჩუმაკმა ბონდარენკოს წერილი მიუტანა პარტიზანების უფროსს, ისხდნენ პარტიზანები და გერმანელების წანართმევ ნადავლ საბრძოლო იარაღებს ინაწილებდნენ. სამი დღის დაკარგული იყო ნორჩი მზვერავი. იგი დაღუპული ეგონა ბატკოს, მართლაც მოეკლა პოლიციელს ჩუმაკისტოლა ვიღაც ბიჭი სოფელში, პარტიზანებამდე მიაღწია ამ ამბავმა და იგი ეგონა ბატკოს, მზად იყო გადახვეოდა და გადაეკოცნა მეტად საჭირო და მეტად საყვარელი გარეგნობის ჩუმაკი. ამდაგვარი ქალაჩუნობა როდი ეხერხებოდა მაქსიმ ემელიანოვიჩს, ღიმილმა დაუმშვენა პირქუში სახე და გაფანჩვული წარბებით ოდნავ დაფარული თვალები ნაკვერცხლებივით

გაულვივდა და აენთო, ერთი დაჰკრა მხარზე ხელი, მერე შეარხია, ეს იყო მისი „ალერსი“, განაპირდა, ჩამოჯდა გადალეწილ ხეზე.

მოკრძალებით, ფინიასავით შესცქეროდა ლომივით ბუხუნა კაცს კმაყოფილი ჩუმაკი, ხმას არ იღებდა. ბატკო ჩუმაკის სალოცავი ხატი იყო, მყვირალა, მკაცრი და მაინც საყვარელი კაცი იყო ბატკო ჩუმაკისთვის.

პარტიზანი აგაფია დონენკო პირჯვარს იწერდა, ხომ ახდა ჩემი სიზმარი, ხომ მშვიდობით დაბრუნდა კოლკაბიჭიო, ღმერთს მადლობას სწირავდა და გაიძახოდა:

«Що боже, ты мий Господе!»[1]

კეფაზე მოგდებული მწვანეყალამოიანი შავი გალიბანდი მოიხადა ბატკომ, გვერდით მოიდო და დაიწყო კითხვა წერილისა.

პირველად თვალის გადარბენით წაიკითხა მამაკაცური ხელით გარკვეულად ნაწერი წერილი პარტიზანების უფროსმა. მერე მსხვილად გახვეული უკრაინული ოქროსფერი წეკო მაგრად მოქაჩა, ფრთქვინვით გამოუშვა ბოლი პირიდან. ეწეოდა, ხან კუმავდა პირს, დიდხანს აჩერებდა ბოლს ფილტვებში, რათა უფრო განეცადა სიამე, აღარ ფრთქვინავდა, ნელ-ნელა უშვებდა ბოლს ცხვირ-პირიდან, გრძელ წვერულვაშს უფარავდა აბლაბუდასფერი ბოლი. ხელები შემოირკალა მარცხენა მუხლზე და გაჰყვა ფიქრებს. მისი ფიქრები უფრო წმიდა იყო, ვიდრე ფერი აბლაბუდასი, რადგან სამშობლოზე ხალხის ბედზე ფიქრობდა. ფინიასავით ჩაცუცქული კოლკა ჩუმაკი განშორებოდა და ბუჩქებს ამოფარებული უთვალთვალებდა პირქუშ მოხუცს, მზად იყო უყოყმანოდ შეესრულებინა მისი ბრძანება, რაგინდ ძნელიც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა.

მაქსიმ ემელიანოვიჩს არ ეხერხებოდა ვინმეს მოფერებოდა, არც ეცალა მას ასეთი საქმისათვის. რაგინდ კარგი მებრძოლიც არ უნდა ყოფილიყო მისი რაზმის პარტიზანი, სასწაულებრივი გმირობაც რომ გამოეჩინა, ერთი დაჰკრავდა მძიმე უხეშ ხელს მხარზე და სულ ეს იყო მისი „ალერსი“. სახე მაინც პირქუში ჰქონდა, ოღონდ უფრო ჭუტავდა ჩასაფრებულებივით ფოსოებში ღრმად შემძვრალ თვალებსა და ამით თუ შეამჩნევდით, რომ კმაყოფილი იყო. მაინცდამაინც არც პარტიზანების დაჯილდოებაზე ფიქრობდა, ყველაზე დიდი ჯილდო ჩვენს გათავისუფლებულ სამშობლოში დაბრუნება იქნება, ამაზე დიდი ჯილდო, რაღა უნდა იყოსო, სამშობლო ყველა დედაზე დიდი დედაა, შვილებს არ აჯილდოებენ დედის სიყვარულისთვის, დედაშენს რომ მგელი მისდევდეს შესაჭმელად და გადაარჩინო შენ, მისმა შვილმა ხომ არ მოსთხოვ დედას გადამიხადე მადლობაო, — ეტყოდა ხოლმე იგი პარტიზანებს.

ბატკოს პარტიზანული რაზმის წარმატებები ცნობილი გახდა მთელს ჩვენს სამშობლოში, მოსკოვიდან აცნობეს: გაეგზავნათ სია დასაჯილდოებელი პარტიზანებისა, პარტიზანების უფროსი იძულებული გახდა ებრძანებინა შტაბის უფროსისთვის შეედგინა სია და გააფრთხილა: კოლკა ჩუმაკი არ დაგავიწყდეთ და არც მისი წლოვანება დაგავიწყდეთო.

ბატკომ იცოდა უპატრონოდ რომ იყო გაზრდილი ჩუმაკი, ალერსი არავისგან ახსოვდა ობოლ ბიჭს, თავში წაბილიკება და „ჩურკა ავარას“ წამოძახება კი არავისგან აკლდა.

ძალზე გაძნელდა მზვერავების სოფელში შეგზავნა, მაინც შესძლო ჩუმაკმა შესულიყო, სოფელი მშვიდობით მოიარა, ფრიად საჭირო ცნობები წამოიღო, პარტიზანებთან დაბრუნებას რომ აპირებდა, გზა დაებნა გაუვალ ტყეში, როგორც იქნა წააწყდა იმ ადგილს, სადაც პარტიზანები დასტოვა, ცარიელი

[1] ღმერთო ჩემო! (უკრ.).

დახვდა ტყე, ადგილსამყოფელი გამოეცვალათ პარტიზანებს, დიდხანს იხეტიალა. შემოაღამდა, ცუდი ამინდიც დაუდგა, ხეზე ავიდა და გაათია ორი დღე და ღამე მშიერ-მწყურვალმა, მესამე დღეს მაინც წააწყდა საბრძოლველად გამზადებულ რაზმს თავით ფეხამდე გალუმპული, ხალისის სხივი მაინც უკრთოდა თვალებში. გადასცა ცნობები და ბორის ბონდარენკოს წერილი პარტიზანების უფროსს. ცეცხლის პირას, გვერდით მოისვა ბატკომ, ხელი ამოსდო ნიკაპში, ჩააცქერდა ბოშასებურ მოელვარე თვალებში და გაუღიმა. ჩუმაკს ისე აუჩვილდა ბავშვობიდანვე გაკერპებული გული, რომ ატირდა, იჯდა გუზგუზა ცეცხლთან, ითბობდა გათოშილ ხელებს და ღაპაღუპით ცვივოდა მისი ცრემლები ცხელ ღადარში. ბატკო კი მის მოტანილ წერილს კითხულობდა და ვერ ამჩნევდა გულაჩუყებულსა და ატირებულ მამაც ნორჩ პარტიზანს.

ბატკომ კიდევ დაფერფლა ერთი ყანწი წეკო და მეორედ გულდასმით წაიკითხა წერილი. სოფლად დატრიალებული ამბებისთვის როდი მიუქცევია იმდენი ყურადღება, არც პირველად ესმოდა პარტიზანების უფროსს ასეთი შემაძრწუნებელი ამბები. სხვა უფრო საჭირო ამბებზე გადაიტანა მთელი ყურადღება.

უეცრად აენთო, ტანში წამოახურა, თეთრყირმიზ კაცს ალი შემოეგზნო სახეზე, წამოდგა და დაიყვირა:

— Хлопцы! Сада хart? Колка! Сад арис колка чумаки?!

სანამ იქვე ხეს ამოფარებული ორი ახალგაზრდა პარტიზანი წამოდგებოდა, კურდღელივით წამოხტა ბუჩქებს ამოფარებული ჩუმაკი, მიირბინა, გამოეჭიმა და შესძახა:

— ამხანაგო მაქსიმ ემელიანოვიჩ! გეცხადებათ მზვერავი კოლია ჩუმაკი.

— გაიქეცი ახლავე და შტაბის მორიგე მომიყვანე.

— არის! გავიქცე და მოგიყვანოთ შტაბის მორიგე! — მკვირცხლად გაიმეორა ბრძანება დისციპლინიანმა პატარა პარტიზანმა, ზურგისკენ შებრუნდა, გაფრინდა შავარდენივით.

პარტიზანების უფროსი კი ერთად თავშეყრილი პარტიზანებისკენ გაემართა, დინჯად მიუახლოვდა. პარტიზანები ისხდნენ და საბრძოლო იარაღებს ჩაჰკირკიტებდნენ. დასხედითო, — უთხრა ასადგომად წამოწეულ ახალგაზრდებს, ჩამოჯდა ბატკო ყუმბარით გადალეწილ ხეზე, გააცნო პარტიზანებს ბონდარენკოს წერილის შინაარსი, არ მიიჩნია საჭიროდ წაეკითხა წერილი მთლიანად, როცა სოფლისკენ გავეშურებით საბრძოლველად, იმ დღეს, გასვლის წინ წავუკითხავო, — ეგრე გადასწყვიტა პარტიზანების უფროსმა.

პარტიზანების წინააღმდეგ მებრძოლი რაზმი გერმანელებისა, აღარც ტყეს ბომბავდნენ და აღარც მათს გზა-კვალს დაეძებდნენ. მთელი ბატალიონი მოხსნეს დროებით და კიევის დასაცავ ლეგიონს შეუერთეს. მხოლოდ დიდ გზასა და ტყის მისადგომებს ზვერავდნენ ჯავშნოსანი მანქანები გერმანელებისა. ბატკოსაც ეს უნდოდა, რათა კარგად დაესვენა მის რაზმსა და მომზადებულიყვნენ ახალი დიდი ოპერაციისთვის.

პარასკევს, მთელი დღე საბრძოლო იარაღების დაშლა-აწყობასა და გაწმენდას მოანდომეს, შაბათიც ამ საქმისთვის გამოიყენეს. მხოლოდ მზვერავი პარტიზანები ზვერავდნენ დიდ გზასა და ტყის მისადგომებს, ზოგიერთი დაუდეგარი ჭაბუკი ვერ ითმენდა უქმად ყოფნას, ქალიშვილებიც გაეტყუებინათ და ნადირობდნენ გერმანელებზე.

პარტიზანების უფროსმა და მისმა რაზმმა ისიც კარგად იცოდნენ: ზოგჯერ განგებ მიყუჩდებოდნენ გერმანელები, მერე ერთბაშად, მოულოდნელად შეუტევდნენ პარტიზანებს, იცოდნენ თუ არ იცოდნენ მათი ადგილსამყოფელი, მაინც შეიჭრებოდნენ ტყეში, ცეცხლს გაანაღებდნენ, რადიოს ააღრიალებდნენ იმდაგვარად, რომ იფიქრებდით: ჰიტლერის მთელი არმია თუ არა, რამდე-

ნიმე დივიზია მაინც უტევს პარტიზანებსო. მერე უცებ, ელვისებური სისწრაფით დასტოვებდნენ ტყესა და გამაგრდებოდნენ სოფლის მისადგომებთან, საიდანაც იყო მოსალოდნელი პარტიზანების შემოჭრა.

შაბათს, ხუთი გერმანელი — სამი ჯარისკაცი და ორი ოფიცერი ჩაიგდეს ტყეედ ახალგაზრდა პარტიზანებმა, იარაღები აართვეს და შეიყვანეს შუაგულ ტყეში, უნდოდათ რაზმში მიეყვანათ. მათ არ ისურვეს ნახვა პარტიზანებისა „ჭკვიანურად" მოიქცნენ, რადგან გრძნობდნენ თავიანთი სიცოცხლის დღეების დასასრულს და რა საჭირო იყო გაეხანგრძლივებინათ სიკვდილის მოლოდინი! იქვე დარჩნენ ფეხმოუცვლელად, სამუდამოდ ხუთივენი. ოღონდ ეს კი მოხდა: ხუთივენი წაიჩხუბნენ სიკვდილის წინ. ჯარისკაცები გაიძახოდნენ: ჩვენ პატიოსანი გერმანელი მუშების შვილები ვართო. დასჭირდა და მერე ერთი ოფიცერიც მუშის შვილი გახდა. მათთან სადავო რომ არაფერი ჰქონდა, ორმა ოფიცერმა ერთმანეთს წამოსძახა: შენ უფრო ნამდვილი ჰიტლერელი ხარ ჩემზეო, არა, შენ ჩემზე უწინ შედი ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაშიო. რაღა უნდა ეპასუხნათ პარტიზანებს, გარდა სიცილისა? მათ არა ჰქონდათ დრო სიმართლის გარკვევისა, მაინცდამაინც გასარკვევიც არაფერი იყო და მოექცნენ ისე, როგორც მოითხოვდა კანონი პარტიზანული.

ერთი ჰაუპტმანის ქუდი წამოიღო გორენკოების სოფლელმა ჭაბუკმა, მეორემ, თითქმის ფეხშიშველმა ახალგაზრდამ როდი დაიწუნა გერმანელი ოფიცრის ახალთახალი ჩექმები, იმწამსვე გაიძრო და გადაჰყარა თავისი დაკონკილი ფეხსაცმელები, ჩაიცვა ჩექმები და მის პატრონს „სულის ცხონება" შეუთვალა.

მესამე პარტიზანმა მეორე ოფიცერს მუხის ფოთლებზე დამაგრებული რაინდის ოქროს ჯვარი მოხსნა და ჩაიწყო ჯიბეში. რაზმში რომ დაბრუნდნენ, ქუდიც გამოართვა ამხანაგს, გამოეჭიმა ბატკოს ქუდითა და ჯილდოებით და უპატაკა:

„ბატონო პარტიზანების უფროსო! დიდად პატივცემულო მაქსიმ ემელიანოვიჩ!

თქვენთან ბრძოლა ჩვენ კარგს არაფერს მოგვიტანს, სადაც სრულიად არ ველოდებით, იქ გაჩნდებიან ხოლმე თქვენი პარტიზანები, იმიტომ, რომ სატანები არიან, მიწიდან იციან ამოძვრომა სატანებივით..."

ბატკოს ღიმილი მოერია, გაიარ-გამოიარა, მიუბრუნდა და უთხრა:

— არა, ბატონო ოფიცერო, მე სატანები არა მყავს, სატანა სატანაა, ჩემი პარტიზანები კაცური კაცები არიან, ბრძოლა მხოლოდ კაცურ კაცებს შეუძლიათ.

— ბატონო პარტიზანების უფროსო! ერთი რამ კიდევ უნდა მოგახსენოთ თუ ნებას მომცემთ, — სთხოვა ბატკოს გერმანელი ოფიცრის ქუდითა და ჯილდოებით გამოჭიმულმა მზვერავმა.

— ბრძანეთ, გისმენთ! — სერიოზული სახით მიუგო პარტიზანების უფროსმა და მოემზადა მოსასმენად.

— დავამთავროთ ომი, ოღონდ უკრაინა დაგვიტოვეთ და ვიმყოფინებთ, როგორც იქნება.

— ვერა, ვერ დაგიტოვებთ უკრაინას, ყელზე დაგადგებათ და დაგახრჩობთ, ვერ მოინელებთ, უკრაინა უკრაინელებს ეკუთვნით და მათ დარჩებათ სამუდამოდ, ყველაფრის გაცემა შეიძლება გარდა სამშობლოსი, გასაგებია?

ნაცვლად პასუხისა, ისეთი გაწბილებული სახით შეხედა პარტიზანების უფროსს, ისე სულელურად ააპარპალა თვალები, რომ ბატკომ ველარ შეინარჩუნა სერიოზულობა და ახარხარდა ბუხუნა ხმით, ხან ჯდებოდა, ხან დგებოდა და ხარხარებდა, სიამის ცრემლები მოსდიოდა, ასე გულიანად გაცინებული ბატკო ჯერ არ ენახათ პარტიზანებს.

— ნუ დაგვამწარებ ღმერთო ამ სიცილს,გეევედრები: აგვიცხადე, — გა-

იძახოდა ახალი პარტიზანი აგაფია დონენკო და პირჯვარს იწერდა.

ხარხარებდნენ და ხარხარებდნენ პარტიზანები დაუოკებლად.

ბატკო სიამის ცრემლებს იწმენდდა. იგი პირველად როდი ისმენდა ტყვე გერმანელისაგან ასეთ სიტყვებს, არც პირველად ხედავდა საიქიოს გამგზავრებული ჰიტლერელი ოფიცრის ქუდსა და ჯილდოებს „სუვენირებად“ დატოვებულს.

პარტიზანების უფროსს რაღაც უნდოდა ეთქვა, გადაიფიქრა, ცალკე დამჯდარი კომისარი დროზდოვი დაინახა და მისკენ გაემართა.

მზვერავმა პარტიზანმა გერმანელი ოფიცრის ჯილდოები მოიხსნა, შტაბის მორიგეს გადასცა, ქუდი მოიხადა, სვასტიკა და არწივი ააძრო ყოყოჩურად აპრეხილ ჰიტლერელის ქუდს, ქაღალდში შეახვია და ჯიბეში ჩაიდო, ქუდი მაღლა აისროლა, ფეხი გაჰკრა და ხეს მიანარცხა, დედის გინებაც მიაყოლა.

ყვინჩილასავით გამოხტა ყველაზე პატარა მამაკაცი კოლკა ჩუმაკი, დოინჯები შემოიდგა და თითქოს მზვერავს შეგინება საკმაო არ ყოფილიყოს, გაგრძელებულად წარმოსთქვა:

— შეენი დეედა!

— მიდი, მიდი კოლკა! ჩვენც აქა ვართ! — მიაძახეს ჩუმაკს ჭაბუკმა პარტიზანებმა.

აგაფია დონენკომ ქოქოლა მიაყარა გინებისთვის ჩუმაკს, მაგრამ მისი ქოქოლა დალოცვას უფრო გამოხატავდა.

პარტიზანები ღიმილით შესცქეროდნენ გერმანელი ოფიცრის ცხედარივით გულაღმა დაგდებულ ქუდს.

საღამოვდებოდა, მზე ჯერ არ ჩასულიყო, ბინდი ეპარებოდა უღრან ტყეს, ღელავდნენ პარტიზანები, ბატკო ბოლთასა სცემდა, კომისარი დროზდოვი და შტაბის უფროსი — კაპიტანი ნიკალაი პეტუხოვი ცალკე იდგნენ და ბჭობდნენ.

* * *

ფიცხლად მოაგელვა ნისლისფერი „მერანი“ ქართველმა ჭაბუკმა, ცხენოსანთა ოცეულის სანაქებო მზვერავმა ჯოტო ნარსიამ, მკვირცხლად ჩამოხტა ცხენიდან ტანწერწეტა ახალგაზრდა, მაშინვე მივარდა და ჩამოართვა ცხენი ჩუმაკმა, ჯარისკაცი ნარსია ბატკოსკენ გაემართა, ეახლა და მოახსენა:

— ამხანაგო მაქსიმ ემელიანოვიჩ! ცხენოსან მზვერავთა ოცეულის უფროსის — ლეიტენანტ მედვედევის ბრძანებით, ხუთმა კაცმა დავზვერეთ ტყის მისადგომები დიდ გზასთან, სადაც დიდი გზის მეორე განშტოება მიემართება მეჩხერი ტყისკენ, მერე კი ტყეს მივაშურეთ, ჩამოვქვეითდით, დავაბით, შევახამეთ ცხენები და მდინარეზე ჩვენს მიერ აფეთქებული ხიდი. დიდი გაფაციცებით მუშაობენ გერმანელები ხიდის აღსადგენად, ახალი დაწყებულია ხიდის შენება, გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად ამუშავებენ სამხედრო ტყვეებსა და სოფლებიდან მორეკილ უკრაინელებსაც. ათას კაცზე მეტი იქნებიან მუშები, წყალში დგანან ნახევრად შიშვლები, ჯერჯერობით მხოლოდ ჯებირებია დამთავრებული, დღეს სხვა მნიშვნელოვანი არაფერი შეგვიმჩნევია.

დაუშვა ხელი ნარსიამ.

— თავისუფლად! — მისცა თავისუფლად დადგომის ნება სხაპასხუპით მოლაპარაკე ნარსიას ბატკომ და ჰკითხა:

— ხომ არ შეგიძლია თქვა, შენი აზრით, დაახლოებით, რამდენ დღეს მოუნდებიან გერმანელები ხიდის აგებას?

ნარსია დაფიქრდა და დინჯად, დაკვირვებით მიუგო:

— მშვიდობიანობის დროს არც ხიდის ამგები ინჟინერი ჩქარობს და არც მუშები, ახლა კი ომია მაქსიმ ემელიანოვიჩ და შესაძლოა, ამაღამვე ააგონ ხიდი. ამ საქმისთვის მუშახელიც ეყოფათ.

ბატკოს ძალიან მოეწონა ჭაბუკ ნარსიას ჭკვიანური პასუხი, იმიტომ მო-

ეწონა, რომ მართალს ამბობდა მზვერავი. ვის რაში გამოადგებოდა ეთქვა: ორ კვირას თუ ერთ თვესაც გასტანს ხიდის მშენებლობაო. ასეთ ვითარებაში დაიმედება კაცისა, ნაცვლად სარგებლობისა, ზიანს მოიტანდა.

— „ჭკვიანური პასუხია," — გადაულაპარაკა ბატკომ კომისარ დროზდოვს.

—დიახ, ჭკვიანი ხლოპეცია, — დაუდასტურა კომისარმა დროზდოვმა თავის დაქნევით.

— ნულარ დააყოვნებ, ახლავე გაეშურე და მოიყვანე მზვერავი ამხანაგები, საჩქაროდ დაბრუნდით ნაწილში, — უბრძანა პარტიზანების უფროსმა ნარსიას.

— არის! ახლავე გავეშურო და მოვიყვანო მზვერავი ამხანაგები...

გაიმეორა ბრძანება ნარსიამ, შებრუნდა ზურგისაკენ, ცირკის არტისტივით მოევლო ზურგზე ჩუმაკის ხელით „მირთმეულ" ცხენს, ნისლისფერსა და კანჭებმაღალს, დასძრა ადგილიდან.

ის-ის იყო, რომ მთელი სისწრაფით უნდა გაეშვა ცხენი ნარსიას, მედვედევმა შეაჩერა და უბრძანა:

— ამხანაგო ნარსია! როცა გამობრუნდებით, ტყე-ტყე იარეთ დიდი გზის გასწვრივ, დაზვერეთ დიდი გზა, თუ ვერაფერი დაინახოთ მნიშვნელოვანი, არ დაიგვიანოთ.

გაიმეორა ნარსიამ ბრძანება მედვედევისა, დეზი ჰკრა ცხენსა და მოზიდა სადავე. გაბრაზდა თავნება ცხენი, კბილები გაახრჭიალა ლაგამზე, აიყალყა თავმოდრეკილი, ცხენზე ამხედრებულ ქანდაკებას დაემსგავსა პარტიზანი. გაჯიუტებულ ცხენს ახლა ორივე დეზი აგემა ნარსიამ, სადავე კი მაინც მაგრად მოზიდა, დაეშვა წამიერად აყალყული ნისლა და სამეგრელოში, სოფლად გაზრდილი ჭაბუკი ამ დროს ჰგავდა წმიდა გიორგის, როცა იგი რაშზე ზის და მახვილით ჰკლავს გველეშაპს.

„ჰაიტაა!" — დასჭყივლა მხედარმა, ეწადა დათხილი გაეშვა თავისი „მერანი". თვალი მოჰკრა რუს ქალიშვილს — შურა შეპილოვას, ამჯერად უფრო მძლავრად მოზიდა სადავეს და შეჩერდა.

შურა შეპილოვა თავისტოლ ორ მეგობარ ქალიშვილს შუა იჯდა, იისფერი ცხვირსახოცი ეჭირა ხელში, ზედ წითელი ძაფით, ერთადერთი სიტყვა «Жото» და 1943 წ. ამოექარგა.

ეს იყო ჭაბუკ ნარსიას სახელი — „ჯოტო".

ქალიშვილები თან საქმიანობდნენ და ოდნავ გაბზარული ხმით თან მღეროდნენ: «Широка Страна моя родная»!...

ვაჟებიც ცალკე ისხდნენ, თავთავიანთ იარაღებს უკირკიტებდნენ და ბანს აძლევდნენ ქალიშვილებს.

მეგარმონე პარტიზანი თავის გარმონს აჟღარუნებდა მოკრძალებით.

კოლკა ჩუმაკი მეგარმონის ახლოს ჩაცუცქულიყო და ეხვეწებოდა: ე, ბიჭო, დაუკარი გოპაკი, ერთს ჩამოვუვლი, არ ეწყინება ბატკოსო.

ჯოტო ნარსიამ ტყეში, პარტიზანობის დროს გაიცნო კიევში მცხოვრები რუსი ქალიშვილი, დედით უკრაინელი ბოშურთვალებიანი, წაბლისფერკულულებიანი შურა შეპილოვა. შეპილოვას მოხუცი მშობლები და მილიციელი ძმა ჰყავდა, შურამ და მისმა ძმამ მშობლები მიატოვეს და კიევიდან გაიქცნენ, ძმა პავლიკ შეპილოვი ცნობილი მზვერავი იყო, გერმანელებმა ჩაიგდეს ხელში, ხელყუმბარა ესროლა გარსშემორტყმულ მტრებსა და მერე ტყვია იკრა შუბლში.

ტყვეობიდან თავდაღწეული ნარსია პარტიზანულ რაზმში დაუახლოვდა შურა შეპილოვას, მაშინ ქალიშვილი უკვე გამოცდილი პარტიზანი იყო. გარდა თავისი მშვენიერი გარეგნობისა, გულთბილი შეხვედრითა და მოპყრობითაც შეუყვარდა იგი ჩამოფლეთილსა და ბანაკში განაწამებ ნარსიას. შურა შეპილოვასაც იგივე გრძნობა დაეუფლა, თანაუგრძნო, ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს და დადეს პირობა: ომის დამთავრების შემდეგ შეერთებულიყვნენ.

სადაც არ უნდა ყოფილიყო ნარსია,

ყველგან შურა შეპილოვას ბოშურად მოელვარე თვალები მატებდა ძალ-ღონეს, ბრძოლის დროსაც კი ვერ ივიწყებდა, ყოველთვის ერთად იბრძოდნენ, ვაჟი სულ იმის მოლოდინში იყო, ერთი დღე მაინც ყოფილიყვნენ ერთად თავიანთ ნება-სურვილზე, ვაჟს ეწადა: გაეხადა ქალიშვილს მამაკაცური უხეში ქურქი, შინიდან გამოყოლილ ბრდღვიალა ყვავილებიან გულამოჭრილ კაბაში ეხილა და ეცქირა, როგორ ელაციცებოდნენ ქალიშვილის გადატკეცილ მკერდს მისი წაბლისფერი კულულები.

ნარსიამ ერთი შეავლო თვალი საქარგავზე თავდახრილ შეპილოვას, რაღაც უნდოდა ეთქვა, ქალების ცნობისმოყვარე თვალებს წააწყდა. შერცხვა.

შეპილოვა მაინც განაგრძობდა სიმღერას, ოღონდ ხმას დაუწია, თავი აიღო, უვნებელი ქალური თვალთმაქცობით გაუღიმა, განგებ შეჰყარა გადაწოლილი წარბები, თვალებში კი მაინც გაუკრთა სხივი ალერსისა.

ნარსიამ დეზი ჰკრა ცხენს, სადავე მიუშვა, გააქროლა და თან გაიყოლა, გაიტაცა ქალიშვილის ალერსიან თვალთა ციმციმი.

მიჰქროდა თავდავიწყებული ჭაბუკი, მიჰქროდა, ქალიშვილი უკან მოიტოვა და მაინც მისკენ მიისწრაფოდა და რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა, მით უფრო შორდებოდნენ ჭაბუკს ქალიშვილის ალერსით მოციმციმე თვალები.

* * *

შაბათ საღამოს, კარგად შეიარაღებული და დანაყრებული პარტიზანები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ სოფლის მისადგომებს. მოსალოდნელი იყო თავდასხმა ტყეში ჩასაფრებული გერმანელებისა. წინა დღით დაზვერილი ადგილმდებარეობანი როდი იყო საიმედო. ამიტომ გასვლის წინ, იმ დღეს, ერთხელ კიდევ დაზვერეს შემოგარენი ტყისა, წინ მიდიოდნენ მზვერავები პარტიზანთა რაზმის დაშორებით, მერე მიდიოდა სამზარბაზნიანი პატარა არტილერია, მერე ქვეითნი და სულ ბოლოს — ცხენოსანთა ასეული განგებ მოაქცია ბრძოლებში გამობრძმედილმა ბატკომ, რადგან ზედმიწევნით ფრთხილად უნდა ევლოთ, რაც შეიძლებოდა უხმაუროდ უნდა დაახლოებოდნენ სოფელს, არ უნდა გაესწროთ არტილერიისა და ქვეითთათვის. სულ ბოლოს მოქცეულ ცხენოსანთა ასეულს, ძალაუნებურად უხდებოდა ნელი სვლა, არც ცხენთა ფლოქვების თქარუნი იქნებოდა მტრისთვის გასაგონი. ცხენები ნაბდებით ჰყავდათ „დაჭედილი“. ნაბდები ჰქონდათ ფეხებზე შემოხვეული, როცა საჭირო იქნებოდა, დაწინაურდებოდნენ ჯერ ცხენოსნები და მერე არტილერია.

ხუთასი კაცი რკინიგზის მისადგომთან დააბანაკა პარტიზანების უფროსმა. როგორც ბორის ბონდარენკო წერდა წერილში ბატკოს, როცა ეკლესიის ეზოში მდგარი ცაცხვიდან მაშხალა ავარდებოდა, „დაჭედილი“ ცხენებისთვის ნაბდები უნდა შემოეხსნათ ფეხებზე, რაკი სოფელში შეიჭრებოდნენ, საბრძოლო ყიჟინასთან ერთად, ცხენთა ფლოქვების თქარათქურიც თავზარდამცემი ყოფილიყო მტრისთვის.

თხუთმეტი კაცი რკინიგზის ასაყრელად იყო დანიშნული, ოღონდ კი მისდგომოდნენ ასაყრელად, რკინიგზის აყრა ხმაურს არ გამოიწვევდა.

კიდევ დაუახლოვდნენ სოფელს, გერმანელთა შეჯავშნული მანქანების ხმაური ყრუდ გაისმოდა დიდ გზაზე და მაინც აღწევდა პარტიზანებამდე. გზის პირას ჩასაფრებულმა მზვერავებმა უჯავშნო მანქანები შენიშნეს, მერე კიდევ გაისმა რახრახი სხვა მანქანებისა, მაგრამ დიდ გზაზე აღარ გამოჩენილან.

— შესაძლოა, განგებ რახრახებენ მანქანები, — ჩაუჩურჩულა უფროსმა მზვერავმა ბერეზინმა ამხანაგ მზვერავს.

— კი, შესაძლოა, უსათუოდ განგებ არახრახებენ, რადგან წინ წამოწევას ვერ ბედავენ, პარტიზანებს აშინებენ განგებ რახრახით. გერმანელები არ შე-

მოვლენ ამ დროს ტყეში, თუ გაბედეს შემოსვლა, ფსიქიური იერიშის მოსატანად შემოვლენ და ისევ მალე გაბრუნდებიან, — პირი მიადო ყურზე და ამხანაგმა მზვერავმაც ჩაუჩურჩულა.

გაბრუნდნენ სოფლისკენ დიდი გზის მზვერავი გერმანელების მანქანები და ჩასაფრებულმა პარტიზანებმა ვეღარ გაარკვიეს: შეჯავშნული მანქანების ხმაური ისმოდა თუ იმ მანქანებისა მათს შემდეგ რომ გამოჩნდნენ.

ცოტა ხანს კიდევ უსმენდნენ მზვერავები მანქანების ხმაურს, მერე გამობრუნდნენ და შეატყობინეს სოფელს დაახლოებულ პარტიზანებს.

მოუსმინა პარტიზანების უფროსმა, წამიერად დაფიქრდა და უბრძანა: გაბრუნებულიყვნენ, ისევ განეგრძოთ თვალთვალი დიდი გზისა. კიდევ გააყოლა მათ სამი მზვერავი, მთელი თავისი რაზმი კი არ უნდა დაძრულიყო ადგილიდან, სანამ არ მიუტანდნენ ახალ ცნობებს. თუკი ახალი ცნობების მიღებამდე ავარდებოდა მაშხალა ეკლესიის ეზოში მდგარი ცაცხვიდან, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, უნდა შეჭრილიყვნენ სოფელში, რკინიგზის ამყრელები კი ადგილზე დარჩებოდნენ, თუ მოაგვარებდნენ რკინიგზის საქმეს, ისინიც უნდა შეჭრილიყვნენ სოფელში.

ბატკომ და მისმა პარტიზანებმა ისიც კარგად იცოდნენ: სოფლის კლუბში გამართულ ნადიმზე მიწვეული იყო მხოლოდ ორმოცდაათი გერმანელი ოფიცერი, იქნებოდნენ აგრეთვე დაბალჩინიანი გერმანელებიც, მათი რიგითი ჯარისკაცებიც, აგრეთვე მათი მომსახურე უკრაინელი ქალებიცა და მამაკაცებიც, სუფრაზე თუ არ მოისვამდნენ გვერდით დაბალჩინიან თანამემამულეებსა და უკრაინელებს, სხვა საქმისთვის ხომ იქნებოდნენ საჭირონი!

უკრაინელები გაფრთხილებული იყვნენ კლუბის ამფეთქებლებისგან, ანიშნებდნენ მოთვალთვალენი და ერთბაშად გაეცლებოდნენ.

რაოდენობა ნადიმის მონაწილეებისა შეიტყო კლუბის დამლაგებელმა ნიუნცა კიპარენკომ, როცა ნადიმისთვის დანიშნულ დღეს, საღამოთი კლუბში შევიდა და დაინახა სანადიმოდ გაშლილი სუფრა, თვალი მოჰკრა დანომრილ სკამებსა და სკამების ზურგზე გერმანულ წარწერებს. დამლაგებელმა არ იცოდა წერა-კითხვა გერმანულად, მან მხოლოდ წყლის, ცოცხის, იატაკის საწმენდი ტომრის, ჩვრისა და სხვა ამის მსგავსი მისთვის საჭირო ამდაგვარი სიტყვები ისწავლა გერმანელების ხელში. კიპარენკოს ქმარი — ოლექსა კიპარენკო კლუბისა და ოფიცერთა საცხოვრებელი სახლის მონტიორად მუშაობდა. ერც მას გაეგებოდა რაიმე გერმანული ენისა, ოლექსა კიპარენკომ მოიყვანა გერმანული ენის მასწავლებელი ირინა არხიპოვნა, ვინც იძულებული გახადეს თარჯიმნად „ემსახურა“ გერმანელებთან.

ღიმილით, თამამად შევიდა კლუბში ირინა არხიპოვნა, როცა გერმანელი ჯარისკაცები ელაზღანდარებოდნენ უკრაინელ ქალიშვილებს, საქმისთვის კი ვერაფერს აგებინებდნენ ხეირიანად. გერმანელ ჯარისკაცებს კიდეც გაუხარდათ თარჯიმან ირინა არხიპოვნას დანახვა.

— გუტენ აბენდ! — მიესალმა გერმანელ ჯარისკაცებს ირინა არხიპოვნა და შეათვალიერა ყველანი.

— გუტენ აბენდ! — შეთანხმებულებივით ერთხმად უპასუხეს ჯარისკაცებმა.

— ბიტე! ბიტე! ფრაუ ირენ! —

ზრდილობიანად მიმართა მათ უფროსად დანიშნულმა ერთმა ჯარისკაცმა და სთხოვა თარჯიმანს ეთქვა უკრაინელი ქალიშვილებისთვის კარგად დაეგვათ, დაესუფთავებინათ ეზო კლუბისა, მერე მოეზიდათ წყალი, სანიმუშოდ მოერეცხათ კლუბის ფოიები და დერეფანი, სხვა საჭირო საქმეებზეც მიეთითებინა, დანიშნული დროისთვის კი დაუგვიანებლად გამოცხადებულიყვნენ კლუბში და უნტერ-ოფიცერ მორშის

განკარგულებაში მყოფნი, შინ არ უნდა წასულიყვნენ უნებართვოდ.

თარჯიმანობა რომ მოათავა ირინა არხიპოვნამ, ჩაუარა გაშლილ სუფრას, დაათვალიერა ყურადღებით, ყვავილებიანი ლარნაკები აალაგა მაგიდიდან ერთ-ერთი გერმანელი ჯარისკაცის დახმარებით, კოხტად ჩაამწკრივა სარკმელთა რაფებზე. მხოლოდ ერთადერთი დიდთაიგულიანი ლარნაკი შეარჩია და დატოვა სუფრის შუაგულში დასამშვენებლად, რადგან ზედმიწევნით ინტელიგენტმა ქალმა იცოდა, რომ ნადიმისა თუ ჩვეულებრივი სადილის დროსაც, მაინცდამაინც როდია მიღებული და სასურველი ვარდ-ყვავილები, ამ საქციელით მან ახალშემოსული გერმანელის — სუფრის გაწყობის ხელმძღვანელის — უნტერ-ოფიცერ გიუნთერ მორშის მადლობა დაიმსახურა.

ნადიმის ყველა მონაწილის ნომერი, სახელი და გვარი იყო აღნიშნული თითოეული გერმანელისთვის განკუთვნილ ადგილზე. ცისფერი ვერძეს ოვალური ქაღალდების ეტიკეტები იყო მიკრული სკამებზე.

სუფრის თავში, ფრიად საპატიო ადგილას იდგა მუქწითელხავერდგადაკრული გამოსარჩევი სავარძელი. ეს იყო № პირველი სკამი, თუმცა სკამის ზურგზე არ იყო ნომერი აღნიშნული, არც სახელი და გვარი. ძნელი მისახვედრი როდი იყო, № პირველი სკამი ადოლფ ბერგისთვის იყო დადგმული, ვისთვისაც ნადიმი უნდა გამართულიყო მისი დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავად.

მხარმარცხნივ, მაგიდის მეორე მწკრივში, № მეორე სკამზე აღნიშნული იყო სახელი და გვარი შტაბის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსის — ვალტერ ბრუნერისა, მერე ფერდინანდ შრედერისა — ეს გახლდათ უფროსი შტაბის ოპერატიული განყოფილებისა. შტაბის უფროსის მოადგილე — გუსტავ ბლაიბერგის სკამი № 49-ე იყო, როცა დაიკავებდა ბლაიბერგი თავის ადგილს, მაგიდის მეორე მწკრივში მოხვდებოდა ადოლფ ბერგის გვერდით.

ამდაგვარი წესით იყო დანიშნული და განაწილებული ყველა სკამი.

კლუბის სცენაზე დაეკიდებინათ ნაციზმის შავსვასტიკიანი დროშა, სვასტიკაზე ფრეთბგაშლილი არწივი იჯდა და აბრიალებდა ბოროტ თვალებს.

თარჯიმანი ირინა არხიპოვნა პირველად როდი ხედავდა ნაციზმის მუქწითელ დროშას, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხვედრია თვალში სამშობლოს დროშის ნაცვლად დაკიდებული მტრის დროშა. ნაცვლად თვალის არიდებისა, ირინა არხიპოვნა დაჟინებით უცქერდა, ხანდახან მოირიდებდა თვალს, ჭერს მიაპყრობდა, თვალში აღბეჭდილი შავი სვასტიკა ისახებოდა თეთრ ჭერზე.

ისევ გაექცა თვალი დროშისკენ, მოეჩვენა: ქვეწარმავალივით დაიკლაკნა დროშის კალთაზე შავი სვასტიკა, ბორბალივით დატრიალდა და ზედ დამჯდარ ფრთებგაშლილ თვალებბრიალა არწივთან ერთად გადაეშვა უფსკრულში.

„სასწაულია! Що боже, ты мий Господе!“ აღმოხდა უკრაინელ ქალს ირინა არხიპოვნას, ჭერს მიაპყრო თვალი. აღარ გამოისახა ჭერზე თვალში აღბეჭდილი სვასტიკის ანარეკლი, პირჯვარი გადაიწერა, ათეისტ ქალს დიდი ხნის დავიწყებული ღმერთი დასჭირდა და შეჰღაღადა:

„ღმერთო, მამაზეციერო ღმერთო! ისე ნუ მომკლავ რომ ვეღარ ვიხილო, ვეღარ ვეღირსო ვიხილო ჩემი სამშობლოს დროშა. გევედრები: მაღირსე მისი ხილვა, ვეამბორები მის უწმინდეს კალთას, ვეამბორები და მერე თუნდაც სამუდამოდ დავტოვო ეს არეული, უსამართლო და გაუტანელი წუთისოფელი“.

მარტო დარჩენილ დედას ლენინის ქალაქში მცხოვრები გათხოვილი ქალიშვილი და ომში წასული ოფიცერი ვაჟები დაუდგნენ თვალწინ, დღიდან

ომის დაწყებისა, არავითარი ცნობა არა ჰქონდა შვილებისგან.

სანადიმო დარბაზის კუთხეში იჯდა ირინა არხიპოვნა, დამნახველი იფიქრებდა: ეს ქალი გაშლილ სუფრას გასცქერის და მის ავ-კარგიანობაზე ფიქრობსო.

მართლაც ასე ეგონა ახალშემოსულ სუფრის გაწყობის ხელმძღვანელს — უნტერ-ოფიცერ მორშს, სუფრას შემოუარა გარშემო, მერე უკან დაიხია, გაჰხედა, დაფიქრებულ ირინა არხიპოვნას მიუბრუნდა და უთხრა:

— ჰერლიხ, ვას?[1]

— ია, ია, ზერ ჰერლიხ![2]

ნაძალადევი ღიმილით მიუგო ირინა არხიპოვნამ.

მორშმა ფეხაკრეფით ჩაუარა სუფრას მხარმარჯვნივ და გავიდა დარბაზიდან უკრაინელი ქალიშვილებისკენ გაემართა ქალების მსუნაგი ახალგაზრდა გერმანელი.

ირინა არხიპოვნამ ლასლასით დასტოვა კლუბის დარბაზი, შინ მისვლამ და შტაბიდან გამოგზავნილი გერმანელი შიკრიკის მოვარდნამ გამოიყვანა ბურანიდან. შტაბის უფროსი მოითხოვდა: სასწრაფოდ გამოცხადებულიყო თარჯიმანი შტაბში, კოშმარულ სიცხადეში დაბრუნებული, გაფითრებული გაეშურა შტაბისკენ.

* * *

სრულიად არ ფიქრობდა პარტიზანების უფროსი დაეჭირა ორი კურდღელი. უსარგებლო მეოცნებე როდი იყო მაქსიმ ემელიანოვიჩი. ნაბრძანები ჰქონდა: როცა ეშელონის საქმეს მოვაგვარებთ, და მერე მაშხალით გვანიშნებენ, სოფელში უნდა შევიჭრათო. თან ვარაუდობდა: გერმანელ ოფიცერთა ღრეობა, დილამდე თუ არა, გვიანობამდე მაინც გასტანდა.

ერთ ჯგუფს რკინიგზის აყრა ევალებოდა, სოფელში რომ შეიჭრებოდნენ, მეორე ჯგუფს სურსათ-სანოვაგის საწყობი უნდა აეფეთქებინა, მესამე ჯგუფს — გერმანელთა იარაღების საწყობი, ათასი პარტიზანი სოფელს უნდა დასხმოდა, კლუბის აფეთქებას ბორის ბონდარენკო ხელმძღვანელობდა. ეს უკვე მესამე კი არა, რამდენიმე კურდღლის დაჭერა გამოდიოდა.

მზვერავებმა გაქაფული ცხენები მოაგელვეს და პარტიზანების უფროსს ამცნეს: რკინიგზას არა ჰყავს დიდი დაცვა, მაგრამ სადაც რკინიგზა უნდა აიყაროს, იქვე ჯიხური დგას, მას ორი გერმანელი გუშაგობს, დანარჩენი გუშაგები, ვინ იცის, რამდენი კაცი იქნება, ჯიხურში არიან, ხორხოცობენ, შესაძლოა, ბანქოს თამაშობენ, წამოძახილებზე ემჩნევათ, სინათლე არა სჩანს, შუქშენიღბულია ჯიხური.

— გაბრუნდით ახლავე და კიდევ გაგყვებათ ოცდახუთი კაცი, მოაგვარეთ ეშელონის საქმე! — ბრძანა ბატკომ, ფოსფორით განათებულ მაჯის საათზე დაიხედა და დასძინა: უკვე თერთმეტი საათია.

— არის! მოვაგვაროთ ეშელონის საქმე! სულმოუთქმელად გაიმეორა ბრძანება უფროსმა მზვერავმა ბერეზინმა, გაბრუნდა და გაჰყვა უკან წინასწარ გამოყოფილი ოცდახუთი კაცი, ხუთი ცხენოსანი და ოცი ქვეითნი, მათ შორის, ჯოტო ნარსია და შურა შეპილოვა, არკადი ნოვიკოვი და ტანიუშა ივანცოვა.

სიამით აძგერდნენ შეყვარებულ წყვილთა გულები.

ერთმანეთს არ შორდებოდნენ დაწყვილებული ქალ-ვაჟები.

კიდევ უფრო მეტად საყვარელი გახდა მათთვის პარტიზანების უფროსი, თუმცა მათს დაწყვილებაზე არც ბატკოს უფიქრია და არც პარტიზანების განმანაწილებელ რაზმის მორიგეს.

ჯერ ცხენები შეახამეს შესაფერის ადგილზე და როცა ქვეითად მიმავალი პარტიზანებიც მათთან გაჩნდნენ, დაწინაურდა უფროსი მზვერავი ბერეზინი,

[1] მართლაც მშვენიერია! (გერმ.).

[2] დიახ, დიახ, ძალზე მშვენიერია! (გერმ.).

მას ოთხი კაცი მიჰყვა უკან, დაუახლოვდნენ და ხოხვით გაემართნენ ჯიხურისკენ, დანარჩენები ცოტა მოშორებით შეჩერდნენ და გაინაბნენ.

ჯოტო ნარსია და შურა შეპილოვა გვერდი-გვერდ იწვნენ, ვაჟს ხელი გადაეხვია ქალიშვილისთვის, შეპილოვას სიამეს ჰგვრიდა ჭაბუკის მძიმე უხეში ხელი. ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი და მაინც სდუმდნენ.

— შურკა! ხომ არაფერი გაწუხებს? ძალიან გეშინია?

გაბედა ხმის ამოღება ნარსიამ, ჩურჩულით უთხრა, ხელი მოუჭირა ხელზე, კიდევ მიიტანა ტუჩ-პირი შეპილოვას ყურთან, არ იცოდა, რა ეთქვა. ქალიშვილის თმის კულულები ელაციცებოდა სახეზე, მისი თავბრუდამხვევი სუნი უჩქროლებდა ჭაბუკურ სისხლს, ბედნიერი იყო და მეტი რაღა უნდოდა!

— როცა შენთან ვარ, არაფრისაც არ მეშინია, ახალი პარტიზანი რომ ვიყავი, მაშინ კი მეშინოდა, იმიტომ, რომ მარტო ვიყავი, — ზედ ყურზე მიადო წამობურცული ტუჩები ვაჟს და ჩაუჩურჩულა.

ჯერ წალეკა უტკბილესმა გრძნობამ ნარსია, მერე კი ისეთი ძალ-ღონე იგრძნო, გაშმაგებული ვეფხვისაც არ შეეშინდებოდა.

დამატებით გამოყოფილი ოცდახუთი კაცი ორ ჯგუფად გაიყო, არკადი ნოვიკოვი პირველ ჯგუფში მოხვდა, ტანიუშა ივანცოვა რომ მის გვერდით წოლილიყო, ჩაუჩურჩულებდა: მხოლოდ ერთხელ გაკოცებ და სხვას არაფერსა გთხოვო.

ძლივს გასაგონი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ პარტიზანები, წყნარად გაჰქონდა ლიწინი მათს მკერდებ ქვეშ წვრილ-წვრილ ჩხირებს.

კიდევ წაიწიეს წინ მოთვალთვალე მზვერავებმა, დაუახლოვდნენ ჯიხურს, გულ-მკერდით განერთხნენ მიწაზე, გაინაბნენ, თითქოს არაფერი უშლიდათ ხელს, გარდა აირწინაღისა, რაშიაც ინდივიდუალურ პაკეტებს ინახავდნენ: ბანდებს, იოდსა და სხვა ამდაგვარ მედიკამენტებს. „ო“ ეს ოხერი აირწინაღი, ნეტავ რა საჭიროა, ბომბ დავანარევთ? დავწვებით აირწინაღი დაგვასწრებს მიწაზე დაცემას, ავდგებით, აგვყვება, გავრბივართ, თეძოზე გვიბრაგუნებს,“ —ასე ამბობდა ფრონტზე ყველა ჯარისკაცი და მაინც არ იშორებდნენ აირწინაღებს.

ასე ფიქრობდნენ ჯიხურის მოთვალთვალე პარტიზანებიც.

დიდხანს არ წოლილან და მაინც ეტკინათ გულ-მკერდი. წინ დაიდეს აირწინაღები, ზედ დაეყრდნენ გულ-მკერდით, საყვარელ არსებასავით მოეხვივნენ მკლავებით. აი, ხომ გამოადგათ ეს „ოხერი“ აირწინაღები!

სანამდე უნდა წოლილიყვნენ? დრო არ ითმენდა, ვერ ისვენებდნენ, გახოხდებოდნენ და გაინაბებოდნენ, გახოხდებოდნენ და გაინაბებოდნენ.

მთვარიანი ღამე იყო.

ღრუბლები მაინც მორეოდნენ ცას. აქა-იქ რილო-ჭრელო ღრუბლები დასცურავდნენ, მთვარე უფრო სწრაფად დასცურავდა, გაუსხლტებოდა ხოლმე ხელიდან ღრუბლებს, გაიმინდვრებდა, ისევ გასცურავდა, შეძვრებოდა ღრუბლებში და იმალებოდა პარტიზანივით.

ცოტა კიდევ რომ დაუახლოვდნენ, ნაცვლად ორი კაცისა, მზვერავებმა კარგად დაინახეს ჯიხურის მოშორებით მდგარი ოთხი გუშაგი.

— მადლობა ღმერთს ძაღლი რომ არა ჰყავთ, თორემ...

ჩაუჩურჩულა ამხანაგმა ბერეზინს.

— აბა! ძაღლი რომ ჰყავდეთ, ასე ახლოს მისვლა ვის შეეძლო! — ჩურჩულითვე მიუგო ბერეზინმა და დასძინა. ძაღლები ფრონტზე გაუგზავნია ჰიტლერს, ჯარისკაცები არ მყოფნისო. რა დროს ხუმრობა იყო და მაინც გაიხუმრა ოხუნჯობის მოყვარულმა ბერეზინმა.

ჯიხურის მცველი გუშაგები მათკენ კი არ წამოსულან, უკან გაბრუნდნენ, ჩასაფრებულმა პარტიზანებმა აღარ იცოდ-

ნენ, ჯიხურს ამოეფარნენ თუ სად გაჰ-ქრნენ!

„ო, მე მაგათი დედა...“ თავისთვის დაგუბებული ხმით თქვა და შეიგინა მეორე მზვერავმა ზერნოვმა, ბერეზინი-სკენ მიიწია და ჩაუჩურჩულა; შენ რა გგონია, ფრონტზეც კი ჰყავთ ძაღლები ფრიცებს, ღმერთმა დაგიფაროს მათი მგელძაღლასაგან, თუ ვერ მოასწარი სროლა, მოიგერიებ, მოისყიდი თუ რას იზამ?

— აბა!

— ცოტა კიდევ წავიწიოთ წინ, რომ წავიწიოთ და გამოჩნდნენ, ოთხივეს მოვკლავდით, — ჩაუჩურჩულა სნაიპერმა მზვერავმა სნაიპერ ამხანაგს.

ცოტა კიდევ მოვიცადოთ და ვნახოთ!

ჩურჩულებდნენ და თვალს არ აშორებდნენ ჯიხურს თვალებგაფართოებული პარტიზანები.

რაღაც ღამის ფრინველი აფრინდა რკინიგზის ახლოს მდგარი ხიდან, ფრთების უხმო შრიალით გადაუქროლა თავზე ჯიხურსა და გაუჩინარდა. მერე ჭოტის კივილი გაისმა: „წოუ“, ჭოტმაც გადაუქროლა ჯიხურს, ძირს დაეშვა, მინდვრის თაგვი აიტაცა და ააწრიპინა.

მსუბუქი ქარი ჰქროდა, მშვიდად შრიალებდნენ ჯიხურის გარშემო მდგარი ხეები, უღრანი ტყე კი გუგუნებდა ყრუდ, გულზვიადად.

— რატომ აღარ გამოდის ხმა ჯიხურიდან? ხომ არ დაიძინეს?

— რა ვიცი, შესაძლოა.

გამოჩნდნენ ჯიხურის მცველი გუშაგები.

სული განაბეს პარტიზანებმა.

ორი მათგანი ჯიხურში შევიდა, ორი კი ადგილზე დარჩა. არც იმდენად ჩუმად ლაპარაკობდნენ. განშორდნენ ერთმანეთს და ბოლთას ცემა დაიწყეს ჯიხურის გასწვრივ, ხან გარშემო უვლიდნენ ჯიხურს, ბოლთას ცემის დროს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიემართებოდნენ, ერთად შეყრის დროს თითოოროლა სიტყვას მიუგდებდნენ ერთმანეთს და კვლავ განშორდებოდნენ. განაგრძობდნენ ბოლთას ცემას. რამდენჯერმე გავლა-გამოვლის შემდეგ, ერთად რომ შეიყარნენ, კი აღარ განშორებულან, ერთმა მათგანმა, მაღალმა ახალგაზრდამ გააცილა ჩასკვნილი ხანში შესული კაცი, პარტიზანებისკენ წამოვიდნენ და იმდენად დაუახლოვდნენ მათ, რომ არამც თუ ტყვიით, ხანჯლებითაც შეიძლებოდა მათი მოკვლა. ოღონდ საჭირო იყო ერთი ფოცხვერისებური ნახტომი.

სროლა არ შეიძლებოდა. ეშელონის ჩამოვლამდე ჯერ დიდი დრო იყო დარჩენილი.

ამ დროს სუფრას უსხდნენ გერმანელი ოფიცრები და მათი მხიარული აურზაური ყრუდ ესმოდათ კლუბის დარბაზიდან ნადიმის დამხმარე დაბალჩინიან გერმანელებსა და უკრაინელებს.

ჩვენი ქვეყნის ბომბდამშენები მრისხანედ მიიწევდნენ კიევისა და გორენკოების სოფლისკენ, ერთი სული ჰქონდათ დაებერტყათ ყუმბარებით სავსე კალთები მტერმოყვარეთა თავზე.

გალიაში დამწყვდეული ლომივით ბორგავდა პარტიზანების უფროსი ბატკო, ბოლთასა სცემდა, აწყდებოდა არა რსებულ ჯებირებს, ანგრევდა და ისევ განაგრძობდა ბოლთას ცემას, ხან ჯდებოდა, ვერ ჩერდებოდა დამჯდარი, წამდაუწუმ დასცქეროდა ფოსფორით განათებულ მაჯის საათის ციფერბლატს, გამაღიზიანებლად და საოცრად „ჩქარა“ მუშაობდა მისი საათი, ეშელონს ღამის ორ საათზე უნდა ჩამოევლო, ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო დარჩენილი ეშელონის ჩამოვლამდე და მაინც ვერ ისვენებდა პარტიზანების უფროსი.

გარდა კომისარ დროზდოვისა, დალაპარაკებას ვერავინ უბედავდა ბატკოს, კოლკა ჩუმაკი კი ანგარიშში ჩასათვლელი არ იყო, თვალს არ აშორებდა თავის სათაყვანო კაცსა და თუ გამოელაპარაკებოდა ჭკვიანურად და დამამშვიდებლად.

ჩასაფრებული პარტიზანების ახლოს მდგარი გერმანელი გუშაგები უკან კი

აღარ გაბრუნებულან, იდგნენ და ლაპარაკობდნენ: იგონებდნენ სამშობლოს, ცოლ-შვილს, ახლობელ ადამიანებს.

ისე ჰქონდათ ყურთასმენა გამახვილებული ჯიხურისა და გუშაგების მოთვალთვალე პარტიზანებს, რომ თაგვის უსუსური ღლაპის ფაჩუნ-წრიპინიც კი არ გამოეპარებოდათ. მათი ლაპარაკიდან კი ერთი სიტყვაც ვერ გაიგეს.

„ო, მე მაგათი ენა!..“

თევა გულში ბერეზინმა და წამოიწია.

ამხანაგმა მზვერავმა ზერნოვმა ხელის ხელზე მოჭერით ანიშნა, არ მოუწონა ბერეზინს ოდნავი წამოწევაც.

დაემორჩილა ბერეზინი, მაგრამ აღარც დაყოვნება შეიძლებოდა, ანიშნა ამხანაგს და ორმა ლაპლაპა რევოლვერმა გველის თავებივით წამოჰყვეს ლულები. გაშეშდნენ გერმანელი გუშაგები, ვერც გაქცევა შესძლეს და ვერც ხმის გაღება. ვერც ხმარება იარაღისა. ანკი ვისთვის უნდა ეხმარათ იარაღი, როცა ვერაფერს ხედავდნენ გარდა თავაღერილი რევოლვერების ლულებისა და ისე მოინუსხნენ, თითქოს თავდასასხმელად შემართული გველი დაენახოთ.

„ჰენდე ჰოხ!“[1]

თითქმის ერთად შესძახეს პარტიზანებმა, უფრო მომნუსხველად ააღირეს თავები და მთვარი შუქზე დამაბრმავებლად გაიელვეს შავმა რევოლვერებმა.

შიშით გაოგნებულმა გუშაგებმა ერთმანეთს ჩაავლეს ხელი და მათაც ერთად აღმოხდათ:

„ჩვენ რუმინელები ვართ!“

წამოხტნენ იარაღებმომარჯვებული პარტიზანები და ბერეზინმა შესძახა:

„ჰალტ!“[2]

თუმცა არც ერთი მათგანი არ აპირებდა *გაქცევას*.

რუმინელ გუშაგებს აღარ ესაჭიროებოდათ პარტიზანების გაფრთხილება, სიმწრით გაიღიმეს და ისე ასწიეს ხელები, თითქოს მძიმე ტვირთი ჰკიდიათ, ან სტკივათ მკლავებიო.

რკინიგზის მცველი რუმინელი გუშაგები უკვე პარტიზანების მონა-მორჩილნი იყვნენ, აღარც ფიქრობდნენ განსხლტომოდნენ ხელიდან. ისინი ვეღარასოდეს ვეღარ შეეხებოდნენ თავიანთ რევოლვერებსა და მხრებზე გადაკიდებულ ავტომატებს. მხარმარცხნივ დაკიდებული, დაჩლუნგებული მათი ხანჯლები კი სთვლემდნენ ბნელ ქარქაშებში.

ხანში შესულმა რუმინელმა დააპირა რაღაც ეთქვა, ბერეზინმა ხელის გული გადააფარა პირზე, არ გააღებინა ხმა, ანიშნა გაჰყოლოდნენ, ზერნოვი წინ გაუშვა, შუაში ტყვეები ჩაიყენეს და დაშორდნენ ჯიხურს, კიდევ წაიწიეს წინ, იმდენად დაშორდნენ, სხვა გერმანელი გუშაგები რომ გამოსულიყვნენ ჯიხურიდან, ძებნა რომ დაეწყოთ, ხმამაღლა თუ არ მოუხმობდნენ, ვეღარ გააგონებდნენ.

მზვერავებს უკან მიჰყოლოდნენ ჯოტო ნარსია და არკადი ნოვიკოვი.

როცა პარტიზანებს იარაღებს აბარებდნენ რუმინელი ტყვეები, ხანში შესულმა რუმინელმა გაწვალებული რუსულით ჩაილაპარაკა:

„ჩვენ რუმინელები ვართ, თუ გნებავთ საბუთებსაც გიჩვენებთ, ჯიხურში კი თერთმეტი გერმანელია, ჩვენ ოთხნი ვგუშაგობდით რკინიგზის ჯიხურს, ორი კაცი ჯიხურში შევიდა, ისინიც გერმანელები იყვნენ, მათ არ შეგვიშვეს ჯიხურში თამბაქოს მოსაწევად.“

— აქ, ახლომახლო, კიდევ ხომ არ არის სადმე რკინიგზის დასაცავი ჯიხური? — ჰკითხა გაწვალებული გერმანულით ბერეზინმა რუმინელს.

— აქ, ახლოს არა, ზევით პატარა მდინარეა, შეიძლება იქ დგანან ხიდის მცველი გუშაგები, — რუმინელმაც გააწვალა რუსული ენა შიშნარევი ღიმილით.

— აქედან შორსაა?

---

[1] ხელები მაღლა! (გერმ.).

[2] სდექ. (გერმ.).

რუმინელმა ორი თითი უჩვენა, რაც ორ კილომეტრს ნიშნავდა.

პარტიზანებსაც ეს უნდოდათ.

ახლა ხუთი კაცი გაემართა ხოხვით ჯიხურისკენ, დაუახლოვდნენ, გაინაბნენ წამიერად, შესაძლო იყო, კიდევ განეგრძოთ დუმილი, ჯიხურის კარი რომ არ გაღებულიყო, კარის გაღება და ორი ყუმბარის შევარდნა ერთი იყო, სამმა პარტიზანმაც იმწამსვე მიაყოლა სამი ყუმბარა. ფოცხვერებივით გადახტნენ ხუთივენი და ამოეფარნენ ბექობს. წამში ნაფოტებად იქცა სახელდახელოდ ნაგები ხის ჯიხური და ნაფლეთებად იქცნენ გერმანელი გუშაგები.

ჯიხურის ამფეთქებლები უკვე სამშვიდობოზე იყვნენ გასულნი და უახლოვდებოდნენ საბრძოლველად მზადმყოფ ამხანაგებს.

რუმინელი ტყვეები ბატკოსა და კომისარ დროზდოვის წინ ისხდნენ, თავიანთ სიგარეტებს ეწეოდნენ, სახის ზრდილობიანი გამომეტყველებით ელაპარაკებოდნენ თარჯიმან ბლუმბერგს, მაგრამ როცა გერმანელებს აგინებდნენ და იხსენიებდნენ სიძულვილით, ზრდილობა ავიწყდებოდათ და ხმას უწევდნენ. დიდი უთანხმოებაა ჰიტლერისა და რუმინელ მეომრებს შორის, რუმინელი გენერლები გულგატეხილნი არიან, იძულებით იბრძვიან, რუმინელებს რუსები ურჩევნიათ გერმანელებსო.

ტყვე რუმინელებს ოღონდ სიცოცხლე შერჩენოდათ და აღარ იცოდნენ რითი მოეგოთ პარტიზანების გული. ისიც ზუსტად უამბეს: რკინიგზასა და სოფლის მისადგომს გაძლიერებული დაცვა ჰყავდა, ერთი ბატალიონი მოხსნეს, სხვა მიმართულებით გადაიყვანეს, რადგან პარტიზანების თავდასხმა სხვა მხრიდან გახდა მოსალოდნელი, ორი დამცველი ბატალიონი კი კიევის დასაცავად სარეზერვო ლეგიონს შეუერთეს, — განაცხადა ახალგაზრდა რუმინელმა. რაკი გაბედა ხმის ამოღება, ხანში შესულ თანამემამულეზე მეტს ლაპარაკობდა ოცი წლის ჭაბუკი და უფრო საინტერესო და საჭირო ცნობებსაც იძლეოდა.

თითქოს სხვა მიმართულებით, რომ გადადიოდნენ პარტიზანები და შორდებოდნენ სოფელს, ასეთი ყალბი ცნობების გავრცელება შესძლო კომისარმა დროზდოვმა. წერილი მისწერა სოფელში არარსებულ მეგობარს. კოლკა ჩუმაკი უნდა შეპარულიყო სოფელში, ისეთ ადგილზე უნდა დაეგდო რაიმე ყურადღებამისაქცევ ნივთში ჩადებული წერილი, რომ უსათუოდ აიღებდა მპოვნელი, გერმანელი პოლიციელი იქნებოდა პატრული, თუ რომელიმე გერმანელი. იმ დღეს გაუჭირვებლად შეაღწია ჩუმაკმა სოფელში, გესტაპოს წინ დაადგა ტყავის ყვითელ ჩანთაში ჩადებული წერილი (უკეთეს საიმედო ადგილს კაცი ვერ იპოვიდა), ბონდარენკო ინახულა, ახალი ცნობები გამოართვა, ადვილად დაბრუნდა რაზმში. ტყავის ყვითელი ჩანთა გესტაპოში მიმავალმა გერმანელმა ფოსტალიონმა იპოვა, გესტაპოელთა უფროსს — ვოლფს გადასცა, ირინა არხიპოვნამ უთარგმნა და მადლობა დაიმსახურა.

სწორედ ამ წერილის შედეგად მოხსნეს რკინიგზას გაძლიერებული დაცვა და დატოვეს ორ საშიშ ადგილზე, როგორც ახალგაზრდა რუმინელმა აღიარა: ერთ პატარა მდინარესთან ხიდზე და მეორე ხრამის ახლოს — ჯიხურთან.

ამ წერილის გაცნობის შედეგად, განგებ, მართლაც მიჩუმდნენ პარტიზანები. გერმანელებს ეგონათ: მართლა გამოიცვალეს ადგილი ამ უბანში მოქმედმა პარტიზანებმაო.

როცა ჯიხური აფეთქდა, ფრთხილი გერმანელი მემანქანე გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს რკინიგზის შემოგარენსა და საშიშ ადგილებს. კარგად დაინახა ჯიხურიდან ავარდნილი ალი, სვლას უკლო და მერე შეაჩერა ეშელონი. პანიკა დაერია გერმანელებს, გადმოცვივდნენ ვაგონებიდან, დაათვალიერეს რკინიგზის გაგრძელება, მაგრამ აფეთქებულ ჯიხურს რომ წააწყდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამშვიდდნენ, თითქოს მთელი უბედურება ჯიხურს დასტეხოდეს თავს და ამით დამთავრებულიყო ყველა საშიშროება.

„ყველანი თავთავიანთ ადგილზე!“

ბრძანა ეშელონის უფროსმა გერმანელმა ოფიცერმა.

დასძრა ორთქლმავალი, თანდათან უმატა სიჩქარეს, ნაცვლად სიფრთხილისა, ცდილობდა: რაც შეიძლებოდა სასწრაფოდ გასცლოდა იმ საშიშ ადგილს. მთელი სისწრაფით, რახრახით მიემართებოდა ეშელონი, ფრონტზე მიმავალი გერმანელები პირჯვარს იწერდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ:

„გოტ ბეშუტცე უნს!“[1]

ორთქლმავლის ბორბლებმა საშიშრად გაიღრჭიალეს, მისი საეჭვო ღრჭიალი ელექტროდენივით ეცა თავზარდაცემულ გერმანელებს, ცოტა მანძილი კიდევ გაიქროლა ორთქლმავალმა და გამაყრუებელი გრიალით გადაეშვა ხრამში, იარაღებითა და ამდენი ხალხით გაჭედილი ვაგონები ერთმანეთს არ აცლიდნენ ხრამში გადახტომას, ერთმანეთს ასკდებოდნენ.

ჯიხურის აფეთქებისა და ეშელონის გადაჩეხვის გრიალი არ გაუგონიათ სოფლის მისადგომის მცველ გუშაგებსა და მორიგე პატრულებს, ისინი ამ დროს თავშესაფრებში იმალებოდნენ.

ახალი დაწყებული იყო სოფლის დაბომბვა.

განგაშის დაწყება და ბომბდამშენთა თავდასხმა ერთი იყო.

შურდულებივით შევარდნენ მონადიმე გერმანელებთან მათი მცველები და აცნობეს სოფლად დატრიალებული ორომტრიალი. სრულიად არ მიუქცევიათ ყურადღება, ბერგმა ხელიც კი აუქნია უფროს გუშაგსა და არც ისურვა ბოლომდე მოესმინა მისი გაფრთხილება. ხუთი ფრთხილი ოფიცერი ოდნავ შეზარხოშებული იყო და რიგრიგობით მაინც გაიპარა სუფრიდან, მერე ორი კაციც მიემატა და თავშესაფარს მიაშურეს.

ნაცვლად მადლობისა, გაწბილებული უფროსი გუშაგი გაკვირვებული გავიდა გარეთ, თავი ვეღარ შეიკავა, საჩვენებელი თითი მიიდო შუბლზე და ჩაილაპარაკა:

„ფორრიკტ მენშ!“[1]

„ასეთი თავდავიწყებული ორგიები მხოლოდ გარდუვალი კატასტროფის წინ იმართება“ — ყველას გასაგონად თქვა მეორე გუშაგმა — ხანში შესულმა გერმანელმა ჯარისკაცმა და პირჯვარი გადაიწერა.

შამპანურის ბოთლებიდან ამოვარდნილ საცობებს მაინც არ შეეძლოთ დაეხშოთ ყუმბარების მეხთა ცემა, სულ ერთი იყო, მაინც ან აქცევდნენ ყურადღებას მათს გვერდითაც რომ აფეთქებულიყო ყუმბარა, არამედ ჩააგდებდნენ.

კლუბის ფოიეს კარი გაიღო და შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსმა — ფერდინანდ შრედერმა ვეებერთელა გაჩირაღდნებული ტორტი შემოიტანა, ტორტის გარშემო 50 სანთელი ენთო.

„ბრავო! ბრავო! ჰერრ შრედერ!“

მიაძახა ბანცალით მომავალ შრედერს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსმა ვალტერ ბრუნერმა.

„ბრავო! ბრავო!“

ერთხმად დაიგრიალა ორმოცდაათმა გერმანელმა.

შრედერმა სუფრის შუაგულში დადო 50 სანთლით გაჩირაღდნებული ტორტი და დაამშვენა არეული სუფრა.

შუაღამისას დაბადებული ბატონი ადოლფ ბერგი ახალი გადამდგარი იყო 51-ე წელში. მაცდურ ბახუსთან დაძმობილებულმა და გონებაარეულმა გერმანელმა აინუნშიაც არ ჩასთვალა თავის მცველთა გაფრთხილება. თავის ნახევარსაუკუნოვან თარიღს შესცქეროდა, მერე ახალდაწყებულ საუკუნის მეორე ნახევარის ბედნიერ მომავალს გა-

[1] გეიხსენ, ღმერთო! (გერმ.).

[1] ჭკუადამთხვეული ადამიანი (გერმ.).

ულიმა „ცისფერსისხლიანმა ნამდვილმა არიელმა“, თვალი მოავლო სუფრას, ვეღარ არკვევდა ღვინის ბოთლები ჩამწკრივებულიყვნენ არეულ სუფრაზე თუ პინგვინები. არა, პინგვინები იყვნენ, ბაჯბაჯით უვლიდნენ სუფრას გარშემო, თავი დაურეტიანდა ბერგს, წამიერად მოეგო გონს, ჰიტლერის პორტრეტს მიაცქერდა და სასიყვარულო ღიმილით წარმოსთქვა:

„მაინ ფიურერ! გოტ მიტ უნს!“[1]

წამოდგა, ხელი აღმართა და შესძახა:

„ჰაილ ჰიტლერ!“

„ჰაილ! ჰაილ!“

ერთხმად გაიმეორეს თანამეინახეებმა.

ბერგმა წეროსდარად ცალფეხზე მდგარი კონიაკით სავსე იასამნისფერი მაღალი ჭიქა აიღო, ასწია, ფიურერს მიაცქერდა, ვეღარ შესძლო ეთქვა მისი სადიდებელი სადღეგრძელო, პირთან მიიტანა, ვეღარ შესძლო დაელია, დადგა, წაიქცა ჭიქა და თავი მოტყდა.

— ადოლფ! ბედნიერების ნიშანია, ბედნიერებისა!

ფამილარულად მიაძახა ბერგს შრედერმა.

„გოტ მიტ უნს!“ ძლივს აღმართა ხელი და შესძახა ბერგმა.

„გოტ მიტ უნს!“ თუთიყუშებივით, არეულ-დარეულად გაიმეორეს თანამეინახეებმა და წაეპოტინენ სავსე ჭიქებს.

ამ დროს, სოფლის მისადგომთან, საბრძოლველად შემართული პარტიზანების წინ, ახალშეპყრობილი ლომივით ბორგავდა ბატკო, რადგან ეკლესიის ეზოში, ჩამქრალი კელაპტარივით იდგა თანაბრად ტოტებგაშლილი ცაცხვი, მას ვერავინ ვერ ხედავდა, გარდა ზედ ასული უკრაინელი ჭაბუკისა.

სდუმდა და ნერვიულობდა პეტრო კრავჩენკო.

სდუმდა ახალი გახსნილი ეკლესია.

სდუმდნენ პარტიზანები, მათი დუმილი წინამორბედი იყო დიდი ქუხილის დასაწყისისა.

გარდა კომისარ დროზდოვისა, დალაპარაკებას ვერავინ უბედავდა ბატკოს, ბოლთას ცემდა, თვალს არ აშორებდა კოლკა ჩუმაკი, თითქოს მის ნაბიჯებს ითვლისო. პარტიზანების უფროსს არ ჰყოფნიდა ხრამში გადაჩეხილი ეშელონი, არც სოფლის დაბომბვა აკმაყოფილებდა.

თანდათან მძაფრდებოდა დუმილი და სოფლად დატრიალებულ ორომტრიალზე მძაფრად ბობოქრობდა.

უფრო მეტი ორომტრიალის დროს უნდა შეჭრილიყვნენ პარტიზანები სოფელში.

ხანდახან, ბომბდამშენთა მოტორების ვუგუნი და ყუმბარების გრგვინვა არღვევდა შემაშფოთებელ დუმილს.

სოფლის საზღვარზე, პატარა ტყის პირას შენიღბულად ნაგები იარაღების საწყობი აფეთქდა და მისმა ბათქმა ისეთი მძლავრი სილა გააწნა სოფელს, რომ მარტო სარკმლები კი არ ჩაილეწნენ, თავიანთი ჩარჩოებიანად გამოვარდნენ, თვალებდათხრილნი დარჩნენ ხატები და სხვა შენობები, ფარდებიღა ფრიალებდნენ სარკმლებზე. შეტორტმანდა შტაბი, ყუმბარის ბათქმა სარკმლის მინები შელეწა, შნაიდერის კაბინეტში შეიჭრა, შტაბის უფროსის მაგიდიდან ჟურნალ-გაზეთები ახვეტა და ჭერს გააკრა, ჰიტლერის პორტრეტი ჩამოაგდო და დაამსხვრია.

სოფლად ერთად მცხოვრები მტერმოყვარენი პანიკამ მოიცვა, ვინ სად გარბოდა და ვინ სად! აღარავინ იყო დამშლელი უკრაინელთა შინიდან გასვლისა და გაქცევისა. კლუბის სარკმლებიც ჩაილეწნენ, მაგრამ მონადიმე გერმანელებს არაფერი გაუგიათ, ოღონდ ეს იყო: მთლიანად შეტორტმანდა საკმაოდ მტკიცედ ნაგები შენობა.

„მოდიან, ჩვენები მოდიან!“

ყიჟინებდნენ უკრაინელი ახალგაზრდები, ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკო-

---

[1] ჩემო ფიურერო, ღმერთი ჩვენთანაა! (ავტორ.).

ცნიდნენ, დასცინოდნენ გაქცეულ, თავქუდმოგლეჯილ ჰიტლერელებს.

პიონერები გადამალულ ყელსახვევებს დაეძებდნენ.

ორსაუკუნოვან ცაცხვს ჯერ არ განეცადა ამდენად მძლავრი ქარიშხალი, ზედ ასული თავგანწირული ხლოპეცი— პეტრო კრავჩენკო წყალწაღებულივით ჩასჭიდებოდა ხის ტოტს, ღონივრად შემოეხვია მკლავები, უბეში შენახულ მაშხალებს უფრთხილდებოდა.

ის-ის იყო, ბრძანება უნდა გაეცა პარტიზანების უფროსს, მზვერავები უნდა შეეგზავნა სოფელში, რამდენიმე მაშხალა ზედიზედ ავარდა გიგანტური შადრევანივით და ისე დაშვენდა ქოლგასავით თანაბრად გაშლილ ცაცხვს, გეგონებოდათ: ზღაპრულად მშვენიერი ხე აინთოო.

მაღალ ხეებზე ასული მზვერავები ჯამბაზებივით დაეშვნენ ძირს, კოლკა ჩუმაკს ვინ ჩამოასწრებდა! იგი ყველაზე უწინ მივარდა ბატკოსთან და ისე ახარა ცად ავარდნილი მაშხალები, თითქოს მის მეტს არავის დაენახოს.

დატრიალდნენ ცხენოსანი პარტიზანები და ნაბდის „ნალები“ შემოხსნეს „დაჭედილ“ ცხენებს.

ელექტრომონტიორმა ოლექსა კიპარენკომ სინათლე გამორთო, მხიარული ნადიმი წყვდიადმა მოიცვა.

კლუბქვეშ შემძვრალი ყუმბარა აფეთქდა.

უფრო გამძაფრდა ორომტრიალი.

დაიძრა პარტიზანთა რაზმი, გაემართნენ სოფლისკენ, მათი ცხენების ფლოქვთა თქარათქური უერთდებოდა ბომბების ქუხილსა და ბომბდამშენთა მოტორების უწყვეტ ღმუილს.

გარბოდნენ ნახევრადშიშველი გერმანელები, ვისაც არ მოესურვებინა, ან არ დატეულიყო ახალაშენებულ თავშესაფრებში.

კიოდნენ და სწყევლიდნენ „ბანდიტ“ რუს პარტიზანებს ღამის პერანგების ამარა ქუჩებში გამოვარდნილი ფრაუები გერმანელი ოფიცრებისა.

ჰყეფდნენ გაშმაგებული მგელძაღლები და უკან მისდევდნენ თავიანთ პატრონებს.

მაინც იმარჯვა კომენდანტმა შელინგერმა, მაშველი რაზმი გამოიძახა უახლოესი ქალაქიდან და სანამ მოაღწევდა, მოასწრეს პარტიზანებმა გასცლოდნენ სოფელს.

ოცამდე კაცი დაიჭრა მძიმედ და მსუბუქად. დაჭრილ პარტიზანებს უკვე თავს ადგნენ ექიმი ცარენკო, ფერშლები და მედიცინის დები. მხოლოდ ექვსი კაცი აკლდა პარტიზანულ რაზმს, მათ შორის, ცხენოსანთა ასეულის უფროსი— კაპიტანი ანატოლი ვოლკოვი, იგი თავის საყვარელ ცხენ დენიკინთან[1] ერთად დაიღუპა გერმანელი პატრულის ხელყუმბარით. მასთან ერთად დაიღუპა ნოვიკოვიც, იგი, ვინც მხოლოდ ერთ კოცნას სთხოვდა საყვარელ ქალიშვილს ტანიუშა ივანცოვას. ტანიუშა მახეში გაბმული გარეული ფრინველივით აცეცებდა ცრემლიან თვალებს. ოღონდ დაენახა ცოცხალი ნოვიკოვი და ახლა თვითონ გადაეხვეოდა, ერთი კოცნა რა იყო! ათასჯერ დაუკოცნიდა ბიჭურად ეშმაკ თვალებს, მათს გვერდით დაიღუპა ექიმი შალვა არაბიძეც.

აღარც ჯოტო ნარსია და შურა შეპილოვა ამშვენებდნენ ომგადახდილ პარტიზანებს. ერთმანეთს არ შორდებოდნენ, ერთად იბრძოდნენ, ცდილობდნენ სულ ერთად ყოფილიყვნენ ცხენოსანთა ასეულის მებრძოლები.

როცა სასიკვდილოდ დაჭრილი შეპილოვა ცხენს გადაეკიდა, ნარსიამ ველარ მოასწრო მიშველებოდა. „შურკა!“ მხოლოდ მისი სახელი აღმოხდა. დანგრეულ ხატაში მიმალულმა პატრულმა დაახალა ტყვია. ჯოტომ ხელი უშვა სადავეს, შეპილოვასავით, ისიც ცხენზე გადაეკი-

[1] როცა წითელი არმია შეიქმნა, ზოგ ცხენოსანთა სამხედრო ნაწილში, თეთრგვარდიელთა „პატივსაცემად“, თეთრგვარდიელი გერმანელების გვარებს არქმევდნენ სახელად ახალდაბადებულ კვიცებს (შენიშვნა ავტორისა.).

და, წამიერად შედგა პატრონის მოყვარული გონიერი ცხენი კოლჩაკი, მერე დაფრთხა, ერთ ხანს ათრია უზანგში ცალფეზგაყრილი მხედარი და ხვიხვინით გადაიქროლა ორომტრიალით მოცული სოფელი.

მხოლოდ ერთადერთი ახალგაზრდა პარტიზანი დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

დაღუპული ხუთი კაცი სოფლის დატოვებამდე გაიტანეს სანიტარული ორთვალათი.

კოლკა ჩუმაკი ბატკოსთან იმყოფებოდა, მოულოდნელად თუ არ დაესხმებოდნენ თავს გერმანელები, პარტიზანების უფროსს არ უშვებდნენ საბრძოლველად. იგი არც ჩუმაკს უშვებდა .ჩუმაკისთანა მზვერავი პარტიზანი ბევრი როდი ჰყავდა ბატკოს, უფრთხილდებოდა პარტიზანების უფროსი ჩუმაკის სიცოცხლეს. ამ ორ კაცს ხშირად მარტო ყოფნა უხდებოდა უღრანსა თუ ტყის პირას. თუ თვითონ არ გამოელაპარაკებოდა ბატკო ნორჩ პარტიზანს, ხმას არ იღებდა ჩუმაკი, თვალს არ აშორებდა მაინც მარტო დარჩენილ ბებერ ლომს.

თენდებოდა.

ბომბდამშენებს მოეთავებინათ თავიანთი საქმე, გაფრენილიყვნენ, განუწყვეტლად შეყეფდნენ მათ გერმანელთა საზენიტო ზარბაზნები.

ერთადერთი დაგვიანებული ბომბდამშენი არ ეშვებოდა სოფელს, მას თითქოს სურსათ-სანოვაგის საწყობის ჯავრი ჩაჰყოლოდა შურისმაძიებელ გულში, ზედ საწყობის თავზე დაიბერტყა ყუმბარებით სავსე კალთა, ერთი ცეცხლგამჩენი ყუმბარა საწყობს დაეცა, იფეთქა ხანძარმა, თანდათან გაძლიერდა, თავზე მოექცა მხრჩოლავ კვამლსა და ბრიალით ავარდნილმა ალმა უცებ შეღება ყომრალი ღრუბლები. მზის ამოსვლამდე, სწრაფად ჩაიფერფლა ნაძვისა და ფიჭვის ხეთაგან სახელდახელოდ აშენებული საწყობი. საწყობის მცველთა გვამების ნაწილები დილით ძლივს შეაგროვეს პოლიციელებმა და პატრულებმა. სათვალთვალო კოშკურასაც დასცემოდა ერთი ყუმბარა.

სოფელში თვალებდათხრილნი იდგნენ ხატები და გერმანელ ოფიცერთა საცხოვრებელი სახლები.

დასუნსულობდნენ გერმანელთა მგელძაღლები და ზიზღით სუნავდნენ დახოცილ პატრონთა სისხლს, წამოჯდებოდნენ ხატების ნანგრევებზე და ყმუოდნენ საზარლად. უკრაინელთა დაბმული ძაღლები ყეფით ეხმაურებოდნენ უცნობ თანამოგვარეებს.

აფეთქებულსა და ხანძრისგან გადაბუგულ კლუბს ისევ ასდიოდა მხრჩოლავი ბოლი და უერთდებოდა სოფლის ღრუბლიან ცას.

მხოლოდ თავშესაფარში მიმალულ ოფიცრებს შეეძლოთ ეთქვათ:

„გოტ მიტ უნს!“ — ღმერთი ჩვენთანაა!

შტაბის უფროსი — იოჰან შნაიდერი, ზრდილობის გულისთვის იყო მიწვეული ნადიმზე, რადგან იცოდნენ: ფანატიკოს ნაცისტ გერმანელს აღთქმა ჰქონდა დადებული: ასკეტურად ეცხოვრა ომის დამთავრებამდე, მოეკლო ყოველგვარი ადამიანური სიამენი ფიურერისა და „გროს დოიჩლანდის“ სიყვარულისა და კეთილდღეობისთვის და როცა დიდი გერმანია გაიმარჯვებდა, მაშინ მოელხინა.

პარტიზანებს ადგილსამყოფელი გამოეცვალათ, ყუმბარებით გადათხრილი ადგილი აერჩიათ, ძველ ნაადგილარზე ხუთი პარტიზანის სამარე დარჩა ტყის ყვავილებითა და შემოდგომის მზით გაფერადებული ბუჩქების რტოებით დაფარული.

ჯერ კიდევ ვერ შორდებოდნენ ქალები პარტიზანების სამარეს, ჰკრეფდნენ ყვავილებსა და ბუჩქების ფერად რტოებს, მოწიწებით აფენდნენ საერთო სამარეს.

აგაფია დონენკოს მუხლი მოეყარა და ღმერთს ავედრებდა კეთილშობილ მებრძოლთა სულს.

თარჯიმანი ირინა არხიპოვნა თავის

ეზოს ბაღში იჯდა, სოფელში დატრიალებული ორომტრიალი უნათებდა გაცრეცილ სახეს. დიდად როდი უფრთხილდებოდა საკუთარ სიცოცხლეს მარტო დარჩენილი ქალი. იგი მთელი ღამის განმავლობაში შესცქეროდა ცად აფრენილი დროშების ორთაბრძოლას. ჯერ შავსვასტიკიანი დროშა ამაღლდა, მერე წითელი დროშა აფრინდა, გაეკრა ცასა და მის კალთაზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი აინთო, ხან შავსვასტიკიანი დროშა მოექცეოდა მაღლა და ხან ხუთქიმიანვარსკვლავიანი, ხან ერთი და ხან მეორე. ცა დაეფარა შავ ღრუბლებს, მრისხანე ქარიშხალი ბობოქრობდა და ერთმანეთს ახლიდა მთებს ღრუბლებისას, ხან გამოჩნდებოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმული დროშები და ხან ღრუბლები ფარავდნენ. ბოლოს ქვეწარმავალივით დაიკლაკნა დროშის კალთაზე შავი სვასტიკა, დაუყვა ცის დასალიერსა და ზედ დამჯდარ, თვალებბრიალა არწივთან ერთად გადაეშვა უფსკრულში. უფრო ამაღლდა წითელი დროშა, უფრო ამაღლდა ხუთქიმიანვარსკვლავიანი დროშა, გადიდდა, გაფართოვდა მისი კალთები, მთელი ცა დროშისფერი გახდა და ზედ ერთადერთი ხუთქიმიანი ვარსკვლავი დარჩა მთელი მსოფლიოს მანათობლად.

„ო, ღმერთო ჩემო!“

აღმოხდა ირინა არხიპოვნას, სიცილტირილი აუტყდა და მერე ცრემლები წასკდა.

განთიადმა თავის ეზოს ბაღში მოუსწრო ირინა არხიპოვნას, ყურები უშხუოდა, განთიადისას მოსულმა სიჩუმემ გამოიყვანა უტკბილესი ბურანიდან და ამოდენა სიჩუმე, მაინც უფრო ამაზრზენი გახდა მისთვის, ვიდრე მთელი ღამის განმავლობაში ამტყდარი ჯოჯოხეთური გრგვინვა-ქუხილი.

შინ შევიდა, ცივი წყალი შეისხა პირზე, ესიამოვნა, პირსახოცი ჩამოიღო, მთრთოლვარე ხელებით შეიმშრალა პირისახე, პურს ყუა წაატეხა, ჩაიდო პირში, ვერ ჩაყლაპა, სანამ ცივი ჩაი არ დააყოლა, კარი გამოიხურა და გაემართა შტაბისკენ. რაც იმ ღამით ნახა და მოისმინა, მისი თარგმნა არ მოუხდებოდა თარჯიმანს, თვითონაც კარგად დაინახეს და იგემეს მომხვდურებმა.

დილით, როცა შტაბის უფროსი — იოჰან შნაიდერი ჩვეულებრივად, ყველაზე უწინ მივიდა შტაბში და გააღო კარი თავისი კაბინეტისა, იავარი ეცა, უპატრონო მკვდარივით გულაღმა ეგდო შავჩარჩოში ჩასმული ფიურერის დამსხვრეული პორტრეტი. უცებ გონს მოეგო მისი თაყვანისმცემელი და დამხობილ კაცს მაინც ხელაღმართვით შესძახა:

„ჰაილ ჰიტლერ!“

ჩამქრალი ვულკანივით ბოლავდა სოფელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

შინმოუსვლელთა ბაღი

ზემო მაჩხაანის შინმოუსვლელთა ბაღში იმ-
დენი ხე დგას, რამდენი ვაჟკაციც ღაიღუპა
დიდ სამამულო ომში ამ სოფლიდან.

აქ მდუმარება შვენის განთიადს,
გასაგებია ისეც სათქმელი.
შინმოუსვლელთა ბაღში ანთია
ოთხასსამოცდახუთი სანთელი.
ეს ხე კი არა, მათი სულია,
ვინაც დაედო წამლად იარას,
ვისაც დიდების გზებით უვლია
და ქვეყნის ბედი გაიზიარა.
ვისაც გრიგალში დროშა მიჰქონდა,
ვისაც ზედ გულზე ეს მზე ეწვინა,
რაიხსტაგამდე იმას ფიქრობდა,
რომ ამ ლაჟვარდებს ასე ებრწყინათ.
ვინაც ჰფიცავდა ალაზნის ტალღას
მისდევდა სხივი ამ მთის ნაჟურის,
ვისაც ჩაესმის საფლავში ახლაც
ივრის ყანების იავნანური.

ხე რომ შრიალით ეტრფის განთიადს,
შენ თუ გიგრძვნია უხმო ცახცახი,
აბა უსმინე, ეს ღაღადია
ოთხასსამოცდახუთი ვაჟკაცის.
ეს მათი სული უხმობს დაფდაფებს,
წრომის დაფდაფებს, დღეო მზიანო,
რომ მათ საფლავზე,
ეძათა საფლავზე
ტანკებმა აღარ გადაიარონ.
მშვიდობა ჰქონდეს მთას და იალაღს,
მშვიდობა იყოს გვირგვინი წინსვლის,
ეს მარტო მათი სულის კი არა,
ეს ღაღადია მშობელი მიწის.
აქ მდუმარება შვენის განთიადს
გასაგებია ისეც სათქმელი.
შინმოუსვლელთა ბაღში ანთია
ოთხასსამოცდახუთი სანთელი.

ძ ე გ ლ ი

ივრის ჭალებზე გადმოსჭრეს
ირმებმა ღამის უკუნი.
— მთვარე სად მიგაქვთ ირმებო,
სად მიხვალთ ასე ბუბუნით?

— ქოჩებში მიგვაქვს, იქ დავდგამთ
ძეგლად იმ გულნატყვიართა,
ვინაც თავისი სიკვდილით
სიცოცხლე გაადიადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასლან!

სამამულო ომში დაღუპულ ახალგაზრდა
პოეტს ასლან ყოჩიაშვილს.

სამშობლოსთვის ანთებული,
სად დაიწვა შენი გული, ასლან!
შენ, რომ გქონდა განზრახული
ვერ მოასწარ იმ მწვერვალზე ასვლა.
ბულბულებს რომ დაესესხე
უკან ვეღარ დაუბრუნე ხმები.
ჩაბუდებულ გულში ლექსებს
ისე წახველ ვერ გაუხსენ ფრთები.
მზე უცინის მშობელ ქედებს,
ხ�ულში ვაჟკაცს მზე კვალდაკვალ მისდევს.
განა გასძლებ არ უმღერდე
დიდნაურის ბარაქიან მინდვრებს?

მაჩხაანი სტუმრებს ელის
მახარობელს წინ მოუძღვის მთვარე.
ადე ბიჭო, გაშრა ყელი,
შენებურად ჩამოჰკარი ლარებს.
ლოდინს ცეცხლი ემატება,
დედა ბანზე გადმომდგარა, ასლან!
ნუთუ აღარ გენატრება
ალაზანზე ჭალა-ჭალა გასვლა.
გზა ათასფრად აფერადდა,
რა სცოდნია კაცის ბედს და იღბალს.
სამშობლოსთვის რაც ვერა თქვი,
შენმა დიდმა თავდადებამ გვითხრა.

გელა

პატარა ბიჭმა, პატარა გელამ,
ვარდების კონა შეჰკრა მადლობად
და მიიტანს იმ მაღალ ძეგლთან,
რომ დგას გმირების უკვდავსაყოფად.

ვარდების კონა გაშალა კრძალვით,
გადაეფინა სახეზე ღიმი,
მერე ამაყად ასწია თავი
და სკოლისაკენ გაუყვა ბილიკს.

შირაქის მინდვრებში

ელგუჯა ნატროშვილს

მიდიან და მიდიან
გზები, ცისკრის გზები,
ანთებული სიცოცხლის
და შშვიდობის გზნებით.
დამუხტულან დღეები,
დამუხტულან წლები,
ქარიულ სინდის-ნამუსით
და ღვეის დღის რწმენით.
იგი წინსვლას გულისხმობს
და მამულის ლხენას,
სხვა სიამე არ იცის
სინდისმა და რწმენამ.
მხოლოდ სუფთა ხელები,
მხოლოდ სუფთა გული,

აი, ძალა ვაჟკაცის
და მშვენება სრული.
ამ მინდვრებს რომ გავცქერი
სულ მზისკენ რომ ილტვის,
მჯერა ადამიანის
და იმისი სიტყვის.
ამ მინდვრებს რომ გავცქერი
ვარ მლოცველი ბედის,
მინდა ასე ჰყვაოდეს
ყველგან ნიწის მკერდი.
მინდა ყველა ჩვენგანი
იყოს იმის ღირსი,
როგორც მაჩხაანელთა
მკლავის ქება ისმის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბოგოხიძე

საბჭოთა შეიარაღებული ძალების დაშქრული

გამოწრთობილი ჯარი
სამოქალაქო ომში;
იყო და არის მძლავრი,
ვერ სძლევს ყინვა და თოში.

ფრუნზეს მამაცი ჯარი
და ბუდიონის ჯარი —
ქარიშხალი და ქარი
მძლეა და უშიშარი.

ჩაგრულ ერების მხსნელი,
დამპყრობთა შიშის ზარი...
განვლო ბრძოლის გზა ძნელი,
დღეს გახდა უფრო მძლავრი.

მან გაანათა სივრცე,
მოსპო ფაშიზმი ბნელი,
იყო და არის მტკიცე,
ბჭე შეუნგრია ბერლინს.

ვერა, ვერ ხელყოფს მტერი
ჩვენს დიდ საბჭოთა კავშირს...
დროშა წითელი ფერის
ძლევამოსილ ფრთებს კვლავ შლის.

ცაზე, უსაზღვრო ზღვაზე —
საბჭოთა ფლოტი გრგვინავს,
დარაჯობს ქვეყნის საზღვრებს
მისი მახვილის ბრწყინვა.

არმია — ხალხთა ძმობის,
ჯარი — მშვიდობის მცველი...
ლაშქარს — ომებში წრთობილს
ადიდებს მხარე ვრცელი.

თავდამსხმელს კვლავაც მოსპობს
მძლე იარაღი მისი,
კვლავ ასახელებს მოსკოვს
არმია — ქების ღირსი.

წვდება უსაზღვრო სივრცეს —
მთებს, ზღვებს, შორეულ კოსმოსს,
რომ გოლიათად იქცეს,
რომ ყველა გააოცოს.

მან ბევრი გმირი ზარდა,
მხედარმთავარიც ბევრი...
პარტიას — ხალხთა სარდალს
ადიდებს ყველა ერი.

დიდი ლენინის ჯარი
წრთობილი მრავალ ომში —
იყო და არის მძლავრი
თავისუფლების დროშით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო ჩხარტიშვილი

გმირ ქალაქში

ნაწყვეტი რომანიდან „ბერლინზე გავლით“

თხუთმეტ ნოემბერს დივიზიონი ადგილიდან მოიხსნა. იგი სტალინგრადის ფრონტზე გადაისროლეს. სამი დღის შემდეგ კი ბატარეები გადავიდნენ ვოლგაზე, მიუახლოვდნენ ქალაქს ჩრდილოეთიდან და დაიკავეს საბრძოლო პოზიცია.

ახლა ყველასთვის ნათელი იყო, რომ გერმანელთა გეგმა ქალაქის აღებისა სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ამიერიდან წითელ არმიას უნდა ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა.

მეომრებს ღრმად სწამდათ თავიანთი სარდლობის, საქმის, რომლისთვისაც იბრძოდნენ, სჯეროდათ ახლის, უკეთესი დღეების დადგომისა...

და ეს დღეებიც დადგა.

ცხრამეტი ნოემბრის დაუვიწყარი დილა თენდებოდა. სამამულო ომის ისტორიაში სრულიად ახალი, ფრიად მნიშვნელოვანი ხანა დგებოდა.

ამ დღეს ჩვენი ჯარები, მოიგერიეს რა გერმანელთა ხუთთვიანი შეტევითი ბრძოლები და სისხლისგან დასცალეს მოწინააღმდეგე, თვითონ გადავიდნენ შეტევაზე; საბჭოთა ჯარების ყველა გვარეობის ნაწილები რისხვად დაატყდნენ თავს მტერს... დასაბამი მიეცა ფაშისტთა განადგურების საქმეს სტალინგრადის რაიონში. მეხუთე დღეს კი ხუტორ „სოვეტსკისთან“ შეიკრა მტრის არმიების გარემოცვის რკალი, რომელიც შემდგომში იქცა მათთვის გაურღვეველ ფოლადის რკალად... ალყის მარწუხში აღმოჩნდა გერმანელთა სამასოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი არმია — ჰიტლერელთა რჩეული დივიზები.

*

დივიზიონი ბრძოლაში ოც ნოემბერს ჩაება. მესამე ბატარეამ საცეცხლე პოზიცია ერთ-ერთი ნახევრადჩამონგრეული შენობის წინ დაიკავა, რომელიც კვამლში იყო გახვეული და მთელი დღე დახურული პოზიციიდან ესროდა მტერს.

ასე ჩაილია დღე.

...სუსხიანი ღამე კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ, მოწმენდილ ცას კვამლის საბურველი ჰფარავდა, რომელსაც აქა-იქ ცეცხლის შუბები გაჰკვეთდა და წამიერად გამოჩნდებოდა ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა.

არც ხმელეთზე, არც ჰაერში ბრძოლა ერთი წუთითაც არ ცხრებოდა.

გამუდმებული სროლისა და აფეთქებებისაგან მიწა ზანზარებდა. მხოლოდ მცირე ხნით, რომელიღაც კუნჭულში თუ მინელდებოდა ბრძოლის გუგუნი, თითქოს მომაკვდავ გოლიათს წყლის წვეთები ასხურეს და მოასულიერესო, და ისევ, ახალი ძალით განახლდებოდა „ჭექა-ქუხილი“. ყუმბარებისა და ბომბების აფეთქებებს, ხანდახან, ზვავებივით მომსკდარი შენობების გრიალი ენაცვლებოდა, ხან კი ორივე ერთად ატორტმანებდა მიწას.

ზურაბი ქვემეხის სამიზნესთან იჯდა, ახალი განკარგულების მოლოდინში, და დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა, თან ოცნების რაშით აგრგვინებულ, ცეცხლმოდებულ ქალაქში დაჯირითობდა... დღე ამისათვის სად ეცალა... ეს იშვიათი შემთხვევა იყო: ბრძოლის შუაგულში ყოფნა და ბრძოლიდან რამდენიმე ხნით გამოთიშვა.

ჯგუფეულის წევრებიც აქვე იყვნენ, ზოგი მათგანი ზეზეულა თვლემდა-ქვემეხის ფარს მოფარებული და ტყვიასავით დამძიმებულ თავ ძლივს იკავებდა — რული ეკიდებოდა.

ზურაბს ახლა, ერთბაშად, სინამდვილედ ექცა, ცხად სურათებად აღემართა თვალწინ ყველაფერი, რაც სტალინგრადის ბრძოლაზე გაეგონა, წაეკითხა... აი ისინიც: ბრძოლის ადგილებზე დამსხვრეული ტექნიკისაგან წარმოქმნილი გორაკები, ჩახერგილი ქუჩები, შენობათა ჩონჩხები და ლაბირინთები, ჯართის უზარმაზარი გროვა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ჩანახშირებული ქვა და მიწა, ფოლადი და ადამიანი, ფერფლად ქცეული ათასგვარი საგანი... გარშემო მართლაც ცეცხლის ზღვაა, რომლის ელვარება თითქოს ზეცამდე წვდება და ცასაც ცეცხლს უკიდებს... „მუდმივი მიწისძვრა“ ატეხილა ქვეყნიერებაზე, „ცეცხლოვან ქვაბსა“ და „სასაფლაოში“ ინთქება ყოველივე...

სანახაობანი ერთმანეთს ენაცვლებიან, ხოლო ღამით საოცარზე საოცარი სანახავია სტალინგრადი მის ერთ მხარეს შავი ლეგა ღრუბლებივით თავს აწვება კვამლის ულევი მასა, მეორეს — ხანძარი აელვარებს; ხან ჩაქრება სტიქიის ბობოქრობა და მთელს ქალაქში წყვდიადი გამეფდება რამდენიმე წამით, ან კვამლის საბურველი გადაეფარება ვეებერთელა ტერიტორიას. გამოხდება ცოტა ხანი და მის რომელიმე ნაწილში კვლავ ამოხეთქს ცეცხლის შადრევანი, ან მანათობელი შუშხუნა ააელვარებს ცხარე ბრძოლის ასპარეზს...

„ადამიანები, საკუთარი თვალით თუ არ ნახეს, ვერასოდეს წარმოიდგენენ და არც დაიჯერებენ, რა ხდებოდა აქ და ვინმემ სიმართლის ზუსტად გადმოცემაც რომ შეიძლოს-იქნებ გიყადაც ჩასთვალონ და უთხრან: თუ ასეთი რამ იყო, იქ, ერთი ჯარისკაციც ვერ გადარჩებოდა ცოცხალიო, რა დიდი ზღვარია განცდილსა და მონაყოლ, გადმოცემულ ამბავს შორის!“—დაასკვნა გულში ზურაბმა.

უცებ ზეცა ალეულობით პროჟექტორებმა გაანირაღდნეს. ზურაბმა უმალვე მასზე გადაიტანა მზერა. „ხელოვნური მზეები“ ზედ ბატარეის საცეცხლე პოზიციის ზემოთ გადმოეკიდა ვიღაცას, ასი-ორასი მეტრის სიმაღლეზე... იქნებ ეჩვენება?

„მზეთა“ შუქზე ფაშისტი ბომბდამშენები პატარ-პატარა ვერცხლისფერ ფრინველებივით აკიაფდნენ.

საბჭოთა მეზენიტეების გრიგალისებური ცეცხლი მოჰყვა მას და... „ვაი ბურთების“ კორიანტელში გაეხვივნენ „ძერები.“

მტრის თვითმფრინავები მორიგ ოპერაციას ატარებდნენ — რკინის რკალში მომწყვდეული თავისიანებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდებას ლამობდნენ...

„ძერები“ ხაფანგში გაბმულებივით წრიალებდნენ, წრეს აკეთებდნენ, ხან ქვევით დაეშვებოდნენ, ხან ზევით აიჭრებოდნენ, ან გვერდზე მიბრუნდებოდნენ დამაბრმავებელი შუქისათვის სწრაფი მანევრირებით უნდოდათ თავი დაეღწიათ, რაც მოწინააღმდეგეს გაუძნელებდა აგრეთვე მათ მიზანში ამოღებას, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ.

უცებ, თითქოს მეტეორები მოწყდნენო, რამდენიმე „უცხო ფრინველი“ ისარივით გამოექანა ქვევით და ცეცხლის ზოლები გააკლო ზეცაში.

წამიც და რაღაცამ ბატარეის საცეცხლე პოზიციის უკან ზევავით დაიგრიალა.

„ზეცა ჩამოინგრა?“ — გაუელვა ზურაბს, — ზეზე წამოხტა და მაშინვე პირქვე, ლაფეტის გასწვრივ მიწვა.

ცოტაც და... გრიალით, შხუილით, წივილით წამოვიდნენ შენობის ნამსხვრევები, ნაფშვენები, გოროხები, ქვები, აგურები და ვინ იცის რა არა.

ერთი ამოისუნთქა მერე „ზვავმა“ და „სული განუტევა.“

ორიოდე წუთიც არ იქნებოდა გასული — ტყვიამფრქვევისა და ავტომატების კაკანი გაისმა სულ ახლოს.

ადამიანის ხმაც მოჰყვა მას.

— გერმანელები ზურგიდან გვიშენენ! ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიდან თუ გადმოხტნენ, ან მედესანტეები თუ დაგვესხენ, თავი დაიცავით!

— იარაღს ხელი! ცეცხლი! — იქუხა რომანოვმა.

არტილერისტები ელვის სისწრაფით ამოქმედდნენ.

— ჩვენებს რომ დავუშინოთ? როგორ გავარჩიოთ მტერი და მოყვარე? — დაიყვირა ვიღაცამ.

ტყვიების სეტყვამ იმატა.

იქვე ახლოს განლაგებული ქვეითებიც სწრაფად მოემზადნენ საბრძოლველად.

მესამე ქვემეხის მეთაური ფროლოვი არ დაბნეულა.

— მომყევით! — იყვირა მან და ნანგრევების გორაკთა ლაბირინთებიდან პირველი გამოუძღვა ჯერ კიდევ გონს მოუსვლელ ჯგუფეულის წევრებს.

სროლა კიდევ უფრო გაძლიერდა.

— აბა, ბიჭებო, წინ! ცეცხლი! — არ დააყოვნა კოსტიაკოვმა,—მოყვარე ზურგიდან არ დაგვიშენდა!

მეომრები მაშინვე მიჰყვნენ ქვემეხის მეთაურს.

რამდენიმე წუთს გაგრძელდა სროლა.

როგორც კი იგი მინელდა, ვიღაცამ დაიყვირა:

— —ᲑᲘᲭᲔᲑᲝ! ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი აქ არის, ცოცხლად ვიგდეთ ხელთ!

— მართლა? მფრინავია?

— ეშმაკმა იცის!

— დანარჩენები?

— სამუდამოდ მიაძინეს, ვით ყველა მათი წინამორბედნი!

— ყოჩაღ ბიჭებო!

— ადგილებზე! — გაისმა ამ დროს ოცეულის მეთაურის ხმა. რომელმაც ის იყო ბატარეის მეთაურის ბრძანება გაიგონა და გაიმეორა.

ბიჭებმა უკან, ქვემეხებისაკენ იბრუნეს პირი.

უცებ ზურაბს ფროლოვი შეეფეთა.

ამ უკანასკნელმა სიბნელეშიც იცნო უზომოდ მაღალი თავისი ქვემეხის მეთაური.

— ზურაბ! ამა კარგად შემათვალიერე, მგონი დამჭრეს! — თქვა მშვიდი ხმით.

— ნუთუ? — ზურაბმა ხელით გაუსინჯა მეთაურს ტანი.

ასეც იყო.

ფროლოვი მარჯვენა იდაყეთან იყო დაჭრილი.

ალიონმა როგორც იქნა მოატანა.

დილით სუსხმა იკლო — ცას ღრუბლები შეესია.

მხოლოდ ახლა მოეფინა ნათელი წუხანდელ შემთხვევას.

მართლაც ფაშისტი მედესანტეები შებრძოლებოდნენ ზურგიდან არტილერისტებს. მათი ერთი ბომბდამშენი კი პირდაპირ გვერდებგამოფატრულ შენობას დასცემოდა და ორთავე იქვე დახვავებულიყო. მეორე გამოშიგნული „ძერაც“ იქვე ეგდო აჩონჩხებული... ბრძოლის შედეგიც გაირკვა: ოთხი არტილერისტი და რამდენიმე ქვეითი ჯარისკაცი დაეცა ჰიტლერელთა ხელით. მეოთხე ქვემეხის მეთაური ნანგრევებს ჩაეტანა, მაგრამ მიესწროთ, ამოეთხარათ და ცოცხალი იყო.

დივიზიონმა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გადაინაცვლა დასავლეთისაკენ, რამდენიმე ასეული მეტრით, დაიკავა საცეცხლე პოზიცია და დახურული პოზიციიდან შეებრძოლა მტერს.

იმ გრანდიოზული ამოცანების შესრულებაში, რომელიც ჩვენს სარდლობას ჰქონდა ჩაფიქრებული, მთავარი როლი ეკისრებოდა ტანკებს, თვითმსვლელ ქვემეხებსა და შორსმსროლელ ზარბაზნებს. იგი ერიდებოდა უაზრო მსხვერპლს და ქვეგანაყოფებს არ აკისრებდა იმაზე მეტის გაკეთებას, რაც მის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

მაგრამ მზაკვარი მტერი ცდილობდა მიეგნო „აქილევსის ქუსლისათვის“ ჩვენი ჯარების განლაგებაში, სადაც არ უნდა ყოფილიყო, და მოულოდნელი დარტყმით მოესპო გარემომცველი არმიის თუნდაც რომელიმე ჯგუფი, იგი სულ მცირე შესაძლებლობასაც არ უშვებდა ხელიდან, გადმოდიოდა კონტრიერიშზე, ცდილობდა რკალის გარღვევას, ხან აქ აწყდებოდა და ხან იქ, იბრძოდა უკანასკნელ შესაძლებლობამდე, მაგრამ აღარაფერი შველოდა.

გავიდა შეუპოვარი ბრძოლების კიდევ ორი კვირა.

სისხლიანი დეკემბერი მძიმედ მიზოზინობდა.

ილეოდა ცხრაასორმოცდაორი წელი და მასთან ერთად ილეოდა „ქვაბში“ მომწყვდეული ჰიტლერული არმიების მოთმინება, იფერფლებოდა მათი იმედები, თხელდებოდა მათი რიგები. გერმანელებს აუნაზღაურებელი ზარალი მოსდიოდათ. ყოველი საათი ძვირად ფასობდა. იმედი დაკარგულის დაბრუნებისა კი აღარ ჰქონდათ.

ზამთრის პირველი თვე ისე მიიწურა, დივიზიონი ქალაქის ფარგლებს არ გასცილებია და კვლავ დახურული პოზიციებიდან იბრძოდა.

ახალი წელი უღიმღამოდ მოაბიჯებდა. იგი ერთნაირად გამოუცნობი იყო მოწინააღმდეგეთა ჯარისკაცებისათვის, რადგან ტყვიების წარღვნას მიჰქონდა ყველაფერი... ერთი რამ მაინც ცხადი იყო: ჰიტლერულებთაგან, რომლებიც აქ, ვოლგასთან იდგნენ, ძალიან ცოტას თუ დასცალდებოდა კარზე მომდგარი ახალი წლის გათენება.

დივიზიონი წინღამით თითქმის პირისპირ მიადგა ქალაქის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ რაიონში გარემოცული მტრის პოზიციებს. გერმანელთა ერთი დაჯგუფების მოსპობა ჰქონდა ნაბრძანები ოცდამეცხრამეტე პოლკს, რომელსაც დივიზიონი ეხმარებოდა.

მესამე ბატარეა მარჯვენა ფლანგზე იდგა. იქვე იყო ორი სატანკო ოცეული.

მოწინააღმდეგენი ერთიმეორის ცხვირწინ იდგნენ — ერთიმეორეს ოთხასი მეტრით ძლივს იქნებოდნენ დაშორებულნი, მათი ფრონტის ხაზები თითქმის ერთმანეთს ეკვროდნენ.

...განთიადი ორივე მხრიდან ატეხილმა ცეცხლის ქუხილმა მოიტანა თითქოს.

თავდამცველმა და შემტევმა ქვეგანაყოფებმა ჯერ შორიდან, ცეცხლით დაზვერეს ერთმანეთი,

შემდეგ საფრებიდან გამოვიდნენ და თავგანწირულად ეკვეთნენ ერთმანეთს.

ოცდამეცხრამეტე პოლკის ჯერი არ დამდგარიყო.

დივიზიონი და სატანკო ოცეულებიც დუმდნენ განკარგულების მოლოდინში, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი, რამაც ისინი ბრძოლაში ჩააბა.

უცებ, მარჯვენა ფლანგიდან, ეგრეთწოდებული ნეიტრალური ზონიდან, ბატარეის საცეცხლე პოზიციიდან ასი-ასორმოცდაათი მეტრის დაშორებით, თითქოს გორა მოშვავდაო, რაღაც ზვინივით აღმართული ჯართის გროვა შეინძრა, აქეთ-იქით მიმოაბნია მანამდე უძრავი, თითქოსდა სახურავად გადაფენილი სხვადასხვა საგნები, მერე აგრუხუნდა, აქოთქოთდა და ცეცხლით ამცნო ქვეყნიერებას „მკვდრეთით აღდგომა."

ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს-მესამე...

— ფაშისტთა შენიღბული ტანკები ზედ ჩვენ ცხვირწინ! — იყვირა იქვე სულ ახლოს საკომანდო პუნქტზე მყოფმა ბატარეის მეთაურმა.

ეს მეკავშირეებმა უმალვე პირველი ოცეულის მეთაურს შეატყობინეს.

— მტრის ტანკები მარჯვენა ფლანგზე! — ანგარიშმიუცემლად გაიმეორა ოდნავ შემკრთალმა რომანოვმა, მერე სული მოითქვა და ბრძანება გასცა:

—მტრის მეწინავე ტანკს ცეცხლი!

ქვემეხის მეთაურებმა ბრძანება დაუყოვნებლივ გაიმეორეს.

ზურაბი, ფროლოვის მწყობრიდან გამოსვლის გამო ქვემეხის მეთაურის მოვალეობას ასრულებდა, დავითი — მემიზნისა.

მემიზნეები ჩახმახივით შეიმართნენ, ქვემეხის ლულები ტანკისკენ მიაბრუნეს და... გაყინული ჰაერი ხუთი ჯავშანმხვრეტი ჭურვის ქუხილმა გაჰკვეთა.

მტრის ტანკები, ვითომც ბუზი არ აფრენილაო, კვლავ წინ მოიწევდნენ. ისინი აბობოქრებული ზღვის ტალღებში მოცურავე გემებს წაგავდნენ, ხან რომ გამოჩნდებოდნენ ნანგრევთა „ფერდობებზე," ხან სადღაც ჩაკარგებოდნენ და მალე კვლავ თავს ამოყოფდნენ.

მეორე ზალპმაც ვერაფერი უყო ხტრის მანქანებს.

ბრძოლაში ოთხი საბჭოთა ტანკი ჩაერია. ისინი პირდაპირ მოწინააღმდეგისაკენ გაემართნენ და დაუყოვნებლივ ცეცხლი გახსნეს.

ამან საქმე გაუადვილა არტილერისტებს... და მალე შუაში მყოფ ურჩხულს მკერდი შეუნგრიეს.

მტრის უკანა ტანკს თითქოს გზა აღარ ჰქონდა, მაგრამ მან, რაღაც სასწაულით, მოახერხა ჩახერგილი გზისთვის გვერდის აქცევა და ისევ ამოიმართა ნანგრევთა ბორცვებზე.

ამასობაში გერმანელთა მეწინავე ტანკი უფრო მიუახლოვდა ბატარეის საცეცხლე პოზიციას.

წინ მიმავალი ტ-34 გაემართა მის შესახვედრად. დანარჩენები ფლანგებზე გაიშალნენ და იწყეს გზის ძებნა, რათა მტრისათვის ხელსაყრელი პოზიციიდან დაეშინათ.

მალე მტრის კიდევ ერთი მანქანა მოსპეს მამაცმა არტილერისტებმა და ტანკისტებმა.

ახლა ერთიღა რჩებოდა.

...ჰაერი მოტორების გუგუნმა შეარხია.

გერმანელთა მოპიკირე თვითმფრინავები პირდაპირ საბჭოთა ტანკებისაკენ გამოემართნენ და ქორივით დააცხრნენ თავს.

იგრიალა ბომბებმა.

აქვითინებული მიწის მკერდიდან ნანგრევნამსხვრევთა შადრევნები აისვეტა ჰაერში და ზავთითა და ზარით უკანვე დააცვივდა „გულღვიძლ გამოფატრულ მშობელს."

რამდენიმე ბომბი ბატარეის განლაგებაში დაეცა.

წუთით ქვემეხებმა სროლა შეწყვიტეს.

იქაურობა ცეცხლისა და კვამლის ქაოსში ჩაიძირა.

ტვირთდაცლილმა ბომბდამშენებმა კამარა ჰკრეს, მაღლა აიჭრენ და თვალს მიეფარნენ.

ამჯერად დაუსჯელნი დარჩნენ ჰაერის ყაჩაღები.

...გადარჩენილები გონს მოეგენ.

— რომანოვი მძიმედ დაიჭრა! — დაიძახა რომელიღაც მებრძოლმა.

— გამტეხი ნაზაროვიც! — ბანი დააწია მეორემ.

— ერთ მანქანას ცეცხლი უკიდია, შოფერიც იწვის! — დაუმატა მესამემ.

— ტანკები, ჩვენი ტანკებიც იწვის!

საბჭოთა ტ-34-ები ცეცხლის ალში იყვნენ გახვეულნი.

მოპიკირეებს ბომბები პირდაპირ მოეხვედრებინათ.

მხოლოდ მეწინავესათვის ვერაფერი დაეკლოთ-ჯიქურ მიიწევდა მოწინააღმდეგისაკენ.

— ისმინეთ ჩემი ბრძანება! მტრის ტანკს ცეცხლი! — შემოესმათ არტილერისტებს მეორე ოცეულის მეთაურის რუდაკოვიჩის ხმა.

იგრიალეს ქვემეხებმა.

არც ახლა მოჰყოლია წარმატება ყუმბარების ბათქს.

ფაშისტი ტანკისტი, თითქოს დუელში გამოწვევა მიიღოო, ნელ-ნელა მიემართებოდა ტ-34-ის შესახვედრად.

ორივენი ზარ-ზავთით მიიწევდნენ წინ და ჭურვებს ეშენდნენ ერთმანეთს.

ბატარეებმა ცეცხლი შეწყვიტეს, რომ ჩვენი ტანკი არ ეაზიანებინათ.

კოშკურებზე მოხვედრილი და ასხლტილი ჯავშანმხვრეტი ჭურვები ხან ყურისწამღებად დაიწივლებდნენ, ხან საზარლად დაიკანკალებდნენ.

ხან ელვასავით გამოკრთებოდნენ, თითქოს ვეებერთელა ხმალი ხმალს შემოჰკრესო და ყოჩებივით ისწრაფოდნენ ერთურთისაკენ.

საბჭოთა ტანკისტმა წინ ნანგრევთა მასივი შენიშნა, რომელსაც კვადრატის ფორმა ჰქონდა.

„არ დამასწროს ზედ ასვლა, თორემ უფრო ზუსტად დამიმიზნებს", — გაუელვა.

ორივემ ერთდროულად მიაღწიეს „კვადრატს."

ვინ იცის, რა გაიაზრა ფაშისტმა — ერთი წამით ტანკი ადგილზე შეაჩერა, ოდნავ მარცხნივ მიაბრუნა და კვლავ წინ გააქანა.

საბჭოთა ტანკისტმა პირიქით, მანქანა უკან დასწია, მერე ერთბაშად სტარტერს ფეხი დააჭირა და მტრის ციხე-სიმაგრეს დაეძგერა.

„ტარანი! — გაუელვა ფაშისტს... — დამასწრო!.."

იმავ წამს მეხისებურმა დარტყმამ ლამის გონება დაუკარგა.

ფაშისტური ურჩხული შეირყა მოულოდნელი დაჯახებისაგან, მაგრამ არ გადაყირავებულა.

„მოტორი არ ჩაქრეს!" — შიშის ხანჯალმა გაუარა გულში ჰიტლერელს.

„ბედმა გაუღიმა": მოტორი ისევ თუხთუხებდა.

ვარსკვლავიანმა „ტორეადორმა" „ჩაჩოქილ" მოწინააღმდეგეს სულის მოთქმაც არ აცალა-ისევ უკან დააქანა მანქანა, რომ ხელმეორედ დაძგერებოდა „ფოლადის ხარს."

გერმანელი მიუხვდა ოინს და აფთარივით ჩაცუცქდა ერთ ადგილას, აღოვა და როგორც კი საბჭოთა ტანკისტი მისკენ გამოექანა — მსწრაფულ მარჯვნივ მიაბრუნა საჭე, მაგრამ ნავარაუდევზე ნაკლები მანძილი აიღო და წითელვარსკვლავიანი, თითქოს თავური დარტყმა აგემაო, შუბლით, მარცხენა გვერდიდან, შუაწელში დაეჯახა ფაშისტურ მანქანას.

შემზარავად დაიხრჩიალა ფოლადის სიმაგრემ და „კვადრატიდან" გადაიხარა.

მოტორი მაინც ქოთქოთებდა, ხოლო „გვერდებგამოშიგნული" მანქანა მომაკვდავ მხეცივით ხრჩიალებდა და „სულს ღაფავდა."

წითელვარსკვლავიანმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და ერთხელ კიდევ „რკინის ტორი" დაჰკრა მოწინააღმდეგეს.

სვასტიკიანი ურჩხული „კვადრატიდან" გადაყირავდა.

იმავ წამს. რომელიღაც ქვემეხიდან მოვარდნილმა ჭურვმა ფაშისტურ მანქანას ბენზინის ავზი გაუხვრიტა და თვალის დახამხამებაში იგი ცეცხლის ალმა შთანთქა.

ცხრაასთრმოცდასამის თებერვლის დამდეგს დამთავრდა სტალინგრადის რაიონში გარემოცული ფაშისტური არმიების განადგურება. სტალინგრადი მთლიანად იქნა განთავისუფლებული ფაშისტ დამპყრობთაგან. მაგრამ ყველაფერი დასრულებული ჯერ კიდევ არ იყო: იწოდნენ ცეცხლმოდებული შენობები, ... და დენთის სუნით ჰაერი დაძძიმებულიყო, ბრძოლის სურათები შემზარავ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

...ყოველი მხრიდან ულევ ნაკადებად მოედინებოდნენ ტყვე გერმანელთა კოლონები. მერედა რა სანახავი იყვნენ ისინი! ჰიტლერელები მოდიოდნენ უიარაღონი, ხოლო ზოგჯერ იარაღითაც, სულ მთლად დაბეჩავებულ-დაჩაჩანაკებულნი, ლანდებად ქცეულნი, ხელ-პირ დამზრალნი, რომელთა უმრავლესობას სახე არ უჩანდა, თავებზე კი დედაბერივით ყოველგვარი ქსოვილები, საბნები, ნაძარცვი ტანისამოსი და ვაი სირცხვილო-ქალის საცვლებიც კი ჰქონდათ შემოხვეული. მოდიოდნენ კი არა, საცოდავად მოლასლასებდნენ უილაჯონი, დაოსებულნი ტანსაცმელწემოფლეთილნი, ნახევრად შიშველნი; მეომრები კი არა, გეგონებოდათ მიცვალებულები საფლავიდან ამდგარან და სადღაც მიეშურებიანო; ბევრი მათგანი დაჭრილი იყო, ბლონდებიდან სისხლი მოუჟონავდათ, თვალები ჩაღრმავებოდათ — მიხრწნილ მოხუცებს უფრო წააგავდნენ, ვიდრე ჯარისკაცებს... მოდიოდნენ თავდახრილნი, არაქათგამოცლილნი და როცა რომელიმე მათგანი დაეცემოდა — მყის აცახცახდებოდა, თან გაურკვევლად ალუღლუღდებოდა... ალბათ იმის შიშით, რაკი წაიქცა — რუსი მეავტომატე წამოეპარება და ტყვიებით დაცხრილავს ისე, როგორც თვითონ ისინი შეუბრალებლად ხვრეტდნენ იმ ტყვე ჯარისკაცებს, რომლებიც მიჰყავდათ საკონცენტრაციო ბანაკებისაკენ, თავშესაყარი პუნქტებისაკენ და გზაში ჩამორჩებოდნენ, წამით ჩაიმუხლებდნენ, ან მიწაზე ჩაჯდებოდნენ ძალღონე გამოლეულნი... და რაოდენ დიდი იყო მათი გაოცება, როცა დაინახავდნენ, რომ საბჭოთა მეომრები კონდახებს კი არ ურტყამდნენ, კი არ კლავდნენ, როგორც ეს ფაშისტ მტარვალებს ჰქონდათ წესად უმწეოების მიმართ. არამედ მიდიოდნენ მათთან და ეხმარებოდნენ ფეხზე წამოდგომაში, ხელს კიდებდნენ, შველოდნენ დასწეოდნენ წინ წასულებს... ახლა, მხოლოდ ახლა რწმუნდებოდნენ საბჭოთა ადამიანების კეთილ ბუნებასა და ჰუმანურობაში, როცა ყველა გზა გადაჭრილი ჰქონდათ და ერთი ფიქრით იყვნენ შეპყრობილნი: როგორმე სიცოცხლე შეენარჩუნებინათ, მიეღწიათ რომელიმე პუნქტამდე, საითაც წასვლას უბრძანებდნენ, რომ იქ მაინც რაღაც საშველი დადგომოდათ.

რა მკვეთრად გაარჩევდით ორი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ადამიანების ბუნებას, მათ სულსა და რაობას რა კარგად დაინახავდით,

თუნდაც ერთხელ, ერთი წუთით რომ გადაგეღლოთ თვალი ამ სანახაობისათვის!

წითელარმიელები გაათკეცებული ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს ტყვეებს და გრძნობდნენ რაღაც ენით გამოუთქმელს, მანამდე წარმოუდგენელს, რომელშიც თავმოყრილი იყო ყველაფერი: შურისძიების, სიძულვილის ზიზღისა და დაცინვის, სიამაყისა და ძლიერების გრძნობა, დიდი ხნის სურვილთა ახდენით გამოწვეული კმაყოფილება და მწუხარება იმის გამო, რომ მათ წინ მიმავალ დატყვევებულთა სინდისზე მოდიოდა ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანის მოსპობა, ქალაქებისა და სოფლების გავერანება, ისეთ ბოროტებათა ჩადენა, რომელსაც ვერავითარი სასჯელი ოდნავადაც ვერ გამოისყიდდა, ვერ შეამსუბუქებდა დანაშაულის სიმძიმეს.

დივიზიონმა უკანასკნელი ზალპები ოცდათერთმეტ იანვარს დააყარა მტერს ერთი დღის შემდეგ კი იგი გმირი ქალაქის სამხრეთისაკენ დაიძრა. არტილერისტთა თვალწინ გადაიშალა აქ გაჩაღებული ბრძოლების საშინელი სურათები და იმას, რაც მათ ცეცხლის დელგმაში ვერ შეენიშნათ, ახლა ნაჩქარევად მაგრამ მთელი გულისყურით ათვალიერებდნენ; ისინი მკვდრეთით აღმდგარი ადამიანების როლში გამოდიოდნენ თითქოს, ვინც საკუთარი სისხლისა და ოფლის ღვრით თვით აღმართეს გმირობის ძეგლები ომის ქარცეცხლში გუშინ და დღეს იქცნენ მათივე ხელთქმნილის მხილველნი იმ სასწაულის მეოხებით, რომელსაც სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვება ჰქვია.

...ფერფლად ქცეული ნაქალაქარის მიდამოებში სიცოცხლის მომსწრაფველი ლანდები არ დაქროდნენ, მაგრამ ყოველივე ის, რაც ირგვლივ მოჩანდა, საშინლად ამაზრზენი იყო და იმას, რასაც გუშინ არ უკვირდებოდნენ, რისთვისაც ჯარისკაცებს არ ეცალათ, რასაც მათში ყოველისმშთანთქავი ომის ხმაური ახშობდა, დღეს ნათლად ხედავდა თვალი, წვდებოდა გონება და გრძნობათა სიმები უკიდურესად ეძაბებოდათ ადამიანთა ურთიერთქლეტისა და მანქანების ჭიდილის ამ უთვალავი და საშინელი სანახაობებით... და ისინი იყვნენ უსაზარლესი ყველა იმ სანახაობათა შორის, რაც კი ადამიანის თვალს ენახა დედამიწაზე სიცოცხლის დასაბამიდან, მის შემდეგ, რაც ადამიანმა პირველად თავისი ძმის, მისივე მსგავსი ქმნილების სისხლი დაღვარა...

ბატარეები გზაზე ხშირად ჩერდებოდნენ და მაშინ რომელიმე მეომარი, ძალაუნებურად ჩაშტერდებოდა ხან ერთ, ხან მეორე საგანს, ნივთს და ვინ იცის რაზე ფიქრობდა მაშინ ბუნების მეფე-თავის სიდიადეზე, თუ არარაობაზე. ყოვლის წარმავლობაზე, თუ უწყვეტობაზე სიცოცხლისა...

ცნობისმოყვარეობა ხშირად საბუდისწყრო ხიდზე შეგვადგმევინებს ფეხს და რა ძლერადაც უნდა გვეწადოს, მაინც ვერ აღვდგომივართ წინ სურვილებს. აკრძალულისაკენ ძივისწრაფით, გული ფარულისაკენ მიგვიწევს, ყოვლის შეცნობა გვწადია და არაფერს, არ ვიშურებთ სურვილთა ასახდენად.

მეომართა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ერთი წუთითაც არ უთმობდნენ ყურადღებას მათ წინ აღმართულ სანახაობებს, რამდენადაც შეეძლოთ გვერდს უქცევდნენ მათ, ლამობდნენ, რაც შეიძლება შორს წასულიყვნენ ამ შემაძრწუნებელი ადგილებიდან, ხოლო ზოგიერთები პირიქით, თუ დრო ჰქონდათ, ხანგრძლივად იდგნენ და ხმაამოუღებლად ჩასცქეროდნენ დახოცილ ადამიანებს, დამსხვრეულ იარაღებს და ისე დაეტყვევებინა ისინი გარემოს, ისე შეებოჭა მათი სული და სხეული რაღაც უხილავს-ძალიანაც რომ სდომებოდათ, არ შეეძლოთ იქიდან გამოსვლა, სანამ მათივე მეგობრები არ გამოიყვანდნენ ამ მდგომარეობიდან, ან მეთაურთა ბრძანება არ შემოესმოდათ...

საღამოს ხანს დივიზიონი ქალაქში შეჩერდა. ვახშმად ქცეული სადილის დრო იყო.

სალაშქრო სამზარეულოსთან რიგი გაჩნდა. ამოქმედდა ალუმინის კარდალები და კოვზები. უფრო ბედნიერებს სადღაც არაყი ეშოვათ და... ცხელმა კერძებმა და ოხშივარმა უცებ წაშალა ზღვარი წინ გადაშლილ მკაცრ სინამდვილესა და ბურუსიან მომავალს შორის.

იწურებოდა ჯარისკაცული ცხოვრების კიდევ ერთი დღე.

მეომრები კარგ გუნებაზე დადგნენ.. მაძღარი ჯარისკაცისათვის ხომ არაფერი საშიში არ არის. ესეც რომ არა, აგერ რამდენიმე თვეა, მათ ასე მშვიდობიანად არ ესადილათ... ახლა კი ხანგრძლივი ბრძოლის საშინელი ჭექა-ქუხილი ჩამდგარიყო, ფაშისტ სვავთაგან, თითქოს სულ ერთიანად ამოწყდნენო, ერთიც არ ჰაჰანებდა ჰაერში. „მიწის ძვრათა“ და „ეულკანის ფრქვევათა“ ხანა უკან რჩებოდა.

სხვა სასწაულს ვით იწამებდა ჯარისკაცი, ვისაც თუნდაც ერთი დღე-ღამე გაეტარებინა იმ არნახულ რყევასა და აფეთქებათა ხანაში სტალინგრადის მიწაზე.

მესამე ბატარეის მეომრები, „სადილს“ მორჩნენ თუ არა, ქალაქის მიდამოებში მიმოიფანტნენ-სამსაათიანი შესვენება გამოცხადდა. ყველას შეეძლო სურვილისამებრ მოქცეულიყო: გაესეირნა, დათვალიერებინა იქაურობა.

ჯარისკაცთა უმეტესობა მათ წინ მიმავალ ტყვეთა კოლონების ცქერით იყო გატაცებული. ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოჩანდნენ.

ზურაბი სულ ახლოდან უთვალთვალებდა **ფაშისტებს, ზოგჯერ შეეხებოდა კიდეც** ოფიცერ-ლიმე მათგანს, ცხვირ-პირზე შემობვეულ ძონძებს აუწევდა, რომ თვალებში ჩაეხედა, კარგა დაემახსოვრებინა მხეცად ქცეული ადამიანის სახე, გონებაში სამარადისოდ ჩაებეჭდა ყველაზე საშინელი ბოროტების ჩადენთა ფიგურები, ნაკვთების მოხაზულობა, კანის ფერი, რომ დარწმუნებულიყო: ესენი გარეგნულად მაინც რითიმე თუ გაისხვავებოდნენ ჩვეულებრივი კეთილისმყოფელი ადამიანებისაგან, რომ მხოლოდ სულით დაემახინჯებინათ ისიხი ჰიტლერელებს, თუ ხორციოთაც მთლად გაეხრწნათ და წაებილწათ.

მას უბრალო წვრილმანიც არ რჩებოდა მხედველობიდან და ამ თითქოს-და მცირედსა და შეუმჩნეველში, მათ ცუდად შენიღბულ საქციელში ხედავდა ყველაფერს, რაც მათ ჩაედინათ, ავკაცობას — ასე უხვად რომ აფრქვევდნენ თითქმის ორი წლის განმავლობაში.

ტყვეები მიწას ჩასცქეროდნენ. ან რა ჰქონდათ თავასაწევი და საამაყო; ხელები კი ერთმანეთთან მიეტანათ და ფარაჯების სახელოებში ჩაემალათ, რომ არ მოყინოდათ.

„ო, ეს ხელები, ხელები!.. რამდენი ცოდვა აქვს ჩადენილი ამ ხელებს!.. ახლა ჩაუმალავთ ეს საშინელი ბოროტების მფრქვეველი ხელები ფარაჯის სახელოებში, თავჩაქინდრული მიაბიჯებენ და ფიქრობენ ტყავის გადარჩენაზე, სულის შენარჩუნებაზე, თავიანთ დამატყვევებლებს განზრახ თვალს არიდებენ, საცოდავ ქმნილებებს დამსგავსებიან, დაჩიავებულან, მოკუნტულან, „არიული“ ოერი სადღაც გაქრობიათ და თუ არ იცი მათი ბუნება, თუ არ გინახავს მათი ნამოქმედარი, მათ მიერ დაყენებული სისისხლის გუბეები, სახრჩობელებში თავგაყოფილი, თვალებგადმოკარკლული უბედური ადამიანების გვამები — ვერც კი იფიქრებ, რომ სწორედ ესენი, ამ რამდენიმე საათის წინ დაჭრილი მხეცის შეუპოვრობით იბრძოდნენ, ტყვიებს სეტყვასავით აწვიმებდნენ ჩვენებს და რაც ბევრს მოსპობდნენ მათ — „მეტ შვებას იგრძნობდნენ, დატკბებოდნენ მათი დაფლეთილი სხეულების ნახვით, წინ წაიწევდნენ კვლავ, ტყვიების ახალ ჯერს დააყრიდნენ ცოცხლებსაც და დაღუპულებსაც, შემდეგ ტანკებით გადათელავდნენ მათ გვამებს გულქვა ადამიანები“...— ფიქრობდა ზურაბი.

...ბორის კოსტიაკოვიც ტყვე გერმანელთა ჯგუფებს აღევნებდა თვალს. უცქეროდა დამარცხებული მოწინააღმდეგის ჯარებს, ღრმად აკვირდებოდა ყველაფერს, რასაც მისი მხედველობა წვდებოდა, იგონებდა წარსულის სურათებს და ღრმად სჯეროდა — დადგებოდა დრო, როცა ფაშისტური არმიის უკანასკნელი ჯგუფები, ტყვედქმნილნი და დამარცხებულნი, ისევე ჩაივლიდნენ წითელი არმიის ნაწილების წინ, როგორც მიდიოდნენ მათი წინაპარნი, „უძლეველი არმიის“ ეს მკვეხარა წარმომადგენლები. მას ისიც სწამდა-თვითონაც ელოდებოდა ამ დიადი დღის დადგომას: შინაგანი რწმენა მუდამ გამარჯვებას ჩასჩიჩინებდა. საიდან მოდიოდა ეს ხმა — არ იცოდა.

ტყვეთა ჯგუფები მოდიოდნენ და მოდიოდნენ, დასასრული არ უჩანდა მათ სვლას, იფიქრებდით: გერმანელთა ყველა არმიას იარაღი დაუყრია, საბჭოთა ჯარებს დანებებია და ომიც დამთავრებულაო.

...და უცქეროდა მათ დიდი ცნობისმოყვარეობით, ინტერესით, გაკვირვებითა და აღტაცებით.

მერედა, ისინი ხომ ამ ცოტა ხნის წინ თვითონ მოაბიჯებდნენ აღმოსავლეთისაკენ, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც წინ ხვდებოდათ, წითელი არმიის ნაწილებს ფეხდაფეხ სდევდნენ, ავიწროებდნენ, ვოლგაში უპირებდნენ ჩახრჩობას ყველა ჯარისკაცს... ახლა იარაღი დაუყრიათ და იმავე გზით მიემართებიან უკანასკნელი თავშესაყარი პუნქტებისაკენ — ტყვეთათვის გამოყოფილი ბანაკებისაკენ.

წინა ღამე თითქმის ზეზეულა გაატარა. გამარჯვებით გამოწვეული სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ გული ვერ იტევდა ზღვა გრძნობებს. ყველა გერმანელთა სამარცხვინო აღსასრულზე ლაპარაკობდა. მას ჯერ არ ენახა არტილერისტები ასეთ მხიარულ გუნებაზე; რა შეუძლია იმედს! რამდენ ძალას მატებს იგი ადამიანს!

ფელდმარშალ პაულიუსის დატყვევებამ საბოლოოდ გასტეხა გერმანელები. მას შემდეგ სხვა შენაერთებს სერიოზული წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ.

რას არ ლაპარაკობდნენ ამ შემთხვევის გამო.

— იცი რა, ბორის, — უთხრა მას წინაღამით ზურაბმა, — ამბობენ ორმოცდაათი გენერალი ჩავიგდეთ ტყვედო, ნეტა მართალია?

— ოცდაოთხიდან ორმოცდაათამდე აიყვანეს უკვე? იქნებ ასიც იყოს... მით უკეთესი, სწორია თუ არა—ჩვენი საქმე არაა. ჩვენ ვვინღა ორასი, ათასი იყოს ყველანი აქ იყვნენ, მთელი უმაღლესი მთავარსარდლობა გვეგდო ხელში ნეტავი აი, მაშინ ხომ ნამდვილად ვიზეიმებდით ომის საბოლოო დამთავრებას, — მიუგო ბორისმა.

— ტყვე ჯარისკაცების რიცხვს ორასიათასამდე ასახელებენ, ერთ ქვეითი ჯარის მაიორს ჩემი ყურით მოვუსმინე, — დაუმატა ზურაბმა.

— ამინ! — მკვირცხლად გაეპასუხა ბორისი, — ვირწმუნოთ, რომ ასეა. ვრთი ამდენი ამოვეკლიტეთ, დანარჩენები დავატყვევეთ, რა კარგად მიდის საქმე! აბა რა ეგონათ მაგ... — ბორისმა შეიგინა. — მუდამ უკან ვიელიდით და თავხედობას შევარჩენდით? დაიცადონ, ჯერ

სად არის... დედას ვუტირებთ! ვანანებთ ჩვენიანების სისხლის დაღვრას, აწიოკებას და აბუჩად აგდებას!

ზურაბს არაფერი უთქვამს, ნეტა ტყვე გერმანელთა და ჯარისკაცთა რიცხვი ორჯერ კი არა მართლა ასჯერ მეტი ყოფილიყო... ასე უნდოდა ყველა ჯარისკაცს. ამიტომ სჯეროდათ მონაყოლი ამბებისა და თუ იგი გაზვიადებული იყო, მით უკეთესი-ეს ხმები შინაგან რწმენას უძლიერებდა, იმედს მატებდა, რადგან, რაც მეტი გერმანელი ჯარისკაცი გაივლიდა ამ გზაზე, მით ადრე გაეხსნებოდა მათ ყველაზე ნანატრი და ბედნიერი გზა სამშობლოსაკენ.

და ეს იმედიანი ფიქრები, ტკბილი ოცნებები კვებავდა ჯარისკაცთა სულებსა და სხეულებს...

ო, ჯარისკაცულო ოცნებავ, რა წმინდა და კეთილშობილური ხარ შენ, რა ფერად-ფერადი, მაგრამ უმეტესად მიუწვდომელი!..

ო, ჯარისკაცო, ჯარისკაცო! შენ ხელთა გაქვს იარაღი ცეცხლისმფრქვეველი და ყოვლისშმუსვრელი, ფოლადის ჯავშანშიცა ხარ ჩამჯდარი, ცოცხალ ციხე-სიმაგრედ აღმართული და მაინც არაფერი ისე უცებ არ შეიძლება დაიმსხვრეს, ერთ წამში ჩაქრეს და ჩაიფერფლოს, როგორც შენი ფიქრები და ოცნებები, შენი გეგმები, ზრახვები, იმედები... ისინი, ეს ნდომანი და სურვილები შენი, **გულს რომ წლობით ატარებდი** და სათუთად, ნაზად აშენებდი, ოქროს კოშკებად რომ დგამდი, სიყვარულით მოსავდი, მეგობრობის გრძნობებით ქსოვდი, — თვალის დახამხამებაში შეიძლება მტვრად იქცეს, მისი გონებაში აკიაფებისთანავე შთაინთქეს მარადიული უმძრაობისა და უკუნეთის სამყაროში, როგორც ცას მოწყვეტილი მეტეორი ატმოსფეროს **უზარმაზარ ოკეანეში.**

რამდენი ოცნება ჩაფერფლილა მეომრისა, არა მარტო ომის დასაწყისში, მის მსვლელობისას, არამედ გამარჯვების ბრწყინვალე დღეებში, ომის უკანასკნელ საათსა და წუთში! რამდენი ფიქრები, კეთილი აზრები, საღი ნათელი მიზნები და ამოცანები, რამდენი ლამაზი სიცოცხლე დაშრეტილა, ვით მოჩუხჩუხე ნაკადული აგვისტოს პაპანებაში, გამქრალა, ვით თოვლი—მარტის თვეში წამოფიფქული! რამდენ ჯარისკაცს გულში ოცნების ჩასახვის სიხარულით გამოწვეული ღიმილი ტუჩებზევე შერჩენია მის გაელვებისთანავე!..

ცა და დედამიწაც კი ისე შორს არ არიან ერთმანეთისგან დაშორებული, ვით ჯარისკაცის ოცნება და სინამდვილე ზოგჯერ.

ბორისმა ირგვლივ მიმოიხედა. ახლომახლო არავინ ჩანდა. უფრო მოშორებით ორიოდე ნაცნობი ჯარისკაცი შენიშნა მესამე ბატარეიდან: ნომარ ველს ათვალიერებდნენ; ისინი ჯუჯა კაცებივით მოჩანდნენ დამსხვრეული ტექნიკისა და ნანგრევებისაგან წარმოქმნილი გორაკების ფონზე.

სამხრეთიდან ტყვეთა ახალი ჯგუფი გამოჩნდა. ბორისმა ახლა მზერა მათზე გადაიტანა და როცა ისინი ახლოს მოვიდნენ, უნებურად, ზურაბის სიტყვები გაახსენდა: „ტყვე გერმანელთა რიცხვს ორასიათასამდე ასახელებენ. ჩემი ყურით მოვისმინე..." მართლაც უთვალავნი იყვნენ დამარცხებულნი... იქნებ სწორია ეს?

ბორისს ახლა ზურაბთან საუბარი მოუნდა. — ვერსად მოჰკრა თვალი.

„ნეტა სად არის?"—გაიფიქრა და ტყვეებს მოჭარბებული ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა.

ქართველ ჯარისკაცს ბორისისაგან რამდენიმე ნაბიჯი ჰყოფდა. ისინი სულ ახლოს იყვნენ ერთმანეთთან და პირდაპირი, უმოკლესი გზით, ერთი წუთი არ დაჭირდებოდათ ერთურთის მოსანახულებლად — ეგონათ კი, შორს ვართო.

ზურაბს ზღაპრულ საკვირველებათა სამყაროში წარმოედგინა თავი, მართალია, იგი ყველაზე საშინელ სამყაროს წაგავდა, სადაც მხოლოდ გაქვავებული ნანგრევები და ადამიანები არიან, ყინულადაა ქცეული ყოველგვარი საგანი და გული აქედან გაცლას კარნახობდა-მაინც მონუსხულივით იდგა ამ მცირეოდენ მიწის ნაპერზე, ფერფლად და ნახშირად ქცეულ მიწასა და იარაღებზე თითქოს მთელი მსოფლიო ისტორიას კითხულობსო — ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა... გონებაში კი უტრიალებდა წარსულის მრავალფერადი სურათები — სასიამოვნო და სამწუხარო, მიმზიდველი და სევდიანი, უცოცხლდებოდა გუშინწინდელი ჯოჯოხეთური ხმაურისა და ყიჟინის შთაბეჭდილებანი, გუშინდელი დღის მარად მოსაგონარი სიდიადე, გამარჯვებული მეომრების გაბრწყინებული სახეები და „ვაშას" გამაყრუებელი გრიალი...

მერე და რა უცებ მოედება სიხარულის ტალღა ადამიანებს! როგორ უცაბედად იცის აბობოქრება ხალისმა და იმედმა, რა უცებ გადაეკრება ყველას და ყველაფერს საზეიმო ელფერი!

მწუხარება ნელ-ნელა შეეპარება ადამიანის სულს, რადგან არ გვინდა ვიწამოთ მომხდარი უბედურება. სიხარული კი ელვასავით ფრთამალია და უცებ გვიპყრობს, გვაჯადოებს, გვატყვევებს და მთლიანად, მთელი სხეულით მივენდობით მას, მის სანეტარო ზვირთებში ეცურდებით...

გუშინდელი საღამო სწორედ ასეთი იყო. ეს პირველი საღამო იყო, როცა სტალინგრადის დამცველებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, როცა წინააღმდეგობა შეწყვიტა უკანასკნელმა ფაშისტმა ჯარისკაცმა და სროლის ხმა მიწყნარდა.

ჰიტლერელთა განადგურების ამბავი წითელარმიელებში სწრაფად გავრცელდა და უსახღვროდ გაახარა ისინი. ეს სასიამოვნო ამბები ღვინოსათვის აბრუებდნენ მეომრებს და რამდენადაც ბევრნი იყვნენ ისინი, რამდენად უფრო ნათლად ისახებოდა გამარჯვების სიდიადე ფრონტის გადამწყვეტ უბნებზე, იმდენად მძაფრად იჭრებოდა გონებაში ყველაფერი, რაც ირგვლივ მოჩანდა და თითოეულ მათგანს თვალწინ აღუდგენდა ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული არმიისა და მათი მილიონობით ჯარისკაცების გუშინდელი, გუშინწინდელი, იმისწინდელი ტიტანური ბრძოლის სურათებს.

ზურაბი მოგონებათა ტყვე გამხდარიყო. მისი გონება ახლა ამ სურათების გარშემო ტრიალებდა და უნდოდა დროის მცირე მონაკვეთში წარმოედგინა ყოველივე ისე, როგორც იყო გაუგონარი ცეცხლის დელგმაში, „ვულკანის“ ფრქვევის ხანაში და რომლიდანაც საათები აშორებდა.

„ქალაქში ვდგავარ კი?... უფრო სწორი იქნება მისთვის ნაქალაქარი გვეწოდებინა“, — გაუელვებდა ხშირად აზრი და გული მწარედ შეეკუმშებოდა.

უცებ სულ ახლოს რადიორეპროდუქტორი ალაპარაკდა.

„ლაპარაკობს მოსკოვი! ლაპარაკობს მოსკოვი!“ — ჩაესმა ყურთ ზურაბს და ეს ხმა ისე მოეკლინა, ვით უგზო-უკვლოდ დაკარგულს თავისიანის ხმა, სიცოცხლისაკენ რომ უხმობდა, სამშვიდობოზე გაჰყავდა...

ენით გამოუთქმელი სიამოვნება იგრძნო, ერთ წამში სულ გამოიცვალა, გამხნევდა და სმენად იქცა.

ლევიტანი ჩვეული სიდინჯითა და გულში ჩამწვდომი, დამაჯერებელი ტონით გადმოსცემდა საინფორმაციო ბიუროს ცნობას სტალინგრადთან ალყაშემორტყმული ფაშისტური არმიების განადგურებისა და დატყვევების შესახებ.

„ვინ იცის მერამდენედ გადასცემს მოსკოვი ამ ცნობას, მაგრამ ეჭვი არაა, მას მთელი მსოფლიო კვლავ ისეთივე დაძაბული ყურადღებით უსმენს, როგორც პირველად და მასში ადამიანები ხედავენ გადარჩენილ სიცოცხლეს, მის ხელახლა დაბადებას. ფაშისტთა სისხლიანი საქმეების დასასრულის დასაწყისს... მერედა რაოდენ დიდი მნიშვნელობისაა სტალინგრადთან დატრიალებული ამბები! მათ ქვეყნიერება შესძრეს, იმედის ცეცხლად აენთნენ ყველგან და მილიონობით ადამიანის დარდიან გულებს შვება აგრძნობინეს... ეს განსაცვიფრებელი და საარაკო ცნობა ალბათ უკვე მიწვდა ჩვენი პლანეტის არა მხოლოდ დიდ ქალაქებს, არამედ მიყრუებულ სოფლებს, შორეულ კუნძულებს, ყინულოვან ველებს, უდაბნოებსა და აულებს; იგი შეაღწევს ჯუნგლებშიაც და გაახარებს ყველას, ვინც ამქვეყნიური სიამითა და ჰიკ-ვარამით ცხოვრობს“.

ლევიტანს სხვა დიქტორი შეენაცვლა.

უკანასკნელ ცნობებში, სხვათა შორის, მან თქვა, რომ ვოლგასთან დამარცხების გამო ფაშისტურ გერმანიასა და მის დედაქალაქში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა და მთელი ნაცისტური ქვეყანა ძაძებითაა შემოსილიო.

ზურაბი მეტად გააკვირვა ამ ცნობამ და უმალვე გონებაში ანალიზი გაუკეთა მას... თვალწინ წარმოესახა ამაყი, მხრგბგამართული მოსკოვი და პირქუში, ჩამუქებული, შავად შესუდრული ბერლინი, შეადარა ისინი ერთმანეთს და თითქოს ცხადლივ დაინახა, რა ხდებოდა თითოეულ მათგანში, რა დიდი სხვაობა იყო მათ შორის, მათი ახლო მომავალი და ბედ-იღბალი განჭვრიტა...

„უგუნური ნაბიჯი და წინდაუხედაობაა, — ფიქრობდა იგი, — მწუხარება და გლოვა, წარუმატებლობითა და მარცხით გამოწვეული სევდა გადასდო მოსახლეობას, უკარნახო ზემოდან-ძაძებით მოირთეთ და იტირეთო... სახელმწიფოს მმართველთა სულმოკლეობაზედაც მეტყველებს იგი მათს მშიშარობასა და ლაჩრობაზე მიუთითებს...

მოსკოვში სრული სიწყნარეა და ხალისი გაბატონებულა...

გერმანიაში გლოვის დღეები დგას. ზამთრის სუსხი კიდევ უფრო პირქუშს ხდის, შესაბრალის შესახედაობას აძლევს ნაცისტთა დედაქალაქს.

თურმე შემთხვევითი როდია, რომ ბერლინი „შავ ქალაქად“ იწოდება და მისი კედლები შავმიხაკისფრადაა შეღებილი.“

შთაბეჭდილებათა და ფიქრთა ოკეანეში ჩაყურყუმალავებული ჯარისკაცი ხმაურმა შეაკრთო.

საბჭოთა ტანკების მოტორების გრუხუნი ყურს ჩაწვდა და ფიქრებიდან გამორიყა... ვინ იცის, იქნებ მტრის მანქანათა ხმაურს ამსგავსა ეს ხმა და წინათ ჩამომდგარი სიჩუმე ტკბილ სიზმრად მოეჩვენა — ხელი იარაღზე იტაცა.

თავისიანების დანახვამ გარსშემორტყმული სინამდვილის სურათების ჰეშმარიტება დაუდასტურა. შორიახლო მესანგრეები, სპეციალური რაზმები და სანიტარული ნაწილები გამოჩნდნენ. მათ მოქალაქეებიც ახლდნენ. ისინი დაღუპულ წითელარმიელთა დასაფლავებაზე ზრუნავდნენ... დრო იყო გერმანელთა გვამებისაგან ქალაქის გაწმენდაზეც ეფიქრათ, მაგრამ ამისათვის თვეები არ იკმარებდა.

ზურაბმა პირი იბრუნა და ახლა ერთ ადგილას ზვინივით აღმართულ ლითონის ნამსხვრევებს დაუწყო მზერა. ეს ადგილი ჯართის უზარმაზარ გროვას წააგავდა, თითქოს ვიღაცეებს ყველა სახის დამსხვრეული მანქანა-იარაღი

აქ მოუტანია და იქაურობა ღია მუზეუმად უქცევიათო... გაოცდა. ახლა შენიშნა, რა დიდი გზა გაევლო ფიქრში და უცებ იმ „გრძელი გორაკის“ უკიდურეს ნაპირას აღმოჩნდა, სადაც იგი „ბარს“ ერთვოდა. იქიდან ათიოდე მეტრზე, მისკენ ზურგით მდგომ ჯარისკაცს მოჰკრა თვალი, ანაზდეულად მისკენ გასწია და გაკვირდა, როცა ბორის კოსტიაკოვი იცნო.

ამ უკანასკნელს არ შეუმჩნევია ზურაბი, თვითონაც ფიქრებში ჩაძირულს, აღარაფერი უჩანდა თითქოს თვალწინ და ისე უცებ წაადგა თავს ზურაბი, ვით ივლისის დაუვიწყარ ღამეს ბორისი თვითონ მას ქვემეხთან, საგუშაგოზე ყოფნისას. მაშინ ღამე იყო და თვით ზურაბმა ვერ შენიშნა, ახლა დღე იდგა და მაინც არ გაუგია ბორისს, როდის წამოეპარა ზურგიდან „უჩინარი მტერი.“

— ბორისი ოცნებობს, ბორისი! — უმალვე მიახალა სიტყვები მეთაურს და სახე გაებადრა.

ბორისი შეკრთა, მსწრაფლ მიბრუნდა და როცა იცნო მყუდროების დამრღვევი, ძალაუნებურად გაიღიმა და საყვედური იმით გამოხატა, არაფერი უპასუხა.

ზურაბმა ახლა იგრძნო, რა უდროოდ, უხეშად შეეხო მეგობრის ოცნების სიმებს და გადაუწყვიტა ისინი. გული ეტკინა, მაგრამ გვიანღა იყო. სიტყვები ვეღარ მონახა სათქმელი და უხერხულობისაგან თავის დასაღწევად, ჯიბე მოიქექა, პაპიროსი მოძებნა, ამოიღო, მოუკიდა, გააბოლა და ბორისს შესთავაზა მოსწიეო. ამ უკანასკნელს უარი არ უთქვამს, უხმოდ გამოართვა და თვითონაც გააბოლა.

არცერთი არ იყო ლაპარაკის გუნებაზე. მიუხვდნენ ერთმანეთს და ხმაამოუღებლად განაგრძეს გზა. საით—თვითონაც არ იცოდნენ.

გზის გაგნება კი ნანგრევთა გორაკებში ადვილი როდი იყო... ისინი მიაბიჯებდნენ ფრთხილად, თითქოს ალპინისტები მთის მწვერვალისაკენ მიიწევენო.

ღამდებოდა. სუსხი მატულობდა. ცნობისმოყვარეთა რიცხვი „ნაქალაქარის“ მიდამოებში კლებულობდა. ახლა თითო-ოროლა ჯარისკაცი მოჩანდა აქა-იქ. უმეტესობას „გული ეჯერებინა“ ამ „სანახაობებით“ და იქაურობას გასცლოდა. მაგრამ იყვნენ, ისეთებიც, ვისთვისაც ეს უზარმაზარი სასაკლაო, სადაც ახლა სიჩუმე და უმოძრაობა დამკვიდრებულიყო, იყო ცხოვრების დიდი, უმკაცრესი გაკვეთილი, იმ მწარე ნაღველთან ერთად, რომელიც მათ სულს მოსდებოდათ.

ცხოვრებაში გადადგმული ყოველი ნაბიჯი, იქნება ის ბედნიერების ბილიკით თუ განსაცდელის ფართო შარაგზით სვლა, არის თავისებური სკოლა, ჭეშმარიტად დიდი ცხოვრების შეხწავლის, გამოცდილების შეძენის გზა, თუ სამყაროს მოწაფე გონიერია, თუ შესწევს უნარი ღრმად ჩაიხედოს მოვლენებში და ჩაწვდეს მის არსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონების თვალით შეხედავ ამა თუ იმ მოვლენას, ცალკეულ შემთხვევებს თუ ისტორიულ პროცესს, ნიშნავს გადადგა შეგნებული ნაბიჯი წინ, არ დადიოდე როგორც ბრმა, იყო მონაწილე და არა უბრალო მოწმე შენს თვალწინ მსრბოლელი ცხოვრების დაუდგრომელი ტალღების ბობოქრობისა, დიდი ქარტეხილებისა, რომლებიც კანონზომიერად და დრო და დრო, წამით თუ მინელდებიან მხოლოდ მისი თვალუწვდენელი ზღვის რომელიმე კუნჭულში.

ბორისი წინ მიდიოდა.

ზურაბი ნელა მიაბიჯებდა. იგი თავის თავთან გულწრფელი იყო: არ გახარებია ქვემეხის მეთაურს რომ წააწყდა მოულოდნელად და სწორედ მაშინ, როცა თითქოს ყველაზე მეტად საჭირო იყო ახლობელი და ნაცნობი, გულით მოუნდა ისევ მარტო დარჩენილიყო, ჩამორჩენოდა მეგობარს, დამალვოდა მას, რათა უფრო მძაფრად, ღრმად შეეგრძნო ყოველივე ირგვლივ მდებარე, რადგან ეს დღე, ეს საათი, საბედნიეროდ, არასდროს განმეორდებოდა, დრო შთანთქავდა ყველაფერს და მალე, სულ მალე ამ ადგილას ისევ აიყრიდა სიცოცხლე კვირტებს, ცხოვრება ათქვირდებოდა, გაიფურჩქნებოდა ომის სუსხით დამზრალი ყვავილები, აჩქეფდებოდა ძალუმად სისხლი ქვეყნის ულამაზესი კუთხის ძარღვებში, აყვავდებოდა გადაბუგული „ნაქალაქარი“ და მაშინ მოგონებები, საშინელი მოგონებები დარჩებოდა მხოლოდ დღევანდელ დღეზე, მრისხანე ცხრაასორმოცდაორზე...

გზა თითქოს-და უსასრულო იყო, ასევე დაუღეველი იყო ფიქრები, რომლებიც ხან სად გადაისროდა და ხან სად.

ამ საბრძოლო იარაღების მიღმა, ომის გრიგალს რომ უმოწყალოდ დაელეწა, მან დაინახა ვოლგის ნაპირებთან მომხდარი განსაცვიფრებელი ამბებით თავის ქვეყანაში ჩამომდგარი ნაადრევი გაზაფხული, რომელიც ყველაზე კეკლუცი იყო ომის დაწყების შემდეგ.

ამ გულშემზარავ სურათებში, ომის ტლანქი ფეხების სისხლიან ნაკვალევზე იგი ხედავდა გადარჩენილ მომავალს არა მარტო თავისი, არამედ მთელი მსოფლიოს ქვეყნებისა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მტრის დამარცხება მისი სრული განადგურების დასაწყისი იყო.

მიაბიჯებდა ზურაბი მდუმარედ, ხან კი შეჩერდებოდა, დაიხრებოდა, რომელიმე იარაღს ახლოდან შეხედავდა, ან აიღებდა და გულდასმით დაათვალიერებდა, ზოგჯერ კი გაეჭრელებდა, შორს გადაისროდა და გზას განაგრძობდა. ნეტავი ბევრი დრო ჰქონოდა, მაშინ კიდევ უფრო ღრმა გრძნობების თვალით ჩაიხედავდა იმ მოვლენათა შიგნით, რომელთა საბედისწერო

სრბოლა დასრულებულიყო, მაგრამ დაეტოვებინა თავისი საშინელი ნაკვალევი.

იგი ისე მოჩანდა ნანგრევთა ფონზე, ვით ჯუჯა კაცი გოლიათებს შორის, რომელიც ახლა საცოდავ, უსუსურ არსებას წაგავდა...

„რა საკვირველებაა! — გულს ეუბნებოდა მწველი ფიქრები, — მაშინ როცა შეიძლება იცხოვრო მშვიდობიანად და სასიკვდილო საფრთხის ქვეშ არ დააყენო სიცოცხლე, ადამიანი ფიქრობს მოკლას ადამიანი — ამქვეყნიური ყველაზე დიდი სილამაზე და საოცრება, რომელსაც ძალუძს სასწაულები ჩაიდინოს და ომის მანქანების ნაცვლად გამოიგონოს ისეთი რამ, რაც სიცოცხლეს გახდიდა ხანგრძლივს, თუ მარადიულს არა, რის შემდეგ მეცნიერების მიღწევები იმ დონემდე ამაღლდებოდა, რომ მოისპობოდა ყველა სახის დაავადება, ყოველწლიურად მილიონობით ადამიანების სიცოცხლეს რომ ნთქავენ.

მერედა რა უცებ შეიძლება ომის ცეცხლის გაჩაღება! იგი დენთის უზარმაზარი საწყობის აფეთქებასა ჰგავს, როცა ასანთის ერთ ღერს შეუძლია მანამდე უვნებელი ნივთიერება გამანადგურებელ ძალად აქციოს და უდიდესი უბედურება მოუტანოს ადამიანებს.

რა იოლია ომის ხანძრის გაჩაღება!.. მაგრამ მისი ჩაქრობა სინჯეთ, ჩაქრობა!..

ახლა რატომღაც ომის წინანდელი დროს მოგონდა, თვალწინ დაუდგა მშვიდობიანი, ბედნიერი, დღეები, მერე გონებაში ოცდაორი ივნისის ბედკრული დღე ამოუტივტივდა და დიდხანს ხედავდა იმის საშინელ სურათებს, რაც მასთან იყო დაკავშირებული.

— ძირს ომი — სიკვდილი და უბედურება! — ანაზდეულად, ანგარიშმიუცემლად ხმამაღლა წამოიძახა უცებ...

შეკრთა. მიმოიხედა. ძლივს მოისაზრა სად იყო.

ახლო-მახლო ვერავინ შენიშნა.

ბორის კოსტიაკოვიც არ ჩანდა. ყველანი, თითქოს ცდილობენ ქართველი კაცის ოცნებისათვის ხელი არ შეეშალათო, იქაურობას გასცლოდნენ და ახლა სამარისებური ხიჩუმე გაბატონებულიყო ირგვლივ...

მზე კარგა ხნის ჩასული იყო, როცა ზურაბი ამხანაგებს შეუერთდა და მათი საერთო-საზეიმო ელფერის ტანისამოსი გადაიცვა — საზეიმოსი, რომელიც ამ „ჩამქრალ ვულკანზე“ გუშინდელმა დღემ მოუტანა სახელოვანი წითელი არმიის მეომრებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. მეესხი

სამხედრო ჟურნალისტის ფრონტული ჩანაწერებიდან

მე და სავლე წერეთელი მოწინავე ხაზიდან ვბრუნდებოდით. ჩემს მეგობარს სიარულისას წინ მიურბოდა საველე ჩანთა და გაგულისებული გაჰკრავდა ხოლმე ხელს, ადგილზე რომ მიებრუნებინა. გზაზე იგი მელაპარაკებოდა თავის სადოქტორო დისერტაციის გარშემო ასეთი გატაცებით, რომ მე თითქოს მეხარბებოდა კიდეც ადამიანის ისეთი რაინდული სიყვარული თავისი სპეციალობისადმი. იგი შთაგონებული იყო ფიქრით, მასთან განუყრელად რომ იყო ძილში, თუ ცხადად.

საუბარით მივაღწიეთ დივიზიის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილის განლაგებამდე, სადილობის დრო იყო და გადავწყვიტეთ აქ შეგვეცადნა. მზარეულმა ცარიელი ყუთები მოგვცა ჩამოსაჯდომად. როგორც კი მოვეწყვეთ, მან მამაპაპური ჯამებით ქაფქაფა ბორშჩი მოგვაწოდა. ის იყო ჩექმის ყელიდან კოვზები დავაძვრეთ, რომ ამ დროს ცის დასალიერზე დიდი მოძრავი წერტილები დავლანდე.

— წეროები, წეროები მიფრინავენ, — შევძახე სავლეს და ორთავემ შუბლი მოვიჩრდილეთ.

— არა, არა მგონია, ეგენი წეროები იყვნენ, თქვა სავლემ — მოიცა, მოიცა გესმის!

ვიღაც ზემდეგი გარბი-გამორბოდა. ხმამაღლა ყვიროდა: „დაწექით ჩქარა, სანგრებისაკენ "

მთელი ცა უკვე სავსე იყო ფაშისტური თვითმფრინავებით.

„ჰაინკელების" საზარი ღრიანცელი თანდათან მატულობდა. რაღაც წამებში მთელი ბექობი აირდაირია. დამფრთხალი ცხენები საზიდრებს ხრიგინით მიარბენინებდნენ, ჭიხვინებდნენ. ლაშებზე ქაფმომდგარნი თვალებს აბრიალებდნენ, მოსართავებს და გარსაკრებს გლეჯდნენ. მეომრები ჩოჩქოლით გარბოდნენ აქეთ-იქით. მე და სავლემ მივყარეთ კერძით სავსე ჯამები, ჭაობიანი ვაკე ადგილისაკენ გავიქეცით.

— დაწექით!... — ყვიროდა ვიღაც ტყის ნაპირიდან და ავტომატს გვიღერებდა.

პირქვე ჩავეშხეთ. ცივი ტალახნარევი წყალი ჩამოვიდა სახელოებში, საკინძეში.

მიწაზე სიბრტყივ ვიყავ გართხმული და ცალი თვალით მივჩერებოდი ცალფად როგორ განლაგდნენ ფაშისტთა „ძერები". ეს მათი საბრძოლო წყობა იყო. ისინი რიგრიგობით ყვინთავდნენ და ფუზელაჟებიდან ბომბები ცვიოდა. გამჭოლი კვილით მოჰქროდნენ მიწისაკენ. ამ დროს სახესაც ვმალავდით ჭაობიან გრუნტში და გარინდული ველოდით ბომბების აფეთქებას. მიწა კი ოხრავდა და კვნესოდა. ბომბებს რომ ჩამოყრიდნენ, ახლა „მპარსავი ფრენით" და მოტორის ღრიალით დაგვტრიალებდნენ, ტყვიამფრქვევის ცეცხლს გვიშენდნენ. ეს იყო რაღაც გაუთავებელი, ნერვების დამგლეჯი და შემაძრწუნებელი. „ჰაინკელები" ფრთებდაკეცილი ფასკუნჯებივით ყვინთავდნენ, მომაკვდინებელ ტვირთს ყრიდნენ და თავის წამოწევის საშუალებას არ იძლეოდნენ. ძნელია გადმოსცე ყოველივე ეს. როცა უკვე შერიგებული ხარ აზრთან, რომ შეიძლება რაღაც წამებში შენი ფიქრებით და ოცნებებით ერთად გაჰქრე სამუდამოდ, ჰიწის ბელტებთან ერთად განიბნე და ვის ეცოდინება, რომ იყო პოეტური აზრებითა და სახეებით დატვირთული ახალგაზრდა ადამიანი!

როგორც იქნა გათავდა ეს წამება. წამოვდექით და ერთმანეთს გავუღიმეთ. ეს ღიმილი გადარჩენის ურთიერთმილოცვა იყო.

გადავრჩი კი, მაგრამ ყურში ხეირიანად აღარ მესმოდა. ეს იყო კონტუზიის ნიშანი. არმიის ჰოსპიტალში წამიყვანეს, სადაც თავისი ცოდნით და თვალტანადობით ყველას ხიბლავდა ქართველი დოსტაქარი ანატოლი ტოგონიძე. მან დამამშვიდა და მითხრა, რომ მალე გამო-

ჯანმრთელდებიო. ანატოლი ტოგონიძე პალატაში ექიმ პეტროვასთან ერთად შემოდიოდა. სიმართლე გითხრათ, ასე შემკული ქალი იშვიათად მინახავს.

პალატაში ხშირად შემოდიოდა ახალგაზრდა ქალი გუცა ზუმბაძე, რომელიც სანდომიანობით გამოირჩეოდა. რატომღაც მეგონა, რომ მასზე პალატის ყველა დაჭრილი მებრძოლი იყო შეყვარებული.

მე-13 არმიის რეზერვში ათიოდე დღეს დავრჩი. მალე გამომიძახეს, მომცეს სათანადო საბუთი და ფრონტის შტაბში გამგზავნეს გასანაწილებლად. ისევ მე-13 არმიის განკარგულებაში დამაბრუნეს.

მაშინ არმიის შტაბი პოლონეთის პატარა სოფელში იყო განლაგებული. აქ გაიცანი ერთი ქალიშვილი, სახელად მანონი ერქვა. ის იყო ჭალზე მხიარული და განათლებული ქალი. საკმარისი იყო რადიოში მოესმინა, რაიმე მელოდია, რომ ხელად ასახელებდა მის ავტორს. ის ჩემი კოლეგა აღმოჩნდა: პირველად გავიგე, რომ ბევრი ჟურნალისტი ქალი მოქმედ არმიაში იყო მობილიზებული, თუმცა მითხრა, რომ მოხალისედ ყოფილიყო წამოსული ფრონტზე.

ორივე ერთმა ბელორუსმა დედაკაცმა მიგვიყვანა, რომელიც სოფლის ბოლოზე მარტოდმარტო ცხოვრობდა. თითქმის ყოველდღე, იგი მოხარშული კარტოფილით გვიმასპინძლდებოდა.

— „მაიტე ბარაბოლიუ, მაიტე, ბულბუ," — თავაზიანად გვეუბნებოდა. ჩვენ კი სამაგიეროდ ნამცხვარს, კარაქს და თეიზს ვთავაზობდით. ლოგინს ერთად გვიშლიდა მე და ჩემს კოლეგას. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ ცოლი და ქმარი ვიყავით. ამით მე დიდ ზარალში ვიყავი, შიშველ მაგიდაზე წოლით და თანაც ულოგინოდ გვერდები მქონდა დაბეგვილი. მეორე ლოგინს ხათრით ვერ ვთხოვდით: ლეიბები და საბნები გერმანელებს შეეტანათ მიწურებში, როცა აქ ფრონტის მოწინავე ხაზი გადიოდა. მანონიც ვერ იკავებდა სიცილს, მასაც ვეცოდებოდი და საბნის წახდომას მთავაზობდა.

მაშინ მე-13 არმია შეტევით ბრძოლებს აწარმოებდა მდინარე ოდერის გაღმა.

მალე მე-13 არმიის გაზეთში დავიწყე მუშაობა, ამ გაზეთს პოდპოლკოვნიკი კოჩკუროვი რედაქტორობდა.

მისი რამდენიმე მუშაკი მწყობრიდან იყო გამოსული და ჰოსპიტალიდან მათ დაბრუნებამდე უნდა ვყოფილიყავი მასთან.

— კაპიტანი მესხი, არმიის შტაბმა გამოაგზავნა. დროებით იმუშავებს, ჩვენი ბიჭების ჰოსპიტლიდან გამოსვლამდე. — მოახსენეს.

— ინგუში ხარ თუ ოსი? — შემეკითხა კოჩკუროვი და ჩაის ცხელ ორთქლს სახე მოარიდა (დღესაც არ ვიცი რატომ ვეგონე მას ან ოსი, ან ინგუში).

— ქართველი გახლავართ. — ეუპასუხე კოჩკუროვს.

— კეთილი და პატიოსანი. რუსული გესმოდათ?

— მესმოდა. — ერთი სიტყვით გავეცი პასუხი კოჩკუროვს.

— კეთილი და პატიოსანი. ამჟამად ჩვენი არმიის დივიზიები ქალაქ შტეინაუს ქუჩებში იბრძვიან. კარგი იქნება თუ დაგვიწერთ მასალას ქუჩის ბრძოლების გამოცდილებაზე. — მითხრა კოჩკუროვმა და დაუმატა. — ჩაი მიართვით ამხანაგს.

ის ღამე იქვე გავათიე, კოჩკუროველებთან (ასე ეძახდნენ თავიანთ თავს გაზეთის მუშაკები).

დილით კოჩკუროვმა მითხრა:

— ჩვენი ვილისი მიდის მოწინავეზე, შეგიძლიათ გაემგზავროთ ნაწილებში. ამხანაგს ხომ გაუმასპინძლდით? — ჰკითხა თავის მძღოლს, რომელიც მზარეულობასაც ეწეოდა.

— დიახ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო. მას ძალიან მოეწონა ბურღულის ფაფა, ჩემი გაკეთებული....

— თუ ასეა, მობრძანდით. აი რუკა. ჩვენ ამ მარშრუტით ვივლით.

— აი ქალაქები ბრესლაუ, ლობაუ, გლოგაუ; ერთი სიტყვით, კოტბუსისაკენ, ორ დღეში შეტევა დაიწყება; ხომ უნდა დამთავრდეს ეს ომი.

— გასაგებია. გიპოვით.

როცა მანქანაში ვჯდებოდი, კოჩკუროვმა მითხრა:

— ესაუბრეთ ჯარისკაცებს: მათი სულისკვეთება, განწყობილება ამ შეტევით ბრძოლებში. ჟურნალისტმა ისიც უნდა იცოდეს, ბალახი როგორ იზრდება მოწინავე ხაზზე.

— მესმის, თქვენი დავალება შესრულებული იქნება.

ვილისი სწრაფად მიდიოდა. ბრძოლის გუგუნი თანდათან მატულობდა. ჩემს გვერდით იჯდა ხმელი კაპიტანი, არმიის გაზეთის ლიტმუშაკი. საველე ჩანთა ირიბად ეკიდა, რომელშიაც ბლოკნოტები და ფანქრები ელაგა, მათ გვერდით კი ტარანის კუდი ჩანდა.

— ჩვენს არმიაში, — დაიწყო მან, — არის ერთი ქართველი კაცი. ძალიან უყვარს სარდალს. გენერალი პუხოვი ნიადაგ მის ქებაშია.

— ალბათ სნაიპერია, ან არტილერისტი.. ან...

— არც ერთია და არც მეორე. მომღერალია. ისეთი ბანი აქვს, რომ ბადალი არ ჰყავს. დიდებულად მღერის გენერალ გრემინის არიას; გენერალ პუხოვს ძლიერ უყვარს მუსიკა. ასეთი მუსიკალური სარდალი მეორე არ მე-

გულვება. „პროფუნდო“ ხომ იცი, აი ასეთია პეტრე თომაძის ბანი.

ჩვენი ვილისი უცებ გაჩერდა. წინ იდგა გენერალი და ყვიროდა. რევოლვერს იქნევდა:

—„ჩქარა, ჩასანგრდით!“ — ბრძანებდა გენერალი.

გავიგეთ, რომ ამ უბანზე გერმანელებს გადმოელახათ „ოდერი“ და კონტრშეტევაზე იყვნენ გადმოსულები. გადავხტით, სანგრების თხრა დავიწყეთ. მძღოლს ორი საშანცო ნიჩაბი აღმოაჩნდა ბედზე. როცა ბრუსტვერები სასწრაფოდ გავუკეთეთ სანგრებს, გენერალმა გაგვიღიმა და ხელი აიქნია. „აღარაა საჭირო“! — გვიბრძანა გენერალმა და გზა განეაგრძეთ. როგორც გამოირკვა ,გერმანელები ვაიუბედურებით გაეყარათ უკან; ბევრი გვამი დაეტოვებინათ ოდერის ნაპირებზე. მახსოვს, ერთი, ვიღაც ჰელმუტი, სატრფოს წერილი ედო ჯიბეში, თვალღია დარჩენილს, თავი ჰქონდა მთლად გადახსნილი. „ომი მალე დამთავრდება და ჩვენც ჯვარს დავიწერთ“... წერდა სატრფოს.

ქალაქი შტეინაუ ოდერის ნაპირზეა გაშენებული. ჩვენს ჯარებს ძირითადად აღებული ჰქონდათ, მაგრამ ცალკეული რაზმები შენობების სარდაფებში იყვნენ განლაგებულნი და იქედან გვიშენდნენ ცეცხლს, სარდაფებში ჩამძვრალებმა ბევრი ჩვენი ჯარისკაცი მოჰკლეს.

— თქვენ ლაპარაკობდით, რომ ქართველი კაცი არისო არმიის შტაბში, რა გვარია? — დავუბრუნდი წამოწყებულ ლაპარაკს.

— პეტრე თომაძე. გაგიგონიათ? აკი გითხარით!

— როგორ არა. მომისმენია კიდეც კონსერვატორიაში გამართულ კონცერტებზე თბილისში.

— არმიის ანსამბლი აი, იქ არის, აგურის შენობები რომაა. იქ იქნება ახლაც პეტრე თომაძე.

ჩვენ გადმოვხტით მანქანიდან. აქედან ფეხით უნდა წავსულიყავით მოწინავე ხაზზე. გერმანელები შრაპნელს ისროდნენ და აქ მყოფნი სახლების კედლებს იყვნენ ამოფარებულნი.

პეტრე თომაძე ხელად შევიცანი.

— საიდან სადაო. ჩვენ ხომ კონსერვატორიაში გვინახავს ერთმანეთი. თქვენ ხომ შულგინას კლასში იყავით. გავიხსენეთ კონსერვატორიის ბევრი სტუდენტი: გივი ყიფიანი, ბათუ კრავეიშვილი, გრიგოლ გრიგორაშვილი, შოთა კიკნაძე... რადგან ორთავეს გვეჩქარებოდა, მალევე დავცილდით.

მოწინავე ხაზამდე ორიოდე კილომეტრიღა დარჩა. გზაზე მხვდებოდნენ მაზარამოხურული დაჭრილი ჯარისკაცები. თითქმის ყველას ხელი ჰქონდა შებინტული. ბინტში სისხლს ჭარბად გამოეჟონა. ყველას სახეზე გადაღლა იყო აღბეჭდილი. უძილობას თვალები ჩაღამებოდათ, დაუბანელი, ჭუჭყით გადალესილი ხელ-პირი თითქოს შეშუპებოდათ.

— საოცარია. ყველა ხელშია დაჭრილი — ვუთხარი ერთ ზემდეგს.

— ვისაც თავში მოხვდა, ის იქვე დარჩა. — მომიჭრა სიტყვა ზემდეგმა და რაღაც ჩაიბურტყუნა.

რამდენიმეჯერ გადამიწივლა ყუმბარამ თუ ნაღმმა. თვალი გავაყოლე აფეთქების ადგილს, მიწის სვეტი ჩანდა ორმოცდაათიოდე მეტრზე. სულ ახლოს საშინელი ქუხილი ატყდა. ჩემს თავზე ღრუბლის ქულები იშლებოდა. „კატუშამ“ მიზანს ესროლა და სწრაფად შეიცვალა პოზიცია.

— პირი რას დაგიღია!“ — მომაძახა ცხვირგაწითლებულმა სერჟანტმა და რომ გაიღიმა, სიმინდის მარცვლებივით კბილები გამოაჩინა.

ვიწრო ხევს ბუჩქნარი შესეოდა. შიგ. სიღრმეში ძნელი გასარჩევი იყო შენიღბული ჯავშანტრანსპორტიორები. აქ ქვემეხის ლაფეტზე ჩამომჯდარი ოფიცერი შევნიშნე. ჩემი ყურადღება მიიქცია: სახის ნაკვთებით ქართველს ჰგავდა, პლანშეტი ეკიდა მუხლამდე და საკმაოდ გამოკვრთულად გამოიყურებოდა. ეს იყო მექანიზებული დივიზიის გაზეთის მდივანი მიხეილ ყანდარელი, რომელსაც „ყ“-ს გამოთქმა უჭირდა. ჩემი ცხოვრების გზაზე ის ახალგაზრდა აღარსად მინახავს და ჩემს მოგონებაში შორეულ ლანდად გადაიქცა. ნეტავ სად არის ახლა, ქართველ ჟურნალისტთა შორის ყანდარელი არავინ მეგულება.

მივდიოდი მარტო და იმ წუთებში გავხდი საოცრების მოწმე, რაც ალბათ ადამიანის ბედისწერას ნიშნავს. როცა ერთ სახლს დავუახლოვდით, ყუმბარის წივილი შემომესმა. მე პირქვე დავეცი და გულის ძგერით გავინაბე, ასე მეგონა, რომ ეს არის ახლა შიგ შუბლში მომხვდება ეს ყუმბარა და ასე უბრალოდ მოთავდება ყველაფერი. ყუმბარამ თავზე გადამიშხუილა და საშინელი ზათქით მოხვდა სახლის კედლის ყურეს. გაგლიჯა. მტვერისა და აგურის ფქვილის სვეტი ჩამოეკიდა ჰაერში. აგურები ჩამოცვივდა და ... აი საოცრება: აგურებთან ერთად ყუმბარაც დაეცა დაბლა... დაეცა და... არ გამსკდარა. მაშინ კი ვთქვი, რომ ფრონტზე დადუპვა მე არ მეწერა. სული რომ მოვითქვი, არტილერისტებთან მივედი. ტყვიამფრქვევის ტრასირებულ ტყვიების ჯვრების შუალედში მოვასწარი სარდაფში ჩაძრომა. დივიზიონის მეთაური სათვალთვალო პუნქტისკენ მოდიოდა. როცა გაიგო ჩემი მისვლის მიზანი მითხრა:

— ჩვენ ახლა ჩავატარებთ ერთ საინტერესო

ოპერაციას, ვფიქრობ, გაზეთისათვის საინტერესო იქნება ამის გაშუქება.

საქმე იმაში იყო, რომ ერთი სახლის სარდაფში ფრიცები ყოფილიყვნენ გამაგრებულნი. ეს სახლი საინტერესო იყო თავისი კონსტრუქციით. დიდი კედელი წინიდან იცავდა იმ სარდაფს, რომელიც სვეტებზე იყო დაბჯენილი. ფრიცებს დოტად ექციათ. არტილერისტები სვეტებს დაამსხვრევდნენ და წინა კედელი საყრდენს რომ დაჰკარგავდა, ზედ დაეცემოდა სარდაფიდან ამოსასვლელებს. ამით „ბრმავდებოდნენ“ ფაშისტები და იძულებული გახდებოდნენ დაეყარათ იარაღი: საცეცხლე წერტებს ველარ გამოიყენებდნენ დაბრმავებულები“.

— აქ საჭიროა, ჩემი აზრით, — თქვა დივიზიის მეთაურმა, — აი, ეს სვეტები დაიცხრილოს საარტილერიო ბათქებით, კედელი ჩამოწვება და სარდაფებში ჩასასვლელებს ამოქოლავს .ფრიცები კატის კნუტებივით დაბრმავდებიან.

— ბრწყინვალეა, ჩინებული აზრია! — დაემოწმა მას პოლიტდარგში მოადგილე.

ჩანაფიქრი ბრძანებად იქცა. გულის ფანცქალით ველოდებოდი საარტილერიო ბათქების დაწყებას. ეს ოპერაცია შესანიშნავად განხორციელდა და დამთავრდა კიდეც შტეინაუსათვის ბრძოლა.

კოჩკუროვის რედაქციას ადგილზევე მივუსწარი, ოღონდ ძალზე დაღლილმა. „პრავდის“ შეკვრას დავუწყე სინჯვა და ერთ-ერთი სამხედრო კორესპონდენტის წერილში ძალზე მომეწონა სიტყვა «рыскать» ეს სიტყვა ამავე ნარკვევში გამომადგა ბრმა ტყვიების ზუზუნის გამოსახატავად.

მასალა ოპერატიულად უნდა დაბეჭდილიყო. კოჩკუროვმა როგორც კი დამლანდა, მკითხა:

— არის რაიმე საინტერესო?

მეც ვუამბე მომხდარი ამბავი. არტილერისტებმა ზუსტი ბათქებით როგორ გადასჭრეს სვეტები. და როგორ „დაბრმავდნენ“ ფრიცები.

— ძალიან საინტერესოა. ხვალისავე ნომერში. მერე კი ფრონტის გაზეთში — როგორც მოვილაპარაკეთ, — ჩაღიმებით დაუმატა კოჩკუროვმა.

კოჩკუროვი საკარცხულის მსგავს სკამზე იჯდა. გაუხდელი ელოდა ახალ მარშრუტს. მის ირგვლივ ფუსფუსებდნენ რედაქციის მდივანი და მძღოლი.

— თქვენ დარჩით, წერეთ და აი აქ წამოგვეწევით ალბათ, — მითხრა და ტოპოგრაფიული რუკის ერთ წერტილს დაადო თავისი გრძელი თითი.

ოციოდე წუთით წაძინება ყოველივეს მერჩია, მაგრამ დრო არ იყო. გარეთ გავედი. სახეზე დიდხანს ვიჩქეფე ყინულივით ცივი წყალი. მხოლოდ ახლა გამეხსნა ყურთასმენა: არტილერიის გრუხუნს დავეყრუებინე.

ასი სტრიქონი მქონდა დაბეჭდილი პირველ გვერდზე. პირველი წერილი უცხო გაზეთში, პირველი წერილი უნდა მიმეცა კოჩკუროვისათვის, რომელიც ძალზე მომთხოვნი იყო. ამიტომ დაწერილი ორჯერ, სამჯერ გადავიკითხე, იყო თუ არა ყოველი სიტყვა ადგილზე. მოვძებნე უფრო მეტყველი სიტყვები, ლაკონური გამოთქმები, წინადადებები. წერილი გვიან ღამე მზად იყო, მაზარის ჯიბეში ჩავიდე, მარშზე დაძრული მანქანებისა და ადამიანების ნაკადს შევუერთდი და საერთო რუხ მასაში ავითქვიფე. დილით, როგორც იქნა, ვნახე კოჩკუროვი და წერილი გადავეცი. მან გადახედა და ღიმილით თქვა: „შენიშვნები არა მაქვს. პირველ გვერდზე, ნახევარ სარდაფად. ჩვენები მონახეთ და მიჰყევით მათ, ნახვამდის. თქვენ მასალას საუკეთესო ადგილზე დავბეჭდავთ“.

— კეთილი მგზავრობა! — მივაძახე, როცა მანქანის კარი შეიკეტა.

აქ, ოდერის საიერიშო ხიდზე, მსუბუქად დავიჭერი და ისევ ჰოსპიტალში მოვხვდი.

ჰოსპიტალში დავუახლოვდი ლეიტენანტ ვლადიმირსკის და კიდეც ვმეგობრობდი მასთან. იმ დღეს, ჩვენ ადრე გაგვეღვიძა. ფანჯრიდან გადავჩერებოდით ახლად თვალმოფშვნეტილ ქალაქს.

— მე და შენ ხვალ გაგვწერენ ჰოსპიტლიდან, — მითხრა ლეიტენანტმა ვლადიმირსკიმ. ხელი მომხვია და თვალებში ჩამხედა.

— გიხარია? მე ერთ-ორ დღეს მინდოდა კიდევ დარჩენა, ასე მირჩევს ქირურგიც.

— მთლად არ მომშუშებია ჭრილობები, მაგრამ ძალზე მომბეზრდა. აქაურ აქოთებულ ჰაერს მოწინავე ხაზის დენთის სუნი მიჯობს. ამინდებიც გამოკეთდა: როცა ამინდია, გული მზიანობს და ხალისობს.

— დიდი იმედი ნუ გექნება. ბებიასავან მსმენია: ძაღლის ძილზე რომ იავდრებს, მერე მალე ნუ ელი გამოდარებასო. ხომ ხედავ, შავი ღრუბლები როგორ შემოლაგდნენ ცაზე.

— ბრძენი ბებია გყოლია. მოდექი და იტრაბახე.

— დიახაც, ნამდვილი მისანია, მიუქარავს ამინდის ბიუროს...

ვლადიმირსკი თავისას დაუბრუნდა.

— ძალიან მომბეზრდა აქ ყოფნა. ყოველ დღე ახალ-ახალი დაჭრილები, ყოველ ღამე მათი კვნესა და ყვირილი. შენ თვალწინ რამდენი ნაცნობ-მეგობარი კვდება! გული დამეღალა ადამიანის წვალებით.

— ნამდვილად ძნელი ასატანია, მაგრამ გული მიგრძნობს რაღაც უჩვეულოს. შენ ამას ვერ გაიგებ... არაფერი არ მკითხო, თუ კაცი ხარ!

ვლადიმირსკიმ თავისი გაიტანა, დავთანხმდი,

რომ ექიმს მეც გავეწერე. მეორე დღეს დილიდანვე ორივე ფრონტისაკენ მიმავალ გზას ვადექით.

ისმოდა არტილერიის გაბმული ყრუ ქუხილი. აქედან მოწინავემდე ოციოდე კილომეტრი თუ იქნებოდა. მიჰქროდნენ და მიჰქროდნენ დატვირთული „სტუდებაკერები“, კარგახანს დაგვჭირდა ლოდინი. არც ერთი მანქანა არ გაგვიჩერეს. ვლადიმირსკის ცეცხლი ედებოდა. ძალზე შორს იყო მოძრაობის მარეგულირებელი პუნქტი. შემხვედრი მანქანის მძღოლები კი ვერც გვამჩნევდნენ. ამასობაში დასალიერზე შემოლაგებული რუჟანი ჩხართვის ფერი ღრუბლები უფრო დაიტვირთნენ ნესტით და მთელი ცა შემორაგვეს: ჟინჟვლა დაიწყო. ნემსის წვერივით წვრილი, ცივი წვეთები სათვალის მინებს მითოშავდა და ყოველ წუთში ცხვირსახოცს ვიღებდი ჯიბიდან. ცდაში გადიოდა დრო. წვიმას თოვლი შეერია. ცა კიდევ უფრო დაბლა დაეშვა.

ასრესილ თოვლს შლაპა-შლუპი გაუდიოდა ფეხქვეშ.

— ნამდვილი სინოპტიკოსი ყოფილა ბებია-შენი. — დაცინვით გადამიკრა ვლადიმირსკიმ.

— უკან დავბრუნდეთ, ჰოსპიტალში. ნაცნობები მოვინახულოთ, ექიმმა ხომ სამი დღე მოგვცა დასასვენებლად.

ზურგჩანთები შევიხალვათეთ, ის იყო, უკან უნდა წავსულიყავით, რომ ფრონტისაკენ მიმავალი დიდი მანქანა დავინახეთ. ვლადიმირსკი შუა შოსეზე გაიჭრა და ორთავე ხელი ასწია.

— იწამე ღმერთი, თუ ხარ ქრისტიანი. გაგვიჩერე. ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით, ფრონტზე გვეჩქარება. — ყვიროდა ვლადიმირსკი.

ტყუილად ეცადა. მანქანამ სვლაც კი არ შეანელა, მთლად გადაირია ჩემი მეგობარი.

რაღას ვიზამდით, უკან დავბრუნდით, ბუზღუნით.

ჰოსპიტლის დერეფანში შევედით, ვრცელი ვესტიბიულის კუთხეში მივჯექით.

— მაინც რატომ გინდოდა დარჩენა, ახლა მაინც მითხარი, — წამოიწყო მეგობარმა. — ორთავენი დავითარსეთ, ფუი ეშმაკს.

— გეტყვი, მაგრამ ჯობდა ყოველივე დამეიწყებინა.

— გახსოვს. წვიმიანი დღე, ჩვენ რომ მოგვიყვანეს? — ვთქვი მე.

— როგორ არა. მას შემდეგ არც თუ ისე დიდი დრო გავიდა.

— ამ პატარა ხანში დიდი ჯავრი შემხვდა. გახსოვს მანონი!

— ძლივს რომ გადმოიყვანეს საკაციდან? ტანმაღალი, სანდომიანი ქალი? კი, კარგად მახსოვს.

— გრძელი შავი თმები მკერდზე რომ ჰქონდა გადმოყრილი!

— კარგად მახსოვს მანონი.

— მე ხშირად დავდიოდი მასთან პალატაში. ჩვენი არმიის რეზერვში გავიცანი, დავუახლოვდი. ომამდე საბალეტო სკოლა დაუმთავრებია. ჩემი დიდი თანაგრძნობა მოულოდნელად სიყვარულში გადაიზარდა. სულ მასთან მინდოდა ყოფნა, მუსაიფი. საბალეტო ტერმინებს მასწავლიდა: „შენე“, „ანდეე ორ“, „პლიე“, „თან დიუბატმან“... მშვენივრად ერთობოდა. მე კი ვამახინჯებდი ამ სიტყვებს, მანონს ეცინებოდა მაგრამ ვაი ასეთ სიცილს. ჭრილობები უწყებდა ტკივილს და საცოდავად იმანჭებოდა. ერთხელ მისმა ექიმმა შემომისწრო. აშკარად შევატყვე, რომ გული მოუვიდა.

— მობრძანდით აქ! — მომახალა უკმეხად, დერეფანში გამიხმო და ჭკუის დარიგება დამიწყო, პაპიროსს ნერვიულად სრესდა თითებში

— მანონს სერიოზული ჭრილობები აქვს. გადარჩენა საეჭვოა. აღარ მოხვიდეთ ამ კორპუსში.

— ეს იყო და ეს. მანონთან აღარ შევსულვარ. ექიმის კი არ მეშინოდა. მანონის გადარჩენა მწადდა.

— მაგრად შეგყვარებია, — შემაწყვეტინა ვლადიმირსკიმ და ჩვეულებისამებრ თვალებში ჩამომხედა. დამაკვირდა, გაოცდა...

— ცრემლები? რა დროს სიყვარულია. წინ რამდენი ფათერაკია. რამდენი ბრძოლები! ომი ჯერ არ დამთავრდება, გადარჩა მანონი? — მკითხა მცირე შეყოვნების შემდეგ.

— არ ვიცი და არც მსურს ვიკითხო. სჯობს რაღაც მოლოდინი მაწვალებდეს, ვიდრე ის ცოცხალი ვეღარ ვიხილო. ზოგჯერ სინათლეს ბუნდოვანება სჯობია. ნეტავ ვერაფერი გავიგო... ხვალ კი ფრონტის ქუხილი გაანელებს ცეცხლს.

— შენ პოეტივით ლაპარაკობ. არ გირჩევ გააღრმავო ეგ გრძნობა, ბევრი იქნება მსგავსი ეპიზოდები. ახლა მივხვდი, რატომ გახდი ამ ბოლო ხანებში. რაღაც დღეები და ტანსაცმელში ჩაიკარგე...

— მეც იმიტომ ვიჩქარი აქედან წასვლას. ჰოსპიტალში რომ შემოვბრუნდით, რაღაც შიშმა ამიტანა. წავიდეთ, ქალაქში გავათიოთ ღამე. კომენდანტი აქვე ცხოვრობს. — შევთავაზე მეგობარს.

— კარგი, წავიდეთ, მითხრა ვლადიმირსკიმ და ფართო კორიდორს გავუყევით. ქუჩაში რომ უნდა გავსულიყავით, ერთი ქალი დამაკვირდა, ვიცანი, მის დანახვაზე ელდა მეცა. მკერდზე მხურვალება მომედო, მუხლები მომეკვეთა.

— გეძებთ, დილიდანვე თქვენი ნახვა მსურდა.

— მანონი როგორ არის? — აღარ ვაცალე სიტყვის დასრულება.

— წუხელ დალია სული, — თქვა და თითი

მოისვა თვალებზე, — ახლა იქ არის. მიცვალებულებს რომ ასვენებენ.

სწრაფად ავირბინე კიბე. დერეფნის კუთხეში რამდენიმე საწოლი იდგა. ერთზე ზეწარს ასწორებდა დამლაგებელი.

— ამაზე იწვა. წუხელ გამოიტანეს პალატიდან, ჰოსპიტლის უკან დაასაფლავებენ ახლა.— მითხრა ქალმა, რომელსაც რამდენჯერმე ვენახე მანონთან.

მე მივრბოდი და ცაში იისფერი შუქის მთოველი თვალები ციალებდნენ, თეთრხიტონიანი გოგონა დარბოდა თეთრკბილა ღიმილით. ხან გამოჩნდებოდა შიშველი ხორბლისფერი წვივები. მეჩვენებოდა, როგორ კვდებოდა სცენის რამპასთან თეთრფრთება გედი...

ხალხი გაიშალა. დავინახე საფლავის პირას დასვენებული მანონი, ტუჩებდალურჯებული, პირმოკუმული იდო თეთრ ზეწარზე. ბაძბის ფთილები ღაეფარებინათ თვალებზე. დამკრძალავი ქვეგანაყოფის ჯარისკაცები ფუსფუსებდნენ. მესმოდა მათი ხმადაბალი ლაპარაკი.

— ქალი იყო და ვაქკაცურად იომა.

— ამ ნაზი ხელებით ავტომატი ეკავა.

— ფრიცებს სულ ცხელი დღე აყარა თურმე.

— ოდერის გადასასვლელს იცავდა ეს ლამაზი ქალი. — არწმუნებდა ამხანაგებს ულვაშიანი მეომარი, წერაქვით რომ თხრიდა მიწას.

ახლა მანონს ორივე ხელი მკერდზე დაელაგებინა... ო, რა ხელები! ვენერა მილოსელიც ინატრებდა ისეთ მკლავებს, მანონს რომ ჰქონდა.

ვიდრე დაასაფლავებდნენ, ერთმა ჯარისკაცმა წერილი მოარბენინა, მანონს კარადაზე დარჩენოდა.

ეს იყო რექვიემის მსგავსი ბარათი, დედის ცრემლებით დამბალი. იქვე წაიკითხეს:

შუაღამეა. მე და მამაშენს სურათების ალბომი გვაქვს გაშლილი და ალბათ ასე დაგვათენდება. მხოლოდ სურათები! ჩვენი ცხოვრების გარდასული დღეები, როგორ გიხდებოდა თეთრი ხიტონები. ყველა სურათიდან თეთრი გედივით იყურები. ეხლა კი გაწვიმს, გათოვს, ახლა ჩვენთანაც თოვს და თეთრ ფანტელებში შენი სახეა ჩაწნული. ცოტაც და ისევ მოხვალ. შენებურად შემოაღებ კარებს, ამ იმედით გვითენდება და გვიღამდება, ალბათ გაიზარდე: დაქალდებოდი. შენი სიცილი გვესმის, შენი ანცობა გვენატრება.

მანონის გვამს უშვებდნენ საფლავში, უძრავად ვიდექი და მაგონდებოდა ჩენსტახოვის კოსტიოლში „ავე მარიას“ რომ გალობდნენ შავოსანი ასულები. მაღალი გუმბათიც გალობდა ჩემს თავზე. მესმოდა შავოსანთა სამოსისა და მათი გაშლილი თმების შრიალი.

ერთხელ კიდევ დაველანდე მანონის ჩაკარგული გვამი საფლავის ფსკერზე.

— ო. მანონ! აღარ მოკვდება თეთრი გედი სცენის რამპასთან მოლიცლიცე სინანულის წრეში...

ის ღამე წვალებით გავათენე. დილით მე და ელადიმირსკი მანქანით მივქროდით ფრონტისაკენ. დასავლეთის ქარი წვიმაში ასრესილ თოვლს გვაყრიდა სახეში. ორივე ვდუმდით და დაბალი, რუხი ცის დასალიერს გავყურებდით. ომის ქუხილი ახლოვდებოდა. ფრონტის გრუხუნში მაგონდებოდა არმიის რეზერვში გატარებული დღეები.

მდ. ნეისეზე გადასვლისათვის ყველაზე უფრო მძაფრი გამოდგა ბრძოლები. გასაგებია აქედან შორს აღარ იყო ფაშისტების ბუნაგი. კოტბუსის მიმართულებით რომ მივდიოდით, ტყეში უნდა გვევლო, მაგრამ ეს ძალზე სახიფათო იყო: გერმანელთა პოლკები ისე იყო დაქსაქსული და დანაწევრებული, რომ არ იცოდნენ სად იყო ესა თუ ის ბატალიონი, ასეული თუ ოცეული. ამიტომაც ტყეების გავლისას ბევრი შემხვედრი, სრულიად მოულოდნელი ბრძოლები ჩაღდებოდა. ბევრს ჩვენს ნაწილს ტყისგაწმენდა ჰქონდა სარდლობის მიერ ნაბრძანები. ერთი ოცეული ტყის ნაპირის გასწვრივ იყო განლაგებული, ოცეულის მეთაური სულ ახალგაზრდა, შავქოჩორა და გამხდარი, მხრებამოცვენილი ლეიტენანტი გადახუნებული გიმნასტურით ტყისაკენ იყო მიბრუნებული, ხელები კისერზე ჩამოკიდებულ ავტომატზე ჰქონდა დაბჯენილი.

— რომელი დივიზიიდან ხართ? — ვკითხე მას.

— ასორმოცდამეშვიდე მსროლელი.

— ჩვენი დივიზიიდან ყოფილხარ, მეგობარო. რა გვარი ხარ?

— ეს საჭიროა რომ იცოდეთ? — შეყოვნდა ლეიტენანტი.

— ამ დივიზიის გაზეთის წარმომადგენელი ვარ. — ვუთხარი და მოწმობა გავუწოდე, მაგრამ მას იგი არ გადაუშლია.

— შუბითიძე ვარ, მურმანი, თბილისიდან.

— დივიზიას თუ ჩამორჩით... ასე მარტონი...

— არა, პოლკის მეთაურმა მიბრძანა ტყე გავცხრილო. ბევრი გერმანელი შეეფარა ტყეებს. ზოგს იარაღი აქვს დაყრილი, ზოგი კი კვლავ განაგრძობს წინააღმდეგობას. ფრიცები დეზერტირობასა და უაჩაღობაზე არიან გადასულნი. აღარაფერს არ თაკილობენ. ჩვენი ზურგის ნაწილები რომ გაიელიან, მერე დავტოვებთ ამ ადგილს.

— მხარი შეხვეული... ალბათ დაჭრილი ხართ?

ლეიტენანტმა თავი დამიქნია.

— ხო, ისე, მსუბუქად. სანბატში აღარ მოვიცადე, ექიმიც თბილისელია, შოთა ქევხიშვილი. ჭრილობა მან შემიხვია. ხელმარჯვე ბიჭია.

ტყის სიღრმიდან ავტომატების ხშირი ჯერე-

ბის გრიალი გამოდიოდა. ფიჩხის ლიწინის ხმაც ისმოდა. მურმანის ხელქვეითები ტყეს საიმედოდ წმენდნენ. ყოველ ხეს საგულდაგულოდ სინჯავდნენ. განსაკუთრებით სნაიპერებს დაეძებდნენ ხის წვეროებზე.

— ბევრი ჯარისკაცი დაჰკარგეთ ალბათ შტეინაუს შტურმის დროს.

— რას იზამ, ბრძოლას ადამიანების სიცოცხლე მიაქვს. ჩემი თანაშემწე კოროტკოვი მომიკლეს, როსტოველი ბიჭი, ძმასავით მიყვარდა.

ჩვენთან ერთი ტანმორჩილი ლეიტენანტი მოვიდა.

— აი, კიდევ ერთი ქართველი. მისი გვარია ხახვიაშვილი, სახელად ოთარი ჰქვია. ეგეც „მეტყველია“.

ჩვენ ერთმანეთი გავიცანით. ოთარის გამოუძინებელი თვალები მის გადაღლაზე ლაპარაკობდა, თუმცა ოხუნჯობას არ იშლიდა.

— მე და მურმანი ცხვირით ავიყვანთ ჰიტლერს და ისე ჩამოვატარებთ ყველას წინ. ყველამ რომ თითოჯერ მიაფურთხოს, ფურთხის მდინარე წაიღებს. მთავარია სოროში არსაღ შეგვასწროს, მაგრამ ჩვენ ვერსად დაგვემალება. სოროდან ულვაშებით გამოვათრევთ იმ ბერბიჭს.

— აბა თქვენ იცით, თქვენს მეტს არავის დაანებოთ ის დაკოდილი კაცი.

ამასობაში სატვირთო მანქანა მოვიდა. ოცეული მოხსნეს და წინ მიმავალი პოლკებისაკენ წაიყვანეს.

მე აქ კიდევ ერთ ფათერაკს გადავურჩი. მჭიდროდ დანაღმული ფერდობი გადავირბინე და ერთიც არ აფეთქებულა. ახლაც მიკვირს რამ გადამარჩინა.

მეორე დღეს ლეიტენანტი შალვა ნიორაძე სწორედ ამ ფერდობზე პირველსავე ნაღმზე აფეთქდა და დაიღუპა. ვინ იცის, ვის საღ ჩაესაფრდება სიკვდილი. მშვენიერი ვაჟკაცი იყო, მთელი ბრძოლების ქარცეცხლი გამოიარა.

ეს ამბები ამასწინათ მე და მურმან შუბითიძემ მისსავე სამუშაო კაბინეტში გავიხსენეთ. იგი ამჟამად მინისტრის მოადგილედ მუშაობს. ჩემს წინ იჯდა შუახნის კაცი, თმა შეევრცხლილი, საკმაოდ სოლიდური წონისა და სიმაღლისა. მას ხშირად ურეკავდნენ ტელეფონით. ლაპარაკი ეხებოდა საქონლისა და ღორის დამზადებას საქართველოს რაიონებში.

დიდ ფანჯარაში მოჩანდა თბილისის ლამაზი, ვეებერთელა ხედი, მრავალსართულიანი ცათამბჯენებით, ფართო ქუჩებითა და შმაგი, ათასობით მანქანის დაუოკებელი მოძრაობით.

მე და მურმანმა შეხვედრაზე ბევრი ფრონტელი მეგობარი გავიხსენეთ. კაპიტანი გაიოზ ვადაჭკორია, კაპიტანი დუშიკო კეზელი, უფროსი ლეიტენანტი ა. კვანტალიანი და ბევრი სხვა.

— თუ ხედებით ფრონტელ მეგობრებს? — ვკითხე მურმანს.

— მე ახლაც ვეძებ ფრონტელ მეგობრებს. და მეც მეძებენ. ამას წინათ „ზარიაში“ დაიბეჭდა შარიპოვის წერილი. ჩემთან ფრონტზე მურმან შუბითიძე ომობდა და მომეხმარეთ მის მოძებნაშიო. ჰოდა, მომძებნეს კიდეც. მე და შარიპოვი დიდხანს, დიდხანს ვიგონებდით წარსულს. მისამართები გავცვალეთ და ალბათ ეს შეხვედრა საბოლოო არ იქნება. შარიპოვი ახლა დუშანბეს უნივერსიტეტში მუშაობს. ვინ იცის, ვინმე ჩემს ახლობელს შეიძლება მოეწიოს იქ ცხოვრება. ჩვენი მეგობრობა, ჩვენი გზა და ხიდია.

მურმანის შავი „ვოლგა“ მელოდებოდა დაბლა. „ვოლგა“ რბილად მიცურავდა ქუჩებში და მე თვალწინ მედგა გამხმარი, შავი, შავქოჩორა ახალგაზრდა, ავტომატზე მკლავებდაყრდნობილი რომ იდგა ტყის ნაპირზე.

147-ე დივიზია გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდა. ამ დივიზიის 601-ე და მე-15 მსროლელმა პოლკებმა მდინარეებზე — ოდერსა და ნეისეზე დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელების ცოცხალ ძალას, მაგრამ თითონაც ბევრი ჯარისკაცი დაჰკარგეს. ბევრი დაიჭრა, ბევრიც დაიღუპა. დივიზიის სანიტარულ ბატალიონში ბევრი ექიმი იყო იმ დღეებში უძილო. დაჭრილ მეომრებს დიდი მზრუნველობით დასტრიალებდნენ თავს ქართველი ექიმები: გაიოზ ვადაჭკორია, დუშიკო კეზელი, შოთა ქევხიშვილი. ისინი ამჟამადაც ნაყოფიერად შრომობენ, ფხიზლად დგანან ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. გაიოზმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად: შოთა ჯარში განაგრძობს სამსახურს პოდპოლკოვნიკის სამჯრეებით; ასევე დიდი წარმატებები აქვს დუშიკო კეზელს სამსახურსა თუ პირად ცხოვრებაში. იგი უკვე შვილიშვილების სათნო და თვინიერი ბაბუაა.

ჩემს მეხსიერებაში არასოდეს წაიშლება ის დღე, სანიტარულ ბატალიონში რომ იყო ერთად სამი ქართველი ექიმი.

— თქვენ ქართველი ხართ ხომ? — ვკითხე მაღალსა და ხმელ-ხმელ ექიმს.

— ქართველი და მერე როგორი, უმაღლესი ხარისხის...

— ეს კი აღარ გამიგია! — გამაცინა გაიოზის პასუხმა.

— მეგრელი ვარ, მეგრელი, ვადაჭკორია. — პატენი... — ოხუნჯობდა გაიოზი, მაგრამ თვალები არ უცინოდა. დაღლილი თვლემდა, მაგრამ ძილი რომ არ მორეოდა, მალ-მალე ისხამდა სახეზე ცივ წყალს, თვალებსა და ყურებს ისრესდა.

— თქვენც ჩვენთან იწყებთ სამსახურს?

— უკვე დავიწყე. ახლა თქვენთან ვარ ჩამოშხტარი.

— თქვენი საქმეები შორსაა ცნობილი, მე კიდევ უფრო შორს უნდა გავიტანო თქვენი ტელმარჯვეობის ამბავი.

— ეცადეთ, ეცადეთ. ალბათ გაზეთში არა?

— დიახ, გაზეთში. ჩვენი დივიზიის გაზეთში...

— კეთილი და პატიოსანი.

ამასობაში მოვიდა დაჭრილებით დატვირთული კიდევ ორი საზიდარი. ფრთხილად, ძალზე ფრთხილად ჩამოჰყავდათ ისინი მანქანიდან, ამასთანავე სანიტარული ბატალიონიდან ლრმა ზურგში, არმიისა და ფრონტის ჰოსპიტალებში აგზავნიდნენ იმათ, ვინც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებდა.

იდგა იოდისა და ფურაცილინის სუნი, ისმოდა დაჭრილთა კვნესა და მძიმე სუნთქვა.

შებინდებულზე დავბრუნდი რედაქციაში. სანიტარულ ბატალიონს ერთი კილომეტრით თუ ვიქნებოდი გამოცილებული, როცა დავინახე მაღალბორბლებიანი საზიდარი, რომლის კოფოზეც თეთრხალათიანი კაცი იჯდა. როცა ერთმანეთს მივუხალოვდით, შევიცანი სანიტარული ბატალიონის ქირურგი, ვასილ შერშნიოვი.

— გამარჯობა ვასილ. მოგყავს ვინმე?

— მომყავს შენი მოგვარე კაცი.

— აბა ერთი მაჩვენე ჩემი მოგვარე, რა სჭირს.

— როგორ რა სჭირს, ყუმბარამ მარჯვენა ხელი მოაგლიჯა. მე კი ოპერაცია გავუკეთე.

— ოპერაცია?

— ხო, უფრო სწორად, მე დავამთავრე ეს ოპერაცია. მაკრატელით მოვაჭერი დარჩენილი კანი, რომელზედაც მკვდარი მკლავი ეკიდა.

ნეტავ ვინ არის ეს ჩემი მოგვარე, გავიფიქრე და თვალი მოვაღლე გრძელ ფიგურას, რომელსაც მთელი საზიდარი ამოევსო. შერშნიოვი ჩამოხტა კოფოდან და დაჭრილს მაზარა გადახადა. შევკრთი. გული მტკივნეულად შემიქანდა. საზიდარში ჩემი ბიძაშვილი, ნიკოლოზი იწვა. შან თვალები ოღნავ გაახილა და ჩურჩულით შემომძახა.

— შენა, აი, ბიკო, რა მარჯვენა დავკარგე... შენც ჩვენთან — მე თავი დავუქნიე. ნიკოლოზმა კვლავ დახუჭა თვალები. მას ისევ გადავეფარე მაზარა და ასე დავშორდით.

— ნუ გექნება დარდი, არაფერს მოვაკლებთ. — მომძახა შერშნიოვმა და საზიდარის ბორბლებმა კვლავ დაიწყო წლაპუნი წებოვან ტალახში.

მე და ნიკოს ერთად გვქონდა გატარებული ბავშვობა რაჭაში. სოფ. კვირიკეწმინდაში და, აი, როგორ შეეხვდით ერთმანეთს 25-ოდე წლის შემდეგ...

ჩანაწერებით სავსე ბლოკნოტით მივდიოდი რედაქციაში და თვალწინ მედგა ჩემი და ნიკოლოზის მთელი ბავშვობა: მწყემსობა, ბანაობა მდინარე კრიხულაში, შეშის ზიდვა ტყიდან და...

უკვე ბნელოდა. მაგრამ მაინც გავარჩიე ჩემკენ სწრაფად მომავალი მეომრები.

— საით მიდიხარ. იქ გერმანელები არიან. ჩქარა უკან. — **მომძახეს მათ.**

მივხვდი, რომ გზას ავცდი. შემოვბრუნდი და მათთან ერთად უკან გამოვსწიე-გავიოფლე. სათვალე მომიცურდა საფეთქლებზე და ტალახში ჩავარდა. ერთხანს ვაფათურე ხელი ტალახში, მაგრამ ამაოდ. ძნელი წარმოსადგენია თუ რა გაუსაცდელში აღმოვჩნდი უსათვალოდ. მაგრამ ამას ვინ ჩიოდა. კიდევ კარგი, რომ გერმანელებს არ ჩავუვარდი ხელში. ახლო კი ვყოფილვარ მათთან.. როცა საიმედო გზას დავადექი, მივხვდი, **რედაქციამდე 6-ოდე კილომეტრი** იქნებოდა. ვიცოდი ჩემი თავის ამბავი, რომ ბნელში გზას ვერ გავიგნებდი და იძულებული შევიქენი ღია ცის ქვეშ, თქორსა და ტალახში გამეთია ღამე. დილით მთლად გათოშილი ვიყავი. ხელ-ფეხი დაბუხული მქონდა, სუნთქვა გაძნელებული, ნასუნთქი გზები დახშული მქონდა სიცივისაგან.

რედაქციაში რომ მივედი, 9 საათი იქნებოდა.

— ალბათ პოლკის შტაბში გაათიე ღამე. ან ბატალიონში. — მითხრა ანატოლ შარგინმა.

— დიახ, — დავუკარი კვერი შარგინს. — კარგი მასალა მოვიტანე, ერთი სნაიპერი გამაცნეს, გრიგოლ სოხლიკოვი. შეიძლება მის გამოცდილებაზე დაიწეროს მოთხრობის სახით, ან მხატვრული ნარკვევი, როგორც მეტყვით.

— რამდენი ფაშისტი ჰყავს მოკლული?

— ასამდეო, ბატალიონის მეთაურმა მითხრა.

— ძალიან კარგი. ჩაი დალიე, უკვე ადუღებულია.

— ანატოლი შარგინი ორმოცდაათიოდე წლისა იყო. სახესა და თავზე თმის ნატამალი არ ჰქონდა. ერთნაირად უპრიალებდა ფუმფულა ლოყები და მოგრძო მოყვანილობის გამელოტებული თავი. კეთილი კაცი იყო. თვალები ერთთავად ოდნავ წაჭუტული ჰქონდა, ტუჩებზე მუდამ ღიმილი უთამაშებდა. მაშინაც კი, როცა ეძინა. მისი მოადგილე პავლე ბურაკოვი ჩრდილოეთ რუსეთიდან იყო. ჯაჯღუნა, მუდამ უკმაყოფილო. მხოლოდ მაშინ თუ გაეხსნებოდა ხასიათი, როცა პრეფერანსს თამაშობდა და საჭირო კარტი მოსდიოდა. სახე ებადრებოდა. ხმამაღლა იცინოდა, კი არ იცინოდა, ჭიხვინებდა ეს მავრივით შავი კაცი, მავრივით ხუჭუჭა. რედაქციის მდივანი კი კაპიტანი პეტრე პეტროვი იყო, ოდესელი, საკურორტო გაზეთში ნამუშევარი. ძალზე გამხდარი იყო. საჭდომიც კი არ ეტყობოდა და ტანსაცმელში იყო მიკარგულ-მოკარგული. 100 გრამი უყვარდა ჭამის წინ. ამის გარეშე თუნდაც ერთ თვეს იშიმშილებდა

აქლემივით. ცოტას რომ დალევდა, უკვე სიმთ. ვრალე ერეოდა და, ღმერთმა იცის, რას არ ბოდავდა, მღეროდა, ჭყიოდა გოჭივით. ერთი სიმღერა ჰქონდა აკვიატებული: «Соколовская гитара».

კალამი, რომ იტყვიან, დალოცვილი ჰქონდა. ძალზე ლამაზად იცოდა წერა ყველა ჟანრში და ისე სწრაფად, რომ პირდაპირ გიკვირდა კაცს. ეს იყო ჩვენი რედაქცია. სტამბაშიც საინტერესო ბიჭები იყვნენ. ერთ-ერთი იყო ლიონია შალაევი. ძალზე გულუბრყვილო, ჭამის დიდი მოყვარული. ეს ცხრამეტიოდე წლის ჭაბუკი 100 კილომდე აღწევდა.

სტამბის უფროსი, უფროსი სერჟანტი კოზლოვი ადრე ჩემსავით სხვა დივიზიაში მუშაობდა, იქ დაჭრილიყო და სახეზე დიდი შრაბი ჰქონდა დარჩენილი. საქმეს რომ მოათავებდა, შალაევს არ აძლევდა მოსვენებას, ეოხუნჯებოდა.

ჩემი ნარკვევი რედაქტორს მოეწონა. ნარკვევში აღწერილი იყო არმიაში ცნობილი სნაიპერების — მაციუკისა და სოხლიკოვის მდიდარი გამოცდილება, თუ როგორ მოქმედებდნენ ისინი სპეციალურად გამოკვეთილი საფარების მონაცვლებით, რაც გერმანელებს გზაკვალს უბნევდა. ესროდნენ თუ არა მიზანს, წამსვე გადადიოდნენ სათადარიგო უჯრედებში, ამასთან, ძალზე უნარიანად, მარჯვედ ეხამებოდნენ გარემოს. ათასნაირი თავსაბურველები ჰქონდათ დამზადებული, ხოლო სნაიპერული შაშხანა ისე შენიღბული, რომ მის ლითონის ნაწილებს პრიალი არ დაეწყო მზის შუქზე. ჰქონდათ აგრეთვე ფიტულები, და სხვა საშუალებანი.

მეორე დღეს პოლიტგანყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა მარტინენკომ გამომიძახა. მას ძალიან ბოხი ხმა ჰქონდა. უყვარდა ენამოსწრებული მოლაპარაკენი. როცა მიწურში შევედი, წამოდგა და თავაზიანად მომესალმა.

— თბილისელი ხარ?

— დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— ო, თბილისი. რა კეკლუცი ქალაქია! იქაური აბანოები რად ღირს გოგირდის წყალი. მეგისელები რომ ღვაგამტვრევენ... მოდი მაშინ და, თითო ჭიქა თბილისის სადღეგრძელებლად — გადმოიღო მათარა და ალუმინის ორი ჭიქა. შიგ სპირტი ჩაასხა, ხოლო დასაყოლებლად წყალი მოიმზადა.

— ცოლიანი ხარ? — მკითხა, როცა სპირტის სიმაგრე გავანელეთ და სული მოვითქვეთ.

— დიახ.

— რას გწერს, ალბათ უჭირთ.

— დიახ, ასე მწერს.

— ჩემი მძღოლიც თბილისელია, მისი გვარია ცაპკინი. ისეთი აუცილებელი საქმეა, რომ თბილისში უნდა გავუშვა 2-3 დღით. თუ გინდა დაამარე რამე, ან გაატანე. გავიგე, რომ იქიდან ხარ და ამიტომაც დაგიძახე.

— დიდი მადლობა, თქვენი ყურადღება ძვირფასია.

— დიდი არაფერი. მაგრამ ასევე ... ხო მართლა, თქვენი ნარკვევი წავიკითხე. კარგია. უნდა გითხრა, რომ შარგინის მუშაობით ვერ ვარ კმაყოფილი, გაზეთი საკითხავი უნდა იყოს. ასეთი მასალებია ხშირად საჭირო. ბურაკოვს წერა არ ეხერხება, პეტროვი კი მოწინავეზე არ დადის. ამიტომაც ჩალასავითაა მშრალი ჩვენი გაზეთი.

— გადავცემ ყოველივეს შარგინს, თუ მიბრძანებთ.

— სულ ამაზეა ჩვენი საუბარი, არაა საჭირო. ისე უთხარი მხოლოდ, ნარკვევი მოეწონათქო მარტინენკოს.

— შეიძლება წავიდე?

— არა, რაც მთავარია ჯერ არ მითქვამს. წუხელ დივიზიის მეთაურთან, კულიკთან ვიყავი. ერთი სასწრაფო წერილი უნდა გადაგცეთ მეთხუთმეტე პოლკის მეთაურს. იქამდე ათიოდე კილომეტრი იქნება. კაცი გვინდა, ოღონდ ჯიგიტი. კარგად უნდა იცოდეს ცხენზე ჯდომა. შენზე შევჩერდით. კულიკმა თქვა, ქართველები ფეხით იმდენს არ დადიან, რამდენსაც ცხენითო. ცხენის ზურგზე არიან გაზრდილებიო.

ამდენი ქებისა და ქათინაურების შემდეგ უარის თქმა ვეღარ გავბედე, თუმც კი ცხენზე ჯდომა მაინცა და მაინც არ მეხერხებოდა. მახსოვს, ერთხელ როგორ მათრია მეზობლის ცხენმა. მთელი ღობე-ყორე გამახეხია. მაინც . დავთანხმდი. მეორე დილით მოიყვანდნენ ცხენს რედაქციაში და წერილსაც მაშინ გადმოცემდნენ.

საგულდაგულოდ მოვემზადე, პლანშეტის გადაკიდებაც არ დამვიწყნია; პლანშეტში ჩემი დღიურები და ჩემივე ხელით გადაწერილი ესენინის პოემების რვეული მქონდა ჩაწყობილი.

ცხენი ახმახი, რაღაც ძალზე მაღალი მომეჩვენა. შემეშინდა, ვაი თუ ვერ შევჯდე-მეთქი, მაგრამ უზანგში შევდგი თუ არა ფეხი, ტანი მალევე ავიტაცე უნაგირზე. დავემშვიდობე კულიკსა და მარტინენკოს და ერიჰა...

— ფრთხილად, ცხენს ცალი თვალი არ უვარგა, — მომაძახეს უკანიდან.

აი,თუ გინდა კიდევ ჭირი. გავიფიქრე და ცხენს ჩექმის ქუსლები ამოვარტყი. სირბილი ჩქარი სცოდნია. მოწყდა ადგილს თუ არა, ოთხით იწყო ჭენება. მე კი ფიქრებს მივეცი. წყეულს მართლა რომ არ უვარგოდეს თვალი, ხომ შემახეთქა რაიმეს, ან თვითონ შეასკდება ქლდე-ღრეს, მერე ცაპკინი გამახსენდა, რომელიც თბილისში გაემგზავრა. ამასობაში ხიდს მივუახლოვდი. ათიოდე საზიდარი იყო გაბაწრული. აღვირი მოვქაჩე, მაგრამ ცხენმა კი-

დევ უფრო უმატა ჭენებას. ხიდამდე ასიოდე მეტრიღა დარჩა. რაც შეიძლება მოვქაჩე აღვირს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. გაჭენებული ცხენი მკერდით შეასკდა საზიდარს.

— ე, ე, აი, აი... რას შვრები, ვინა ხარ, შენ ძროხაზე უნდა იჯდე, ცხენი რა შენი საქმეა. — მომაძახეს.

დაფეთებული ცხენები როგორც იყო დაეშოშმინეს. ცხენიდან ჩამოვხტი და თავის მართლება დავიწყე. ცხენი თურმე ცალი თვალით ბრმა ყოფილა-მეთქი.

როგორც იყო მივაღწიე იმ ბატალიონს, რომლის მეთაურისთვისაც უნდა გადამეცა წერილი. მაგრამ იქამდე ჰოსპიტლებიდან ნაწილში მ-მაველმა ოფიცრებმა კინაღამ მომკლეს. გაჭენებული ცხენი მათ ჯგუფში შევარდა, მითელ-მოთელა რამდენიმე ოფიცერი. აქ კი მართლა შეეძლოთ ჩემი მოკვლა, მაგრამ მუდარამ და ახსნა-განმარტებამ მიშველა. ერთი ოფიცერი ისე დაებეჯა წყეულს, რომ, მგონი, ხელმეორედ გახდა ჰოსპიტალში წასაყვანი. ასე დამთავრდა ჩემი ჯიგიტობა, რომელიც კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა. იმდენ დავიდარაბაში დავკარგე პლანშეტიცა და ჩემი დღიურებიც. ის რვეულიც, რომელშიაც ესენინის ორი პორტრეტი და ჩემი ხელით გადაწერილი მისი რამდენიმე პოემა და ლექსები მქონდა.

რედაქციაში რომ მივედი, ბარგი უკვე ყველას აკრული ჰქონდა. მე-13 არმია წინ მიდიოდა სწრაფად და ჩვენც მივსდევდით.

— როგორ მოიარე? — მკითხა შარგინმა. როცა მანქანაში მოვეწყვეთ, დავიწყე მოყოლა, რაც თავს გადამხდა. ყველანი სიცილით იქაჭებოდნენ. იმ დღეს მხოლოდ ორჯერ გვქონდა შესვენება. დაღამებისას ერთ დასახლებულ პუნქტში გავაჩერეთ მანქანა და ჩამობარგებას შევუდექით.

„ჩემი ქუდი" — ერის ასეთი გერმანული საბავშვო სიმღერა. დიდებულად ასრულებდნენ მას ჩვენი მასპინძლის პატარა ბიჭები. ჯერ მღეროდნენ ორ ხმაზე, შემდეგ ქუდებს დაიხურავდნენ, ხელებს გაშლიდნენ და ცეკვავდნენ. შემდეგ შეჩერდებოდნენ და ისევ მღეროდნენ წკრიალა ხმებზე. მე უფრო ჰანსი მომწონდა. ჩალისფერი თმა უბზინავდა, ცისფერ თვალებს საყვარლად აციმციმებდა. მოხდენილად შესრულებულ ილეთებში ბავშვის შესანიშნავი ნიჭი იგრძნობოდა. მეორე ბიჭუკელა, ფრიცი, უხალისოდ აკეთებდა ნახტომებს, თვალები თითქოს დარდიანი ჰქონდა, ხელებს დუნედ შლიდა.

— შენ ალბათ გეძინება, ან გშია, — წარბშეკრულად შეეხმიანა მამამისი. ცოცხლად იცეკვე, თორემ ჩვენი სტუმრები ვერ მოიღხენენ.

სუფრის გაშლას შეუდგნენ. ოჯახის დიასახლისი კაკაროტი ქალი იყო, სახეზე მკრთალად ეტყობოდა ჰორფლის მოყვითალო წერტილები, ეცვა თხელი შალის მოლუფრული კაბა. მკერდზე ღრმად ამოჭრილი და თვალს იტაცებდა მისი აფუებული სკერდის ნაპობი.

— ფრიდა, ფრიდა, მოართვით სტუმრებს მარწყვის კომპოტი!

ჩვენი დივიზიის გაზეთის რედაქტორის თხოვნით ბავშვებმა კიდევ შეასრულეს ცეკვა სიმღერით. ახლა ორივე სხარტობდა. ქუდებს ესროდნენ ერთმანეთს, იხურავდნენ და კვლავ იმეორებდნენ ასეთ საცეკვაო ილეთებს.

ბავშვების მამა დიდად მოკრძალებული კაცი ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეჯერ მოვიწვიეთ სუფრაზე, ახლოსაც არ გვეკარებოდა, მოშორებით იჯდა, მოწყენილად გამოიყურებოდა.

— რას გაგვირბი, ნუთუ ჩვენი გეშინია?

— არა, არ მეშინია, — ამბობდა გერმანელი. უხალისო და ნაძალადევ ღიმილს ატანდა თავის სიტყვებს.

რედაქტორმა და მე ბავშვებს ახლადგამოსული რამდენიმე „მარკა" ვაჩუქეთ და მათი ხელოვნება ძალზე მოვიწონეთ. ჰანსს ხელი დავუქნიე. ჩემთან მოვიდა. მოვეხვიე ბიჭუნას და თავზე ვაკოცე, კარგად მოვლილი, ახლადდაბანილი ბავშვის საამო სურნელი შევიგრძენი.

— რომ გაიზრდები ვინ უნდა გამოხვიდე?

— ინჟინერი. — მოკლედ მიპასუხა ბიჭუნამ.

— უკვე გადაწყვიტე?

— დიახ, ინჟინერმა უნდა ააშენოს ჩვენი დანგრეული ქვეყანა.

— სწორი ხარ, ჰანს! სამშობლოს სიყვარული აუცილებელია.

— ფრიცსაც ძალზე უყვარს სამშობლო. მას უფრო ექიმობა აინტერესებს. ახლავე ხალხზე ზრუნავს.

— კარგი ბიჭი ყოფილა. ვისაც თავისი ხალხი უყვარს, ის დიდხანს იცოცხლებს.

—მეც მინდა დიდხანს სიცოცხლე, — თქვა ჰანსმა და თვალებში ჩამხედა, — თქვენ გყავთ ბავშვები?

— მყავს. თქვენსავით ორი ვაჟკაცი.

— ხომ არ გაჯავრებენ.

— არა. ჭკვიანები არიან.

— რა ჰქვიათ მათ.

— ერთს ტარიელი, მეორეს ავთანდილი.

— ეგეთი სახელები არ გამიგონია. — მითხრა ჰანსმა.

ამასობაში ვიეახშმეთ, ფრიდა მორიდებულად ალაგებდა თეფშებს. როცა ჭიქის ან თეფშის ასაღებად დაიხრებოდა, კაბის დეკოლტეიან მისი ფუმფულა, თეთრად კამკამა მკერდი მოჩანდა, რომელიც ნარნარით ირწეოდა, ფრიდამ იგრძნო ჩემი ყურადღება და ორიოდეჯერ გადმოხედა, რაც შეუნიშნავი არ დარჩა მის მეუღლეს. შეუბღვირა ქალს და რაღაც წაილუღლუღა.

როცა ფრიდამ მილაგება დაამთავრა, გერმანელები ჩვენი ოთახიდან გაიკრიფნენ.

რედაქტორმა ანატოლი შარგინმა მომავალი გაზეთის მაკეტი მოხაზა. მასალები მზად იყო, არმიის შტაბიდან უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება მივიღეთ და ასაწყობად სტამბას გადავუგზავნეთ. ჩვენთან პოლიტგანყოფილების უფროსი ინსტრუქტორები და ვასილი პრუეანსკი შემოვიდნენ. რედაქტორს მაგიდაზეევე ეყვინთებოდა, მაგრამ როგორც კი ისინი დიანახა, თვალები გამოაჭყიტა.

— აბა ,ბიჭებო, პრეფერანსი გავახუროთ, მოდით, კარგებო, წააგეთ კაპიკები, ნუ ხართ ძუნწები.

ანატოლი შარგინი სულ „პასს“ გაიძახოდა, რაღაცა ბედი არ სწყალობდა და მალევე მიანება თამაშს თავი.

— არა, ბიჭებო, ნამდვილად დაღლილი ვარ, წავუძინებ. ხვალ კი არცერთ ხელს არ მოგაგებინებთ.

ნუ გეჩქარება დაძინება. ხვალინდელი ჩვენი ლაშქრობის რუკა მოვიტანე, მოდით, გაეცანით.

რედაქტორმა და მე მარშრუტის რუკა გადავხატეთ. ნახაზი გულის ჯიბეში ჩავიდე და დასაძინებლად წავედ-წამოვედით.

მარტო ვიყავით ოთახში. ჩემი ყურადღება მიიპყრო სახლის პატრონის ბიბლიოთეკამ. ჩვეულებისამებრ თაროები გადავქექე. ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე იდო კარგად გამოცემული სქელტანიანი წიგნი, ლაქის სუპერში გამოხვეული. ყდაზე ოქროსფერი ასოებით ეწერა ავტორის გვარი: ადოლფ ჰიტლერი. წიგნის ფურცლები სავსე იყო მწვანე მელნით წერილად მინაწერი ხშირი მარგინალიებით. რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ჰიტლერი პორტრეტულად გოგოლის პოპრიშჩინს ჰგავდა. წიგნს მოვეშვი, გაუხდელად მივწექი.

გარეთ კი წვიმდა და წვიმდა გაუთავებლივ.

ძაღლის ძილზე თუ იავდრა, გამოდარებას მალე ნუ ელიო — გამახსენდა. ატირებული ბავშვივით ფშლუკუნებდა თუნუქის ღარში წვიმის წყალი. ამ მონოტონურ ხმაურში ჩამეძინა.

ძაღლის შეუნელებელმა წკმუტუნმა და ყეფამ გამომაღვიძა. საათს დავხედე, ძაღლის ეშვსა დაწყებულიყო. აღარ წვიმდა. ირიფერი შუქი ჩამომყურებდა ფანჯრებში.

... ხმაური, ყვირილი, ტირილი მესმოდა ძილღვიძილში... ფანჯრიდან რომ გავიხედე, ხალხი გარბი-გამორბოდა. ჩოჩქოლის ხმა კიდევ უფრო საშინელს ხდიდა ამ უცნაურ დაძაბულობას.

— რა მოხდა? — გაუკვირდა დივიზის პოლიტგანყოფილების უფროს ინსტრუქტორს.

— ნამდვილად არა ვიცი რა.

— თქვენმა სახლის პატრონმა მთელი თავისი ოჯახი ამოსწყვიტა და თითონაც ვენები გადაიჭრა, აი, იქ აგდია, — ღალით მაჩვენა კორიდორისაკენ.

ახლო მივედი. მიწაზე გაშლართული ეგდო სისხლში გასვრილი ჩვენი მასპინძელი. ამ დროს ხალხმა იხუვლა და გზისაკენ გაქანდა. კიდეებმაღალ საზიდარში ეყარნენ დაკლული ბავშვები — ფრიცი და ჰანსი. მათ თავით უჯდა ყელგამოჭრილი მომაკვდავი დედა, რომელიც სიმწრით თმას იგლეჯდა და საცოდავად ღნაოდა.

გულს ზარავდა ძაღლის ღმუილი, რომელიც სასიკვდილოდ დაეჭრა დანით მის პატრონს. „ლიუკსი“ საცოდავად ასავსავებდა ფეხებს.

— საკვირველია, ჩვენ რომ არაფერი დაგვმართა, — მითხრა გაოგნებულმა რედაქტორმა.

— ბავშვები, ბავშვები, ბავშვები, ხალხო!

— ყვიროდა შარგინი.

— ცოდვაა ბავშვები, — თქვა პოლიტგანყოფილების უფროსმა ინსტრუქტორმა, — ჩვენ კი ვენდეთ. ეგ კი თურმე ფაშისტური პარტიის წევრი ყოფილა, ასე თქვეს მეზობლებმა.

— თვითონ გზაც იქით ჰქონია, მაგრამ სხვები რა შუაში იყო, წაიფშლუკუნა გერმანელმა და ცხვირსახოცით თვალები შეიმშრალა.

მთელი დღე თვალწინ მედგა ორი ბიჭუკელა, რომლებიც უდარდელად მღეროდნენ და ცეკვავდნენ .

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგორი სკოვოროდა

სარკოვული იგავები

სალესი ქვა და დანა

დანა და სალესი ქვა საუბრობდნენ:

— ეტყობა, არ გიყვარვართ, დაია, და არც დანად ყოფნა გსურს, არ გინდა ჩვენა გვგავდე.

— სალესად რომ არ ვარგოდე, — უპასუხა სალესმა ქვამ, — მაშინ იქნება კიდეც შემენატრა თქვენთვის. ახლა სწორედ იმიტომ მიყვარხართ, რატომაც თქვენთან ყოფნა არ მინდა. დანად რომ ვიქცე, მარტო მე იმდენს ვერაფერს შევძლებ, რამდენსაც ყველა ის დახა და ხმალი, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ უნდა ავლესო. ჩვენს დროში კი სალესი ქვების ნაკლებობაა...

ქათმები

ერთხელ გარეული ქათამი შინაურს ესტუმრა.

— ტყეში როგორ ცხოვრობ, დაია? — ჰკითხა შინაურმა.

— სწორედ ისევე, როგორც ტყეში დაბუდებული სხვა ფრინველები. მეც ის ღმერთი მკვებავს, გარეულ მტრედებს რომ ასაზრდოებს, — მიუგო გარეულმა.

— მათ ხომ ფრენაც კარგი იციან, — ჩაილაპარაკა მასპინძელმა.

— მართალი ხარ, — უპასუხა სტუმარმა. — მაგრამ ფრენა მეც შემიძლია და ჩემი ფრთების ძალიანაც კმაყოფილი ვარ.

— ამას კი ვერ დაგიჯერებ, დაია, — — შეიცხადა შინაურმა, — რადგან მე ძლივ-ძლივობით თუ გადავფრინდები აგერ იმ ფარდულამდე.

— არ გეკამათები, — თქვა გარეულმა. — მაგრამ ის დაგავიწყდა, ჩემო კარგო, რომ თქვენ გაჩენის დღიდან ეზოში ნეხვის ქექვა ინებეთ, მე კი იძულებული ვარ ყოველდღიური ცდით დავამტკიცო შეძლება ჩემი.

შეგონება: ბევრს, თავად რომ არ ძალუძს, არც სხვათა შეძლებისა სჯერა. ეს კი იმის დასტურია, რომ უაზრობაა საქმის კეთება თუ კაცს თანდაყოლილი ნიჭი არა აქვს, ხოლო ნიჭს საქმე წარმოაჩენს. რას გარგებს იმის ცოდნა, როგორ კეთდება საქმე, თუ თავად ვერ იქმ იმა საქმეს? მეცნიერება და ცდა — ორივე ერთია. მეცნიერებას ცოდნა კი არა ჰქმნის, საქმიანობა მხოლოდ. წამებაა უნიჭოდ შრომა. ასევე წამება გახლავთ შრომაში მოუხმარი ცოდნა. აი, რით განსხვავდება ცოდნა მეცნიერებისაგან.

ტ ო რ ო ლ ე ბ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხნის წინათ, როგორც ბრძენი ეზოპეს იგავშია თქმული, კუ არწივისაგან ფრენას სწავლობდა. ტოროლაც იქვე მახლობლად იჯდა. სწორედ ამ დროს ფრენას მოწადინებული კუ საშინელი ხმაურითა და ზათქით დაენარცხა ქვას. 9 რა ესმა ხმა დაცემისა, ტოროლას შეეშინდა და მამა ფრინველს მიეჭრა აცახცახებული:

— მამილო! ამ მთასთან ალბათ ის არწივი დაჯდა, გახსოვს, შენ რომ მიამბობდი, ყველაზე საშიში და ძლიერი ფრინველიაო.

— როგორ მიხვდი? — ჰკითხა მოხუცმა.

— ისე სწრაფად და ისეთი ხმაურით ეშვებოდა, მსგავსი არაფერი გამივონია.

— ჩემო საყვარელო შვილო! — მიუგო მოხუცმა, — შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, გამოუცდელი... დაიხსომე და მუდამ ამ სიმღერას იმღერდე:

არწივი თუმცაღა მაღლის
ფრინველია
დაბლა უხმაუროდ ეშვება...

შეგონება: ბევრნი დიდ საქმეებს ეჭიდებიან და ცუდად ამთავრებენ, კეთილი მიზანი და კეთილი ბოლო ყოველი საქმის გვირგვინია.

ჭივჭავი და ჩიტბატონა

ტყვეობიდან თავდახსნილი ჭივჭავი ძველ მეგობარს, ჩიტბატონას შეხვდა:

— მეგობარო, როგორ განთავისუფლდი?.. მიამბე! — დაინტერესდა ჩიტბატონა.

— სასწაულად, — მიუგო ტყვედყოფილმა. — ჩვენს ქალაქს თურქი ვინმე 17 დიდებული ესტუმრა თავისი ელჩით. ცნობისწადილმა სძლია და ბაზრადმოსულმა ჩვენსკენაც შემოიარა. იქ პატრონს ოთხასამდე ვყავდით გალიებში 14 გამოკეტილნი. თურქი კარგახანს იდგა და სინანულით შემოგვყურებდა მოჭიკჭიკეთ, მერე პატრონს შეეკითხა:

— ყველა ერთად რა ეღირებაო?

—ოცდახუთი მანეთიო, — მიუგო პატრონმა.

თურქმა უსიტყვოდ გადაუხადა ფული, ბრძანა თითო-თითოდ მიეწოდებინათ გალიები, რიგრიგობით გვანთავისუფლებდა და აქეთ-იქით მონავარდეთ რომ გვიცქერდა, მშვიდად იღიმოდა.

— ტყვედ როგორღა ჩავარდი?

18 გემრიელმა საკენკმა და წითელმა გალიამ მომხიბლა., — მიუგო ქუდბედნიერმა. — დღეიდან კი სიკვდილამდე ღმერთს ამ სიმღერით მადლობას მივაგებ:

ტყვეობაში მაძღრად ყოფნას,
თავისუფლებაში შიმშილი
მირჩევნია.

შეგონება: ვისაც თავის შეწუხება არ უყვარს, ღარიბულად ცხოვრებას უნდა დასჯერდეს.

ფუტკარი და კრაზანა

6 — მითხარი, ფუტკარო, ნეტა ასე უგონო რადა ხარ? შენ შრომას შენთვის ხომ იმდენი სარგებლობა არ მოაქვს, რამდენიც კაცთათვის, ისინი კი, მადლობის ნაცვლად ხშირად სასიკვდილოდაც გიმეტებენ. შენ კი, სულელო, იმათთვის თაფლის მოგროვებას მაინც არ იშლი. ბევრი კი ხართ, მაგრამ ყველა უტვინო. ეტყობა, თავზე მეტად თაფლი გიყვართ.

— ნამდვილი რეგვენი ხარ, კეთილო მრჩეველო, — მიუგო ფუტკარმა, — თაფლი დათვსაც უყვარს, და როგორც ვი-

ცი, თქვენ მოდგმასაც არ ეჯავრება, სხვებივით ჩვენც კარგად მოვიპარავდით თაფლს, მარტო იმისი ჭამა რომ გვიყვარდეს. მაგრამ ჩვენ, სწორუპოვარ სიამესა და სიხარულს გვანიჭებს თაფლის მოგროვება. აბა, ჭამა რა მოსატანია. ჩვენ თაფლის შემგროვებლებად გავჩენილვართ და ასე ვიცხოვრებთ სიკვდილამდე. უშრომველად ცხოვრება, თაფლშიც რომ ვბანაობდეთ, საშინელი ტანჯვა იქნებოდა ჩვენთვის.

შეგონება: კრაზანა იმ ადამიანთა ხატია, ძარცვა-გლეჯით რომ ცხოვრობენ და მხოლოდ სმა-ჭამისათვის მოსულან ამ ქვეყნად. ფუტკარი კი იმ ბრძენი ადამიანის სიმბოლოა, საყვარელ საქმეს რომ აკეთებს სიხარულით. ცოტა კრაზანა როდი გაბზუის უაზროდ, რად უნდა ისწავლოს ღარიბმა და უქონელმა კაცმა. აბა, რიღასთვის ისწავლა, თუ კი მაინც არაფერი აბადია. დიახ, ხშირად ამბობენ ასე, მიუხედავად სირახის[1] სიტყვებისა: სიმხიარულე გულისა ადამიანის ცხოვრებაა. და როდი იციან, რომ საყვარელი საქმე ამ ქვეყნად უტკბილესი სიამეა გულისა. ნახეთ განცხრომაში მყოფი და ისწავლეთ. ჰკითხეთ თქვენს მწევარს, როდის არის მხიარული? როცა კურდღელს ვდევო, — გიპასუხებთ იგი. როდისაა კურდღელი გემრიელი? მაშინ, როცა ბევრსა ვდევო, გიპასუხებთ მონადირე.

თქვენს წინ წამოსკუპულ კატას ჰკითხეთ, როდისაა იგი ყველაზე თამამი? მაშინ, როცა მთელ ღამეს საკბილოს საშოვნელად დაეხეტება, ანდა როცა სოროსთან ზის, თუმცა რომ დაიჭერს თაგვს, არც კი ჭამს. გამოამწყვდიე საუნჯეთა სალაროში ფუტკარი, განა არ მოკვდება მოწყენილობისაგან, როცა შეუძლია იმ დროს ყვავილოვან ველებს დაჰფრენდეს ხალისიანი? განა უფრო სავალალო არ არის სიმდიდრე თავს გადაგდიოდეს და სასიკვდილოდ კი იტანჯებოდე საყვარელი საქმის არ მქონე, იმაზე დიდი უბედურება არა არის რა, კაცს სნეული ფიქრები რომ შეიპყრობენ. ფიქრები კი ავადდებიან, ოდეს ადამიანი თავს უსაქმობას მისცემს, და იმაზე დიდი სიხარული რა უნდა იყოს, ვიდრე მოწოდების კარნახით ცხოვრება არის. ტკბილია ფიზიკური შრომა, სხეულის წვრთნა, ვნებათა დაოკება და თვით სიკვდილიც, — ოდეს სული, ადამიანის მეუფე, საყვარელი საქმით ხარობ ან ასე უნდა იცხოვრო, ან უნდა მოკვდე. რით არის მხცოვანი კატონი[1] ბრძენი და ბედნიერი? არა ქონებით, არა ჩინით, არამედ მისი ბუნების მონაგარით, — გვეუბნება ციცერონი[2] თავის წიგნში „სიბერის გამო". კაცის ბუნება არის კეთილისმყოფელი და ბრძენთა ბრძენი მეგზური ჩვენი. იგი-მოწყალე და დამსახლებელი ჩვენი, მშიერს განაძღებს, მხოლოდ მცირედს მიაგებს იმას, ვინც მცირედსაც დასჯერდება.

მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს ცხოვრება ბუნებისდა მიხედვით. ძველმა ეპიკურემ[3] კარგად თქვა: მადლი ნეტარ ბუნებას, რომ უაღრესად საჭირო იოლად მისაღწევი ჰქმნა, ხოლო ძნელად საწვდომი, დაუჭირვებლად საბა.

დედაბერი და მეთუნე

დედაბერი ქოთნებს ყიდულობდა, იმისი გული ჯერაც ვერ შელეოდა ყმაწვილ-ქალობის ვნებებს.

— რა ღირს ეგ კოხტა ქოთანი?..

— სამ გროშ ნაკლებ არ იქნება, — მიუგო მეთუნემ.

— იმ დაბრეცილში, აგერ იმაში, იმაში გროში რომ მოგცე...

---

1 სირახი — ბიბლიური წინასწარმეტყველი.

1 კატონი — (234-149 წ. ძვ. წ. აღრ.) რომაელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე.

2 ციცერონი — (106-43 წ. ძვ. წ. აღრ.) რომაელი ორატორი, ფილოსოფოსი და მწერალი.

3 ეპიკურე — (341-270 წ. ძვ. წ. აღრ.) ბერძენი მატერიალისტი და ათეისტი.

— იმას ორ კაპიკად მოგართმევთ...

— სასწაულია პირდაპირ...

— ჩვენთან, შე კაი ქალო, — უთხრა ოსტატმა — საქონელს თვალით კი არ ირჩევენ, უსათუოდ მიაყურადებენ, აბა თუ წკრიალებს, წმინდა ხმას თუ გამოსცემსო.

თუმცა ამ დედაბერს გემოვნებას ვერ დაუწუნებდით, მეთუნეს ველარაფერი უპასუხა, ისღა თქვა, ეგ ხომ მეც ვიცოდი, მაგრამ აღარ მომაგონდაო.

შეგონება: ცხადია ის ბრძენთაბრძენი ევა — დიდედაა ყველა იმ ოინბაზისა, ვინც ადამიანს ტანისამოსის, ფიზიკური მადლის, ფულის, სახლ-კარისა და სახელის გამო მიაგებს პატივს, ცხოვრების ნაყოფით კი არ დააფასებს. შვილიშვილნიც, დიდედის გემოვნების კვალობაზე წასულნი, ამჟღავნებენ თავის წარმომავლობას — სწორედ სამოთხის ამ ვაშლის ნაყოფნი არიან. სულთა, და როგორც რომაელები ამბობდნენ cadidum თეთრი, და არმოშურნე გული, ლმობიერი, მომთმენი, თამამი, შორსმჭვრეტელი, თავდაჭერილი, მშვიდობიანი, მორწმუნე ღვთისა და მარად მისი მოიმედე — აი წმინდა გამოძახილი და ნამდვილი ფასი ჩვენი სულისა!..

ცნობილია, რომ მეფეთა სასახლეებში მრავლადაა ფაიფურის, ვერცხლისა თუ ოქროს ჭურჭელი. მაგრამ უფრო ღირსეული გახლავთ ჭამადით სავსე თიხისა თუ ხის ჯამი, როგორც რომელსამე სოფელში მდგარი ღვთის ძველი ტაძარი უფრორე ღირსებამოსილია, ვიდრე ხავერდით მორთული საბატონო აფედრონი...

ბულბული, ტოროლა და შაშვი

ვრცელი ტრამალის შუაგულში ბაღი იყო — ბულბულთა და შაშვთა სავანე. ბულბულს ტოროლა ესტუმრა:

— გამარჯობა, ბატონო მგალობელო.

— შენც გაგიმარჯოს, ბატონო ბულბულო, — მიუგო მგალობელმა.

— შენს სახელს მე რად მეძახი? — ჰკითხა ტოროლამ.

— შენ მგალობელს რად მეძახი?..

ტოროლა: მე შენთვის უმიზეზოდ არ მიწოდებია მგალობელი: ძველი ბერძნები მგალობელს გეძახდნენ.

ბულბული: შენ კი რომაელები alauda-ს გეძახდნენ, ესე იგი, მადიდებელი, ვინაიდან „laudo“ იგივეა. რაც „ვადიდოთ“.

ტოროლა: თუ ასეა, დღეიდან უფრო მეტად მეყვარები და სწორედ იმად მოვფრინდი, რომ მეგობრობა გთხოვო.

ბულბული: ბრიყვო! განა მეგობრობის თხოვნა შეიძლება? სამეგობროდ უნდა დაიბადო, მეკი ხშირად ვმღერი აი, ამ სიმღერას, რომელიც ჯერ კიდევ მამაჩემისაგან ვისწავლე: „მსგავსი მსგავსთაგან ღმერთს მიჰყავს“.

ტოროლა: ამ სიმღერას მამაჩემიც მღერის. როგორც ბევრი სხვა რამ, სიმღერაც საერთო გვქონია. შენ უგალობ ქრისტეს, ღვთის გაჩენილ სიცოცხლეს ყოველგვარს. მეც ხომ იმას ვადიდებ. და ეს არის აზრი ჩვენი ყოფისა.

ბულბული: კეთილი, ვიამხანაგებ შენთან, თუკი ამ ბაღში ცხოვრებას ისურვებ.

ტოროლა: მეც შენი გულწრფელი მოყვარე ვიქნები, თუ ტრამალში გადმოსახლდები.

ბულბული: ნუ, ტრამალში ნუ მეწევი. ტრამალში ცხოვრება ჩემთვის სიკვდილი იქნება; შენ როგორღა ძლებ იქ?

ტოროლა: არა, არა, ბაღში ნუ მეწევი; ბაღში ცხოვრება სიკვდილია ჩემთვის, შენ თვითონ როგორ ძლებ ბაღში?

— გეყოთ, ძმებო მასხრობა,—თქვა შორიახლოს მჯდომმა შაშვმა, — ვხედავ, სამეგობროდ ხართ გაჩენილები, მაგრამ სიყვარულისა არაფერი გაგეგებათ. იმას

ნუ ეძებ, რაიც შენ მოგწონს, რაც შენს მეგობარს მოსწონს, ის ეძიე. მაშინ მეც მზად ვარ მეგობრად შემოგიერთდეთ.

მერმე, თვითეულმა თავისებური სიმღერა თქვა და ერთურთს სამუდამო მეგობრობა დაუდასტურა.

შეგონება: ჩიტუნებს შორის კეთილი მეგობრობა ჩამოვარდება, არ იქნება მეგობრობის გამოთხოვნა, ყიდვა ან გამოძალვა. ჩვენ ისინი გვიყვარს, ვის სიყვარულადაც გავჩენილვართ. აკი იმით ვსაზრდოობთ, რაიც ბუნებამ დაგვიწესა... შეუძლებელია ცხენის დათვთან, ძაღლისა კი მგელთან ერთად ეტლში შებმა. უსათუოდ ჩამოეხევა ახალთახალ მაუდს ზედ მიკერებული ძველმანი ნაჭერი, ახალგათლილი ფიცარი ვერ დაიჭერს დამპალსა და ფუტუროს. მუდამ უთანხმოება სუფევს სხვადასხვა ზნე-ჩვეულების ადამიანთა შორის, მაგრამ უფრო მეტია ქვეყნად შეუთვისებლობა კეთილისა და ბოროტი გულისა: ტოროლას, შაშვს და ბულბულს შეუძლიათ მეგობრობა ,მაგრამ ქორსა და ღამურას — არამც და არამც. მხოლოდ ერთია შეუძლებელი — ტოროლა ბაღში ვერ იცხოვრებს, ბულბული კი — ტრამალში. ამას ძველი ბერძნები ანტიპატიას ეძახდნენ. ყველაფერი დანარჩენისადმი მათ აქვთ ერთი საერთო სიმპატია.

მეგობარს არ უნდა დავაძალოთ ისეთი რამ, შენ რომ გართობს, იმას კი აწამებს. მრავალნი უგულველყოფენ ზემოთ ნახსენებ ანდაზას: მტრებიც უნდა გვიყვარდეს. უცილობლად, მაგრამ მეგობრობა იგივეა, რაიც მოწყალება, იმის ტახტს მრავალი საფეხური არტყია გარს. შეგიძლია ყველას კეთილისმსურველი იყო, მაგრამ არა ყველას გულითადი მეგობარი, სხვაგვარად მივაგებთ სიკეთეს შინაურებსა და ნათესავთ, სხვაგვარს მომსვლელთა და უცხოთ...

ბედნიერია იგი, ვინც ჭეშმარიტი მეგობრობის აჩრდილს მაინც ეღირსა. მეგობრობაზე ძვირფასი, უტკბილესი და მარვი არა არის ქვეყნად. რუსეთში კარგად უთქვამთ ამაზე: „ეაცი ეაცით ხარობს, ხე ფურცლითა. „სად იყავი?“ — „მეგობართან“. „რა დალიე?“ — „მტრის თაფლზე უტკბილესი წყალი“ უკრაინაში ასეთი ანდაზა უყვართ: დიდ ქონებას ერთი მეგობარი გყავდეს ის გირჩევნია. მაგრამ მეგობრული სიყვარულის ღირსი არ არის იგი, ვისაც მეგობრობაზე უმაღლესი კიდევ ეგულება რამე, ვისაც არ მიუჩნევია იგი ყველა საქმეთა და სურვილთა ფუძედ და სადგურად. ბულბული თავის დიდ სახელს ნებით უთმობს მეგობარს. ამხანაგთან წყალიც ტკბილად სასმელია. მეგობრობაში შენი სახელი და დიდება რა მოსატანია. კატონმა თქვა: უქმად ჩავლილი დღე დაკარგულია, მაგრამ ტრაიანმა[1] (მგონი ტიტმა)[2] უფრო ნათლად თქვა: ჰოი, მეგობრებო, დავღუპე ეს დღე, არავისთვის გამიწევია სამსახური.

ყოველი ხელისუფლების, ცოდნის, ჩინის, მდგომარეობის, ხელობის, მეცნიერების საწყისი და სასრული — მეგობრობაა, იგი ფუძე, კავშირი, გვირგვინია საზოგადოებისა. მეგობრობამ ჰქმნა ცა და დედამიწა, დაუნარჩუნა სამყაროთა სამყაროს სილამაზე, წესრიგი და მშვიდობა...

...მითხარი, ვინ არის მეგობარი? მსახური და ქველმოქმედი, მეგობარი უფრო დიდი წყალობაა, ვიდრე ცოდნის სათავეებთან მისვლა, გარდა ბუნებისა, სიცრუე ყველაფერი, ცვალებადია და მყიფე... ვინც შეიცნო თავისი, იმან საკუთარი ცხოვრების გეგმა და გზა დასახა. რა არის ცხოვრება? ყველა შენი საქმეებისა და მოქმედების კონაა. ხომ ხედავ, რომ ვისაც თავისი ბუნება შეუცვნია, ყოველივე გაეგება. აი რად არის ნათქვამი: ერთგული მეგობარი — საიმედო ქომაგი და მოსარჩლეა.

...ხომ კარგად ხედავს ყველაფერს, ვინც თვალხილულია, ასეეა ისიც, ვინც გრძნობს საკუთარ ბუნებას, მასაც ყველაფერი ესმის და თავისივე არსი აძ-

---

[1] ტრაიანი — (53-117) რომაელი იმპერატორი.
[2] ტიტი — (39-81) რომაელი იმპერატორი.

ლევს ყოველივეს, რაიც სჭირდება, კუს რომ ფრთები არა აქვს, განა ეს არის მისი უბედურება? ფრთები ფრინველებს ჭირდებათ, იმაში კი არ არის უმაღლესი სიბრძნე, მთელი სამყარო შეიცნო. ვის ძალუძს ეს? შეუძლებელი და არასაჭირო ორივე ერთია, მაგრამ შენ რაც გჭირდება, ის თუ იცი, სწორედ ეს არის უმაღლესი სიბრძნე, მთელი ქვეყნიერება, ყველა პლანეტაც რომ მოიხილო, თუ ვერ მოიპოვე, ის რაც შენ გჭირდება, მით უმეტეს თუ არ იცი რა გჭირდება, მუდამ ღატაკი იქნები, მუდამ უმეცარი, სიხარულსა და გულის ხალისს მოკლებული. ყველა გზათა მომვლელი, უქონელი, უცოდინარი, ვერასოდეს მოიპოვებ სულის მხნეობას, ანდა როგორ შეიძლებ მხნედ ყოფნას, ყველაფერზე აუცილებელსა და მთავარს მოკლებული. ან ვით გექნება, თუ არ მოიპოვე? და როგორ ჰპოვებ, თუ არ იცი, რას ეძებ, რა გჭირდება შენ?...

უკრაინულიდან თარგმნა **ჯაბა ასათიანმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევგენი ონეგინი

მეორე თავი

O rvs!
Hor
O Русь!

ევგენის სადაც ლევდა მოწყენა,
ულამაზესი გახლდათ სოფელი;
ვინც უწყინარი ლხენის მოძმეა
ღმერთს იქ შესწიროს სამადლობელი.
ბატონის სახლი განზე გამდგარი,
რომ იფარავდა მთა ქარსაფარი,
გადასცქეროდა მაღლით მდინარეს,
ველებს ფესანგად ანაბრდღვიალებს.
შორს ოქროსფერი ენთო ყანები,
კრთოდნენ სოფლები და ფშან-მინდორთა
მწვანეზე ჯოგი ძოვით ვიდოდა,
და ხშირი ჩრდილის შემომღამები
ჩანდა ვერანი, ერცელი ბაღნარი,
მწუხარდრიადთა თავშესაფარი.

II

ციხე-დარბაზი პატივსადები,
როგორც სჩვეოდათ ერთდროს შენება,
მკვიდრად და დინჯად იყო ნაგები,
ბრძნული სიძველის ეცხო მშვენება.
სავანეები ერთობ მაღლები,
სასტუმრო ატლასშემონავლები,
ყველა კედელზე მეფე უფალი,
ღუმელნი ჭრელად ნაჩუქურთმალი.
ეს ყოველივე უკვე დაძველდა,
არ ვიცი მაინც რისი ბრალია;
და ჩემს მეგობარს, რაც მართალია,
არ ეპიტნავა მათთან გაძლება.
იგი მთქნარებით ერთად აავსებს
ძველსა და ახალ მოდის დარბაზებს.

III

მან ჭერად მისი ბინა ინება,
სოფლად ცხოვრება ვინც გამოსცადა,
ორმოც წელს ფარეშ ქალს აგინებდა,
მზერდა სარკმელს და ბუზებს ხოცავდა.
სადას და მუხის იატაკიანს
ოთახს, ბუმბულა დივანს, მაგიდას
და წყვილ კარადას, რაც თვალს ხვდებოდა,
ძელხის წიაწკალიც არ შეხებოდა.
ერთ კარადაში ხარჯის რვეული,
სხვაში მან ნახა ბლომად სასმელი,
სურები ვაშლის წვენით სავსენი
და კალენდარი რვაწლისეული:
ბიძა ოჯახზე ზრუნვას გადაჰყვა,
სხვა წიგნის აღარ სურდა დანახვა.

IV

მამულში მარტო რომ დაემკვიდრა,
გართობის გარდა, რას დაგიდევდათ,
და მან პირველად ეს მოიფიქრა,
ახალი წესის დასამკვიდრებლად:
ვით უდაბნოში ბერად შემდგარმა

ბრძენმა ძველი და მძიმე ბეგარა
შესცვალა იოლ გადასახადით,
ბედზე ალოცა მონა ღაღადით;
სამაგიეროდ ის მტრად იხდიდა
გულმწყრალ მეზობელს, ანგარიშიანს,
ვინც მის საქციელს ავად ინიშნავს,
ზოგმა მზაკვრულად ჩაიხითხითა,
და იგი ერთხმად, შეთანხმებულად
ჩასთვალეს საშიშ შექანებულად

V

ჯერ ხშირად ყავდა სახლში სტუმრები,
მაგრამ შინაყმებს მისგან ებარათ,
უკანა კართან მათ ჩვეულებრივ
დონური რაში რომ მოეგვარათ,
რაწამს შარაზე დროგის ხმაურის
ხმას შეიცნობდნენ შორით მსახურნი,
ნაწყენი ასეთ შეურაცხყოფით,
განზე გაუდგა ყველა ნაცნობი
— ვიღაც ბრიყვია, გადარეული,
სულ წითელ ღვინოს სვამს ფარმაზონი,
მარტო ჭიქაა მისი ამფსონი,
ხელზე არ კოცნის ქალებს ველური;
„დიახს“ ვერ ამბობს „ხოს“ იმეორებს.
ერთხმად აღმოხდათ ყოფილ მეგობრებს.

VI

სწორედ იმ ხანად თავის სოფელში
ეტლით მოჭენდა სხვა მებატონეც,
და მისი ქცევაც სამეზობლოში
განსჯის გარეშე არ მიატოვეს.
ვლადიმირ ლენსკი მათთან სახლდება,
გეტინგენელის სრული სახება,
ლამაზი, თითქმის დაკაცებული,
პოეტი, კანტით გატაცებული.
მან გერმანეთით ნისლით ნაბურით
წამოიმძღვარა სიბრძნედ რუსეთში
ლაღად ოცნება, რწმენა, ნუგეში,
სული ფიცხი და თან უცნაური,
სიტყვა — მგზნებარე გულის ძახილი
და შავი თმები მხრებზე დაყრილი.

VII

საწუთროს ცივი, ბილწი შხამგესლით
ჯერ არ მოესწრო ყრმაკაცს დაზრობა,
მოძმის სალამით, ასულთ ალერსით
გაეთბო სულის ახალგაზრდობა.
იყო სათუთი და გაუწვრთნელი
ასულდგმულებდა რწმენა გულწრფელი:
ქვეყნის ბრჭყვიალს და ხმაურს მონებდა
ჯერ კიდევ მრწემი მისი გონება.
და დაეჭვებას გულის მომცარავს
იქრობდა იგი ტკბილი ოცნებით,
მისთვის მიზანი ჩვენი ცხოვრების
ჰგავდა მიმზიდველ, რთულ ამოცანას,
მისთვის იტეხდა თავს განსწავლული,
და მით იეჭვა მან სასწაული.

VIII

მტკიცედ სჯეროდა, სულით ნათესავს
შეიერთებდა კეთილ სულივით,
სწამდა, — იწვოდა წმინდა არსება
მისი ყოველდღე ნახვის სურვილით.
მისი ღირსების გამო ბორკილთა
დებას ირჩევდა გული ძმობილთა,
არ შეკრთებოდა მათი მარჯვენა
ცილისმწამებლის მძიმე სასჯელად.
სწამდა, რომ დგანან ხვედრით რჩეულნი
ადამიანთა წმინდა თავდებად,
რომ მათი კერა, ვით უკვდავება,
თვალისმომჭრელად გაჩაღებული
სხივებს ოდესმე ჩვენც მოგვაშუქებს
და მთელ სამყაროს შვებას აჩუქებს.

IX

მას აღშფოთებამ და სიბრალულმა,
სიკეთისადმი წმინდა ტრფიალმა
და განდიდების ტანჯვამ სალბუნმა
სისხლი ადრევე აუჩქრიალა.
ჩანგით მოხეტეს მაშინ ეღირსა
ცა გოეთესი და შილერისა
თავს დახურვოდა მათთან საერთო,
სული პოეტურ ცეცხლით აენთო
და ხელოვნება სვებედნიერმა
არ შეარცხვინა დიად მუზათა:
შემოუნახავს ზვიადს უზღვავად
მარად მაღალი განცდის სიმღერა.
ძალა სპეტაკი ნატვრით ქროლების
და ბრწყინვა ზვიად უბრალოების

X

ტრფიალს უმღერდა ყმა სიყვარულის
და მისი ლექსი იყო ნათელი,

როგორც ფიქრები სათნო ქალწულის,
როგორც სიზმრების გზა ყრმობამდელი,
როგორც მშვიდ ცაზე მთვარე ფერმკრთალი
ხვაშიადის და ოხვრის ღმერთქალი.
უმღერდა იგი გაყრას ნაღვლიანს,
რაღაც ბუნდოვანს, სივრცეს ჯანღიანს..
რომანტიკული ვარდის ტრფიალი
უმღერდა იგი ქვეყნებს შორეულს,
სადაც ხანგრძლივად ცრემლებს მორეულ
ყრუ სიჩუმეში ღვრიდა მტირალი;
სიცოცხლე მჭკნარად ესახებოდა,
ოდეს თვრამეტი წლისა ხდებოდა..

XI

იმ უდაბნოში მარტო ონეგინს
შეეძლო მისი ყადრი სცოდნოდა,
ლენსკის ბუნება ახლო სოფლების
ბატონთა სუფრებს ვერ ეწყობოდა.
არ დარჩენილა მათთან საუბრად,
ბრძნული ბაასი როცა გაუბამთ
თიბვაზე, მწევართ სადგომ-ბაგებზე,
ღვინოზე, ახლო ნათესავებზე.
და, რა თქმა უნდა, მათი მსჯელობა
არც პოეტური აზრით ცხოველით,
არც ხელოვნებით ერთად ცხოვრების,
არც სიმახვილით განირჩეოდა,
მაგრამ ბაასში მათი ცოლები
იყვნენ მით უფრო საბრალოები

XII

მდიდარ და ლამაზ ლენსკის იწვევდა,
როგორც სასიძოს, ყველა ხალისით;
სოფელი ადათს არ ივიწყებდა;
ყველას ასული სწამდა თავისი
ნახევრად რუსს კაცს რომ გაჰყვებოდა;
მისი შესვლისას ეხერხებოდათ
სიტყვის წარმართვა სულ სხვა რამეზე,
ცალად ცხოვრების სივალალეზე:
სუფრა უხმობდა მათ სამოვარით;
ღუნია როცა სასმისს უვსებდა
„მიჰხედე!“ — ვიღაც ჩასჩურჩულებდა.
ბოლოს გიტარას გასათხოვარი
ზედ დაჰკნავლებდა (ჰოი გამჩენო!):
"წამოდი, ოქროს კოშკი გაჩვენო!..“

XIII

მაგრამ არ სურდა, ცხადზე ცხადია,
ლენსკის ცოლქმრული ლაგმის მორგება,
გულწრფელი გრძნობით მოიწადინა
მან ონეგინთან დამეგობრება.
შეხვდნენ ერთმანეთს. ტალღა ტინისგან,
ლექსი პროზისგან, ცეცხლი ყინვისგან
არ იყო მათებრ განსხვავებული
და ჯერ სხვაობის ზღვარგავლებულნი,
ერთურთისათვის მოსაწყენები,
ძლივს შეეთვისნენ, მერე ურყევად,
განუშორებლად და განუყრელად
დასეირნობდნენ ერთად ცხენებით:
და ასე (ცოდვა ახლაც ბანაღვლებს)
ხალხს უსაქმობა აამხანაგებს.

XIV

ის მეგობრობა, რაც მათ გააჩნდათ
დავგმეთ ცრურწმენად, ძველ ჩვეულებად;
ნულებად ვნათლავთ ყველას აშკარად,
და მარტო ჩვენს თავს — ერთეულებად.
თვალს ნაპოლეონს ყველა ვუსწორებთ,
მილიონობით ორფეხს ვუწოდებთ
პირუტყვებს და ვთვლით ერთ იარაღად,
დავცინით ნამდვილ გრძნობას ამაყად.
ევგენი იყო ბევრზე ფაქიზი,
თუმცა იცნობდა კაცთა სიავეს,
ზიზღით უმზერდა ადამიანებს,
მაგრამ (კანონს აქვს გამონაკლისი)
იცოდა ზოგის ყადრი, ღირსება
და სხვისი გრძნობის პატივისცემა.

XV

ლენსკის უსმენდა იგი მღიმარი.
მგოსნის მსჯელობა ალმოდებული,
გონება ჯერ აზრდაუღვინარი,
და მზერა მუდამ შთაგონებული —
ონეგინისთვის იყო სიახლე;
და არ უნდოდა მისი სილაღე
პირსმომდგარ ცივი სიტყვით ჩაეფრო.
ფიქრობდა; ფუჭად რად ვეპაექრო,
არ გავუმწარებ წუთს დალხინების;
ჟამი მოუვა მას უჩემოდაც,
ვიდრე ცოცხალ არს, დაე სჯეროდეს
ქვეყნიერების სრულყოფილების,

შერჩეს, ყრმა ვიდრე დავაჟკაცდება,
ყრმული ბოდვები და აღტაცება.

XVI

ცხარე კამათის გასაჩაღებლად
მათ საფიქრალი ჰქონდათ სამყოფი;
ძველ ტომთა ზავი, გაჩანაგება,
ღვარძლი, სიკეთე, ცოდნის ნაყოფი.
ცრუ რწმენა ბნელი და ასწლოვანი,
საბედისწერო სამაროვანის
იდუმალება, ხვედრი, საწუთრო,
არ ელეოდათ ზღვა სასაუბრო.
პოეტი გზნებით, თავდავიწყებით,
აზრში ურთავდა ზოგჯერ ვნებიან
თავებს ჩრდილოურ პოემებიდან;
ჩვენი ევგენი, მცოდნეს ღირსებით.
მის ნათქვამს თუმცა ცოტას უგებდა,
ყურს მაინც მთელი გულით უგდებდა.

XVII

მაგრამ მწველ ვნებებს უფრო მონებდა
გონება ორი მეუდაბნოვის.
და ონეგინი მათ იგონებდა
ნიშნად მშფოთვარე დღეთა გამოვლის
უნებურ ოხვრით და დანანებით;
ნეტარ არს, ვისაც მათი ალები
სწვავდა და ბოლოს გვიან გაშორდა;
უნეტარეს არს, ვინც მათ არ სცნობდა,
ვინც ანელებდა ცეცხლს განშორებით,
მტრობას-ძაგებით, თან ამთქნარებდა —
ცოლთან და თავის ამხანაგებთან,
ეჭვი არ კლავდა აღმაშფოთები
და კაპიტალი მამა-პაპათა
ბედოვლათურად არსად გაფანტა.

XVIII

როდესაც ალამს შევეფერებით
კეთილგონივრულ დასვენებისას,
როცა ჩაქრება ცეცხლის ალები
და გაგვაცინებს გახსენებისას
ვნება-თავნება, ნაგრიგალევი.
და მასზე ბჭობა ნაგვიანევი, —
სიმშვიდე ვპოვეთ ბევრის მომსწრენმა,
ახლა ხანდახან გვიყვარს მოსმენა,
მღელვარედ მეტყველ სხვათა განცდების,
მაშინ გვერხვევა გული დაცლილი.
იმ ხეიბარი ბერიკაცივით,
ვინც ულვაშმწვანე ახალგაზრდების
მონათხრობს უსმენს პირდაბჩენილი,
თავის ძველ ქოხში მწირად შთენილი.

XIX

მაგრამ მგზნებარე ახალგაზრდობაც
ვერასგზით შესძლებს რამის დამალვას,
ტრფიალს, სიხარულს, დარდს, ავკაცობას
უცებ გაამხელს, წამში დალალავს.
ტრფობის ხეიბრად გადაქცეული,
იჯდა ზვიადად თავაწეული,
მშვიდად უსმენდა პოეტს ევგენი;
ვით აღსარების მღაღადებელი.
ჭაბუკი წრფელად და გულახდილად
სხვას ახედებდა თავის ნამუსში,
ევგენიმ მალე მის ნაამბობში
გრძნობათ სიუხვით იცნო ადვილად
ტრფობის ამბავი ახალგაზრდული,
ჩვენთვის ძველი და კამგარდასული.

XX

ეჰ, მას უყვარდა, რომლის შემცველი
დღეს სიყვარული აღარსადაა,
რომლის სამსხვერპლოდ ერთი შეშლილი
სულის პოეტი ახლაც მზადაა.
ყველგან, მარადჟამს ერთი ოცნება,
ერთი სურვილის შესისხლხორცება,
ერთი სჩვეოდა სევდა ყოველთვის.
ვერც გამთოშავმა სუსხმა შორეთის,
ვერც უცხოეთის მშვენიერებამ,
ვერც განშორების წლებმა ხანგრძლივმა,
ვერც მუზებისთვის დროის განწირვამ,
ვერც ლხინმა და ვერც მეცნიერებამ
შესცვალა მისი მიუსაფარი
სული — სპეტაკი ცეცხლით გამთბარი.

XXI

ჯერ გულუნაღვლო, გამოუცდელი
მოხიბლა იგი ოლგამ ყრმობისას,
თან ახლდა ასულს სათნო, გულწრფელი
მოწმე ბალღური ონავრობისას.
მუხნარის ჩრდილში მასთან დარბოდა,
მასთან ლაღობდა, დანავარდობდა.
მათთვის მეზობლებს, მამებს ვნებათ
მალე სწვეოდნენ ბედნიერებას.
ჯდემამოსილი და სხივოსანი

კრთოდა უღრანის წყნარ სავანეში,
ჰყვაოდა ოლგა მშობლის თვალებში,
ვით ხშირ ბალახში ნაზი სოსანი
ჩუმად, მალულად შუქის მჩენელი,
პეპლის და ფუტკრის შეუმჩნეველი.

XXII

პოეტს მან უძღვნა ყრმობის საამო
პირველი სიზმრით აღფრთოვანება,
მან შთააგონა მგოსნის სალამურს
პირველი კვნესით ახმოვანება.
და ჰა, ბავშვობის წყდება თამაში!
შეუყვარდება ყრმას ხშირ ჭალაში
განმარტოება და სიჩუმეში
ვარსკვლავების და მთვარის ნუგეში
მთვარის, უსაზღვრო ზეცის კანდელის
შუქს მივუძღვენით ღამის მრავალი
გასეირნება და ის ალალი
ცრემლი—იდუმალ დარდის მფანტველი...
ახლა ჩვენს თვალში მთვარე რა არის?
მხოლოდ შემცველი მკრთალი ფანარის.

XXIII

ამკობდა კდემა და სათნოება,
დილასებრ იყო სავსე ხალისით,
გულღია, როგორც მგოსნის ცხოვრება,
ვით სიყვარულის კოცნა ხალასი.
ლაჟვარდისფერი ლურჯი თვალები,
ხმა, სელისებრი ზილფ-დალალები,
მიმოხვრა ტანის ჰაეროვანი
ამკობდა ოლგას, მაგრამ რომანი
ჯერ არ შექმნილა, მისი იერის
ქალი რომელმაც არ დაგვიხატა;
მეც ის პორტრეტი ძლიერ მიყვარდა,
მაგრამ, მკითხველო, იმ მშვენიერის
ვტოვებ მოსაწყენ დასურათებას
და ვუთმობ უფროს დას ყურადღებას.

XXIV

ერქვა მის უფროს დას ტატიანა...
და ამ სახელით პირველს უხდება
ჩემი რომანის ფურცლებს ფრიალას,
როგორც მწადია ისე კურთხევა.
რა უშავს? არის კეთილხმოვანი,
მაგრამ მას, ვიცი, ერთვის ხსოვნანი
შორი წარსულის ან სიქალწულის!
უნდა გამოვტყდეთ, რომ დასაწუნი
გვაქვს სახელებიც და გემოვნებაც,
(ლექსები რაღა სახსენებია)
ჯერ განათლება არ შესებია
კვალდასამჩნევად ჩვენსავ გონებას,
და მისგან დაგვრჩა ავად საცქერი
პრანჭიაობა, — სხვა არაფერი.

XXV

ამრიგად, ერქვა მას ტატიანა.
იგი არც წითელ ღაწვთა ხასხასით,
არც სიხალისით იყო დისთანა,
არ მოგტაცებდათ თვალს სილამაზით.
მორცხვი, სევდასთან მარტოდ შთენილი,
უტყვი, მშიშარა, მფრთხალი შველივით,
მშობლიურ სახლშიც ფიქრად წასული
გეგონებოდათ სხვისი ასული.
დედმამას ტკბილად ვერ უფერებდა;
არ გაჰყოლია ბავშვებს არასდროს
არც სათამაშოდ, არც სანავარდოდ;
ბავშვი ბავშვობას ვერ იფერებდა.
და ხშირად ტოლებს გარიდებული
სარკმელთან იჯდა გარინდებული.

XXVI

ფიქრიანობა მას აკვნიდანვე
არ შორდებოდა, როგორც დობილი,
სოფლის ცხოვრება უქმად მდინარე
ახლდა ოცნებით შემამკობელი.
უფაქიზესი, ნასათუთევი,
ნემსსშეუჩვევი მისი თითები
ვერ აცოცხლებდა სახლში შრომისას
ტილოზე ნაყშებს აბრეშუმისას.
ბავშვს მბრძანებლური ყათა ემჩნევა,
როდესაც თავის მორჩილ ტიკინას
თამაშით აჩვევს ქცევებს რიგიანს,
მაღალ წრის წესებს მასთან ეჩვევა,
მას ზვიადურად, ენაგაკრეფით
ასწავლის დედის ყველა გაკვეთილს.

XXVII

მაგრამ ტანიას ბალღურ ასაკში
ტიკინა ხელში არ ჰკავებია,
არ უმართავდა ბაასს: ქალაქში
რა მოდები და რა ამბებია.
ბავშვურ ცეტობას ვეღარ უძლებდა;
გაფაციცებით; ხარბად უსმენდა
საშინელ ამბებს ღამით, ზამთარში,

გული რჩებოდა ნათქვამ ზღაპარში...
როცა ოლგასთან სოფლის ბავშვობას
შეკრებდა ძიძა ფართო მდელოზე,
იგი სტოვებდა ტოლ ანგელოზებს,
დაჭერობანას არ თამაშობდა,
თავს აბეზრებდა ბავშვს მხიარული
მათი ხმაური და ჟრიამული.

XXVIII

რარიგ უყვარდა მას აივანზე
მზის შეგებება აღმომავალის,
როცა ფერმიმკრთალ დასალიერზე
წყდება ფერხული ვარსკვლავთ ამალის,
როცა ნათელი ხმელეთს შემოსავს,
ქარი გვაუწყებს დილის შემოსვლას
და დღე თანდათან დაიბადება.
ზამთარში, როცა ჩრდილი ადგება
ნახევარსფეროს შავად ნაღვენთი,
ქვეყნის ნაწილი თვლემს სიწყნარეში
და ნისლმოხვეულ მთვარის არილში
ისვენებს ზანტი აღმოსავლეთი,
ჩვეულ დროს, ძილში უცებ კრთებოდა,
იგი სანთლების შუქზე დგებოდა.

XXIX

ადრე იწონებს იგი რომანებს
და სხვას არაფერს აღარ ისურვებს,
თავს შეაყვარებს, აღაფრთოვანებს
რიჩარდსონის და რუსოს სიცრუეც.
მამამისს კეთილს, სათნო გულისას.
და მძევალს წარსულ საუკუნისას;
წიგნებზე ცუდი არ დასცდენია,
თუმცა დრო კითხვით არ გასცდენია,
მათ სათამაშოდ თვლიდა ბავშვთათვის
და არც ეძებდა, თავის ქალიშვილს
რა საიდუმლოდ ედო ბალიშქვეშ
მთვლემარე ტომი გარიჟრაჟამდის.
ცოლი მეუღლეს სულაც არ გავდა,
რიჩარდსონისთვის ჭკუას კარგავდა.

XXX

შეჰყვარებია ქალს რიჩარდსონი,
არა მისთვის რომ კითხვით გარჯილა
და არა მისთვის, რომ გრანდისონი
რამე ღირსებით ლოვლასს არჩია,
არა! მოსკოვის მკვიდრმა ალვინამ —
თავადის ქალმა დეიდაშვილმა
მათი გვარები ბევრჯერ გაბეჭა,
როცა ჯერ კიდევ ქმარი არ ერჭა
მის ძალად საქმროს, როცა თავის დროს
ოხრავდა სხვაზე, როცა გონება
და გული მისი სხვას იწონებდა,
შორით ეტრფოდა იგი გრანდისონს —
გვარდიის სერჟანტს განთქმულს
ფრანტობით,
ბანქოს თამაშით, დარდიმანდობით.

XXXI

სატრფოს ბაძავდა მოდურ სამოსით,
მუდამ მშვენივრად, კოხტად ჩაცმული,
მაგრამ არც უთქვამს აზრი თავისი,
დააქორწინეს სხვაზე ქალწული.
მისი წუხილის განსაქარვებლად
ცოლიოთურთ მალე გაემგზავრება
ჭკვიანი ქმარი თავის სოფელში,
სადაც დასჩემდა ქალს უცნობებში
ცხარე ქვითინი, მოთქმა პირველად,
გაყრა არჩია მეუღლეობას,
ბოლოს მიხედა მეურნეობას,
შეჩვევით იგრძნო კმაყოფილება.
ჩვენც ზენაარის მადლით შეგვრჩება
ბედნიერების ნაცვლად — შეჩვევა.

XXXII

შეჩვევა — მისი სევდის მკურნალი
მოურჩენლისაც შესძლებს მორჩენას,
და დამშვიდდება ქალი სულ მალე,
როცა მიაკვლევს დიდ აღმოჩენას:
უსაქმობის და საქმის შუაბანს
ცოლს რაღაც ფანდი გამოუნახავს,
რითაც ესურვა ქმარზე ემეფა
და აღისრულა, რაც მას ენება:
სამუშაოებს მხნედ უძღვებოდა,
ამარილებდა სოკოს ზამთრისთვის.
თავს იცხელებდა ხარჯის დავთრისთვის,
შაბათს აბანოს უნდა სწვეოდა,
მოახლეთ სცემდა გაანჩხლებული,
ქმრის უკითხავად განსჯას ჩვეული.

XXXIII

ნაზ ქალწულებთან ერთ დროს ჰქონია
ალბომში სისხლით წერის უნარი
და პრასკოვიას ხმობდა პოლინად

ამღერებული ხმით მოუბარი...
კორსეტში იყო გამოკვართული
და რუსულ H-ის მსგავსად ფრანგული
N-ის გამოთქმა ცხვირით ძალუძდა,
მაგრამ სულ მალე ყადრი გაუწყდა:
კორსეტს, თავადის ასულს ალინას.
ალბომს, ვნებიან ლექსთა რვეულსაც
ივიწყებს იგი და ძველებურად
ისევ აკულკად ნათლავს სელინას,
და ბოლოს, თუმცა დიდხანს ინახა,
ჯუბა და ჩაჩი ძლივს განიახლა.

XXXIV

მაგრამ ქმარს ცოლი წრფელად უყვარდა,
ქალს გასაქანი მისცა ხალვათი,
მისი ყოველმხრივ სწამდა უნაღვლოდ,
თვითონ ჭამასმად იჯდა ხალათით.
სდევდა დინებას მშვიდი ცხოვრების
და ხშირად მათთან საღამოებიც
უტარებიათ კეთილ მეზობლებს,
ცერემონიას უჩვევ მეგობრებს;
დარდს იქარვებდნენ, დროს აძაგებდნენ.
სხვათა კილვაში და მასხრობაში
ვიდოდა ჟამი, ამასობაში,
„ოლგა, დაადგი ჩაი“ — ბრძანებდნენ,
და ვახშმის შემდეგ, ძილნატრულები
გადაივლიდნენ ეზოს სტუმრები.

XXXV

წყნარი ცხოვრების გზაზე მშვენიერ
წარსულის წესებს ვერ ელეოდნენ,
ისინი ყოველ მსუყე ყველიერს
რუსულ ბლინებით ეგებებოდნენ;
ყოველ წელს ორჯერ მარხვის ერთგულნი
სუფრულ სიმღერებს ცვლიდნენ ფერხულით,
უყვარდათ მრგვალი საქანელები;
და სამება დღეს მათსოფლელები
როცა უსმენდნენ წირვას მთქნარებით,
ისინი სხივებს განთიადისას
დააპკურებდნენ სამ ცრემლს ფაქიზად;
ბურახს ხაფავდნენ მსგავსად ჰაერის,
და მოყვარულნი სტუმართ მიღების
კერძებს აწვდიდნენ ჩინის მიხედვით.

XXXVI

სიბერე ნახეს მათ ერთმანეთის
და ბოლოს ის დღეც დადგა რიგივით,
ქმრის წინ გაიღო კარი შავეთის,
იხილეს იგი ახალ გვირგვინით.
მან სადილისწინ დასთმო ქვეყანა
და მეზობლებთან ერთად შეეყარა
ქალიშვილები, ცოლი ერთგული —
ყველაზე წრფელად ატირებული.
ბატონი იყო გულსმინდობილი
და სადაც მისი ნეშტი ისვენებს,
საფლავის ძეგლი ასე იხსენებს:
ამა ქვის ქვეშე, მწირი ცოდვილი
მონა უფლისა და ბრიგადირი
არს სასუფეველს დმიტრი ლარინი.

XXXVII

თავის მამულში დაბრუნებული
ვლადიმირ ლენსკი ძეგლს მეზობლისას
მოინახულებს და უნებური
ოხვრა დასცდება ნიშნად გლოვისა.
დიდხანს უკვნესდა გული ტკივილით,
ბოლოს Poor Vorick-თქვა სიმძიმილით,
ბევრჯერ ვჭერივარ ხელში, როდესაც
მის მკერდზე მედალს ოჩაკოვისას
ვათამაშებდი ბალღი პატარა;
მე მიბედებდა ოლგას ნეტარი,
მოვესწრებიო იმ დღეს ნეტავი?..
და უწმინდესი სევდის ამარა
ლენსკი იმავე წუთში ნაფიქრალს
საფლავის ქვაზე დასწერს მადრიგალს.

XXXVIII

და იგი იქვე ცრემლით დაღარულ
წარწერას უძღვნის დარდით აღსავსე
მშობლების სამარხს პატრიარქალურს...
ვაჰ, რომ საწუთროს ნაკვალ-ნახნავზე
წუთით იმკება ყველა თაობა.
რომ იდუმალი გარდუვალობა
მათ ზრდას, მწიფობას, კვდომას აგვარებს,
სხვები მისდევენ ძველთა ნაკვალევს
და ჩვენი მოდგმაც ქარიფანტია
იზრდება, ღელავს, დუღს და წრიალებს,
კუბოსკენ ხიზნავს ცოცხალ წინაპრებს.
მალე ჩვენი დროც მოვა, ცხადია.
და შვილიშვილთა დაიმედებით
წუთისოფლიდან განვიდევნებით!

XXXIX

ჯერ რიგიანად, ტკბილად შეირგეთ,
ძმებო, მსუბუქი ჩვენი ცხოვრება!

არარაობა მისი შევიგნე
და შეგუება მეუცხოება:
ჩვენებებს ვდევნი თვალდახუჭული,
მაგრამ იმედის შორი ჩურჩული
გულს მიფრთხიალებს ზოგჯერ უჩვევად:
წუთისოფლიდან კვალდაუმჩნევლად
წასვლაზე ფიქრი მავსებს ნაღველით.
ვცოცხლობ, ვწერ განა განდიდებისთვის,
მაგრამ მე ჩემი მწარე ხვედრისთვის
მეწადა, ვგონებ, მეტი სახელი,
რომ მხოლოდ ერთი ბგერა წარმტაცი
დამრჩეს ხსენებად, როგორც ძმაკაცი

XL

ვიღაცას გულზე მაინც მოხვდება
და ქვეყანაზე ბედად შთენილი,
ალბათ, ლეტაში არ აღმოჩნდება
სტროფი ლექსისა ჩემი შექმნილი.
ალბათ (იმედად ესაც ბევრია!),
შემდეგ მოსული იტყვის ხევრია,
შემყურე ჩემი ცნობილ პორტრეტის:
ჰო, მაგას მადლი სცხია პოეტის!
მიიღე ჩემი სამადლობელი
ტრფიალო წყნარი ანოიდების,
ვის ხსოვნაშიაც ამოვიზრდები,
ჩემი ფრთამალი საგალობლებით,
ვინც გადაუსვამს ხელს და დაიცავს
გვირგვინებს ერთი ბერიკაციისას!

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკოლონიოს როდოსელი

არგონავტიკა

როცა მედეამ ასწონ-დასწონა ეს შეთანხმება ბრძნული გონებით, 350
მყისვე შეიგრძნო მწველი ტკივილი და დაეკარგა სულის სიმშვიდე.
გული მოუკვდა, ეჭვმა შეიპყრო, განზე გაიხმო იაზონი და
გმირთა გუნდიდან განმარტოებით როცა იხილა პირისპირ, ცალკე,
ნიშნად სასტიკი საყვედურისა ასეთი მწარე სიტყვით მიმართა:
„ო, ეზონიდო, რა განაჩენი გამომიტანეთ და რას მიპირებთ?
იქნება შენმა ოქროს საწმისმა გამოგილაყა თავი სავსებით?
ან იქნებ ახლა აღარ გაღელვებს შენი სიტყვები, თქმული ოდესღაც,
როდესაც შიში გაკანკალებდა? სადღაა ფიცი, მავედრებელთა
მფარველ კრონიონ ზევსს რომ მიეცი განსაცდელის ჟამს, შეჩვენებულო?
სად გაგეფანტა დაპირებანი, ტკბილი სიტყვები მოქარგულები, 360
რომელთაც ვენდე, ასე უღირსად და ასე ურცხვად რომ აგედევნე,
ვნებას ავყევი ქარაფშუტულად, დავთმე მამული, მამის სასახლე,
ზურგი ვაქციე ჩემთა მშობელთა — რაც არის ქვეყნად ყველაზე მაღლა?
უცხო კაცებთან მივცურავ შორეთს, თავს დამძახიან ალკიონები*,
რადგან გიშველე გაჭირვებაში, გამოგიწოდე მხსნელი მარჯვენა,
და განა ჩემი გრძნებით არ სძლიე ცეცხლისმფრქვეველი ხარები მაშინ?
ჩემი წყალობით არ გაიმარჯვე მიწისშობილთა ურდოზე განა?
ოქროს საწმისი, შენი მიზანი, ჩემი სიგიჟით არ იგდე ხელთა?**
ო, მე უგნურმა ეს რა სირცხვილი თავს დავატეხე ქალების მოდგმას!
მეგონა ისე მომექცეოდი, როგორც მეუღლეს, დასა და ასულს! 370

---

* ზოგ თარგმანში ეს სახე გამოტოვებულია. ლედანში ლაპარაკია ადამიანისაგან შექმნილ ფრინველზე ალკიონზე. ალკიონე (ჰალკიონ) იყო ეოლოსის ასული, ტრაქინის მეფის კეიქსის ცოლი (Alkyone და Keyx). ერთი გადმოცემით, ცოლ-ქმარი თავს ზევსსა და ჰერას ეძახდნენ, რისთვისაც ზევსმა ზღვის ფრინველებად აქცია. მეორე ვერსიით, კეიქსს გემი დაეღუპა, ალკიონემ ქმრის გვამი ნახა და დარდისაგან იქცა ზღვის ფრინველად. როცა ეს ფრინველი კვერცხებზე ზის, ზღვაზე მამამისის — ქარების ღმერთის ეოლოსის ნებით ქარი არ ქრის, აშიტომ ამ წყნარ დღეებს მეზღვაურები „ალკიონეს დღეებს“ ეძახიან; სულ სხვაა გიგანტი ალკიონევსი, რომელიც ჰერაკლემ მოკლა.

** ამ ეპიზოდში აშკარად იჩენს თავს იაზონის ცალმხრივობა, სიმხდალე და უმადურობა. ეს აზრი თანდათან ღრმავდება. მედეამ შური უნდა იძიოს გაუგონარი საშუალებით, რადგან გაუგონარია იაზონის უმადურობაც. ამ მხრივ როდოსელი პოეტი მას მეტი სიმპათიით ხატავს, ვიდრე სხვა ბერძენი პოეტები, ერთხმად რომ ძრახავენ სისასტიკისათვის. ასე, ლეონიდე ალექსანდრიელი ამბობს, ეჭვი სიგიჟეზე უარესიაო, ვიღას ენდონ ბავშვებიო? “შენ ქვაშიაც კი მძვინვარებ, ქალო“ — მიმართავს უცნობი პოეტი მედეას ქანდაკებას. არქიასი კი მწარე ეპიგრამაში მერცხალს მიმართავს:

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1

ამ რწმენითა და სულისკვეთებით გამოგყოლივარ ელადისაკენ!
ო, ნუ დამღუპავ, მიყავ წყალობა, რაც გინდა ძვირად დაგიჯდეს შენ ესე!
ნუ მაგდებ უცხო მეფეთა ხელში, არამედ მიხსენ, ფიცის ერთგულმა!
რაც კანონის და სიმართლის წესით შეგვიკრავს ფიცით, ის იყოს მტკიცე!
და თუ არ ძალგიძს, იშიშვლე ხმალი და გამომღადრე ბარეღამ ყელი,
რათა მე ჩემი სისულელისთვის მივიღო ჯილდო შესაფერისი!
ვაი მე ბედშავს! თუ დაიცავით ეგ დამღუპველი პირობა თქვენი
და ჩემი თავი ძმას ანდო მეფემ, მე რაღა პირით ვეჩვენო მამას?
შინ ხომ დიდებით არ ვუბრუნდები! და არის სადმე სამაგიერო
სასჯელი, ტანჯვა, იმაზე მძიმე, რაც მამის სახლში მომელის მაშინ? 380
მე მომკლავს მამა. შენა გგონია, შენ უკეთესი მოგელის ხვედრი?
შინ დაბრუნებას აღარ გაღირსებს ჰერა, მეუფე, ზევსის მეუღლე,
ის ყოვლის შემძლე ქალღმერთი, რომლის მფარველი კალთით ასე ამაყობ!
დღე დაგიდგება, მეც გამიხსენებ, მაგრამ გვიანღა იქნება მაშინ!
ეგზომ იოლად მოპოვებული ოქროს საწმისი, როგორც სიზმარი,
შავბნელ ტარტარში ჩალპება მაშინ! და სამშობლოდან გაგაძევებენ
შურისმგებელი ერინიები, ჩემთა ვნებათა წყაროვ, იაზონ!
ღალატისათვის გაგაწამებენ, როგორც აწამე შენ ჩემი გული!
იცოდე, ჩემი სიტყვა მიწაზე ტყუილ-უბრალოდ არ დაეცემა!
მაგ სამარცხვინო გარიგებისთვის სამაგიეროს გიზღავ, იცოდე!“ 390

ეუბნებოდა ეზონიდს ასე მედეა, ბრაზით გულანთებული.
სურდა დაეწვა მთელი ხომალდი და ნაცარ-ტუტად ექცია ყველა,
შემდეგ თვითონაც იმ ცეცხლის ალში გადამხტარიყო, დაეწვა თავი[33].
შიშით მოცულმა ეზონის შვილმა ტკბილად მიუგო: „ო, ღვთაებრივო,
ძვირფასო ჩემო, ასე ნუ წყრები! მე ხომ თვითონაც არ მომწონს ესა!
ჩვენ გვინდა მხოლოდ იქით გავწიოთ კარზე მომდგარი ბრძოლის წუთები.
იქნებ რაიმე ღონისძიებით დავაშოშმინოთ ჩვენი მდევარი, —
თუ არ ვიღონეთ, გარს მოგვდგომია მტერი, ვითარცა შავი ღრუბელი.
ეს შენთვის ხდება! და ვინც აქ ცხოვრობს, ყველა ეცდება, რომ აიეტის
შვილს დაეხმაროს, ასიამოვნოს, შინ გააყოლოს ტყვედ შენი თავი! 400
თუ ხელჩართული ბრძოლა გავმართეთ, ყველას უაზრო სიკვდილი გველის,
და უარესი დღეც დაგადგება, თუ აქ წავხდებით, დავიხოცებით,
და მტრის საჯიჯგნად, დასამცირებლად ამ უცხო მხარეს დაგტოვებთ შენა.
ეს გარიგება მხოლოდ ხერხია, რითაც აფსირტეს დავღუპავთ ჩვენა.
თუ ეს მოხდება, ჩვენზე იარაღს აღარ აღმართავს აქ აღარავინ.
კოლხებს არავინ მიეშველება ამ ახლომახლო მცხოვრებ ტომთაგან,
თუ წინამძღოლი, შენი დამცველი* და ძმა აფსირტე დაიღუპება,
კოლხთა წინაშე კი არ დავიხევ, არც შეტაკებას მოვერიდები
და გავუმართავ კიდევაც ბრძოლას, თუ გასასვლელი გზა ჩამიკეტეს“.

ზღვა და ხმელეთი გადმოგილახავს, ო., მოჭიკჭიკე მერცხალო ჩემო,
დაბრუნებულხარ და გაგიმართავს ახლა მედეას სურათზე ბუდე!
შენა გგონია შენს უცხო ბარტყებს გადააფარებს მშობლიურ კალთას,
ვინც საკუთარი არ შეიბრალა, დაკლა თავისი ბასრი მახვილით?
apiechische Anthologie, Leipzig, 1884, 106.

* შეფერი, ოზიანდერი: მხსნელი.

ასე მიუგო პირმოთნე კაცმა, და დამღუპველი ესმა პასუხი, 410
რადგან მომწიფდა მედეას თავში მზაკვრული აზრი ანაზდეულად:
„მისმინე... დღემდეც მომიხდენია მე არაერთი ბოროტი საქმე,
და რა იქნება, ერთიც ვიკისრო, ჩემი მიზნების აღსასრულებლად,
რაკი ნეტარი ღმერთების ნებით ჩამიდენია ამდენი ცოდვა!
შენ შეგიძლია შეება კოლხებს, შეხვდე, ამსხვრიო მათი შუბები,
ჯერ კი ჩემი ძმა მსურს მოვიტყუო და ცბიერებით ჩაგიგდო ხელთა,
თუ მომიყვანეს მოციქულებმა; შენ მოეფერე, ძღვენი უბოძე.
მერე კი, როცა გავიხმობ განზე, ვითომდა ისე, სალაპარაკოდ,
მოკალი, მე ნუ მომერიდები, თუ შენი საქმე ასე მოითხოვს!
შემდეგ შენ იცი, შეები კოლხებს და გამოსცადე მარჯვენა შენი“. 420

ასე შეთანხმდნენ და ვერაგული მახე დაუგეს ბედშავ აფსირტეს.
ვითომ პატივით მას გაუგზავნეს ჯერ საჩუქრები ათასნაირი,
მათ შორის წმინდა წამოსასხამი, თვით ჰიპსიპილეს ხელით მოძღვნილი,
ძოწის პეპლოსი, რაც ქარიტებმა[34] დიონისესთვის მოქსოვეს უწინ
დიას კუნძულზე[35], რომლის გარშემო მღელვარებს ტალღა მარადიული.
ღმერთმა თავის ვაჟს თოასს გადასცა ეს მოსასხამი, ხოლო თოასმა
ჰიპსიპილესა, და იმან კიდევ, სხვა მრავალ ძვირფას ნობათთან ერთად
აჩუქა ბოლოს ეზონის შვილსა, რათა მას თვითონ ეტარებინა...
რომ შეხებოდით, გეამებოდათ, და თვალი ცქერით ვერ გაძღებოდა,
თან მოგთენთავდათ მარად წარუშლელ ამბროზიული ღვინის სურნელით, 430
პეპლოსს რომ შერჩა მას შემდეგ, რაც ის დაიგო დაბლა დიონისემ და
ზედ დაიძინა ღვინით და ნექტრით მთვრალმა ნისელმა* ღმერთმა ოდესღაც,
ხელი რომ ჰქონდა გადახვეული არიადნესთვის, გმირმა თეზევსმა
კრეტის კნოსიდან რომ ჩაიყვანა და მიატოვა კუნძულ დიაზე[36].

მედეა მენცარს გაესაუბრა და დაარწმუნა მოციქულები:
როცა ტაძართან მივა ჩემი ძმა პირობისამებრ, ღამის წყვდიადში
დაგვტოვეთ მარტო, მოვითათბიროთ, რამე მზაკვრული გზა გამოვნახოთ,
რომ გავიტაცოთ ოქროს საწმისი და კოლხიდაში გავბრუნდეთ ერთად,
რადგან თვითონაც გამომიტაცეს, ფრიქსეს შვილებმა დამატყვევესო!
იმ თავხედებმა ჩამავლეს ხელი, სტუმრებს გადასცეს ჩემი თავიო,
აიეტ მეფის სრა-სასახლეში მინდა გავბრუნდე თქვენთან ერთადო, 440
ოქროს საწმისიც თან გავიტაცო, მშრალზე დავტოვო იაზონიო! —
ასე უთხრა და მოჩხიბა კიდეც — გარს მოასხურა ისეთი ჯადო,
რომ სურნელებით დაბანგა სივრცე,კუნძულს მოჰფინა ნაზმა ნიავმა,
და თვითონ ნადირს ჩამოიყვანდა ცად აზიდული პიტალო კლდიდან.

ბოროტო ეროტ! ტანჯვის ღვთაებავ! მოკვდავთა დიდო უბედურებავ!
დამღუპველ დავის, შეხლა-შემოხლის, კაეშნისა და ზაფრის მიზეზო,
აგრეთვე სხვათა ურიცხვთა ჭირთა, ხალხს რომ უსპობენ სულის სიმშვიდეს, —
ო, ღმერთო ჩემო! მხოლოდ მტარვალზე გაილაშქრებდე ისეთი ძალით,
რითაც მედეა შენ აიძულე, რომ ჩაედინა საქმე საზარი!

---

* ნისელს (ლეღანშია ნისეიოს) ეძახდნენ ღვინის ღმერთს დიონისეს, რომელიც თითქოს ვენახებით მდიდარ ნისეში აღიზარდა.

როგორ დაღუპა დამ ძმა თავისი, როცა აფსირტეს შეხვდა ტაძართან, 450
მოკლა ბოროტად? სწორედ ამაზე იქნება ახლა სიმღერა ჩვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 რაკი ქალწული პირობისამებრ ცალკე კუნძულზე დატოვეს მარტო,
სად ტაძარია არტემიდესი, სამტროდ შეყრილმა მოლაშქრეებმა
ფიცხლავ გაცურეს სხვადასხვა მხარეს; საფარში დარჩა ეზონის შვილი,
რომ თავს დასხმოდა აფსირტესა და მისთა მხლებელთა, ფარულად მოსულთ.
8 ისიც მოტყუვდა, ტახტის მემკვიდრე, საბედისწერო პირობას ენდო.
ზღვაზე ჩამთწვა ღამე თუ არა, სწრაფად გაჰკვეთა გემით ზვირთები,
10 წმინდა კუნძულთან ჩაუშვა ღუზა და ტაძრისაკენ წავიდა მარტო.
განცალკევებით შეხვდა იქ დასა, დაიწყო მისი გამოცდა სიტყვით, — 460
როგორც უგნური ყმაწვილი ცდილობს ადიდებული განვლოს ნაკადი,
რომლის გადავლაც გაუჭირდება ღონიერსა და გაბედულ ვაჟკაცს, —
ისე ცდილობდა ახლა აფსირტეც მედეას გულის მონადირებას*:
15 ხომ ვერ შესძლებო მოხერხებითა გადამთიელთა ხაფანგში გაბმას?
მედეაც დახვდა ალერსიანად, მოითათბირეს შეთანხმებულად...
ამ დროს გადმოხტა ჩასაფრებული ეზონის შვილი, იშიშვლა ხმალი,
ქალწულმა სახე მიიბრუნა და ჩამოიფარა თვალებზე რიდე,
რომ არ ეხილა, თუ რანაირად დაეცემოდა მისი ძმა მტვერში.
20 იაზონმა კი გამძვინვარებით დაჰკრა მახვილი ჭაბუკს, ვითარცა
ყასაბი დაჰკრავს ძალუმ ხარს ნაჯახს... დასცა ტაძართან, რაც არტემიდეს
კუნძულის გაღმა სანაპიროზე მკვიდრმა ბრიგებმა აუგეს ძველად[37]. 470
23 ტაძრის კარებთან დაეცა მოყმე, მაგრამ სანამდე დალევდა სულსა,
24 გმირმა შადრევნად გადმოხეთქილი შავფერი სისხლით აივსო პეშვი,
ჯ. 23 პირშებრუნებულ დას შეაღვარა თეთრ პირბადეში და მოსასხამში.
ყოვლის მხილველმა ერინიამ კი ეს საზარელი დანაშაულიც
დაუყოვნებლივ იხილა იქვე შურისმგებელი, სასტიკი თვალით.
20 ეზონის შვილმა კიდურთა ყველა ბოლო მოჰკვეთა უწყალოდ გვამსა,
სამგზის მოლოკა მოკლულის სისხლი[38], სამგზისვე უკან გადმოაფურთხა**,
ამ წესს იცავენ მკვლელები, რათა შეიმსუბუქონ ცოდვის სიმძიმე***.
ჯერაც ნელთბილი ნეშტი მკვლელებმა მყის მიაბარეს ნესტიან მიწას,
და მისი ძვლები დღესაც აწყვია წმინდა კუნძულის მიწის წიაღში****. 480
15 სადაც დამარხეს მაშინ აფსირტე[38] და უბედური მისი ამალა[39].
არგონავტები ნიშანს ელოდნენ, — აგერ, აინთო კიდეც მაშხალა:
ამით მედეა მოუწოდებდა — დროა, კოლხებზე გაილაშქროთო!
12 ფიცხლავ მიადგნენ კოლხების ხომალდს, დაიწყო სვრემა დაუნდობელი.

---

* პროზ. თარგმანში შემოკლებითაა: „ყრმამ ისეთ მახეში ჩაიგდო თავი, რომელსაც მამაცი ვაჟკაცებიც ვერ დააღწევენ თავს“.

** სანაქებო, კლასიკური, ბრძნული ობიექტურობით ხატავს პოეტი გმირებს, არსად არ ფარავს იაზონის ვერაგობასა და სიმხდალეს თუ სისასტიკეს, თუმცა ბერძენი გმირია. მეორე მხრივ კი, როგორც ითქვა, კოლხ მედეას, მისი ვერაგობის მიუხედავად არაერთხელ აქებს და ადიდებს.

*** პროზ. თარგმანში ეს სტრიქონი არაა.

**** აფსირტეს მემკვიდრენი არ დარჩენია, ასე რომ აფსირტელებში, აფსირტიანებში მხოლოდ მისი მხლებელი მეომრები იგულისხმებიან. მითის სხვა ვარიანტში მედეამ ძმის გვამი დაკეცა, ზღვაში გადაყარა და ვიდრე აიეტი შვილის გვამის ნაწილებს აგროვებდა, არგონავტებმა გაქცევა მოასწრეს.

ასე ხანდახან შევარდნის გუნდი დააფრინდება უწყინარ მტრედებს,
ან მთის ლომების გაშმაგებული ხროვა ცხვრის ფარას დაესხმის, თავსაულელი
ვერც ერთი კოლხი, იმ გემზე მყოფი, ვეღარ გადარჩა იმ დღეს დალუპვას.
გაანადგურეს მინიელებმა, თავს რომ დაატყდნენ ცეცხლის ალადა.
იაზონი კი გვიან მობრძანდა, რათა მეგობრებს მიშველებოდა, 490
როდესაც ბრძოლა უკვე დასრულდა,*— და მხოლოდ დარდით დატანჯა
ყველა**.

8 შემდეგ შეგროვდნენ გამარჯვებულნი და გაიმართა ბჭობა-თათბირი,
როგორ განვაგრძოთ ახლა ცურვაო. ამ დროს მივიდა მათთან მედეა,
და გმირთა შორის სხვაზე უადრეს მაშინ პელევსმა აიღო სიტყვა:
„ჩემი რჩევაა ამავე ღამით დაუყოვნებლივ ავიდეთ გემზე,
და მტრის ბანაკის საპირისპირო მხარეს ვიცუროთ გათენებამდე,
მე ასე ვფიქრობ: დილით, როდესაც ცხადი გახდება მომხდარი საქმე,
აღარ ექნებათ უწინდებურად მათ ერთიანი სულისკვეთება,
15 რაც აღუძრავდა მტერს მისწრაფებას, რომ ჩვენი გემის კვალზე ეცურა;
უწინამძღოლოდ, დაობლებულნი, „დაღონდებიან, დაიბნევიან, 500
ჩამოვარდება ჯარში ქიშპობა, ზღვაში კენტ-კენტად განიბნევიან,
მაშინ ჩვენც უკან გამოვბრუნდებით, და გზა იქნება ჩვენთვის გახსნილი“.

უსმინეს პელევსს ახალგაზრდებმა და მოუწონეს სიტყვა ეაკიდს.
20 ფიცხლავ ავიდა არგოზე ყველა, დააწვნენ ხოფებს, დაიძრა გემი,
დაუღალავად იცურეს, ვიდრე მიადგნენ კუნძულ წმინდა ელექტრისს —
ერიდანოსის შესართავისის კუნძულებს შორის ყველაზე მაღალს[40].
22 როგორც კი მოჰკრეს კოლხებმა ყური მათი მბრძანებლის დაღუპვის ამბავს,
ფიცხლავ ითავეს შურისძიება — კრონოსის ზღვაზე ბერძენთა პოვნა.
24 აქ ჰერამ მაღლით მათ დაატეხა სასტიკ ცეცხლოვან ელვათა ჯერი
და დაუშალა, რომ გაბედული განზრახვისათვის ხორცი შეესხათ. 510
იქით კი კოლხებს თავზარსა სცემდა აიეტ მეფის სასტიკი რისხვა,
ამიტომ ვეღარ გაბედეს უკან — კუტაიაში, შინ დაბრუნება[41].
საწყლად გზაშივე განიბნა ყველა: ზოგი სად დარჩა და ზოგი სადა-
15 ერთნი დასახლდნენ იმ კუნძულებზე, სადაც გმირებმა დაჰყვეს ხანი და
ღღესაც იმათი შთამომავალნი — აფსირტელები ცხოვრობენ იქა[42].
სხვებმა ქალაქი იქ დააფუძნეს, სად ილირიის, დიდი მდინარის
მუქ წყალთა შორის, გმირის კადმოსის და ჰარმონიის არის სამარე[43].
ენქელელ კაცთა ტომის მეზობლად, დანარჩენები ცხოვრობენ დღესაც
10 იმ კლდოვან მთებში, რომელთაც ახლაც კერავნიის მთებს ეძახის ხალხი,
რადგანაც კოლხებს ზევსმა კრონიდმა მოპირდაპირე კლდოვან კუნძულზე 520
8 გადასვლის ნება არ მისცა მაშინ — თავს დაატეხა ელვა და მეხი.

როცა ეჩვენათ შორს წასულ გმირებს, რომ აღარ არის გზა სახიფათო,
მხოლოდ მაშინღა ჩაუშვეს ღუზა, მაშინ მიაბეს ნაპირს ბაგირი
5 და გასულები ელექტრისიდან ჰილეელების მხარეს მიადგნენ[45].

---

* ეს ეპიზოდი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ იაზონი არაა აპ. როდოსელის იდეალური გმირი, უნაკლო ვაჟკაცი. ტროადაში მოლაშქრე ბერძნებსაც შედარებით უმნიშვნელო გმირი— ავაჭუმნონი ჰყავთ წინამძღოლად, მაგრამ მორალურად იაზონზე ბევრად უფრო მაღლა დგას.

** პროზ. თარგმანში ეს დეტალი არაა.

ამ ქვეყანაში მრავალი მცირე კუნძული, ზღვიდან ამოშვერილი,
და სახიფათოდ მიმოფანტული, თავსატეხია ნაოსანთათვის.
ჰილეელთ სამტრო სულისკვეთება არ გამოხატეს არც ამჯერადა,
გზაც კი უჩვენეს კუნძულებს შორის და ამისთანა სამსახურისთვის
ჯილდოდ აიღეს მხოლოდ და მხოლოდ დიდი სამფეხი აპოლონ ღმერთის.
ორი სამფეხი მისცა ფებოსმა გამგზავრების წინ ეზონის შვილსა, 530
ღმერთს რომ ეწვია წმინდა პითონში ლაშქრობის ბედის საკითხავადა.
სადაც სამფეხი დაიდგმებოდა, ვრცელი ქვეყანაც რომ ყოფილიყო,
მტერი ვერასდროს ააოხრებდა, ციური ბედის განჩინებითა.
ამიტომ დღესაც იმ წმინდა სამფეხს ინახავს ხალხი მოწიწებითა,
ოღონდ ღრმად მიწის გულში ჩამარხულს, ქებულ ჰილეის ქალაქის გვერდით,
და ვერასოდეს მას ვერ იხილავს ცნობისმოყვარე მოკვდავთა თვალი.
გმირებმა ცოცხალს ვეღარ მიუსწრეს ჰილეელების მბრძანებელს ჰილოსს,
ფეაკთა მხარეს ტურფა მელიტემ დიდ ჰერაკლეს რომ აჩუქა ერთ დროს, — 15
შვილთა მკვლელობით* ზარდაცემული განსაწმენდელად ნავსითოესთან
მივიდა გმირი კუნძულ მაკრისზე, ამ დიონისეს ძიძის კუნძულზე[46], 540
აქ შეუყვარდა მას ნაიადე ნიმფა მელიტე, ტურფა ასული
მდინარის ღმერთის ეგეოსისა, დაიმორჩილა, დაისვა ცოლად,
და იმან უშვა მძლავრი ჰილოსი ფეაკელების მიწა-წყალზედა.
აქ გაატარა მისმა ყმაწვილმა ყრმობის დღეები ყვავილოვანი,
ზვიადი მეფის სასახლის ჰერქვეშ, მაგრამ როდესაც წამოიზარდა** 22 ბ
და დავაჟკაცდა, აღარ ისურვა მეტხანს დარჩენა კუნძულ მაკრისზე,
სადაც მეფობდა ის ნავზითოე, სრულ მორჩილებას რომ მოითხოვდა; 22 ქ.
ფეაკელების ჯარი შეყარა და გაიყვანა კრონოსის ზღვაში,
იქ ჰერაკლეს შვილს თვით ნავზითოემ გზა გაუკაფა და დაამკვიდრა. 550
იქ მენტორებმა მოკლეს, როდესაც იმ ყაჩაღთან იცავდა ნახირს[47].

მაგრამ, მუზებო***, რად მოხვდა არგო კრონოსის ფართო ზღვის ფარგლებს
გარეთ?
თვით ავზონიის სანაპიროზე, ლიგისტიდების კუნძულთა შორის,
სტოიქადებს**** რომ ეძახის ხალხი?[49] და გადმოცემა ხომ არა ტყუის,
რომ იმ შორეულ მხარეში არგომ ღირსსახსოვარი დატოვა კვალი?
რამ წაიყვანა, რა გასაჭირმა, რა ქარმა გაჰკრა და გაიტაცა?

ზევსი, ღმერთების მამამთავარი, უსაზღვროდ გაწყრა, როცა გაიგო,
რომ მედეამ და ეზონის შვილმა ასე უღმერთოდ მოკლეს აფსირტე,
და გადაწყვიტა გმირებისათვის თავს დაეტეხა ძნელბედობანი,

---

* კითერონის საზარელი ლომის მოკვლისათვის თებეს მეფემ კრეონმა ჰერაკლეს თავისი ასული ჰვგარა მისცა. შემდეგ, როცა ორაკულმა აუწყა ღმერთების ნება, მიკენის მეფეს ევრისთევსს უნდა ემსახურო და თორმეტი საგმირო საქმე უნდა მოახდინოო, ჰერაკლე გაგიჟდა, დახოცა საკუთარი შვილები და აგრეთვე იფიკლეს შვილები. მეფეს განკურნების შემდეგ ეახლა.

** ეს ორი სტრიქონი ზოგ თარგმანში გამოტოვებულია (აქვთ ოზიანდერს, შეფერს, არა აქვს გრ. წერეთელს), ასე რომ 540-550 ტაეპთა სათვალავი სინამდვილეში 8 სტრიქონს შეიცავს.

***დედანშია ქალღმერთები (Theai) ამ მეტად ზოგად ცნებაში აქ მუზებია ნაგულისხმევი.

***Stoichades.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ კი გრძნეულ აიაიელ კირკეს მოეხსნა ტვირთი ცოდვისა 560
და მხოლოდ მაშინ მიეცა ნება სამშობლოსაკენ გაბრუნებისა.
არგონავტებმა ეს რა იცოდნენ! დატოვეს მხარე ჰილეიდისა,
ელადის გზაზე გავიდნენ მშვიდად, დატოვეს ზღვაზე ის კუნძულები,
ლიბურნები რომ ეწოდათ შემდეგ, კოლხებს ეკავათ ცოტა ხნის წინათ:
კუნძული ისსა, დისკელადოსი და პიტიეა[51], წალკოტის მხარე.
მალე კერკირაც დატოვეს უკან და არხეინად განაგრძეს ცურვა.
ოდესღაც დიდმა პოსეიდონმა, ზღვათა ღვთაებამ ჟინმორეულმა
გამოიტაცა ფლიუნტიდან და აქ დაასახლა ასოპეს ქალი[53],
კერკირა ლამაზკავებიანი, რადგან უსაზღვროდ შეჰყვარებოდა.
კუნძული უღრან ტყეს დაუფარავს და შავად მოჩანს ხომალდებიდან, 570
სწორედ ამიტომ შავი კერკირა უწოდებიათ მისთვის ზღვაოსნებს.
გახარებულმა არგონავტებმა ჩქარა მელიტეც ჩამოიტოვეს,
მერე კეროსეს ფრიალოები, იქით ნიმფეა ცადაზიდული,
სადაც ატლანტის ასული ცხოვრობს, გრძნებით ცნობილი ნიმფა კალიფსო[54].
საგზაკეთილო ქროდა ზურგქარი, მიჰქროდა გემი, გმირებს ეგონათ
კერავნის მთებსაც ვნახავთო მალე თვალსაწიერზე ნისლის ქულებში.
მხოლოდ აქ მიხვდა ქალღმერთი ჰერა*, თუ რა საშინლად გამწყრალა ზევსი.
გმირებს აუწყა ზრახვები ქმრისა და საშინელი ატეხა ქარი.
იმ ქარმა სწრაფად უკუაქცია და ელექტრისის კლდოვან კუნძულის
სანაპიროსთან მიაგდო გემი... აქ სასწაული მოხდა უეცრად: 580
ენა აიდგა და ამეტყველდა დოდონის წმინდა მუხის ნაჭერი,
არგოს ხერხემლის შუა ალაგას ჩასმული თვითონ ათენას ხელით.
გმირებს თავზარი დაეცათ მაშინ, როცა გრძნეულმა ძელმა აუწყათ:
„თქვენს თავზე ზევსის რისხვა ტრიალებს, თავს ვერ დააღწევთ საფრთხეს
და ჯაფას,
სასტიკ ქარიშხლებს ვერ გაექცევით, ვერ ეღირსებით შინ დაბრუნებას,
ვიდრე კირკე არ შეგიმსუბუქებთ აფსირტეს მკვლელთა ცოდვის კითხვასა.
შემდეგ კასტორმა და პოლიდევკემ უნდა შესთხოვონ ოლიმპოს ღმერთებს,
რომ გზა გაგიხსნან ავზონიის ზღვის[55] გაშლილ სივრცეში თქვენდა ნუგეშად,
რათა იქ პერსეს და ჰელიოსის ნახოთ განთქმული ასული კირკე
და მისი გრძნებით ჩამოირეცხოთ უბრალო სისხლი მეფისწულისა“. 590

ასე თქვა არგომ იმ ბნელ ღამეში... ფიცხლავ აიპრენ ტინდარიდები,
ხელი აღაპყრეს ძმებმა ვედრებით ცაში, უკვდავი ღმერთებისაკენ
და იწყეს ლოცვა, ხვეწნა-მუდარა. ხოლო სხვა გმირმა მინიელებმა
სასოწარკვეთით ჩაჰკიდეს თავი. გემი კი ამ დროს აფრაგაშლილი
წინ მიიწევდა, ერიდანოსის შორეულ წყლებში შეცურა კიდეც.
ამ შესართავის ჭაობთა წყლებში ჩავარდა მამის მზიურ ეტლიდან
ოდესღაც ციურ მეხთა ისრებით შეუბრალებლად გულგანგმირული
და სანახევროდ დამწვარი გვამი ჰელიოსის ძის ფაეთონისა.
ერიდანოსის იმ შესართავის ფართო უბიდან ჩვენს დროშიაც კი
ბოლი ამოდის სქელი და მწველი — ეს მაშინდელი ნამეხარია. — 600
დღესაც ვერც ერთი ლაღი ფრთოსანი მაღლა მსუბუქად გაშლილი ფრთებით

* ზოგ თარგმანში შეცდომით წერია „მოაგონდაო“. ჰერას რომ ადრევე სცოდნოდა ზევსის წყრომის ამბავი, არც დაივიწყებდა და მაშინვე შეატყობინებდა გმირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წყლებზე ვეღარ გადაფრინდება: შუა გზაზევე დაიტრუსება
და ცეცხლოვანი იმ შესართავის ალში უმწეოდ გადაეშვება.
ჰელიადები ჩამწკრივებულან — ალვის ხეებად ქცეული დები,
და იმ საბრალო ქალწულთა გმინვა ისმის გარშემო ჟამით ჟამამდე.
გულგამგმირავი ხმით დასტირიან, და სდით თვალთაგან ქარვის ცრემლები.
მათი კურცხლები მცხუნვარე მზეში ხმებიან ხოლმე დაბლა ქვიშაზე,
და როცა ნაპირს მოქცევის ზვირთნი მოაწყდებიან ზათქით, ხმაურით,
ჩამუქებული უბის ზედაპირს ფრთამალი ქარი რომ ჩაუქროლებს,
ერიდანოსში ჩაიხვეტება ყველა ეს ცრემლი, ჩაჰყვება ტალღებს[56]. 610
ხოლო კელტები სხვა მოთხრობასაც მიაყოლებენ ამ გადმოცემას:
ეს აპოლონის ცრემლებიაო, ერიდანოსში ქარვად ქცეული,
ჰელიადებზე ბევრად უადრეს დაუღვრიაო ლატონას ძესა,
როდესაც ზევსმა მოუკლა შვილი, რომელიც მდიდარ ლაკერიაში
ციურ კორონისს ეყოლა მისგან, ამირეს წყალთა შესართავთანა,
გაწყრა ზევსზე და ზევსის მუქარას თვით განერიდა განრისხებული
ჰიპერბორეელთ წმინდა მხარეში*, გადაივიწყა დიდი ხნით ზეცა[57].
ასე იტყვიან ადგილობრივი მოსახლეები ამ გადმოცემას.
აქ კი გმირები სევდამ მოიცვა, გადაივიწყეს სმაცა და ჭამაც,
და იყვნენ ასე შუბლგაუხსნელნი, მწუხარებისგან დამუნჯებულნი. 620
დღისით მთელი დღე იტანჯებოდნენ და გული ჰქონდათ შეწუხებული
იმ საშინელი ხრწნის სუნისაგან, ერიდანოსის წყალთა წიაღით
რომ ადიოდა ოხშივარივით იმ დღიდან, რაც იქ გვამი ჩავარდა.
ღამით კი გმირებს ესმოდათ კვნესა, გმინვა-გოდება ალვის ხეების,
ქარვის ცრემლებით მტირალი დების, ჰელიადების, რომელთა თვალებს
ზეთის წვეთებად წყდებოდა ცრემლი და მიცურავდა მდინარის წყალში.

ერიდანოსი რომ მოიტოვეს, ღრმა როდანოსის წყალში შეცურეს[58];
ვიწრო კლდეებში ხვდება ერთმანეთს ეს ორი დიდი შმაგი მდინარე,
შეიყრებიან, აქუხდებიან, დაეშვებიან ზათქით, ხმაურით.
ერთს სათავე აქვს სადღაც ქვესკნელში, სადაც იღება ღამის ჭიშკრები — 630
იმ წყვდიადიდან მოსულ როდანოსს ოკეანისკენ მიაქვს ტალღები,
მეორე ტოტით ერიდანოსთან ჩაედინება იონიაში.
მესამე ტოტი შვიდად იყოფა, სარდონიის ზღვის[59] დიდ უბეს ერთვის[60].
იქიდან მოხვდნენ არგონავტები ქარიშხლიანი ტბების მხარეში.
უსასრულოა იმ ტბათა რიგი, კელტების მიწას რომ გაჰყოლია,
და იმ მღელვარე, საშინელ ტბებში არ ასცდებოდათ გმირებს დაღუპვა,
ტბიდან ტბაში რომ გადადიოდნენ და მიჰყვებოდნენ მაცდურ როდანოსს,
ოკეანისკენ ცდილობდნენ გაპრას და უგზოუკვლოდ წინ მიიწევდნენ, —
გზაც იმ უბესთან დასრულდებოდა, ვერც გაბრუნება ეღირსებოდათ,
მაგრამ დაეშვა ციდან ჰერა და ჰერკინის მთიდან უყივლა გმირებს[61]. 640
თავზარდამცემი ძახილის ხმაზე შიშით გაქვავდა გმირთა ლაშქარი,
რადგან შეიძრა მთელი ეთერი, უსაზღვრო სივრცე გააპო ბგერამ.
ქალღმერთის ნებით იბრუნეს პირი, უკან წავიდნენ გზააბნეულნი,

* აპოლონმა მაშინ მოკლა ციკლოპები, რომელთაც გიგანტებთან მებრძოლ ზევსს ელვის ისრები გამოუჭედეს, ამისათვის გაუწყრა ზევსი აპოლონს და ფებოსიც ჰიპერბორეელთა წმინდა მხარეში გაეცალა. მითი კელტური ან გალური წარმოშობისაა.

ისევ იმ წყლებში შეცურეს, სადაც მათი მამულის გზა გადიოდა.
ასე იცურეს მრავალი დღე და ისევ იმავე ჰერას განგებით
დანისლულ ზღვაზე გავიდნენ ბოლოს და შეუმჩნევლად დატოვეს მხარე,
კელტებისა და ლიგურიელთა ურიცხვი ტომით დასახლებული,
რადგანაც ჰერამ არგონავტების გზა და სავალი ნისლით დაბურა.
ბოლოს გაცურეს შესართავიცა და შემობრუნდნენ სტოიქადებთან —
ზევსის შვილების დიოსკურების წყალობით გემი გადარჩა ხიფათს[62]; 650
სწორედ ამიტომ უგებენ ყველგან საკურთხევლებსა და წმინდა ტაძრებს,
რომ არა მარტო არგონავტები გადაარჩინეს მაშინ დაღუპვას,
არამედ ზევსმა მათ დაავალა მარადჟამს დაცვა ნაოსნებისა.
შემდეგ დატოვეს სტოიქადები და ეთალიის კუნძულს მიადგნენ[63].
აქ ვაჟკაცებმა ღვარად მომდგარი ოფლი კენჭებით ჩამოიწმინდეს,
და ის კენჭები დღესაცა ყრია, არგონავტების კანის ფერისა[64].
სანაპიროზე იმ კენჭებს შორის ბევრი დისკო და იარაღია,
თვითონ უბესა და ნავსადგურსაც არგოს სახელი უწოდეს მაშინ[65].

სწრაფად დატოვეს ის სანაპიროც და უცხო ზღვებში შეცურდა გემი,
მალე გაცურეს ავზონიის ზღვაც და ჩაუარეს ტირენის ნაპირს. 660
ბოლოს შეცურდნენ აიაიას სახელგანთქმული უბის სიღრმეში.
გემი ნაპირზე მიაბეს გვარლით, და იქვე ნახეს გრძნეული კირკე:
ზღვის წყლით იბანდა იმ დილით თავსა ცოდვებისაგან განსაწმენდელად,
რადგან იმ ღამეს ენახა გრძნეულს საშინელი და უცხო სიზმრები.
ესიზმრა, ვითომ მთელი სასახლე და ზღუდე სისხლით ავსებულიყო,
ცეცხლი ეკიდა ჯადო-სამსალას, რითაც ჩხიბავდა, რად არ აქცევდა
ყოველ უცხოელს, ვინც ამ მიწაზე ფეხს შეადგამდა მისდა შავებედად.
თითქოს ის პეშვით იღებდა სისხლსა ალისფერსა და აქრობდა ხანძარს.
ძლივს დააღწია თავი ჩვენებას, და გაეღვიძა დილით თუ არა,
ზღვაზე გავიდა, თმა განიბანა და სამოსელიც იქვე გარეცხა.
მოზღვავდნენ მხეცნი, არა მსგავსები ტყიურთა მხეცთა სისხლისმსმელთანი,
კაცის მაგვარნი, ნადირთა გვარნი — სხვათა და სხვათა არსთა კიდურნი
რომ მორგებოდათ უცნაურ ტანზე და მოჰყვებოდნენ გუნდ-გუნდად კირკეს,
ვითარცა ცხვარი მიჰყვება ხოლმე სარეკებიდან გასულ მეცხვარეს.
მსგავსი არსები წარმოქმნა მიწამ პირველყოფილი ტალახისაგან,
სხვადასხვა მხეცთა ნაწევართაგან, უცნაურად რომ შეაკოწიწა, —
მიწამ, რომელსაც მკვრივი ჰაერი არ ევლებოდა ჯერ კიდევ გარსა,
რომლის გაშრობა, ნესტის წართმევა ჯერ ვერ მოესწრო მცხუნვარე მზესა.
ეს ხომ ყოველი შემდეგ დრო-ჟამმა მოაწესრიგა და მოაგვარა...[67] 680
ასე შეიქმნა, ასეთი დარჩა იმ მხეცთა სახე გასაკვირველი!
განუზომელმა შიშმა შეიპყრო მყისვე გმირები, მხეცთა მხილველნი,
რომ ნახეს კირკე, პირისპირ მდგარი, სახე, სამოსი და მზერა მისი:
დაუყოვნებლივ შეიცნეს მასში დაი სასტიკი აიეტისა.

კირკემ დაფანტა შიში და ძრწოლა, მას რომ მოჰგვარა ღამის ჩვენებამ,
შემდეგ გაბრუნდა სასახლისაკენ, ხელით ანიშნა გაყოლა მხეცებს.
დუმდა და გულში ბოროტი ზრახვა უტრიალებდა, რაღა თქმა უნდა,
მაგრამ ეზონის შვილის ბრძანებით იქავე დარჩა მთელი ლაშქარი,
ხოლო თვითონ კი კოლხიდელ ქალწულს ხელი ჩაავლო და გაჰყვა გრძნეულს,

ვიდრე ჯადოქრის დიდებულ სერაულს და მის სამყოფელს არ მიაღწიეს, 690
სტუმრების ხილვით გაოცებულმა კირკემ მოსულნი შინ შეიწვია.
უჩვენა ორი მეფური სკამი: მოსვლის მიზეზი ჯერ არ იცოდა!
არც ერთს ხმა-კრინტი არ დასცდენია, სალამიც არა, ისე საჩქაროდ
დასხდნენ კერასთან, როგორც მოითხოვს მავედრებელთა ძველი ადათი:
მედეამ თავი დახარა მძიმედ და დაიფარა ხელებით სახე,
იაზონმა კი დაბლა დაასო დიდტარიანი მძიმე მახვილი,
რომლითაც მოკლა აიეტის ძე, და დაღვრემილმა დახარა მზერა.
მაშინ კი მიხვდა გრძნეული კირკე: მის წინაშეა მკვლელი დევნილი.
აი, ამიტომ მავედრებელთა მფარველი ზევსის, მკვლელების რისხვის, 700
და მონანიე მკვლელთა მფარველის ძველი კანონის თანახმად კირკეც
ფიცხლავ შეუდგა მსხვერპლის შეწირვას საკურთხეველზე, რომლის კერასაც
უნდა ემთხვიოს ყოველი მკვლელი და განიწმინდოს შეცოდებისგან.
კირკემ კერასთან უწინდებურად ძუძუმწოვარა გოჭი დაკლა და
ნიუტევებელ სამძიმო ცოდვის მისატევებლად წააჭრა თავი,
მკვლელთა ხელები განბანა მისი, სამსხვერპლო[68] გოჭის წმინდა სისხლითა,
შემდეგ ზევსს უხმო, მოწყალე კრონიდს, და შებრალება შესთხოვა მათი,
ზოაცილეო სისხლის ლაქები, დააფარეო მფარველი კალთა,
თანაც ბანდა და ლოცვით ლამობდა მოეხსნა მათთვის ტვირთი ცოდვისა.
შემდეგ ზედაშე წაუქცია და განსაწმენდელი ნივთი ყოველი:
მისმა მსახურმა ნაიადებმა დაუყოვნებლივ გაზიდეს გარეთ.
ამასობაში შურისმგებელი ერინიების შესარიგებლად
კირკე უღვინო სითხეს უქცევდა და საგანგებო კვერებსა წვავდა;
თანაც კერასთან შესთხოვდა ზევსსა, შეუმსუბუქე ცოდვის კითხვაო!
შეუმსუბუქე ორივე ცოდვილს მოწყალე გულით დანაშაული,
ვადამთიელთა სისხლით მოსვრილა მავედრებელი მათი მარჯვენა
თუ მოძმის სისხლით დამძიმებულნი კარს მოგვდგომიან სათხოვნელადო!

როცა აღსრულდა წესი ყოველი, კირკემ მოსულნი წამოაყენა,
ნაცართან მჯდარნი გამოიყვანა და დასვა ძვირფას თლილ სავარძლებზე.
თვითონაც იქით დაჯდა პირისპირ და გამოკითხვა დაიწყო წვრილად:
საით წარმართეს სალაშქროდ საქე, რა იყო მათი ბრძოლის მიზანი,
სად ყოფილან და სამშობლოსაკენ რა ქვეყნებიდან გაბრუნებულნი
მოსულან იმის სასახლის ჭერქვეშ... კირკეს კითხვები იყო დროული.
ხედავდა, ახდა ღამის სიზმარი, ასეთი მძიმე და უცნაური,
სურდა გაეგო, რომელია და საიდან არის ქალწული ქალი.
რაწამს ჩახედა თვალში მედეას, ცნო ჰელიოსის შთამომავალი[69],
რადგან მზის ღმერთის მემკვიდრეები აფრქვევენ ოქროს სხივებს შორიდან,
და ეს ნიშანი საგვარეულო იყო იოლი გამოსაცნობად.
კირკეს მშობლიურ ენაზე სურდა ესმინა სიტყვა სტუმრის პირიდან.
მედეამ ლამაზ კოლხურ ენაზე[70] მოუთხრო კირკეს წვრილად ყოველი,
მოუკიბავად, ალერსიანად გასცა პასუხი ყველა კითხვაზე:
თუ ვინ არიან არგონავტები, და აიეტის საბრძანებელში
რისთვის წავიდნენ, როგორ ეწამენ, რამდენი ჯაფა და საფრთხე ნახეს,
როგორ უსმინა უბედურ დასა, როგორ შესცოდა, უშველა სტუმრებს,
როგორ გაექცა მრისხანე მამას, მის წყრომასა და სასტიკ მუქარას,
ფრიქსეს შვილებიც გაიყოლია... მხოლოდ აფსირტეს მკვლელობის საქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა ვერ გაბედა, არ ეყო ძალა... მაგრამ მიუხვდა კირკე ყველაფერს,
და თუმცა გულში ებრალებოდა, ვერ შეიკავა მრისხანე სიტყვა:

„შე უბედურო! შენი გაქცევა სირცხვილს და ტანჯვას გიქადის მხოლოდ!
ვფიქრობ, დიდი ხნით თავს ვერ დააღწევ აიეტ მეფის საშინელ რისხვას, — 740
მალე ჩამოვა ის ელადაში, რომ შვილისათვის იძიოს შური,
რადგანაც საქმე გაუგონარი მოგიხდენია, შე უბედურო!
ხარ ნათესავი ჩემი და ჩემთან თხოვნა-ვედრებით მოსულხარ ახლა,
ამიტომ ბოროტს არას შეგამთხვევ, რაკი მიგიღე საკუთარ ჭერქვეშ,
მაგრამ დატოვე სასახლე ჩემ და შენს უცხოელს გაჰყევი ჩქარა,
სამარცხვინოდ რომ ასდევნებიხარ, მამის სურვილის საპირისპიროდ,
და კერიასთან ფეხმოკეცილი ნუ მევედრები მე შენ ტყუილად:
არ მოგიმართავ ხელს არც საზიზღარ ამ შენს ზრახვებში, არც გაქცევაში“.

ასე თქვა კირკემ და მედეასაც დააწვა დარდი განუზომელი;
პეპლოსით სახე დაიფარა და მოწანწკარებდა ცრემლთა ნაკადი, 750
ვიდრე ჩაჰკიდა გმირმა ხელი და გამოარიდა კირკეს სამყოფელს,
ასე დატოვეს ფიცხლავ სასახლე, ჯადოქრის შიშით გათანგულებმა.

ზევსის მეუღლეს მათი გამოსვლა არ დარჩენია შეუმჩნეველი:
ეს მას ირისმა შეატყობინა, ჰერას სასურველ გმირთა მზვერავმა:
ჰერამვე სთხოვა თვალ-ყურის ჭერა, როდის ავლენო გემზე ხელახლა.
შემდეგ კი, როცა ესეც გაიგო, დაუყოვნებლივ უბრძანა ირისს:
„ჩემს დავალებას ადრეც ყოველთვის ასე პირნათლად რომ ასრულებდი,
დღესაც გაფრინდი, ჩემო ირიდა, შენი სწრაფი და მსუბუქი ფრთებით,
სახე თეტიდა[71] ზღვათა წიაღში, სთხოვე ამოსვლა ჩემთან ზეცაში,
რადგან საშური საქმე მაქვს მასთან... შემდეგ კი სწრაფად იბრუნე პირი 760
და გაეშურე იმ კუნძულებზე, სადაც ჰეფესტოს სპილენძის ქურა*
დაუსრულებლივ ქუხს და გუგუნებს ღვთაებრივ მჭედლის ეროს ცემაზე.
ასე უთხარი: შეასვენე-თქო შენი სამჭედლოს საბერველები,
ვიდრე ხომალდი მშვიდად ჩაუვლის შენი კუნძულის სანაპიროებს.
შემდეგ ეოლოსს, ქართა გამგებელს, სივრცის ყმაწვილთა მეუფეს ნახავ**,
ჩემს ნება-სურვილს აუწყებ მასაც, რომ დაამშვიდოს ოთხივე ქარი,
ნურც ერთ ქართაგანს ნუ მისცემ ნებას, რომ ააღელვონ ზღვაზე ტალღები,

---

* ჰეფესტოს თავისი ღვთაებრივი სამჭედლო რამდენიმე ადგილას ჰქონდა: ოლიმპოზე, ვულკან ეტნის წიაღში, თავის კუნძულ ლემნოსზე, სადაც ყმაწვილი ღმერთი მამამისმა ზევსმა გადააგდო სიგონჯისათვის (გვიანდელი მითით, ჰეფესტო მაშინ დაკოჭლდა)... მაგრამ აქ სქოლიასტის მიხედვით უნდა იგულისხმებოდეს ლიპარა და სტრონგილე-ეოლიის ვულკანური კუნძულები სიცილიის ჩრდილოეთით, სადაც ჰეფესტოს სამჭედლოები ჰქონდა.

** ოთხი მხარის ქარებს ბერძნები ფრთოსან ყმაწვილთა სახით ხატავდნენ, საერთოდ კი მრავალნაირად ჰყავდათ განპიროვნებული (ასტრეოსის და ეოსის შვილები, ზეფიროსი, ნოტოსი, ევროსი, ეოლოსი, ბორეასი...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ზეფირმა იქროლოს წყნარად, მანამ არწიოს არგოს აფრები,
ვიდრე გმირები არ ჩააღწევენ ფეაკთა კუნძულს ალკინოესას.*

ჰერას სიტყვებზე ადგა ირისი და შეისწორა მსუბუქი ფრთები, 770
მოწყდა ოლიმპოს და ეგეოსის წყალთა წიაღში დაეშვა დაბლა,
სადაც ნერევსის სასახლეა და სადაც თეტიდა ნახა პირველად[72].
გადასცა ჰერას ნება-სურვილი და სთხოვა ნახვა ზევსის მეუღლის.
შემდეგ ჰეფესტოს კუნძულს ესტუმრა. უთხრა თუ არა დანაბარები,
ღმერთმა გადადო განზე ურო და საბერველებმა შეწყვიტეს ქშენა,
ისევ გაფრინდა სწრაფი ირისი, და ეოლოსი, ქარების ღმერთი,
ჰიპოტეს შვილი სახელოვანი მოინახულა, გადასცა თხოვნა.
ახლა, სამივე ღმერთი რომ ნახა და შეასრულა ჰერას ბრძანება,
იყო ღმერთქალი თავისუფალი — მოსასვენებლად წავიდა კიდეც.
ხოლო თეტიდა ზღვათა წიაღში დებსა და ნერევსს დაემშვიდობა, 780
ოლიმპოს ციურ მწვერვალისაკენ გაეშურა და ჰერას ეახლა.
ჰერამ მოისვა გვერდით თეტიდა და უთხრა ასე ალერსიანად:

„მისმინე, ჩემო თვალთა სინათლევ, გითხრა, რისთვისაც მოგიხმე ჩემთან.
თვითონაც კარგად მოგეხსენება, როგორ ვაფასებ ეზონის შვილსა,
როგორ ვმფარველობ მასა და ყველას, ვინც მასთან ერთად ილაშქრა კოლხეთს.
როგორ ვიხსენი, მოძრავ კლდეებში — სიმპლეგადებში რომ გადიოდნენ,
იქ, სადაც ცეცხლით ნაკვებ ქარიშხლებს გააქვთ ტალღებში გუგუნ-გრიალი,
სადაც ზღვის ტალღა დაუცხრომელი სალი კლდის კედლებს ეხლება მძლავრად.
ახლაც იმათი გზა გადის იქა, სადაც სკილაა, კლდე საშინელი.
იქვე ურჩხული ქარიბდა ქშინავს და წყალთა ღვარებს ანთხევს ხახიდან[73]
მე გამიზრდიხარ და სიყრმიდანვე შენს დებზე მეტად მიყვარხარ მუდამ,
ზღვაში რომ ერთად დანავარდობდით, მყავდი ყველაში გამორჩეული,
რადგანაც ზევსმა ინება, მაგრამ შენ არ დაწექი მის სარეცელში.
ხომ იცი, მისი აზრი და ფიქრი ეს არის მუდამ, დასაბამიდან,
რომ შეიყვაროს ყველა ლამაზი, მოკვდავია თუ უკვდავთაგანი!
მაგრამ შენ გქონდა ჯერ ჩემი რიდი, მერე შენივე კდემა და კრძალვა,
არ გაიკარე უზენაესი, და მაშინ დადო სასტიკი ფიცი,
რომ არასოდეს გეღირსებოდა უკვდავი ღმერთის ცოლის პატივი**,
და თვალს კი მაინც არ გაშორებდა, რომ გაურბოდი, ვერ გელეოდა,
ვიდრე თემიდამ[74] პატივდებულმა ღმერთთა მეუფეს არ განუმარტა, 800
რომ გეყოლება განგების ნებით შვილი, რომელიც მამასა სძლევდა.
მაშინ მოგეშვა, თუმცა უყვარდი, და მიგანება თავი შიშითა,
ვაი თუ ვინმე გამოჩნდეს მართლა ჩემი მძლეველი და მეტოქეო,
რადგან სურს იყოს ცათა მეუფე ერთადერთი და მარადიული.

---

* ალკინოე (ალკინოოს) — ფეაკელთა მითიური მეფე, მეგობრულად მიიღო ოდისევსიც (მას უამბო გმირმა თავისი თავგადასავალი).

** ჰერა ლაპარაკობს ნერეიდებზე, ზღვის ღვთაებრივ მოხუცის ნერევსისა და დორიდის მშვენიერ ტანწერწეტ ასულებზე (ზღვის ამ ნიმფების რიცხვი ჰომეროსთანაა 34, ჰესიოდესთან —50, ზოგი ვარაუდით —100). ყველაზე ცნობილი არიან თეტიდა, ამფიტრიტე, გალათეა. თეტიდა ზევსის ნებით ძალით მიათხოვეს მოკვდავ პელევსს, რომელმაც სძლია, თუმცა ხან ცეცხლად იქცა, ხან გველად, ხან ლომად. ეყოლა აქილევსი (სხვა ცნობით, 7 ვაჟი), რომელთაც უკვდავყოფის მიზნით ცეცხლში აგდებდა და ღუპავდა. როცა პელევსი წინ აღუდგა აქილევსის „გამოწრთობას“, ნიმფა მამას დაუბრუნდა სამუდამოდ. დაეხმარა არგონავტებს. ზრუნავდა აქილევსისთვის.

მე შეგირჩიე მაშინ ვაჟკაცი, მოკვდავთა შორის საუკეთესო[75],
რათა ცოლქმრული ცხოვრების სიტკბო ვამოგეცადა, ჩემო თეტიდა,
და ღირსეული გყოლოდა შვილი. მე გავუმართე ღმერთებს ნადიმი,
ვიხმე ყველანი, და საქორწინო ჩირაღდნით ხელში მე გაგიძეხი
იმ შენს ქორწილში, ჩემი შენდამი გამორჩეული პატივის ნიშნად.
მისმინე: ახლა მე გეტყვი სათქმელს, რაც განუხრელად უნდა შესრულდეს. 810
ის შენი ვაჟი, დღეს რომ იზრდება კენტავრ ქირონის გამოქვაბულში,
ნაიადები თავს ევლებიან და დედის ძუძუ მონატრებია,—
ელიზიონის ველზე* რომ მივა[76], უკან დარჩება გზა მიწიერი, —
კოლხთა მბრძანებლის აიეტ მეფის ქალის — მედეას ქმარი გახდება.
დღეს კი, ვითარცა სადედამთილო, მომავალ სარძლოს მიეშველები!
ასე იხსენი გმირი პელევსიც!** რისთვის შეგიკრავს შუბლი წყრომითა?
თუმცა შესცოდა მან შენს წინაშე, ცოდვა ხომ თვითონ ღმერთთა ხვედრია!
ეფიქრობ, ჰეფესტო გამიგონებდა, შეასრულებდა ბრძანებას ჩემსას,
შეასვენებდა ცეცხლის ქურასა, და ეოლოსიც, ჰიპოტეს შვილი,
უნდო ქარიშხლებს შეაჩერებდა, მხოლოდ ზეფირი იქროლებს წყნარი, 820
ვიდრე ფეაკთა ნავსაყუდელში შევა ხომალდი არგონავტების.
შენ მიეშველე, რომ დაუბრუნდეს მშვიდობიანად სამშობლო მხარეს!
აღარაფერი არ ემუქრებათ, გარდა უძლეველ კლდე-ურჩხულების,
გავალებთ, შენა და შენმა დებმა განარიდენით გმირები ხიფათს!
ნუ მიატოვებთ მათ უნუგეშოდ, ნურც ქარიბდასთან მიახლოებულთ,
რომ არ ჩაყლაპოს გმირთა კრებული, ქვესკნელისაკენ არ გააქანოს,
და ნურც საზარელ სკილას ბუნაგთან, ავზონიის ზღვის იმ ხარბ ურჩხულთან,
ღამით მოარულ ჰეკატესა და ფორკისის უნდო, ბილწ ნაშიერთან***,
კრატაისია რომლის სახელი, ხომ შეიძლება, რომ იმ ურჩხულმა
საშინელ ყბებში მოიქციოს და შთანთქას ელინელ გმირთა კრებული! 830
თვითონ წარმართე მათი ხომალდი ისეთი გზითა და მოხერხებით,
რომ თუნდაც ბეწვზე, ოღონდ როგორმე გადარჩეს არგო ურჩხულის ხახას“.

ესა თქვა ჰერამ, ზევსის მეუღლემ, ხოლო თეტიდამ ასე მიუგო:
„თუ დაცხრებიან სინამდვილეში ჰეფესტოს ქურის ცეცხლის ალები,
თუ შენელდება ზღვაზე ნავარდი დაუცხრომელი ქარიშხლებისა,
მხოლოდ ზეფირი იქროლებს წყნარი, — მეც შემიძლია დაგითქვა მაშინ,
რომ ვიხსნი ხომალდს იმ საშიშ გზაზე, თუნდაც ზვირთებმა შთანთქმა ინებონ.
მაგრამ დრო არის გავუდგე ბარემ ჩემს უსასრულო შორეულ გზასა,
რომ ვნახო დები გაფანტულები, დაუზარელნი შემწენი ჩემნი,
მერე გავიდე სანაპიროზე, ვიხილო გემი, ღუზაზე მდგარი, 840
და გავაფრთხილო არგონავტები, რომ ალიონზე გაუდგნენ გზასა“.

თქვა ეს თეტიდამ და ოლიმპოდან დაეშვა ზღვათა მრუმე წიაღში,
დაუყოვნებლივ იხმო საშველად ნერეიდები, ლამაზი დები;

---

* ელიზიონ პლედიონ.

** არგონავტი პელევსი იგივე გმირია, ნერეესის ასულს თეტიდას რომ ჩაუსაფრდა ზღვისპირას და დაიმორჩილა, აქილევსის მამა, მონაწილე ჰერაკლეს ლაშქრობისა ტროაში, არგონავტების ლაშქრობისა კოლხეთში, კალიდონის ნადირობისა. ამ დროს თეტიდასთან უკვე განშორებულია.

*** ფორკოსი ან ფორკისი (Phorkys) — პონტოს და გეას საშინელი ნაშიერი (ჰეს.), ნერევსის ძმა, დრაკონ ლადონის და სხვა ურჩხულთა მამა.

როგორც კი ესმათ ხმა სასურველი, დაუზარებლად მოცურდა ყველა.
თეტიდამ ჰერას ნება გადასცა და ავზონიის ზღვაში გაგზავნა.
ქვეყნის კიდეზე ამომავალი მზე რომ გასტყორცნის კამკამა სხივებს,
ანელვის ენა გააპობს სივრცეს. —ასევე სწრაფად გაქრა თეტიდა,
გადაიქროლა უკიდეგანო ზღვათა წიაღნი და არ შეჩერდა,
ვიდრე ტირენის მიწის* ნაპირებს არ მიაღწია და არ მიადგ-
აიას მხარეს, სადაც ჯერ კიდევ იდგა ღუზაზე ხომალდი არგო,
და ერთობოდნენ არგონავტები ბადროს ტყორცნითა თუ ისრის სროლით.
ჰელევსს შეეხო, ეაკის შვილსა თითის წვერითა, — ყოფილ მეუღლეს.
დანარჩენები ვერ იხილავდნენ, — მხოლოდ იმისთვის იქმნა ხილული
ნიმფა თეტიდა მცირედი ხნითა, ვიდრე ეტყოდა ქმარს თავის სათქმელს:

„გეყოფათ ახლა ღუზაზე დგომა, დროა განშორდეთ ტირენის ნაპირს,
განთიადისას ახსენით გემი, გაემზადენით გასამგზავრებლად,
ჰერას განგებით გადით ზღვაში და არ დაარღვიოთ მფარველის ნება.
მისი ბრძანებით ავზონიაში შეიყრებიან ნერეიდები —
ჩემი დები და გაგიძღვებიან, რომ დაიფარონ საფრთხეში გემი
და განარიდონ იმ ზღვაზე მცურავ კლდეებს. პლანქტებად**
სახელდებულსა''.
თქვენთვის ეს გზაა საუკეთესო და მეგზურებიც გყავთ საიმედო.
ოღონდ გაფრთხილდ: არვის უჩვენო თანამგზავრთაგანს ჩემი სხეული,
როცა ნერევსის ასულთა შორის მიხილავ, თორემ, იცოდე, მაშინ
მეტს მაწყენინებ და განმარისხებ, ვიდრე ოდესმე განმანაწყენე“.
თქვა თეტიდამ და გაუჩინარდა ,ისევ ღრმა ზღვაში ჩაყვინთა ნიმფამ.
ყოფილი ცოლის გამოცხადებამ გმირს ლამის გული დარდით გაუპო,
რადგან იმ დღიდან აღარ ენახა თავის ღვთაებრივ თეტიდას სახე,
რაც მიატოვა სამუდამოდ მისი სასახლე და სარეცელი,
განრისხებულმა გმირ აქილევსის, იმ დროს ჯერ კიდევ ყრმა შვილისათვის:
დედა ლამობდა მის უკვდავყოფას, რომ ვერ შეყროდა სიბერის სენიც,
და ყოველ ღამე მის მოკვდავ სხეულს უწყალოდ წვავდა ცეცხლის ალზედა,
სამაგიეროდ დილით პატარას ზელდა ციური ამბროზიითა,[78]
რომ არ სწვეოდა მის შვილს სიკვდილი, არც საძულველი ხრწნა და სიბერე.
ერთხელ პელევსმა იხილა ღამით: იკრუნჩხებოდა ყრმა ცეცხლის ალზე,
უგნური მამა ზე წამოიჭრა, შეძრწუნებულმა შეჰყვირა მძლავრად,
ესმა თეტიდას ყვირილი ქმრისა, დაბლა დააგდო მტირალი შვილი,
თვით კი აჩრდილად, ქარად ქცეული გაუჩინარდა ანაზდეულად,
განშორდა გმირის სახლს და სარეცელს, დაბრუნდა მამის ზღვათა წიაღში
განრისხებული, აღშფოთებული, და ქმართან აღარ გამოჩენილა.
ახლა შეწუხდა ერთობ პელევსი, მაგრამ გაანდო მეგობარ გმირებს
ის, რაც თეტიდამ ჩასძახა ჩუმად და დაუსახა აღსასრულებლად.
გახარებულმა არგონავტებმა მყისვე შეწყვიტეს ასპარეზობა,
სახელდახელოდ იწყეს მზადება, ვახშმის თადარიგს შეუდგა ყველა,

* დედ. „აიჟიენ ტირსენიდოს...“ (იგ. ტირენის მიწა).

** პლანქტები (პლანქტაი, პლასო-მოარული, მაცდური) — „მოხეტიალე“, მოარული ცეცხლოვანი კლდეები, უწინ სკიანის შავ კლდეებთან (სიმპლეგადებთან) აიგივებდნენ, რაც არაა სწორი. პლანქტები ზღვაოსნებს ემუქრებოდნენ არა ბოსფორთან, თრაკიის სანაპიროებთან, არამედ შორეულ დასავლეთში, სიცილიის დას. ნაპირებთან, სცილას და ქარიბდას მახლობლად. ჰომეროსის მიხედვით (ოდ., 12, 61 და სხვ.) ეს კლდეები ცეცხლს აფრქვევდნენ და ღუპავდნენ თვით მტრედებს, რომელთაც ზევსისთვის ამბროზია მიაქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე, ჭამით რომ იჯერეს გული, სანაპიროზე ძილს მისცეს თავი.
ცისკიდურებს რომ განთიადისას მოხვდა ეოსის პირველი სხივი[79]
და ჩაიქროლა მსუბუქი ფრთებით მშვიდობიანმა ზეფირმა ზღვაზე,
საწოლებიდან ადგნენ გმირები, ხალისიანად ავიდნენ გემზე,
და ვიდრე ნიჩბებს მიუსხდებოდნენ, გემი გამართეს, როგორც წესია,
ასწიეს ღუზა ღრმა ზღვის ფსკერიდან, აღჭურვილობას შეავლეს თვალი,
აღმართეს მაღლა ფართო აფრები და დაამაგრეს ანძის ღვედებით. 890
კეთილმა ქარმა არგო ტალღებში გაასრიალა, და ნახეს მალე
აყვავებული მწვანე კუნძული, სადაც ხმატკბილი სირინოზების,
აქელოოსის ტურფა ასულთა გუნდი მღეროდა წკრიალა ჰანგებს.
აჯადოებდა უცხო ზღვაოსნებს ,იზიდავდა და ღუპავდა მერე[80].
მშვენიერ მუზის ტერფსიქორესი და აქელოოს ღმერთის ასულნი.
ოდესღაც დეოს[81] ჯერაც უბიწო და წარმტაც ასულს[82] ართობდნენ ხოლმე
ძწველ სიმღერებით ნაირნაირით, შემდეგ იცვალეს სახე და ბინა.
ნახევრად ფრთოსნებს მოგაგონებდათ, ნახევრად კიდევ ქალწულ ქალებსა.
სად სათვალთვალო არის გორაკი და ნავსადგური ხიბლავს ზღვაოსნებს,
ჩასაფრებულნი ელოდნენ მუდამ გადამთიელებს ის მაცდურები, 900
აჯადოებდნენ საბრალო მოკვდავთ, მოთენთილობით უღებდნენ ბოლოს,
კლავდნენ, უსპობდნენ მრავალ მეზღვაურს შინ დაბრუნების სიამოვნებას.
ახლაც, იხილეს არგო თუ არა, გაისმა მათი ჰანგი წკრიალა.
გმირებს უნდოდათ დაუყოვნებლივ მაცდურ კუნძულთან ჩაეშვათ ღუზა,
მაგრამ ორფევსმა, ეაგრეს შვილმა, ამ თრაკიელმა სახელოვანმა
ბისტონურ ლირას ჩაავლო ხელი, გაჰკრა სიმებს და დასჭექა თანაც
ლმამხიანი ლაღი სიმღერა, ძველი მხედრული ჰიმნი ძლევისა,
რომ გმირთა სმენას არ მისწვდომოდა სხვა ხმა, იმ ერთი სიმღერის გარდა.
ამ დროს ზეფირმა ჩამოიქროლა —ქნარმა და ქარმა იხსნეს ხომალდი,
სამშობლოსაკენ მიაქროლებდნენ ახლა ტალღები ხმაურიანნი. 910
და გაურკვეველად ისმოდა შორით სირინოზების მაცდური ჰანგი,
მაგრამ ერთ ვაჟკაცს მაინცა სძლია სირინოზების საშიშმა ვნებამ,
ტელეონის ძე ბუტე წამოხტა სანიჩბე სკამზე, ლამაზად თლილზე,
და გადაეშვა მღელვარე ზღვაში, კუნძულისაკენ გაცურა სწრაფად.
ჰოი, უგნურო! შინ დაბრუნებას დაანატრებდნენ სირინოზები,
ერიქსის[83] მთების წარმტაც დედოფალს კიპრიდას რომ არ შებრალებოდა.
მან აიტაცა მოყმე ვნებული მუქ ტალღებიდან კეთილი ზრახვით,
გადაარჩინა უეჭველ სიკვდილს და ლილიბეის კონცხზე დატოვა,
რათა იმავე მთიან მხარეში ენახა თვისი სამკვიდრო გმირსა.
წავიდნენ დარღით დაღდასმულები იმ მხარიდანაც არგონავტები, 920
რათა უარეს ხიფათს შეყროდნენ საზღვაო გზათა ჯვარედინებზე.
შორით გამოჩნდა ორი ურჩხული: აქეთ ღმუოდა სკილას ფრიალო,
იქით ქარიბდას დაეღო პირი, უწყვეტ შადრევანს აფრქვევდა ხახით;
გადაღმა, მღვრიე ზვირთთა მორევში მოარულ კლდეთა იდგა გრიალი,
სადაც წუთის წინ ცეცხლი მძვინვარე ამოდიოდა კლდის ნაპრალიდან
და იშლებოდა კლდეთა ზეთავზე ცეცხლისმფრქვეველი მთები ხახიდან.*

* ერთ დროს ამ მოარული ცეცხლოვანი კლდეების ადგილმდებარეობის საფუძველზე არგონავტების სალაშქრო გზა შორეულ დასავლეთში გადაჰქონდათ, რადგან პლანქტებსა და სკიანებს აივივებდნენ. სრულიად აშკარაა, რომ სკიანების მითი შეიქმნა ვიწრო კლდოვან სრუტეში ზღვის მოქცევისა და უკუქცევის ნიადაგზე წყლის დონის აწევ-დაწევის საფუძველზე, რასაც ბოსფორთან ჰქონია ადგილი, ცეცხლოვანი პლანქტების მითი კი დაკავშირებულია იტალიის და სიცილიის ვულკანებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვამლს დაესუდრა ეთერი შავად, მზეს ვერ ნახავდა თვალი კაცისა,
და თუმცა შეწყდა ჰეფესტოს შრომა, აღარ ქშინავდნენ საბერველები,
მაგრამ ის მწველი ორთქლი ბოლქვებად ეფინებოდა მლაშე ზღვის ტალღებს.
აქ ნაოსანთა მფარველ-დამხსნელად საიდან იყო, საიდან არა, 930
ნერეიდების გუნდი მოცურდა და, თვითონ უფროსს — ქალღმერთს თეტიდას
საქე ეჭირა მარჯვენა ხელით, რომ კლდეებს შორის გაეგდო გემი.
როგორც ხანდახან მზიან ამინდში გემს დაეხვევა დელფინთა გუნდი,
ასდევნებიან ცეკვით, თამაშით, ზოგი წინ მიდის და მინავარდობს,
ზოგი განზეა, სხვები კი უკან გამოჰყოლიან ხომალდს კვალდაკვალ
და მეგობრულად მიაცილებენ მეზღვაურების სასიხარულოდ,—
ნერეიდებიც ასე გუნდ-გუნდად გემს მიუძღოდნენ, წინ მიცურავდნენ,
ზოგიც გარშემო, ხოლო თეტიდას საჭირო გზაზე მიჰყავდა გემი.
როგორც კი არგო მიუახლოვდა მოხეტიალე ცეცხლოვან კლდეებს[84],
თეთრ მუხლებამდე ამოწეულნი ქალწულნი პლანქტებს ჩაუდგნენ გვერდით, 940
მფრთონავ ტალღებში მკვირცხლად ცურავდნენ, ზედ ევლებოდნენ სალი
კლდის ბრეკებს.
ხომალდს დინება ასწევდა მაღლა და წინ უწყალოდ ერეკებოდა,
გაშმაგებული მოვარდებოდა ტალღა მძვინვარე, გადარეული,
მოხეტიალე კლდეთა ფრიალოს ენარცხებოდა აქაფებული.
კლდე ხან გრიალით აიწეოდა, ხან ზღვის წიაღში დაეშვებოდა,
ნერეიდებიც ხან მაღლა იყვნენ, ხან უფსკრულებში იკარგებოდნენ
და მაშინ შმაგი ზვირთები თავზე გადაუვლიდნენ კეთილშობილებს.
თითქოს მოკვდავი ქალიშვილები სადღაც ქვიშიან სანაპიროზე
ბურთს თამაშობენ, კაბის კალთები აუწევიათ თეძოებამდე.
ხან ერთი იშერს, ხან კი მეორე, ასე გადადის ხელიდან ხელში, 950
მერე კი ისევ მაღლა ისვრიან, დაბლა ერთხელაც არ უვარდებათ,—
ზღვის ქალწულებიც გემს ასე მარჯვედ აქანავებდნენ აღმა და დაღმა,
აბურთავებდნენ ფაქიზ ხელებში, /განარიდებდნენ ფრიალო კლდეებს,
გარეშემო კი აქაფებული წყალი შხუოდა ზღვად და ღვარადა.
თვითონ ჰეფესტო, მაღალი ღმერთი, ქარაფის თავზე შემომდგარიყო,
უზარმაზარი ურო დაეყრდნო, ზედ დანდობოდა ძალუმი მხრითა
და დასცქეროდა გარინდებული ასეთ საკვირველ სანახაობას.
მაღლა კი ნათელ, სხივოსან ცაში ზევსის მეუღლე იდგა ჰერა და
გემს დასცქეროდა აღელვებული, თან ეხვეოდა ათენას ხელით,
ისეთი ელდით და შიშის ზარით იყო მოცული დიდი ქალღმერთი. 960

რამდენი ხანიც გრძელდება ხოლმე გაზაფხულის დღე, სწორედ იმდენ ხანს
მიჰყავდათ გემი შეუსვენებლივ, ჯაფით და გარჯით ნაზ ნერეიდებს
მქუხარე კლდეთა სალ კედლებს შორის, ხოლო გმირები ქარს მიჰყვებოდნენ,
წინ მიიწევდნენ შეუპოვარნი და ჩაუქროლეს კიდევაც მალე
საძოვრებს კუნძულ თრინაკიისას, სად ჰელიოსის ჯოგები ძოვენ[85].
აქ აღასრულეს ნერეიდებმა ჰერას ბრძანება, განშორდნენ არგოს
და ზღვის სიღრმეში ჩაყვინთეს მყისვე გამოწრთობილი მყვინთავებივით*.
მალე გაისმა სანაპიროზე ფარად გაშლილი ცხვრების ბღავილი,
და ყურთასმენის წამღები ხმები — ძროხის ზმუილი, ხართა ბუბუნი.
ცხვარს ცვარნამიან ჭალა-ტყეებში და თრინაკიის ქორფა მდელოზე 970
აბალახებდა თვით ფაეთუსა, უმცროსი ქალი ჰელიოსისა,

* პროზ. თარგმანში ნერეიდები ცოტა უფრო აღრე ტოვებენ არგოს.

ვერცხლის ბრწყინვალე კვერთხი ეჭირა; ლამპეტიას კი, მეორე ასულს,
საქონლის ჯოგებს რომ აძოვებდა, სპილენძის მრუდე კვერთხი ეკავა
და ხელში მარჯვედ ატრიალებდა. არგონავტებმა ნახეს ნახირიც
მდინარის პირას გაშლილ ველებზე და ჭაობიან მდელოთა შორის
ძოვდნენ ძროხები ნამიან ბალახს, ერთს ვერ ნახავდით შავსა და ჭრელსა.
რძისფრად გაჭქონდა ქათქათი ნახირს და ოქროს რქები ამკობდა ყველას.
ჯერ კიდევ დღისით გასცილდნენ ჯოგებს და მიცურავდნენ წინ მთელი ღამე
ვიდრე მხიარულ, ბედნიერ გმირებს არ დაათენდათ თეთრად თავზედა,
ოქროს სხივები არ დააფრქვია ცისკრის ეოსმა გემსა და მგზავრებს. 980

ერთი დიდი და აყვავებული არის კუნძული ფართო უბეში
იონიის ზღვის პირისპირ, სადაც ზღვა და მთებია კერავნიისა.
როგორც ამბობენ, იმ კუნძულის ქვეშ ძევს ის ნამგალი, რითაც კრონოსმა
მამას უწყალოდ მოჭკვეთა ასო[86] (მომიტევენით, ჰოი, მუზებო,
ჩემი სურვილის საპირისპიროდ ამ ძველი ამბის თქმა რომ მომიხდა!).
სხვები ამბობენ, რომ ეს ნამგალი დეოსიაო[87], ამქვეყნიური.
დეო ცხოვრობდა ამ კუნძულზე და ამავე ნამგლით უყვარდა მკაო.
ნიმფა მაკრისი უყვარდა თურმე და მკა ასწავლა ნამგლით ტიტანებს,
აი, ამიტომ კუნძულს სახელად შერჩა დრეპანე ანუ ნამგალი[88].
ეს წმინდა მიწა კვებავდა თურმე დასაბამიდან ფეაკელებსა, 990
და თვით ეს ტომი ყოფილა სისხლით შთამომავალი ურანოსისა[89].
ასე ამბობენ ფეაკელები — სტუმართმოყვარე, კეთილი ხალხი.
ამ კუნძულს არგო მრავალი ჭირის და განსაცდელის შემდეგ ესტუმრა,
როცა კეთილმა ქარმა გააგდო ის თრინაკიის[90] ზღვიდან მშვიდობით.
იქ ალკინოე, ფეაკთა მეფე შეხვდა მეგობრებს სიხარულითა,
მთელი ქალაქი მსხვერპლსა სწირავდა და ზეიმობდა კიდით კიდემდე.
გეგონებოდა, მთელი ქვეყანა საკუთარ შვილებს ეგებებაო!
და მასპინძლებთან თვითონ გმირებიც ისე ხარობდნენ, ისე ლაღობდნენ,
თითქოს დასრულდა ძნელბედობა და ჩავიდნენ მშობელ ჰემონიაში[91].
მაგრამ ხანმოკლე გამოდგა შვება, მალე მოუხდათ აბჯრის შემოსვა: 1000
კოლხთა ურიცხვი ლაშქარი უკვე ახლოვდებოდა არგოს კვალზედა,
ეს იყო ჯარი, კიანის კლდეებს რომ გამოსცილდა პონტოს სრუტეში,
და იმ შავ კლდეებს გადარჩენილნი იმედოვნებდნენ გმირების პოვნას,
ედევარსა ჰქონდა ერთი მიზანი, რომ წაეყვანა მედეა უკან,
სისხლისმღვრელ ბრძოლას ერიდებოდნენ კოლხები, მაგრამ იმუქრებოდნენ.
უბედურება არ აგცდებათო, ომს დაგიწყებთო დაუნდობელსა,
ახლა იქნება თუ ცოტა გვიან, აიეტ მეფის ჩამოსვლის შემდეგ.
აქ ალკინოემ, ფეაკთა მეფემ დააშოშმინა მკაცრი კოლხები,
რომელთაც სურდათ ბრძოლის დაწყება. ორივესათვის სწადდა სიკეთე,
რომ დავა, ეგზომ საბედისწერო მშვიდად, უსისხლოდ გადაეწყვიტათ. 1010

თარგმნა აკაკი გელოვანმა

განმარტებანი

33 „ბანაკს ცეცხლში გავხვევდი, გემ-ბანს ალს შემოვახვევდი... ბოლოს მეც გამოვესალმებოდი სიცოცხლეს“ — (შდრ. „ენეიდა“, IV, 604...).

34 ქარიტები — მშვენიერების სამი ქალღმერთი.

* პროფ. აკ. ურუშაძისა.

35 დიას კუნძული — ნაქსოსი.

36 იხ. III წიგნის შენ. 42.

37 ბრიგები — ილირიასა და თრაკიაში ცხოვრობდნენ...

38 ესეთი ჩვეულება აღწერილია სოფოკლეს „ელექტრაშიც“.

39 აფსირტიდები — კუნძულები, აიეტის ძის

აფსირტეს სახელისაგან (შდრ. ჰოროხის ანტიკური სახელები: აფსაროსი, აფსორრე, აბსარე...

40 ერიდანოსი — მდ. პო. ბერძნებს ეგონათ, რომ მის შესართავთან ქარვასავით ასხმული კუნძულები იყო — ელექტრიდები (ელექტრონ-ქარვა).

41 იხ. შენ. II წიგ., 29.

42 აფსირტელები — აფსირტიდების კუნძულზე მცხოვრებნი.

43 კადმოსი — თებეს მითიური დამაარსებელი...

44 კერავნიის მთები —ილირიის მთები, აწ კიმარა (კერაინოს — მეხი):.

45 ილირიაში.

46 დიონისეს ძიძა იყო ნიმფა მაკრისი. მაკრისის კუნძული — აწ კორფუ.

47 მენტორები — ილირიის ხალხი.

48 აპ. როდოსელი მუზებს მიმართავს.

49 ავსონია — იტალია. სტექადები — ტირენის ზღვის კუნძულები.

50 აიაიელი კირკე-აიეტის გრძნეული და.

51 ადრიატიკის ზღვის კუნძულები.

52 კერკირა — იგ. კუნძ. მაკრისი, კორფუ, ფეაკელთა სამკვიდრო.

53 არგოლიდის ქალაქი.

54 იგულისხმება ნიმფა კალიფსო, რომელსაც ოგიგიის (ნიმფაიეს) კუნძულზე შეპყრობილი ჰყავდა ტანჯული ოდისევსი.

55 ავსონიის ზღვა — იტალიის ზღვა (ტირენისა).

56 ცნობილი მითი: ფაეთონმა მზის ღმერთს, თავის მამას ჰელიოსს მზის ეტლი სთხოვა, დარახტული მერნები გაექცა, ქვეყნიერების გადაწვის შიშით ზევსმა მეხი სტყორცნა და ფაეთონიც ერიდანოსის ტალღებში ჩაიძირა.

57 მითი: აპოლონს ჰყავდა შვილი ესკულაპი. მკურნალი, რომელმაც გაიგო საიდუმლოება, რითაც მკვდრებს სიცოცხლე დაუბრუნდებოდათ. ზევსმა ესკულაპი მეხით მოკლა. აპოლონმა მეხის გამომჭედავი კიკლოპები დახოცა და ზევსმა დროებით ოლიმპოდან განდევნა.

58 ერიდანოსი — პო. როდანოსი — რონა... პოდან რონაში მოხვედრა შეუძლებელია. აპ. როდოსელის დროსაც ცუდად იცნობდნენ გეოგრაფიას.

59 სარდონიის ზღვა — ტირენის ზღვა.

60 პოეტს ჰგონია, რომ როდანოსს სამი ტოტი აქვს. ალბათ მხედველობაში აქვს რაინი, რონა და პო.

61 ერკინოსის მთა — ახსენებენ კეისარი და სტრაბონი (სილვა ჰერკინია).

62 დიოსკურები — პოლიდევკე და კასტორი, ხომალდთა მფარველი გმირები.

63 იგულისხმება კ. ელბა.

64 ასეთი ამბავი აქვს სტრაბონსაც.

65 აწინდელი პორტო ფერარო.

66 აიაია — სქოლიასტის მიხედვით, ესაა განვრცობილი აია (ეა): კოლხეთის აიაში აიეტი და მისი სახლობა ცხოვრობს, აიაია კი დასავლეთშია და აიეტის დის კირკეს სამფლობელოა. აიაიას კირკეს კუნძულად ჰომეროსიც ასახელებს.

67 აქ იგულისხმება სამყაროს ქაოტური მდგომარეობა (ქაოს). კირკეს მისდევენ მის მიერ ცხოველებად გადაქცეული მეზღვაურები („ოდისეადან").

68 ეს სამსხვერპლო სითხე წყალს, რძეს და თაფლს შეიცავდა, განკუთვნილი იყო ევმენიდებისათვის ნიმფებისა და მუზებისათვის.

69 მედეა კირკეს ძმისწულია (აიეტი და კირკე ჰელიოსის შვილებია).

70 მედეა კირკეს კოლხურ ენაზე ელაპარაკება.

71 თეტიდა —ზღვის ქალღმერთი, აქილევსის დედა.

72 იხ. I წიგ. შენ. 141.

73 სკილა, სკილე-ექვსთავიანი ზღვის ურჩხული, ქარიბდა — უზარმაზარ ხახიანი ურჩხული (ოდ., XII).

74 თემიდა — მართლმსაჯულების ქალღმერთი.

75 იგულსხ. აქილევსის მამა, ფთიის მეფე პელევსი.

76 საიქიო.

77 პლანქტები — მოძრავი კლდეები (ოდისეაშიც).

78 ამბროსია — ღმერთების საჭმელი, ტანსაც იზელდნენ.

79 ეოსი — განთიადის ქალღმერთი.

80 შდრ. ოდისეა, XII, 39...

81 დეო-ქალღმერთი დემეტრე.

82 იგულისხმება დემეტრეს ასული პერსეფონე.

83 ერიქსი-სიცილიის მთა. აქ აფროდიტეს ტაძარი იყო.

84 იხ. შენ. 77.

85 თრინაკია — სიცილიის ზღაპრული კუნძული, სადაც ჰელიოსს ნახირი ჰყავდა (ოდ. XII).

86 გადმოცემულია მითი, რაც ჰესიოდეს აქვს თეოგონიაში (ქაოსი, გეა, ურანოსი, კრონოსი..).

87 იხ. შენ. 81.

88 ედრაპანე ნიშნავს ნამგალს. ფეაკთა ამ კუნძულს ჰომეროსი სქერიას უწოდებს. იგ. მაკრისი, კერკირა...

89 იხ. შენ. 86.

90 ტირენის ზღვა.

91 ჰემონია — თესალია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გრიგოლ ბრეგაძის მონოგრაფია „**საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება**“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა, ეხება მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთ ურთულეს საკითხს, ეროვნული პრობლემის ლენინურ გადაწყვეტას, რომელიც თეორიულ საფუძვლად დაედო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნას.

გამოკვლევაში ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა და განვითარება ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ზეიმია.

გამოკვლევაში ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინური თეორია განხილულია: 1) ქვეყნის ისტორიასთან ორგანულ კავშირში, ისტორიულ ჭეშმარიტებათა საფუძველზე; 2) შინაპარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევის ვითარებაში, რომ ლენინური ეროვნული პოლიტიკა გამომუშავდა ყველა ჯურის ოპორტუნისტული პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში და 3) ისტორიული ფაქტები და მოვლენები ახსნილია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე.

მონოგრაფიაში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გადაწყვეტილებების, ეროვნულ საკითხებზე არსებული ლიტერატურისა და მდიდარი, მეტწილად ახალი საარქივო დოკუმენტებისა და სტატისტიკური მასალების საფუძველზე განზოგადებულია საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება.

მონოგრაფია შეიცავს შესავალს, ხუთ თავსა და დასკვნას.

წიგნის პირველ თავში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული წანამძღვრები საქართველოში (გვ. 12-74) გარჩეულია ლენინური ეროვნული პროგრამის თეორიული საფუძვლები. ლენინური ეროვნული პროგრამა და საქართველოს მარქსისტების ბრძოლა მისი დაცვისათვის.

შრომაში მეცნიერული სიღრმით ახსნილია ეროვნული საკითხის მარქსისა და ლენინის გაგების ერთიანობა, მემკვიდრეობითობა და ის ახალი, რაც ლენინმა და ლენინელებმა შეიტანეს მარქსიზმის საგანძურში, მის შემოქმედებით განვითარებაში.

ვ. ი. ლენინმა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ პირობებში განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა, ახალი დებულებებითა და დასკვნებით გაამდიდრა მარქსიზმი, შექმნა ახალი ეტაპი ეროვნულ-კოლონიური საკითხის მარქსისტულ თეორიაში და განსაზღვრა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემის — ეროვნული საკითხის გადაწყვეტის უტყუარი გზა. ვ. ი. ლენინმა, პირველმა მარქსიზმის ისტორიაში, შეიმუშავა, თეორიულად დაასაბუთა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის ეროვნული პროგრამა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ უძველეს მებრძოლ რაზმს წარმოადგენს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც თავისი წარმოშობიდანვე აგებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე. სწორედ ასეთი ორგანიზაციის შექმნა წარმოადგენდა საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის აუცილებელ წინასწარ პირობას.

მონოგრაფიაში მდიდარი კონკრეტული მა-

გ. ბრეგაძე. საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება. გაზ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1970.

სალის საფუძველზე ახსნილია საქართველოს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების შეუპოვარი ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ნაჩვენებია საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების მოღვაწეობა ეროვნულ-პროლეტარულ პროგრამის დაცვისა და სწორად გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი.

მდიდარი ფაქტობრივი მასალის მარქსისტულ-ლენინური ახსნის საფუძველზე ავტორი შრომის პირველი თავის დასკვნაში სამართლიანად მიუთითებს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მუდამ ერთგულ საქართველოს ბოლშევიკებს სწორად ჰქონდათ გაგებული ლენინური ეროვნული პროგრამა. ისინი თავდადებით იცავდნენ ამ ერთადერთ მართებულ პროგრამას, პრინციპულ ბრძოლას ეწეოდნენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

მონოგრაფიის მეორე თავში ეროვნული საკითხის გადაწყვეტა საქართველოში (გვ. 79-206) გარჩეულია შემდეგი საკითხები: 1) ეროვნული საკითხის გადაწყვეტის სიძნელეები; 2) სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება — ეროვნული საკითხის გადაწყვეტის აუცილებელი პირობა; 3) საბჭოთა სახელმწიფოებრიობის როლი ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში; 4) ფაქტიური ეროვნული უთანასწორობის ლიკვიდაცია.

შრომაში ისტორიული ფაქტების საფუძველზე გაშუქებულია, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტას დიდი სიძნელეები ახლდა საქართველოში, სადაც საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე კოლონიურ ჩაგვრას ეწეოდნენ მეფის რუსეთის მემამულეები და კაპიტალისტები, ხოლო წლების განმავლობაში შოვინიზმს აღვივებდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები. მენშევიკებმა თავიანთი ბატონობის პერიოდში არამც თუ ვერ გადაჭრეს, არამედ უაღრესად გაამწვავეს ეროვნული საკითხი.

ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები და აზერბაიჯანელი მუსავატისტები ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბძოლის საერთო მიზანმა ისინიც გააერთიანა.

ავტორი ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე დაყრდნობით თვალსაჩინოს ხდის იმ ლენინურ დებულებას, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ეროვნული საკითხის გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა, რომ ეროვნულ საკითხზე ლენინური იდეების მატერიალურ ძალად გადაქცევისათვის საჭიროა სათანადო ობიექტური პირობები, რომელიც იქმნება იმპერიალისტური მონობის დამხობისა და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შედეგად.

შრომაში დასაბუთებულია, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრიობამ ფასდაუდებელი ხელი შეასრულა ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის, ხალხთა ძმური თანამეგობრობის უზრუნველყოფის, მათი საზოგადოებრივ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების უმაგალითო განვითარების საქმეში.

ავტორი ცხადყოფს, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ასზე მეტი ერი და ეროვნებაა, ხალხების საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და განვითარება მიმდინარეობდა საერთო კანონზომიერებათა საფუძველზე, რომელთაგან მთავარია პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პროგრამისა და პოლიტიკის განხორციელება. მაგრამ ეს საერთო კანონზომიერებანი ვლინდებიან სხვადასხვა ფორმებში, რომლებსაც განაპირობებენ თვითეული ხალხის ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული და ეროვნული თავისებურებანი. ამიტომ საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას სსრ კავშირის ცალკეულ რესპუბლიკებსა და ოლქებში თავისი სპეციფიკა აქვს.

მონოგრაფიაში ფართოდ არის განხილული აფხაზეთისა და აჭარის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩამოყალიბება-განვითარების ძირეული საკითხები, ამიერკავკასიის ფედერაციის ისტორიული მნიშვნელობა.

მონოგრაფიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისა და განვითარების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მეცნიერულ დასაბუთებას, ავტორი სამართლიანად მიუთითებს პრობლემის სირთულეზე. მსოფლიო ისტორიას არ გააჩნდა ამის პრაქტიკული ნიმუშები, ხოლო სხვადასხვა ჯურის შოვინისტები და ნაციონალისტები კი ცდილობდნენ თავიანთი ბურჟუაზიული პოზიციებიდან ძირი გამოეთხარათ ხალხთა ერთობისათვის, ხელი შეეშალათ მათი შემდგომი დაახლოებისათვის. ამ საქმეს დიდ ზიანს აყენებდნენ ტროცკისტები, მემარჯვენეები და ნაციონალ-უკლონისტები. საქმე იმითაც რთულდებოდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებით გამოწვეული კაპიტალისტური ელემენტების გარკვეული გამოცდილება აძლიერებდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეოლოგიას — როგორც დიდმპყრობელურს, ისე ადგილობრივს.

მონოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ ამ რთულ პირობებში ვ. ი. ლენინი, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, დიდ ყურადღებას უთმობდა საბჭოთა რესპუბლიკების თანასწორუფლებიან

საფუძველზე გაერთიანების საქმეს და ამით თავიდან იქნა აცილებული შეცდომები.

ავტორის დასკვნით: ახლა მთელი მსოფლიო აღიარებს, ჩვენი მტრებიც კი ვერ უარყოფენ, იმას, რომ ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეის, ხალხთა ამხანაგური თანამშრომლობის, ურთიერთმხარდაჭერისა და ურთიერთდახმარების, მათი ურღვევი მეგობრობისა და ძმობის ცოცხალი განსახიერებაა.

ნაშრომში ფართოდ არის განხილული ფაქტიური ეროვნული უთანასწორობის ლიკვიდაცია. ნაჩვენებია ვ .ი. ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის ბრძოლა ფაქტიური ეროვნული უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის, ჩამორჩენილი ეროვნული მხარეების წინწაწევის კონკრეტული გზები და საშუალებები.

კონკრეტულ-ისტორიული ფაქტების საფუძველზე შრომაში დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნამ საბოლოოდ მოსპო ეროვნული ჩაგვრა ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში და უზრუნველყო ერთა პოლიტიკური, იურიდიული და ეკონომიური თანასწორობა.

შრომაში კარგადაა ახსნილი საბჭოთა რუსეთის ძმური დახმარების როლი საბჭოთა საქართველოსადმი ფაქტიური ეროვნული უთანასწორობის მოკლე დროში ლიკვიდაციის საქმეში. ამ დახმარებისა და საქართველოს მშრომელების გმირული შრომის შედეგი იყო ის, ნათქვამია მონოგრაფიაში, რომ საქართველომ 1921-1925 წლებში საერთო-საკავშირო ტემპთან შედარებით უფრო სწრაფად აღადგინა მეურნეობა.

სარეცენზიო შრომაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველო მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში შეიძლებოდა განვითარებულიყო ისეთი სწრაფი ტემპით, რომ რუსეთზე უფრო გლეხური ქვეყნიდან მოკლე დროში გადაქცეულიყო ინდუსტრიულ რესპუბლიკად მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობითა და მაღალი კულტურით.

ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების შედეგია.

მონოგრაფიის მესამე თავში — **ქართველი ერის სოციალისტური გარდაქმნა და განვითარება — საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის მთავარი შედეგი** (გვ. 207-286) გარჩეულია შემდეგი საკითხები: 1) ქართველი ერის სოციალისტური გარდაქმნა; 2) ცვლილებები ქართველი ერის ძირითადი ნიშნების შინაარსში.

ეხება რა ქართველი სოციალისტური ერის საკვანძო საკითხებს, ავტორი მიუთითებს, რომ საზოგადოების სოციალისტური სტრუქტურის რევოლუციური გარდაქმნის მთავარ მამოძრავებელ და წამყვან ძალას, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ასევე საბჭოთა საქართველოში წარმოადგენს მუშათა კლასი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხელმძღვანელი როლის შესასრულებლად სავსებით მომზადებული აღმოჩნდა კომუნისტური პარტიის უდიდესი აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, ავტორი, აგრეთვე სამართლიანად მიუთითებს საბჭოთა გლეხობაზე, რომელიც სოციალიზმის გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა, ასევე ერის განუყოელი შემადგენელი ნაწილია საბჭოთა ინტელიგენცია ,რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩამოყალიბდა.

აქედან გამომდინარეობს, დაასკვნის ავტორი, რომ „გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში საქართველოს მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია ძირფესვიანად გარდაიქმნენ. ამიტომ სავსებით კანონზომიერად სრულიად ახალი, სოციალისტური ტიპის გახდა როგორც ქართველი ერი, ისე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერი და ეროვნული უმცირესობა“ (გვ. 240).

ერის არსებობა და განვითარება, — აღნიშნავს ავტორი, შეუძლებელია ენის ერთობის გარეშე, ენაში ჟღერს ხალხის ვინაობა, მისი ისტორია, თანამედროვეობა და მომავლის პერსპექტივები.

ეროვნული ენა ისტორიული კატეგორიაა. იგი იცვლება, ვითარდება, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, როგორც ავტორი წერს, ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არასოდეს არ უნახავს თავისი მშობლიური ენის ისეთი ყოველმხრივი განვითარება და გამდიდრება, როგორც სოციალიზმის ეპოქაში. ქართულ ეროვნულ, ლიტერატურულ ენას, ისე როგორც ყოველ სხვა ცხოველმყოფელ და განვითარებულ ენას, თავისი შემდგომი ზრდისა და გამდიდრების უშრეტი წყაროები აქვს. ეს არის პირველყოვლისა ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, რომელიც გაუგონარი სისწრაფით მიდის წინ მეურნეობისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში.

შრომაში ყოველმხრივ დასაბუთებულია, რომ ეროვნული ენების განვითარებაზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე, მდიდარი და სრულყოფილი რუსული ენა, რომელიც საბჭოთა ეპოქაში იქცა სოციალისტურ ერთა შორის ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდაახლოების ენათ.

შრომაში კონკრეტულ-ისტორიული ფაქტების საფუძველზე კარგადაა გარკვეული **ტერიტორიის ერთობა,** როგორც ერის ერთ-ერთი

ძირითადი ნიშანთაგანი და რა ცვლილებები განიცადა მან ქართველი სოციალისტური ერის წარმოშობიდან დღევანდლამდე.

ავტორი განიხილავს რა ქართველი სოციალისტური ერის **ეკონომიური ცხოვრების ერთობას**, სწორად მიუთითებს, რომ „საქართველოს სსრ ეკონომიკა საბჭოთა კავშირის ერთიანი ეკონომიკის ორგანული ნაწილია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი სოციალისტური ერის განვითარებისა და სხვა საბჭოთა ერებთან მისი ყოველმხრივ დაახლოვებისათვის“ (გვ. 264).

მონოგრაფიაში კარგადაა განხილული **ფსიქიკური წყობის ერთობა.** ავტორი სამართლიანად მიუთითებს რუსი ხალხის ეროვნული ხასიათის დამახასიათებელ ნიშნებზე, რამაც საყოველთაო აღიარება პოვა, როგორიცაა რევოლუციური გაქანება, მომთმენლობა, აუჩქარებლობა და უშიშროება მძიმე განსაცდელის ჟამს, გაშძლეობა და უმაგალითო გმირობა, მტკიცე დისციპლინისა და წესრიგის სიყვარული, მოძმე ხალხებისადმი უანგარო დახმარების ტრადიცია, ინიციატივიანობა და ნოვატორობა შრომის ახალი, პროგრესული, მოწინავე მეთოდების დანერგვაში და სხვ.

რუსი და მისი მოძმე ერების კეთილმყოფელი თვისებები უდიდესი ძალით გამოვლინდნენ სამი რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის, დიდი სამამულო ომის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროცესში. საბჭოთა მეცნიერები, მწერლები და კულტურის ყველა დარგის მოღვაწენი თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ სოციალისტური ერების შეუდრეკელ და უძლეველ ნებისყოფას.

შრომაში სწორადაა ნათქვამი, რომ ქართველი ერის ფსიქიკური წყობის ერთობის სპეციფიკა განაპირობეს საქართველოს ისტორიულმა, ეკონომიურმა, პოლიტიკურმა, კულტურულმა და გეოგრაფიულმა გარემოს თავისებურებებმა, რომლებშიც ქართველ ხალხს უძველესი დროიდან მოუხდა ცხოვრება, მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარებისათვის რთულ შრომასა და მძიმე ბრძოლების საუკუნეებში ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული ხასიათი.

ქართული ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უშრეტ წყაროს, სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, კულტურის დარგში წარმოადგენდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს გენიალური პოემა ახლაც, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაში უაღრესად ფართო მასებზე ახდენს ცხოველმყოფელ გავლენას და წინ სწევს ქართული ეროვნული ხასიათის განვითარებას. დიდმა პოეტმა და მოაზროვნემ შოთა რუსთაველმა ყველაზე გენიალურად გამოხატა ქართველი ხალხის სანუკვარი მისწრაფებანი, შექმნა კეთილმყოფელი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების მორალური კოდექსი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობაზე გადადის.

აჯამებს რა ქართველი სოციალისტური ერის ძირითადი ნიშნების კონკრეტულ ისტორიული შესწავლის შედეგებს, ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ქართველი ერის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების შინაარსში მომხდარი ცვლილებები, ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრების და ფსიქიკური წყობის ერთობის ყოველმხრივი განვითარება, მოძმე საბჭოთა ერებთან ერთად ქართველი სოციალისტური ერის აყვავება ნათლად ადასტურებს ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის სისწორეს, რომელსაც მოყვა სსრ კავშირის სოციალისტური ერების ჩამოყალიბება და მძლავრი განვითარება, მათი ურღვევი თანამეგობრობა და უმაგალითო ძმური თანამშრომლობა კომუნიზმის მშენებლობაში. „ყოველივე ეს თავიდან ბოლომდე ააშკარავებს საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების ცილისმწამებლური გამოხდომების სიყალბეს ე. წ. „საბჭოთა კოლონიალიზმზე“ და იმაზე, რომ კომუნისტური პარტია თითქოს „აუქმებდეს“ არარუსი ხალხების პროგრესულ ტრადიციებს, ცვლიდეს მათ „რუსული ტრადიციებით“ (გვ. 286).

შრომის მეოთხე თავში **ერის ცნების საკითხისათვის** (გვ. 287-316) ავტორი ეკამათება უკანასკნელ პერიოდში სუბიექტივისტური და ვოლუნტარისტულ შეცდომათა მეოხებით ზოგიერთი ავტორის შემცდარ შეხედულებებს, რომლებიც გამოთქმული იყო „ვოპროსი ისტორიის“, „ვოპროსი ფილოსოფიის“ ფურცლებზე, ხოლო შემდეგ ავტორთა სპეციალურ შრომებში.

ძირითადი აზრი ავტორებისა, რომელსაც ეკამათება გ. ბრეგაძე, იმაშია, რომ ჩვენს ქვეყანაში თითქოს უკვე მიმდინარეობს ერების არა მარტო დაახლოვება, არამედ მათი შერწყმაც; ამავე დროს ზოგიერთმა მკვლევარმა წამოაყენა სოციალისტური ერის ზოგიერთი ძირითადი ნიშნის ქრობის მცდარი შეხედულება.

მონოგრაფიაში კონკრეტულ-ისტორიული ფაქტებით ავტორი მეცნიერულად ასაბუთებს, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ერების აყვავება, ურთიერთ დაახლოვება და ურთიერთგამდიდრება.

წიგნის უკანასკნელ თავში **საერთო-საკაცობრიო ენის საკითხისათვის** (გვ. 317-330) მკითხველი გაეცნობა მეტად საინტერესო მასალას, რომელიც არსებითად დაკავშირებულია საერთო-საკაცობრიო ენის საკითხთან, რაც ერის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

მონოგრაფიაში განხილული საკითხები განსაკუთრებულად აქტუალურია დღეს, როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, დიდი ამოცანებია დასახული იდეოლოგიურ დარგში, რათა გაძლიერდეს მუშაობა „მშრომელთა აღზრდისათვის სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების მსვლელობაში ყოველნაირად გააშუქონ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, საბჭოთა რესპუბლიკების ერთ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს გაერთიანების ისტორიული მნიშვნელობა, სოციალისტურ ერთა განვითარებისა და დაახლოების კანონზომიერებანი, საბჭოთა ხალხის მიღწევები კომუნისტურ მშენებლობაში“.

ამ მხრივ სარეცენზიო ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს აღნიშნულ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო მასებს.

იოსეგ შარაშენიძე

სითბოთი და სიყვარულით გაჟღენთილი სტრიქონები

აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის „მოგონებები“ გამოსვლისთანავე გაქრა დახლებიდან. თეთრ ყდაში ჩასმული ეს პატარა წიგნი ხელიდან ხელში გადადის და მკითხველთა გულებს იპყრობს. იქნებ იმიტომ, რომ მემუარული ლიტერატურით ქართველი მკითხველი მაინცდამაინც განებივრებული არ არის, თუმცა არა, აღნიშნული წიგნი უფრო მეტია, ვიდრე მრავლისმომსწრე, გზაგრძელი ბრძენკაცის ნაამბრევი, ის არის საკუთარი ცხოვრების პოეტური გარდასახვა მეხსიერებაში შემორჩენილი ფაქტების წარმტაცი ფერწერა, რომელიც უშუალობით, ლირიზმით და სინატიფით ხიბლავს ადამიანს. „კარგახანია მას აქეთ, უნივერსიტეტმა წინადადება მოგვცა, რომ სტუდენტებისათვის ჩვენი წარსული გვეამბნა. სწორედ ეს შეიქნა ამ სტრიქონების დაწერის საბაბი და მათი შინაარსიც ამით განისაზღვრება“ — წერს ავტორი. დიახ, მხცოვანმა მეცნიერმა ყველა საქმე გვერდზე გადასდო და ჰაბუკური გზნებით მოჰკიდა ხელი არა ნაკლებ დიდ პრობლემას, ვიდრე გეოლოგიური კვლევა-ძიებაა და ქართულ ლიტერატურას შესძინა თავისი საამაყო ცხოვრების მართალი მატიანე.

რაჭა, ნიკორწმინდა, ნიკორწმინდის ხელთუქმნელი ტაძარი, „უდაბნო“ — ჭელიშის მონასტერი, მლოცველები, კალმახებით სავსე აუზი, რაც ყველაზე უფრო ახარებდა ბავშვს. უღრანი ტყეებით დაბინდული მთები, საწალიკე, ციცაბა, კოლოტა, ლემანეული. უცნაური მდინარე შაორი, რომელიც სოფლის მახლობლად მრავალრიცხოვან სასულეებში იკარგებოდა, გაზაფხულის უხვწყლიანობაზე თვალუწვდენელ ჭალებში გუბდებოდა და ზღვასავით ღელავდა. გაივლიდა ნამქერი და პირდაბანილი მინდვრები ხალიჩასავით აფერადდებოდნენ, ოღონდ მუდამ დაუშრობლად იყო ორი პატარა „უძირო“ ტბა — ხარისთვალა და ძროხისთვალა, ციებინულით და კალმახებით სავსე. უფრო საოცარი იყო ჭელიაღელის ტბა, „რომელშიაც ჯილეები (ბუჩქები და ხეები, რომელნიც წყალზე დაცურავენ და თავისი მასაზრდოებელი მიწა თან დააქვთ ფესვებით შეკრული), ხან ნაპირს ეკვროდნენ, ხან შუაწყალში გამოსცურავდნენ“. ოო, ამ „უფსკერო“ ტბაში გველეშაპი ბინადრობდა და მის სარკისებრი ზედაპირიდან უამრავი, ჟრუანტელის მომგვრელი ლეგენდა ირეკლებოდა. გრანდიოზული გამოქვაბული „საყინულე“, იქ ყინული მთელს ზაფხულს იდო. ხოტევის მთის კოქეზე, კირქვებში, დაუღალავ ოსტატებს, მზეს, წვიმას და ქარს კამაროვანი სვეტები და სახიანი კედლები გამოეკვეთა, ხოლო ზაფხულის პაპანაქებაში თვალს აჯადოებდა ოკრიბიდან დაძრული ნესტიანი ჰაერის ათინათი. კითხულობ ამ სტრიქონებს, და ეჭვი არ გეპარება, რომ სწორედ ნიკორწმინდამ, მისმა შემოგარენმა მისცა შთაგონება ავტორს დიდი ბუნებისმეტყველი გამხდარიყო.

ჯანელიძეთა ჯანმაგარი, ძველებური ოჯახი. ფართოდ გაშლილი, „მორისკიდურით“ გადახურული „ხიმეთი“, შემოზღუდული ეზო. ურთხმელის რაჭული ჭიშკარი, ორფერდა სახურავით, ცალცალკე „სახარო“ და „საკაცო“ შესასვლელით, მოკენჭილი გზა და ბილიკები, ორი ოდა სასტუმრო და საშინაო. მერე შრამელები: დიდბეღლები, სასიმინდეები, საფიცხობელი, ბოსელი, თავლა, ვრცელი კალო საბძლით და კარაპინით, უზარმაზარი საჯალაბო სახლი უპე-

ალ. ჯანელიძე, მოგონებები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971.

რო და უფანჯრო, სოხანეთი, კერით, კაჩათი, გრძელი ტახტით, ბუჯერით, სალაროთი და ღორის, კვამლზე გამოყვანილი განთქმული ფელიკებით. სახლის „სახურავი პირდაპირ კედლებზე იყო დამჯდარი. გარედან ჰაერი რომ შემოსულიყო, კედლების თავი უნდა გადაევლო სახურავს ქვეშ, რამდენადმე ქვევიდან ზევით, და ეს სიცივის სახლში შესვლას აძნელებდა. ასევე გაძნელებული იყო თბილი ჰაერის გარეთ გამოსვლა, რადგან ამ შემთხვევაში თბილი ჰაერის ქვევითკენ მოძრაობა იყო საჭირო“ (გვ. 19). საინტერესო და ძველ ნაგებობათა მკვლევართათვის გასათვალისწინებელი დაკვირვებაა. მარანი კი, ცალკე ნაგებობად, ნიკორწმინდაში არ ჰქონდათ, ჭურები „ღია ცის ქვეშ“, ხეთა გრილოში იყო ჩაფლული. ტკბილს კოლოტებით ბარიდან ეზიდებოდნენ, ისევე, როგორც ამას ვახუშტი აგვიწერს თრიალეთის და ლომისას მაგალითზე. ასხამდნენ ქვევრებში და აყენებდნენ „კეთილ“ და „მხეგემოიან“ ღვინოს. „ნიკორწმინდის ვენახები ბუგეულში იყო. იქ ჰქონდათ მარნები საწნახელით, წბერით და სხვა ინვენტარით. მხოლოდ ღვინოს იქ არ აჩერებდნენ: ყურძენს რაკი დაწურავდნენ, ტკბილი კოლოტებით შინ მოჰქონდათ. მგზავრობისას კოლოტს ყელში მასრას დაატანდნენ და, თუ ვინმე შეხვდებოდათ, ურემს გააჩერებდნენ და სთხოვდნენ, მოსწიე, შენი ჭირიმე, გასინჯეო!“ (გვ. 23) აწ გამქრალი, წარსული, კომპლექსური მეურნეობის მეტად კოლორიტული სურათია დახატული.

მამაპაპანი. სიმონ ჯანელიძე — რაჭაში ჯანელიძეთა გვარის ფუძემდებელი. საეკლესიო ყმას უჩვეულო უნარი და ენერგია გამოუჩენია, დაწინაურებულა, სრულიად საარქიეპისკოპოზოს მოურავი გამხდარა: გამდიდრებულა და აზნაურობაც მიუღია. ვაქები, ყველა, სკოლაში გაუზრდია, მხოლოდ უმცროსი გრიგოლი, ავტორის ბაბუა, დაუტოვებია განათლების გარეშე— ნიკორწმინდაში ოჯახს მოუვლისო. ოცი წლის ჭაბუკს წერა-კითხვაც კი არ სცოდნია. ისიც ამდგარა და ოჯახიდან გაპარულა, ხონში დეკანოზ ბახტაძეს, რომელიც სამრევლო სკოლასაც განაგებდა, კარზე მისდგომია და შეხვეწნია: მოჯამაგირედ დაგიდგები, გასამრჯელო არ მინდა, ოღონდ წერა-კითხვა მასწავლეო. ასე შეუძენია გრიგოლს ცოტაოდენი განათლება, საბოლოოდ მღვდლობისათვის მიუღწევია. კეთილ მღვდელს ოჯახის მართვაში მაინცდამაინც დიდი მარიფათი ვერ გამოუჩენია.

დიდედა, სათნო და საზრიანი დიასახლისი, ქართულ საოჯახო წესზე განათლებული ქალი აყვარებს ნიჭიერ შვილიშვილს გარემომცველ ბუნებას, ეხმარება მცენარეთა კოლექციის (ჰერბარიუმის) შედგენაში, ასწავლის თითოეული ყვავილის და ბალახის სახელს, უნმარტავს მათ თვისებებს.

მამა ილარიონი — ტიპიური წვრილი აზნაური ჩაუქი, მობურთალი, მოკრივე, სწავლობდა ქუთაისის სასულიერო და გორის სამასწავლებლო სემინარიაში, ბოლოს ქუთაისის ოლქის სასამართლოს მწერალი გახდა, იქ გაიცნო და შეირთო ჯიხაიშელი შალამბერიძის ქალი და როგორც იტყვიან, „კალაპოტში ჩადგა“.

დედა — ოჯახის ბურჯი, გონებამახვილი, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული მანდილოსანი, თავის უკვე სახელმოხვეჭილ შვილს წაეხუმრებოდა ხოლმე:

— „შენსავით და შენდენი რომ სკოლაში ვისმე ვეტარებინე, შენზედ უკეთესი პროფესორი გამოვიდოდიო“.

სანდომისა — გამდელი, ღრმად მოხუცი, წელში მოკაკული, მიუხედავად ამისა, ეზოში რომ გავიდოდა, მის ქორისებრ მზერას არაფერი გამოეპარებოდა. ყველა უზომოდ უყვარდა, მაგრამ ტკბილ სიტყვას არავის აღირსებდა, „დიდი სიყვარულის დაუკმაყოფილებელი გრძნობა მასში ერთგულების სახით გაკაჟებულიყო“. მეზობლის ქალები აგრერიგად ვერაფერს უბედავდნენ და ზურგსუკან ჩურჩულებდნენ — კუდიანიაო.

„წავიდა სანდომისა და რა დარჩა მისგან? მხოლოდ ერთი მოგონება! ეჰ, საბრალო სანდომისავ, შენ რომ უკეთეს პირობებში დაბადებულიყავ, როგორი სამაგალითო დედა იქნებოდი, როგორი საიმედო ცოლი და ოჯახის თავი და ეგებ ბედნიერებაც უცხო არ იქნებიდა შენთვის!“ (გვ. 24).

რა გულთბილი და შთამბეჭდავი სიტყვებია, ავკარგიანი და ერთგული სანდომისას საკადრისი. ვინ იცის, რამდენი კარგი ადამიანი განშორებია წუთისოფელს და მათ შესახებ ერთი სიტყვაც არ თქმულა, უთვისტომო გადია სანდომისას კი ბედი ეწია...

ადამიანის გაჩენა დიდი მოვლენაა თავისთავად, ამიტომ 1887 წლის 23 ოქტომბრის ღამეს, ნიკორწმინდაში, თოფების გახურებული სროლა ატყდა, გრიგოლ ჯანელიძის დიდ ოჯახს პირველი ვაჟი შვილიშვილი ალექსანდრე შეეძინა. მაგრამ დაბადებაზე ნაკლები არც ის წამია, საიდანაც ადამიანს საკუთარი თავი ახსოვს, „ესეც დაბადებაა ერთი გაგებით, თუმცა მეხსიერების ბინდში მისი მკაფიოდ გარჩევა ძნელი საქმე არ არის“. (გვ. 25).

... საღამო სოფლად, ის ხანი, როცა დღე ღამეს ეყრება. მაშინ იძინებენ ბავშვები და ქათმები, ხოლო მოზრდილები სტუმრად მიდიან. მოვიდნენ სტუმრები. ქანდარიდან ჩამოიყვანეს ახლადდაყუჩული დედალი და დაჰკლეს, ძილღვიძრად მყოფ ბავშვს ჩაესმა მისი განწირული კრიახი, არ დაუნახავს, მაგრამ ჩვილი გული გაუსერა წალდის გაელვებამ, შეაკრთო ცალკე გადავარდნილმა ნისკარტდაღებულმა თავმა და აფართხალებულმა სისხლიანმა სხეუ-

ლმა, სახე ბალიშში ჩარგო და ცხარე ცრემლებით დაიტირა საბრალო ქოჩორა. ცხოვრების სასტიკ სინამდვილესთან ასეთი ჭიდილით იწყება შეცნობა საკუთარი თავისა, რაც გაუქრობელ კელაპტრად გაჰყვა მეცნიერს და საბოლოოდ წიგნში დაუნჯდა.

... სუსტი, უდღეური ბავშვი, აცრემლებული დიდედა:

—„შვილო, შენ ამ სოფლის სტუმარი არ ხარო!“ მერე „ბატონები“, მძიმე ავადმყოფობა, მეჩონგურე ქალი, ტკბილი სიმღერით და ნარნარი ცეკვით ყოვლადძლიერი ბატონების მობოდიშება, თითქოს ღრუბლებით ჩამოგბნელებულ ცაზე მზემ გამოანათაო, სენმა უკან დაიწია, ყრმა გამობრუნდა და ამის შემდეგ ავად არ გამხდარა, „სანამ სიბერე არ მოვიდა ავადობაზე უავადესი“.

ისევ ნიკორწმინდა, ნიკორწმინდელები: „ვაქკაცები, თითქოს ყველა გვარდიისათვის შერჩეული: მაღალი, ახოვანი, ძვალი და კუნთი მხოლოდ. მუშა დღეს წინ გრძელი ტილოს ფეშტემალი ჰქონდათ აფარებული და გვერდზე დიდი დანა ეკიდათ ტყავის ბუდეში; ხოლო კვირა-უქმეზე რომ სუფთა ჩოხა-ახალოხს ჩაიცვამდნენ და გრძელ ხანჯალს დაიკიდებდნენ, მათ მზერას არა მერჩია. მერე როგორი თავის დაჭერა ჰქონდათ! ეს იყო ძვალსა და რბილში გამჯდარი ბუნებრივი ზრდილობა და საკუთარ-ღირსების შეგნება“ (გვ. 27). საღამოთი ჭიშკრის წინ გრძელ სკამზე ჩარიგდებოდნენ, გაბამდნენ დინჯ მასლაათს, ბავშვს ხიბლავდა მათი დახვეწილი, სურათოვანი ენა.

ხვნა-თესვა, თოხნა, თიბვა, მკა, რთველი, ალოობაზე მეშველი (მამითადი) საღამოთი ლხინი, კალოობა, სიმინდის რჩევა ღამის თევით, შარაულასავით იღვრებოდა ოხუნჯობანი, ფრთიანი სიტყვა-პასუხი, ლექსები, სიმღერები.

გვიან შემოდგომის კუნაპეტი ღამეები, ბუგეულიდან მომავალი, მაჭრით სავსე კოლოტეებით დატვირთული ფაჩხილეებიანი ურმების ჭრიალი, ხართა ფშვინვა, მეხრეთა შეძახილები, აგიზგიზებული გიშრისფერი ბუხრები, ჩიბუხიან ბერიკაცთა დარბაისლური მსჯელობა, ღამესავით გრძელი სანუკვარი ზღაპრები.

ასე იზრდებოდა თავის ხალხსა და ქვეყანაში „პატარა ქართველი“ და ის ქართველად ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი თევზად, ჩიტი ჩიტად.

წინააღმდეგობებით აღსავსე დრო, იფანტება კოლონიად ქცეული საქართველოს ფეოდალური იდილია, მუუდრო სოფლებსაც აფორიაქებს ვაჭარი, მრეწველი, ფული. თავადაზნაურობა ცდილობს „ხმალი კალამში გასცვალოს“, რათა ახალ ცხოვრებაში ადგილი იპოვოს. რაჭის გლეხობა „მოსაგებში“ მიდის. რკინიგზის სადგურები სავსეა ჩულიანი მებარგულებით, მთელ კაუკასიას ეფინებიან ხელმარჯვე ხუროები, მზარეულები, მეპურეები, მესტვირეები, კახეთს ჩადიან და წლობით მუშაობენ მევენახენი, მეწისქვილენი. მიწას ოქროს ფასი აქვს რაჭაში, ამიტომ მოსაგებში წასულთა ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ჩრდილო კავკასიაში ეფუძნებიან, ლუკმა-პურის მაძიებელი რაჭველი უცხოეთში, ამერიკასა და ჩინეთშიც ცდის ბედს. „თვალის გახელას“ და „ფეხის გადგმას“ საყოველთაო განათლება მოჰყვა. წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობით რაჭა საქართველოში პირველ ადგილს იჭერს. ბუნებრივია, პატარა ალექსანდრეს სკოლის გარეშე არ დატოვებდნენ. სამყარო, რომელშიც ის იზრდებოდა თვისობრივ ცვლილებებს განიცდიდა, ირღვეოდა ძველი, მამა-პაპური წარმოდგენანი, ალ-საზრდელ ქართველს ქართველობას მხოლოდ გოგებაშვილის „დედა ენა“ ახსენებდა, მერე კი იწყებოდა საბერძნეთი, რომი, რუსეთი, დასავლეთი ევროპა, „უცხონი საქმენი, უცხოთა ქვეყანათანი!“ თანაც ისინი იყვნენ უცილობელი ნიმუშები, ასათვისებელი და მისაბაძი. „პატარა ქართველმა“ მოგვიანებით შეიცნო, რომ არც ის სამყაროა იდეალური, მასაც ღრღნის შინაგანი წინააღმდეგობანი, ყველაფერი იცვლება და მართებული გზა ისევ საძებარია. და ბოლოს, პასუხს მოითხოვდა მტანჯველი კითხვა: უცხოთა კარზე ყოფნა და განათლების მიღება პატარა ქართველისათვის განვითარებას ნიშნავს თუ გადაგვარებას? ასეთი იყო მცირე ერის შვილთა ბედისწერა...

ჯერ საჩხერის სკოლა, შემდეგ ქუთაისი, სადაც მთელი ოჯახი გადადის საცხოვრებლად, რათა „წამოჩიტულ“ ბავშვებს შესაფერისი განათლება ვიაღებინონ. გამოჩენილი პედაგოგის იოსებ ოცხელის სასწავლებელი, პირველი ფრიადები პლუსით, მერე ბრწყინვალედ აბარებს მისაღებ გამოცდებს კლასიკურ გიმნაზიაში, იმარჯვებს დიდ კონკურსში. „გათავდა გამოცდები, — წერს ავტორი, — მეც მიღებულთა რიცხვში აღმოვჩნდი და ეს ამბავი შინ მივიტანე. არც მამას, არც დედას გიმნაზიაში ფეხი არ შეუდგამს. ღელავდნენ ალბათ, მაგრამ სხვაფერივ არ შეწუხებულან. ასე იყვნენ სხვა მშობლებიც, ყოველ შემთხვევაში დიდი უმეტესობა. პროტექციაზე და მისთანებზე არაფერი გამიგია“ (გვ. 40).

ოცხელის სკოლამ ისეთი საგზალი მისცა, რომ მთელი სწავლის პერიოდში ეყო გონების საზრდოდ. ადვილად ითვისებდა ყველა დისციპლინას და კლასიდან კლასში უგამოცდოდ, ქების სიგელით გადადიოდა. ეწაფება მხატვრულ ლიტერატურას, საუზმის ფულს აკლებს, მცირეოდენ თანხას აგროვებს და ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის აბონენტი ხდება. ბალღია და უკვე იცის დროის ფასი. სადაც და როგორც შეიძლება, ღრუბელივით იწოვს ცოდნას. აღზრდა, ადამიანის ძირითადი ფორმირება მაინც ოჯახ-

ში ხდებოდა. ეს იყო გარემო, სადაც ქცევის ჩვევებს და კანონებს ითვისებდა. კეთილისა და ბოროტის საკითხი არ არსებობდა, იგი საუკუნეების მანძილზე მტკიცედ გადაწყვიტა თვით მამა-პაპას და ახლა ისღა დარჩენოდა, მხოლოდ კეთილი გზით ევლო.

ლევ ტოლსტოის შემოქმედების და ინგლისელი ფსიქოლოგის სმაილის ნაშრომთა ზეგავლენით იწყებს თვითაღზრდას, იკაქებს ნებისყოფას და თავს ართმევს ცრურწმენებს, სამყაროსადმი ბავშვურ ბუნდოვან შიშს, ყალიბდება როგორც ძლიერი, დამოუკიდებელი პიროვნება, რომელმაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სისუსტეზე გაიმარჯვა, ეს კი ბევრს ნიშნავდა. მალე იმსხვრევა დოგმატური წარმოდგენა ღმერთის ყოვლისშემძლეობაზე, რთული, მრავალმხრივი ცხოვრება უზარმაზარ კითხვის ნიშნად იქცა. ძველის ნგრევა აშკარა გახდა, გაჩნდნენ ახალი იდეების მქადაგებელნი. გულს ბოლმით ავსებდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრა. პატარა ქართველი სამშობლოს ბედზე იწყებს ფიქრს.

1905 წელი. ირყევა თვითმპყრობელობის ტახტი, ქუთაისში რევოლუციის ავანგარდშია მოსწავლე ახალგაზრდობა. მიტინგები, მანიფესტაციები, გაფიცვები. ალექსანდრემ გიმნაზია მიატოვა და პროპაგანდისტად ეწვია ჯერ მშობლიურ ნიკორწმინდას, მერე ცაგერს. რევოლუცია დამარცხდა. დაიწყო ალიხანოვავარსკის სისხლიანი თარეში. რეპრესიებს თავს აღწევს, კვლავ უბრუნდება გიმნაზიას, ექსტერნად აბარებს გამოცდებს, სიმწიფის ატესტატს იღებს და ჟენევაში სწავლას გადაწყვეტს.

ჟენევა — რუს რევოლუციონერ ემიგრანტთა დიდი საკრებულო. იქ იყვნენ ლენინი, პლეხანოვი, ჩერნოვი, დუღდა პოლიტიკური ცხოვრება, ამიტომ რუსეთის მოაზროვნე ახალგაზრდობას ანდამატივით იზიდავდა ჟენევა. მეოცნებე ალექსანდრესაც ხომ პროფესიის დაუფლება, პრაქტიკული ცხოვრების უშუალო ინტერესები კი არ ამოძრავებდა, არამედ ზოგადსაკაცობრიო იდეალები, რუსეთის იმპერიის მომავალი, მრავალტანჯული საქართველოს ხსნა. სწორედ ამიტომ მიუწევდა გული შორეული შვეიცარიისაკენ. როგორც ყოველთვის, მშობლები ახლაც დაეთანხმნენ პირმშოს, გაიყიდა ბუგეულის ვენახი, ზესტაფონს სამოსახლო, მოქუჩდა საჭირო თანხა და ოცნება ახდა.

ჟენევა არც ისეთი გამოდგა, როგორიც ეგონა, სახელგანთქმულ რევოლუციონერთაგან იქ თითქმის არავინ დახვდა, სამაგიეროდ ბლომად იყვნენ ქართველი სტუდენტები და ათასი ჯურის ემიგრანტები. მალე მობეზრდა ჟენევა და პარიზს მიაშურა. პარიზი — უზარმაზარი ქალაქი, რომელსაც საოცარი თვისება აქვს, ახლადჩასული არ შებოჭოს, მოყვრულად დახვდეს, ფართოდ გაუღოს კარი და საკუთარ მიღწევებს აზიაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბინავდა ლათინური კვარტალის მყუდრო, პატარა სასტუმროში. იქვე ახლოს იყო განთქმული სორბონი, პანთეონი, სენტ ჟენევიევის ბიბლიოთეკა, მუზეუმები და სხვა კულტურულ დაწესებულებათა ქსელი. ცოდნის მაძიებელი თუ სხვადასხვა საქმით დაინტერესებული ორმოცდაათიოდე ქართველიც დახვდა. აქაც სუფევდა ჟენევის განწყობილება, სახელდობრ, გულწრფელი აღშფოთება იმის გამო, რომ უცხოეთში ქართველებს და საქართველოს არ იცნობენო. აარსებენ სათვისტომოს, ძირითად სალაპარაკო ენად ქართულს აქცევენ და ზოგიერთმა გარუსებულმა პარიზში ისწავლა მშობლიური ქართული. გამოწერილი ჰქონდათ ქართული ჟურნალ-გაზეთები, შორეული პარიზიდან თავს დასტრიალებდნენ სამშობლოს. მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ეხმარებოდნენ ყოველ ახლად ჩამოსულს, მართავდნენ საღამოებს, ეწეოდნენ ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას, კავშირს ამყარებდნენ უცხოეთში მყოფ სხვა ქართველებთან, მათ შესახებ აგროვებდნენ ანკეტურ მონაცემებს. ალექსანდრე ჯანელიძე, როგორც სათვისტომოს თავმჯდომარე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან იღებს თანამოძმეთა წერილებს, ხვდება პარიზში ჩამოსულ ქართველ მოღვაწეებს, ერთხელ აკაკი წერეთელი ესტუმრათ, რომელმაც შეაქო და წაახალისა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდები.

საზოგადოებრივ საქმიანობასთან და ახალგაზრდულ თავშესაქცევ ამბებთან ერთად არ ავიწყდებოდა ცოდნის გაღრმავება, უპირველესად კი ფრანგული ენის ამომწურავად შესწავლა, რადგან ამ ენის მეშვეობით უნდა დაუფლებოდა მეცნიერებას. დღედაღამ კითხულობდა ფრანგულ მხატვრულ და ფილოსოფიურ ლიტერატურას. ესწრებოდა დისპუტებს, საჯარო ლექციებს. ბოლოს სორბონის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გადაწყვიტა შესვლა, რისთვისაც საკმარისი აღმოჩნდა წარედგინა საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (თარგმანი-ასლი) და მცირე სასწავლო გადასახადი. სწავლების სისტემა საგნობრივი იყო. „ფაკულტეტის ყოველ დარგზე იკითხებოდა დისციპლინათა გარკვეული რაოდენობა. მაგალითად, საბუნებისმეტყველოზე: ბოტანიკა, ზოოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოლოგია, მინერალოგია, გეოლოგია, ფიზიკური გეოგრაფია... სტუდენტი აქედან სამს აირჩევდა სურვილისამებრ, და როდესაც შესატყვის სამ გამოცდას ჩააბარებდა, მიიღებდა დიპლომს და ლაცენციატის წოდებას. კარგი მუშაობის პირობებში ერთ საგანს ერთი წელიწადი სჭირდებოდა, ხოლო დიპლომის მისაღებად იმავე პირობებში სამი წელიწადი კმაროდა“ (გვ. 93).

ისმენდა სახელგანთქმული მეცნიერების ლექციებს, მაგრამ ქუთაისში საშუალო განათლება მიღებულს უნივერსიტეტში სწავლა გაუჭირდა, ფრანგული სკოლა ხომ ადრევე ასპეციალებდა ახალგაზრდებს სხვადასხვა განხრით. მწვავედ იგრძნო, რომ მეტისმეტად ჩამორჩენილი იყო. უსახსრობის გამო მასწავლებელს ვერ აიყვანდა, რომ აეყვანა კიდეც „ნაკუწ-ნაკუწ ცოდნის" გარდა მეტს არაფერს მიიღებდა, ისევ არჩია სენის სანაპიროზე ბულვარ სენ-მიშელის ცნობილ ბუკინისტებს სტუმრებოდა და მათემატიკაში, ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებაში ნახმარი სახელმძღვანელოები ეშოვა. მარტოდმარტო ჩაუჯდა მეცადინეობას, თან უნივერსიტეტში არაფერს აცდენდა, ნიკორწმინდიდან წამოყოლილმა დიდმა ბუნებრივმა ნიჭმა, თვითაღზრდით ნაწრთობმა ნებისყოფამ და რაც მთავარია, ეროვნულობამდე ამაღლებულმა თავმოყვარეობამ, სასურველი ნაყოფი გამოიღო, იგი სამაგალითო სტუდენტი შეიქნა და მეტად რთული დამამთავრებელი გამოცდები წარმატებით ჩააბარა. 1911 წელს ფიზიკურ გეოგრაფიაშიც ჩააბარა სახელმწიფო გამოცდა, რითაც აგრეეს ხარისხი მოიპოვა და ლიცეუმის მასწავლებლის უპირატესი უფლება მიიღო. ამრიგად, ოთხი წლის დაუღალავი მეცადინეობით მიზანს მიაღწია.

სწორად აგებული დღის რეჟიმი, დროის ზუსტი განაწილება გახდა მისი წარმატების საწინდარი. ყველაფერს ასწრებდა, საზოგადოებრივი საქმიანობის შუაგულში ტრიალებდა, თავის დროზე არც გართობას იკლებდა და არც დასვენებას. მუზეუმები, პარკები, თეატრები, სახალხო სანახაობანი, საფრანგეთის მჩქეფარე ცხოვრებაში თანამონაწილეობა ახალგაზრდა კაცის ფორმირების და სრულფასოვან, ფართო დიაპაზონის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალება იყო.

არასოდეს არ უოცნებია მეცნიერების მუშაკი გამხდარიყო. ვინაიდან საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი არ იყო, ვერც გრძნობდა ამის საჭიროებას, სამშობლოს გარეშე მას ხომ არსებობა არ შეეძლო, იქ კი მეცნიერებს ასპარეზი არ ჰქონდათ. დაბრუნდა ქუთაისს და ქართულ გიმნაზიაში, რომლის დირექტორი იოსებ ოცხელი იყო, ფიზიკის მასწავლებლად მოეწყო, ქალთა გიმნაზიაშიც აიღო ალგებრისა და გეომეტრიის გაკვეთილები. მართალია საგანგებო, პედაგოგიური განათლება არ მიუღია, მაგრამ მასწავლებლობას სრულიად ახალგაზრდამ წარმატებით გაართვა თავი, ეს იმიტომ, რომ „ვერავითარი პედაგოგიკა ვერ უშველის უვიც მასწავლებელს და, მეორე მხრით, საგნის კარგად მცოდნე მასწავლებელი ბოლოს და ბოლოს ყოველთვის მიაგნებს საჭირო პედაგოგიურ ხერხებსაც" (გვ. 110).

ირჩევენ ქუთაისში გამომავალი ერთადერთი ქართული გაზეთის რედკოლეგიის, წერა-კითხვის გამავრცელებელი ფილიალის და ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრად. უნივერსიტეტი კვირაობით საჯარო, პოპულარულ ლექციებს მართავდა. ალექსანდრე ჯანელიძემ ქართულ ენაზე წაიკითხა ლექცია სიცოცხლის წარმოშობის შესახებ, რამაც ნამდვილი სენსაცია გამოიწვია, საზოგადოებას გაუკვირდა ქართულად ასეთი ლექციის წაკითხვა, ზოგიერთმა პირველად იგრძნო, რომ თურმე, მეცნიერული აზროვნება ქართულადაც შეიძლება. ასეთივე ლექციები წაიკითხა თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში, აქტიურად ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაშიც.

აღმოჩნდა, რომ რუსეთის იმპერიაში უცხოურ დიპლომს არც თუ ისეთი ძალა ჰქონდა, ცენზს სთხოვდნენ, აუცილებელი გახდა რუსულ უნივერსიტეტში ჩაებარებინა გამოცდები. პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ამიტომ ალ. ჯანელიძემ ყაზანს მიაშურა. შეუდგა სწავლას ყაზანის უნივერსიტეტში, თან პედაგოგიურ კურსებზე დადიოდა, გულმოდგინედ ემზადებოდა მასწავლებლობისათვის, მაგრამ მისი ცხოვრების გზა გაუთვალისწინებელმა გარემოებამ შესცვალა, შესთავაზეს უნივერსიტეტში დარჩენა, ისიც ორი სპეციალობით, გეოლოგიასა და ფიზიოლოგიაში. იქნებ ადრე არც მიეღო ეს წინადადება, მაგრამ თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება იყო გადაწყვეტილი, უნივერსიტეტის გახსნაც რეალურ საქმედ ჩანდა და ამიტომ გადაწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა. აირჩია გეოლოგია რადგან მთა-ველად ივლიდა და ლაბორატორიაში არ იქნებოდა ჩაკეტილი. ჩვეული ენერგიით დაიწყო მეცადინეობა.

1917 წელი, თებერვლის რევოლუცია. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის ქუთაისიდან უხმეს, ბევრი არ უფიქრია შვებულება აიღო და გაემგზავრა. გაზეთის რედაქტორობა მიანდეს, მასთან თანამშრომლობდა სიმონ ყაუხჩიშვილი. სკოლას აქართულებდნენ, უზარმაზარი სამუშაო იყო გასაკეთებელი, უნდა შექმნილიყო და დაზუსტებულიყო ქართული სამეცნიერო-სასწავლო ტერმინოლოგია, შედგენილიყო სახელმძღვანელოები. ქუთაისში ჩამოვიდა ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის იღვწოდა. ქუთაისის საზოგადოება ამ გაბედულ, და იმ დროისათვის თითქმის ფანტასტურ, ინიციატივას აღფრთოვანებით შეხვდა, შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის მდივნობა ალ. ჯანელიძეს დაეკისრა.

პროგრესულად განწყობილი ახალგაზრდობა ითვალისწინებდა ჩამორჩენილი სამშობლოს ეკონომიური განვითარების აუცილებლობას, ასე წარმოიშვა ქართული სამრეწველო ბანკის დაარსების იდეა, საინიციატივო კომიტეტის

მდივანი ალექსანდრე ჯანელიძე გახდა. მაგრამ მოვლენათა განვითარება სხვაგვარად წარიმართა, ინტელიგენციაში პოლიტიკურმა კრიზისმა იჩინა თავი, რასაც ალ. ჯანელიძეც ვერ ასცდა, ყოველივე იმით დამთავრდა, რომ 1917 წლის აგვისტოში იგი თავს ანებებს პარტიულ საქმიანობას და გაზეთის რედაქტორობაზედაც იღებს ხელს. დაუბრუნდა ყაზანს და სამეცნიერო მუშაობაში ჩაეფლო. მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, დაიწყო სამოქალაქო ომი. ალ. ჯანელიძე ამ უდიდეს ისტორიულ მოვლენებს ცხოველი ინტერესით ადევნებს თვალს, ვოლგისპირა მყუდრო ქალაქის დ# უნივერსიტეტის სიმშვიდეც დაირღვა. სამხედრო სასწავლებლის კურსანტები და კადეტები ამაოდ შეებრძოლნენ რევოლუციას, ყაზანში ბოლშევიკური ხელისუფლება დამკვიდრდა. ალ. ჯანელიძე მეცნიერულ მუშაობას აგრძელებს, მაგრამ ამ დროს საქართველოდან მოვიდა ცნობა — „სამშობლო საფრთხეშიაო", თურქები სამხრეთ საქართველოს დაეპატრონენ და გურიაშიც შემოიჭრნენ. ჯანელიძემ მყისვე მიატოვა მეცნიერება და სამშობლოს დასაცავად გაეშურა, მაგრამ ჯარისკაცად გახდომა მას არ ეწერა.

კრიზისი, მახლობელ, საყვარელ ადამიანთა გარდაცვალება, სასტიკი მწუხარება, რომელმაც ჩაკლა ახალგაზრდული სიხალისე, წაართვა წრფელი, უდარდელი სიცილის უნარი. არეული დრო, მშფოთვარე ცხოვრება. სამწუხაროდ გამოჩნდნენ პიროვნებანი, რომლებიც სარგებლობდნენ შექმნილი ვითარებით და ცდილობდნენ „რაც შეიძლება უკეთ „მოწყობილიყვნენ", მეტი ნივთიერი სარგებლობა უზრუნველეყოთ თავიანთვის და თავისიანებისათვის. ხშირად ეს გულისამრევ ფორმებს ღებულობდა და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის სახელით კეთდებოდა" (გვ. 34). გამდიდრების და მოხვეჭის მოძულეს საშინელი გულგატეხილობა დაეუფლა. როგორც ბუნებისმცოდნე და რეალისტი, ბავშვობიდანვე შეჩვეული იყო აზრს, „რომ ადამიანი მატერიალურ კეთილდღეობას ეძებს, მაგრამ ამ სრულიად ბუნებრივ მისწრაფებას უფრო მაღალ პრინციპებს უნდა უქვემდებარებდეს: რომ ამ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება არ არის ნებადართული და, რაც მთავარია, მოსაწონი; რომ ადამიანი ამაზე მეტი ღირს" (გვ. 134). საჭირო გახდა მოქმედებათა ასპარეზი შეეზღუდა, ცხოვრების ერთი გზა აერჩია. ისევ მეცნიერებისაკენ გაუწია გულმა, მითუმეტეს თბილისში უნივერსიტეტი უკვე არსებობდა, მაგრამ გეოლოგიაში ვისთან იმუშავებდა? ისევ საზღვარგარეთ უნდა წასულიყო, ცოდნა შეეკრა, კვალიფიკაცია აემაღლებინა, რათა თბილისის უნივერსიტეტში, ცარიელ ადგილას, ქართული გეოლოგიური მეცნიერება დაეფუძნებია.

გამგზავრებამდე, თბილისში მასწავლებლობა დაიწყო და ფიზიკის ქართული სახელმძღვანელო შექმნა.

... კვლავ პარიზი. პირველი სტუდენტობის თანაზიარმა ქალაქმა სამშობლოში განცდილი სულიერი ტკივილები დაუამა, მაგრამ კეთილისმოსურნეთა რჩევით ქალაქ გრენობლს მიაშურა აკადემიკოს ვილფრიდ კილიანთან სამუშაოდ. თერთმეტ-თორმეტ საათს შრომობდა ლაბორატორიაში. კილიანის ხელმძღვანელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ხანდახან დახედავდა, და როცა დარწმუნდა — უცხოეთიდან ჩამოსული ახალგაზრდა ნიჭიერი და ფუტკარივით დაუღალავი მეცნიერიაო, ფართო ასპარეზი გაუხსნა. ფრანგულად დაწერილმა ნაშრომმა ფრანგები გააოცა. მეცნიერული სიღრმე და ფრანგული ენის ვირტუოზული ცოდნა, — აი რითი დარჩნენ ისინი აღფრთოვანებულნი.

ისევ პარიზი. მუშაობს პალეონტოლოგიაში. ამ დროს საქართველოში დიდი ამბები დატრიალდა. მენშევიკების მთავრობა დაემხო, გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. მოსვენებას არ აძლევს სამშობლოზე ფიქრი, თან ნივთიერი ხელმოკლეობაც სტანჯავს, ელოდება ნაშრომის გამოქვეყნებას. ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით გერმანიაში მიემგზავრება და პატარა საუნივერსიტეტო ქალაქ ჰალეში მკვიდრდება. იქ სრულყოფს გერმანული ენის ცოდნას. ნაშრომის ბეჭდვა დასრულდა. თბილისის უნივერსიტეტიდანაც მოვიდა მოწვევა და უკანდასაბრუნებელი თანხა. განსწავლული შვილი სამშობლოს დაუბრუნდა.

შეგნებული ცხოვრების დასაწყისში დასმულ მტანჯველ კითხვას საქმით გასცა პასუხი: უმაღლეს დონეზე აითვისა სპეციალობა, შეინარჩუნა ეროვნული თვითშეგნება, სამშობლოს, მშობლების, სოფლის და კარმიდამოს სიყვარული; მრავალი ენა ისწავლა და არ დაივიწყა ქართული; გაუძლო სახელგანთქმულ სახელმწიფოთა და ქალაქთა ცდუნებას, რადგან საქართველო, ნიკორწმინდა და ქუთაისი მთელ სამყაროს ერჩია. ბრალი მისი, ვინც გადაგვარდა...

თბილისის უნივერსიტეტი. მეცნიერული საქმიანობის ფართო ასპარეზი. ქართული გეოლოგიური სკოლის დაფუძნება და აყვავება. აკადემიკოსი, საზოგადო მოღვაწე, მგზნებარე მამულიშვილი, მრავალგზის დეპუტატი და ორდენოსანი... ყოველივე ამაზე წიგნში არაფერია ნათქვამი, ეს ისედაც იცის საქართველოს მრავალმა მოქალაქემ. მადლიერი ერი სახელოვან და ღირსეულ შვილს უკვდავების შარავანდედით მოსავს, ეს არის გაწეული ღვაწლის უმაღლესი საფასური.

დახურავ ამ წიგნს და ოცნებას თავს ვეღარ დააღწევ. გინდა შენი ცხოვრებაც ასე წარმართო, იყო სპეტაკი, პირდაპირი, კეთილი, მამაცი, პატიოსანი, შრომისმოყვარე; საკუთარ მე-

ში ანსახიერებდე სამშობლოს, რადგან საქართველო ქართველ ადამიანთა კრებულია მხოლოდ და ქვეყნის ბედი მათს გონებრივ ჰორიზონტზე, ქცევაზე, მიდრეკილებებსა და ნებისყოფაზეა დამოკიდებული. ყოველივე ამას ერთად აღებულს ხალხის ნიჭიერება ჰქვია, რაც უზრუნველყოფს ერის ადგილს სხვა ერთა შორის, თვით მის არსებობას და სიცოცხლეს. აი, ასეთ საკითხებზე ჩაგაფიქრებს ეს პატარა წიგნი. მოზარდი შიგ ბევრ სამაგალითოს და ჭკუის სასწავლებელს იპოვის, ვისმა ცხოვრებამაც ფუჭად ჩაიარა, სინანული დაეუფლება, ხოლო კარგი გუთნისდედა და მკელი ღირსეულ თანამემამულეს შეიცნობს. დაე, ბევრი ასეთი წიგნი დაწერილიყოს, დაე, ბევრი გვყოლოდეს ალექსანდრე ჯანელიძისთანა ქართველები.

და ბოლოს, ორიოდე სურვილიც უნდა გამოვთქვათ. კარგი იქნება, ავტორი მისი ცხოვრების მეორე ნახევარს თუ ასახავს, რაც პირველი და ერთადერთი ქართული უნივერსიტეტის და ჩვენთან გეოლოგიური მეცნიერების განვითარების მხატვრული ისტორია იქნება.

სარეცენზიო წიგნი, ბუნებრივია, რამდენჯერმე გამოიცემა. სხვა რომ არ იყოს რა, ამას მისი მცირე ტირაჟიც განაპირობებს. ვისურვებდით, ავტორს გაეთვალისწინებინა ერთი გარემოებაც: „ჩვენი წყარო გამოყვანილი იყო ორმოცდაათიოდე მეტრით ეზოს გადაღმიდან, ჩრდილოეთით. წყალსადენი ჩინებულად იყო გაკეთებული. ალბათ ბერძენი ოსტატები გამოიყენა სიმონმა, თორემ რაჭველები კალატოზები არ იყვნენ“ (გვ. 16) — წერს ავტორი. მართალია, რაჭველები, ძირითადად განთქმულნი იყვნენ როგორც ხით ხურონი, მაგრამ ისინი ქვის დამუშავების და წყაროთა გაყვანის საქმესაც კარგად იყვნენ დაუფლებულნი. რაჭის ბევრ ციხეზეა შემორჩენილი წყალსადენთა ნაშთები, საირმეში ბოლო დრომდე ამზადებდნენ თიხის მილებს, რაზედაც ცნობა თვით ავტორს მოეპოვება. მთის რაჭაში მაღალი ხუროთმოძღვრული ტექნიკით აგებული ქვის დუროიან ციხე-სახლებს აღტაცებაში მოჰყავდა მნახველები. ნიკორწმინდის, პატარაონის, კრიხის, სორის, ბარაკონის, ლაბეჭინის და სხვათა ჩუქურთმის მჭრელნი შორიდან არ უნდა ყოფილიყვნენ მოსულნი. ჩვენი საუკუნის კვირაძალზე შთამომავლობით ქვით ხუროებმა მუხლელმა (ამბროლაურის რაიონი) აგლაძეებმა, თბილისში ქაშვეთის ეკლესიის ქვებს სიცოცხლე შთაბერეს და დაამტკიცეს, რომ ქართველ მეჩუქურთმეთა მარჯვენა არ დაჩლუნგებულა. სხვა მაგალითების მოტანაც შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ საკმარისია, წიგნით აღძრულ სიამოვნებათა ზღვაში ეს წვეთი სალაპარაკოდ არ ღირს.

ლევან ფრუიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი



ყოველთა დამამხობელმა საწუთრომ კიდევ ერთი ლამაზი, უწყინარი, კეთილი შემოქმედი კაცის სიცოცხლე დაამხო.

მოხდა ის, რასაც წუთისოფელში ნახევარ გზაზე შემოღამება ჰქვია, რაც ცხოვრების კანონზომიერ განვითარებას ეწინააღმდეგება, რასაც საღი გონება ეურჩება, გულს დაუჯერებლად ეჩვენება და გრძნობა ვერა და ვერ შერიგებია.

სიკვდილმა სამუდამოდ ჩააქრო უწმინდესი კანდელი უწყინარი კაცურ-კაცობისა, პატიოსნებისა, სიალალისა, უანგარობისა, კეთილი მეგობრობისა და მართალი ჭეშმარიტი შემოქმედებისა.

ძვირფასო ედიშერ! სიკვდილმა დაგსუნთქა შენ და ჩვენ ყველანი ენით უთქმელ, გრძნობით გამოუხატავ გლოვასა და ვაებაში ჩაგვყარა.

არც ერთი კაცის სიკვდილის ამბავი არ მომხვედრია ისე ხანჯალივით გულში, როგორც შენი სიკვდილი. ვინაიდან შენ იყავი ამ ქვეყნად სახიერივით უწყინარად მავალი, სიყვარულის ქადაგი, პატიოსანი, ალალმართალი, უანგარო და უთქმელი.

აი უკვე ერთი კვირა სრულდება, რაც თითოეულ ჩვენგანს ყურში ჩაესმის მრავალთაგან სინანულით წარმოთქმული: „საბრალო ედიშერი! საწყალი ედიშერი“: არა, შენ არა ხარ საბრალო და საწყალი, რადგან შენ პირნათლად მოიხადე ვალი შენი ხალხისა და სათაყვანებელი ქვეყნის წინაშე. შენ არ შეიძლება იყო საწყალი და საბრალო, რადგან შენი გონითი ნაღვაწით თამამადა და პირნათლად წარსდგები თანამედროვეთა და მომავალი თაობების წინაშე.

ჩემო ედიშერ! ბოდიშს ვიხდი შენი ძვირფასი ცხედრის წინაშე იმის გამო, რომ ასე დაულაგებლად ვლაპარაკობ შენს სამაგალითო ცხოვრებასა და ჭეშმარიტ შემოქმედებაზე. მაგრამ აქ, ჯერ კიდევ შენი თბილი ცხედრის წინაშე, შენს მართალ სიტყვასა და პატიოსან ცხოვრებაზე ჭკუადამჯდარი ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელი რამ ყოფილა. ასეთ საქმეს ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ცივი გონება და დამშვიდებული გული უნდა. ახლა კი აქ, შენი მარადიული სავანის წინაშე გულაჩუყებულნი ვდგავართ, გვრინი ვერ დაგვიოკებია, შვების მომგვრელი ცრემლიც აგვიანებს, კაცს სული ეხუთება და ლაპარაკი ჭირს.

შენ ძალზედ უდროოდ წახვედი ჩვენგან. შენმა უღვთო სიკვდილმა შეუხორცებელი ღია ჭრილობებით დასერა გულები და ეს გულისმომწყვლელი კაეშანი თითოეული ჩვენგანის აღსასრულამდე დარჩება ხსოვნაში. დავრჩით გულგასენილნი, დამწუხრებულნი და ჩვენი სევდა, ვაება და ვარამი მით უფრო გულსაკლავია, რომ შენმა უეცარმა ავადმყოფობამ თითოეულ-ჩვენგანი მყისვე სულის სიღრმემდე არ შეაშფოთა. ვაგლახ, რომ ჩვენი სულიერი რყევა და ძვრა გამოიწვია შენმა სიკვდილმა და არა შენმა უეცარმა ავადმყოფობამ. ჩვენმა ქართულმა დაუდევრობამ ერთხელ კიდევ იჩინა თავი. ჩვენმა უყურადღებობამ კიდევ ერთხელ შეგვასვა ძირმწარე სამსალა.

თითოეული ჩვენგანი მწარედ უნდა ჩაუფიქრდეს ჩვენში ფესვებგაბარჯღულ მოურეველ სენს — ქართულ დაუდევრობას! ჩვენ მცირერიცხოვანი ხალხი ვართ და თითოეული პიროვნების ფასი ჩვენთვის უსაზღვრო, უსასრულო და განუზომელია. მაგრამ მე ისევ შენი იმედი მაქვს, შენ იქაც, სულთა სამსჯავროშიც არ იტყვი ჩვენს აუგს, შენ იქაც ჩვენი ქომაგი და გულუბრყვილო, უთქმელი, უწყინარი, დიდი ბიჭი იქნები.

ულმობელმა სიკვდილმა სამუდამოდ წაგვართვა შენი თავი, წაგვართვა სხივოსანი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რომლის მრავლისაღმთქმელი გონებრივი სალარო დაუცლელი, სწორედ ყვავილობის ჟამს გამოგვეცალა.

ძვირფასო ედიშერ! თვალს ვავლებთ ჩვენს წარსულ მწერლობას, რამდენადაც შეგვიძლია ვჭვრეტთ მომავალს და ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ მრავალსაუკუნოვანი და უკვდავი ქართული მწერლობის საკრებულოში, მის არეოპაგში შენ შენი გონითი ნაღვაწით, შენი საკუთარი და საპატიო ადგილი გექნება მიჩენილი!

ძვირფასო ძმაო! თითქოს შენი სამშობლოს დიდებულ შვილთა და მარადიულ განსასვენებელ სავანესაც აკლდა შენი კეთილი კაცობა და შენ შეავსე იგი. შენი აქ მოსვლით შენ გუმბათივით დაჰხურე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონი, შესასვლელში ჩაწექი დარაჯად, თითქოს აღარავისი მანდ მოსვლა აღარ გწადია. სიკვდილშიაც კეთილო კაცო! მსუბუქი იყოს დიდების წმინდა მიწა შენს გულზე.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

● ●

ამას წინათ ტაქსით ვბრუნდებოდი შინ. ღამე იყო, ოდნავ ბარდნიდა. რატომღაც გამახსენდა ჩემი ძველი უბანი — ჩუღურეთი. იქ, ჩვენს ეზოში გოლიათი თუთის ხე იდგა, მაღალი, სრული, მის მერქანს ოთხი კაცი ძლივს შემოუწვდენდა ხელებს. იმ თუთის ჩრდილში გავატარე ბავშვობა და მისი უტკბილესი ნაყოფი იყო ჩემი

ბავშვობის პირველი ხილი. ერთხელ, ახალი წლის კვირაძალზე, თოვლი მოვიდა. ზიმწუხრისას დაიწყო ბარდნა და მე, თოვლს მონატრებული, ჩემი ხის რიკულებიანი აივნიდან გავყურებდი მოფარფატე ფიფქებით სავსე სივრცეს.

ბიბლიოთეკა

უცებ გამაყრუებელმა, თავზარდამცემმა ჭახანმა შესძრა იქაურობა. ეს იყო მეხთა-ტეხისა, თუ ჭექა-ქუხილის შემაძრწუნებელი ხმა ან ზვავის მოხეთქვა. და მე დავინახე, როგორ წაიქცა თუთის ხე, როგორ გადააწვა მთელ ეზოსა და სანაპიროს. შეშინებული მეზობლები აივნებს გამოეფინნენ, მათ არ იცოდნენ, რა მოხდა, რამ გაიღო ასეთი შემზარავი ხმა და შეშფოთებულნი ერთმანეთს აწყდებოდნენ. მერე, როცა პირველმა ელდამ გაიარა, ყველანი ეზოში ჩავედით და დიდხანს ვიდექით წაქცეული ხის გარშემო. ყველას გული ჩაწყდა, ყველამ ერთხმად აღიარა, — მაინც არ გვეგონა, თუ ჩვენი ხე ასეთი დიდი იყოო. მე კი უეცრად ვიგრძენი, ვიგრძენი მკაცრად, რომ ჩემს პატარა ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი გასრულდა... ალბათ, ბავშვობა...

ფიქრი ტაქსის შოფერმა შემაწყვეტინა.

— იცით რა, ბატონო, — მითხრა მან, — მე ერთხელ უკვე მოგიყვანეთ შინ.

— მართლა?

— ამ თხუთმეტიოდე დღის წინ, — განაგრძო ლაპარაკი შოფერმა, — მანქანაში ორნი ისხედით...

მე უცებ გული ტკივილისაგან დამეწურა, რადგან უთქმელადაც მივხვდი, ვინ იყო ის მეორე...

— მერმე თქვენს სახლთან კარგახანს ისაუბრეთ... ისე საინტერესოდ ლაპარაკობდა, მივხვდი, უბრალო კაცი არ უნდა ყოფილიყო. მერმე დაემშვიდობეთ და თქვენ მანქანიდან ჩახვედით, ის კი წავიყვანე. თუ არა ვცდები, პავლოვის ქუჩის დასაწყისში ცხოვრობს.

— დიახ.

— მართალი გითხრათ, ეგეთი თავაზიანი კაცი არც შემხვედრია. მაპატიე, საუბარმა შეგვიყოლიაო, — ბოდიში მომიხადა. მერმე დამემშვიდობა, დამშვიდობებისას სიკეთე მისურვა, ჯანმრთელობა... ხელიც ჩამომართვა. პატარა კაცები ეგრე არასოდეს იქცევიან.

მე არ მითქვამს ტაქსის შოფრისთვის, რომ ის კაცი — ედიშერ ყიფიანი, ჩემი ლამაზი ძმა და კეთილი მეგობარი ამქვეყნად აღარ არის. დე, იფიქროს, ერთი ჭკვიანი, კეთილი და თავაზიანი, ლამაზი და მაღალი კაცი თბილისის ქუჩებში ისევ დადის. დე, გაფაციცებით ადევნოს თვალი ქალაქის ტროტუარებს იმ იმედით, რომ ერთხელ კიდევ შეხვდება მას და მანქანას გაუჩერებს...

ჩემი სახლის წინ მდგარმა თვალი გავაყოლე მიმავალ მანქანას და გავიფიქრე: მაინც რა უცნაური ძალა ჰქონდა ედიშერს, სულ რაღაც, რამოდენიმე წუთის მანძილზე შეეძლო თავისი დიდი სიკეთის ყლორტი გადაენერგა უცხო ადამიანის სულში. მე მივხვდი, ტაქსის შოფერი უკვე სამუდამოდ აცრილი იყო ედიშერის კეთილშობილებით. მივხვდი იმასაც, ცოტა ხნის წინათ, ტაქსის შოფერთან გამოთხოვებისას მოვიქეცი ისე, როგორც მხოლოდ ედიშერი იქცეოდა. საოცარია, ამ ქვეყნიდან წასული კაცი, ჩემი ლამაზი ძმა და კეთილი მეგობარი კვლავ მაკეთილშობილებდა, კვლავ ჩემი სულის აღზრდაზე ზრუნავდა.

თვალი გავაყოლე მიმავალ მანქანას და გავიფიქრე: რა ბედნიერია ის ადამიანი,

ვისაც ჯერ არ გაუგონია ხმა იმ ზარისა, ედიშერს რომ მოუხმო და წაიყვანა. ერთი წუთით მეც მინდა დავიჯერო, იმ მანქანაში, რომელიც ეს-ესაა დაიძრა, ისევ ზის ედიშერი და გზად მიმქროლავი ისევ აგრძელებს ახლახან შეწყვეტილ საუბარზე ფიქრს. თუმცა ვიცი, იმ გზაზე, რომელზეც ყოველდღე ერთად დავდიოდით, ახლა მარტო უნდა ვიარო...

ახლაც ზამთარია, თოვს და მე მაგონდება, დიდი ხნის წინათ როგორ წაიქცა გოლიათი ხე...

ჩემს ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი გასრულდა.

მოულოდნელი, დამთრგუნველი და თავზარდამცემია ეს განშორება.

არჩილ სულაკაური

● ●

ალბათ, მე ვარ სხვაზე უფრო დაჩაგრული კაცი, რადგან საშუალება არ მომეცა, მიხაკი მომეტანა შენთვის, ცივ შუბლზე მეკოცნა, მერე მხარი შემედგა შენი სასახლისათვის და სხვებთან ერთად მიმეცილებინე დიდუბეში — შენს საუკუნო სასუფეველში.

ალბათ, მე ვიქნები სხვაზე უფრო დაზარალებული კაცი, რადგან შენ აღარ იქნები ის პირველი მკითხველი, რომელიც ჩემს აწი დაწერილ წიგნს წაიკითხავს და თავისი ხელით ჩაასწორებს.

ალბათ, მე ვიქნები სხვაზე უფრო საბრალო კაცი, რადგან ორმოცდახუთი წლისამ სადღა ვეძებო შენისთანა სიყრმის მეგობარი, ღამის მთევარი, მოსაუბრე, განსწავლული, მწიგნობარი, მისაბაძი კაცი, დამრიგებელი კაცი, ლამაზი კაცი, სასიამოვნო კაცი, სუფთა, წმინდა, დახვეწილი, მაღალი კაცობის ყალიბში ოქროსაგან უხინჯოდ ჩამოსხმული კაცი, — სადღა ვეძებო?

ყველა ჩვენთაგანის სიკვდილი წარმომედგინა ზოგისა თავისი დაუდევრობით, ზოგისა სხვისი დაუდევრობით, ზოგისა სხვა მიზეზითა და ზოგისა უმიზეზოდ — მაგრამ შენი?..

ქვეყიდან თუ შეკრებიდან გამოსულებს ყველას მიგვიყვანდი შინ, პატრონს ჩაგვაბარებდი, დაგვაბინავებდი და მხოლოდ შემდეგ, შემდეგ გაუყვებოდი სახლისაკენ გზას სტვენითა და ღიღინით. ასე იყო ცხოვრებაში და მეგონა, ასე იქნებოდა, ვიდრე დასრულდებოდა ჟამი ჩემი ყოფნისა. მეგონა...

დილით რომ გნახე ავადმყოფი, ბურანში იყავი. მაკოცე ისე თბილად, როგორც არასდროს და დაიძინე მშვიდად, იქნებ ჩემმა ნახვამ დაგამშვიდა. ვინ იცის? მერე ღამით დარეკეს აღარ არისო...

თ ა ვ ზ ა რ ი სიტყვა კი არა, ~~ტკბილი~~ ყოფილა აუწერელი. ახლა ამას რომ ვწერ, მარცხენა ძუძუსთან მტკივა ზუსტად ისე, როგორც მაშინ, შენ რომ მადექი თავზე ავადმყოფს, ჰოდა, ახლა ვფიქრობ, იქნებ მე ვარ სხვაზე უფრო ბედნიერი კაცი, დაძინებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი რომ დაგტოვე და მერე აღარ მინახავხარ, იქნებ მე ვარ სხვაზე ბედნიერი, რადგან მგონია, ისევ დავრეკავ შენთან სახლში და ვკითხავ შენს გოგონას:

— ბაო, მამას ძინავს?

— ძინავს, ძია ნოდარ, გავაღვიძო?

— არა, იძინოს, ოღონდ, რომ გაიღვიძებს, უთხარი, დამირეკოს...

ჰოდა იქნებ მე ვარ სხვაზე ბედნიერი კაცი, რადგან შემიძლია თავი მოვიტყუილო და ასე ველოდო შენს გამოღვიძებასა და ზარს, ვიდრე ვცხოვრობ, ჩემო ედიშერ.

ნოდარ დუმბაძე

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ